

1968



# הארכיון

8

1968





# ტსკი

135

გამომცემის მეთორმეტე წელი

# 8

კვირისკო

1968

თბილისი



ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი



საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო



# ბინეკრსი

## კოეზია

- 3. ოლთახ სულეიმენოვი. მიწათმ. ეთაჟვანე ადამიანს! ნაწყვეტი პოემიდან. თარგმნა გივი ძნელაქეშ
- 26. ნიკოლოზ ჩაჩავა. ლექსები
- 27. ეფხარ კვიციანი. ლექსები
- 38. იორანე ჭიჭინაძე. ლექსები
- 40. ჯანსუღ ნიჭაბაძე. ლექსები
- 41. შალვა ჩიტიშვილი. კვირტები. ლექსი
- 48. ხალვატორე ქვაჩიშვილი. ლექსები. თარგმნა ჭანსულ ჩარკვიანმა

## პროზა

- 5. თენგიზ ვოგოლაძე. კაცი კაციმთა. რომანი
- 29. გურამ ხარაიძე. ჯამალი, ზღაპრის შვილი. მოთხრობა
- 42. ქეთო ხარაიშვილი. აკვანი გვიწყვი თუთის ქვეშ. მოთხრობა

## უცხოური ნოველა

- 50. აკუტავაძე. უსიერ ტყეში. თარგმნა ლადო ავალიანმა

## მოგონებები

- 56. მარინა ცვიტაშვილი. სული ჰერმობილი. თარგმნა რუსულად ქებულაქეშ

## ნარკვევი

- 67. კობე შამათავა. კომპოზიციური შევსება
- 150 ნ. ბარათაშვილი 150
- 73. გურამ ასათიანი. „მერანი“ და მისი ავტორი

## ფერილები

- 89. ა. კოლმსკოვი. კოეზის ტრაგედია
- 102. გურამ გვირგვინი. ვინ არის ლევან ხიფაშვილი? იმ, სდამც კაკიტილი ბატონოვს!
- 107. ლევან მხატვარი. ამერიკის ბუნებრივი ახალგაზრდობა

## ახალგაზრდა მწერლები „ცისკარში“

- 111. რომან კვიციანი. ელიზა რეკლამა და იონა მუხარბია
- 113. რამაზ კიკნაძე. სინამდვილე და მოთხრობა
- 117. ზურაბ რატიანი. მსახურთა სოციალური წოდება
- 124. სადისკუსიო ტრიბუნა
- 142. არლი თაყაიშვილი. „მე მემოვარ-შე დაშინებო...“
- 142. ფიგურების სამყაროში
- 157. მამუკა ფიქალაძე. ვაჟა-ფშაველას ჩემთნან. გიორგი დოლიძე. ნატო ვარაჩხიას გახსენება. გურამ ბათიაშვილი. ოდითუთი მოთხრობები. კახი მუხარბიშვილი. ოთხი დრო. რამაზ მუხარბი. მისი ფიქრების ყვავილები. შოთა ვაჟაშვილი. შტრანალ „ცისკარში“ კოეზები. იოსებ მუხარბი. კარავი დონდუას რეალური ნაგრობები
- 159. ჩვენი კალენდარი
- 159. მამუკა ფიქალაძე. მამუკა ფიქალაძის დღეები საქართველოში
- 159. ურველი მხრიდან

## მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:  
 გურამ ასათიანი,  
 აბაში ბატარაძე,  
 გივი გვირგვინი,  
 გურამ გვირგვინი,  
 მერაბ ელიციანი,  
 კარლო კალაძე,  
 კონსტანტინე  
 ლორთქიფანიძე,  
 ოტიან პაპოვიანი  
 (პასუხისმგებელი მდივანი),  
 ნუგზარ ფერეთელი,  
 ნოდარ ფილიპოვიანი,  
 ტარიელ შანტაძე,  
 სერგი შილაძე,  
 თამაზ შილაძე,  
 ლაშა ჯანაშია.

## მიწაო, ეთაყვანე ალაშიანს!

(ნაწყვეტი პოემიდან)

იური გაგარინს

მიწაზე მეუფობს  
სიჩუმის ანგელოზი,  
დიქტორი ხმას  
გულს და სულს ატანს;  
ზეცის ვეება,  
ნაცრისფერ ტილოზე  
რადიო მის პორტრეტს ხატავს:

„ცხვირპაჭუა... ბეჭფართო...“  
— მეც მხრებში ვსწორდები!  
„ოცდაშვიდი წლის...“  
— ჩემი თანატოლია!  
მიხარია!..  
ვიღაცის ნათქვამიც მაგონდება:  
— მთავარია მსგავსება  
სულის ანატომიის!..

„სპეტაკი...  
მეგობარს ფეხქვეშ ეგება ფიანდაზად...“  
— ეს ფრაზა  
მუსიკად ჩაესმის ყურს!..  
„სახელოსნო სასწავლებელში  
სწავლობდა ფრიადზე...“  
— ჩემი ქამრის ბალთასაც  
ეწერა „PY“.

„უყვარს წიგნები და ოპერეტა...“  
— მეც მიყვარს წიგნები.  
ოპერეტაც მიყვარს.  
„არ მოუწევია  
არასდროს  
პაპიროსი...“  
არც მე მოგწევ.  
ვიძლევი პატისან სიტყვას!

მე ფეხბურთში ვარ  
ცენტრალური მცველი,

გამოვდგები შეტევაშიც,  
ოღონდაც მითხრან!..  
ეთამაშობ ვაჟაკურად.  
როცა მომცელავენ, —  
წამოვხტები და ტკივილს  
ღიმილით ვიტან!

მათემატიკა ვიცი ღმერთივით,  
არც ასტრონომიაზე  
გახლავართ მწყურალად.  
ზოგჯერ სახალისო ქიმით  
ვერთობი,  
პოეზიაშიც  
მიცდია ძალა!..

მზე ცისკენ მიზიდავს,  
როგორც ანდამატი;  
არ მიყვარს კაცის  
უნდო,  
ხარბი,

ეჭვიანი!..  
ყველაფერ ამას  
უნდა დაეუმატო:  
ვარ სპეტაკი...  
ცხვირპაჭუა...  
მხარბეჭიანი!..

მერწმუნეთ:  
ეს სულაც არ არის ტრაბახი, —  
გავუძლებ ცენტრიფუგას, —  
დადგეს ჩემი რიგი...  
სხეულით ჯანმრთელი  
და სულით ამაყი  
დედამიწას  
შუქივით შემოვუვლი ირგვლივ!..



მიიღეთ ჩემი თხოვნა!

მზადა ვარ —

ახლავე,

ამ წუთში

სინამდვილედ ვაქციო პირობა:

თუ ეს საჭიროა —

პარტიის სახელით

გავიმეორო

გაგარინის

გმირობა!..

ტანით — დაბალნი,

სულით — მაღალნი,

მაღალნი სულითაც

და ტანითაც, —

ვინ ნახა ასეთი

ბიჭები დღემდე!

აზრი შუქოვანი,

ოცნება ახალი —

მიწიერ სინათლეს

ჩირაღდნად აიტანს,

აიტანს,

აიტანს,

აიტანს

მზემდე!

ეჭვი, ბიჭებო! —

თაობაჲ ჩემო, —

გვაქვს სული სავე

ლტოლვით და ფრენით...

რწმენა დროშასავით

ასწიეთ ზემოთ

და მზის ემბაზში აღივლივით

სხეული თქვენი!

...მიღებულია შენი თხოვნა

და შენი ფიცი,

უამრავთაგან

ერთო გმირო

ხვალის და ზეგის!...

ლენინის სიბრძნით და სახელით, —

გვჯერა და ვიცით, —

შენ კვლავაც ივლი,

ვით გივლია,

უვალი გზებით!...

ამას მოითხოვს შვილისაგან

სამშობლო — დედა!

საკაცობრიო მიზანი და

ღიადი საქმე!..

...ნიავე ვარდებს ეფერება

საფლავთა ზედა,

ვითარცა ხსოვნის

მარადიულ,

უქრობელ სანთლებს!..

თარგმნა გივი კნელიაძე





# კუსკა კუსკაი

რომანი

სიბერე გაუმწარდა ბერბიჭას. როცა შამშემ ის წერილი აჩვენა, კუბო რომ იყო დახატული, ქოსას მოსვენება დაეკარგა. ის მუქარა თავის თავზედაც მაილო. ბერბიჭას ყურამდე ათასი ამბავი მოდიოდა, ბანდიტები როგორ არბევდნენ რევკომებს, როგორ ხოცავდნენ სოფლის ახალ თავკაცებს.

წერილში ერთი კუბო ეხატა, მაგრამ თუკი რევკომს ტყვიას დააყრიდნენ, არც ბერბიჭა გადაუტრეხებოდა სიკვდილს და ახალქალაქში რამდენიმე კუბო შეაკვრებოდა.

ამის გამო გამწარებული ჰქონდა სიბერე. ყველაზე ძალიან მაშინ იგრძნო სულის სიტკბო. ყოველდღიურ ცხოვრებაში კარგს არაფერს ხედავდა, მაგრამ რაღაცის იმედი მაინც ჰქონდა. ისე როგორ გასწირავდა წუთისოფელი, რომ

ვებქლავთ რამდენიმე თავს რომანის მეორე წიგნიდან.

ერთი მთლიანად ბედნაერი დღე მისთვისაც არ გამოერია. და იქნებ იმ ბედნიერ წუთებს მთელი სიცოცხლის სიმწარე სიზმრად ექცია და მისი გული ცოტა ხნით მაინც გაეხარებინა.

ას სანატრელი ერთი წუთის ბედნიერება ზოგჯერ ხანგრძლივ დაღმინებას სჯობს.

დღლით, როცა გაიღვიძებდა, უმაღლესი ფანქრით დახატული კუბოს მაგივრად ნამღვილი კუბო დაუდგებოდა თვალწინ. კანტორამდე ქურდულად მიიპარებოდა. თუკი რევკომში მარტო დარჩებოდა, კარის ყოველ გახმაურებაზე კრთებოდა და თვალებს შიშით აცეცებდა. გულს მაშინ იმშვიდებდა, როცა ოთახი გლეხებით გაივსებოდა და შამშემც იქ იყო. შამშეს იმედი ჰქონდა, რადგან იმ წერილის მიღებისას რევკომის თავმჯდომარემ გულღვარძლიანად შეიგინა და ქოსას უთხრა:

— იმათ კუბოც არ ეღირსებათ, ძალ-  
ლებივით ჩავეკლავთ სადმე!

ქოსა ხმას არ იღებდა და გულა უკან-  
კალვებდა.

ქობის კარს კიდევ ერთი ხის ურდუ-  
ლი გაუკეთა. კარს საგანგებოდ ჩაჰკეტ-  
და, თავის გატრეცილ ლოგინში შეძვერ-  
ბოდა, საბანს თავზე წაიფარებდა. ერთ  
ხანს ცახცახებდა და ყოველთვის ცუდსა  
და საშინელზე ფიქრობდა. გული მოუს-  
ვენარი ჩიტვით უხტოდა და ახლა საკუ-  
თარი გულისაც კი ეშინოდა, ეშინოდა,  
ამ ფრთხილსა და კანკალში არ მიჰლე-  
ოდა. როდის-როდის მაინც ჩაეძინებო-  
და. დილით, როცა გაიღვიძებდა, ისევ  
ძილს ინატრებდა და თავისთვის იტყო-  
და: „ძილი და სიკვდილი ტოლ-სწორნი  
არიან, ჩემისთანა ვატანჯული კაცისთ-  
ვის ცუდი არ უნდა იყოს საუკუნო მოს-  
ვენება. აბა, ძილში რასა ვგრძნობ? არ-  
აფერს! გინდ ყოფილხარ, გინდ არა.  
მაგრამ ერთი რამ მაინც ძნელია, — სუ-  
ლის ამოსვლა. ალბათ ყველა ჩემსავით  
გამწვარებულს ეს წუთი აშინებს, თორემ  
სიკვდილი—დალოცვილი—მოსვენება“.

ღრმად ჩაისუნთქა. დილის ჰაერი ეამა,  
მერე, გარეთ რომ გამოვიდა და გაზაფ-  
ხულის მზის სითბო იგრძნო, თავისი წე-  
ლანდელი ფიქრი დაჰკვმო, ცას გახედა  
და თქვა: „ღმერთო, შენ მაპატიე! სი-  
ცოცხლე მაინც ტკბილია. შენ არას გემ-  
დური, არც მზესა და ჰაერს ვემდური.  
დაილოცა ჩემი მიწის მადლი!.. ისევ კაც-  
ნი, კაცნი არიან ბოროტის მთესველნი,  
კაცნი არიან კუბოს მომგონნიცა და დამ-  
ხატველნიც!“

კიდევ კარგი, შამშუ აღრე მოდის კან-  
ტორაში. მოდის ფაციფუტით, ხმაურით,  
მუქარით, გინებით, ჯიჯღინით. პატიო-  
სანი და კეთილი სიტყვაც ბლომად ენ-  
არჯებოდა. და ბერბიჭა ამ კაცის ახლო  
ყოფნით გულს იკეთებდა.

ღამეება და ისევ ბრუნდება სულისა  
და ხორცის ურთიერთგანსწორების შიში  
და ძრწოლა.

ღამით სოფლის სიჩუმე მაინც რა  
მძიმე და ღრმავა! რაღაც გაიფაჩუნებს  
და ამ ღროს ეს ფაჩუნი უფრო სა-

შაშია, ვიდრე დღისით-მზისით თოფის  
დაქუხება.

ურდულები ერთხელ კიდევ გასინჯა,  
ლოგინისაკენ წაცუქცუქდა და საბანში  
შეძვრა. ბალღობიდან მოკუნტულს უყ-  
ვარდა წოლა. ისედაც პატარა კაცი, სა-  
ბანში ერთი მუჭა ხდებოდა.

მამლები პირველად ყიოდნენ, როცა  
კარზე ვილაცამ დააკაუნა. შიშმა ხანდა-  
ხან მოჩვენებებიც იცის. ბერბიჭამ გუ-  
ლისხეთქებით მიაყურადა. მაგრამ კაკუ-  
ნი უფრო მკვეთრად გამეორდა. ლამის  
გათავდა კაცი. ძლივს წამოიკნავლა, რო-  
მელი ხარო. კარს იქით კაცმა ხმადაბლა  
თქვა თავისი სახელი, მაგრამ ბერბიჭამ,  
ყურთასმენა რომ აკლდა, ახლა კარგად  
იცნო სოსაკო სონღულაშვილის ხმა.

ბერბიჭა ლოგინიდან აკანკალბული  
გადმოძვრა, ბნელში ხელების ფათუ-  
რით მიაგნო კარს. პირველი ურდული  
გასწია. გულმა უმტყუნა და კართან ჩა-  
იკეცა. გული ლამის ამოუვარდა. მთე-  
ლი სხეულით ცახცახებდა და შიშა ვე-  
რაფრით ვერ განდევნა. შიშმა დაჯაბნა  
და დაავდო. როცა სონღულაშვილმა  
კარს იქით გულმოსვლით ჩაიღრინა, მო-  
კვდი თუ რა დაეგმართათ, ბერბიჭამ  
აცახცახებულნი ხელი მეორე ურდულის  
გასაღებად წაიღო, ჩაეჭადა, თავს ძალა  
დაატანა და წამოიწია. მეორე ურდუ-  
ლიც გასწია და კარი ჰრიალით გაიღო.  
სონღულაშვილი დაფეთებული შემო-  
ვარდა. ბერბიჭა ისევ ზღურბლთან იჯდა  
და დამეულ სტუმარს ფეხებში გაებ-  
ლანდა. სონღულაშვილმა ძლივს შეიკავა  
თავი, პირქვე, რომ არ დაეარდნილიყო.  
ყიამყარალად შეივინა ახლა კი საკმაოდ  
გულმოსულმა.

ოთახში ბნელოდა, ბერბიჭა ვერაფერს  
ხედავდა, ესმოდა სტუმრის ხმა და მისი  
ხვნეშა. მოსულს ზინტლისა და ოფლის  
მყრალი სუნნი ასდიოდა.

— სადა ხარ, სად მიიქარე-მოიქარე?  
— ჩაიღრინა სონღულაშვილმა.

— აქა ვარ!—დაიკნავლა ბერბიჭამ და  
წელი ძლივს აითრია.

ქობში ისეთი სიბნელე იყო, ერთმა-  
ნეთს ვერ ხედავდნენ.





— რა მოგივიდა? რამ შეგაშინა? სამტროდ კი არ მოვსულვარ! შენ რას გერჩით!—გაისმა სოსიკოს ხმა.

— არა, მე რა... მე...—ძლივს წამოიკრიფა სიტყვები ბერბიჭამ და სტუმრის სიტყვებით გამხნვევებულმა სცადა გულის შეოკება. მაგრამ არც ისე იოლია ერთხელ შემკრთალი გულის დაშოშმინება.

— სანთელი ავანთო?—იკითხა ბერბიჭამ.

— არ გაბედო! ხელი მომე, ესტატეს წერილი უნდა გადმოგცე. შემოგიტვალა, გულდასმით წაიკითხოსო. რევიკომში ერთი სიტყვაც არ დაგცდეს, თორემ...

ბერბიჭას ისე უჩვენებოდა, თითქოს ღამის სიბნელე ამყარალებულიყო, გაოფლილიყო და ის ემუქრებოდა სონდულაშვილას ხმით. თვალებს აცეცებდა და კაცს ვერ ლანდავდა. ხელი უნებურად გაუწოდა და სიტყვითაც ანიშნა. სონდულაშვილმა ძლივს მოძებნა მისი დამკვიდრებელი მტევანი და ორივე ხელით დაუჭირა, ქალაღი ჩაუღო და მოამუჭინა.

— მანდ ორი წერილია. მეორე აუნკერ ალექსი გიუნაშვილს მიაწვდინე.

— მერე ის სადღა ვნახო?

— აქ არი, სოფელში. ორი დღეა ჩამოსულა.

ბერბიჭამ არც კი იცოდა, ან კი საიდან გაიგებდა ალექსის ჩამოსვლას, როცა დღისით კანტორიდან გარეთ არ გამოდის და ღამით კი ლოგინში კრთის და ცახცახებს.

— წავედი!

სონდულაშვილი კიდევ რაღაცას წამოედო, კარს მაინც მიაგნო, გაძვრა და გაიპარა.

ეს კაცი დაენახა მაინც ბერბიჭას! მაგრამ იქნებ სჯობდა კიდევ, რომ არ დაინახა. იქნებ მოჩვენება იყო და გაჰქრა? როცა კარი გადაპკეტა და ლოგინში შეძვრა, სონდულაშვილის დანატოვარი ბარათები ისევ მუჭაში ჰქონდა. ასე ეგონა ხელს ვერც გახსნიდა, თავის გამხმარ თითებს ვერ შეუშვებდა.

ბერბიჭამ ფერდის ტკივილი იგრძნო.

წლან, კარში შემოსვლისას, ფეხი წამოჰკრა სონდულაშვილმა. სანამ ის კაცი აქ ტრიალებდა, ყურადღება არ მიუქცევია, ტკივილი არ უგრძობნია. ახლა კი ტკივილმა თავი წამოჰყო.

რასა სწერს ესტატე? ადგეს და სანთლის შუქზე წაიკითხოს? იქნებ გათენებას დაუცადოს. მაგრამ გათენებამდე ჯერ სად არის! რაღა მაინცდამაინც ბერბიჭას მიაგნეს? რაღა მას სწერენ? ორივე წერილში კუბო რომ იყოს დახატული? ბერბიჭას გასცა და იგრძნო, თითები როგორ მოეშვა და მოუღუნდა. ქალაღები ლოგინში დაუცვივდა. უმალ ისევ ჩამუჭა. კუბო?! კუბო რად უნდა ეხატოს?! ან ბერბიჭამ რა დაუშავა ესტატეს, ან იუნკერ ალექსი გიუნაშვილს რა საქმე ჩაუდენია ისეთი, რომ დაემუქრონ?

ადგეს, აანთოს სანთელი? მერედა, ბერბიჭას ქოხის განათებული სარკმელი ვინმემ რომ შენიშნოს? იქნებ რა სიქვან! ვინ იცის, ვის მიიტყუებს შუქი. ჭინკა და ქაჯი განა დაიღვეა ქვეყანაზე!

ბერბიჭა ერთხანს კიდევ ელოდა კაკუნს. იქნებ მობრუნდეს სონდულაშვილი, იქნებ რაიმეს თქმა დააფიწყოს? მაგრამ დამეული სტუმარი აღარ დაბრუნებულა, მისი ზინტილიანი სუნი კი ისევ ტრიალებდა ქოხში.

ძილი არ გაჰკარებია. ასეთი მძიმე და გრძელი ღამე თავის სიცოცხლეში არ ახსოვდა. საუკუნესავით გაგრძელდა, ჭირვით გახდა, ნაღველივით გამწარდა. თავს მაჯლაჯუნასავით ადგა ბერბიჭას, ახრჩობდა, ჰგუღავდა, მაგრამ ვერც მოახრჩო, ვერც გაგუღა. ბერიკაცი ისე მოიღალა, როგორც ოდესმე სირბილით თუ დაღლილა.

ფანჯრებს დილის სხივი მოეფინა. ბერბიჭა ისევ უძლურად ეგდო ლოგინზე. სანამ კარგად არ ინათლა, წერილებში ვერაფერი გაარჩია. ერთში და მეორეშიც ჯერ დახატულ კუბოს ეძებდა, მაგრამ, საბედნიეროდ, წერილის დამწერს არც უფიქრია კუბოს მიხატვა.

**თინათინ ზომბოლაძე**

აბი აბიონი



### პირველი წერილი:

„ბერბიჭა, ჩვენი კეთილი კაცო და იმედო! ეს მეორე წერილი ალექსი გიუნაშვილს მიეცი. შენთან ერთად წაითხოხოს და მანძინვე დაწვას. შენი წერილიც დაწვი, რომ ბოლშევიკების ლუკმა არ გახდეს. ახლა მეორე დავალება: სოფელში ყურს მოჰკრავდი, ბოლშევიკებს ზოგ-ზოგნი უკვე ეღრინებინა. აქეთ გადმოიყვანა ისინი, ჩვენსკენ. ჩვენ დიდ ლაშქარს ვამზადებთ და ბოლშევიკების დღეებს ვითვლით. კავშირი იქონიე ოს იაგორასთან, ცხვერში. ამ საიდუმლოს გამჟღავნებას რა მოჰყვება, ბალდი არა ხარ, რომ ვერ მიხვდეს. მაგრამ ჩვენში მუქარა არ იყოს! გაიგე?“

ესტატე“.

### მეორე წერილი:

„პატივცემულო ალექსი! მამის კალთას რომ თავი შეაფარე, ამისი დრო არ არის. შენ ვაჟ-კაცი ხარ და კოჭორთან დახოცილი შენი ამხანაგების სისხლი უნდა აიღო. დადგა ეპი ვანკითხვისა! სასწრაფოდ დაუკავშირდი ოს იაგორას ცხვერში. ჩვენს ლაშქარს ოფიცრებიც ჰყავს. დიდი შეტევა მზადდება. ეს წერილი წაკითხვისთანავე დაწვი.“

ხელს ვართმევ ესტატე ბებურიშვილი.“

ხედავ! ალექსი გიუნაშვილს ხელს არ-თმევს, პატივისცემით იხსენიებს. ბერბიჭას, თუმცა კეთილ კაცს უწოდებს და ჩვენი იმედი ხარო, მაინც ემუქრება, საიდუმლოს გამჟღავნებას რა მოჰყვება, ბალდი არა ხარ, ვერ გაიგვო. მერე, ვითომ არ ეწყინოსო, დასამშვიდებელი სიტყვებიც მიუმატებია. ეს რა, მუქარა არ არის? კიდევ დავიდარაბა, კიდევ ორომტრიალი! ახლა ისინი დასძლევენ და ბოლშევიკებს გასწყვეტავენ. მოერევიან კი? ბოლშევიკებით მაღლიერი გლეხობა რას დასთმობს! დასთმობს კი არა, ახლა საკუთარი მამულის დასაცავად თავსაც არ დაზოგავენ. ისე არ არის საქმე, როგორც ესტატეს ჰგონია. ეგ ტყიდან ნადირივით უნდა გამოუხტეს ცხვრის ფარას. მწყემსებს კი არ უყურებს. „იმათ კუბოც არ ეღირსებათ, ძაღლებივით ჩავკლავთ სადმე!“ ქოსას გაახსენდა შამშეს ნათქვამი და ჟრუანტელმა დაუარა. რა ჰქნას, რა იღონოს? ეს საიდუმლო დავალება გასცეს? მერე

მას ვინ დააცავს, ქოხთან დარაჯად დაუდგება? შამშე მოვა და ღამეს მის კართან გაათეს?! შამშეს ფეხებზე ჰკიდია ბერბიჭა. ისე მოჰკლავენ, თავისივე ქოხში ისე გამოსწავავენ, მეზობლებიც ვერ გაიგებენ. დილით სოფლები ნაცარტუტასთან შეიყრიან თავს, ერთს სანანულით იტყვიან რადაცა, ცრემლსაც არავენ გადმოაგდებს. წავლენ, დაიშლებიან. მერე ამოვარდება ქარი, ნაცარს გაჰფანტავს და... იყო და არა იყო რაო!

თავისი წერილი დასწვა. იატაკზე დაცვენილ ფერფლს ერთ ხანს მღუმარედ დაჰყურებდა, ჩაიჩოქა, ფერფლს შეუბერა და გაჰფანტა.

— აა, ასე დაიშლები და გაჰქრები, ბერბიჭა!—უთხრა თავის თავს. მერე დაფაცურდა, მეორე წერილი უბეში შეინახა და გარეთ გავიდა. ცას გახედა: ცა მოკრიალებული და სუფთა იყო.

„ნეტავ ასეთი სუფთა გული ჰქონდეს კაცსაც!“—ინატრა ბერბიჭამ.

კანტორაში მივიდა. შამშე არ ჩანდა. რევეომის თავმჯდომარე კადევ დიდხანს არ მოსულა და ამ ხნის განმავლობაში ბერბიჭა ფიქრს ებრძოდა. ერთი რამ ცხადია: წერილი უნდა გადასცეს ალექსი გიუნაშვილს, ამას წინ არაფერი დაუდგება. მაგრამ ოსი იაგორა როგორღა ნახოს დაერომიღმა? ცხვერში რა აიყვანს! ბოლშევიკების მიერ განაწყობულნი ჩვენსკენ გადმოიყვანეთ. ვისი და რისი გადაწყვანია ბერბიჭა! კარგი ხომ არ იქნება შამშეს გაუმჟღავნოს სოსიკოს წუხანდელი მოსვლა და წერილების შინაარსი? მაგრამ ვაითუ ღურგლიშვილი უწინ სწვდეს ყელში, შარიც მოსდოს, იქნებ დიდი ხანია კავშირი გაქვს მათთანო. შამშეც არ არის მთლად სუფთა გულის კაცი. რა ჰქნას ბერბიჭამ, რა წყალში ჩავარდეს?! ალექსისადმი გადასაცემი წერილი აწუხებს, სჩხვლეტს, გულს უწვრილებს. დღესვე უნდა მოიშოროს. მერე იმ ნაიუნკრალმა როგორც უნდა, ისე მიხედოს თავის საქმეს.

კანტორაში გლეხკაცი შემოვიდა, შამშე იკითხა. მერე მეორე მოვიდა და ბერ-



ბიჭის განცხადების დაწერა სთხოვა, მაგრამ ბერბიჭამ უარი უთხრა, ხელი მტკივით. ცოტა ხნის მერე ორიოდ კაცი უსაქმოდ შემოეხეტა. დასხდნენ, გააბოლეს. ბერბიჭამ გული ცოტა გადააყოლა მათ უსაგნო ლაპარაკს. როცა ისინი წავიდნენ, შამშეც მოვიდა.

— ეს მამაძაღლის ოხერტალი!.. ბერბიჭ, მე ვინა ვარ?!— შამშეს ხელში გახსნილი კონვერტი ეჭირა, ქოსას ანთებული თვალებით მისჩერებოდა.

— რევეკომის თავმჯდომარე ხარ, სოფლის თავკაცი, — ხრინწიანა ხმით მიუგო ბერბიჭამ.

— მერე, ეს რა არი? წაიკითხე! — კონვერტი მდივანს მიუგდო და მაგიდას მიუჯდა, უჯრები ამოაქოთა. ასე იცოდა გაბრაზებისას. ქალაღებს ამოპყრდა, ერთიმ რაღაცას ეძებდა, მერე ხელს მოუსვამდა და ერთიანად ისევ უჯრაში ჩაპყრიდა, უჯრას მიაჯახუნებდა და გინებას მიაყოლებდა.

— კიდევ კუბოა დახატული? — იკითხა ქოსამ, სანამ კონვერტიდან წერილს ამოიღებდა.

— არაფრას გაკეთებას არ მაცდიან, გენაცვალებ!

— ისეთი რა მოხდა?

ბერბიჭამ წერილი ამოიღო და წაიკითხა. სამაზრო რევეკომის განკარგულება იყო, თავად ქართველიშვილის სასახლე დაუყოვნებლივ სკოლისათვის გადაეცათ.

ბერბიჭამ გაკვირვებით შეხედა, უნდა ეთქვა მერე აქ რა არის ცუდიო, მაგრამ გაახსენდა შამშეს ამასწინანდელი დავა ოქრუაშვილთან და ბარნასთან.

— რას იტყვი? — ჰკითხა შამშემ.

— არა მესმის რა, შენი ჭირიმე!

— აი, საქმე მაგაშია. ბარნას ოინებია. ან ას, ბესო ოქრუაშვილი მიჩივლებდა რევეკომში. არ უნდა დანგრეულიყო ის სახლი? უნდა დანგრეულიყო! ახალს ვერ ავაშენებთ? ავაშენებთ! აბა, რა სკოლა უნდა გაიმართოს იმ სახლში? იქ ბავშვები როგორ უნდა დავსხათ! კედლებიც კი იმ ავი ზნით არის გაქდენთალი, რაც თავად-აზნაურობას სჭირდა.

ბავშვები გავეფიქლებიან! ძველი ყველაფერი უნდა დაინგრეს! მუდამ ამ აზრზე ვიყავი და დღესაც დავამტკაცებ, რომ მართალი ვარ.

„რამ გამოასულელა ეს კაცი? სოფლის ბედი ამ კაცს როგორ ანდეს? — ახლა კი გული მოუვიდა ბერბიჭს, — ბარნა ბევრად სჯობს, ჭკვიანი და დამჯდარია, შამშე კი ცუნდრუკა და ქარახვეტია, ფაფხურა და გულაფშუტა, მიდი, შამშე, ანგრიე და დალუწე ძველი! სახლმა რა დაგიშვა, დალოცვილო!“

— ბერბიჭ, წადი და ორივენი აქ მომიყვანე, ბარნაც და ბესოც!

„კიდევ პატარა ბიჭი ვარ. ყველას პატარა ბიჭი ვარ. ესტატე ოს აჯორასთან მგზავნის, შამშე — ბარნასთან და ბესოსთან.“

წამოდგა და წავიდა. ჯერ ბარნასთან უნდა მისულიყო, რუსპირას, ბოგირის ყურეში. კანტორიდან ხევისპირას იარა. აქეთ მოკლე გზა იყო. როცა შარაზე გამოვიდა, ორღობეში თვალის შეაფრო ქალ-ვაჟს. შარტონი აყვინენ და ღობე-ღობე მოდიოდნენ. ბერბიჭს დანახვაზე ქალიშვილი შეკრთა და მაშინვე შებრუნდა. ბერბიჭამ იცნო ბარნას უფროსი ქალიშვილი, ნატო. ვაჟი კი ნაიუნკრალი ალექსი გიუნაშვალის იყო. ალექსი არ მოერიდა რევეკომის მდივანს?

— გამარჯობა, ბერბიჭ! — ტოლ-სწორივით მიესალმა.

— იცოცხლე, ალექსი!

ასეთ ხელსაყრელ წუთს ვერც იპოვნიდა ბერბიჭა. ალექსი დაბარებულებით გამოეცხადა, მაგრამ წერილი როგორ გადასცეს ბარნას ქალიშვილის თანდასწრებით? არადა, ასე პირისპირ სად და როდის შეეყრება.

— ალექსი! — შეჩერდა ბერბიჭა და გამოლაპარაკება სცადა.

— რა იყო, ბერბიჭ?

— დემრთმა შემახვედრა შენი თავი. თუ არ დაგეზარება, ერთ ორ ნაბიჯზე გამომიყ.

**თენგივ ზოგოლაძე**

აკაკი აკაციოთა





— მაგაზე როგორ დაგზარდები! რა იყო, რა საქმე გაქვს?—მერე ქალიშვილს მიუბრუნდა,—ნახვამდის, ნატო. სხვა დროს განახავ.

ნატომ თვალეები სასოებით შეანათა. მკვირცხლად გაენტო ორღობეში და უმაღალ მიიმალა. ალექსიმ თვალი ვერ მოაშორა, სანამ ქალიშვილი არ გაუჩინარდა, მერე ბერბიჭას მიუბრუნდა.

„დასთმობს? სისხლის დასადგერელად წავა?“—გაიფიქრა ბერბიჭამ.

ალექსის ბედნაერება თვალეებში ეწერა. თვალეებში ასეთი ცეცხლის დანთება მხოლოდ დიდმა სიყვარულმა იცის.

ბერბიჭამ წერილი უსიტყვოდ გადასცა. ალექსიმ მღუმარედ წაიკითხა, მერე წარბები შეკრა, ქაღალდი დახია და გადაყარა.

— დაწვასო, — ჩუმად მოაგონა ბერბიჭამ.

ალექსას თითქოს არც კი გაუგონია, მერე უცებ მხრებში მისწვდა მოხუცს, შეანჯღრია და შესძახა:

—სისხლის ღვრა კმარა! რამ გამოგაჩერჩეტა, რეგვენო?!

მერე შეტრიალდა და იმ გზით გაიქცა, სადაც წელან მისმა სატრფომ ჩაიქროლა. ცოტა ხნის შემდეგ ხევისპირას გახეჭულად ბერბიჭას ალექსის ხმა მოესმა.

— ნატო! ნატო!

ისე უხმობდა, თითქოს შორს, ძალზე შორს წასულიყოს მასი სატრფომ. მისდევს, ვერ ეწევა. ისინი ერთმანეთს უფრო შორდებიან...

— ნატო! ნატო!

და სადღაც ვენახებში მიიკარგა ალექსის ხმა.

ბერბიჭა კი ერთ ხანს გაოგნებული და თავრეტდასხმული იღდა.

●  
— მაჯობეთ?

გაბრაზებულმა შამშემ ეს ერთი სიტყვა საკმაოდ რბილად დაახვედრა ბარნას, როცა ის ქოსა მდივანთან ერთად კანტორაში შევიდა.

— გამარჯობის თქმას აღარ მაცლი?! —უსაყვედურა ბარნამ. მან უკვე იცო-

და, რაშიც იყო საქმე, მაგრამ თავი დაიკირა, თითქოს ბერბიჭას არაფერი ეთქვას გზაში. ბერბიჭამ კი დაწვრილებით ჩაუკაკლა, რაც მაზრის რევეკომიდან მოეწერათ.

დურგალმა და ხურომ ხელა ჩამოართვეს ერთმანეთს და დასხდნენ.

ბერბიჭა შამშესაგან ისევ საყვედურებს ელოდა, ისევ გაცხარებას, მაგრამ, როგორც ჩანს, მარტოდ დარჩენილს რაღაც სხვა რამ მოეფიქრებინა.

—მაჯობეთ, თქმა არ უნდა! მაჯობეთ, მე მაინც ჩემს აზრზე ვდგევარ! სასახლეს გაძღვეთ, გახსენით სკოლა... მაგრამ, იცოდე, ბარნა, ეგ ძველის მოსაგონარი მაინც ჩემი ხელით დაინგრევა! შემომხედე და თვალი თვალში გამისწორე. მაგ კედლებში აღზრდილი ბალღი რა უნდა იყოს? გაკვეთილებზე ფუფუნებაში იჯდება, შინ მივა და თხასთან და ძროხასთან ერთად ფუნაში უნდა გამოიძინოს.

— მაშ შენი აზრით...— ბარნას უნდოდა შეკამათებოდა, მაგრამ უმაღალ დაიფიქრა და მოკლედ მოუტყრა,—ამაზე მერე ვილაპარაკოთ. ახლა ოქრუაშვილს ვეტყვი იქ გადაბარდეს.

— მასწავლებლების წაყვანა არ დაგავიწყდეთ!—დამცინავად უთხრა შამშემ. ბარნამ ამაზე არაფერი უპასუხა.

— სხვა დროს მაინც შემითანხმე ხოლმე, როცა მაზრას მისწერ... —თითქოს სხვათაშორის გადაულაპარაკა შამშემ.

— ამას რაზე მეუბნები? წერილი მართლა გავამზადეთ მე და ოქრუაშვილმა, მაგრამ უშენოდ მაინც არ გავაგზავნილი.

— მაშ ვინ მიიტანა მაზრაში ეს ამბავი?

— ბიჭები რომ გავგზავნეთ ჯარში, ისინი იტყოდნენ.

— იმათ საიდან იცოდნენ?

— გოლამ ხომ იცოდა?

— ის სულ მიბღვერდა. ამბის მიმტანიც ის იქნებოდა ნამდვილად!

— როგორ გგონია, სასახლე რომ და-

გენგრა, ამას გაპატებდნენ? ან როგორ შეგიჯდა ეს თქიერი თავში, კაცო?!

— შემჯდარია და მაგრადაც ზის. ნახეთ თქვენც სასკოლო შენობა, რაღა! დურგალი კაცი ხარ და მაგდენი არ იცი, რომ ეგ შენობა სკოლისათვის არ გამოდგება?! ეგ სახლი ფუქსავატების, მუქთახორების ბუდე იყო.

— სანამ ახალს ავაშენებთ, უნდა გამოვიყენოთ. ვითომ რატომ არ გამოდგება, რა!

— მე მინც გული მეთანადრება. იქ გაზრდილი ბაღლი რა უნდა იყოს!.. იქით გავლა მეზარება, ასე მგონია, ძველი ცხოვრება ისევ თავისი უკანონობით ვადმომყურებს და დამცინის-მეთქი. ქართველიშვილებისაგან ბევრი ცუდი დღე მაგონდება, ჩემი ბაღლობის სიმწარე იმ კარ-მიდამოში დამგუბებია.

— კაცმა გაგამწარა, ქვამ ხომ არა?

— ბუღიანად! ბუღიანად! — დაიძახა შამშემ და იატაკზე ისე მაგრად მოუსვა ტერფი, წარმოდგენით ისე მაგრად მოსრისა რაღაც, ყუცრებმა დაიჭრიალეს.



შამშემ ერთხელ ბერბიჭსათან დაიტრაბახა, რევოლუციის ფხიზელი დარაჯი ვარო, მიწაში ჭია-ლუა, ცაში ფრინველი რას აკეთებს, არაფერი გამოიმეზარებაო.

ქოსა თვალბში შაშით შეჭყურებდა. გადიოდა დღეები, შამშემ არაფერს ამბობდა იმდამინდელ ამბავზე, როცა სონლულაშვილმა საიდუმლო დავალება გადასცა ბერბიჭს. აშკარა იყო, „რევოლუციის ფხიზელმა დარაჯმა“ არაფერი იცოდა, თორემ ბერბიჭს აქამდე გაბაწრავდა და გორის გზას გაუყენებდა.

მე რა შუაში ვარო, დასცეცხლავდა ბერიკაცს. რატომ არა სთქვიო, უყაყინებდა იღუმალი ხმა, არ ასვენებდა. რატომ არ შეასრულე დავალება?—ახლა მეორე, უფრო ძლიერი, ტყუილი ხმა ჩასძახებდა. ეს უფრო საშიში და შემაზარენი იყო.

— აბა, ერთი გიგოს ალექსი ჩამომიყ-

ვანე!—უთხრა ერთ დღეს შამშემ ბერბიჭს.

ბერიკაცმა ფეხი ძლავს აითრიო. გარიყულაზე ასვლა ასე არასდროს არ გასჭირვებია.

ალექსის გიგოც ჩამოჰყვა. ბერბიჭა გზაში საკმაო მანძილით ჩამორჩენოდა მით და ჯერ არ ჩანდა.

შამშემ მაგიდასთან იდგა. მამა-შვილის შემოსვლისთანავე ქამარში უკან გადააკრიფა ხალათის ნაოჭები და მალეზერის ბუდე მარჯვენა თეძოსთან შეისწორა.

მოსულთ სალაში თქვეს. შამშემც მიესალმა.

— მე მარტო ალექსი დავიბარე, გიგო, —მიმართა რეკომის თავმჯდომარემ.

— შენი შვილი რომ ვინმეს დაებარებინა, არ წაჰყვებოდი? — ცივად მოუპირა გიგომ და მაგიდას მიუახლოვდა.

— ბაღლებს დაჰყვებოდი. ეს ხომ ვაყკაცი კაცია!—თქვა შამშემ და ალექსის შეხედა.

— მაინტერესებს, რა საქმეზე დიბარე,—არ მოეშვა გიგო,—შეცდა იუნკრად რომ იყო... ცუდი ხომ არაფერი გაუკეთებია!

— მამაჩემო, იქნებ რა საქმეზე მიბარებს?! იუნკრობა რა შუაშია!—უსაყვედურა შვილმა და შამშეს შეხედა.

— აი, სწორედ მაგ საქმეზე გიბარებ. დასხედათ!

მამა და შვილი სკამებზე ჩამოსხდნენ და შამშემც ჩამოჯდა.

— გიგო, შენ კარგად იცი, მე ვინც დამაყენა აქ თავკაცად,—დაიწყო რეკომის თავმჯდომარემ, — ისიც კარგად იცი, ვისი ხელისუფლებაც დამყარდა. მე რევოლუციის ფხიზელა ჯარისკაცი არ დამერქმევა, თუკი რევოლუციის მტრებს... ერთი სიტყვით, იცი რა ვითხრა, შენი ალექსი სოფლიდან უნდა წაივოდეს.

— რად ავდებ, რისთვის, რატომ?— გაუფითრდა გიგო.—საქართველოს რეკომის დეკრეტი შენთვის კანონი არ არის? მით უმეტეს, ჩემი შვილი ბოლშე-

**თენგივ გოგოლაძე**  
აკვირ კავითა

ვიკების მტერი არასოდეს არ იყო და არც იქნება!

— იუნკარად იყო,—მოკლედ და ცივად თქვა შამშემი. ეტყობოდა მისთვის პირველი გაგონება იყო დეკრეტი პოლიტიკურ დამანაშავეთა ამნისტიაზე.

— მარტო ეს არის ჩემი დანაშაული? — ვერ მოითმინა ალექსიმ და სიფიცხე შეენთო, — თუ დამიბარე, რატომ მე არ მელაპარაკები?

— შენ რომ ციება არ შეგყროდა, იმ შენს მეგობრებთან იქნებოდი და ბოლშევიკებს ტყვიას დაუშენდი. ეჭვი არ არის, რომ ამას გააკეთებდი. და განა ეს არ კმარა, რომ შენ რევოლუციის მტრად ჩავთვალო? — შამშემს წვერილი, ჩაწითლებული თვალები სუსხავდნენ ალექსის. ყმაწვილკაცმა ველარ მოითმინა, ველარ გაუძლო ამ თვალებას ცქერას. გიგოს ქვედა ყბა უთოთოდა, რაღაც უნდოდა ეთქვა, შვარამ ეტყობოდა, აზრი ეფანტებოდა.

— მართალია იუნკერი ვიყავი, მაგრამ არასოდეს ვინმეს დახოცვა და მტრობა გულში არ გამივილია. მე ჯარში სულ სხვა რამ მომწონდა, მაგრამ ეს მოწონებაც ქარაფშუტული მეჩვენება ახლა. სოფელში შემოდგომამდე უნდა დავრჩე, მერე გიმნაზიაში აღვიდგენ თავს, — ალექსი ღელავდა. უნდოდა მაგრად დახვედროდა შამშემს, მაგრამ თავისი ხმის კილო არ მოეწონა. გამოდის, რომ ეხვეწება, ემუდარება. შესახვეწნი კი რა აქვს!

— ჩვენს სოფელში ნუ გაჩერდები და სხვაგან გინდ გიმნაზიაში აღიდგინე თავი, რაც გინდა ის გიქნია, ეს ჩემი საქმე არ არის.

— რევოლუციის ფხიზელო ჯარისკაციო! — მკვლელს სიმტიციე მოეკიდა და წამოდა, — მაგას როგორ ამბობ? თუკი ჩემი შვილი რესპუბლიკის მტერია, რაღას ელოდები, დააბატირე! საზღვარგარეთ ეს არ წავა და ჩვენში კი ყველგან საბჭოთა ხელისუფლებაა.

— სხვაგან სხვა მოუვლის. მე შენ ხათრს ვინახავ, გიგო. არც დავიჭერ და არც არა ზიანს მივაყენებ. სოფელში კი

არ გავაჩერებ. თუკი ერთ კვირაზე შეტე დაპყოფს აქა, მაშინ ნუ გეწყინება.

— მაზრის რეკომმა რომ დართოს ნება?

— მაშინ ჰო. მაშინ მე რა... — მაშინვე დაუთმო შამშემ, — მეც დაზღვეული ვიქნები და თქვენც მშვიდობიანათა.

— „რევოლუციის ფხიზელი ჯარისკაციო!“ — გულში მწარედ გაიმეორა ალექსიმ. იგი ხმას არ იღებდა, უსიტყვოდ უცქეროდა რეკომის თავმჯდომარეს. წელან თუ თვითონ გაექცა მის თვალგბს, ახლა შამშემ ველარ გაუძლო ვაჟკაცის ჩაცეებულ მზერას, ფანჯრისკენ გაიხედა და თქვა:

— არა ხარ კარგი კაცი, ალექსი. იუნკარად რამ შეგიყვანა?

— ეს ჩემი პირადი საქმეა. წამოდი, მამაჩემო, ასეთ რევოლუციონერებთან ლაპარაკიც არ მინდა! — ალექსი შეტრი- ალდა და კარისკენ წავიდა. ბერბიჭა კიბეზე შეეფეთა.

— წერილზე ხომ არაფერი გითხრა? — ჰკითხა ჭოსამ ენის ბორძიკით.

— წადი, დაიკარგე შენცა და შენა წერილიც!

ალექსი კიბის პირველ საფეხურზე შეჩერდა. გიგო არ ჩანდა. „ალბათ ეხვეწება იმ რეგვენს!“ — გული მოუვიდა ჰაბუქს, მალა გახედა ფანჯარას და შესძახა:

— მამა! მამა!

კარი გაიღო და გიგო გამოვიდა.

— წამოდი, რაღას უყურებ?! — შეუტია მამას. ეს პირველად იყო მათ მამა-შვილურ ურთიერთობაში. გაგოს ჯერ არ ახსოვდა ალექსის ხმამალალი სიტყვა. გიგო წამით შედგა. მერე გაოგნებულ- ლი მიუახლოვდა კიბეს და ნელა ჩავიდა.

შვილს ერთ ხანს არაფერს ეუბნებოდა. როცა გარიყულის ბოგირთან მივიდნენ, მაშინ ურჩაა:

— წადი გორში, ჩამოიტანე ის ქალალი.

ბარნა ბოველის სახლთან ახლო იყვნენ. ეზოში ბარნას ცოლმა, დარომ გაიარა. მოხდენილი და ლამაზი ქალი იყო. ალექსის როგორ არ უნდოდა ახლა



სოფლიდან წასვლა! ერთი სულა ჰქონდა, როდის დადგებოდა საღამო, რომ ნატოს მალულად საღმე შეხვედროდა. სოფლიდან დაიკარგეო?! საღ წავიდეს, ვისთან? ისევ ფიქრისგორას შეეკედლოს? რა ვაყეთოს, ვის უქცობს? მერედა, როგორ შეაოკოს ტრფობის მოზღვავებული გრძნობა? როგორ დაიცხროს სისხლის გამალებული ჩქეფა? ჯერ იყო და თავზარი დასცა ბერბიჭას მიერ გადაცემულმა წერილმა. ასე ეგონა ყველაფერს ძვირფასს და მშვენიერს უცებ ჰკარგავდა. რევოლუციის მტრებს მათი მომხრე ჰგონიათ. თურმე ასეთივე აზრი უტრიალებს სოფლის თავაცასაც. მაგრამ რას ეტყვიან გორში?

მამა-შვილი აღმართს შეუყვია. აღმართი გრძელი და მაღალი ეჩვენათ.

— ძვირად დაგიჯდება შამშეს გადაკიდება,—ურჩია გიგომ შვილს,—მოემზადე და წადი გორში, ჩამოუტანე ის ქალაღი.

— მერედა, მომცემენ კი? რა ქალაღი უნდა? ამნისტიაც რომ არ იყოს, ისედაც ვის რა დავეუშავე? ქალაღს კი არა, ერთ ტყვიას კი არ დავიშურებდი მაგნაირი კაცისათვის! მაგას ბოლშევიკის რა აცხია! მშისშარა!

ღღეები გადიოდა. ბერბიჭას ოს იავორასთან არც არავინ გაუგზავნია და არც თვითონ ასულა ცხავერში.

ცხავერამდე ათაოდე ვერსი იქნებოდა, თანაც სულ აღმართი. ერთაწმინდის იქით მაინც, სულ დამრეცი გზა-ბილიკები.

ოდესღაც ყოფილას ოსების საბუღარში. ჯეელობისას ქორწილში დაბატაქეს და ახალქალაქიდან სულ ცხენით ატარეს, იქიდანაც ცხენით დააბრუნეს შეზარხოშებული. მაგრამ ეს იყო წინათ.

ახლა რა აიყვანს! ანდა, რა უნდა ოს იავორასთან, რაში გამოადგება ვინმეს? კანტორაში ძლიფსლა იჯდა და რამეს რომ წერდა, ხელი უკანკალეზდა. უწინ თუ ლამაზი ხელწერა ჰქონდა, ასოები

გულდაგულ გამოჰყავდა, ახლა ყველაფერი ბატიფეხურით გამოსდიოდა. სიბერისა და შიშის ბრალი იყო — ორივესი ერთად. შიშის, ყოველ წამს თან რომ დასდევს, შიშის, ლოგინშიც რომ ჩაჰყვება ხოლმე. შიშს შავი, ბრიალა თვალები აქვს და არ ისვენებს.

უთხრას შამშეს, გამოუტყუდეს ყველაფერში? ვაითუ მეტი სიმწარე მიიღოს. არადა, შამშეც აშინებს, უნებურად აკრთობს ამ კაცის ყოველი შემოხედვა. არადა, ოდესმე ხომ...

ერთ ღამეს კიდევ დაუჰაკუნეს. ისევ სონღულაშვილი იყო. სიბნელეში ახლა კი კარგად მოძებნა ბერბიჭა, გარეთ ნათელი ღამე იყო და ქონშიც გაირჩეოდა ყველაფერი. მოხუცს ორივე მხარში დასწვდა და შეანჯღრია.

— მე რა, შენი ბატარა ბიჭი ვარ? რატომ არ ასრულებ ჩვენს დავალებას?

— ყველაფერი გავაყეთე, რაც შემეძლო.

— თუჯერს თუ გადაეცი წერილი?

— გადაეცი. ლამის სახეში მომაფურთხა. შამშე სოფელში არ აყენებს, ის კი გორში წავიდა საბუთის ჩამოსატანად. აქ შეყვარებული ჰყავს და ვერ ელევა,—ხმის თრთოღვით მოახსენა ქონსამ დამეულ სტუმარს.

სონღულაშვილმა ხელა შეუშვა ბერბიჭას. ბერიკაცი ჩვარივით დავარდა.

— მაშ ასე. არ დაბრუნებულა?

— არა,—წამოიკანავლა ბერბიჭამ.

— როცა ჩამოვა, გადაეცი, ესტატემ შემოგთავლა ნუ აყოფნებ, ვალღებუღი ხარ და სულ ერთია მაინც ავაღებინებთ იუნკრების სისხლსა-თქო! თუ ლაჩრობას გამოიჩენ, მაშინ ძმათა მოღალატემ ჩატგლათ-თქო!

— მოძმეებსაც ემუქრებით?

— ეგ რანაირი მოძმე იქნება, თუ ჩვენკენ არ ვაღმოვა. ლაჩრები დაისჯებიან.

— მე რაღას მერჩით, ამ სიცოცხლეგამწარებულ ბერიკაცს?

— შენ რას უნდა გერჩოდეთ. შენ არაფერს, ბერბიჭ, შენისთანა კაცს აქ მეო-

**თინათინ გოგოლაძე**  
კაცი კაცითა



რეს ვერ გამოვნახეთ. განა ყველას ენდობი? შენ კარგად იცი საიდუმლოს შენახვა. მაგრამ დავალება უნდა შეასრულო. ისეთ ხალხს ვაგროვებთ, ბოლშევიკებს დღეს გავუმწარებთ! მაშინ კა მეორედ დაიბადები.

ბერბიჭამ მწარედ ჩაიციხა და ხველა აუტყდა.

— კიდევ არ ჩამომიყვანო. ყოველ ჩამოსვლაზე თავი მაქვს გადადებული. რომ იცოდე, ფეხით საიდან სად მოვძვრები! მე თუ რამე მომივიდა, არ გავახარებენ. ახლა თუ მომკლეს, შენი მიზეზით იქნება, იმიტომ რომ დავალებას არ ასრულებ.

ბერბიჭა კიდევ ახველებდა, როცა დაშეშებული სტუმარმა კარის ზღურბლს გადააღწა და გაჭქრა.

და აი, ქოსა მდივანი ზის მარტოდ-მარტო კანტორაში და ფიქრობს იმ საბედისწერო ორ ღამეზე. ემუქრებიან კიდევ. ეს აშკარაა. თავზე ხელს უსვამენ, თავიანთ კაცად თვლიან და თან თოფს უმიზნებენ, აშინებენ, ანჯღრევენ, ძილს უფრთხობენ და თან რბილა ხმით ეუბნებიან, შენ არაფერს გერჩითო, მოგვიანებით მოსულ შამშეს უწინ თვალებში შეხედავს, აბა, თუ გაიგო რამე წუხანდელი ჩემი სტუმრიანობისაო. ათას რამეს ფიქრობდა. ბერბიჭას საგულდანი ამოვარდნილი გული ვერ დაეშოშმანებინა.

ფიქრში წასული უცებ შეაერთო კარის ხმაურმა. ონოფრიანთ ნიკა და სულუანთ იაკობა შემოვიდნენ.

— ამნაირ ცხოვრებასაც!— შეიგინა ონოფრიანთ ნიკამ და ქუდი იატაკზე დაანეთქა.

ბერბიჭამ გულგრილად შეხედა.

— შამშე სად არი?— აკითხა სულუანთ იაკობამ.

— არ მოსულა,— ხმადაბლა უპასუხა ქოსამ, — რა მოგივიდათ?

— ის მოგივიდა რომა, მაგ კაცს ათასჯერ ვუთხარი: მიწას წყალი თუ არ მივეცი, რა ოხრობა მოვა. შაბათს მე და იაკობას უნდა მოგვერწყა,— ცხარობდა ონოფრიანთ ნიკა,— იმ შაბათს აქეთ

მესამე შაბათი გადის, წყალს მანც არ გვანებებენ... სად არი, სადა?

— ის რას გიშველით, როცა ცხოვრება ეგრეა აწყობილი, რომა ერთნი უნდა იყვნენ ეგრე, მეორენი ისე,— ბერბიჭამ ხელისგულები ჯერ გადმოატრიალა, მერე გადაატრიალა.

— ყველაფერი ჩამახმა, გავერანდა... დანასისხლად ვიშოვნე თესლი და იმასაც ვერ ავიღებ,— თავისას გაიძახოდა ონოფრიანთ ნიკა. სულუანთ იაკობა კი თავის ქნევით უდასტურებდა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ონოფრიანთ ნიკას რამე რომ გამოჩენოდა სათქმელი, უმაღლ მიეშველებოდა.

— ეგრეა, ზოგნი ასე, ზოგნი ისე! ყოფილა და იქნება,— თავისას ბურტყუნებდა ბერბიჭა და ხელისგულებს ხან ჰქერს მიუშვერდა, ხან იატაკს. მოეწონა ხელეების ასეთი თამაში. ამით იმას განასახარებდა, ვითომ ერთნი ცას შეჰყურებენ და ლაღობენო, მეორენი კი მიწას დასტირიანო.

ხელისგულები კიდევ რამდენჯერმე გადააბრუნ-გადმოაბრუნა და მერე საჩიველად მოსულ გლეხებს ხმადაბლა უთხრა:

— ცხავერში აღით, ოს იავორასთან. ის დაგაყენებთ სწორ გზაზე.— ეს რომ თქვა, უცებ თითქოს მდულარე გადაასხესო, მოიკუნტა და გაფითრდა. მას გული არ ალაპარაკებდა, ახლა შიშმა უბიძგა. შიშმა, ჯალათივით რომ ადგა თავზე.

— ცხავერში, ოს იავორასთან?! — წარბი შეჰკრა ონოფრიანთ ნიკამ.

— ოს იავორასთან რა მინდა, ვინ ოხერტილია. ის მომცემს წყალსა?!— გაიკვირვა სულუანთ იაკობამ.

— სად ცხავერი და სად ჩვენა! ცხავერში ოსები უარეს დღეში არიან. იმათ სულ ურწყავი მიწები აქვთ. ჩვენ თემამი მაინც ჩამოგვიდის. ჰაი დედასა, წყალი იქითა დის, ჩვენ კი წყლის გულისთვის ლამის ერთმანეთი დავზოცოთ. ერთი გვითხარი, ბერბიჭ, ოს იავორასთან რა გვინდა?— ონოფრიანთ ნიკა მაგიდას-

თან წაიხარა და პირისახე ბერბიქას მი-  
უახლოვა.

— არა, თუ არ გინდათ, ძალას როდი  
გატანთ!... ისე კი... თუ ძალიან გაგა-  
ჭირდეთ, ადით ოს იაგორასთან. ადით-  
მითქი!—წამოხტა უცებ ბერბიჭა და აც-  
ახცახდა,—ადით, ჩაეწერეთ კულაკურ  
ბანდაში, მერე ჩამოდით და დაგვზოცეთ,  
რაც მალე იქნება, უფრო კარგი!

ბერბიჭამ ცრემლი გადმოლდვარა და  
აქვითინდა. ფეხზე ველარ გაჩერდა და  
მაგიდაზე დაემხო.

— შეშალა ეს უბედური!—თქვა სუ-  
ლანთ იაკობამ და კარისაკენ უკან-უკან  
დაიხია.

ონოფრიანთ ნიკამ იატაკზე დაგდე-  
ბულ ქუდს ხელი დასტაცა და კარებში  
იაკობას გაასწრო.

ბერბიქას თავი ისევ ხელებში ჰქონდა  
ჩარგული, კიდეც სლუკუნებდა, როცა  
ალექსი გიუნაშვილა შემოვიდა.

— რა გატირებს, ბერკაცო?

ბერბიჭა შეკრთა და ცრემლიანი თვა-  
ლები მოსულს მიაპყრო.

— კიდეც იყვნენ, — აბნევით დაიწყო  
ბერბიჭამ.

ალექსი მაშინვე მიუხვდა, რასაც ამ-  
ბობდა ქოსა.

— არაფერი მესმას!—განგებ უთხრა.

— მე რა შუაში ვარ, მე, საცოდავი  
ბერკაცო?! ორი დღის სიცოცხლე დამ-  
რჩენია და ვიცი, ვიღაც მომკლავს. მო-  
ვიდნენ და შენზე მითხრეს, რასა შერე-  
ბა, რატომ არ გადმოდიხი... თუ არ მო-  
ვიდა და ძმათა სისხლი არ აიღო... და-  
გემუჭრნენ კადეც, მოლაღატედ ჩავთვ-  
ლითო. რამე შეუთვალე, აგრემც ღმერ-  
თი გიშველის.

ალექსიმ მაზრის რეკომიდან მოტა-  
ნილი ქაღალდი გაუწოდა და ვითომ არ-  
აფერი გაუგონიაო, ისე უთხრა:

— კიდეც კარგი, შენ დამხვდი. აჰა, ეს  
ქაღალდი შამშეს მიეცა. ეს ერთი მაინც  
ჩამომეხსნას. იმათ კი შევეუთვლი, მაგისი  
ფიქრი ნუ გაქვს.

— არ მოგეშვებიან. სისხლი აქვს ას-  
ალები და უნდა აიღოსო.—ქოსამ ცრემ-  
ლი მოიწმინდა და გულზე მიიღო ხელა.

ალექსიმ არაფერი უთხრა, ქაღალდი  
დაუტოვა და შინისაკენ გასწია, მამასთან  
თან უნდა მოელაპარაკნა, როგორ მოქ-  
ციეულიყო.

გიკო საგონებელში ჩავარდა. ალექ-  
სიმ უამბო ნიკო კაპრაშიძესთან რა სა-  
უბარიც ჰქონდა.

— სხვანაირად ვერ გეტყვოდა. ამათ  
უნდა გამოგიყენონ ხალხის სასიკეთოდ,  
ბანდიტები კი თავიანთ კაცად გთვლიან.  
როგორ აირიე ცხოვრება. მითხარ, გამა-  
გებინე, ამათი ხარ თუ იმათი?

— არც ერთისა!—მაშინვე უპასუხა  
ალექსიმ.

— დღეს არა, ხვალ ერთი მხარე უნდა  
აირჩიო. ამ ცხოვრებას ორა ნაპირი აქვს.  
ორივეზე ერთდროულად დგომა არ შე-  
იძლება, მაგრამ ყველაფერს ისა სჯობს  
თბილისში წახვიდე და ეს ზაფხული იქ  
გაატარო. მე ნიკო კაპრაშიძეს დიდ პა-  
ტივსა ვცემ, მისი მჯერა, მაგრამ შენ  
იმას ვერაფერში გამოადგები, გამოუც-  
დელი ხარ და ჩავარდები. ეგ შენი საქმე  
არ არის, რასაც ის გავალებს. წაღა  
თბილისში.

— იქნებ მომეშვან. ბოლოს და ბო-  
ლოს რას მიზამენ!

მამა და შვილი ერთ ხანს ჩუმად ისხ-  
დნენ.

საათი წიკწიკებდა და სხვა არაფერი  
ხმაური არ არღვევდა მათ მყუდროე-  
ბას. საათმა ხუთი დარეკა. დარეკა მიძი-  
მედ. მის ხმას მამაც და შვილიც შეჩვე-  
ულნი იყვნენ, მაგრამ დროის მრიცხვე-  
ლის ყოველი ახალი შემოკვრა, ახალ ამ-  
ბავს, ახალ ფიქრსა და განცდას ხვლე-  
ბოდა. ცხოვრება წინ მაღიოდა და ამი-  
ტომ მისი ხმაც რატომღაც ყოველთვის  
ახლებურად, ყოველთვის სხვანაირად  
ქდერდა. ეს ალბათ იმიტომ, რომ თვით  
ადამიანი ხვდებოდა სხვა გრძნობითა და  
განცდით ამ მუსიკალურ მოკლე ბგე-  
რებს.

— ასე ძალიან გიყვარს?—ჰკითხა გი-  
გომ შეალს.

**თენგივ გოგოლაძე**  
კაცი კაცი



ალექსი შეერთა. მამისგან ახლა ამ საგანზე სიტყვას არ ელოდა. თუმცა უკვე გამოუტყდა და მამამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ მაინც ფრთხილობდა. როგორც სოფლის თვალს გაუბრუნდა, ასევე გაუბრუნდა შინაურების თვალსაც და იმდენს ახერხებდა, რომ ნატოს სადმე მალულად შეხვედროდა. ასეთ შეხვედრაში უფრო მეტ სილამაზეს ხედავდა. ეს უფრო მომხიბვლელი იყო. და ამ დროს, ასეთა ჯგერობით დამთვრალ ყმაწვილკაცს პოლიტიკოსები აჯანჯლარებდნენ. სწყინდა და ღელავდა. ცდილობდა გაპქცეოდა მღვრიე ტალღებს, მაგრამ ამაო იყო მისი ყოველი ცდა.

მამას არაფერი უპასუხა, კვლავ კედლის საათს უყურებდა.

— ჩემი უკანასკნელი რჩევა ეს იქნება, — უთხრა ბოლოს გიგომ, — წადი თბილისში.

— მამ რიდასთვის წავედი გორში?

— ეგ ქალადლი სხვა დროსაც გამოვადგება. ეს ზაფხული გავძლოთ როგორმე და მერე ბოლშევიკები სამუდამო მშვიდობას დაამყარებენ. ბანდას დიდი დღე არ უწერია, ფიქრი არ არის, გაანადგურებენ. დამიჯერე, წადი თბილისში.

— წინ გრძელი ზაფხულია, მამაჩემო!

— ჩუმად თქვა ნახევრად ფიქრში წასულმა ალექსიმ.

— გრძელი ზაფხულიც წუთისაა.

„წუთისა!“ — თავისთვის გაიმეორა ალექსიმ. საათს თვალს არ აშორებდა. შუშის პატარა ჩარჩოში მოჩანდა ქანქარაზე მიმაგრებული მრგვალი ფირფიტა. აქეთ-იქით მძიმედ რომ ქანაობდა.

მეორე დღეს დილით ალექსამ ფანჯრიდან მოჰკრა თვალი გლეხთა შეიარაღებულ რაზმს. წინ შამშე მიუძღვოდა წითური ცხენით. ცხენოსნები მოკლე-ლულთან ბერდანებით იყვნენ შეიარაღებული. ცხენთა ფლოქვების თქარათქური ჯერ კადევ არ იყო მიმწყდარი, საათმა თორმეტჯერ დარეკა.

— სად მიდიან ასე ადრიანად? ალბათ ბანდას უნდა შეეტაკნონ. ზოგი დაბრუნდება, ზოგი დაიღუპება და მკვდარს

ჩამოიტანენ. ვილაც მწარედ იგლოვებს. სოფელს კაცი მოაკლდება, ქვრივობაში მივმავტება.

ალექსის თავბრუ დაეხვა. რვა საათზე ჩაივლის თბილისას მატარებელი.

მშვიდობით გარიყულავ! ნახვამდის, ნატო!

წუხელ ისევ გოგონამ გაუკეთა გული. ანუგეშა და დაამედა, რომ აგვისტოს ბოლოს თბილისში შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

ორი დღეა საფეკავი არავის მოუტანა. ამბის მომტანი კი არ ელევა ბერდოს. თუკი ამასაც შეუგვიანებენ, ბრაზობს.

ერთ დღეს გორისა და ცხინვალის ამბები ჭიჭია-ვანამაც დაახვავა.

— ძალიან ბედში ჩავარდნილა ჩვენი გოლა წითელ არმიაში, — თქვა ბერდომ, — დაბრუნდება და კაცი იქნება.

— ერთ დღეს დავკრავ ფეხსა და მეც წავალ.

— შენ აქ დაეტიე!

— რათა, შვილოსან, რა! — გული მოუვიდა ვანას.

— სოფელს სჭირდება, — გული გაუკეთა ბერდომ.

— მა რა! — მაშინვე მოლბა ჭიჭია-ვანა.

ბერდო წისქვილში მომსვლელთ თითქმის ყველას სცნობდა ფეხის ხმაზე. ყველაზე ძალიან კა ვაჟს და ფეფეს მოსვლა ახარებდა. რამეს წააკითხებდა, ყურს დაუგდებდა, სოფლის დღიურ ამბებს სულ დაწვრილებით დაჰკითხავდა, მე-ზობლებს მოიკითხავდა, ვის რა უჭირდა, ვის ულხინდა, მოსავალს როგორი პირი უჩანდა, სად ყანა მოსცდა, სად გაიხარა, ვისი წლისთავი იყო, ვისი ნიშნობა...

ალექსის ამბავიც გაეგო. გიგომ შესჩივლა. გორიდან ჩამოსვლის რამდენიმე დღის შემდეგ გიგოს ვაჟი სოფელში რომ არ გაჩერდა და თბილისში უმალ დაბრუნდა, ეს კი გაუკვირდა, ვერც გიგოსთან ავალა და გიგოც არ ჩანდა. ვაჟამ კი ბევრი არა. იცოდა რა.



წისქვილი დუმდა. ჭიჭია-ვანა ბერდოს წინ ჯარისკაცებით აბრაგუნებდა ჩექმებს. უცებ მოსწყდა ადგილს, კარგად იყავით, მიუგდო ბერდოს და ბრავაბრუ-გით გავარდა წისქვილიდან. მერე წელი ნაბიჯით გაუყვა ორლობეს და ისეთი სიმღერა შემოსახა, ალბათ პელოს არც კი დასჭირდებოდა მისი მოძებნა. ქვემო უბანში კი ვიღაც იტყოდა, ჭიჭია მხიარულ გუნებაზეაო. არა, ეს როდა გაუქვირდებოდათ. უკვირდით მისი მოწყენილობა. ვინმე თუ გულს მოაყვანი-ნებდა, სადმე ღობის ძირას ჩაჯდებოდა და საწვიმრად გამზადებულ ცასავით მოქურთმდებოდა. სოფლის ყველა უბანს ჰყავდა თავისი ტკბილმოუბარიცა და ენაკემატიც, ალერსიანიც და გულბო-როტიც. ერთმა თუ აწყენინა, აგერ, მე-ორე მოეფერებოდა. მოუალერსებდა და ჭიჭიას მზეც გამოანათებდა, ისე გაიღი-მებდა; თითქოს თავის ღღეში არა სწყე-ნია რაო. გაიღიმებდა და ლიღინასც უმ-ალ დაიწყებდა. აბეზარა ბიჭებს დაში-ნება კი ქვებით იცოდა, მაგრამ ყიამყ-რალი გინება არასოდეს წამოსცდენია. სოფელში თუკი ვინმე შეიგინებდა და ამას ჭიჭია-ვანა გაიგონებდა, არც აციბე-და, არც აცხელებდა, უმალ პირში მიახ-ლიდა:

— ვაი შენს პატრონს უბედურს, ე რა ტუტუტუცი რამა ჰყეხარ!

ჯერ კიდევ არ მიმწყდარიყო მისი ჩე-ქმების ხმა, წისქვილას კართან ისევ მო-ვარდა დაფეთებული.

— ბერდო! შენი წერილი, ბერდო!— კონვერტი ხელში ჩასჩარა. ისე ცმუკავ-და, თითქოს მიღებულ ბარათში ბერ-დოს ავსება-ამენება სწერიო.

— ასე ხელად საადან მოიტანე, ბიჭო? ვინა მწერს?— კონვერტი შეატრიალ-შე-მოატრიალა ბერდომ.

— ეფრემა შემხვდა. შენთან მოჰქონ-და. სანამ ის მკვდარი აქ მოვიდოდა, მე ვთქვი, გავახარებ ბერდოს-მეთქი. აბა, ეხლა რა ვუყოთ, ვერც შენ წაიკითხამ და მე ხო, ტყემალზე ვზივარ და ბალსა ვჭამ!

— ნეტავ ვინ გამომიგზავნა. იქნება

ის ჩემი თბილისელი მეგობარი მწერს, აი, შენ რო კითხვა იცოდე, ხო წამიკი-თხავდი.

— ვაი ჩვენს თავსა! აფსუს შენი თვალები. გუშინდელივით მახსოვს, როგორ ანათებდი ფოცხვერივითა, — ასლუჯუნდა ჭიჭია-ვანა.

— ახლა ტირილის დრო არ არი. გაი-ქეცი, ეაჟა ჩამომიყვანე.

— მოგიკვდეს ვანა! — შეტრიალდა და მამინვე გაიქცა.

სანამ ვაჟა გამოჩნდებოდა, ბერდო წრიალებდა. მკერდზე მისევ-მოისვა ხელი და წისქვილის კარებში ვაჩერდა-იენისის თაკარა მზე აცხუნებდა.

— მზევე, მაგხელა თვალი ხარ, მუნ-ჯი კი ხარ, აბა, შენ რას მეტყვი? რუე, ჩხრიალავ და ხმაურიანო, შენ კი ჩემსა-ვით ბრმა ხარ და ჩემსავით ალალბედ-ზე მიეღინები. მეც შენსავით ბრმად მივედივარ. მივეღინები. ჰაი დედასა, კითხვა ვიცი და წერილი ვერ წამიკით-ხია! ეფრემა მაინც მოსულიყო, ის ჯან-დამწვარი, მეტყოდა, ვისი წერილია. ეფრემა იქნებ ორლობიდან არც კი იყოს გასული, იქნებ ხმა მივაწვდინო?

წისქვილის წინ გამოვიდა და გასძახა:

— ეფრემ! ეფრემ!

სადღაც, შორს გაიბნა მისი ხმა. საკუ-თარი ხმის გამოძახილიც კი არსაიდან ისმოდა.

კიდევ უნდა დაეძახა, ეფრემო, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ ეფრემას ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინ დააკ-ლდა ყურთასმენა. ბერდომ ხელი ჩაი-ქნია.

წყალნი რბოდნენ, წყალნი ხმაურობდ-ნენ, კაციშვილის ხმა არ ისმოდა. ხანდა-ხან ჩიტი თუ ჩაიკენესებდა. ეს ხმა გულ-ზე ხვდებოდა ბერდოს. დილით აღრე სულგანაბული უსმენდა ჩიტების მთე-ლი გუნდის გაღვიძებას, ხოლო შებინ-დებისას, მათში და იენისის პირველ დღეებში, როცა ვარდების ზეიმი იყო, ბულბულები კენესით ტკებოდა.

მაშინ, საუქვავიც რომ ჰქონოდა, წის-

თენახი გოგოლაჟი  
აკაცი აკითოა





ქვილს მაინც აჩერებდა. თუკი საფ-  
ქვავის მომტანიც იქვე იყო, მასაც წის-  
ქვილის წინ დასვამდა და აიძულებდა  
ესმინა.

— სხვას რას ვაივინებ უკეთესაო.

მაგრამ ბერს ბულბულის ვალობას  
ვირის ყოყინი ერჩინა. ასეთებს არა-  
ფერს ეუბნებოდა ბერდო.

უწინაც უყვარდა მვალობლების მო-  
სმენა, მაგრამ ახლა უფრო ეტკბილებო-  
და. ეტკბილებოდა ყოველი ცოცხალი  
არსების ხმა, ხმა იყო ხიდი, რითაც  
ცხოვრების ორომტრიალში გადადიოდა.  
ყველაფერს ხომ ვერ შეეხებოდა, ყვე-  
ლაფერს ხომ ვერ შეივრძნობდა ხელის  
მიკარებით, ამიტომ ხმას, ხმას ეძალებო-  
და, ხმისაყენ ისწრაფვოდა. მდინარეები  
რომ მიჩხრიალებდნენ, ამ ხმაში ცხოვ-  
რების ხმაურს გრძნობდა. ჩიტები რომ  
ჭიკჭიკებდნენ, ამით ცხოვრება უტკბე-  
ბოდა. თავისი წისქვილის ხმაური და  
ფქვილის სუნი ხომ მთლიანად ავსებდა.

ახლა ბორგავდა. ბორგავდა კი ხში-  
რად, როცა თვალი ვეღარ შევლოდა და  
სინათლე სიგიჟემდე მოენატრებოდა.

სწრაფად მოვარდნენ ბიჭები. ვაჟა  
სულს ძლივს ითქვამდა.

— ნელა წამოხვიდოდით. თავს რაზე  
იკლავდით, ბიჭებო? — უთხრა ბერ-  
დომ.

— შენს საამებლად, ძია ბერდო! —  
სული ძლივს მოითქვა ვაჟამ.

ბერდოს თათმა ბიჭის თავი მკერდზე  
მიიზიდა. ვერაფერი უთხრა. სათქმელი  
კი ჰქონდა, მაგრამ ყველაფერი თავი-  
სებური ასეთი მოფერებებით გამოხატა.  
მერე წერილი გაუწოდა და უწინ ის  
იკითხა, ვისგან არისო.

— გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციი-  
დან ვარლამ თოფურაძე იწერება, —  
უთხრა ვაჟამ.

— ბიჭოს! — წამოიძახა ბერდომ, —  
გავახსენდი იმ ღმერთძალს, ბიჭებო!  
აბა, მალე წამიკითხე წერილი.

— „ძმაო ბერდო, — დაიწყო კით-  
ხვა ვაჟამ, — კარგა ხანია შენი ამბავი  
არ ვიცი, არაფერს მწერ. ალბათ დაგა-  
ვიწყდი...“

— რა დამავეწყებს! — წამოიძახა  
ბერდომ, მერე თავი ჩაჰქინდრა, — დამა-  
ნაშავე კი ვარ, წერილი ვეღარ მივწერე.

— ეს წერილი წავიკითხოთ და ახლაც  
მივწეროთ პასუხი.

— დავეწეროთ! ბოდიშს მოვუხსნი. არც  
კი იცის ჩემი დაბრმავების ამბავი. მე  
ხომ ეს არ შემითვლია. ახლა დავეწ-  
როთ და ყველაფერს მაპატიებს. მე  
რომ თვალხილული ვიყო, ქალაქშიც ჩა-  
ვიდოდი და ვნახავდი არ დამავეწყდეს,  
ესეც დავეწროთ. ჩამოვიდოდი-თქო. მე-  
რე, მერე რაო?

— მერე ისაო, რომ „ჩვენი გაზეთის  
კორესპონდენტი იყავი, ერთი მასალის  
მეტი არა მოგიწოდებია რა, ჩემო ბერ-  
დო! ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ  
გლეხთა მდგომარეობას, მათ ცხოვრე-  
ბას. ახლა, როცა სულ სხვა ცხოვრების  
გარიყრაფი დაგვიდგა, წინ აუარება სიძ-  
ნელე გველოდება. ბევრი ჩვენი ადამიანი  
ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა ჩვენი მო-  
მავლის სიმართლეში. დღევანდელი სიძ-  
ნელე მას გულს უტეხს, მომავლის რწმე-  
ნას უკარგავს...“

— ჩვენ არა ვართ ასეთები! — დაა-  
ბეჭდა ბერდომ, — ვინც არის, იყოს!  
ბრმა ვარ, ქვეყანას ვერა ვხედავ, მაგრამ  
მწამს, რომ ჩემ გულში მაინც შემოვა  
სინათლე, მწამს და ვიცი. თქვენც ხომ  
გწამთ და იცით, ბიჭებო.

— ვიცით და გვწამს, ძია ბერდო! —  
ამბობს ვაჟა.

— ვიცით, მა არ ვიცი! — ცმუკვით  
უდასტურებს ჭიჭიაყვანა, ჩექმის ყელს  
ეჭიდება, თითქოს უძიროებს იცვამსო.

— მერე, მერე?

მერე ვარლამ თოფურაძე სთხოვდა  
ბერდოს, თქვენს სოფლის ამბები მოგ-  
ვწერო. ბერდოს უნდა გაეგო, სოფელ-  
ში ვის რა აწუხებდა, ვის ულხინდა,  
ვის უჭირდა, ვინ რას ფიქრობდა, ვინ  
როგორ ეხმარებოდა საბჭოთა ხელი-  
სუფლებას ახალი ცხოვრების აშენე-  
ბაში. გლეხები როგორ მოეკიდნენ  
მიწას, რა პირი უჩანდა მოსავალს და  
სხვა ამგვარი ამბები უნდა შეესწავლა.

უსინათლო ბერდოს ძალიან ბერს



სთხოვდა და ავალბდა ვარლამ თოფურძე, ბევრს, დასანახსა და გასავონს. გასავონს კი ვაიგებდა, მაგრამ დასანახი? დასანახს სხვისი თვალით დაინახავს, სანდო თვალით... მისაწერს როგორღა მისაწერს? ეჰ, თვალისჩინო, სამულდამოდ დაკარგულ-დასამარებულო, როგორ შეუქარ ხელ-ფეხი ბობოქარ ბერდოს! ჯერ კიდევ ჯველი კაცი როგორ დაჰკუთნე და დაავდე! უშენოდ რა ჰქნას? მაგრამ მაინც იბრძვას, თვალხილულივით უყურებს ცხოვრებას.

— მივწერ, ისეთებს მივწერ, რომა! წისქვილში ქვეყნის ამბები ხვავდება, ქვეყნის გზა ჩემ წისქვილზე გადის, — ჩაიროხროხა ბერდომ, — აბა, დაჯე და დაწერე, ვაჟავ!

— მე წავალ, — მოეწყინა ჭიჭიანას.

— რათა რა! — იწყინა ბერდომ, — რა ბუზანკალი შეგიჯდა?

— თეძამზე ჩავალ, ვიბანავებ.

— წადი, რა გქნა! — უქმაყოფილოდ მიუგო ბერდომ. წისქვილში ხალხმრავლობა ახარებდა. ოღონდ მოსულთაგან, ვინც არ უნდა ყოფილიყო, კაციშვილთ თავი შეეყარათ და სხვა არა უნდოდა რა.

ვანა წამოდგა და წავიდა. წისქვილის გარეთ, რუსთან დაბმულ ბერდიას ალერსით დაუწრუპუნა. ბერდიამ ბრიალა, ანთებული თვალებით შეხედა, ვანა შედგა და ძალს ისე დაუწყყო ცქერა, თითქოს პირველად ხედავს.

— დაიქცა წუთისოფლის ჯამართალი! შენ ამხელა თვალებს აბრიალებ, იმას კი ერთიც არა აქვს! ფუი! — გადააფურთხა ვანამ და იმის მაგივრად, რომ თეძამზე ჩასულიყო, ორლობით სოფლისკენ წავიდა. ბანაობა უცებ მოიმიზეზა, თორემ წყალში ფეხის ჩადგმა სიკვდილი იყო მისთვის.

ჩანახამდე ხორბალი ვიდაცამ მისცა გასამრჯელოდ.

ჭიჭიანა-ვანა მთელ სოფელში არავის დაზარდებოდა. მისი სიზარმაცე არავის გაეგონა. რას არ აკეთებინებდნენ! დას კი ხელს არ შეაშველებდა, წყალს არ მოუტანდა და შეშას არ დაუბობდა. როცა გულმოსული პელო წყაროსკენ გასწევდა, ჭიჭიანა-ვანა მაშინ წამოდგებოდა, გზაში წამოეწეოდა, კოკას გამოსტაცებდა. გაბრაზებული და არ ანებებდა. მაშინ ვანა ყვირილს ასტეხდა და ქალი დათმობაზე მიდიოდა. როცა პელო ეტყოდა, შეშა დამიპეო, ვანა წაიყრუებდა, მაგრამ საკმარისი იყო პელოს შეშის პობა დაეწყო, ვანა უმალ ხელში სწვდებოდა.

მაგრამ იმ დღეს წისქვილში იმ ნახევარი ჩანახი ხორბლის დასაფქვავად არ გაეგზავნა დას. არც გზაში წამოეწია და საფქვავი არ ჩამოართვა.

პელო მარტო მიუახლოვდა წისქვილს. აქ დიდი ხანი არ ყოფილიყო. ბერდოს საფქვავი არა ჰქონდა და წისქვილი გაეჩერებინა. კართან გრილოში იჯდა მუშტრის მოლოდინში და ბერდიას რაღაცას ელაპარაკებოდა. მსხვილი ჯაჭვით დაბმული ძაღლი მის წინ დაწოლილიყო, თავი თათებში ჩაედო, თვალები მიენახა და ისე უსმენდა.

ძაღლმა უწინ შეიგრძნო ადამიანის მოახლოება. თავი ასწია, ყურები დაკვიტა და ორლობისკენ გაიხედა.

ბერდომ მიაყურადა. ფეხის ხმაზე ბევრს სცნობდა, მაგრამ ახლა ვერ იცნო, ვინ უნდა მოსულიყო ასე ფრთხილი, ჩუმი ნაბიჯებით.

ძაღლი წისქვილში მოსულთ არ უღრენდა. ის მხოლოდ ღამ-ღამობით იყეფებოდა და ბერდოს ერთგულად სდარაჯობდა.

— გამარჯობა, ბერდო.

— პელო ხარ? გაგიმარჯოს. რაო, ვანა სად დაიკარგა?

თენგიზ გოგოლაძე  
აკაცი აკაცი

პელო თავის ძმასავით ნიადაგ სხვის სამსახურში იყო. ერთხელ ნახევარ



— ვანა იმას და შავი ქირი!

— აგრე რადა სწყველი? ცოდოა.

— ცოდო? მე არა ვარ ცოდო?!

საფქვავე ვერ ჩამოვატანინე წისქვილ-ში.

— საფქვავე მოიტანე? — მაშინვე წამოდგა ბერდო.

— ნახევარი ჩანახი ხორბალი მოვიტანე. დამიფქვავე?

— მაგას კითხვა უნდა! მაიტა, სადა ხარ!

— აქა ვარ, ბერდო! აი, ჩემი ტოპრაკი.

— აბა, მომე. ესეც ასე. დაილოცა ამისი მომყვანი, მერე ამისი დამფქველი და გამომცხოვ-შემქმელი.

— დაილოცოს! — ხმადაბლა დაუდასტურა ქალმა და ბერდოს წისქვილში შეჭყვა.

სანამ ბერდომ ხეიმირში ჩაჰყარა ხორბალი, სანამ რუზე ავიდა და წყალი გადმოუვდო, პელომ წისქვილში მიმოიხედა და იქაურობა შეათვალიერა. მართალია, ღარიბ-ღატაკი ქალი იყო, შინ არა გააჩნდა რა, მიწურში ცხოვრობდა, მაგრამ სისუფთავე მაინც უყვარდა. საკერებლებით აპრელებული, მაგრამ სუფთა კაბა ეცვა, მუდამ პირდაბანილი და თმადავარცხნილი დადიოდა. ოცდახუთ წელს მიტანებული იყო და ცხოვრებაში ჯერ ერთი ბედნიერი დღე არ ახსოვდა, თავის არხენ ძმას შეჰყურებდა და შრომაში წელებზე ფეხს იდგამდა.

ბერდოს ძველი ლეიბ-საბანი ხალამ-ბარზე ეყარა. ლოგინი გასჭუჭყიანი-ბოდა. არას ხედავდა და რას მიხედებოდა! ან ვინ ჰყავდა გამომცვლელი. ვანა ყველას ეცემა თვალში მისი ჭუჭყიანობა?!

საცოდავი კაცი!

პელომ ბერდოს შეხედა, ზვინივით მაღალსა და ზორბას. თვალბზე შავი ნაჭერი ჰქონდა აკრული, რომ არავის შეზარებოდა მისი ამოთხრილი თვალის უბებების დანახვა. პელოს უზომოდ შეებრალა კაცი.

— ბერდო, ვინ გივლის, ადამიანო?

და ეს „ადამიანო“ პელოს ხმაში თრთოლვით გაისმა, ბერდო შემერთალი შემოტრიალდა.

— რა თქვი?

— ვინ გივლის-მეთქი, — ახლა ხმადაბლა უთხრა პელომ.

— მე თვითონ გუვლი ჩემ თავსა.

— წავალ შინ, ნაცარს ჩამოვიტან, ლეიბ-საბნის პირებს გამოგიხარშავ...“ გაგჭუჭყიანებია.

— შენ გაიხარე! მადლს იზამ. სამაგიერო ჩემზე იყოს.

— რას ამბობ, ბერდო! სამაგიერო რა... .

დატრიალდა პელო. შინიდან საბნის მაგივრად ნაცარი ჩამოიტანა მოუკალავი ქვაბით, ცალ ხელში ხის ვარცლი ეჭირა. სამრეცხაო რუსპირას გამართა. ლეიბსა და საბანს პირები გააძრო და ნაცარტუტაში ჩაჰყარა.

მისი საფქვავე ჩამოთავდა. წისქვილი გაჩერდა. პელო კი ბერდოს სარეცხს დასტრიალებდა.

— იქნებ პერანგიცა გაქვს გასარეცხი? მომეცი, ნუ გრცხვენია.

— პერანგი? ჰო, პერანგი... ერთი მაქვს, ქალო. ისიც ზედ მაცვია. ნახე, რა ვიცი, დასაკერებელიც უნდა იყოს.

ბერდომ პერანგი გაიხადა და უღმერთოდ შებანლული მკერდი შებუჩქული ფერდობივით გამოუჩნდა. ძალოვანი იყო, რკინასავით მაგარი.

ქალი დაიხარა ხალამბართან ძირს დავარდნილი პერანგის ასაღებად. ბერდო იქვე იჯდა. ქალი უნებურად მიეხალა, ელდანაკარავივით განერიდა, მაგრამ ბერდომ მოასწრო და მკლავში სწვდა.

— ქალო, მადლიანო! — უთხრა ხმის თრთოლვით და ანგარიშმოუცემლად მკერდზე მიიკრა.

პელოს სუნთქვა შეეკრა. აქეთ-იქიდან დაძრულ კლდეში მოემწყვდა. ძლიერ ეამა ეს მოძალემა.

— ალბათ სულ შენ გელოდი, ქალო, სანატრელო! — გრძნობით ჩურჩულებდა ბერდო და მის მკლავებში



მომწყვდეული პელო შიშით და ნეტარებით თრთოდა, წინააღმდეგობას არ უწყევდა და ნებდებოდა, ვაჟის მარწუხებში დნებოდა და უაზროდ რალაცას ლულულულებდა. ორივე ბრმა იყო, ორივე ნეტარების სამყაროში მიცურავდა. ქალს ვაჟის სიმკვრივე ახარებდა, ვაჟს კი ქალის სილბო და სითბო გახუბრებულ მკერდზე ღვთიურ მალამოდ ედებოდა.

პელო გონს მოეგო, ბერდოს გულისხეთქებით გაუსხლტა. ფქვილი წისქვილში დარჩა, დაურეცხავი სარეცხი რუს პირას მიატოვა. გულამოვარდნილი, აღლევებული და ბედნიერი მიაწყდა თავისი ქოხის კარს, შიგ შევარდა, საწოლზე დაემხო და ქვითინი აუვარდა.

ღმერთმა იცის, რა უფრო ატირებდა: ის, რომ მის მიმდნარ გულში ქალურმა ვნებამ გაიღვიძა, თუ ასე უცებ მოვარდნილი ბედნიერება!

როცა ღელვა ცოტათი მაინც დაიკბრო, თავის ნაბიჯს დაუფიქრდა, მაშინვე რატომ მივნებდიო. ქალ-ვაჟს შორის დიდი არაფერი მომხდარა, მაგრამ იმ ქალისათვის, ვინც პირველად გაეკარა მამაკაცის მკერდს, ისიც კი, რაც მოხდა, დიდი რამ იყო. პელო ახლა ანგარიშს არ უწყევდა იმას, რატომ მაინცდამაინც იგი გამხდარიყო სანატრებელი ბერდოსათვის. ვანა უსინათლოსთვის სულ ერთი არ იყო, ვინ გაუთბობდა გულს. მაგრამ იმ სიახლოვის შემდეგ, ბერდოსაც ალბათ ისევე ენატრებოდა პელოს მიხუტება, როგორც ახლა პელოს გული ისევ წისქვილისა-კენ ეწყოდა.

ვანა საიდანღაც მხიარულ გუნებაზე დაბრუნდა. პელომ პირი მოარიდა. ის კი უთხრა, ეგებ წისქვილიდან ფქვილი ამოიტანოთ.

— შენ რა, ვერ მოერიე? — არ შეეძლო დისათვის სიტყვა რომ არ შეებრუნებინა ჭიჭია-ვანას.

— წადი, ვანო, შენ შემოგველე... მე იქ... იცი რა ვითხრა... აგრემც გაიხარებდე ქვეყანაზე, წადი, შენ შე-

მოგველე! ამოიტა და ისეთ კვერთხებს დაგიცხოზ, ჯერ რომ არ გიქამია, ისეთებს...

— მართლა ამბობ?

— მართლა, დედის სული ნუ წამიწყდება... წადი და რაც ბერდომ ვითხრას... არა, არა, იმან რა უნდა ვითხრას?!.. ყური არ დაუგდო! ფქვილი მაშინვე წამოიღე, დროზე ამოდი, რომ კვერთხები დაგიცხო.

ვანამ რალაც ჩაიბურტყუნა და წისქვილისაკენ დაეშვა. სანამ იგი ამოვიდა, პელოს გული ვადაელია. ერთი სული ჰქონდა, რა ამბავს ამოიტანდა.

— მერედა, ვინ არის ბერდო?... ბრმა, უსინათლო!.. მახინჯი!.. ღმერთო ჩემო! — გუნებაში გაურბინა ამ აზრმა. მაგრამ იმ წუთებში ბერდოს მიერ მონიჭებულ ნეტარებასთან არაა იყო ეს ფიქრი. მახინჯი და ბრმაო? გული მისკენ ერეკებოდა, გრძნობას ვერ იოკებდა. თითქოს მთელი თავისი დღე და მოსწრება ამ წუთებისთვის არსებობდა, ამ დღისათვის ცოცხლობდა, თითქოს ნიადაგ ამ დღეს ნატრობდა.

თავს ისე გრძნობდა, თითქოს ამქვეყნიური ყველა სიკეთე უკვე მას მიეზღო, სამყარომაც სხვანაირად გამოიხედა. ბერდო უსინათლოაო, ბერდო მახინჯიაო? სამაგიეროდ მასავით ადამიანური, ცხელი და გაშლილი მკერდი რომელ ვაჟკაცს ექნება? ის მკერდი პელოსია! მახინჯიაო? ჰაი დედასა, რომ ამ სიმახინჯეში უფრო დიდი სილაშაზე დაინახა, ის სიტყვები კი — „ალბათ შენ გელოდი ქალო, სანატრელო, — აღლევებდა, ბერდოსადმი უსაზღვრო სიბრაულულით ავსებდა.

ვანა აღმართზე ქოშინით ამოვიდა, ფქვილი მოიტანა.

— ი სარეცხი რო დაგიყრია და გამოკეთულხარ! — თვალები დაუბრიალა დას.

— კიდევ რაო? — მივარდა პელო.

— ვინ რაო, რა რაო... — ხელები გაშალა ვანამ, — აბა, რა ვიცი რაო!

**თეანო გოგოლაძე**

აკაცი აკაცი



— ჰო, ბერდომ რა ვითხრა?  
 — ლეიბისა და საბნის პირები უნდა დაერეცხაო.  
 — მეტი არაფერი?  
 — მეტი არაფერი.  
 — უგულო! — უნებურად წამოიძახა პელომ და თვალები ცრემლით აევსო. ვანამ ამ ცრემლის მიზეზი ვერ გაიგო და შეცბუნდა:

— მე ვარ უგულო? მე რათა, გოგო? რა ვატირებს?  
 — არაფერი.  
 — უგულო შენ ხარ, იმ კაცს სარეცხი რო დაუგდე. ეხლა მიდი, კვერეულები დამიციხე.

— მერე წისქვილში წამოიყე. მარტო წასვლა მეშინია, ღამდება. დავურეცხავ, ეგებ ხვალამდე გაუშრეს.  
 მაგრამ მარტო ღამისა კი არა, ბერდოსკი ეშინოდა და წისქვილში იმ ღამეს არ ჩასულა. მთელი ღამე თეთრად გაათენა, ხოლო დილას ვანას უვალი თვალში გაუსწორა და უთხრა:

— ბიჭო ვანა, რას იტყვი რო გავთხოვდე?  
 — გათხოვდი რა! — ისე არხეინად მიუგო ვანამ, პელოს ეწყინა. ეწყინა იმიტომ, რომ ძმამ ასე გულგრილად შეხედა მისი გათხოვების ამბავს, იმას, რასაც ქალის ასეთი გულისფანცქალით და მღელვარებით განიცდიდა.

— მერე შენ?  
 — მე რა. თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამაო. ისეთი გოგო მოვიყვანო რო! — ვანამ ტუჩები გააწყლახუნა, მერე ქოხიდან გავიდა და დაღმართზე სიმღერით დაეშვა.

„ალბათ შენ გელოდი, ქალო, სანატრელო“. ო, როგორ უფორიაქებდა გულს ამის გახსენება. ახსენდებოდა კი ხშირად, წამისწამ და ეს იყო, ეს სიტყვები მისი გრძნობების აშლის მიზეზი. ვის უთქვამს მსგავსი რამ პელოსთვის, ქალო, სანატრელო?! როგორ არ წამოანთოს, როგორ არ გააღვიძოს! ნეტავ კიდევ თქვას ბერდომ, ნეტავ კიდევ ისეთი გრძნობით ეჩურჩულოს და მაგრად, მაგრად ჩაიკრას გულში,

თუნდაც ისე, რომ სამუდამოდ მტკრიდან არ მოიწყვიტოს, მასთან შეერთდეს, მისი იყოს, მისით ისუნთქოს. უსინათლოაო? „მე ხომ მაქვს თვალეზი, სინათლე! ჩემით დაინახავს, გზას მე ვუჩვენებ, ჩემთან ერთად ივლის ნიადაგ და ესეც ხომ მისი თვალისჩინი იქნება! ქალო, სანატრელო! ალბათ ამიტომ მნატრობდა. იქნებ სხვასაც ნატრობდა და ჩემს გარდა არავინ მივიდა? იქნებ მე განგებამ მიმიყვანა, რომ მისი ვიყო? მე უნდა ვიყო მისი ცხოვრების სახნისი. ო, როგორ უნდა ბერდოს ასეთი მეგზური! მე, მე მოვლივარ შენთან, ძლიერო და ამაყო კაცო, უსინათლოვ, მაგრამ ბობოქარო!“

პელო წისქვილთან ისე მივიდა, ეგონა გული ეს-ეს არის ამომგარდებო. წისქვილის ღია კარში შორიასლოდან მამაკაცები დაინახა და მამზინვე უკან გაბრუნდა. მთელი დღე გული ვერაფერს დაუღო.

საღამოს ვანა მოვიდა.  
 — აკი უნდა გავთხოვდეო? — ჰკითხა დას.

პელოს გაეცინა.  
 — მოგატყუე, ბიჭო. აბა, რას იტყვის-მეთქი.

— რა უნდა ვთქვა რა! — ვანამ ფეხი გაიქნია და ჩექმა ხელის დაუხმარებლად გაიძრო.

— ფეხი დაგებანა, ბიჭო.  
 — შენ გათხოვდი, ის ყველაფერს სჯობია. ქვეყანა მაგას მეუბნება, შინ ნუ დაბერე შენი დაო.

— მერედა, მაგას ეხლა მეუბნები?  
 — მა როდის უნდა მეთქვა, რა! — ახლა მეორე ფეხი გაიქნია და ჩექმა კოკას მიანარცხა.

— ნელა, ბიჭო, როგორ ისვრი მაგ ჩექმას!

— ხვალ ცხინვალში უნდა წავიდე, გოლა მომენატრა. იმნაირი ბიჭი მთელ სოფელში არ არი, — ახლა ხალათი გაიხადა ჰიჭია-ვანამ.

დამ არაფერი უთხრა. ქოხიდან გავიდა. იქვე, კარწინ ჩამოჯდა. მთვარე



ამოდოდა. მთვარეს გაესაუბრა. ელაპარაკებოდა, ვიდრე მთვარე მალა არ წამოვიდა და მიძინებული სოფელი ვერცხლისფრად არ მიჰქარგ-მოჰქარგა. პელოს არ ეძინებოდა, რადგან მისი გული არ იძინებდა. „ქალო, სანატრელო!“ თითქოს ნიავის ხმა სისინებდა, თითქოს ღამის მყუდროებაში ოდნავ, სულ ოდნავ მოშრიალე ხის ფოთლებიც ამას გამოსცემდნენ.

„ქალო, სანატრელო!“  
 „ქალო, სანატრელო!“

ბერდო უფრო იტანჯებოდა. ვერც ვერავის უთხრა რამე, არც თვალებში გამოზრწყინებია ბედნიერი გაცდა. ქალის შერჩენილი სითბო დიდხანს აღელვებდა. თითქოს განგებ, პელოს გაქცევის შემდეგ, წისქვილს არავინ მიჰქარებია! შორეული მგზავრის ფეხის ხმაც არ ისმოდა. არც ვაჟა და ფეფე ჩანდნენ. რა ძნელია ასეთ დროს მარტოობა!

ბელო რომ მკერდიდან გაექცა, ბერდო გაცივით მიაწყდა წისქვილის კარს. ქალს სიტყვა ვერ მიაღვენა. იგრძნო კი, რომ ქალი გულმოსული არ გაჰქცევია, პირიქით, მისმა სიახლოვემ ააღლვა. ამის შეგრძნება უფრო მეტად აფორიაქებდა. მოვა? დაბრუნდება?

წისქვილის კარში იდგა და იმ დღეს ამაოდლა ელოდა.

მზე რომ ჩავიდა და მოსაღამოვდა, წისქვილთან აგრილდა.

გუშინ ბიჭებმა ბერდოს უთხრეს, ეს ღამეები სავსე მთვარის ღამეებიო. და ბერდომ წარმოადგინა რანაირი ქათქათით ენთო მთვარე უღრუბლო, ვარსკვლავებიან ცაზე. მერე ისიც გაიხსენა, ამ დროს როგორ ჩანს ზოლმე გაღმა თირის ქედი, ვერცხლისფერი გამჭვირვალე სამოსით რომ ირთვება და ცასაც ნათელი რომ მიმატებია. ირგვლივ დღესავეითაა, მაგრამ ყველაფერს მისძინებია, განაბულა, სუნთქვა შეუტკავს. მგალობლებიც მიყუჩებულან, მიკარგულ-მოკარგულან და მხოლოდ მარად უძინარი მდინარე

ჩხრიალებს. მისი დაძინება ვინა თქვენი ის ქვეყნისთვის ისეა, როგორც ადამიანის სხეულში სისხლი. ის არის მიძინებული ბუნების მაცოცხლებელი ძალა, ნიადაგ მოძრავი, ახმაურებული, მოუსვენარი.

რა იცოდა ბერდომ, რომ ბელოც მასავით უძილოდ სტეხდა ღამეს!

ბელოს ბერდო უნდოდა. ბერდოს ბელო ენატრებოდა. ენატრებოდა კი არა, ქალისგან ნაგემი სიტკბო ისე ახელებდა, მკერდი ზღვასავით უტორტმანებდა. როცა ვინამ ფქვილი წაიღო, ვერაფერი უთხრა. ინანა კი, რომ ერთი თბილი სიტყვა ვერ გაატანა პელოსთან. დაე, სცოდნოდა ვანას, დაე, მთელ ქვეყანას გაეგო!

ბერდოს კარგად ახსოვდა ტანმორჩილი, შავგვრემანი ბელო. მაგრამ მაშინ, მკერდზე რომ ჰყავდა მიკრული, ის აღარ იყო, რაც უწინ. ახლა, როცა მისი მკერივი, სავსე ძუძუ-მკერდი შეენთო, ბელო სულ სხვა გამხდარიყო, გაგსილიყო, დაქალებულიყო. მიხვდა იმასაც, რომ მან ასე მღელვარედ პირველად განიცადა მამაკაცის სიახლოვე. როგორ თრთოდა, როგორ ცახცახებდა და როგორ ენთო!

— „არ ვიცოდი, ასეთი კარგი თუ იყავი — გუნებაში ესაუბრებოდა ბერდო სასურველ ქალს, — რად წამიხველ, რად გამეჩქეცი? ასე რომ ამაღლვე, მერე უპატრონოდ რაღად დამაგდე?! იქნებ დაიბენ, იქნებ წამით გაბრუვდი, გონს მოეგე და თქვი, მე რა საბედო ვარ ბრმისა, მახინჯისაო?“

ფიქრი ფიქრს სცვლიდა. ვინ იცის, რამდენმა წყალმა ჩაიარა რუში!

ეს რა ადრე ასტეხეს ყივილი ჩიტებმა! ნუთუ თენდება? ო, ამას რა სჯობია, თუ ასე მალე გათენდება. ამ ხმებს რა სჯობია!

„იპიკვიკეთ, ჩიტებო, ინავარდეთ, ონავრებო! თქვენ არც სივრცე გაკლიათ და არც სიყვარული. ნიადაგ

**თენგივ ჯიჯოლაძე**  
 კაცი კაციოთა





ალბათ იმიტომ გალობთ, მუდამ ბედნიერები რომ ხართ. აი, მე გუშინ პირველად ვიყავი ბედნიერი, დღესაც ბედნიერი ვარ. ვანა არა?! სიყვარული მოვიდა და თქვენი გული მომიტანა, თქვენი ხმაც მომცა, მაგრამ მარტო როგორ ვიმიღერო!“

წისქვილში ველარ გაჩერდა. სოფლისკენ გაუწია გულმა.

როცა სადმე მიდიოდა, კარს გამოიხურავდა, ბერდიას დაუბარებდა, თვალის გეჭვროს წისქვილზე.

იმ დილას ადრე წავიდა სოფელში. გზა და ბილიკი არ ეშლებოდა. ყველაფერი გამოთვლილი ჰქონდა. რევეკომის კანტორაში ისე მივიდოდა, ერთს არსად წაიბორძიებდა. ჯობი კი ეჭირა ხელში. მაგრამ გზის გასაკვლევად წინ არასოდეს არ მიაკაკუნებდა. როცა ვარლამ თოფურძის წერილი მიიღო, ის წერილი მაშინვე შამშუ დურგლიშვილს აჩვენა. შამშუ რევეკომის წევრებს მოელაპარაკა და გადაწყვიტეს გაზეთ „კომუნისტის“ სოფლკორად მასწავლებელი ბესო ოქრუაშვილი გამოეყვით. ბერდოს არა სწყენია, პირიქით, მან პირველმა თქვა, თვალხილული და განსწავლული კაცი უნდა იყოს სოფლკორადო. ვაჟას კი თოფურძისადმი გასაგზავნ წერილში ასე უკარნახა: მე ამ საქმეში, ბატყობ, არ გამოვდგები, თვალხილულსა და ნასწავლ კაცს კი შეგიჩვენო. და ეს სიტყვები რევეკომში პირველმა თქვა.

ოქრუაშვილმა, სიამოვნებით მიიღო ეს დავალება. რედაქციას აცნობეს და პასუხი დაუყოვნებლივ მიიღეს. რედაქცია თანახმა იყო. ორიოდე დღის შემდეგ კი მასწავლებლის პირველი პატარა წერილი დაიბეჭდა. ეს მასალა ახალქალაქში სკოლის განხნას ეხებოდა. მასწავლებელი აღფრთოვანებით წერდა, რევეკომის დახმარებით როგორ მიიღეს სოფლის პატარებმა თავადისეული სახლი. წერილის ავტორი შამშუსაც ემადლიერებოდა.

შამშუ დურგლიშვილმა გაზეთი რომ წაიკითხა, წარბი შეკრა.

— გამოდის, მე პირველი ვიყავი თავადისეულ სახლში სკოლა გაგვეხსნა. როგორ გგონია, ბერბიჭ, ეს ამბავი სიკეთით დაბოლოვდება? ეს რა მოუჩმხახავს ჩვენს მასწავლებელს.

კანტორაში ორნი იყვნენ — შამშუ და ბერბიჭა.

— ბერბიჭ, შენ გეუბნები.

— დავუძახო? — წამოხტა ბერბიჭი.

— არა, იჯექი!

ბერბიჭამ შეებით ამოისუნთქა. შამშუს რომ ეთქვა, ოქრუაშვილს დაუძახეო, სოფლის ბოლოში უნდა ჩასულიყო, ხევის პირას. შინ კი იქნებოდა მასწავლებელი? ბესო სადმე თუ იყო წასული, მაშინ მის ძებნას უნდა გადაწყვიტოდა, როგორმე უნდა მოენახა, თორემ შამშუ ბუზღუნით აიკლებდა, კაცის მოყვანა გითხარ და მარტო როგორ მოტლაკუნდიო. ბერბიჭამ კარგად იცის, რას რა მოჰყვება შამშუს ხელში. სწორედ ამ დროს მოვიდა ბერდო კანტორაში, როცა შამშუ გაზეთს ამრიგალებდა ხელში.

ბერდომ გამარჯობა თქვა. მარტო შამშუმ უპასუხა.

— ეს რა დაუბეჭდიათ, ბერდო!

— აბა რა ვიცი, რა დაუბეჭდიათ. ახალი გაზეთი მიიღე?

— მართალია, ჩემზე კარგადა სწყენია, მაგრამ მაინც არ მინდოდა, ამ საქმეში გამოვჩენილიყავი.

— რა საქმეშიო, რას ამბობ, არაფერი მესმის. დალაგებით მითხარი და გაზეთიც წამიკითხე. აბა, ეგრე აბლაუბდად რომ მეუბნები, რა გავიგო? — ბერდო სკამზე დაჯდა, ფეხები გაჭიმა და კეტი ლაჯებში ამოიღო, — ბერბიჭა სად არი?

— აქა ვარ, ბერდო!

— რალაც, ძალიან მობერებულვით ამბობ. ერთი, თუ ღმერთი გწამს, ვაჟაკურად იყავი! თვალი ხომ გიჭრის, კაცო?

— კარგად ველარ ვხედავ. დავბერდი და არა გჯერათ.





ბერდომ ყური აღარ უგდო მის წუ-  
წუნს, შამშეს მიუბრუნდა და კიდევ  
სთხოვა, წამიკითხო. შამშემ წაუკი-  
თხა ოქრუაშვილის წერილი.

— კარგია, რას ერჩი! შენხედაც  
კარგად ამბობს, სოფელს მზრუნველ  
ხელს არ აკლებსო. მისით არიო, რო-  
მაო... პირში გეტყვი, ვადაქარბებუ-  
ლად კი უქიხარ. ეგ ალბათ რედაქცია-  
შიც გააკეთეს. მაგრამ გაზეთი რის გაზე-  
თია, რომ ცოტაც დაგანახოს, როგორი  
უნდა იყო. შენ კი ხანდახან... გახსოვს;  
მე რომ ავუროე, ისე ურევ ხოლმე!

— შენ მაგნაირ ლაპარაკს თავი  
დაანებე, ის ყველაფერსა სჯობს. მე  
კი მაინც იმ აზრს ვადგავარ, რომ თა-  
ვადისეულ სახლში უფრო კარგი ბო-  
სელი გაიმართებოდა, ვიდრე სკოლა.

ბერდომ გადინხარხარა. ბერბიჭას  
ხმა არ ისმოდა.

— ეჰ, სწავლა-განათლება გვაკლია,  
ჩემო შამშე, იმიტომაც ვაფრენთ შიგა-  
დაშიგ. აბა, სხვა რამეც წამიკითხე! —  
უთხრა ბერდომ როცა დაცხრა.

— შენთვის არა მცალია, ჭყობი-  
ნთში უნდა ავიდე და რწყვის საქმე  
გავარიგო.

— გაზეთი დაგვიტოვე. ბერბიჭა წა-  
მიკითხავს.

შამშემ გაზეთი ბერბიჭას მიაწოდა  
და ოთახიდან გავიდა, მაგრამ მაშინვე  
მოტრიალდა და ბერდოს უთხრა:

— კვირაში ორჯერ ჩემთან შევიკრი-  
ბებით ხოლმე. თუ შეძლო, მოდი. მე-  
ცადინებავს უნდა შევუდგეთ.

— ამას რა სხვათაშორის მეუბნე-  
ბი! — უსაყვედურა ბერდომ, — უჩე-  
მოდ თუ დასხდებოდით, მაშინ რა პა-  
სუხს გამცემდი. თუ შეძლოო?

მაგრამ შამშე ყურს აღარ უგდებდა.  
ბერდოს თავისი სათქმელი ჯერ კიდევ  
არ ჰქონდა დამთავრებული, ის უკვე  
ცხენზე იჯდა.

შამშემ წყალზე მოდავეები რეკომ-  
ში ჩამოიყვანა.

ბერდო ისევ აქ იყო. გლეხების და-  
ვაში ისიც ჩაერთა. ერთი გლეხი გაამ-  
ტყუნეს, მეორე გაამართლეს. მტყუანი

შამშეს დაემუქრა, უსამართლობის-  
ვის გიჩივლებო. ბერდო შამშეს მიუღ-  
და. შენ რაღას ერევი ჩვენ საქმეშიო,  
შეხედა გლეხმა ბერდოს. მაშინ კი  
წამოდგა მეწისქვილე:

— შენ რომ ძალაუფლება მოგცენ,  
კულაკზე უარესი წურბელა იქნებოდი!  
ყველამ ძმებავით უნდა ვიცხოვროთ,  
ასეთია ახალი ცხოვრების კანონი, შენ  
კი შენს მოძმეს წყალს არ ანებებ,  
ბარით მიუხტი და ლამის თავი გაუხე-  
თქე! შამშე, გეთყვა, ეს საქმე ისე არ  
ჩაივლის, გირჩევ ახლავე მოთოკო და  
რევეკომის სალაპარაკო გახადო, თო-  
რემ ამნაირებმა თუ თავი აიშვეს...

— მართალი ხარ, ბერდო! — მოე-  
წონა შამშეს მეწისქვილეს რჩევა. —  
შენ კი სადაც გინდა, იქ მიჩივლე. რევე-  
კომზე დავადგენთ და მიწასაც ჩამოგა-  
რთმევთ, შეიძლება სოფლიდანაც გა-  
გასახლოთ. გაჩუმდი? არაფერი გეთ-  
ქმის?

წამს ღუმილი ჩამოვარდა. მეორე  
გლეხმა ქისა გახსნა და თამბაქო  
ათრთოლებული თითებით ჩაახვია  
გაზეთის გახევებულ ქალაღში. მტყუა-  
ნი გლეხი კი ხელში ნაბდის ქუდს  
სრესდა, სიტყვას ეძებდა, ვერ პოუ-  
ლობდა, შეატყო, მუქარა არ გაუვი-  
დოდა, ბოლოს ხმადაბლა, მაგრამ სა-  
სოწარკვეთილებით დაიძახა.

— წყალი გვინდა, წყალი!  
— ამამაცინებელი! — გულგრი-  
ლად ჩაიცინა შამშემ.

გლეხები ცალ-ცალკე წავიდნენ. თა-  
ვისი გზით გასწია ბერდომაც. კანტო-  
რაში კარგა ხანს შერჩინილიყო. იქ  
გული გადააყოლა გაზეთს, საუბარს,  
დავას. გზაში პელო გაახსენდა, ნეტა-  
რების ბანგი ისევ მოედო.

ბილიკი რომ ჩათავდებდა, რუს მიად-  
გებდა, რუზე გადათლილი მორია ვადე-  
ბული. ამ ხიდზე უწინდებურად გადი-  
გამოდის ბერდო, ჯოხსაც არ იშველი-  
ებს, ისე. მერე ორლობეა ბალ-ვენახე-  
ბში და ორლობის ბოლოში კაკლის  
ჩრდილებს იქით — ბებრუხუნა წისქ-  
ვილი. აი, მთელი მისი გზა.

## აღამიანო!

აღამიანო, ძვირფასო ჩემო!  
შენ გამისხენებ ხანდახან, ვიცი,  
მე მახსოვს შენი ტრფილის გემო  
და ახლაც ვუსმენ შენ გაბმულ სიცილს.  
მე ახლაც მათბობს სითბოს ნარჩენი  
შენი ღიმილის, შენი მუდარის.  
აღამიანო, შენა ხარ ჩემი  
საფიქრებელიც და საყუდარიც.

## გაფრთხილება

სალამო იქნებ არ იყოს წყნარი,  
სალამოს იქნებ დაბეროს ქარმა,  
იქნებ საოცრად მოდიდდეს მტკვარი,  
დრო შემიჩეროს პატარა ჯავრმა.  
ორომტრიალში შენ ვერ მოგნახო,  
გაუჩინარდე, გამებნე სადღაც.  
მაშინ შენ უნდა მოხვიდე ახლოს  
და სიხარული ჩემს სულში ჩადგა.  
სიყვარულს, ვიცი, სიჩუმე შეენის  
და უნაზესი რიდი და მოვლა —  
სიყვარულს არსად არა აქვს სხვენი  
და იგი მაინც ჩუმია ყოვლად.  
ასეთ სიჩუმეს სად ნახავ ახლა.  
დუმილი ალბათ სირცხვილიც არის —  
იცოდე, მაინც არა ვყრი ფარხმალს,  
შენთვის მაქვს სითბოც და სატკივარიც.



## კიდევ მრავალჯერ

გაყოფილია მსოფლიო ორად  
და ყველამ იცის, რაა მიზეზი.  
გაყოფილია მსოფლიო ორად;  
მიწაზე, ცაში,  
დღითა და ღამით  
დაუნდობელი გრძელდება ბრძოლა.  
მათ უნდათ, მონა მონადვე დარჩეს,  
დახრილი ჰქონდეს მუდამ კისერი,  
ტანჯვის უღელი უსიტყვოდ ზიდოს.  
ჩვენი სურვილი უბრალო არის, —  
არ ჭაჭანებდეს ქვეყნად სიავე  
და დაიღწეოს ყველა ბორკილი.  
ძვირი გვიჯდება ძილი და სუნთქვა,  
მზე და სინათლე; ასე იოლად  
ვინ შეარიგებს კეთილს და ბოროტს.  
ათას განსაცდელს უნდა ველოდოთ.  
გასროლის ხმაზე, გათენებისას,  
კიდევ შეკრთება თალი გრენადის;  
კიდევ მრავალჯერ ითქმება, კიდევ:  
„ნაძირალეებმა პოეტი მოკლეს...“  
კიდევ მრავალჯერ აღიმართება  
შურისძიების მართალი ხელი.  
არ შეიძლება მათი დანდობა,  
არ შეიძლება გაჯეროდეს მათი;  
ვერ დამალავენ უსინდისობას  
და პრეზიდენტის სისხლიან კეფას;  
საკუთარ სირცხვილს ვერ დამალავენ.  
აქედან ვხედავ ზანგი დოქტორის  
წამებულ აჩრდილს; ანთებულ თვალებს,  
აღმართულ ხელებს, აქედან ვხედავ...  
ცათამბჯენების ცოდვიან თავზე

მილიონების გროვდება რისხვა.  
ახლახან იყო — ტელევიზორის  
ეკრანს მდუმარედ მივჩერებოდით:  
გულაღმა იწვა ახალი მსხვერპლი,  
თვალს ვერ ახელდა და მისი მაჯა,  
გამქრალი მაჯა ეჭირა ეჭიმს...  
თქვი, ამერიკავ, რას ეუბნები  
მამის ცხედართან დაჩოქილ შვილებს!..  
აქედან ვხედავ მე ვიეტნამის  
დაბუგულ მიწას, თვითმფრინავები  
შავი სტომაქით ეზიდებიან  
ნგრევას და სიკვდილს, ცარიელ ქოხთან  
დგას ფურ-კამეჩი და შიშით უმზერს,  
ლიანებს როგორ მოარღვევს ტანკი...  
განკითხვის ჟამი ელის ჯალათებს,  
გაუტეხელი დარჩება მარად  
თავისუფლების ამაყი სული.  
მიწაზე, ცაში,  
დღითა და ღამით  
დაუნდობელი არ წყდება ბრძოლა.  
ასე ყოფილა გაჩენის დღიდან —  
ხალხზე მღეროდა,  
სულ ხალხთან იყო,  
არასდროს მდგარა პოეტი ჩრდილში.  
დადგება ჟამი და სისხლის ფასად  
დაიღწეება ყველა ბორკილი,  
ერთი იქნება მსოფლიო მთელი.  
ამ რწმენით ვცოცხლობთ,  
ამ რწმენით ვივლით  
და დედამიწის ოთხივე კუთხეს  
გადაანათებს მზე მეწამული.

## სასტუმრო „ივერია“

თვალს უხარია, წყნარდება თვალი  
და ვუმზერ ქვაში მოქცეულ ტალღებს,  
ცისფრად ანთებულს და ჩემკენ დაძრულს.  
მე შემიძლია მოცდა და ვიცდი,  
ვიცდი და ვხედავ: ღვთის უკეთესი,

დაწმენდილია ბიჭვინთის ფსკერი;  
საკმეველის სუნი წვდება ნესტობს, —  
ნელა ინთქმება ზვირთებში ლავრა.  
დგება ქალაქის დამწვარ ფუძიდან —  
ასე ამაყი და ასე მშვიდი—





თეთრად ნათევი ათასი ღამე;  
რა მკვეთრად აჩენს დღე ღრუბლიანი  
მის მსუბუქ ბეჭებს; ქვას ასხლეტილი  
ყოველი შხეფი ჰაერში რჩება,

ტრიალებს დიდხანს და მშენებელთა  
მღვრიე ლანდები, კირით მოთხვრილი  
და გაქდენთილი გრძელი ლანდები,  
არ შორდებიან შეჩვეულ კედლებს.

## ო მ ი ს ღ ლ ე ე ბ ი

ქალაქში დამით დადის პატრული,  
მოწამლული ზღვა იწყებს მიქცევას,  
პროექტორებით გამოფატრული  
ცა, სადაც არის, ჩამოიქცევა.

ინთება შუქი: წითელი, მწვანე...  
ჰაერში გამჯდარ ბინდს ეზავება...  
აღარ ზმუიან,  
ზღვის ფსკერზე წვანან —  
ვეება, ტლანქი თვითმფრინავები.

მძიმე ჩექმები ბნელში ეფლობა,  
მონოტონურად შრიალებს ხრეში...  
შუქს არ ეძებენ ღამის პეპლები,  
სუნთქავს ქალაქი სიკვდილის წრეში!

წყლიან ქუჩებში დადის პატრული,  
ფრენენ ტყვიები ფერად ლენტებად...  
ბნელი ფანჯრები ჩუმად ნატრობენ  
იმ წამებს, მზე რომ ამოენთება.

## ბ ა გ ა ფ ს უ ლ ი

ყველაზე მძაფრი სუნი აქვს მიწას,  
ნაწვიმარს, დამბალს... ყველაზე მძაფრი...  
ახლა ყველას და ყველაფერს ღვიძავს,  
ამაოდ იცდის ქვესკნელის ძაბრი.

ბალახის ღერო სინათლეს ელტვის, —  
წყვდიადში უჭირს თვალის გახელა,

ნეტარ სიგრილეს დასფრეტილ ბელტის  
ყველაზე მძაფრად გრძნობს ჭიაყელა.

დუმს საოცრება ჩემთვის ხილული,  
მზესავით სავსე,  
მზესავით ცხადი  
და ალიონზე; მთლად დათრთვილული,  
მაცდურად ბრწყინავს თბობას ბადე.





# ჭაქვალი, ზღაპრის უვილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

„გავიდა დრო და მან ჩაქინდრული თავი აღმართა, დუმლის ყინული და-ამსხვრია, ენა ამოიდგა და მონადიმეთა შორის პეშვებით გააბნია თხრობის მარგალიტები და ძვირფასი ქვები. ნატიფი აზრებით გაამხიარულა მოწყენილი სტუმრები, თბილი სიტყვებით გაამხიარულა, ტკბილი ზღაპრებით, ნაირ-ნაირი ამბებით, სასიამოვნო, დახვეწილი ზუმრობით ჩამქრალი განწყობილება აუნთო. ისე გართო და ვაიტაცა, რომ იფიქრეს, ალაპისაგან მოვლენილი არსებააო და ყველა დიდი სია-

მოვნებით ჩაება საუბარში. ჭაბუკი მზისა დარი იყო, მაგრამ ერთ ლოყაზე გამოსახული ჰქონდა შვიდკუთხედი და ჭვარი, მეორეზე კი ბუხარული ნესვი...“

ბავშვები სულგანაბული უსმენდნენ ავილას. მოხუცმა საუტხოო ზღაპრები იცოდა და, როგორც წესი, თხრობას სადამოობით იწყებდა. მზე იაღლუჯის მთებისაკენ რომ დაქანდებოდა ხოლმე. ზღაპრებს ხომ ბინდი უყვართ. ჰო-და, ავილაც, ოც წელზე მეტია, ყველა დაუსრულებლად.

ბავშვები გაცვეთილ ნოხზე ისხდნენ, თვლებით, პირით, ყურებით ჰაერშივე ყლაპავდნენ თვითეთლ სიტყვას, აფორიაქებულები ეკვროდნენ ერთმანეთს.

კართან უშველებელი სამოვარი ბუყბუყებდა, ეხმარებოდა აგილას ბავშვების შეშინებაში. მის პრიალა ზედაპირზე იმაწებოდნენ იფრტები და ჯინები, ჭიხვინით მიჰქროდნენ ფაფარაშლილი, გადარეული ბედაურები.

„...უცებ ფოთლებიდან გამოძვრა უზარმაზარი შავი გველი, რომელსაც თავზე მოთეთრო-მოყვითალო ლაქები ჰქონდა. მისი საშინელი და გამჭოლი მზერა თავზარს სცემდა ადამიანს“...

ძლივს დავაღწიე თავი ჯადოსნურ ოთახს და ფეხაკრეფით გამოვედი აივანზე.

— ჭრიუ-ჭრიუ-ჭრი, — გამოაჩავრა აგილას იატაკმა.

ბინდებოდა. მზის ჩასვლას ვერ გაეგრილებინა გავარვარებული ქუჩა. მტვერი, მოწითალო და მძიმე, ეფინა ფოთლებს, ქვებს, ბალახს. აქოთებულ საჩეხში სიხისიავან დახაშმული ძროხა ბღაოდა.

— შოთა, სად მიდიხარ? ჩაის არ დაღევ? — გამოძახა ბოსტნიდან ზუღეიხმა. შეეშინდა, არ გამექცესო, მიტრიილდ-მიტრიილდა და სახლს შესაჩა: — აი, აგილ, შოთა გედთი!

ზუღეიხი მომიახლოვდა, მიხვდა, რომ აგილას ჩემთვის არ ეცალა. დამიყვავა, შემომცინა:

— ფრთხილად იყავი, შოთა, შევილო, ღამე ეშმაკისა... ჩაძალდი, შე ოხერო (ეს აგილას უეკრძა, მე კი ისევ გამიღიმა). — ნუ წახვალ, შევილო, მეცი მოხუცს პატივი, გზაში არ შემოგეფეთონ ის დაწყვეილები. ყოვლის-შემძლე ალაჰი გაუწყრეს მაგათ ჯიშსა და ჯილაგს...

ისეთი ბოღმით მოუღერა ცას ბოლოკის კონა, რომ თმა მიწით ამეგსო.

ნელა დავყევი ქუჩას. ჭიშკართან ზუღეიხი გაჰკიოდა:

— აი, აგილ, შოთა გედთი!!!

განიერი ქუჩა მოედინისაკენ მიედინება. მას ორივე მხარეს ღრმა, ვიწრო არხები გასდევს, არხებს გადაღმა, ერთმანეთში ჩახლართული ხეხილის ხეებიდან, ხანდიხან გამოიჭყიტავს განათებული სარკმელი. კენესის თარი, ღუღუნებს ქიაამანა. სევდიანად მღერის გულში დაკოდილი აზერბაიჯანელი. მღერის, ალბათ საყვარელს უჩავის.

აგილას ზღაპრებიდან გადმოსულ არაბულ თუ სპარსულ ქალაქსა ჰგავს ღამით მარნეული.

ყრუდ ჰყეფენ ნაგაზები, უბრაზდებიან ცხვრის ფარას. ალიზის ღობის ძირას ფიქრში წასული მოხუცი ჩაცუცქულა და გრძელ ყალიონს აბოლებს, თან კრიალოსანს აწვალებს დაკოყრილ თითებში. მე მცხელა, მას კი ცხვრის ბოხობი წარბებამდე ჩამოუფხატავს.

— სალამ ალეიქუმ!

— ალეიქუმ სალამ!

აგერ, ცაზე ამობრძანდა თეთრი ნახევარმთვარე. ახლა ეს გაუხარდათ ძალღებს. ორღობებში ალიაქოთი ატყდა. თუ ნომინდა, ისპაჰნიდან მომავალ აქლემების ქარავანს ან ჭრელ მეჩეთსა და ქუთუთოებდაწითლებულ მეუძინს დავინახავ. თვალს დავხუჭავ და მესმის გაბმული:

— ლა ალაჰ, ილა მაჰვა!..

„... მოხუცმა ზანგმა ქალმა გონდაკარგულ ჰასანს ჰკითხა:

— როგორ მოხდა, რომ სულ რაღაც ერთი წუთის განმავლობაში გონიერების მწვერვალიდან შეშლილობის უფსკრულში გადაეშვი, თვალის დახამხამებაში დაჰყარგე გრძობათა მოთოკვის უნარი?

ჰასანმა კვლავ გადმოჰყარა მარგალიტის ცრემლები და თქვა:

— ო, ღვთისნიერო ადამიანო! მე უცხოელი ვარ და შეცარმა უბედურებამ მიწია. ღვთის გულისათვის, შემობრალე ბედკრული მოხეტიალე და გაიღე ცოტაოდენი მოწყალება — იმ თურქ ყაჩაღ ქალს შეევედრე, მის მიერ





დაჭრილი ნადირი ბარემ მოკლას, რომ წამებას გადავუტრყე“.

შეგვრთი, კივილი რომ გავიგონე. ნელა, ჯაყჯაყით ჩამიარა სახანძრო მანქანამ. კიოდა და კიოდა. ქუჩის ბოლოს მოტრიალდა და უკან წამოვიდა. რას დასეირნობენ?

ყოველ შემთხვევისათვის ვუყვირებ: — ეპეი, ზაპიდ, ფარზულა!..

(დასეირნობენ და კივიან. რამდენი წელია მარნეულში ხანძარი არ ყოფილა, ახალთახალი მანქანა კი დალეწეს და ბოლო მოუღეს. ისეთი საქმიანი სახეები აქვთ მეხანძრეებს, რომ გაშეცინა).

— ... თქვენი ჭირიმი, თქვენი, ეპეი, ზაპიდ, ფარზულა, მეხტი...

გრძელია გზა მოედნისაკენ. მივდივარ, ოფლად ვიღვრები. აი, ავილას სადალაქოც. აქ მუშაობს ჩემი სახლის პატრონი. ამ დღეებში ავილას ძირმაგარები დაესია და შინ ზის.

სადალაქოც გამოკეტრელი აქვს. ავილას ხუთი ვაჟი ჰყავს — მაჰმუდი — მილიციის სერჟანტი, იდაიათი — შოფერი, ვაგიფი — ისტორიის მასწავლებელი, აბდულა — ზოოვეტერინარი და კოჭლი ჯამალი.

უწინ ჯამალსაც ჰქონია ხელობა — ქვის მთლელი ყოფილა. მერე ქვის სატეხზე ფეხი დაუზიანებია და ამჟამად პენსიონერია. არაყის სმისას გრძნობას არ ჰკარგავს. სვამს, მაგრამ წყნარი სიმთვრალე იცის, არავის ერჩის. უფრო სწორად, ყველა უთმობს ჯამალს. ბეჭებს რომ ვაშლის, მთელ ტანზე კუნთებს რომ აათამაშებს, ბიჭი ხარ და აუხირდი.

ჯამალი ძმებში ყველაზე კეთილია, ავილას ხასიათი აქვს. ცდილობს, ყველა ნაცნობს გაუმასპინძლდეს. სამაგიეროდ, არაყს რომ იყიდის, შენც მეთათსედ უნდა მოუსმინო, როგორ დაკოჭლდა ჯამალი და ამ უბედური შემთხვევის შემდეგ რატომ არ უჩივლა ინჟინერს, რომლის ბრალიც იყო ყველაფერი:

— რა ჩემი საქმეა სასამართლო და შარი. ვისაც ენერგება ჩივილი, შინაგანად ხელი მოუშობს. თანაც იმ ინჟინერს სამი შვილი ჰყავდა და ყველაზე პატარას ჯემალი ერქვა, ქართველი იყო და მაინც ჯემალი ერქვა, — ამაყად დაასრულებდა ზოლმე ამბავს და საარყე ჭიქას შეუვსებდა მსმენელს.

ჯამალი მოედნის ჩაიხანაში მეგულებოდა (ჩაიხანა ჰქვია, თორემ აქ ლუდი და ღვინოც იყიდება).

მაგიდებს სიციხისა და სასმელისაგან დახაშმული მარნეულელები უსხედნან, ლაპარაკობენ, ხმაურობენ. პაპიროსის ბოლი და ქაბაბის ოხშივარი ტრიალებს პატარა ოთახში. დახლიდარს ხალათის საყელოში სველი ცხვირსახოცი აქვს ჩაფენილი.

— სალამ, ალი!

— სალამ, შოთაჯან!

— ლუდი დამისხი.

— დიდი თუ პატარა?

— დიდი... კარგად გამორეცხე...

კათხას თევზის სუნი უღის, მაინც სიამოვნებით ვსევამ ცივ ლუდს და ჩემ საფიქრალს ვფიქრობ.

— ალი, ჯამალი არ ყოფილა შენთან?

— იყო. ნახევარი საათის წინ იყო. დამიბარა, შოთა თუ ნახო, გადაეცი, დამელოდოსო.

ალი დახლს დაეყრდნო იდაყვებით, იქით-აქით გაიხედა.

— აქეთ მოიწი, შოთა, — მითხრა ჩუმად, — „ისინი“ იყვნენ აქ, სამივენი. მეოთხე, უმცროსი, გარეთ ელოდებოდათ. არაყი დალიეს და ჯამალის მაგიდას მიუხსდნენ. რაზე ლაპარაკობდნენ, არ ვიცი. ძალიან ვაბრაზებულები იყვნენ. დიდხანს იკამათეს. მერე ჯამალმა მუშტი დაჰკრა მაგიდას და ფეხზე წამოვარდა. მეგონა, ჩხუბი ეხლა დაიწყება-მეთქი, მაგრამ არა, ხმა არ ამოუღიათ. ქუდები დაიხუ-

**გურამ ხარაშიძე**  
ჯამალი, ზაპარის შვილი



რეს და ჩუმად გავიდნენ. ეპ, ჩემო შოთა, ჩემო შოთა, ჯამალი არა გყავდეს, მე ვიცი, რა დღესაც დაგაყრიან... ჯამალმა კიდეც ასი გრამი დალია და ის დავიბარა, რაც წედან ვითხარი. ასეა საქმე, ჩემო შოთა, მა-ა-აშ. დავისხა კიდევე?

— დამისხი. ლუდი, ლუდი, არაყს ნუ მისხამ.

მალე ჩაიხანაში ჯამალმა შემობოტა. ჩვეულებრივზე უფრო კოჭლობდა. ეტყობოდა, დიდალა ჩემს ძებნაში. დამინახა, სახე გებადრა და მხარზე ხელი დამადო.

— დალევ, შოთა? დალიე ჩემი ხათრით... წამოდი, იმ მავიდასთან დავსხედეთ.

ერთხანს ჩუმად ვიყავით. ჯამალმა ჭიქა მომიჯახუნა, თვითონ ერთბაშად გადაჰკრა.

— გითხრა აღიმ, ის შეჩვენებულები რომ გექებენ?

— მითხრა.

— კარგი უქნია, თუ გითხრა. გაგიმარჯოს, მეც გამიმარჯოს, ყველა კარგ კაცს გაუმარჯოს! — ისევ დალია ჯამალმა.

— შოთა, მაშ ასე, გექებენ...

— ვიცი, ხომ მითხარი. მეძებონ, მე არავის არ ვემალეები. ჯამალმა უხალისოდ გაიღიმა. თავი გააქნია.

— ეპ, ჩემო შოთა, უცნაური კაცი ხარ. იმიტომ მიყვარხარ, რომ უცნაური ხარ და ჯიუტი. უპ, რა ჯიუტი ხარ! სიკეთემდე არ მიგიყვანს ეგ სიჯიუტე, მაგრამ არა უშავს რა. კაცი ჯიუტი უნდა იყოს. იმიტომ მიყვარხარ და იმიტომ ხარ ჩემი ძმა.

ჯამალი მთვრალი იყო და ლაპარაკის საღერღელი აშლოდა. სადაცაა ალბათ თავისი თავგადასავლის მოყოლას დაიწყებდა.

— შენი სიჯიუტით მეც გამხვიე ხათაბალაში, მაგრამ ნუ გეშინია, მაინც არ მივატოვებ. ხომ გაგიგონია ძველი არაბული ანდაზა — „აქლემი და მისი მხედარი ერთი გზით მიდიან, მაგრამ სამყარო სხვადასხვანაირად ესმითო“.

აი, ჩვენც ისე ვართ. ავეყვი შემსახარე ჯიუტეს, მაგრამ მე რა შუაში ვარ, არ მესმის. რას გადაეკიდე იმ ვაგოს — არ მესმის. ნამდვილად გიყვარს თუ არა — არ ვიცი. ცოლად ითხოვ თუ არა — ალაჰმა უწყის. მაინც შენს მხარზე ვარ. მე აქლემი ვარ, შენ — მხედარი. გაუმარჯოს აქლემებს!

ჯამალმა ისევ მომიჯახუნა ჭიქა და დალია.

ვუყურებდი ჯამალს და არ ვიცოდი, როგორ გამომეხატა ჩემი მადლობა. იგი არ მტუქსავდა, არ ქექავდა ჩემი სიყვარულის ამბავს. ღიმილით მიცქერდა ჯამალი და შეჭალარავებულ საფეთქლებს ისრესდა.

ღამე რომ ჩამოწევა ყიზილაჯალის სერზე, თითქოს სოფელი ამოწყდაო, ჩამიჩემი არსაიდან ისმის. ადრე იძინებს სოფელი, სარკმელებში შუქი ქრება, შორს, მარნეულიდან და ტაშტიკულარიდან ალაგ-ალაგ კიდეც ციმციმებენ ნათურები. მერე ისინიც ქრებიან. შუალამეს რომ გადასცილდება, იაღლუჯიდან იკივლებს ტურა, ააყეფებს, ააანჩხლებს სოფლის ქოფაკებს. ცოტა ხანიც და მამლის პირველ ყივილამდე ყოველგვარი ხმაური მიწყდება.

ამ დროისათვის უკვე ჭეხნევა აბასა, ჩუმად, კარსაც არ დააჭრიალებს, ისე გამოძვრება სახლიდან, ქუდს წარბებამდე ჩამოიფხატავს, შედგება, მოყნოსავს პაერს და სიბნელეში უჩინარდება.

სად დაიარება აბასა ამ კუბრივით ღამეში — არავინ იცის. თუმცა მის წასვლას ვერავენ იგებს. ლანდივით გაქრება ხოლმე სოფლიდან და შინ ასევე შეუმჩნევლად ბრუნდება.

ცულ კაცად იცნობენ სოფელში აბასას, ერიდებიან. თუ პირდაპირ არ შეეფეთენ შეკაში და სალამიც არ უთხრეს, თორემ ისე ხმასაც არავინ სცემს. ბავშვებსაც უშლიან აბასას შვილებთან თამაშს.

— ბოროტი კაცია აბასა, დაუნდო-



ბელი, უჯიგრო. მამაც ასეთი ჰყავდა და პაპაც. თავისი დღით არც ერთი არ მომკვდარა. — პაპამისი ხანჯალს წამოეგო ვილაცასთან ჩხუბში, შეილი კი მეცხვარის ძაღლებმა დაგლიჯეს — ცხვრის ქურდობაზე წაისწრეს.

ბავშვობისას აბასას საყვარელი გასართობი მეზობლების კატების ჩამოხრჩობა იყო. ლეკვებიც ბევრი დაუხრჩვია წყალში. სოჭლის ქათმებსაც არ აღვათ კარგი დღე — აბასა საოცარი სიზუსტით ახვედრებდა ქვას მიზანს.

თავისზე უმცროს ბიჭს თუ დამარტოხელებდა, უსათუოდ რაიმე დაღს დაამჩნევდა — ან თავს გაუჩხვავდა ქვით, ან შუშის ნატეხით დაუჭრიდა ტანისამოსს. ამის შემდეგ მთელი კვირა არ გამოდიოდა ქუჩაში. შიშით ეზოს ვერ სცილდებოდა.

უფროსი ბიჭები კი არაფერს აბატეებდნენ ხოლმე აბასას, უმცროსი ძმების სამაგიეროს უზღავდნენ და უმოწყალოდ ნაცემს ხშირად ღობის ძირში მიიგდებდნენ. ვერ იქნა და ვერ ისწავლა **ჭკუა**.

აბასას ტირილი, ან ხმამაღალი სიტყვა არავის გაეგონა. ცხვირიდან სისხლს მოიწმენდა, დალილავებულ სხეულს აითრევდა და ძუნძულით გაუყვებოდა შინისკენ მიმავალ აღმართს. ერთი ორჯერ კი მოიხედავდა, ხომ არ მომდევნო, ბრახიანი ძაღლივით ზედა ტუჩს აპრიხავდა, აწყმუტუნდებოდა და მერე შორიდან ქვას ესროდა ბიჭებს.

ვინ ან როდის შეარქვა მას ით-აბასა, ანუ ძაღლი-აბასა, არავის ახსოვს. ეს სახელი კი ისე მიეკერა მის ოჯახს, რომ აი, უკვე რამდენიმე ხანი გავიდა მას შემდეგ, წამოიზარდნენ, დავაქცადნენ აბასას შვილები, და მათაც შერჩათ შერქმეული სახელი, მართალი რომ გითხრათ, შვილები მამას ავკაცობაში არ ჩამოუყვარდებიან.

მხოლოდ ქალიშვილს, სახარგულს, არ ეძახიან ამ მეტსახელს. კარგი გოგოა სახარგული, წყნარი, უბოროტო, სულ რაღაცისა სცხვენია.

ციზილაჯოლებს, მოხუცებსაც კი უყვირთ: — ით-აბასას გოგო იცინის ით-აბასას გოგო მღერის, ით-აბასას გოგო სკოლაში დადის, ით-აბასას გოგოს ამხანაგები ჰყავს!.. თუ დროზე გამოჰგლიჯა გოგო ამ ოჯახს ვინმე კეთილმა ადამიანმა, წესიერი ქალი გაიზრდება. თუმცა გიყი ვინ არის, ით-აბასას დაუმოყვრდეს და ცოლისძმებად სახარგულის ძმები გაიხადოს? რა ვიცი, შეიძლება მოინახოს ასეთი გიყი...

შარშან მარნეული და ციზილაჯო აფეთქების ხმამ გააღვიძა. გრუხუნო მდინარე ხრამიდან გაისმა.

იმ დამით ძილი არავის ეწერა.

მაღე ხრამიდან ყვირილი მოისმა. გამოეხმაურნენ, ატყდა ყაყანი, ალიაქოთი. წამოცვივდა ხალხი, მდინარისაკენ დაქანდნენ. ერთმანეთს ასწრებდნენ სასწრაფო დახმარების მანქანები. შორს, მოედნიდან მოისმა სახანძრო მანქანის კივილი. ვინ იცის, იქნებ მეხანძრეებსაც გამოსჩენოდათ საქმე. ხომ იყო აფეთქების ხმა — ესე იგი, შესაძლოა ხანძარიც ყოფილიყო სადმე.

მდინარის პირას მუცელგამოღარული ით-აბასა იპოვეს. სულ მთლად დაემახინჯებინა მისი სხეული ნაადრევად აფეთქებულ დინამიტს.

უკვე კარგა ხნის მკვდარი იყო, მაგრამ სასამართლოს ექსპერტმა ექიმმა ბრძანა, მაინც საავადმყოფოში დაასვენეთო. მარნეულელთა სასახლოდ უნდა ითქვას — მიცვალებულზე ცუდი არაფერი წამოსცდენიათ (გულში რა გაივლეს, აბა რა ვიცი).

იმ დამით ვნახე პირველად სახარგული.

მივიღვივარ სახლიდან — მზეა, მზე-კაშკაშა და კეთილი. ბოძებზე წამოსკუპული რადიო-რეპროდუქტორები ბაიათებს გაჰკვივან. გზაში მხვდებიან რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები, ქართველები... დამინახავენ, გადაუ-

**გურამ ხარაიძე**  
ჯამალი, ზღაპრის მწიფი



ლაპარაკებენ ერთმანეთს და ვიდრე ათ მომესალმებიან, ნაძალადევად სერიოზული სახეები აქვთ. მე ვიცი: გაივლიან თუ არა, გაელიმებათ და ერთი ორჯერ მომხედავენ.

ამას შეჩვეული ვარ, სხვათა შორის, აღარც მწყინს, ჩემზე რომ იციან.

პირველ ხანებში, მარნეულში რომ ჩამოვედი სამუშაოდ, ვბრაზობდი ხოლმე და საათობით ვიცქირებოდი სარკეში — ყველაფერი რიგზეა — ცხვირი, თვალი, თმა ოდნავ მწითლური მაქვს, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი თმია. სიძალდე — 1მ. 72 სმ. სულ იმაზე ვფიქრობდი, რაც შეიძლება დინჯად მეარა, მაგრამ არა და არა, მაინც ელიმებათ ნაცნობებს ჩემი დანახვისას.

სიცილი... სიცილს გააჩნია. განა დამციანიან? არა, ყველას უცხაური ბიჭი ვგონივარ. მივეჩვიე ამას.

ნახევარი გზა გავიარე. ჩემი სამსახური გამოჩნდა თუ არა, მზე ძალღივით მეტაკა კისერში, მანქანებიც მახინჯ ხოჭოებს დემსგავსენ, განაცრისფერდა, დაქცა ბალახი, ნაბიჯს მოვუკლი.

მერე მთავარმა ინჟინერმაც გამასწრო. ისე იჯდა მანქანაში, თითქოს სულ ცოტა, ოცი კინობიექტივი იღებდა მას ფირზე. ჩამოიარა, ვითომ ვერ დამინახა.

ერთხელ, მეხუთე კლასში რომ ვიყავი, სკოლიდან გამოვიბარე და მუშებს ვეხმარებოდი ასფალტის დაგებაში. შინ დროზე მივედი, ხელ-პირიც უკვე დაბანილი მქონდა. ვისადილე, მაგრამ დედაჩემის ღუმელი არ მომეწონა. ვერც ეზოში გავჩერდი. სამზარეულოში გავედი და თევშები დავრეცხე. დედაჩემი, ვითომც არაფერიაო, სადღაც ჩემს მიღმა იცქირებოდა. ისევ არ მომეწონა მისი ღუმელი. მაგიდას მივუჯექი და ხმამაღლა დავიწყე გაკვეთილის ზუთხვა:

„სპოზორანოკ, მოი რუბანოკ,

ლებედ, ლებედ მოი რუდნოი...“

ამანაც არ გასჭრა. საათის პატარა

ისარი კი აუღელვებლად უახლოვდებოდა ხუთს.

მამაჩემმა ძალიან მწარედ მცემა, ქამრით.

ჰოდა, ასეთი ღუმელი დამხვდა მსახურშიც.

კლუბის კედელზე განცხადება:

„ღმს, 24 ივლისს, შედგება კომპაზიონის ღია კრება.

ღმის წესრიგი:

1. ალკა რიგაზი მიღება
2. სპორტანოზიონი საკითხები
3. ალკა წმინდის პარსონალური საკითხი

ალკა ბიურო

არავისთან გამოლაპარაკება არ მინდოდა, ძალზე სერიოზულად ეკავათ თავი.

კართან მოვკალათდი ზურგმოქმულ სკამზე.

„... სპოზორანოკ, მოი რუბანოკ“, სულ ამას ვიმეორებდი, ვიდრე კრების ორი საკითხი არ მომთავრდა. თან ვცდილობდი ირონიული ღიმილი მქონოდა — ვითომც აქ არაფერიაო.

...შოთა ვლადიმერის ძე წერეთელი, დაბადებული 1944 წელს, ალკა წევრი, საშუალო ტექნიკური განათლებით, ელექტროტექნიკოსი, უცოლომეილო. ჩვენს ორგანიზაციაში ირიცხება 1965 წლიდან. ამხანაგ შოთას ჩვენ ყველა ვიცნობდით, როგორც კარგ კომკავშირელს, კეთილსინდისიერ და საქმისადმი ერთგულ მუშაკს. ყველასათვის ცნობილია მისი ორი უკანასკნელი რაციონალიზატორული წინადადება, რომლებმაც დიდძალი თანხა დაუზოგა ჩვენს წარმოებას. მით უფრო საწყენია ჩვენთვის, მისი კოლექტივის წევრებისათვის, დღევანდელ კრებაზე ამ საქმის განხილვა, მაგრამ ერთმა გარემოებამ გვაიძულა სხვა თვალით შევვხედოდა ჩვენი ამხანაგისათვის. ჩემს წინ, აი აქ, მაგიდაზე დევს სახარტულის ძმების კოლექტიური განცხადება. მის შინაარსს გავაცნობთ მოგვიანებით...“

...კლუბიდან რომ გამოვევარდი, ქარ-

მა გამიწეწა ოფლიანი თმა. ეზოში ინ-  
დაური მიერეკებოდა წიწილებს. კლუ-  
ბიდან, ძალიან შორიდან მესმოდა თავ-  
მჯდომარის განწირული ყვირილი:

— შოთა!

— ამხანაგო წერეთელო!

— მიქაძე, ბუთხუზი, სკვორცოვ,  
დააბრუნეთ წერეთელო!

საღამოს ბული ჩამოწვა, ჰაერი მძიმე  
და ნაცრისფერი იყო. ნელა მივდიოდით  
შინისაკენ და არაფერზე არ ვფიქრობ-  
დით.

ნელ-ნელა გონს მოვედი. მომაგონდა  
დედაჩემი. მინდოდა წარმომედგინა,  
როგორ შეხედებოდა იგი სახარგულს,  
მოეწონებოდა თუ არა ჩემი საცოლე  
ან ცოლი, თუ გნებავთ.

მერე მარტო სახარგულზე დავი-  
წყე ფიქრი.

ორი კვირაა სახარგული არ მინა-  
ხავს. მის შემდეგ, რაც ძმებმა ჩვენი  
სიყვარულის ამბავი შეიტყვეს, ეძალე-  
ბა მათ. ჯამალმა სახარგული თავის  
ნათესავებთან აიყვანა ყაჩაღანში. ძმე-  
ბი გაშმაგებით ეძებენ გოგოს, მაგრამ  
ჩვენ თუ არ ვუთხარი, აბა რას იპო-  
ვნიან.

საბარგო მანქანამ ჩამიქროლა.

— სალამ, — შემომძახა მძღოლმა  
და ხელი ამიქნია. თვალი მოვკარი,  
იცინოდა.

— ერთი შენც მოგცილია...

— „რატომ არ მომაკითხა დღეს ჯა-  
მალმა? „იმათ“ ხომ არ გადაეყარა?  
თუმცა სახარგულის ძმებს რა ხელი აქვთ  
ჯამალთან? ალბათ მიცადა, მიცადა და  
წავიდა, ან იქნებ სადმე ხის ძირას,  
ჩრდილში ჩაეძინა“.

მეორე კვირა ჯამალი ყოველ დი-  
ლით მაცილებს სამსახურში და დღის  
ბოლოს ისევ ქუჩაში მელიოდება.

მართალი რომ ვითხრათ, შინ მარ-  
ტო წასვლა მაინცდამაინც არ მიხარია.  
ჯამალისათვის არ გამიმხელა, რომ მე-  
შინია, მაგრამ იგი ალბათ თვითონ  
გრძნობს ამას და ფეხს მარტო არსად  
მადგმევინებს. ხანდახან ორლობეში  
დავლანდავთ ხოლმე სახარგულის

უმცროს ძმას: გვითვალთვალვებს. სულ  
მამამისის — ით-აბასის ქურდული და  
ბოლმიანი გამოხედვა აქვს. რაღაც  
ათიოდე წლისაა, მაგრამ სახარგული  
ამბობს, მომთავრებული ვაიძვერაო,  
დაგვინახავს თუ არა, იმწამსვე უჩი-  
ნარდება. ჩვენ ვიცით — უფროსი ძმე-  
ბიც საღაცა აქ არიან, მაგრამ ჯამა-  
ლის შიშით ვერ გვენახებოიან.

ჯამალი იცინის, მხარზე ხელს მარ-  
ტყამს, რკინის კუნთებს ათამაშებს.

დღეს კი დაიგვიანა ჯამალმა. გზაზე  
არავინ ჩანს (თუ მოედნამდე მივალწიე,  
მერე არაფერი მიჭირს).

პატარა ბიჭები წამომეწიენენ. კასრის  
დაქანგულ რგოლს მოაგორებდნენ.

— შოთა, შოთა, მოხარშულო ქათა-  
მო! — ერთბაშად დაიწყეს სიმღერა  
და სიცილით მიტრიალებდნენ ირგვ-  
ლივ. რიგრიგობით დავურიგე მზესუ-  
შირა. გამომართვეს, ხალათის ღილე-  
ბი კინაღამ დამავლოჯეს, მერე კვლავ  
აავორეს რკინის რგოლი და სირბილით  
გამშორდნენ:

— შოთა, შოთა, მოხარშულო ქათა-  
მო!

ეშმაკმა იცის, რატომ დამარქვეს ბა-  
ვშებმა მოხარშული ქათამი.

„რას აკეთებს ნეტავ ახლა სახარგუ-  
ლი? ხვალ კვირაა. ვთხოვ ჯამალს,  
იქნებ კიდევ ერთხელ ამიყვანოს ყაჩა-  
ღანში“... ეს გავიფიქრე და მაშინვე  
მოვკარი თვალი ით-აბასის ნაბოლარა  
ვაქს. ელექტრონის ბოძს ამოჭვარე-  
ბოდა და სიხარულით ფეხებს აბაკუნე-  
ბდა. მერე მოწყდა ადგილს და თამბა-  
ქოს პლანტაციამი დაიკარგა. წუთიც  
და მწვანე ლეროების ლაწალუწით გა-  
დმოაბოტეს შოსეზე სახარგულის ძმე-  
ბმა. ერთი, ორი, სამი, ოთხი... გადმო-  
ვიდნენ, გამხდრები, ძარღვიანები, ბე-  
ჭებში მოხრილები. ხელები ჯიბებში  
ჩაიწყვეს და ნელი ნაბიჯით გამოემარ-  
თნენ ჩემკენ.

შევდექი, ადგილიდან დაძვრას ვერ

---

**გურამ ხარაძე**  
ჯამალი, ზღაპრის შვილი



უახერხებლად. მუხლები მიკანკალეზდა, ჯამალი ვინატრე, მაგრამ სად იყო. ძილის წინ, ჩემს საწოლზე, რამდენჯერ მიფიქრია სახარგულის ძმებზე. რას არ წარმოვიდგენდი ხოლმე:

დაიწრიბინა სარკმელმა, ნელა მოაწვა ვილაც მინას. გაიღო ფანჯარა. ჩუმად, ქურდულად მოძვრებიან ჩემი მტრები, ხელში დანები უჭირავთ. უახლოვდებიან ჩემს საწოლს. მე თავი მოვიძინარე. მოდიან, მოიპარებიან და უტებ:

— აიტ, თქვე მხალეობო!

ერთმანეთს ასწრებენ სახარგულის ძმები. შიშით გზა ებნევათ და არხში ცვივდებიან. მე კი მელიმება მათ სიძულადეზე და საწოლში ვწვები.

ანდა: მივდივარ ღამე სსაფლაოზე. ირგვლივ სიჩუმეა, შემზარავი სიჩუმე. ხეებსაც ეშინიათ ტოტების შენძრევისა: იციან — ეხლა დაიდგება სისხლი, ჩემს უკან ბალახზე მოცოცავენ ით-აბასის ვაჟები. ხელში პატარა ნაჯახები უჭირავთ. მე მივდივარ, ვითომ ვერ ვამჩნევ მათ და უტებ:

— აიტ, თქვე მხალეობო!

ერთმანეთს ასწრებენ სახარგულის ძმები. ვიშივით გარბიან, გზა ებნევათ და ორმოში ცვივდებიან, მე ვხარხარებ...

— გადმოდი პლანტაციოში, ...! — სისინით მიბრძანა ერთმა.

მე ისევ უძრავად ვიდექი და თვალეზში ვუტკერდი მათ.

— ვის ეუბნებიან, გადმოდი მალე! — თქვა მეორემ და მხარზე წამკრა ხელი.

ყელი გამიშრა. ჩემი ხმა ველარ ვიციანი.

— რა მინდა პლანტაციოში... რისი თქმა გინდათ... მე თქვენთან საქმე არა მაქვს...

ერთნაირად დაემანჯათ სახე. მიძიმედ სუნთქავდნენ, აქეთ-იქით იცქირებოდნენ, როგორც ჩანს, ვინმე გამვლელის გამოჩენას ერიდებოდნენ.

— საქმე არა გაქვს? — თქვა ერთმა...

— სახარგულთან გაქვს საქმე... თქვა მეორემ.

— სახარგული... — თქვა მესამემ...

— გადმოდი, გადმოდი, — წკმუტუნით შემომეპატიჟა ყველაზე პატარა...

ისევ წამკრეს მხარზე ხელი. მერე ღონივრად მომქაჩეს სახელოზე, უფროსმა რაღაც ანიშნა ძმებს. „პლანტაციოში ცემით მომკლავენ“... ეს გავიფიქრე და მთელი ძალით დავტრყინიკაპში ერთს. წამი, და ერთ-ერთი მათგანი ასფალტზე გაიშლართა.

• ტაკ, ტაკ — მოკლე, გემრიელი დარტყმები, ყრულ ჭახუნობს ღრანჭები.

ტოტა ხანიც და მე მიწაზე ვეგდე. ჩექმები, მძიმე, ნეხვში ამოსვრილი ჩექმები მიტრიალებენ თვალწინ.

გზაზე კაცი არ ჩანდა. უკანასკნელი რაც დავინახე, ვიდრე გრძობას დავკარგავდი, მათი უმცროსი ძმა იყო, ჩემს მკერდზე მოკალათდა და დინჯად დამიმინა თავში ვეებერთელა რიყის ქვა...

● პალატაში სამნი ვწევართ. ერთს ბრმა ნაწლავი ამოუჭრეს, მეორე ხიდან გადმოვარდნილა და ფეხი მოუტეხია. ცალი ფეხი ჭერიდან ჩამოშვებულ ტროსზე აქვს დაკიდებული.

მესამე მე ვარ. თავი, სახე, ფეხი, ხელები დაბეჯილი მაქვს. ფერდები მტკივა. მესამე დღეა, საავადმყოფოში ვწევარ. აგილა და ზულეიხი დღეში რამდენჯერმე მოდიან. გუშინ საღამოთი აგილას ვაჟები იყვნენ — მაჰმუდი, ილაითი, ვაგიფი, აბდულა. დიდხანს მათვალეირეს, რაღაცას ჩურჩულებდნენ. მერე მაჰმუდმა მილიციელის ქუდი დაიხურა, ხელი ჩამომართვა და მანუგეშა:

— ეგ არაფერი, შოთა, მაგრამ სახარგულმა თქვა. გალახული ქმარი აღარ მინდაო. სანამ კიდევ ერთხელ არ ეჩხუბება ჩემს ძმებს და ვაკეაკობას არ დამიმტკიცებს, ახლოს არ მომეკაროსო...



აბუხუხუნდენ, ახითხითდენ, გამ-  
ხიარულდენ აგილას ვაყები. იმათ შემ-  
ხედვარეს მეც გამედიმა.

— გინდა, სარკეში ჩავახედო, შო-  
თა?! — სიცილით იხრჩობოდა ვაგიფი.

— ბავშვებმა შენი კბილები აბო-  
ქეს და სახარგულს გაუგზავნეს ასან-  
თის კოლოფით, — ჭიხვინებდა იდაია-  
თი...

— ყიზილაჯოელები შენი ძეგლის  
დადგმას აპირებენ სოფლის მოედან-  
ზე... — ველარ ჩერდებოდა აბდულა.

მეც გულიანად ვიციხნოდი. მერე ზუ-  
ღიხანი შემოვოგმანდა ბალატაში,  
დაუტატანა, დაუცაცხანა შვილებს და  
დერეფანში გარეკა.

ერთი კვირის შემდეგ გაჭირვებით,  
მაგრამ მაინც დავიწყე ოთახში სიარუ-  
ლი. მნახველები მოდიოდნენ და მო-  
დიოდნენ. სახარგულიც იყო რამდენ-  
ჯერმე. ჩემკენ არ იყურებოდა, სიტყვა  
არ ამოუღია, ისე იჯდა სკამის კიდე-  
ზე. მეც ხმას არ ვცემდი. აბა რა უნდა  
მეთქვა?

ჯამალი კი ერთხელაც არ გამოჩე-  
ნილა.

გუშინ ვაგიფე — თხუთმეტი დღის  
პატიმრობა მიესაჯათ ით-აბასის ვაყე-  
ბის გალახვისათვის. ძმას, მაჰმუდს,  
თვითონ წაეყვანა მოტოციკლეტით  
მილიციაში (ჯამალს მაჰმუდის უბანში  
უქნია ჩხუბი).

სახარგულის სამი ძმა, გვერდით სა-  
კანში მჯდარან. მათი სასამართლო სულ  
მალე იქნება. რას მიუსჯიან, არ ვიცი.  
ამბობენ, თუ მე ისევ უარი ვთქვი საქ-

მის აღძვრაზე, შეიძლება მათაც თხუთ-  
მეტი-თხუთმეტი დღე აკმარონო. საცაა  
ჩემი ცოლისძმები გახდებიან, ალბათ  
არ ვუჩივლებ.

ფანჯარასთან მივედი და ქუჩას გა-  
დავხედე. ბავშვები არხში ქვებს ყრი-  
დნენ.

— ეი, რას სჩადიხართ!

შეცბნენ... ჩემკენ მოიხედეს.

— შოთა, შოთა! როგორა ხარ, შო-  
თა!

— შოთა, შოთა, მოხარშული ქათა-  
მო!

ლამდება. იბინდება აგილას ზღაპრუ-  
ლი ქალაქი. ალბათ იქ, ქუჩის ბოლოს,  
სამოვარის პრილა ზედაპირზე იმან-  
ჭებიან იფრიტები და ჯინები. კენესის  
თარი, ღულუნებს ქიამანხა.

მე ოცდასამი წლის ვარ. სახარგუ-  
ლი — ცხრამეტის. რამდენიმე თვეში  
შეგვეძინება ბიჭი, ჯამალი; ჯერ ერთი  
დღის იქნება, მერე ორის, მერე სა-  
მის. გაიზრდება და ვინ იცის, იქნებ  
ვერც გაიგოს, რა კაცი იყო ბაბუამისი  
ან რა ძმები ჰყავს ღეღამისს.

ცაზე ამობრძანდა ნახევარმთვარე,  
ააყეფა სოფლის ქოფაყები. მე ისევ  
გავცქეროდი ღია ფანჯრიდან ზღაპ-  
რულ მხარეს. „...ყაჩაღთა მეთაური  
დაეთანხმა გაეთავისუფლებინა იგი,  
მხოლოდ იმ პირობით, რომ აქ აღარ  
დაბრუნდებოდა. და აი, უცხოელმა  
დააღწია თავი ხიფათს, დაიფარა იარე-  
ბი და უქნებლად დაუბრუნდა საყვა-  
რელს!..“



## მ ა მ უ ლ ი

მაშინ ორთავე დამიდგეს თვალი,  
ნურც გამითენოს,  
ნურც დამიღამოს, —  
რომ ვსვა ეგ შენი ანკარა წყალი  
და ცოტა გულზეც არ დავიღვართ.

მაშინ ამ ქვეყნად ნუ მექნას პირი,  
ამაზე მეტი დღე ნუ მომეცეს —  
მოვიდგა თასი — სავსე მაგ ღვინით  
და გულზე წვეთიც თუ ჩამომექცეს.

მაშინ დამეზას მეტყველი ენა  
და მკვდარსაც მიწა წამერთვას ადლი, —  
ძვალსა და რბილში თუ არ მაქვს შენი  
ყოველნაირი ფასი და ყადრი.

●

მართლაც კარგია წყნარი ღამე,  
ჩემო ღამურავ,  
ცაზე ვარსკვლავი რომ ციმციმებს  
უღიმღამო რამ;  
სძინავს ყველაფერს,  
რა კარგია, რა საყვარელი —  
ტრიალებს სუნთ  
გრილი მიწის, გრილი ყანების.  
გრილია ჩალაც,  
ვწევარ რბილად და საამურად;  
მარტო მე და შენ გვღვიძავს ახლა,  
ჩემო ღამურავ.  
სთვლემთ კრულალებსაც...  
და ბუნების გაუთავებელ  
რალაც ჯადოსნურ ძილისპირულს უნანავებენ.  
სძინავს ყველაფერს...  
და გგონია თუ გეჩვენება —  
შენ გაბარია ეს სიმშვიდე და მოსვენება  
და დაძაბულად  
გუშაგივით ფხიზლობ, იცი, რომ  
მიწამ და ზეცამ  
ასე მშვიდად უნდა იძინოს.

სიო თუ ატყდა,  
 ან თუ მოწყდა ხიდან აყირო —  
 უნდა წამოდგე, თავი უნდა წამოაღირო;  
 მაგრამ უეცრად:  
 ღამის ბინდში ომახიანად  
 ღლინ-ღლინით გზაზე მგზავრმა თუ ჩაიარა, —  
 გაგეხარდება  
 და იქცევი სულ სხვა ხალისად: —  
 თითქოს  
 დროებით  
 ვინმე  
 გცვლიდეს  
 გუშავს ღამისას.

## ს ს ე ნ ი

ერთი წელია  
 ერთი სიტყვა არ დამცდენია,  
 ერთი წელია გაგტეხე ჩვევა...  
 გულში ვიწურდი,  
 რაც მიხნავს და რაც მიცელია, —  
 ლობიოს ცეხვას,  
 კვირტის მყნობას,  
 სიმინდის რჩევას...

ამდენი ხანი ვაგროვებდი აყალოს თურმე,  
 ქვაკუთხეებით ვაშენებდი იწილ-ბიწილოს;  
 გამოვედევნე მეთივის ურმებს  
 და გრილ თივაში გამოვიძინე.

მაინც სხვაგვარი ამოსულა თურმე ბალახი  
 და პატრონი ვარ სულ სხვა ქონების.  
 ამდენი ხანი კარზე მადგა ცხენი მალაყით,  
 ზედ გულისკარზე მიწას ტკეპნის თურმე ტორებით.

გავაღე კარი და ყელამდე ბალახში, თოვლში,  
 რომ არ იყვიროს, რომ არ მოშვიდეს —  
 თივა,  
 ბალახი,  
 ქათო და როში  
 დავუყარე და დავაშოშმინე.  
 და ერთი წუთით, ერთი წუთით გამიქრა თვალწინ  
 სულ ერთი წუთით დავიურვე და ვერ ვიხილე;  
 გადარეული კატაბარდით,  
 გვიმრით და ანწლით,  
 ზედ გულისკართან ისევ ჭიხვინებს...



## სიზმრების ქალაქი

პატარა ბიჭი ვიყავი,  
მეოცნებე და მკეცხარა,  
რატომღაც უცხო იგავი  
მეგონა ცა და ქვეყანა.

დღისით მზე მწვავდა თაკარა, —  
ოქროს სხივების ვარაყი,  
ღამით მართობდა პატარას  
თეთრი სიზმრების ქალაქი...

ყამირის ბროლის კოშკიდან  
ხევში ჩაფეხე დევები,  
მერე წითელი დროშითა  
თეთრებს ცხენდაცხენ შევები.

არსენა, გმირი არსენა  
ციხიდან გამოვაპარე,  
მღორე ურალის ტალღებში  
ვშველოდი დაჭრილ ჩაპაევს.

გველემშაპს წაგჭერ ცხრა თავი,  
წავართვი წყაროს სათავე,  
ხალხებს ვაწუქე მშვიდობა,  
დიდუდას ოქროს სათვალე.

დღისით დალილებს თამაშით,  
შებინდებისას მეტწილად  
თეთრი სიზმრების ქალაქში  
ჩემს გარდა ყველას ეძინა...

## „კ უ ბ ა რ ო ვ ო“

სიყრმის მეგობარს, ექიმ სერგო ქოიავას

სამი დღე და სამი ღამე  
გაფრენილი თეთრად,  
სტანიცები,  
ხუტორები,  
ტრამალები ვრცელი, —  
ცხრა მთას იქით დარჩენილი  
ვარძია და მცხეთა,  
თავსაფარში გახვეული  
მშობელ დედის ცრემლი.

ალვის ხეთა მწვანე სევდა,  
აი, ამ ცის ხელა,  
ცხენისწყალთან მოჭიკჭიკე  
ვარსკვლავების გუნდი,  
მეგობრები,  
მეზობლები,  
მოკეთენი ყველა,  
ყველაფერი ანაცვალე  
ჯარისკაცის მუნდირს.

აგერ გზაზე ნაცნობები  
თავს გიკრავენ მღაბლად,  
შენ კი თითქოს, არაფერი,


გზისპირ დგები უცბე,  
სულწასული მეკითხები  
საქართველოს ამბავს  
და რატომღაც სიტყვას ქართულს  
რუსულივით უქმევ.

ვიცი, კარგი კაცობის და  
კარგი გულის გამო,  
შენს მარჯვენას ლოცავს ყველა,  
შენს დასტაქრის დანას,  
სადამოქმად როცა სტეპზე  
გასჭიმავენ გარმონს,  
შენც მეგრულად უწყობ დიღინს:  
„დიღლაგოი-ნანა!“

პუგაჩოვო, პუგაჩოვო,  
ქარიანო დაბავ,  
ვესალმები ცისფერ ირგიზს,  
შენს უმადლეს ტაძრებს,  
ჩემს მეგობარს საქართველო  
თუკი მოენატრა,  
შენთან ისევ შენი ხალხის  
სიყვარულით გასძლეხ.

## კ ვ ი რ ტ ე ბ ი

ეს დღეც დადამდა,  
ვმღერი ყანაში  
და მე დავყურებ დაკოჟრილ ხელებს,  
ჩემთან დადექი და იგრძნობ მაშინ  
მიწის სურნელით გაჟღენთილ ფერებს.  
რა გემო დაჰკრავს,  
რა ფიქრით ფიქრობს,  
როგორ გგადელვებს  
და გვახალისებს,  
ან ვით ამოაქვთ მიწიდან სითბო  
ტყემლის კვირტებში გაშლილ მაისებს.





# აქვანი გზოზე თუთოს ქვეშ

მოთხრობა

ის-ის იყო წამოწვა, დასასვენებლად დაბანაკდნენ. ცეცხლის ხაზს სულ რამდენიმე კილომეტრით თუ იყვნენ დაშორებულნი. ცაზე მზე ანათებდა. გაცრეცილი, ნაცრისფერი ღრუბლები, სადღაც, აღმოსავლეთისაკენ მიფარფარებდნენ.

დედამიწა დათხრილი და ნაჭრილობევია. სიო არ იძვრის. მინდორი გარინდებულა.

წევს პირქვე. თაკარა მზემ მოთენთათუ ხანგრძლივმა, მომქანცველმა ფრონტულმა ცხოვრებამ. ყურებში ისევ ტანკის გრუხუნი უდგას.

— ბეჟან, შენს სახელზე ამანათია, ბეჟან!.. — ესმის და არც ესმის. სჯერა და არც სჯერა. წევს პირქვე. არც ინძრევა.

— ვილაც ხუმრობის ხასიათზეაო, — გაიფიქრა და გაბრაზდა, — ახლა რადროს ხუმრობააო? ამანათი ვისგან უნდა მომივიდესო. ვის რა დავუტოვეო. რცხვენია იმის გაფიქრებაც კი, რომ ობოლი ბიჭი ზედსიძედ შევიდა. მაშინ საცოლეს დედის დანატოვარი ორი შუბლის ქინძისთავი ჩაუღო ჩუმად მუჭაში. არავინ დაინახოსო. ერთი თვალდათხრილი ბეჭედიც კი ვერ აჩუქა იმ



გოგოს, შუბლის ქინძისთავეს ბაბა, სად გამოაჩენს, ახლა ვილა ხმარობსო. ყურთან ჩუმაღ კი უჩურჩულა, ყველაფერს მერე გიყიდი, გული ნუ გეტკინებაო. გოგომ დღმილი შეაგება, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი შენა ხარო.

ორი კვირის წინათ სიდედრი სწერდა. გულის ჯიბეზე ხელი იკრა. წერილი ხომ არ დამეკარგაო. არა, წერილი იქვეა... ასოები აქეთ-იქით მირბი-მორბიან. ბატიფეხურად დაუწერია ჩემს სიდედრსო. გაეღიმა, გარშემო მიმოიხედა, არავინ მიყურებდესო. წერილს დახედა. და, ვინ იცის, მერამდენედ კიდეც ჩაიკითხა:

— „...შვილო ბეჟან, მოგიკითხამ ნახვის ნატვრითა და პირზე კოცნით, მალღმერტსა და ძირს დედამიწას ვთხოვ შენს ჯანსაღად დაბრუნებას. შვილო ბეჟან, ახლა ერთი რამ უნდა ვახარო: ბიჭი შეგვეძინა და იცი, რა ბიჭია!.. ხოქიის არტახები ეხლავე დაგვიწყვიტა. ჩქარა აკვანში უნდა გადავაწვინოთ. ჩემი ფიქრით, ალი კვალი დედაა, მაგრამ ზოგიერთები შენ გამგვანებენ. იი, რა ვიცი, სიცოცხლე ჰქონდეს, ღმერთმა დიდი დღე მისცეს და ვისაც უნდა ჰგავდეს, სულ ერთი არ არის, ბიჭო!..

ჩვენებიანთ აბრია ამხირები, ომია დაუძახეო. მე კიდე ვეუბნები: ნანინა-ნატრად ნაშოვნი სიძე ომმა წამართვა, ვერც კი მოვისურვილეთ, შვილოშვილს ომიას დაუძახებ-მეთქი? მე მინდა იგეთი სახელი დაუძახო, შენც მოგეწონოს და მშვიდობა მოგიტანოს, აბა რა ვიცი, შენ რომელი სახელი მოგწონს? ეგებ როგორმე მოგვუწვდინო ხმა და ჰქვა. შენი წერილები იგვიანებენ. ვინ იცის, რა დღეში ხარ, გაქ კი წერილის დაწერის დრო ან ხალისი? ჩვენ კი გვინდა შენი წერილები ყოველ დღე მოდიოდეს.

შვილო ბეჟან, ჩვენი დაყრუბული სახლი ე ბაღშია აახშიანა, მინდა რომ ცოტა დიდხანს იტროს ხოლმე, აგრემც ბეზია ენაცვლება. ქვეყანამ გაიგონოს, ჩვენცა ვწერივართ ცოცხლებში-მეთქი. აბა მეტი რაღა მოგწერო. ე, გოგო კიდეც

შენს გზას გამოჰყურებს. ბაღს ხოჭობი ში ეჩურჩულება, ჩუმაღ, მამას სძინავს, არ გააღვიძო. ხან კი ჩასძახის: გაიხედე, მამა მოდის, მიეგებო...

„ბეჟან! შენს სახელზე ამანათია, ბეჟან!“ — მეორდება ძახილი. ახლა სხვა ეძახის.

— შენ რაღამ გაგაგოცა, რა დროს ხუმრობაა, ზაქრო, თუ ძმა ხარ!..

— ჩემმა მზემ, არ ვეხუმრები!

ძახილი მეორდება რუსულადაც.

— დამანებე თავი, რა დამიტოვებია, კაცო, რა ამანათი უნდა გამომიგზავნონ! — ჩილაპარაკა დარცხვენილმა, წერილი ისევ გულის ჯიბეში ჩაიდო. დიდი შეიკრა და ისევ პირქვე მიწვა.

— ნეტავ როგორი ხარ, შვილო! ნეტავი ერთი თვალი მაინც დამაკრევენა შენთვის! — თითქოს მიწას ჩაბღავლა, ნატყვიარსა და ტანკებისაგან გადათქერილ მიწას. იმ დამეს მოეწვიმა. ნამს ბალახი ზოგან ცოტად მოეცოცხლებინა, წამოეყენებინა. ბალახს ხელი გადაუსვა, შემხმარი ტალახი ფრჩხილებით მოაცალა.

გარშემო ყველა ფუსფუსებდა. ზოგან ცხელ საუზმეს ამზადებდნენ. ზოგან ბარაკებს აწყობდნენ. იპარსავდნენ, იბანდნენ; ის კი მოღუნებულიყო. ხალისი დაჰკარგოდა, შავი წვერ-ულვაში სახეს ხავსივით მოსდებოდა. ისედაც შავი, ქარსა და მზეს უფრო გაეშავებინა.

— ბეჟან!  
— ჰაუ!

— ადე, კაცო, შე, მართლა ბოღბელო, შენი ამანათი მე არ გამომატანეს. პატრონი მოვიდესო. შენი სიდედრი თადარიგისი ქალია, ყელის ჩასაკოკლო-ზინებელი შეაპარებდა რასმე.

— უჰ, შენი!.. წამოიწია ბეჟანი. ტანკისაგან ამობრუნებულ გორახს ხელი დაავლო და ესროლა. ზაქრომ იმ წუთში თავი წინ გადახარა.

— ამცდა შენი გამოსროლილი „ყუმბარა“, ვერა ხარ კაი „სნაიპერი“ —

**ქეთო ხაჩიაშვილი**  
აკვანი მფიზე თუთის ძვეს

ხოხვით მიცურდა, სწრაფად წამოიშარ-  
თა. მხრებში ჩაავლო ხელი და წამოაყე-  
ნა ჯმუხა ჩასხმულმა ბიჭმა.

— შე ბოდბელო, ზურგზე უნდა მო-  
გიკიდო და ისე მიგიყვანო იმ წვერცა-  
მეტა ფოსტის გამგესთან?

სამი ქიზიყელი ერთ ნაწილში იყვნენ.  
მშვიდობიანობის დროს ტრაქტორისტე-  
ბი ომმა ტანკისტებად აქცია. ბეჟანა  
ბოდბელი იყო, ზაქრო — მალაროელი,  
დავითი — ჯუგანელი; ერთი მეორის  
მშველელი და მოიმედენი.

— ნუ მებღლაძუნები, აი მოვდივარ!  
რას გადამიკიდე ძველი ხურჯინივით! —  
ისევ ჩაიმუხლა, ზღაზვნით შემოიხვია  
ფეხსახვევები, ტალახიანი ჩექმები მი-  
წას დააბერტყა და ახლავა შეხედა ზაქ-  
როს.

— ბიჭოს, მოგისწრია გამოლამაზე-  
ბა! იქ ფოსტის მანქანაზე ხომ არავინ  
მიგელის!

— აბა, შენსავით შეგაჯრულმა რო-  
დემდი უნდა ვიარო! „ჩორნა“ ტყუილად  
კი არ შეგარქვეს.

— სად არის ფოსტის მანქანა?

— სიტყვას ბანზე რად მიგდებ? — აი  
აქ!... ყურის ძირზე მიიღო თითი ზაქ-  
რომ. — მეთაურს უთქვამს, ჩვენს ბი-  
ჭებს ნამდვილი დასვენება უნდა მოვუ-  
წყო, ყველაფერი ეხლავ ჩამოურიგეთო!  
კიდევ კარგი, თვალი ვერსად მოკვრა,  
შეგახურებდა, ხომ იცი, რასაც გეტყო-  
და: რას დამსგავსებულხარ, ცეცხლფა-  
რეშად უფრო გამოდგები, ვიდრე ტან-  
კისტადო, — ღიმილით ეუბნება ზაქრო  
და კონსერვის ყუთში ჩარჩენილ საპნი-  
ან წყალსა და ჩლუნგ სამართებელს უჩ-  
ვენებს.

ამანათის მიღებაზე ხელი მოაწერა.  
ყუთისათვის არც შეუხედა. ისევ გულ-  
თან მოისვა ხელი, შეამოწმა, წერილი  
იქვეა თუ არაო. უხალისოდ მიჰყვა ზაქ-  
როს. მან კი ჯიბის დანით გზადაგზა  
დაუწყო ლურსმნებს ამოძრობა. სული  
ელეოდა, სანამ ყუთში ჩაიხედავდა, სა-  
ხურავს კუთხე აუწია, ჩაიჭვრიტა.

— უჰ, შენი გულისა!.. რა სუნი ამო-  
დის!.. — ბეჟანა იმავე ადგილზე წამოწ-

ვა. შუბლი ცივ ქვას დაადო. ზგჰრრრ  
ისევ წამოიწყო.

— ვერან, აჰა!.. — თავახდილი ყუ-  
თი კინალამ არ გადმოაპირქვავა. რალა  
არ იყო შიგ. პატარა ყუთს მისი სახლის,  
სოფლის, მისი სამშობლოს ბაღ-ვენახე-  
ბის სურნელი გამოჰყოლოდა ამ სივრძე  
გზაზე. ბეჟანმა უხალისოდ გადახედა.  
გადაკეცილ ქალღედებს მოჰკრა თვალი  
და გამოცოცხლდა, კატასავით ეცა,  
ფურცლებიდან სურათები ჩამოცურდა.  
ქარივით აიტაცა. — ჩემი ბიჭი! — ერ-  
თი კი შეჰყვირა, აენიო, სქელი წარბები  
ისევ კუშტად შეჰყარა. უღელმამოდ  
გაზრდილ ბიჭს ობლის მწარე ცხოვრე-  
ბამ ყველაფერში თავშეკავება ასწავლა.  
ყველაფრისადმი გულგრილობას მიჩ-  
ვია. ახლაც უეცრად, ნიაღვარივით მო-  
ვარდნილი სიხარული გულში ჩაიხვია.  
ხელბში შერჩენილ სამ სურათს რიგ-  
რიგობით ხარბად დაჰყურებდა. სამივე  
სურათი მოსწონდა. ვერ ძღებოდა მათი  
მზერით.

აი, ისიც, დიდი ტოტებგაშლილი თუ-  
თის ხე. იამზე ისევ ისეა, იმ თუთასთან,  
როგორც მაშინ, პირველად რომ ნახა.  
ზურგსუკან წაუღია ხელები. თავით თუ-  
თას მიყრდნობია. აკვანს კი არ დასცქე-  
რის. პო, იცის ბეჟანამ. იმ მომადლო  
ადგილს უყურებს, მისი დედ-მამის ნა-  
სახლარს. ის დღე და ის წუთი ბეჟანა-  
საც ყოველთვის ახსოვს. თავისი დედ-  
მამის ნაეზოვარ-ნასახლარზე მოწყენილი  
მარტოხესავით რომ იღვა და აღარ იცო-  
და, საით წასულიყო.

კოჯრის საბავშვო სახლში გაზრდილმა  
ბიჭმა სატრაქტორო კურსები დაამთავ-  
რა. გულმა თავის სოფლისაკენ გაუწია.  
რა დაინახა, ნასახლარის საძირკველიც  
კი ქარისაგან მიყრილ მიწას დაეფარა,  
მტკივნეული იარა კვლავ გაეხსნა, ეგო-  
ნა ხელმეორედ დავობლდო, მაგრამ აი  
იმ გოგომ, იმ თუთის ხესთან რომ იღ-  
ვა, იმან დაუბრუნა თავის სოფელს.

იღვა ნასახლარზე და ფიქრობდა: ვის-  
თვის და რისთვის მოვედი აქ. ის იყო  
წასასვლელად ნაბიჯი გადადგა, მაღალი  
ღობის იქიდან სიცილ-კისკისი შემოგს-

მა. თუთაზე გასული ორი გოგონა თუ-  
თას ბერტყავდა. ნაბიჯი შეაჩერა, იქით  
მიბრუნდა. უფროსებს ძირს გაშლილი  
ფარდაგი ექირათ, ვიღაცა განკარგულე-  
ბას იძლეოდა:

— თქვე გასაწყვეტებო, ჩქარა დაჰკა-  
რით ფეხი აი იმ დიდ ტოტს, სული ნუ  
დამალევიანეთ! — ეს იყო მაღალი, მოზ-  
დენილი ქალი. ბეჟანმა წარმოიდგინა  
თავისი დედა და ძალაუფლებურად მას  
შეადარა. ბიჭმა არ იცოდა, რომ ხვარამ-  
ზე სოფელში ცნობილი კარგი მოლა-  
პარაკე, კარგი მოტირალი იყო. ჩვენში  
ხომ ჭირსა და ლხინსაც თავისი ლაზათი  
უნდა.

გაშლილ ფარდაზე მწიფე თუთა ტყა-  
პატყუბით ცვიოდა. ორი გოგო კისკი-  
სით ურტყამდა ფეხებს ქვედა, დაბლი-  
თა ტოტებს, ხოლო კენწეროებს ხელით  
აქანავებდნენ.

— ვიშ, ქა!.. ვიშ, ქა!.. ნეტავი გამაქ-  
რო, თქვე გასაწყვეტო, თავზე, თეთრ  
მოსახვევზე კი ნუ მაბერტყავთ, ფარ-  
დაგს დაუბირისპირეთ! — ისმოდა შაშ-  
ვის ჭახჭახივით მკაფიო ხმა.

— დედა, შენ შეუშვირე ფარდაგი,  
ტოტებს ჩვენ ხომ ვერ ვადავწევთ ფარ-  
დაგისაკენ? — ჩამოსძახოდა ნაწნავები-  
ანი გოგონა. მოტეხილ ტოტზე წამო-  
დებული ნაწნავი ხელით მოაშორა და  
ზურგზე გადაისროლა. სწორედ იმ დროს  
გაიხენდა მალღობისაკენ. გაუკვირდა. იქ  
არავინ არასდროს ენახა. ნეტა ვინ არი-  
სო? — გაიფიქრა და თუთიდან ჩამო-  
ცოცდა.

- დედა, ვინ არის ის კაცი?
- აბა, სადა, გოგო?
- ქორიანთ ნასახლარზე დგა.

— მართლა, ხვარამზე ძალო! — დაუ-  
დასტურა მეორე გოგომაც და ისიც ჩა-  
მოცურდა თუთიდან.

ხვარამზემ ფარდაგი ძირს დაუშვა.

— ანა, ამჯერად ვიმყოფინოთ, არა?  
— შესძახა მეორე ქალს. ანა დათანხმ-  
და და მწიფე თუთით მოფენილი ფარ-  
დაგი ძირს დაუშვეს.

ხვარამზემ თავსაფარი შეისწორა. კა-  
ბის კალთები შეიბერტყა. ღობეს მიაღ-

გა. მარჯვენა ხელით თვალები მოიხი-  
ლილა.

— ეს კაცი კი არა, ბიჭია, ნეტა ვინ  
იქნება? ყლორტივით კი არის აზრდილი  
და... ქუჩიდან მოუარა, ბიჭს წინ დაუდ-  
გა.

- რომელი ხარ, ბიჭო?
- ვასოს ბეჟანა ვარ!

— რა კარგი ვაზრდილხარ, შვილო!  
კარგია, რომ დაუბრუნდი შენ სოფელ-  
ქვეყანას! — მიეაღერსა ხვარამზე. შენი  
ცხონებული მშობლებისაგან კარგის მე-  
ტი არაფერი მახსოვს. მოდი ჩვენთან,  
დაისვენე, მანდ რა საწყალი დედაშენი  
მემოგებებება რა!.. — რა ტკბილი ქა-  
ლი იყო, ტკბილი მეზობლობაცა გვქონ-  
და, რომ სწყენოდა რამე, რა, ხმას ამოი-  
ღებდა?.. უწყინარი იყო ანგელოზივით.  
— ხვარამზემ ბიჭს ხელი ჩამოართვა,  
დაუკვირდა და გაიფიქრა: დედისა ეს  
მშვენიერი ცხვირი და გაბუტულივით  
ამოზურცული ტუჩები გამოთყოლია, მა-  
მისა—სქელი ვადაბმული წარბები და ნა-  
პერწყლიანი თვალებიო. ხვარამზე იმ-  
დენს ელაპარაკა, რომ ბიჭს შეკრული  
წარბები ნელ-ნელა გაეხსნა და აბუსუ-  
სებულ ტუჩების კუთხეში ღიმილი აუ-  
თამაშდა. ლაპარაკ-ლაპარაკით შემოიყ-  
ვანა ეზოში და თუთის ხისაკენ გაუძღ-  
ვა. იქ მყოფთ თვალი მოავლო და დაუ-  
ტატანა:

— ვიშ, ქა, რამ გაგაშეშათ, ვერ იცა-  
ნით, ეე ბიჭი? ქორიანთ ვასოსია. ამას  
წინათ არ ამბობდნენ, კარგი ტრაქტო-  
რისტიანო და გაზეთში გამოუცხადებია-  
თო. რას გაშეშდით, მოიტანეთ სკამი.

— შენ გამრავლდი, შვილო, ამ ბინა  
ყოფაზე, აღარსად წახვიდე, შენი კარგი  
მშობლების დანაკლისი სიცოცხლე შენ  
გემატოს! — ჩამოლოცა მეორე ხნიერმა  
მეზობელმა ანამაც და ხელი ჩამოართვა.  
პატარა, მხრებში მოხრილი დაღეული ქა-  
ლი დაბლიდან შესციცინებდა ამ მართ-  
ლა ყლორტივით აზიდულ ბიჭს. ციუ-

**კეთილ ხაჩიაშვილი**  
აკვანი მწიფე თუთის კვეშ



რიმ სკამი მოუბრუნინა. იამზემ თეფშით თუთა შესთავაზა. ბიჭმა თავი დახარა.

— გამაღობოთ! — ჩაიდუღუნა. მისი სიტყვები ამობურცულ ტუჩებს არც კი გასცილებია. მაგრამ გოგონებმა კარგად გაიგონეს.

ხვარამზემ სკამზე თითქმის ძალით დასვა. თეფში ხელში შეაჩჩია.

— ჭამე, შვილო, ჩვენი სოფლის ხილუული, ვინ იცის, რამდენი ხანია გემოთი არ გინახავს.

გოგოები ისევ თუთის ხესთან მივიდნენ და ზურგით აეკვრნენ. ორი წყვილი თვალი ბიჭისკენ ისრებივით იყო მიმართული. რაღაცა ძალამ ზევით აახედა. იამზეს გრძელი წამწამებით მოჩრდილული თვალები შემოგება. ბიჭი უცბად აენთო. მზერა თუთით სავსე თეფშზე გადაიტანა. ერთი დიდი მწიფე თუთა პირში ჩაიდო. ამობურცული ტუჩები ბავშვივით გააწკლავუნა. ეტკბილა, ეამა. ნელ-ნელა თეფში გაანახევრა. ერთხელ კიდევ გადახედა თუთის ხეზე აკრულ გოგოს და წამოდა.

— გამაღობოთ!.. — წაიდუღუნა. ნაბიჯი ვერ გადადგა. ამ ლამაზმა მოგონებამ ელვასავით გაუბრინა თვალები. იამზეს წამწამებმა სამუდამოდ მიმაჯაჭვა ამ ეზო-ყურესო, — ხშირად იტყობდა ხოლმე.

ახლაც ფიქრით იმ ეზო-ყურეს დასტრიალებდა.

თუთის ჩრდილში აკვანია. აკვნის აქეთ იგივე ფარდავია დაფენილი. ზედ მისი შვილი წამოუგორებიათ. ბიჭს მარჯვენა ხელი აუწევია, გაცეხებული თვალებით შეჰყურებს ვიდაცას, ალბათ ფოტოგრაფს; იმან რაღაც გააჩხაკუნა და მიიპყრო ბავშვის ყურადღება. ბეჟანა კი ირწმუნებოდა, მე მიყურებსო.

— ერთი შენი ხმა გამაგონა, შვილო! — წამოსცდა ხმაძალა. კვლავ აენთო. სურათი ტუჩებთან მიიტანა. კაცის სურვილი მართლა აუცხებელი საწყაულია, აქამდე ნატრობდა, ერთი შენი თავი დამანახაო, ეს სურვილი სურათმა შეუსსრულა, შვილის სახე დაინახა. ახლა

სხვა სანატრელი აეტორილა. მისი ხმის გაგონება, მისი ხელის შევსება მკერდში ჩახუტება მოესურვა.

მეორე სურათში მისი შვილი დედას ჩაეხუტებინა. ბიჭს მარჯვენა ხელი ვაშვარილი ჰქონდა. ორივენი ბეჟანს შეჰყურებდნენ თვალებში, თითქოს ეძახოდნენ: — ჩქარა მოდი, მამიკო! — იამზე ცოტა გამხდარი და მინახებულნი ეჩვენა. ბიჭი ბურთივით იყო ჩამრგვალებული. მესამე სურათს აკვირდება. იქ მისი სილდერი აკვანს მიჯდომია. ბიჭს არტახიდან ხელები ამოუღია. მარცხენა ხელით აკვნის კამარაზე ჩამოკიდებული მძივი ჩაუბლუჯავს, მარჯვენა ხელი ზევით აუწევია.

დედასავით კეთილი, თბილი თვალებით შემოჰყურებს დედის მაგიერი და თითქოს ესმის, როგორ მარცვლავს წერილს:

„შვილო ბეჟან, მოგიკითხამ ნახვის ნატვრით და პირზე კოცნით, მაღლა ღმერთსა და ძირს დედამიწას ვთხოვ შენს მშვიდობით დაბრუნებას. ახლა თუ ჩვენ ამბავს იკითხავ, ვართ, ვცოცხლობთ, ყველაზე მეტი დღეები ხომ შენა გქონდა, ავრემც შენს მარჯვენას ენაცვალე, შენი ნამუშევარი სულ წმინდად მივიღე. კოლექტივმა ცოტა დახმარებაც გავგიწია.“

შვილო ბეჟან, ახლა ერთი რა უნდა გახარო, ფოტოგრაფმა ჩამოიარა, სურათები გადავიღეთ და შენი ბიჭის სახეს გიგზავნით. ვინც წლით იზრდება, ეს დღით იზრდება, ენაცვალოს ბებია! ხომ ხედავ, როგორ გასუქდა. ხელში ძლივს ვიმაგრებთ. აკვანში ჩაწვენა არ მოსწონს, ხელებს რომ ჩაუყრავთ ხოლმე, ისეთს ვასწივებს არწივივითა, ამბობენ ნამდვილი ქორიანთიაო. ნეტა იმის ღირსი გამხდარიყო საწყალი დედაშენი...“

წერილის კითხვის დროს რაღაცა ძალამ აახედა. სიცილი წასკდა. ზაქრო მგლოვიარესავით იჯდა გახსნილ ყუთთან და საცოდავად დაჰყურებდა ყუთში ჩალაგებულ ნუგბარს. ხან კი წერი-

ლის კითხვაში გართულ ბეჟანს გადახედავდა.

— ხა, ხა, ხა, ხა! — ახარხარდა ბეჟანი. — აი, ჩემი ბიჭი! ეს ამანათი ჩემმა ბიჭმა გამომიგზავნა. სურათები ცალცალკე მიაწოდა. ახალა მოათვალერა წედან უარყოფილი საპნიანი კონსერვის ყუთი და ჩლუნგი სამართებელი.

— კარგი პეწენიკი სიდედრი გყოლია, შე ვაგლახო, რა გაქ სადარდო. ნეტა ერთი დედაჩემის მუდარა შემესმინა და მეც მომეყვანა იი გოგო, ხო მეც გამომიგზავნიდნენ შვილის სურათებს.

— გეყოფა ვალოზა, წადი ბიჭებს დაუძახე, შენებურად დატრიალდი. მაგას ყურება კი არა, ჭამა უნდა, — იცინოდა ბეჟანი.

— ხილის ჭამას გადავეჩვიე, „შინაურებს“ დაუძახო?!

— როგორც გინდა! — ბეჟანმა სამივე სურათი წინ დაიწყო. სარკის ნატეხში ჩაიხედა. შეჯავრული სახით და დაღლილი თვალებით ვიდაცა შემოჰყურებდა. — ეს მგონი მე უნდა ვიყო, არა! — გაესაუბრა იმ დაღლილ თვალებიანს, — როგორ გაგფხიკო! — სარკის ნატეხი ბელტზე მიაყუდა. პირის პარსვას შე-

უდგა. ცალი თვალით სურათებს დაჰყურებდა, ცალი თვალით სარკის ნატეხში იყურებოდა. სახე რამდენჯერმე გაიბალთა. „შინაურებმაც“ არ დაიგვიანეს.

— ზაქარ, ეს სამართებელი კი არა, თოხია, აჰა, კარგად შეინახე, ბერლინამდე იქნებ კიდე დაგვჭირდეს!

— ბეჟანს ბიჭი მოუვიდა სანახავადო, გამაცანი შე ღმერთაღლო! — დასჭყვივლა ჯუგაანელმა დათამ და სურათებს დასწვდა. დანარჩენებმაც კისრები წაივრძელეს. სურათი ხელიდან ხელში გადადიოდა. სიამოვნებით ხითხითებდნენ. ყოველი მათგანი ირწმუნებოდა, ბეჟანას ბიჭი მე მიყურებსო. ეს მარჯვენა ხელი იმიტომ აუწევია, გამარჯვებას გვეუბნებაო, ხელს გვართმევსო! აკი წერილის ბოლოში მოხაზული იყო მისი პაწია მარჯვენა ხელი გაფარჩხული თითებით. თითებს შორის დახტოდნენ ასოები — „გამარჯობა, მამიკო!“

ის იყო შემოუსხდნენ გახსნილ ყუთს, იქაურობა გრუხუნმა შეაზანზარა. ცაში აღმოდებული შუშხუნები ავარდა. რამდენიმე ადგილას გათხრილი მიწა შადრევნებივით აიზიდა მალლა.

— განგაშია! — აღმოხდა ყველას.



ცხრაას პირველში, აგვისტოს ოცში, სიცილიის ულამაზეს მწვანე კუნძულზე, ის დაიბადა რკინიგზელის მყუდრო ოჯახში. მხაზველიც გახლდათ, დახლიდარიც, მონაგარიშეც. მშენებლობაზეც მუშაობდა ლუკმა პურისთვის... მან სიცილია მიატოვა თვრამეტი წლისამ, ხეტიალობდა მომთაბარე, მაძიებელი და სიცილიას იგონებდა გულსტიკივლით, სიცილიას, ულამაზეს ოცნების კუნძულს. ცხრაასოცდაათს დაუბეჭდავს პირველი წიგნი. „წყალი და მიწა“ იყო მისი პირველი წიგნი. ის აღიმართა მწვერვალზე მწერალთა შორის და აუღერა შექსპირი და ჰაინრიხ ჰაინე იტალიურად. იგი ნაცისტებს ტყვეობით უშენდა ლექსებს, იგი მღეროდა ისე, როგორც შეჭფერის რაინდს — შეყვარებულს და თავდადებულს სამშობლოსათვის. მსოფლიო იცნობს, ლაურეატი არის ნობელის. ამჟამად ცხოვრობს მილანში და დიდ პოეზიას აწვდის მსოფლიოს მზის სხივებით...

სამოცდარვა წლის თორმეტ ივნისს დაიწერა ეს სტრიქონები კაცზე, რომელიც მილანიდან დიდ პოეზიას ხალხს აწვდიდა მზის სხივებით, ხოლო თხუთმეტში ქვემოთა წავიდა ჩვენგან. ასე ამბობდა: „მე ჩემი ქვეყნის სიცოცხლეს ვმღერი, იტალიისას“.

გადაიკითხეთ. მეგობრებო, ეს ორი ლექსი, ეს ორი ლექსი, მისი სულის მცირე ნაწილი.

ჯანსუღ ჩარაჰმინაი

## ჩემი ქვეყანა — იტალია

რაც უფრო შორს და შორს მიდიან დამდნარი დღენი —  
ახლოვდებიან პოეტებთან უფრო და უფრო.  
შორს გაწოლილა პოლონეთის მწვანე მინდორი  
და კუტნოს ვაკე, ნავთის ბოლში გამოხვეული,  
ცეცხლმოდებული გვამებით სავსე.  
უფრო შორს კიდევ, მავთულხლართებთან კარანტინია,  
ადამიანთა ნაფლეთები ცურავენ სისხლში  
და დახვრეტილთა ვეება ჯაჭვი აგდია თხრილთან,  
თხრილთან, რომელიც საკუთარი ხელით გათხარეს.  
უფრო შორს მძიმე ბუჟენვალდია,  
წყევლა და კრულვა მის ღუმელებს და მის სიმძიმეს...  
უფრო შორეთში სტალინგრადია  
და თეთრი მინსკი წელამდე დგას ყავისფერ თოვლში...  
ჩვენი ხვედრია, პოეტების, არდავიწყება.  
ო, დამარცხებულ გარეწართა ბრბოვ სამინელო,  
ყოვლადმოწყალე ღმერთისაგან შეწყალებულო,  
თუმც დრო იცვლება, მკედრებით მაინც არავინ ვაჭრობს.  
ასე იცოდე, გადამოიელო,  
ჩემი ქვეყანა იტალიაა.  
მე მის ხალხს ვმღერი,




წარმოიდგინეთ, მის ტირილსაც ხმამაღლა ვმღერი,  
რომელსაც ფარავს მოქცევის ხმა უძვირფასესი.  
მე წმინდა ძაძებს დედებისას ხმამაღლა ვმღერი,  
მე ჩემი ქვეყნის სიცოცხლეს ვმღერი,  
იტალიისას.

## წინაე დამსმენს

ქალაქში ერთი დამსმენი ცხოვრობს,  
იგი ბალადებს წერს სიყვარულზე...  
მიალაჯებენ მისი ფეხები ვიტრინის გასწვრივ,  
იმედების ქვაფენილებზე.  
შენ, წარსულ წლებში  
ფეხქვეშ სთელავდი კაცთა სახეებს,  
შენს მიერ მოკლულ კაცთა სახეებს,  
მათ, ვისაც შენით აღურსმავდნენ  
მაღალ კედლებზე,  
შენი დასმენით,  
შენი სიტყვით თავაზიანით,  
რომელთა ღირსი ბევრჯერ გახდა  
დიდ მელექსეთა ხელნაწერები.  
დამსმენს არა აქვს უფლება, რომ ლექსები სწეროს,  
უფლება არ აქვს, მეგობართან გატეხოს პური,  
უფლება არ აქვს, ვისმეს უხმოს თანაგრძნობისთვის.  
მიწა ბრუნავს და შენ ვერ იდგამ მიწაში ფეხებს,  
შენი სახელი ვიცი, რადგან გაყიდული ხარ,  
რომელ კუთხეში და სად ცხოვრობ, მე ისიც ვიცი,  
შენ გეშინია, არ დაკარგო კაცის სახელი,  
მაგრამ ცაშია გადაწყვეტილი  
წინასწარ სვედრი შენი კაცობის,  
ვით გათელილი წაგებულ დროშის,  
ან ცხენის, მუცელგამოფატრულის.  
შენ წერ ლექსებს და შენ ოცნებობ  
ტკივილზე, მტრებზე, თუმც ვერ მოგართვეს,  
ბნელო ძალებო!  
იცით, რას გეტყვით?  
ჟამს განკითხვისას,  
ყველა დამსმენის ბინძური ჩრდილი,  
გაცოცხლებული ობობას ქსელში  
ჩამოჭკიდეთ,  
რომ იქანაოს.





# ყსიკრ ტყეში

ის ფაქტი, რომ იაპონიაში დაწესებულია აკუზაგაგას სახელობის პრემია, თავისთავად მეტყველებს ამ მწერლის ხედვრით წონაზე მშობლიურ ლიტერატურაში.

აკუზაგაგამ თავი მოიკლა 1927 წელს, ოცდათხუთმეტი წლის ასაკში. „უსიერ ტყეში“ მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო ფილოსოფიური ნოველათაგანია. ამ ნოველის მიხედვით (მეორე ნოველის — „რასემონის“ ერთი მოტივის ჩართვით) საქვეყნოდ ცნობილმა იაპონელმა კინორეჟისორმა კუროსავამ გადაიღო ფილმი „რასემონი“.

## რა უთხრა სასამართლოს მოხელეს ლაკითხვაზე ბერძნობაზე

აგრე იყო, გვამი მე ვიპოვნე. ამ დღით, ტყეში ხეების მოსაპურელად რომ ვახლდით,

სწორედ მთის ძირას წააწყდი მეკდარს. სახელობრ სადა? იამასინასაკენ მიმავალი გზიდან დაახლოებით ოთხი-ხუთი ტიოს მანძილზე. ამ უკაცრიელ ადგილას ხარობს ბამბუკი,



შეგადამოვ ნორი კრიტიკობერობაც შეხედვით. მოკლულს ეცვა ღია ცისფერი სუიკანი, ეხურა გაცვეთილი ქელი—ებოსი. ასეთ ქელიანს დედაქალაქში თუ შეხვდებით. იწვა გულადმა. მართალია, მარტო ერთგან იყო დამკრალი, მაგრამ—სწორედ გულში. გარშემო ხმელ ბამბუქის ფოთლები ისე ჩანდა, თითქოს კინოგარით გაუდენთილაო. არა, სისხლი უკვე აღარ სდიოდა. ეტყობოდა, ჰეროლოზაში სისხლი შეედევბულიყო. ჰო, აი კიდევ რა: ჰეროლოზაზე შეწებებულევით დაკვროდა კრახანა. ის სულაც არ შეშფოთებულა ჩემი მიხლოებისას. იყო თუ არა ხმალი, ან რამე ამი-მის მსგავსი? არა, იქ არაფერი მიინახვს. მხოლოდ კრიტიკობერობის ძირას, გვამთან ახლოს, თოჯი ეგდო. და კიდევ... დიახ, დიახ, თოჯს გარდა იქვე საეარცხლსაც მოვყარი თვალი. ეს იყო და ეს, რაც კი გვამის ახლოს შევნიშნე—მარტო ეს ორად ორი ნივთი. გარშემო ბალახი და ფოთლები ძალუმად გახლდათ მოჯგილი. ჩანს, მოკლულმა იოლად არ დასთო თავისი სიცოცხლე. რაო, იყო თუ არა ცხენი? განა რა ცხენი შეძლებს იქ შედწევას? ცხენისათვის გზა ცოტა მოშორებთია, იმ უსიერი ტყის იქით.

**რა უთხრა სსსსამართლოს მოხელეს  
დაკითხვაზე მოხეტილად ზარმა**

მოკლულს შეხვდი გუშინ. გუშინ... მე გგონია შუადღისას. სადა? სეკიამადან იამისინასკენ მიმავალ გზაზე. ის ქალთან ერთად მიემშურებოდა სეკიამას. ქალი ცხენზე იჯდა. ეხურა ფართოფარფლიანი ქელი, რიდე ეფარა. ასე რომ მისი სახე არ დამინახავს, ჩანდა მარტო აბრეშუმის კაბა, ჰავის ყვევილების არშით. წაბლისფერ ცხენს ფაფარი შეკრეტილი ჰქონდა. მაღალი იყო თუ არა? რაღაც ოთხიოდე სუნით თუ იქნებოდა ჩვეულბერივზე მაღალი... მე ბერი ვარ და, ასეთ რამეებში მინცდამინც ვერ ვერკვევი. მამაკაცს... ჰო, მას ერთცა ხმალი, ზურგზე კი მოგდებული ჰქონდა მშვილდისარი. ახლაც თვალწინ მიდგას შავად გალაქტული ბულიდან თავამოყოფილი ოცამდე ისარი. მე არც კი დამეისოზრებოდა, რომ ის ასე დამთავრებდა თავის სიცოცხლეს. ქეშმარიტად, რა თვალის დახახამებაში ქრება ადამიანის სიცოცხლე, თითქოს ცვარი იგოს, ან ელვა. ოო, წარმოუდგენელა ადამიანის ენამ მოახერხოს იმის გამოთქმა, თუ რა საგაღლოა ეს ყველაფერი!

**რა უთხრა სსსსამართლოს მოხელეს  
დაკითხვაზე ჩაზარმა**

მე რომ კაცი შევიყარი? ის ხომ სახელგანთქმული ავაზაკი ტაქმარუა. ხელი მაშინ ვტაცე, ცხენიდან გადმოვარდნილი, ავადგუტთან ქვის ხილზე რომ ეგდო და ჰგოდებდა. როდის? გუშინამ, პირველი ყარაულბის ეამს. ამას

წინათაც კინალა შევიყარი, მაშინ იგივე ლურჯი სუიკანი ეცვა და ზურგს უკან გვრკობილი ჰქონდა ხმალი. ახლა კი, როგორც ხედავთ, მშვილდისარიც აქვს. წარმოგიდგინებოდა ათ? ეს ხომ იმ მოკლულის მშვილდისარი! თქმა არ უნდა, მეკლულობა ტაქმარუს ჩადენილია. ტყავგადაქრული მშვილდი, შავად გალაქტული კაპარტი, ჰეროლოზის ჩვიდმეტი ისრით, მაშასადამე ეს ყველაფერი მოკლულის საკუთრება იყო. ჰო, ცხენი, როგორც თქვენ ბრძანეთ, იყო წითური, ფაფარშეკრილი, ეტყობა, ასეთი ყოფილა ტაქმარუს ბედი—ცხენს გადმოუგდია. ცხენი ხილის ახლოს წიწწინდა ბალახს, უკან გრძელი სადავე მისთრევდა.

ეს ტაქმარუ, სხვა ავაზაკებისაგან განსხვავებით, რომლებიც დედაქალაქში დახეტებდნენ, ქალების ნამდვილი მუსლია.

გახსოვთ, შარშან მთაზე, ბინძურსადმი შეწირული აკრორიბეს ტაძრის უკან, მლოცველი ქალი რომ მოკლეს გოგონასთან ერთად? აი, სწორედ, ლაპარაკობდნენ, ეს ტაქმარუს ჩადენილიაო. და ის ქალიც, წაბლისფერი ცხენით რომ მიდიოდა,— ეთქვათ, მამაკაცი ტაქმარუმ მოკლა, ქალი რა იქნა? არავინ იცის. ბოდიში, რომ საქმეში ასე ვერგევი, მაგრამ საქირაო თუ არა გამოძიება?

**რა უთხრა სსსსამართლოს მოხელეს  
დაკითხვაზე მოხუცმა ძალმა**

ეს სწორედ იმ კაცის გვამია, ვისზედაც გათხოვილი იყო ჩემი ქალიშვილი. მაგრამ ის დედაქალაქიდან არ გახლავთ. ვაკასაში რომ კოკუფუა, იქაური სამურიაი. მისი სახელია კანაძევა ტაკვირო, ოცდაექვსი წლისაა. არა, მას არ შეეძლო ეინმეს წყენინება, მეტად თვინიერი იყო. ჩემს ქალიშვილს კი მასავო ჰქვია, ცხრამეტი წლისაა, თამამია. მამაკაცს არ ჩამოუვარდება. ტაკვიროსთან შეხვედრამდე არავინ ჰყვარებია. შავგვრამანია, მარცხენა თვალის კუთხეში ხალი ანნია, პატარა, მოგროძო სახე აქვს.

გუშინ ტაკვირო ჩემი ქალიშვილითურთ გემზავრა ვაკასს. ნეტავი რა შეეცოდით ღმერთს, რომ ასეთი უბედურება დაგვატება თავს. რა დემართა ჩემს ქალიშვილს? სიძის ხედრს, მართალია, შევეურიადი, მაგრამ ქალიშვილზე ფიქრი მოსვენებას არ მამძლევს. მე, მოხუცი, გვედრებით, ღვთის გულისთვის, გადაჩხრიკით ტყეები და ეელები, იქნებ როგორმე მიაკვლიოთ ჩემს ქალიშვილს. რა ღვთისაგან წყუფულია ეგ ავაზაკი, ტაქმარუ თუ რას ეძახიან! განა მარტო სიხე, ჩემი ქალიშვილიც ხომ... (ტირის, ძალა აღარ ჰყოფნის, თქვას თუნდაც ერთი სიტყვა).

**აკუტაბაბა  
უსიერი ტყეში**





ეს კაცი მე მოკალი. ქალი კი არ მომიკლავს. არც ის ვიცი, სად უნდა ვადაკარგულიყო. მაიკალეთ! რამდენიც არ უნდა მაწამოთ, რაც არ ვიცი, როგორ ვითხოვთა. ესეც არ იყოს, რაკი ასე მოხდა, უკვე ვეღარც შიში ამიტანს, და აღარც არაფრის დაფარვა მსურს. მე ამ კაცს და მის ცოლს შეგხედი სახსრობისას. ქარმა, ის იყო, აბრეშუმის საბურველი აფრიალა და ერთი წამით გამოჩნდა იმ ქალის სახე. ერთი წამით გაიელვა და ისევ დაიმალა. და იქნებ სწორედ ამის გამოც მისი სახე ბოლისატვის ხატებად მომეჩვენა. მაშინვე გადავწყვიტე დამემორჩილებინა ეს ქალი, თუნდაც ამისთვის მისი ქმრის მოკვლა დამპირებოდა. თქვენ ეს საშინელებად მიგაჩნიათ, არა? პირიქით, სასაცილოა. მამაკაცის მოკვლა — ჩვეულებრივი ამბავია. როცა ქალის დასაკეთებდა სურთ, მამაკაცს ყოველთვის კლავენ. მხოლოდ მე ვკლავ ხშირად, თქვენ კი ამ შემთხვევაში ხმაღს არ მიმართეთ, თქვენ კლავთ ძალადუღების, ფულის საშუალებით, ზოგჯერ კი უბრალო მლიქვნელური სიტყვით. მართალია, ამ შემთხვევაში სისხლი არ იღვრება, მაშაკაცი უვნებელი ჩანს. მაგრამ ის თქვენი მოკლულია. და ვინ იცის, კაცი რომ დაუფიქრდეს, ვისი დანაშაული უფრო მძიმეა, თქვენი თუ ჩემი (ირონიულ ღიმილი).

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მე უკმაყოფილო ვიქნებოდი, თუკი შევძლებდი ქალის ისე დამორჩილებას, რომ მამაკაცი არ შემომბრძოლებოდა. ამერად გადავწყვიტე, ქალს ისე დავუფლებოდი, მკვლელობა არ ჩამედანა. მაგრამ გზაზე, სადაც ხალხი მიდი-მოდის, ამას როგორ მოახერხებ! ამიტომაც მოვიფიქრე, როგორ შემეტყუებინა ისინი ტყის სიღრმეში. ეს ადვილად შეგძელი, თანამგზავრივით ავედღენე მათ და ვუამბე, რომ მოპირდაპირე მხარეს, მთაში, არის ყორღანი, რომელიც მე გავთხარე, ყორღანში ვიპოვე უამრავი სარკვე და ხმალი. ეს ყველაფერი ჩავფალი ტყეში, რომ არავის ენახა. და თუკი მსურველს ვიპოვინდი, იაფად მივეყიდდი.

ვატყობდი, მამაკაცი დაეინტერესე. აბა, რა ვეკონათ! საშინელი რამაა სიხარბე. ნახვარი საათიც არ გასულა, რომ მათ მოაბრუნეს ცხენი და ჩემთან ერთად დაადგნენ მთის ბოლოს. ტყეს რომ მივადექით, ვუთხარი, რომ ის ნივთები ჩაფლული მაქვს უსიერი ტყის სიღრმეში და შევთავაზე წამომყოლოდნენ სანახავად. მამაკაცს მოსვენება არ აძლევდა სიხარბე და, რასაკვირველია, უარი არ უთქვამდა. ქალმა კი არ მოისურვა არც ცხენიდან ჩამოსვლა, არც წამოყოლა. თქვა — მე აქ მოვიციდითო. მისი ასეთი გადაწყვეტილება უთუოდ წინდახედულებით იყო ნაკარნახევი. ხვალავა, რომ ტყე ძალზე დაბურთული იყო. მაინც ყველაფერი ისე

მოეწყო, უკეთესად რომ არ შეიძლებოდა. და მე შევძებნი მამაკაცს ტყის სიღრმეში, ქალს კი დაეტოვე მარტო. ეკალბარდის განმარტავს მხოლოდ ბამბუკი ხარბობა. და როცა ჩვენ გავიარეთ დასალოებით ნახევარი ტოი, გზა-დაგზა უკვე გვხვდებოდა კრიბტომერიები. იმ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, რაც მე მქონდა ჩაფიქრებული, უთუეს ადგის ვერ იპოვინდით. გზადაგზა ტრეტებს აქეთ-იქით მწევიდ, რომ გამეგლო და თან დამაქერებლად ეუამბობდი, თითქმის ვანძი ჩაფლული მქონდა იმ კრიბტომერიების ძირას, საითაც ვეშურებოდი. მამაკაცი თან მისმენდა, თან სწრაფი ნაბიჯით მიიჩქაროდა იქით, სადაც ჩანდა იმ ხეთა წერწეტი ღეროები. ბამბუკი ახლა იშვავათად, აქა-იქ თუნდა გვხვდებოდა. ჩვენს გარშემო კრიბტომერიები შემოჭარბულიყვნენ. და აი, აქ მოულოდნელად დავეხსი თვის ჩემს მსხვერპლს და მიწას დავანარცხე. თვალის დახამხამებაში ის უკვე ხეზე მიყრული აღმოჩნდა. თოკი? სად გინახავთ ყაჩაღი უთოკოდ. თოკი წელზე, ზურგს უკან მეკიდა. ხომ ყოველ წუთს შეიძლება დამპირებებოდა მესხრებ გადასასვლელად. ცხადია, კაცს დაყვირება არ შეეძლო. მე უმალ პირიც ბამბუკის ჩამოცივინული ფოთლებით გამოვუტუნე. ამით მოვრჩი მასზე ზრუნვას. მერე დავებრუნდი ქალთან და ვუთხარი, რომ მისი თანამგზავრი თვის შეუძლოდ გრძნობს, საჭიროა ნახოს, შეიტყოს რა დაემართა. ამერადაც ჩემსას მივღწე: ქალმა მოიხსნა თავისი ფართოფარფლიანი ქუდი, ჩამვიდა ხელი და შემიყვანა ტყის სიღრმეში. მივედი იქ, სადაც მისი ქმარი ხეზე თოკით იყო მიყრული, ამ სანახაობის ხილვის უმალ ჩაიყო უბეში ხელი და იძრო პატარა ხანჯალი. არასოდეს არ შემხვედრია ასეთი თავზეხელაღებული, მამაკაცი ქალი. რომ არ მემარჯვა, მუცელში დაჭრა არ ამცდებოდა. პირველი შემოტევა ავიცილე, მაგრამ ქალი გააფთოებთ იქნედა და იქნედა ხანჯალს. სულ ერთი იყო მისთვის, სად მიმარჯებდა, ოღონდ როგორმე დაექერი. მაგრამ ტყეში დაეკარგე მე ტაქე მარტო? ბოლოს და ბოლოს, როგორც იყო შევძელი ჩემი ხმლის გაუშმეგლეზლად გამეღებინებინა მისთვის ხანჯალი. უიარაკოდ დარჩენილ ყველაზე ვეყავატურ ქალსაც კი არაფერი არ შეუძლია. და ბოლოს, როგორც მეწადა, დავიმორჩილე ქალი, ქმრის თვალწინ. დაახ, ქმარი სიცოცხლეს არ გამოშნსალმებია. მე ამის შემდეგაც არ ვაპირებდი მის მოკვლას. მაგრამ წასვლა რომ დავაპირე, აქამდე მიწას გართბმული, გულამოსკენით მტირალი ქალი უცებ გვივივით ზეზე წამოიჭრა, სახელოში ჩამაფრინდა და სულს ძლივს რომ ითქვამდა, იყვირა: „ან შენ უნდა მოკვდე, ან ჩემი ქმარი“. თქვენს შორის ერთ-ერთი უნდა მოკვდეს... ორი მამაკაცის წინაშე ასე შერცხ-

ვენა ჩემთვის სიკვდილზე უარსია. ერთ-ერთი თქვენგანი უნდა მოკვდეს. მე კი მას გადავყვები, ვინც ცოცხალი დარჩება. და აი სწორედ მაშინ მე აღმეძრა სურვილი იმ მამაკაცის მოკვლისა (პირქუში და აღგზნებული).

ამას რომ ვამბობ, თქვენ, უმეპელოა, დაუნდობელ ადამიანად მიგანინიართ. შეიძლება ასე მოგეჩვენოთ, რადგან არ გინახავთ იმ ქალის გამომეტყველება. იმით რომ თქვენ არ გინახავთ მისი ანთებული მზერა. როდესაც თვალი შევავლე, ერთბაშად ამიტანა სურვილი, ის ჩემი ცოლი გამხდარიყო, თუნდაც ამისათვის ცის რისხვა დამტყდომოდა და იქვე სული გაემეხო. ცოლად შემეძოთ ქალი — მხოლოდ ეს აზრი მიტრიალებდა თავში. არა, ეს არ იყო ავხორცობით ნეკრანახევი, როგორც შეიძლება თქვენ ფიქრობდეთ. მართო ავხორცობის კინით რომ ყოფილიყო ეს აღძრული, გეფიცებით, კინფისკით მოვიშორებდი იმ ქალს და წავიდოდი. მაშინ არც იმ მამაკაცს მოუწევდა თავისი სისხლით ჩემი ხმლის შეღებვა. მაგრამ იმ წამს, როცა ტყის ბინდულში ქალის სახეს კარგად დავეკვირდი, უმაღლესად ვაფასებდი, რომ აქედან ფეხს არ მოვივლილო, სანამ კაცს არ მოკვლავდი.

თუმცა მისი მოკვლა გადავწყვიტე, მაგრამ არ მინდოდა ეს ჩამედინა ლაჩრულად. თოკი შეგხსენი და ვუთხარი — ერთმანეთს ხმალდახმალ ვებრძოლოთ-მითქო. ხის ფესვებთან რომ თოკი იბოვნეს, სწორედ ის იყო, მაშინ იქ რომ დავაგდე. სახეშეშლილმა მამაკაცმა უმაღლესად იბრა თავისი მიმიე ხმალი და შეცარა. საჭიროა იმის მოყოლა, თუ რით გათავდა ის ბრალი. ოცდამეცამე მოქმედა — გთხოვთ ამას ნუ დაიფიქვებთ, აქამდე მივიკრი რომ, მთელ ქვეყნიერებაზე მან ერთადერთმა შეძლო თავისი ხმალი ოცდასამჯერ ვადეკავარე-დინებინა ჩემს ხმალთან (მხიარული ღიმილი).

როგორც კი დაეცა, ხმალგასილანებულ მივბრუნდი ქალისაკენ, მაგრამ წარმოადგინეთ, ის აღარსად იყო. დაიფიქე ძებნა ტყეში. ძირს დატყენილი ბამბუკის ფოთლებს კავლის ნასახივს არ აჩნდა. დროდადრო დაუტრიალებულს მესმოდა მომაკვდავი მამაკაცის ხრტიანი. ალბათ როცა ჩვენ ხმალდახმალ შევებით ერთმანეთს, ქალმა დრო იხელთა და ტყიდან გაიქცა, იქნებ უნდოდა საშველად ვნიმესთვის ეხმო. როგორც კი ამ აზრმა გამიელვა, მივხვდი, რომ საფრთხეში ვიყავი. მე ავართვი მოკლულს ხმალი, მშვილდი, ისრები და გავიქნი ბილიკები. იქ წინანდებურად წიწყნიდა ბალახს იმ ქალის ცხენი. იმაზე ლაპარაკი, თუ რა მოხდა შემდეგ, ლაყბობა იქნება და მეტი არაფერი. მხოლოდ აი რა: დედაქალაქში შესვლის წინ ის ხმალი უკვე თან აღარ მქონდა. ეს არის და ეს მთელი ჩემი აღსარება. გთხოვთ ისე სასტიკად დამსაჯოთ, მეტი რომ

აღარ შეიძლება დღეს. განა არ ვიცოდა, როდისმე ჩემს გოგარას რომ მოუწყვდა მაღალი ბოძის წვეტზე შემოსულება (გამომწყვები მზერა).

### რა თქმა ძალმა აღსარებაზე კიმიძის ბაბარო

მე რომ დამიმორჩილა, ის ლურჯსამოსიანი მამაკაცი მიბრუნდა გაბაწრული ჩემი ქმრისაკენ და ერთი დამცინავად გადაიხარხარა. რა ძნელი ასატანი იყო ალბათ ეს ჩემი ქმრისათვის. მაგრამ რაც უფრო იგრძებოდა და წვალობდა გასათავისუფლებლად, მით უფრო ღრმად ექდობოდა ხორცში ისედაც მკობროდ შემოჭერილი თოკი. მე უნებლიეთ გავიფიქვეს, არა, დავაბრუნებ. მაგრამ იმ კაცმა პანდურით უმაღლესად მიწას დამანარცხა. და სწორედ მაშინ მოხდა ეს. სწორედ ამ დროს ქმრის თვალებში მე შევნიშნე რაღაც უცნაური ელვარება. აუწერელი... ახლაც კი, როცა ის გამოხედვა გამახსენდება, ისევე ისე მაურთოლებს და ძალა არ მყოფნის ნინის მოსაბრუნებლად. ქმრის იმ ერთ გამოხედვაში მთელი მისი სული და გული გადმოშლილიყო. მის თვალებში შეგეძლოთ ამოკეთახთ არა გულისწყრომა ან ტანჯვა, ისინი ელვადნენ ჩემდამი უსაზღვრო სიძულელით. აი რას გამოხატავდნენ მისი თვალები. არა იმ მამაკაცის პანდურით, არამედ ამ საშინელი გამოხედვით შეძრწუნებულმა თავგანწირულით შევეციეე და ცნობაც დავკარგე. როდესაც გონს მოვედი, ის ლურჯსამოსიანი მამაკაცი იქ აღარ იყო.

ჩემი ქმარი ისევე ისე ხეზე იყო თოკით მიკრული. ძლივს ავითრიე წელი მიწაზე დაფენილი ბამბუკის ფოთლებიდან. ვამტყვებო შევაცქერდი სახეში. მისი გამოხედვა ოდნავაც არ შეცვლილა. თვალები წინანდებურად დაღებდნენ იღუმალ ზიზსა და სიძულვილს. არ ვიცი, როგორ გამოვთქვა, რა ვიგრძენი მაშინ... სირცხვილი, სევდაც, გულისწყრომაც... ძლივს წამოვდექი და ქმართან მივედი. „მო-მისმინე! იმის შემდეგ, რაც მოხდა, არ შემიძლია თქვენთან დარჩენა. გადავწყვიტე თავი მოვიკლა, მაგრამ... მაგრამ უნდა მოკვდეთ თქვენც. თქვენ იხილეთ ჩემი შერცხვენა და თავის მოჭრა. ამის შემდეგ მე არ შემიძლია თქვენ ცოცხალი დატოვოთ“.

აი რა ვუთხარი მას დიდის გაკირებებით. ის მაიძვ ზოლით მიცქერდა. გულს გასკდომავს მქონდა და ამოლო ვლამობდა ჩემი მღელვარების დაოკებას. მე მის ხმალს დაუწყვე ძებნა. მაგრამ იმ ყაჩაღს ყველაფერი გაეტაცნა. არა თუ ხმალი, მშვილდი და ისრებიც აღარსად იყო. ჩემდა საბედნიერად, მხოლოდ

ბაშბაბბა  
უსინერ ტყეში



ხანჯალი ეგო ჩემს ფეხებთან. მე მალა შეე-  
მართე ის ხანჯალი და ქმარი გავაფრთხილე:  
„ახლა მე მოგტაცებთ თქვენ სიცოცხლეს და  
მეც უმალ თან გამოგყვებით“.

როცა ქმარმა ჩემი ნათქვამი გაიგონა, თავს  
ძალა დაატანა და მხოლოდ ტუჩები შეარხია.  
რა თქმა უნდა, ხმის ამოდება არ შეეძლო. პი-  
რი ბამბუკის ფოთლებით ჰქონდა გამოტენილი.  
მაგრამ როდესაც მისი ტუჩების მოძრაობას  
დავაკვირდი, მივხვდი, რაც თქვა ზიზღით:  
„მოშაკალი“.

მე, გონდაკარგულმა, ღრმად ვიპყრე ხანჯა-  
ლი ღია ცისფერი სამოსით დაფარულ მკერ-  
დში. ალბათ ამ წუთას ისევ დავარგე გრძნო-  
ბა. როდესაც გონს მოვედი, მივიხედ-მოვიხე-  
დე, ქმარი ისევ იმ მდგომარეობაში იყო უძ-  
რავად. უკვე აღარ სუნთქავდა. მის გაფითრე-  
ბულ სახეს დაჰფეროდა ჩამავალი მზის შუქი,  
რომელსაც გამოედღვია ბამბუკის ღეროებთან  
გადახლართული კრიბტომერიის ტოტებისა და  
ფოთლების სიხშირეში. ტირილით გულამოძღა-  
რი ვცდილობდი მოვრეთდი ჩემს თავს, შევხ-  
სნი გავას თოკი და შემდეგ რა დამემართა?  
ძალა არ მეყოფა ვთქვა, რა არ მოვიმოქმე-  
დე, მაგრამ თავის მოკლა ვერ შეძელი. ჰერ  
ხანჯალი მივიბზინე ყელთან, შემდეგ მთის  
ძირას, ტბაში თავის დახრჩობა ვცადე, მაგრამ  
არ მოკვდი. ცოცხალი ვარ და ამით სულაც  
არ შემიძლია ვიამაყო (სევდიანი ღიმილი), მო-  
წყალე გულშემატკივარი ქალღმერთი კნო-  
ნიც, ეტყობა, არააობად მთელის და აკი  
ზურგიც შემაქცია. რა ვქნა ახლა მე, ჩემი  
ქმრის მკვლელობა, ყაჩაღისაგან ნაშუსხდილ-  
მა, რა ვიღონო, რა? მე... მე... (მოულოდნელი,  
სისოწარკვეთილი ქვითინი).

### რა თქვა წინასწარმეტყველი ქალის პირით მოკალულის სულმა

ჩემი ცოლის დამორჩილების შემდეგ ყაჩა-  
ღი დაჯდა მიწაზე მის გვერდით და დაუწყო  
ნუგეშისცემა. მე, რა თქმა უნდა, ხმაიანყე-  
ტილი ვიყავი, პირი ბამბუკის ფოთლებით  
მქონდა გამოტენილი და ხეზე მაგრად ვიყავი  
თოკით მიკრული. მე წამდაუწყემ ვანიშნებდი  
თვლით ცოლს: „არ დაუჭერო, რასაც გეუბ-  
ნება, სულ ტყუილია-მეთქი“. აი რა მინდოდა  
მისთვის მიმხვედრებინა. მაგრამ ცოლი იჯდა  
დამწუხრებული და თავს მალა არ სწევდა,  
ერთთავად საკუთარ მუხლებს დასცქეროდა.  
ღმერთმანი, კაცს შეიძლებოდა ეფიქრა, რომ

ყურადღებით უსმენდა იმ ავაზაკს. იმის გა-  
ფიქრებაც კი, რომ ცოლი მალატობდა, მტან-  
ჯავდა და უმწეოდა ვიკლანებოდი. ყაჩაღი  
კი მაცდური სიტყვებით ლამობდა ცოლის და-  
ყოლიებას. ნაშუსხდილი, სულ ერთია, ქმარს  
ველარ შეეგუები. ქმართან ასეთ მდგომარე-  
ობაში ყოფნას, არა სჯობია ყაჩაღს ცოლად გა-  
მომყევო?

ასე უღრსად ყაჩაღი იმიტომ იქცეოდა, რომ  
ჩემი ცოლი შეუძევარდა. მის თავხედობას  
თანხმობა მოჰყვა. ცოლმა ასწავა ფიქრით დამ-  
ძიმებული თავი. არასოდეს არ მასსვლიდა ის  
ასე ლამაზი! მაგრამ იცით, რა უთხრა იმ ავა-  
ზაკს ჩემმა ტურფა ცოლმა, როცა მის გვერ-  
დით გახლდით შებოჭილი? მე ახლა, მართა-  
ლია, წყევიაღში დავბორიალებ, მაგრამ ყო-  
ველთვის როცა კი მისი პასუხი გამახსენდება,  
აღშფოთება მიუფლებს, აი რა უთხრა ცოლმა  
ავაზაკს — „ჰოდა, წამიყვანეთ სადაც გენებოთ“  
(ხანგრძლივი ღუმული).

მაგრამ ცოლის დანაშაული განა მხოლოდ ეს  
არის. მარტო ამის გულისთვის მე ალბათ,  
წყევიაღში მოხეტიალე, აგრერივად არ გავი-  
ტანჯებოდი. აი რა მოხდა: ცოლი ისე გაჰყვა  
ავაზაკს ხელჩაიდებული, თითქოს სიხშირეში-  
აო; და ის იყო ტყანიდ უნდა გასულიყო, რომ  
ერთბაშად მკვდრის ფერმა ვადღუარა სახეზე.  
ყაჩაღს მიუბრუნდა და ჩემზე უთხრა: „მო-  
კალი“. მე არ შემიძლია შენთან ყოფნა, სანამ  
ის ცოცხალია“. მერე როგორც შეშლილმა  
რამდენჯერმე საზარლად ამოიკვილა — „მო-  
კალი!“ — ეს სიტყვები ახლაც ქარიშხალივით  
მომაქროლებს წყევიაღის ჯურღმულებისაკენ.  
განა როდისმე ადამიანის ბაგეს დასცდენია უფ-  
რო მეტი საშინელება? განა როდისმე ადამი-  
ანის ყურს სმენია ასეთი ბილწი სიტყვები?  
განა როდისმე, ერთხელ მაინც... (უცარი გეს-  
ლიანი ხარხარი) მისი სიტყვების გაგონებაზე  
ავაზაკი კი გაფითრდა. „მოკალი!“ — გაჰკი-  
ოდა ცოლი, და თან მის სახელს ეძლეოდა  
ბოლა. ავაზაკმა თვალი გაუშტერა ქალს, მაგ-  
რამ არც პო უთქვამს, არც არა და უცებ წიხ-  
ლის კვრით მიაგდო ჩამოცივებულ ფოთლებ-  
ზე. (კვლავ გესლიანი ხარხარი) გულზე ხელ-  
დაკრეფილი ავაზაკი ახლა ჩემკენ მობრუნდა:  
„რა ვუყოთ ამ ქალს? მოგვლათ თუ ვაპატი-  
ოთ? პასუხად მარტო თავი დამიქნით. მოვ-  
კლათ?“ მარტო ამ სიტყვებისათვის მე შხა-  
და ვარ იმ ავაზაკს ყველგფერი ვაპატიო (კვლავ  
ხანგრძლივი ღუმული).



სანამ მე ვყოფიანობდი, ცოლმა ერთი უც-  
რად შეპყვილა და ტყის სიღრმეში მიიმალა.  
ავაზაკი უმალ დაედევნა, მაგრამ, ეტყობა  
ვერ მოასწრო ხელი ეტაცა მისთვის თუნ-  
დაც სახელოში.

ეს ყველაფერი იმ წუთში სიცხიანის ბოღვა  
მეგონა.

როცა ცოლი გაიქცა, ყაჩაღმა აიღო ჩემი  
ხმალი, მშვილდი, ისრები, მერყე ერთგან გა-  
დაქრა თოკი, რითაც მიბმული ვიყავი ხეზე.  
მასხოვს, სანამ ტყეში გაუჩინარდებოდა, რო-  
გორ ჩაილაპარაკა თავისთვის: ახლა კი დროა  
ჩემს თავზედაც ვიფიქროს.

როცა ის წავიდა, ირგვლივ სიჩუმე გამეფ-  
და. არა, ყველგან არა. სადღაც ახლოს კვლავ  
ისმოდა ვიღაცის ქეითინი. თოკს რომ ვიხსნო-  
დი, დავაყურადე და მივხვდი, რომ ეს მე  
ვეკითხებოდი თურმე (მესამეჯერ ხანგრძლივი  
დღემილი).

ბოლოს ძლივს მოვაცილე ხეს ჩემი გატან-  
ჯული სხეული. უცებ თვალი მომპრა ხანჯლის  
ელვარებად, რომელიც ცოლს დაკარგოდა და  
ახლა ჩემს წინ ეგდო. ავიღე ხანჯალი და ერ-

თი მოქნევით დავიკარ გულში. ვიგრძენი, რო-  
გორ მომაწვა ყელში სისხლი რაღაც გორგა-  
ლისებურად. მაგრამ არავითარი ტანჯვის მსგავ-  
სი ამით არ განმიცდია. როცა ჩემი გული გა-  
ცავდა, ირგვლივ კიდევ უფრო მეტი მყუდრო-  
ება ჩამოწვა. ო, რა სიჩუმე იყო ეს სიჩუმე!  
აქ, ამ ტყეში ახლა ერთი ჩიტეც კი არ გა-  
ლობდა. მხოლოდ კრიბტომერისა და ბამბუ-  
კის ღეროებს ავარაყებდა ჩამავალი მზის სევე-  
დისმომგვრელი შუქი. ჩამავალი მზისა... მაგ-  
რამ ისიც სულ უფრო და უფრო მიილია. მა-  
ლუ ყველაფერი გაუჩინარდა: ხეებიც, ბამბუ-  
კიც. და მეც მიწაზე განრთხმული გავეხვეი ამ  
სამარისებური მყუდროების სულდარაში. და  
სწორედ ამ დროს ვიღაც ფეხაკრეფით მოიბა-  
რა ჩემთან. მინდოდა შემეხედა, ვინ იყო, მაგ-  
რამ წყვედიადს ირგვლივ ყველაფერი შთაენ-  
თქა. და ვიღაც... ამ ვიღაცამ უხილავე ხელით  
ფრთხილად ამომამრო გულში ჩარტობილი  
ხანჯალი. იმავე წუთს პირი კვლავ ამივსო  
თქრიალით წამოსულმა სისხლმა. ამის შემ-  
დეგ საუკუნოდ მშთანთქა არყოფნის წყვედი-  
აღმა.

თარგმნა ლადო ავალიანმა.





მარიანა ხვეჩავაძე

სული პეროპილი

(ჩემი უხეშობა ანდრეი ბელისთან)

Легкий огонь, над кудрями пляшущий,  
Дуновение — вдохновение

— უფალო, შეიწყალებ დედა, მამა, გაღია, ასია, ანდრეუშა, მამა და ანდრეი ბელი...

— ანდრეი ბელის თუ ავედრებ, გენაცავა, ბარემ საშა ჩორნიც შეავედრე!

სასაცილო ის იყო, რომ გადიას წარმოდგენაც არ ჰქონდა საშა ჩორნის არსებობაზე.

(ისიც საკითხავია, 1916 წელს ვინმე იცნობდა თუ არა საშა ჩორნის საბავშვო პოეტად?) მან მხოლოდ ბელის, ანუ თეთრის ანალოგიით მოიგონა იგი და სახელიც სოფლურად მოუქცია.

რატომ ავედრებდა უფალს პატარა ალა ანდრეი ბელის? ბელი ჩვენსა არ დადიოდა, მაგრამ მისი წიგნი „ვერცხლისფერი მტრედი“ ხშირად იხსენიებოდა ჩვენს ოჯახში, ანდრეი ბელის ვერცხლისფერი მტრედი. მაშასადამე, იყო ვიღაც ანდრეი და მას ვერცხლისფერი მტრედი ჰყავდა. თვითონ ანდრეიც თეთრია (белый). ანგელოზის გარდა ვის შეიძლება ვერცხლისფერი მტრედი ჰყავდეს და ვინ შეიძლება იყოს თეთრი (белый) თუ არ ანგელოზი? სხვები: ივანოვიჩები, ალექსანდროვიჩები, პეტროვიჩები. მხოლოდ ისაა თეთრი. თეთრ ანგელოზს ვერცხლისფერი მტრედი უზის ხელზე. სწორედ ამ კაცზე ლოცულობდა სამი წლის გოგონა.

მაგრამ ბელის სახელი ალას ლოცვამდე და ჯას დაბადებამდე ასხენეს ჩვენს ოჯახში. ეს სახელი წარმოთქმა ჩემმა ძალუამ, ბიძაჩემის, ისტორიკოს დიმიტრი ცვეტაევის ცოლმა და მისი კილო ლოცვისას არ ჰკავდა.

— წარღვნა მოვიდა და ესაა! — ბრაზით უტყვედა იგი მამაჩემს, მის გააფთრებულ შემო-

ტევაზე ნელინელ უკან რომ იხევდა, — ა, ბატონო, ავერ ვიღაც ანდრეი ბელი გამოტყვრა კიდევ და ხვალ ლექციას კითხულობს. ვითომ არ ეყუთ მაქსიმ გორკი და... ანდრეი ბელიც დასჭირდათ! იქ კიდევ ვიღაც ალექსანდრე ბლოკიო. ნეტა რა გვარია ასეთი? ებრაელი იქნება ალბათ! „მშვენიერ ბანოვანზე“ დაწერაო. ჯერ მარტო სათაური რაღა ღირს! ნამუსი დაკარგეს პირდაპირ! წინათაც წერდნენ, ბატონო, ბანოვანებზე, მაგრამ ვინ ბეჭდავდა, უჯრაში მალავდნენ — დიდი-დიდი. მეგობრებში წაეკითხათ. წესიერი ოჯახიდან მაინც არ იყოს, ისიც პროფესორ ნიკოლაი დმიტრიევიჩ ბუგაევის ვაჟი? რატომ, ვთქვათ, არა ბუგაევი — ბორისი და მაინცდამაინც ანდრეი ბელი? ვითომ მამას უკადრისობს? განა ისეთი რა დაწერა, გვარის მოწერისა რომ რცხენოდეს? ან ეს ბელი რა უბედურებაა? ანგელოზია თუ საცეცხლის ამა-რა ქუჩაში გამოვარდნილი გიჟი? — კაპასობს ძალუაჩემი და ყველაფერი უცახცახებს — ბრილიანტები, კაუჭა ცხვირი და მოხამხამე ყვითელი თვალებიც (ნერვიული ტიპი ჰქონდა).

— ახალგაზრდობის ბრალია, ელოზავება ევგრაფიენა, ახალგაზრდობისა, — მორჩილად ეუბნება მამაჩემი, — ლექციას რაზე კითხულობს?

— რაზე და სიმბოლიზმზე, ბატონო! იმიტომაც გამოიგონეს ეს რაღაც სიმბოლიზმი, რომ რწმუნის სიმბოლო დაკარგეს.

— მე კი აქ მაინცდამაინც ცუდს ვერაფერს ვხედავ... — ფრთხილად აპარებს მამაჩემი (ასე ფრთხილად შეუყოფენ ხოლმე თითს კაპას თუთიყუშს გაღიაში). მამას მუდამ ერიდება აღაზიანების გაღიაზიანება, მით უმეტეს, თუ ისი-

ნი ქალები არიან, ნათესავი ქალები და თანაც  
წერტიული ტიკის მქონენი. ძალუაჩემი მუდამ  
და ყოველთვის ისე ცახცახებს, თითქოს უხვი-  
როდ დადგმული, სანთლებითა და სათამაშოებით  
დაეინიცილებული ანთებული ნაძვის ხეაო, რო-  
მელსაც უწინოდ თუ გამოედევ, მესივე შეიძლე-  
ბა ვადმოიხზოს, აბრიალდეს და ყველაფერი  
დასწავსა. — კრებებზე სიარულს კიდევ ეს  
სკრბია...

— სტუდენტს დამიხედეთ! — უკვე კვიის კა-  
კალუ (იგი ასე მონათლეს კაუბა ცხვირისა და  
ჩიტივით ყვივითი თვალების გამო), — ჯერ  
უნდა ისწავლოს და არა ოჯახის თავმოსაჭრე-  
ლად ლექციები იკითხოს!

— გეყოფა, გენაცვა, გეყოფა, — ამშვიდებს  
ჩემი უწყინარი ძია, დამსახურებული პროფესო-  
რი, ამქვეყნად ყველაზე მოსაწყენ მეფე ვასილ  
შუისკიზე დაწერილი კაპიტალური შრომის აფე-  
ტორი და ოსტოეენკაზე კომერციული სასწავ-  
ლებლის დირექტორი; მას ჯმუხა ტანის, უზარ-  
მაზარი შავი წვერის, სიფიცისა და შავარაზმე-  
ლობისათვის მოსწავლეებმა შეწვევარა ჯეჯა შე-  
არქვეს, — ნეტა ვიცოდეთ, ასე რამ ავადღევა?  
ყმაწვილკაცობაში ვინ ლამაზ ქალებს დასდევს,  
ვინ სიმბოლიზმზე კითხულობს მოხსენებას, ჰა-  
ჰა-ჰა! მამა დარბაისელი კაცი ჰყავდა, ვინძ-  
ლო ვაევიდანაც გამოვიდეს რამე. შენ რას იტყ-  
ვი, მარინა? რა ვიჩვენია: წვეულებებზე ცაქვა  
თუ სიმბოლიზმზე მოხსენების წაკითხვა? თუმ-  
ცა შენთვის ჯერ ადრეა...

არ ვიცი, ეს „ადრე“ წვეულებებს მიეწერე-  
ბოდა თუ სიმბოლიზმს...  
მარტო ჩვენი ოჯახი არ იყოს ასე. იშვიათი  
გამონაკლისის გარდა, ასე ხვდებოდა ახალ-  
გაზრდა სიმბოლიზმს მოსკოვის მთელი ძველი  
თაობა.

ამგვარად გადმოწყევა ოსტოეენკაზე მდებარე  
კომერციული სასწავლებლის ვარდისფერი კედ-  
ლებიდან ჩვენი სახლის შოკოლადისფერ კედ-  
ლებში ანდრეი ბელის სახელი.

ორი წლის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, იგი  
აქ გამოაღვიძა პოეტმა ელისმა (ანუ ლევ ლვო-  
ვის კობილინსკიმ, პედაგოგ პოლივანოვის ვაჟ-  
მა, ბოდლერის მთარგმნელმა, ერთ-ერთმა ყვე-  
ლაზე მგზნებარე სიმბოლიტიზმა, დაფანტულმა  
პოეტმა და გენიალურმა ადამიანმა).

— გუშინ ბორის ნიკოლაევიჩმა... თქვენგან  
ახლა ბორის ნიკოლაევიჩთან... ო, როგორ მოე-  
წონებოდა ბორის ნიკოლაევიჩს...

რა გასაკვირია, რომ, ბელის ხილვას ეგზომ  
მონატრულებს, მე და ასიას არასოდეს გვითხო-  
ვია ელისისათვის მისი ვაცნობა — ელისს არც  
არასოდეს შემოუთავაზებია ჩვენთვის ეს. ანდ-  
რეი ბელი — ეს ტაბუა. მისი ნახვა არ შეიძლე-  
ბა, შეიძლება მხოლოდ მისი ხმის ვაგონება. რა-  
ტომ? იმიტომ რომ ის სახელგანთქმული პოე-

ტია, ჩვენი კი გიმნაზიის საშუალო კლასის მოწა-  
ფეები.

რუსთა — ბაღებისა თუ პოეტების — ფა-  
ტალიზმი.

ელისი სმოლენსკის ბაზართან, დუქნის  
ლურჯაბრიან გასაქირავებელ ოთახებში —  
„ღონში“ ცხოვრობდა. მე და ასია ერთხელ გიმ-  
ნაზიაში წასვლის ნაცვლად მას შევეუარეთ. ბნე-  
ლი, დილიდანვე ჩაბნელებული, ნიადაგბანე-  
ლებული, ფარდებამოფარებული ოთახის  
(დღის სინათლეს ვერ იტანდა) შუაგულში აღნი-  
ტეს ბიუსტის წინ ორი სანთელი პარპალედა,  
ვიდაც კაცი წასასვლელად გამზადებული იდგა.  
ვიდრე ჩვენი გამოვერკვეოდით, ელისმა თქვა:  
— ბორის ნიკოლაევიჩ ბუგაევი. ესენი კი  
მარინა და ასიაც ცვეტაევიბა.

შემობრუნება, თითქოს პირუტყვი, იქვე კე-  
დელზე სანთლების აღზე გადიდებული მისი  
ლანდით გამეორებული, ეკალივით მუსსხავი  
შემობედა, ჩვენი შემოვლით ვაწყვეტილი წი-  
ნადაღების ბოლო, თავის დაკავრა, ბაღერინა-  
სავით უკან-უკან დახვევა.

— ყოველივე კარგს გისურვებთ, ყოველივე  
სიკეთეს.

შინ ძილის წინ: „მინც ხომ ვნახეთ ანდრეი  
ბელი. ასე მიიხრა: „ყოველივე სიკეთეო“. „არა-  
ფერიც, ეგ მე მიიხრა — ყოველივე სიკეთე,  
შენ კი — ყოველივე კარგიო“. „არა, შენ სწო-  
რედ ყოველივე კარგი, მე კი...“ „კი, კი, შენ!“  
თუმცა გუნებაში: „შენ თვითონ იცი, რომ მე!“  
„ყოველივე კარგი“ და „სიკეთე“ — მისი  
წყალობით არ ამხდარა. შეხვედრა აღარ ვაძნე-  
ორებულია. საკვირველია, მის უახლოეს მეგო-  
ბართა წრეში გტრიალებდა, ესენი იყვნენ —  
ელისი, ნილენდერი, კ. პ. ქრისტოფოროვი, დე-  
ბი ტურგენევიჩები, სერგეი სოლოვიოვი, და-ძმა  
ვინოგრადოევი — მაგრამ ჩემს ყმაწვილკალო-  
ბაში, ვათხოვებამდე იგი აღარ შემხვედრია.  
თუმცა შეხვედრა არც მივლია. თუ ბედმა ერთ-  
ხელ მოგხვდა, მეორედ არ უნდა შეაწუხო.  
ერთზეც მაღლიერი დარჩი. ხომ შეიძლება არც  
ეს ყოფილიყო.

თუმცა ორი წლის შემდეგ ხშირად გხვდავ-  
დი მუსაგეტში, დიახ, სწორედ ვხვდავდი — ვხე-  
დავდი უფრო ხშირად ზურდინან, ცარცის თე-  
თირი ნატეხით მოცეკვავეს შავ დაფსთან, რო-  
მელსაც ისეთი სისწრაფით აჭრებდა მძიმე-  
ებით და გიმნაზიის გეომეტრიული ფიგურების  
მსგავს ნახვარახაზებითა და ზიგზაგებით, —  
ნეტა სახელოდან ხომ არ ცვიოდა! — თავდაც-  
ვის ბუნებრივი ინსტიქტი მიყარხანებდა (აქ  
უცხად არ მობრუნდეს და დაფსთან არ გამი-  
ძახოს-მეთქი), ბელის მოცეკვავე ზურგიდან საი-

**მარინა ცაქნაევა**  
სული პერონილი



დუმლო მრჩეველის გოეთესა და დოქტორ შტაინერის უმოძრაო სახეებზე გადაძებნა მზერა, თვალბგაფართოებულნი რომ დაგვეცქეროდნენ თუ არ დაგვეცქეროდნენ კედლიდან.

ასეც ჩამრჩა ხსოვნაში ბელი: გოეთესა და შტაინერის წინ მოცეკვავე, ვით ოდესღაც დავითი სჯულის კიდობნის წინ. სიმბოლისტის ცხოვრებაში ყველაფერი სიმბოლოა. არა, სიმბოლო არ არსებობს... მე მაქვს კიდევ ერთი აღზრდილი მოგონება, ვერ ვიტყვი, დიდად მნიშვნელოვანი-მეთქი, ეს გაცნობამდე იყო, მაგრამ მისი მოყოლა მაინც ღირს, თუნდაც ტურგენევისეული ადგილების გამო, რომელთაც ბელი, როგორც მწერალი და წამებელი, ორივე მხრზე უყავშირდება.

ტულის გუბერნია, ტოლსტოის გადასახვევი, იქვე ახლოს ქალაქი ჩერმი, სადაც ივანი ეშმაკს ემუსაიდა, იქვე ბეჟინ ლუგვი. ჰოდა, იქ ვიღაცის დღეობაა, თითქოს სიზმრად ნანახი თეთრი სახლი და შავი ხალი:

— რა ვარდევით პირისკანი გაქვთ და რა ჯანმრთელი იყრი, ალბათ ნიჭიერი იქნებით, — შექაქანება სიციხითა და სისულენით შეუწუხებულნი დიასახლისი, — ჩემები კი თხებივით ქნაუბნი არიან, გაცი-გადარეულები. მეტადრე ბიშეტკა. ასე მონათლა ბებიაშისმა იმის გამო, რომ თხისთვალეობა და სულ დაკუნტრუშობს. წარმოვიდგენიათ, გენაცვა, ერთხელ მოსკოვში ვარ, ჩემს სასაიდლოში, მესმის, ბიშეტკა დერეფნიდან ტელეფონში ვილაკას ეუბნება: თუ შეიძლება, ანდრეი ბელის სთხოვეთო. ყურები ვცქვიტე, — მესმის ანდრეი იყოს, გეთაყვა, ან ანდრეი პეტროვიჩი, ეს „ანდრეი ბელი“ რა არის, კატორღელია თუ მეუბოვე?

ენახოთ, დგას და უცდის, დიდხანს უცდის, ეტყობა არ მოდის. უცებ, გეთაყვა, ყურს არ ვუჭერ: „ანდრეი ბელი ბრძანდებით? თუ შეიძლება მითხარით, რა ფერის თვალები გაქვთ? დებთან მაქვს სანაძლო“... დერეფანში სიჩუმი, ვიფიქრე, ალბათ ჰკუხას არიან-მეთქი — რა იცი, რა იფიქრა, ვინ ვგონა! — ის წუთია მინდა ავდგე, მივიდო და ავუხსნა იმ კაცს — ჯერ ყმაწვილია, უმაღლე ვაზარდელი, ცული აზრით არ უთქვამს... ერთი სიტყვით, ტურტრუცანა მყავს-მეთქი — რომ... უცებ ისევ ატიტინდა: „მამ ნაცრისფერი? მართლა ნაცრისფერი? არა, არა, ყველას კი არა და არც მოსკოვსა და არც სადმე სხვაგან სხვას რომ არა აქვს, ისეთი? მე ლექციებზე ვიყავი და თვითონ ვნახე, ოლონდ ვერ გავარჩიე, ნაცრისფერი იყო თუ მწვანე... ვაშა! ვაშა! სანაძლეო მოვიგე... დიდი მადლობა, ანდრეი ბელი, ნაცრისფერი თვალბისათვის!“

შემოვარდა ჩემთანაც: „დღეა! გესმის, ნაცრისფერი თვალბიო!“ მესმის, მესმის, ისე კი ჰკუხას ვიზამდი, ანა სემინოვსისთვის დამეკრებინა და ეკატერინეს ინსტიტუტში მიმებარებინა.

ნე...“ „რა დროს ეკატერინეს ინსტიტუტია? შენ თუ იცი, ვის ველაპარაკე ახლა ტელეფონით? — მეუბნება, თვითონ კი ბტის, ზევით-ქვევით, ზევით-ქვევით, ლამის ჰერს აარტყას თავი, ხომ იცით რა მაღალია, მოსკოვში კი რა დაბალი ჰერს გეაქვს, შემეშინდა, ჰალი არ ჩამომიმტვიროს-მეთქი, — ვისა და ანდრეი ბელის, რუსეთის ყველაზე სახელოვან მწერალს! ან თუ იცი, რა მიპასუხა? არ ვიცი, ახლავ ვნახავო, წავიდა და სარკეში ჩაიხედა, ამდენი იმიტომ მალოდინა, რა თქმა უნდა, ნაცრისფერი თვალები ჰქონდა. არა, თუ გესმის, დედა: იმ ანდრეი ბელმ ლექცია რომ წაიკითხა, ისეთი ალიაქოთი ატყდა, სტენით დაანჯრიეს იქაურობა... ახლა ბლოკსაც ვაგვიცნობი...“

ჩემი დიასახლისი სულს თქვამს და დაღონებული განაგრძობს:

— არ ვიცი, დიდი მწერალია თუ არა. ჩვენ ტურგენეს ვკითხულობდით, მით უმეტეს ჩვენებურთია... თუმცა დიდა თუ პატარა, მაინც რიგიათ კაცი ყოფილა, არ გალანძლა, ცული არაფერი უფიქრია, მამსინე მიხვდა, ტურტუცია... წავიდა და თვითონაც... ტურტუცია... სარკეში ჩაიხედა... მე რე ვიკითხე: „განა შენ თვალბის ფერზე არ კითხა-მეთქი, ბიშეტკა?“ „რას ამბობ, დედა, ძალიან არ აინტერესებს ჩემი თვალბი? რა სახელოვანი ვინმე მე მნახე?“

კარგო ბორის ნიკოლაევიჩი, როცა თითხმეტე წლის შემდეგ ეს ამბავი ბერლინის Pragerdiele-ში<sup>1</sup> გაიმბეთ, პირველად ეს მკითხეთ:

— თვითონ მართლა რა ფერის თვალები ჰქონდა? Bichette? ალბათ ნაცრისფერი? აი, ასეთი? (ირიბად ჰკვითავს ჰერს) — მართლა როგორც თხას? მაშინ რამდენი წლისა იყო? ჩვიდმეტის? მაღალი, ასე მაღალი? ღია ქერა? არ იძირდა, ისე ხტოდა (ლამის აყირავებს მაგიდას) — აი, ასე, ასე, ასე?

(გვერდით მაგიდასთან ისმის ჩურჩული). „წერილი რატომ არ მომწერა? ჩემო კარგო, საყვარელო, არ შეიძლება სადმე ენახოთ, არა, სად — არა? რა თქმა უნდა, მოკვდებოდა. ყველა, ყველა კვდება ან მიდის (გამომწვევად იხედება ბრვევიჩს). — თქვენ რა იცით! აბრამ გრიგორიევიჩი, აბა, ერთი თქვენც მოგვისმინეთ! იყო გოგონა ბიშეტკა — თხასავით თვალბი ჰქონდა — ჩემს ლექციას დაესწრო...“ — გამომცემელი ზანდა: „როგორ ლექციას? აქა?“ ის ამტერდება: „ცხადია, აქა, რამეთუ მე ახლა აქა ვარ, რამეთუ იქ ახლა აქ არის, რამეთუ არავითარი აქ, მხოლოდ იქ! არავითარი ახლა, მხოლოდ მაშინ, მუდამ, ნიადაგ, მუდამაქამ მა ში ინ... აი, ეს არის ფეტისეული ახლა“ (გვიასლოვ-

<sup>1</sup> ბერლინის სასტუმრო-ბანსიონატის კაფე, სადაც რუსი ლიტერატორები ცხოვრობდნენ არტულ დიდი ნიით — მ. ცეცაევა (1929 წ.)

დება მისი მეორე გამოცემელი). ბელი ვერდებოთ: „სოლომონ ვიტმანოვიჩი, თქვენც ყური მიგდეთ. იყო ერთი გოგონა, თითხმები წლის წინაო, Bichette თხასავით თვალები ჰქონდა, ჩემი თვალების ფერი რომ ვუთხარო, სიხარულით სულ ასე ხტოდა. ახლა ის ვალკირია... უკეთ — ვალკირია იქნებოდა... მე ვიცი, რომ მოკვდა...“

(მოწონებული თანაგრძობით და გაკვირებით აღსავსე დღემილო, ცოტა კომიკურით. ასე გაჩუმდებიან ხოლმე იმ ადამიანის სიკვდილის ცნობაზე, ვისი არსებობაც ეს წუთია შეიტყვეს და ვის სიკვდილსაც ერთ-ერთი იქ დამსწრე ღიღად განიცდის). უცეროვ ბელი ჩემსკენ მობრუნდა, თუმცა თქმა იმისა, მთელი სხეულითო, უცნაურად ეღერს, იმდენად ცოტა ეს მთელი და იმდენად ეს არაა სხეული:

— ეს Bichette — მართლა იყო არ... მოიგონეთ? (ეკვიპანდა და აგრესიულად) ვინაიდან მე არაფერი მახსოვს, არც თვალები და არც ტელეფონი. კი, კი, მჭერა თქვენი, ოღონდაც (ირგველი მყოფთ) ამას ჩემთვის დიდი, დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან თუ ის იყო — ეს იყო ჩემი ბედი, ჩემი უბედობა, ვინაიდან მე ბედი არ მქონდა. მხოლოდ ახლა ვიცი, თუ რამ დამლუპა და როგორ დამლუპა!

სათქმელი არავის არაფერი აქვს, გოგონას ამბავი ამოიწურა და ახლა მხოლოდ ბელისეულ სიმშავე უნდა დაიწყოს; ამიტომ გამოიმცემლები და მწერლები ცოლებიანად შეუმჩნევლად და თვალის დახამამამებში... არა, კი არ კრებიან: უბრალოდ, იყვნენ და — აღარ არიან. ბელი სუფრის ქარგას ისე ჩაშტერებია, თითქოს იქ ძველი ამბების და წარწერების კვას ეძიებს. უცეროდ თავს მალა სწევს და მისი თვლების შუქი — ვინ თქვა, ნაცრისფერი თვალები აქვსო — ლამის მარბრავებს, თუმცა არა მგონია, მე მხედრავდეს:

— Bichette... Bichette... მახსოვს, კი, კი, რაღაც მახსოვს, ოღონდაც... არ ემთხვევა! მაშინ სულ პატარა ვიყავი, თითქმის არ ვიყავი, უბრალოდ არ ვიყავი... აღარ ვიცი, რა ემთქვა და ვიცი.

— მე არ ვიყავი, იყო: მე, ვილაც, სხვა. გესმით ჩემი? (ნიადავ კითხვა იმათი, რომელთაც იმდენად წარკვეთიით იმედი გავებისა, პასუხსაც აღარ ელიან). ერთი წამით... ჩუ! ახლავე გამახსენდება (ჯადოქრის მბრძანებლური ენტი). ახლავე გამოჩნდება: თუმცა რატომ Bichette! როცა Biquette! დიახ, დიახ — ემთხვევა რომ ამოვივანონ, მაინც ვიტყვი Biquette-მეთქი! თუმცა რატომ Biquette — როცა Biquette?

— ახლა თქვენ ჩუ, ბორის ნიკოლაევიჩი! (სიმღერით)

Ah, tu sorfiras Biquette, Biquette,  
Ah, tu sorfiras de cechou lu!  
იმიტომ, რომ როცა ჯერ არ იყავი, როცა პატარა იყავით, ამას გიმღეროდით თქვენი ფრანგი — არა, თქვენი შვიცარიელი m-lle.

დღემილო. მისი თვლების აღტაცებული მზერა ისე მეფრქვევა, ვით სხივთა კონა, ვით წვიმის მზებინი კედლიდან დაწყებული ჩემი ჯერ ისევ ახალა, ჯერ ისევ ლურჯი, ჯერ ისევ ერთადერთი ბერლინული კაბის ქობამდე. მერე ხელს მართმევს, ტურნებთან მიაქვს და — ვინემ მიიტანდეს:

— იცოდეთ, მაგ Biquette-ს გულისთვის — მე Biquette-ს, კომპოსტოს ბეკეის ვეულისხმობ ახლა, მთელი ათი წელი დილიდან საღამომდე მზადა ვარ თქვენთვის რიყის ქვები ვათრიო ზურავით.

— ღმერთო ჩემო!  
მე — შემარწუნებით.  
ის — იმპერატორულად.

— რიყის ქვები-მეთქი (დღემილო), არც იმას დაგმილაეთ, რომ, როგორც თქვენ ამ წუთას, არავისთვის ისე პატები არ მიცია.

საოცარია და მხოლოდ ახლა ვამჩნევ, რომ მზებერამდე ანდრეი ბელის სახელი ორჯერ ვავივინე სამ დასთან დაკავშირებით. პირველი იყო ის საზი და, რომელთაგან უფროსს Bichette ერქვა, მეორე — დები ტურგენევები.

დებ ტურგენევებზე ცალკე ლეგენდა დადიოდა: ისინი — ტურგენევის ბიძაშვილიშვილიშვილები არიანო, ერთი-სერგი სოლოვიოვი, ვლადიმირის მისწული ეტრისი, მეორეს — ანდრეი ბელი, მესამეს ჯერ არავინ — რადგან თორმეტი წლისა, მაგრამ დრო მოვა და ყველა ტრფილს დასწყევსო. პირველს ნატაშა ჰქვია, მეორეს — ასია, მესამეს — ტანიაო. ლეგენდა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ გაცნობისას ნატაშა უკვე ვათხოვილი აღმოჩნდა, ტანია — ერთი ჩვეულებრივი გიმნაზიელი გოგო, ასია კი — ორივესი, ანდრეი ბელისა და სერგეი სოლოვიოვის ტრფილებს საგანი.

ასია ტურგენევა პირველად მუსაგეტში ენახე, სადაც მე მაქსმა (ვოლოშინმა) მიმიყვანა. საროს ტანი, ამაყად გადადებულ თავი; ეს სიამაყე ბუნებით მოსდგამდა, გრუხად დაყრილ „anglaises“-<sup>2</sup> ჩამოქნილ თითებში მუდამ პაპიროსი, ირგვლე ბოლქვა-ბოლქვად დახვეული საკუთარი თუ მუსაგეტის იისფერი კვამლი, რაიც უფრო ჩამოქნილს აჩენდა მის ნარნარ ტანს. მდვასი სილამაზის ხელები მე არც მი-

<sup>2</sup> კულულები (ფრანგ.).

1 აჰ, გამოხვალ, ბიკეტა, ბიკეტა,  
აჰ, გამოხვალ ამ კომპოსტოდან (ფრანგ.).



ნახავს. კულულები, ყელი, ხელები — ინგლისური გრაფიურებიდან, თვითონაც გრაფიორი და ელისის ლექსების წიგნის „Stigmata“-ს ყდის ავტორი. თავი და თავი კი ასია ტურგენევა — ტურგენევის ასია, იმ სერგეი სოლოვიოვის ტრეფია, ვლადიმირის თვლინა რომ აქვს. მისი ზღაპრების „ობოლი მარგალიტი“, ანდრეი ბელის საცოლე და მისივე „ვერცხლისფერი მტრედის“ კატია, სადაც დარიალსკი იგივე სერიოჟა სოლოვიოვია (ეს ამბები სულმოუთქმელად მიაშობ ვლადიმერ ნილენდერმა, მიაშობო ესე, თითქოს ძალიან ამყობდა ამ ამბების მოქმედი გმირების მაგიერ და ოდნავ საკუთარი თავითაც, რამეთუ, მგონი, თავადაც ასიას უშიედო მიჯნური იყო. თუმცა არმიჯნურობა არც იქნებოდა).

მუსაგეტში მე ასიას ხმა არ გამოვიცა, შიგადაშიგ თუ დასკდებოდა „პოო“, თუმცა „პო“ კი არა, „არა“. და ეს „არა“ საავდრო წვიმის პირველი შეხვედრით გვეცემოდა. ასია მხოლოდ გიტკერდა და აბოლებდა. მერე კი ისე უფეროდ გიტკელებოდა იქაურობას, შენ მარტოოდენ კულულებსა და პაპაროსის კვამლს თუ მოატანდი თვალს. მახსოვს თამბაქოს კვამლის ღრუბელში მუდამ როგორ ვეძებდო ასიას კვამლის ცალკე სვეტს და როგორ ვაყოლებდი თვალს ამ სვეტს ასიას ბაგეთაგან კვამლის ზღვამდე — ჰერამდე ასულს. მუსაგეტის ლექციებს არ ვუსმენდი, რადგან არადფერი ვამეგებოდა, თუმცა, რომ არ ვუსმენდი, იქნებ იმიტომ არ გამეგებოდა. ჩემი გულისყური თვალმოუტანებლივ შემოსრიალეზულ ასიას, ჰერამოტივით შემოჭრილ ბელის, კელოდან უმოძრაოდ გამოშორილ შტაინერის შვი თვალებსა და ბოდლერივით მწუხარედ დაღრეჯულ ბაგეთ მიეჭურა. მეცხოდა მხოლოდ: „გნოსეოლოგია“, „გნოსტიკოსები“, რას ნიშნავდა ეს სიტყვები, არ ვიცოდი და დღედუნა ბეგრებით გულარეულად არც არასოდეს ვეთხოვებოდი: გიმნაზიაში — გეომეტრია, მუსაგეტში — გნოსეოლოგია. აი ის კი, ვინც ახლა ასე ვერაგულად დახრილა... მაგრამ წამი, ოდნავ შერტიალება (ჯალედესკობის მავგარად) და უკვე კლდესაებრ გადმოწყდებია გერმენზონის და ისე პასუხობს — ანდრეი ბელი, ის ანდრეი ბელი, ვინც მარადისობა არის! უკვე ორი ზამთარი გამოხდა მას აქეთ, რაც მე და ასიას გვითხრა, მე (ახლაც ამას ვამტკიცებ, თუმცა ვი, როგორ არ ამიხედა) — „ყოველივე სიკეთე“, — ასიას — „ყოველივე კარგი“. მე იგი არასოდეს დამლაპარაკებია, ეს კია, შემთხვევით გვერდით სკამზე რომ ჩამოვდებოდა, შემხედავდა და ენითუთქმელი განცვიფრებითა და სიხარულით იტყოდა ზოლმე: „პო! ეს თქვენა ხართ?“ და მეტი არადფერი. მან თუ არა, მე კი ვიცოდი, იგი ვინც იყო.

ასია ტურგენევისავით მუსაგეტში მეც ჩუმად ვიყავი. ის იმიტომ — თავს ყველაზე მალ-

ლა გრძნობდა, მე — ყველაზე დალა. ის — გალაღებული, მე მუდამ შელახული სიამაყისაგან. არ ველაპარაკებოდი, ცხადია, ასიასაც, ვინც პირველსვე ნახვით „აქაურობის დიოფლად“ შევიცან.

რა სასწაულმა დაგვაახლოვა? ვისი წყალობით და მეშვეობით? ვფიქრობ, არავის, მხოლოდ იმ უბრალო, ჩვეულებრივი ფაქტის წყალობით, რასაც სახელად აუცილებელი, სასწრაფო საქმე ჰქვია, რაც სხვისა თუ ჩვენს საკუთარ გულისწაიდლებზე მეტ სამსახურს გვეწვეს. და, თუ საჭიროა — მთას ახვედრებს! — ეს საქმე კი ამ შემთხვევაში მუსაგეტის მიერ ჩემი მეორე წიგნის გამოცემა იყო, წიგნის ყდაც ასიას მიაღწეს.

მახსოვს, პირველი მე მივედი ასიასთან. ეყო სადღაც, თოვლიან შესახვევებში, მგონი — არბატზე.

სიდანღაც, ბინის ბნელი სიღრმიდან ლამპის მიმქრალ შუქზე გამოსული ვეფხისტყავემოსხმული ასია, ირგვლივ თამბაქოს კვამლი, თავზე — კულულების ბუღული, მიყურებს ქვეშქვეშ და მამაყატურად მართმევს ხელს.

სწორედ ეს იყო მისი ჯადო და მომინბლობა: მამაყატური, ჰაბუტური მიმოხრა — მე ვიტყვოდი — მამაყატური ქვევა მეტისმეტად ღირიულ, ქალურ, თითქმის ბალღურ ბუნებასა და ნაკეთებთან შეზავებული. როცა ვინმე ზორბა დედაკაცის ხელს მამაყატურად მოგიჭერს — გასაკვირი აქ არადფერია. მაგრამ ასეთი ხელი, ისიც ასე გრავიურასავით ნატოდი!

ღივანზე უფროსი და ნატაშა, აჩეილი და აწითლებული ტანია გიმნაზიელის უყვარი შენოვარდნა, რომელიც მე მართლა ძალით მივატმამსნე ჩემს კულტს რიცხვის დამრგვალების მიზნით. ჩემი ასია მასთან სწავლობდა გიმნაზიაში და მისგან ვიცოდი, ერთი ჩვეულებრივი გოგოა, ლიტერატურა არ აინტერესებს, არც კითხვა უყვარსო. ჩემი ხეყწის მიუხედავად, ასია ვერა და ვერ დაეყოლიე მასთან ემეგობრა. „აბა კი, თუ ძალიან გინდა, შენ თვითონ ემეგობრე. რად მინდა მისი ტურგენეეობა, როცა ღვეზულებიან და ჩვილი ბავშვების გარდა სხვაზე არადფერზე ლაპარაკობს, თითქოს და ჯიბრზე!“ (იქნებ მართლაც — ჯიბრზე? რაკი იცოდა, მისგან „პოვონის“ გამოელოდნენ? უფრო სწორად კი — ერთი ჩვეულებრივი თითხმეტი წლის გოგო, ბატონების ოჯახში ვაზრდილი, ბუნებით ლადი).

ღივანზე გალტრსული ნატაშა, ტანისა ცმუტვა და ბიბუნე, ჩემს წინ გაყურულ ვეფხვის პლედში გახვეული ასიას ფხიხელი ღუმელი.

„რა საუცხოო დისია!“ — „რა ვეფხვია“. — „ვეფხვსა აქვს ყურებზე ფოჩი?“ — „არა, ფოცხეკის!“

(შოდი და გაბაბი მუსაიფი) ვეფხვის კალთას ჩემსკენ ვითრეე და ვეფხვები. მიხარია, რომ



ასეთი კარგი გასართობი ვნახე და ლაპარაკი აღარ მჭირდება. უცერად ჰეშმარბიტი აღმოჩენით აღტაცებულ: „ვეფხვი — ეს თქვენ ხართ, ასია! საქუთარი ტყავი გავიძვირათ და ზედ წამოგისხამო!“

საოცარი სიცილი, საოცარი თვალების შეშინება, მერე ცალი ხელით ლამბას თალღაქს აძრობს, მეორეთი — მე მიჭერს ხელზე:

— თვითონ რა ფერისა გაქვთ თვალები? რა თქმა უნდა, მწვანე. ასეც ვიცოდ.

სიმბოლისტური ეპოქის შვილისათვის ნეტა თვალების ფერზე დიდად მნიშვნელოვანი თუ იყო რამე? ან ბალმონტის მერე აღმოჩენილ და მის მიმდევართან დაკანონებულ მწვანე ფერზე უფრო ნეტა მაშინ რა ფასდებოდა?

— რა საოცარი სახელი გქვითო. (გამომცდელოდ) მართლად მარინა ხართ და არა მარია? თუ ეწვიეთ? (უსიტყვოდ ვაწვდი პორტსივარს). ეწვევა, მწვანე თვალები აქვს, მარინაც ჰქვია, — მიმართავს დებს აღმრიცხველივით.

ყველანი უკვე დივანზე ვზვიართ, უკვე ლექსებს ვკითხულობთ ტანისა ცმუტვისა და ბრაზხუნისა — რა წრია გოგოა და რამდენს ხმაურობს. მაგიდაზე შემოდგმული ფინჯნების, ლამბაქების, ვაზების ხათქახუტქო. არ მახსოვს, ყდახე რა ითქვა. (ჩემი საქმიანი შეხვედრები მუდამ ასე მთავრდება!) სამაგიეროდ, ყველაფერი მახსოვს ვეფხვზე, აი ამ ვეფხვის ბოკერზე, აი, ამ აღქაზე, საკუთარი ტყავი რომ მოუხსამს მხრებზე და ისე მობუზულა, თითქოს სიცოცხლე... არც ანდრეი ბელი გვიჩვენებია (სიტყვა „საქმრო“ ყურს მაშინ უხეზდა სურია, „ქმარი“ კი (სიტყვა და პიროვნება) წარმოუდგენელი რამ იყო).

საკვირველია ისიც (თუმცა აქ საკვირველი ყველაფერი ან არაფერია), რომ უკვე რაღაც იქნის გრძობა მიტანს, უკვე გული მოკვნისს, უკვე მიგლავს — *Zahnschmerzen in Herzen!* იმაზე — რომ წავა, მე გადამიყვარებს. მეუფლება უფრო ღრმა და კეთილშობილური გრძობა: მთელი რასის წუხილი, ამორძალთა ზარალი იმ ნაპირზე, გაღმა ნაპირზე, იმათ ნაპირზე გადასულ დაზე.

დიდებული ვეფხვია. მუსაკეტში ამის შემდეგ ამ ვეფხვით მოდიო. გული მაინც გადავაყოლოთ.

გულში: „ასია! ასია! ასია! არ გაპყვე, არა, თუნდაც ეს კაცი ანდრეი ბელი იყოს!“

ხმაალა: „მე არ მესმის, რა არის გნოსეოლოგია და ყველა ამაზე რად ლაპარაკობს. ან სხვადასხვას რად ამბობენ, როცა ის ეროია.“

გულში: „შენ Mignon ხარ, ასია, განა ოპერის, გოეთეს Mignon. Mignon კი არ შეიძლება

ვინმეს წაყვეს — გინდაც ეს ვინმე ყრმა გოეთე იყოს.“

ხმაალა: „არ მიყვარს ვიაჩესლავ ივანოვი, ჩემს ლექსებზე თქვა: ლომონის ჩენწოაო. ანტერესებდა, რას ვიტყვოდი, მე კი ვუთხარა: სავებით მართალი ბრძანდებით-მეთქი. ოპ, როგორ გამიბრუნდა და რა ცოფები ჰყარა მაშინ — გერ-შენწონაო.“

გულში: „O Lasst mich scheinen, bis ich werde! Zicht mir das weisse kleid nicht aus! ასია! ეს ხომ მისივე ღალატი იქნება — შენივე ანდრეი ბელის ღალატი! შენ ქალი ხარ და მეტი ჰქუა და ძალა უნდა გამოიჩინო... მის მ ა გ ი ე რ გა ი გ თ!“

ხმაალა: მშვენიერად იცით, თქვენი ლექსები რომ ჩენწო არაა ნეტა რად დასციინით ვიაჩესლავ ივანოვს ან ჩვენ ვეკლას?“

გულში: „მე არა მაქვს მხატვრის მოქნილი თითები, ასია, ვიცი, რომ არ ვლრვარ არც შენ ნეკად და არც ბელის ფრჩხილად, მაგრამ ლექსებს მაინც ვწერ, ასია, და თვითონ არ ვიცი, რა გამოვალ — მაგრამ რაღაც რომ გამოვალ, ეს კი ვიცი! ჰოდა, არ გაპყვე, ასია, ცოლად ანდრეი ბელის, წაეიდეს მარტო სიცოცხლისა და ეგვიპტეში, შენ კი აქ დარჩი, დარჩი მარტო, დარჩი ვეფხვთან, დარჩი ვეფხვად!“

— რაზე ფიქრობთ, მარინა?

ვგრძნობ, სულ დამვიწყდა გერშენწონზე რომ მელაპარაკე (ჰოი, რა საშინელია, უცებ რომ გამოერეკვი და იგრძნობ, ჩუმიდ ზიხარ და ისიც არ იცი, რამდენ ხანს).

— ჩემი გეშინოდეთ, მარინა, სხვის ფიქრებს ვკითხულობ.

მერე დღისიკენ აბრუნებს სახეს:

— საიდან აქვთ ამ ცეტაქეებს ასეთი წითელი ტუჩები? მარინასაც და ასიასაც? ვამპირები ხომ არ არიან? იქნებ მე უნდა მეშინოდეს თქვენი, მარინა? ღამე ხომ არ მომეპარებთ და სისხლს არ ამომწოვთ?

— მერე ეგ ვეფხვი რას გიკეთებთ? ღამე თქვენს ლოგინთან სძინავს, თანაც შეხეთ, რა ეშვები აქვს! მეორე ზმანება-მოლანდება თითქოს შემეცინული, უვეფხვოდ მოსული, მაგრამ მაინც უჩინრად მასში გახვეული ასიასი ეს ტრიოხპრულნიზე, ჩენი დარბაზისა და სასტუმროს სახლარზეა, სადაც იმისაღლე ჰერია, თამბაქოს ყველა კვამლს გზა ხსნილი აქვს.

ჩენს შორის უკვე სიყვარულის უბრალოებაა, აღარ მახჩობს. მეც ვიცი და მანაც იცის, რომ

2 როგორც ვჩანვარ, ისეთი გავხდები, ჩემს თეთრ მორთულობას ხელი არ ახლოთ (გერმ). მინონის სიმღერა (გოეთეს რომანი „ვილჰელმ მეისტერის სწავლების წლები“)

**მარინა ცხეპაძე**  
სული პეროგინი

1 „ქობის ტყვილი“ გულში (გერმ).

ჩვენ ერთი ჯიშისანი ვართ. გზიბლავს მარტო-  
ოდენ უხვო, შენი კი გიყვარს. ასიას გამგზავ-  
რებაზე არაფერს ვამბობთ, არც მის სახელს ვახ-  
სენებთ, არც არასოდეს ვახსენებთ. ჯერხანო-  
ბით ისევე თავისუფალია, იმ მდინარის აქეთ,  
გამოლომა.

ასიას წასვლის დროა, მაგრამ არ მიდის, წა-  
სვლა არ უნდა, იხსნის, ისევე ისხაბს, თუ მხრი-  
დან მხარაზე აცურებს უჩინარ ტყავს ვეფხვი-  
სას. არ ვეკავებ, მე ვიცი ჩემი ადგილი, და თუ  
ის უკანასკნელი არაა, მხოლოდ იმიტომ,  
რაცში არ ვდებები... (ჩემთან კი, ჩემი უბრალო  
გრძნობით (აჩის კი უბრალო გრძნობა?) ჩემი  
მზიარული, ქალწულური მეგობრობის წყალობით  
ტრიოზპუნდის შესახვევის რვაში, შოკოლადი-  
სფერ დარბაზიან სახლში, შენ მაინც უფრო  
ბედნიერი იყავ, ვინემ იქ, სიცილიაში მასთან,  
ვისაც შენ უცილობდა დაკარგავ...) —

— ასია, მალე წახვალ?

— მალე, ახლა კი მივდივარ.

საბოლოოდ ვეთხოვები ჩვენს ლეიბივით  
პრელ, ლეინსფერ-თეთრობება სადარბაზოში,  
სხვა უკანასკნელ გამოთხოვებათა კვალობაზე  
კვლავ ვეხვევი ჩემს გინაზიხიელ ლურჯ ვერ-  
ძის ქურქში (მე — ვერძი, შენ — ვეფხვი,  
ღმერთს ასე დაუდგენია, თუმც ვერძი) და  
ვე(ფხვი) მაინც ერთმანეთს ენათესავება), მივა-  
ცილებ თოვლიან შესახვევში — უკეთ, შესახვე-  
ვებში — რომელიღაც თეთრ სახლამდე (იქნებ  
— ასიასი, იქნებ — მისი, იქნებ — არავისი),  
რომელსაც ჰქვია „აქ“ და აქ ვეთხოვები.

— იცი, ხელ ასია და ბორის ნიკოლევიჩი  
სიცილიაში მიემგზავრებიან.

ზღურბლიდან იძახის ვლადიმერ ნილენდერი,  
ისიც ბოიოქარი, ყოველდღე მიწიურს მოწვევ-  
ტილი სული. *âme es peine — dêternite!* და  
თავზევით ისე სწევს ხელებს, თითქმის დარბა-  
ზის კედელზე დაკიდებულ აფროდიტას ეხვეწე-  
ბა, ეს უბედურება მას ააცილოს. ახლავა  
ვამჩნევ, რომ ნილენდერსა და ელისს ბელის  
ეესტები ჰქონდათ. გაკლენა? თუ სულიერი ნა-  
თესობა?

— ჩემს ლექსს გადასცემთ ასიას?

— თქვენ არ გააცილებთ სადგურზე?

— არა. პირდაპირ ხელში უნდა მისცეთ. მე-  
სამე ზარი რომ ჩამოაკრავს. ოღონდც ისე...

— ვიცი, ვიცი.

— არა, არ იცი. მესამე ზარის შემდეგ კი  
არა, როცა ყველა კიბეს ეხვევა, არამედ სულ  
ბოლოს, უკანასკნელად რომ ჩამოვა კიბეზე,  
უკანასკნელ გამცილებელს გამოეთხოვება და  
ხელს აიჭევს...

ერთი ღღის შემდეგ თავის ისედაც ჰალარა,  
თოვლისგან კიდევ უფრო გაჰალარავებული სა-  
ყელი გადაწვია (ვეფხვი, ვერძი, თავი... ამ

თახვით აქრობდა იგი შემდეგ სულში დიდიხელ  
ფილოლოგიურ ხანძარს. თავი დაიწვევს სპეცი-  
როდ ფილოლოგიც ყველა წიგნის დაფარვა-  
ეს შემომძახა:

— მარინა! წაივინდენ! გული მოგიკვებოდა.  
საწყალი ასია ვაქაცურად თავს იმაგრებდა,  
არ ტიროდა, ოღონდაც მისივე დასრეცილი  
ცხვირსახოცივით ერთი მუქა ვახდა. ცრემლი  
კი მაინც არ გადმოვადლო!

(ნერჩინსკი ხომ არ გზავნიდნენ მონრეალში  
მიდიოდა! საყვარელ კაცს მიპყვებოდა. ანარევი  
ბელის მიპყვებოდა! მაგრამ ასეთი იყო მაშინ  
გრძნობები და განცდები!) —

„ბელი როგორ იყო?“ — იცით — (უღიღე-  
სი განცვიტრებით) — მგონი, ბედნიერი? ნათე-  
ლი ადგა!“ — „მას მუდამ ნათელი ადგას“. —  
„მართალი ხართ. მაგრამ ვუშინ, განსაკუთრე-  
ბით, კი არ მიდიოდა — მიფრინავდა, ვეგონე-  
ბოდა, ვაგონები ორთქლს კი არა... მის აღ-  
მაფრენას მიჰყავდა...“

„ბედნიერი ასია. საწყალი ასია“. მეც იგივე  
გრძნობით:

„გინდ თანაგრძნობით და გინდ რისხვითა  
სულში არაგის ჩაახდენიო.“

გზა მშვიდობისა. აწ დაკარგული  
მეფის ასული“.

— მარინა, რა სიცივე და ბოროტებაა ქო-  
რინება!

ამას მეუბნება მე! პირში! — ის... — განა  
ასიას და ბელის ამბავი ჩვენი ამბავი არ იქნე-  
ბოდა, ერთ-ერთ ჩვენგანს რომ უფრო მეტი სი-  
ცივე და დაუნდობლობა გამოჩინა. სამაგიეროდ  
— რა შეედრება ან ნათელ გრძნობას, სამაგიე-  
როდ-მეთქი ვიცი, რომ გინდათ ათი და გინ-  
და ოცი წლის შემდეგ მე რომ შევიდე მის  
— ფილოლოგის ბუნავში, ორთოვის მღვიმე-  
ში თუ სიბილას გამოქვაბულში, ის მარჯვენათი  
ყმანწილ ცოლს მოიშორებს, მარცხენათი გად-  
მოანგრევს და მევე დამაყრის თავზე ჰერამდე  
ახორხილ ძველი წიგნების გროვას და ხელგა-  
შლილი მომვარდება — ეს ხელები კი ფრთე-  
ბი იქნება.

აი, ჩვენი და ჩვენს მსგავსთა ჯილო ჩვენ-  
გან უარყოფილი მონრეალისთვის.

ერთი წლის შემდეგ, აღარ მახსოვს საიდან,  
ასიას წერილი მომივიდა. გონივრული, საქმიან-  
ი და ზუსტი, მისამართებითა და ფასებით,  
ეს იყო პასუხი ჩემი წერილისა, სიცილიაში სად  
უნდა იმგზავროს-მეთქი კაცმა. ჩემი საქორწინო  
მოგზაურობაც ერთი წლის შემდეგ მხოლოდ  
მათი — ასიას, კატიას, ფსიქიკას — ევალდაკვალ  
მოგზაურობა იყო, ის ყრუმუნჯი სირაკუზელი  
გოგოც დაფნის შავად გაბარდნილ ბაღში ისეთ  
ლურჯ, თაქარა შუადლის ხანს, რომ მისი სილუ-  
რჯე აქამდე თვალეში მიდგას, რომელიც სირ-  
ბილით მიმიძღვინა წინ, უფსკრულის პირას და

1 სული შეძრწული მარადისობით (ფრანგ.)



უცებ ხელაწეული შედგა: „აი ესო!“ „აი ეს“ კი პოეტა შორის უსპეტაკეს ავგუსტ პლატენის ქანდაკება იყო — August von Phaten sein Freunde! — ის სირაქუნელი გოგოც-მეთქი, ტვერიდან თავისი გამოსული, რა თქმა უნდა, ასიას სული იყო ან თუნდაც მისი სულის პატარა ჩემი ნაწილი — იმ შვე ბაღში ჩემს მფარველ-ანგელოზად მოვლენილი.

ასია მერე აღარ მინახავს.  
 გოგო... ბეკევი... Bichette ...აჰ, თქვენა ხართ, Bichette?

მე ასია აღარ მინახავს. არის ისეთი შეხვედრები და ისეთი გრძნობები, როცა ადამიანს ყველაფერი ერთად გეძლევა, ისინი გაგრძელებას არ საჭიროებენ. გაგრძელება ხომ იგივე შემოწმებაა.

ისინი არც ნაღველს სტოვებენ სულში, ნაღველი ხომ მაშინაა — როცა შენ თუ იმან — ყველაფერი ვერ მიეც და ვერ უწილადე. სიცარიელე — როს უღირსს მეთისმეტს მისცემ (ღირსეულთაც, მეთისმეტი არც მოგვიან) ასია პირველი წუთიდან ჩემთვის მომავალი იყო, რაც დრო გავიდა — დაკარგული. ასე უყვართ ხოლმე მომავლადე: ყველაფერი ერთად, ყოველი სიტყვა, ან უკანასკნელი ან არც ერთი სიტყვა. პირველი შეხვედრიდან მე მორჩილად მივინდოე შესა და ვაღიარე მისი უპირატესობა. გულში უმაღლეს დავუთმე ყველა ის ადგილი, სადაც ოდესმე შეტაკება მოგვიხდებოდა: ისევე ბუნებრივად, ვით ზმანებას, რომელიც, ვინდა არ ვინდა, სულში მაინც შემოგაგებრება.

თქვესმეტი წლისამ უკვე ვიცოდა, რომ ლექსის შთაგონება უფრო დიდს ნიშნავს, უფრო დიდი „ღვთის მადლია“ და ღვთის რჩეულობა ლექსის წერაზეა. რომ თუ ამქვეყნიად „ასიას-თანები“ არ ყოფილიყვნენ — არც აბოიემები იქნებოდა.

მარტივად რომ ვთქვა, მეც ისევე მოვიქეცი, როგორც ჩემს ირგვლივ მეგობარი მამაკაცები: მე მოხიბლული სულით და გულით მივინდო, მთელი ერთგულებით და უანგარობით.

თუ არ ვინდა ეჭვი, წყენა, ზარალი თუ ვისმესთან ჯიბრი, ნურც სკდი ცილობას — მივინდე და მიეც ყოველი, რისი მიცემაც შეგიძლია, დაშთენილით კი შეჰქმენ ნამანება — შენთვის უკედავი. ამას ვუტოვებ ანდერძად ჩემს შთამოავალს მემკვიდრე პოეტს — ქალად მოვლენილს. ღორნახიდან მისი დაბრუნების შემდეგ ბელი უბრალოდ აღარ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ, ერთბაშად დაიწყო ჩვენი შეხვედრები და თეატრსა თუ განსახკომში როცა მივდიოდი, იქ კი იშვიათად მივდიოდი, ვინაიდან ყველა დაწესებულებას გვერდს ეუფილიდი, არ შეიძ-

ლება რომელიმე კიბზე ქარივით არ დამძვრებოდა. ორი ფრთა, გრუზად გაშლილი თმები და შუბლზე ნათელი.

— თქვენა ხართ? თქვენ? რაზე საამაო მუდამ თქვენი ნახვა! მუდამ გიცინით სახე!

ჰოდა, შემოვივლიდა ასე ცირკის ცხენივით, მოგებრავდა დიდი ჩიტვივით ფრთებით გაკეთილ პაერს, და გიტოვებდა თვალბეში ნათელს, ყურებში — შხუილს, და სადღაც, საბჭუქი მანქანების ტრაკტორით გაყრუებულ დერეფნებში გაქანდებოდა ირგვლივ დახვეული მსმენელ კაცებისა და ქალების ჯგროთი. ამ წუთებში მე იგი ხალხში გავედი ტრამვის მაგონებდა, სადაც ასეა არცთუ ისე უხედავითა.

მახსენდება კიდევ ხელოვნების სასახლის მწვეანე მდელი (მოვარსკაიაზე როსტოვების სახლი). ნეტა რა ამბავია? ნაფოტა თევზს ხომ არ არიგებენ? არა, არც რიგი ჩანს და არც კედლები. რაღაც უფრო აფორიაქებულს, უფრო საზეიმო და ნაფოტა თევზზე უფრო მეტი შთაგონების მომგვრელი განწყობა სუფევს, რამეთუ წითურწვერა ზარმაიე პოეტი რუკავაშნიკოვიც კი მოსულა და ახლა კიბებში ხელებჩაწყობილი არყის ხეს მიყრდნობია.

„რა ამბავია?“ — ვეკითხები ერთ ქალიშვილს. „ბორის ნიკოლაევიჩია?“ — „ლექციას კითხულობს?“ — „არა, არაფერიც უსმენს.“ — „არარას?“ — (ის საქმიანად); „ეს ახალი მითართულების ჯგუფია, ამტიკებენ, არაფერი არ არსებობს.“

ახლოს მივდივარ. კი მაგრამ როგორ უსმენს, როცა ლაპარაკობს? ლაპარაკობს და პირს არ აჩერებს. ის ყმაწვილები — ანუ არაფრიები კი დგანან და პირი დაუღლიათ, ეტყობა დიდი ხანია ლაპარაკობს, ვინაიდან აგერ ნათელი შუბლიდან ოფლს იწმენდს.

— არაფერი: რა ფერი: ანუ არა-ფერი, შავი ფერი. — არა-ფერი, სიცარიელე — ანუ Zero-ი — სიცარიელის შავი წრე... შავი, შავი — შავი ღამე, შავი ეშმა, შავი ჯადო. არაფრიები ანუ ბრა-ფერი-ები... ე ბი ანუ არა-ფერთა ჯარი, ხურდამურდით გავესებული შავი სორი: შავი, შავი, წვრილბ, წვრილი ხურდამურდით... არაფრიები ანუ — მომრავლებული რწყილები იმ სახლში, პატრონებმა რომ დასტოვეს და ავარაჯე წვაიღნენ. (თათს ზეით სწევს, მერე ნელ-ნელა უშვებს, თვითონაც თვალს აყოლებს და სხვევსაც აიძულებს მიაცოლოს) პატრონებმა-მეთქი, რომ დასტოვეს და წვაიღნენ! ცარიელი ავარაჯი: შიგ სიცარიელე და კიდევ ე ბი, არაფერი, ბლომ-ბლომად მომრავლებული... ები... ავარაჯი ხის სახლი კი არა სოკოლინიკებზე, არამედ ავარაჯი — მადლი, ვილაცის მადლი, რუსული ლიტერატურაც ვილაცის

1 ავგუსტ ფონ პლატენს — მისი მეგობრებისგან (გერმ.).

**მარინა ცაშვანავა**  
 სული ჰერონილი



ასეთი მაღლი იყო, მონიჭებული მაღლი, მაგრამ (ტუნჩბთან თითო იდუმლად დარჩა) აღარაფერი. დარჩა მხოლოდ არაფერი, იქ დაბნეულა. მაგრამ ეს კიდევ უკირი არაა, უკირი არცაა, როცა მარტო არაფერია. მარტოს რა უშავს, უკირი ისაა — როცა ები ია... ები იგივე — ჰეფცხი... აი-ბი. მოდის და წვრილ ფეხებზე მოცუვაევს ხი-ხი... და დარჩა მხოლოდ ჰეფცხი ხი-ხი. დარჩა მხოლოდ არა არაფერი, არამედ ჰეფც ხი-ხი-ხი... შავ წვრილ ფეხებზე — რწყილი... მერე, როგორ იკბინებია. იგესლებიან თან ვერც ვერაფერს დააკლებ — როგორც თქვენს ჩაფრთხობას, ბატონებს! არის შავი სორო, ჩაქცეული სორო, იქ მარხია სრული ლიტერატურა (იდუმლად)... და კიდევ რაღაც... ასანთის ფეხებზე — არაფერი. და გეყოლებათ შეილები — არაფერი. ბლოკი ვერ გაძლო, ბლოკი ჩაწყდა, იმიტომ რომ ბლოკი — ფერია შავი ფერია, მისი შავი მთლიანად შავია, როგორც ნამდვილი, როგორც არსებული შავი. თუ ოთახიდან სანთელს გაიტანს, სიბნელეა, მაგრამ ვახვალ და გარეთ ნამდვილი შავი ღამეა, ურწყვილი ღამეა.

...He потому, что от нее светло.  
А потому, что с ней не надо света...

ღამეს — შუქი არ უნდა.

ბლოკი რომ ღამე-ბნელში შუქით არ გამოედლა, ისეთივე ბრძენია, ვით დიოგენე დღისით-მზისით ფარნით გამოსული. ერთმა შუქს შუქი მიჰმატა, მეორემ ბნელს — ბნელი. ბლოკმა რომ ღამე იწამა და აღიარა, მართალი არის. შავს შავი მიუმატა, ჩაქუცრა, გააღრმავა, გააძლიერა, ღამე, ღამე უფრო შავი გახდა — სტიქია გაამდიდრა... თქვენ კი ხი-ხი! დახტიხარ შავი ორმოს პირზე, შავ არ ცვივდებით და ხი-ხი-ხი... შუქთან გინდათ ყველაფერი და ხი-ხი... ლექსი? ხი... ხი?

...მაგრამ თუ მეტყვი, რა... — მე გეტყვით რას... ხოლო თუ მიპასუხებთ — რას... — წინდაწინვე გიცხადებთ, რა რას... ისიც ახლავე, ამ წუთს, როცა ჯერ კიდევ არაფერი გითქვამთ...

„არ გითქვამთ“... ვაქცი ხარ და — თქვი! როგორ არა, იტყვი აქ... ეს არ იყო შთაგონებით მობერილი სიტყვების უბრალო თამაში, ეს იყო როკვა. იმ ყმაწვილ ქალს რომ ეთქვა: „რა არის და ბელი არაფერიებს „überanzit“...!-ო, შეცდარი არ იქნებოდა. ყვითელი ყვავილებით მოფენილი მწვანე მდელი მის ფერხთა ქვეშ ხალიჩად იქცა — და როცა ვუცქერ, როგორ დგება იგი ცერებზე, აი, წრის უჯლის, ქვევით იხრება, ვანდავან მიდის, აი, ლამის მიწას მოწყყდეს, აი, ლამის ცაში აფრინდეს — მე მელანდება საუკუნეთა ორგუმბათიანი დიდება, მის ძირას ბატარა ხალიჩა, ზედ ყმაწვილი გოგო და მისი ბეჭეკო... — ესმერალდა! ჭალი!

კიბზე, კათედრაზე თუ ხელისგულით გზილილ მწვანე მდელიზე მუდამ ხალხით ვაჯიშვს მორტყმული და მინც მუდამ თავისუფალი გზის დამოშობა არ გვეკრძალება, Ich überflieg euch 2. მუდამ მოფრიალე სერთუკის კალთებში (თუ პიჯაკისა? სულ ერთია, მინც სერთუკი გეგონებოდა!) ძველებურად მიხდენილი, დახვეწილი, ფრთაშესხმული — მაგისტრისა და მეფოკუსის ნარევი, რომლის ყველაფერს: გინდ სიტყვას, აზრს, მერცხლის კულით გაშლილი კალთების ფრიალს, გინდ ფეხების, ფეხების არა! — მთელი სხეულის, შენი მეორე სულის, კიდევ შენი სხეულის სულის, ცალკე მეტყველი დირიჯორისებური ზურგის თამაში — რომლის უკან ორ ფრთად, ორ აღმავალ კიბედ მუდამ უხილავ ანგელოზთა ორკესტრი გედგა, რომლის ყველაფერს-მთქი ორმაგი, სამმაგი, ოთხმაგი მნიშვნელობა ჰქონდა... — აი, ასეთი გზადვადნენ შენ ყველანი, დაუწყებელი შვეიცარიული მენცარიდან გათავებული ცოსენელი დიასახლისით, აი ასეთი დარჩები და იქნები სიოენაში, სული ნარნარო, გული მეგობარო! ხიბლი — აი, შენთვის გამოჭრილი სიტყვა: მიხვდები და, როგორც ყველა ამბობს, თუმცა უნახვებს, იმიტომ — ორგული ო, რა თქმა უნდა, ზენა გაგებით, როგორც აქ ყველაფერი, აი რა დავაღუპავს, გამოუსავალში შეგიტყუებს, ღრუბლებს ზემოთ ავაფრინს და იქ უეცრად გიჯანებს, იქვე გვერდით უფსკრულში ჩასრიალებდა, მიგავდებს: იქ ფიქრებში წასულს, რაღაცის გატაცებით მჭვრეტს, დააფიქვდები შენ, ვისაც ეს წუთია, ვედრებითა და სასოებით („ხომ არასოდეს დაეცოდლებით? ხომ არასოდეს არასოდლებით?“) თავის საუკეთესო მეგობარს გეძახდა.

არ დაუჯგორო პოეტს ქალწულმა,

არ თქვა იმაზე, ჩემი არისო...

ო, არა მარტო „ქალწულმა“ — ქალწული ვინაა! საუკეთესო მეგობარმაც კი, ვინაიდან პოეტს საუკეთესო მეგობარზე კიდევ უფრო საუკეთესო, კიდევ უფრო ახლობელი მეგობარი ჰყავს, ვისაც არასოდეს უორგულეებს, ვისი გულისთვისაც ყველას უორგულეებს, ვისიც ნამდვილი მონაა არა ერთგულების გადატანითი გაგებით, არმედ მონობის პირველადი, საშინელი გაგებით: მონა — გაყილული და ნასყიდი, მონა — დაბოროტული და მიჯაჭვული.

— დაუფარე ღორებს მარგალიტი... — ჩურჩულებს სათნო და საამური პოეტი ქალი ადა ჩუმაჩენკო, იქაური თანამშრომელი, — მეც კი ცუდადა ვხდები, როცა ჩემთან დაიწყებს ხოლმე... მრცხენია... ასე მგონია, მუჭა-მუჭად აბნევს, მე კი ჩუმალ ვეკენკავ-მეთქი...

— ესენი ცუდად არ ხდებიან.

— არ ესმით, ვინ არის და იმიტომ.

— ან თვითონ ვინ არიან.

<sup>1</sup> ცეკვაში ჯობნა, დაჯაბნა (გერ.).

<sup>2</sup> თავზე გადავაფრინდებით (გერ.).

მაგრამ ადა ჩუმჩინეცილი, კიდეც ჩემსა და ჩემებრ იშვიათი და მორცხვი სტუმრის ბოროს პასტერნაკის ვარდა — მე ახლოს მისვლისაც მესწონოდა — ბელი არავის ებრალებოდა, გული არავის შესტკიოდა, ყველა იხმარდა და იყენებდა ისე ზღაპრითა და ზანტად, გამძლარი კატები არაყანს ლოკავენ ზოლმე, ზოგი მხარეთმონზე ნამბივრად წამოგორებულცი კი. დიახ, ბელის მარგალიტებს ასე წამოგორებულნი იჭიბავდნენ.

— რა ამბავია? — „რა და ბელი ისევ არსებობდა გამოდის“.

გამოდის, მაგრამ თქვენში არ შედის. რამეთუ, როცა ჩვენი მე სხვაში შედის, სხვამდე მიდის, ეს გაფლანგვა არაა, სიცარიელე არაა. ესაა — დაცვა და შეფესება, გაცვლა-გამოცვლა, ურთიერთზიარება, პარმონია...

ისე კი...  
საბრალო, საბრალო, საბრალო ბელი. „ხელოვნების სასახლიდან“ სხვებთან ერთად წამოსული და მინც მარტობაში დაშთენილი.

1921 წელს, ბლოკის გარდაცვალებიდან სულ მალე დაუახლოვი ბლოკის უკანასკნელ მეგობრებს, ცოლ-ქმარ კოვანებს. კოვანი დიდი ხანი არაა, რაც მოკვდა, და თუ აქამდე არ მითქვამს ის კარგი, რაც ამ კაცზე ვიცოდით და რასაც მისდარი ვგრძობოდ, მხოლოდ იმიტომ, შემთხვევა არ მომეკა.

3. ს. კოვანს არც პოეტებისა და არც ლექსების არაფერი გაეგებოდა. მაგრამ ძალიან კი აფასებდა და ერთისა და მეორეთათვის, რაც შეეძლო, ყველაფერს აკეთებდა. ხოლო იმ ორი კაციდან, რომელთაგან ერთს შენი ესმის, მაგრამ შენთვის თითს არ გაანძრევს, მეორეს კი არ ესმის და მინც ხელნებითა და ფეხებით გეხმარება (დიახ, ფეხებით, ვინაიდან იმ წლებში აღამაინის მოსაწყობად სიარული იყო საჭირო!) ყოველი პოეტი და ყოველი პოეზია, რასაკვირველია, უკანასკნელს აირჩევს.

აღმერთო პოეტის ლექსები — მას კი ხელი არ გაუწყოდი! სეა წყალი და არხინად უყურო, ნავით როგორ ივსება წყარო, არ მიეშველო მიწითურ წუმპედან ამოვიდეს, გულბელდაკრფილმა უჭკრიტო და დასტკეპ კიდეც ამ წუმპის „პოეტური“ ხავსით. უსმინო ბელის და უკან არ ვაყევი, ცეცხლი არ დაღუწო, ნავით არ გამოუვავო, მადლობა არ გადაუხადო იმისათვის, რომ არსებობს. მე თუ უკან არ მივეყვებოდი, მხოლოდ იმ მიზეზით, რა მიზეზითაც ახლოს მისვლას ვერ გებდავდი: თითხმეტი წლის მანძილზე განმტკიცებული მოკრძალებისა და რიდის მიზეზით. შეველა ხომ ზოგჯერ ვაბედვაც არის. კიდეც იმიტომ, რომ რატომაც დაზღუდებითეე ვაღაფწყვიტე (და იქნებ ამით ჩემი ცხოვრებაც ვაღაფწყვიტე), რომ ბედუღუღმართ დიდების ირგვლივ ყველა ადგილი, ერთგულების

ყველა ბერტრანისეული საგუშავო დაკავებულა-მეთქი. უწმინდესი რიდი და კრძალვა — დაბერკოლებითა დასაბამი.

— მწერალი მაინც არ იყო, ვეებერთელა მწერალი. ვიი სირცხვილო! — დუნედ, აღფოთების გარეშე მივეება კოვანი და თმა-ულვაშს იჩეჩავს (თმა ზევით აქვს აბუბგული, ულვაშები — ქვემოთ ჩამოყრტი).

— რა იყო? ვისზე ამბობთ?

— ვისზე და ბელიზე. ერთი აღიაქოთი მოაწყო. ვიფიქრეთ, ბლოკზე ვაკეთებს მოხსენებას, ლიტერატურული მოგონებებით გამოვა, შევაფესებს და, უტებლ კი დაიწყეთ: „შიმშილმა! შიმშილმა! შიმშილმა მოკვლა! როგორც სხვები — მაძღრობამ“.

სულის ასთამამ“

— განა თქვენ არ უგზავნიდით ბლოკს მოსკოვიდან პეტერბურგში ვაყინულ კარტოფილს?

— მაგრამ მე ამაზე არ ვყვირი. ამის დრო არაა. თუმცა ეს კიდეც რაა. ბლოკიდან უტებ — თავის თავზე გადავიდა: „მე თოხნი არა მაქვს! მე — რუსული მიწის მწერალს (ასე თქვა პირდაპირ!) ქვა არა მაქვს, ზედ თავი მივდო, ანუ ქვა კი მაქვს, სწორედ ქვა, მაგრამ უკაცრავად და — ჩვენ ხომ ქვის ვალილეაში არ ვცხოვრობთ, ჩვენ რევოლუციურ მოსკოვში ვართ, სადაც მწერალს დახმარება უნდა აღმოუჩინოს. მე დავეწერე „პეტერბურგი“, მე წინასწარ ვანეპერტე მეფის რუსეთის დამხობა, მე სიზმრად ვნახე მეფის დასასრული, ჭერი კიდეც 1905-ში ვნახე! — მარცხნივ ხერხი, მარჯვნივ ნაჯახი...“

— სიზმრად? — ვეკითხებო.

კოვანი დაღრკით:

— არა, არა! სიზმრად კი არა, თვითონა აქვს: ერთი ხერხავს, მეორე ჩეხავს. — „მე არ შემძლია წერა! სირცხვილო და თავისმყოფი! მე ნაფოტა თევზის რიგში უნდა ვიდგე! მე კი წერა მინდა! მაგრამ ჭამაც მინდა! სული წმინდა არა ვარ! თქვენ თვის არა ვარ! მე მინდა სუფთა თეფშიდან გემო, ჭამაყისთვის ცალკე, პატარა თეფშიც მედოს, ის თეფში მე არ ვავრცებო. მე ეს დავმისახურე! პატარაობიდანვე გმრძობობდა! აქ კი, ამ დარბაზში მე ვებედავ ზარმატებს და მუქთახორებს (პირდაპირ ასე თქვა) მათ ორ-ორი, სამ-სამი თოხანი აქეთ — სხვადასხვა საბაბით, დიახ: თითო საბაბით — თითო თოხანი, დიახ, არც არაფერს სწერენ, მხოლოდ ხელს აწერენ! სექუელიანტები, პარაზიტები! მე კი პროლეტარი ვახლავართ: Lumpenproletariat! ...ავღვები და მანამდე ვიბედავლები, ვინემ ჩემსას არ ვავგებონებ! ააააა! ვაყვიტოლდა, ვაწიტოლდა, ოფლი ღვარად ჩამოსდის, ისეთი საშინელი თვლები გაუხნდა, როგორც არასოდეს, ეტყობა, ბრაზმა ჩინი წაართვა. ინტელი-

**მარინა ცხეპაპავა**  
სული პარტიზი



გენტი. კულტურული კაცი მაინც არ იყოს, დარბაისელი მწერალი. აი, რა პატივი დასდო ხსოვნის საღამოს...

— გვინათ, ტყელი თქვა?

— რასაკვირველია, მართალია. ოთახი უნდა ჰქონდეს, ჯერ ერთი იმიტომ, ოთახი ყველას სჭირდება, მეორეც იმიტომ, მწერალია და ჩვენდამი არამტრულად განწყობილი. ჩვენ ხომ ისედაც ყოველნაირად... მაგრამ ასეც არ შეიძლება. იმდენ ხალხში ასე იყვირო, თითქოს ემაფოტზე მიჰყავხართო. ბლოკი მართლა დიდი აღმზინი იყო, თავმდაბალი. ადგა და კარჰპისი უდმოსატვირთად წავიდა, თავისი გვარი არც უთქვამს. აი, ეს ჭეშმარიტი სილიადა.

— ასე რომ აღარ დარჩება მწერლები...

— ეგეც მართალია. მწერლები საჭიროა. და არა მარტო საზოგადოებრივნი. იქნებ გაიკვირდეთ ძველი მარქსისტისაგან, მაგრამ მე, მაგალითად, ძალიან მიყვარს დივანზე წამოგორება და ბალმონტის კითხვა. სილამაზის მოთხოვნილება ჩვენცა გვაქვს. ეკონომიური მდგომარეობის გაზრდასთან კი უფრო და უფრო ვაიზრდება მოთხოვნილება და სილამაზეც... მწერლები საჭირონი არიან და ჩვენ მზად ვართ მათთვის ყველაფერი გვაკეთოთ. ხომ მოგვეცი თქვენი ულუფა და „მეფე ქალი“ გამოგართვით — მაგრამ — არ ვიცი, როგორ გითხრათ, და თავშეკავების პირობის აბა, ამისთანა ამბის შემდეგ როგორღა მივცეთ ოთახი? ისე გამოვა, თითქოს... შეგვაშინა?

— მისცემთ კი?

— აბა არ მივცემ? ჩემსას მივცემდი, ოღონდ ის არ მომხდარიყო, რაც მოხდა. მისთვისვე არ ვარგა. იფიქრებენ — ეგოისტიათ. მაგრამ ხომ ვიცი, რომ ეს ეგოიზმით არ მოსვლია, ბლოკის გამო მოთხოვნილება ითახს, ბლოკის გულისთვის, ბლოკისთვის — ოთახს, ბლოკის სიყვარულით — ჩვენი სიყვარულით (მას მაინც რატომღაც ვუყვარვართ, — როგორც თქვენ) — რა არის, ისეთი, რომ არ მოხდეს, რაზეც პასუხი ჩვენ მოგვეთხოვება, მაგრამ უკაცრავად და ხომ არ შეიძლება მართლა და მართლა მწერლებს უფლება მივცეთ... გვიყვირონ? განა ეს (ბეცი თვალებზე სათნო გაკვირვებით მომჩერებიან)... მეტისმეტი არაა?

ბელის ხელდახელ მოუგვარა მან ბინის...  
არა ხალხის შიშით, არამედ სინდისისა და აღამიანის ხატობით, კიდევ იმიტომ, რომ ერთბაშად ჩახვდა, მწერალს რომ ბინა სჭირდება. მართლა კარგი გულის აღამიანი იყო. ყველაფერს გაიგებდა და ჩასწვდებოდა — პოეტის ყოველ დამხვეულ საქციელს და პოემის ყოველ ბუნდოვან აღვილს — თუ კარგად აღვსნიდი. მაგრამ ხუმრობა არ იცოდა და არც ესმოდა. როცა ერთ მის საღამოზე — უნივერსიტეტის რექტორად დანიშნეს და ამის აღსანიშნავად საღამო მოუწყეს — ერთმა მწერლის ცოლმა მხარზე თუ მიუცელში ოღნივრად გაჰკრა მუშტი (ვისაც არ მოხვდებოდა, სადაც არ მოხვდებოდა, ყველას უბათქუნებდა — და ყოველთვის ხვდებოდა) და თქვა: „ჩანდაბა მაგათი თავი, პ. ს. რახან ეძინებათ, ადგენ და წავიდნენ. ჩვენ კი აქ დავრჩეთ, პა? — პო-პო, რა დროს გავატარებთ ორნი მარტო — პა?“ კოვანი ვერ მიუხვდა ხუმრობას: „სიამოვნებით, ოღონდაც, მართალი გითხრათ, ამ საღამოს სამუშაო მაქვს, სტატია უნდა დავამთავრო...“ ქალმა უბასუხა: „შეგეშინდა განა! დამიხედეთ ამ იოსებ მშვენიერს. მერე რა რომ პიოტრი გქვია და სემიონის ძე ბრძანდები. ისე კი მაინც კარგი კაცია, არა, მარინუშკა, ჩვენი პიოტრი სემიონჩი? დახატული ვაჟკაცი იქნებოდა, სათვლელ რომ არა, პა? შენც მოგწონს? თუმცა ყველანი კარგები არიან, ცუდი არ შემხვდებოდა...“

ამ ჰუმანურ დასკვნას კოვანი მოწიწებით და სიხარულით დეთანხმა, მეტადრე რომ მიხვდა, საშიშროება ამცდათ.

ახლა, როცა თორმეტმა წელმა გაიარა, არ შემიძლია მადლიერებით არ, მოვიგონო მწერლების ეს სათვალაინი და უღვაშა მუთარეელი ანგელოზი, მათ მიწიურ საქმეთა მოციქული. როცა იქნება ბლოკზე დავწერ ჩემს მოგონებებს და მაშინ ერთხელ კიდევ გავისხენებ ამ კაცს.

ასეთი იყო ჩემთვის ბელი უკანასკნელად მოსკოვში, ზემპრისიტყვიერი, დაუსწრებელს, თუნდაც გაუმხარალებული — და მაინც საცნობი. იმ ლეგენდის ბელი, რომელიც 1908-1922 წლამდე — მთელი თითხმეტა წელი გრძელდებოდა.

თარგმანი რუსულად ქაბუღაძემ







### პეკრა შამათია

## კომკავშირული შევისება

— 1941-42 წლების ყველაზე მძიმე თვეებში ყველაზე მეტი მეომარი შეემატა პარტიის რიგებს... — როცა სკკპ ცკ-ს საოქტომბრო თეზისებში, პარტიის ამ შთამავგონებელ დოკუმენტში, დიდი სიმართლის მთქმელი ეს სიტყვები წავიკითხე, მაშინვე ვამახსენდა 1942 წლის მრისხანე ზაფხული და შემოდგომა, ფრონტი, მკაცრი და სისხლისმღვრელი ბრძოლები კავკასიის კარიბჭეებთან, ბაქსანის და ჩეჩენის ხეობებში. აქ, მიუბეზი, იბრძოდა მამაცთა და გულადთა შენაერთად წოდებული, ჩვენი ქართული 392-ე მსროლელი დივიზია. ამ გახსენებაზე ძველი საველე ჩანთიდან იმდროინდელი, ფრონტული უბის წიგნაკები ამოვალაგე. კვლავ სიყვარულით გადავფურცლე მოკლე ჩანაწერები, ქრონოლოგიურად რომ მისდევინ ვრომანეთს. ბევრმა საგულისხმო და საინტერესო ამბავმა მაშინდელი ვითარება და თანამოლელოთა ვაჟკაცური სახეები, თანამემამულეთა მარად უკნობი, მეომრული დიდების ჯერაც უთქმელი აუწერელი საბრძოლო ეპიზოდები, წარმომიდგინა თვალწინ.

აი, რა ამოვიკითხე ფერცვლილ, მაგრამ საოცრად მეტყველ ფურცლებზე...  
...იმ დღეს, 10 ოქტომბერს, 805-ე მსროლელ პოლკში მომხიდა მისვლა. საკომანდო პუნქტთან ნაწილის მეთაურის მოადგილე პოლიტდარბში, ბატალიონის კომისარი ალექსანდრე ნანეიშვილი დამხვდა. მძიმე ვითარების მიუხედავად, ჩვეულებრივ გულიანად შეგვხვდა ეს გამოცდილი პოლიტმუშაკი და სათნო ადა-

მიანი. ერთმანეთს მოვიკითხეთ, თითქოს დიდა ხნის უნახავი ვიყავით. ისე კი, წინააღმდეგობით ერთმანეთს, პოლიტიკანოფილეობაში მოწვეულ ოპერატიულ თათბირზე, მაგრამ ასეთი შეხვედრა მაინც ბუნებრივი იყო აქ, მოწინავე ხაზზე, სადაც ბევრი რამ ხდებოდა მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი...

როცა მოსკლის მიზანი გავაცანი და მთებში გუშინდელი თუ წუხანდელი ბრძოლის შესახებ ჩამოვარდა საუბარი, ბევრი ახალი და საინტერესო 'საბრძოლო ეპიზოდი გამაცნო ბატალიონის კომისარმა. — ნათქვამსა და გავონილს ნანახი ჯობიაო, — მითხრა ნანეიშვილმა და დასძინა: კარგ დროს მოხვედით, მალე, აქვე ახლოს, პოლკის პარტიურთა სხდომა შესდგება და თავად ნახავთ გუშინდელი ბრძოლების გვირგვინს და მოისმენთ მათ სასახელო საბრძოლო ამბებსო.

ცხადია, ამ წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი და მალე პოლკის პარტიორგს, უფროს პოლიტბელს ვლადიმერ გვარჯალაძეს ვესტუმრე თავის საველე „ბინა-ბანაკში“.

სხდომის დაწყებამდე პარტიურთა წევრები, გამოცდილი და ბრძოლაში ნაწრთობი კომუნისტები, რომლებსაც მოკლე ხნით თავიანთი მოადგილეებისა თუ თანაშემწეებისათვის მიენდოთ მოწინავე ხაზზე თადარიგი, აქ გულდასმით ეცნობოდნენ პარტიის რიგებში მისაღებთა პირად საქმეებს, ეცნობოდნენ დაკვირვებით და ინტერესით. თუმცა, კაცმა რომ თქვას,



მათ ღღეწანდებოდნენ, ბრძოლაში გამოვლინებულ მათ მაღალ მორალურ-საბრძოლო თვისებებს აქ, ფრონტზე, ყველაზე უკეთ თავად იცნობდნენ და გრძობდნენ თანაოლკელები, მიმიე, სასახელო მეომრული ცხოვრების თანაზიარნი. ჯარისკაცური ცხოვრება კი შეუღობად შინაარსიანი და მტყუყული, ვინემ ქალღღებში გაღმოცემული ამბავი თუ დახასიათება. წესიერად შეღღენილ და წარმოღღენილ მასღღებში ამ ყველაზე არსებით რამეზე მინიღღამინიღ ბეგრის ახალს ვერაფერს პოულღბდენ პარტიულროს წვეგრები, თუმცა პირად განცხადებებში, თანამოიარადე კომუნისტიების პარტიულ რეკომენდაციებში უთუოდ იყო რაღღე თავისებური, ღამახასიათებელი, სახელღღებულად ნათქვამი, რაც პატივს მატებდა ახალგაზრდა შებრძოლი კაცის სახელსა და ღღრსებას.

მეღ გავეციანი ამ ახალგაზრდა კომკავშირელ მებრძოლთა განცხადებებს, საანკეტო მონაცემებს, პარტიული რეკომენდაციების ავტორთა მოკლე, მაგრამ ბეგრის მთქმელ ჯარისკაცურ სტრქიქონებს. ისინი განსხვავებული ასაკის, გამოციღღების, განათლების თუ სპეციღღობის მემოღრთა მიგრად დაწერილი; თვითღული მათგანის ხელწერად თავისებურია, მაგრამ ამ სტრქიქონების შინაარსი, ღღდაზარი საერთოა და კეთილშობილური: ესაა გულწრფელი სტრქიქიღი და შზადყოფნა — კომუნისტიღ იბრძოლონ სამშობლოსა და ხალხის თავისუფლებიღსა და ღღრსებისათვის, ესაა თბიღი, უღღრესად აღამიანური სუღისა და გრძობის გამოხატება, ბრძოლის ველზე, საწვარში, სახელდაზხელად, აზრიანად დაწერილი ღღეკუმენტები. მე მათღი ვიგრძენი მებრძოლი აღამიანთა, ახალგაზრდა მიამუღღეღიღთა მიწრქრფეღბა — შვირღღებულ ბრძოლაში, წინა ხაზზე ვანემტიციეზინათ და ემრავლებინათ წინა ბრძოღებში სისხლისა და სიცოცხლის ფასად მოპოვებული საბრძოლო წარმატებები.

ქალღღებს შევეშვი და იქვე, შორიახლოს მყოფ მებრძოლთა ჯგუფში გავერიე; პარტიულროს სხდომის მოლოღინში, მოუღრებულ აღღვიღას, თამბაქოს აბოღღებდენ და გულღინანდ საუბრობდენ მეზობელი ქვეგანაყოფების მებრძოღები. მონატრული იყვენ ასეთ შეხვეღღრასა და ბაასს. ამ ორომტრიღღში, ტყვიის ღღვარტიღღში ამის ღღრო და საშუღღება ვის ეწენბოღამი მეღ შორიახლოს მოკვღღათიღ, რათა მათი მახეღღგონიერი საუბრისთვის დამეღღო ყური. სხვა ღღროსაც მქონია ასეთი სასურველი შემთხვევა და ყოველთვის ღღრამ შთაბეჭღღლებები დამრჩენია! რა ქვეღღინურად ღღო მიწრქრებულად ღღარაკობდენ ეს მებრძოლი აღამიანები მღღეღვარე ჯარისკაციული ცხოვრების ღღღებში..

— ნეტავ რა მოსღღია ამ ხეა, ასე ნაღღრე-

ვღღ რომ ვამარტიღღა? — თქვა მღღეღეღი იოსებ კაკაუტიემღ და ომის ქარტიეზიღში მოხვეღღრიღ ხესთან მივიღღა. მინამღღე არც მიმიქციეღია ყურიღღება, არც შემომინწეღია ეს ხე. იოსებმა დაბალ ტოტზე შემორჩენიღი ორიოღღე ფოთოღი ფრთხიღღად მოაღღიღა რტოს, უყუნდა, მოუღღღერსა ამ ობღღად ღღარჩენიღ, ტყვიანაკრავ ფოთღებს. — თუთის ხე ყოფიღღა, ფოთღებს წვენი კი არა, სისვეღღე კი არ აქესო, — დასძინა ბოლოს გულნატყენმა და თავის აღმბოღზე დაბრუნდა.

— რათ, თუთა ხომ არ მოვიღღა, ბიჭო, ამ გაგანია ცეცხლის წვიმაში? — კვიმატიღღ შემისტიღღვა გვერღზე მღღღიმი მებრძოლი.

— ჩვენიღურ თუთაზე უარს არ ვიტიყოღღი, ჩემო ძმა!; ამ ტანჯულმა ხემ კი ჩემი სოფლის ბღღნარი გამახსენა, — მიუღო კაკაუტიემღღ და უნებღღიღე განაგრძო: — ჩვენს კოღღმეღღურენოღღაში თანსაღღღეღღებმა თუთის ხის მყუნობა დამიკისრეს. სულ სხვაა ნამყენი თუთის ხის ფოთოღი. მეაბრეშუმე ქაღღები ამბობდენენ, ნამყენის ფოთღებს სუნიც და გემოც უღღრო საამო აქესო; ამას თითქოს აბრეშუმის ქიღღე გრძობს და მღღღინანდ შემექციეღღა. თუთაც მსხეიღღი და გემრიელი იღღის, თუმცა ფოთოღი აღღე, ნორჩად იკრიფება. ამიტომ თუთას საჩრდიღღობღღად დატოვებულ ცღღკვეულ ხეებზე თუ ვკრეფდიღღო...

ისე ღღაჯრებოთი ყვებოღღა ამ ამბავს მებრძოლი, რომ ერთხანს ამხანაგებიღღ დაინტიერეს თავისი აღმბოღით...

ერთი შეხვეღღვით, გასაკვირი იყო, რომ ამ ტყვიის წვიღღში, ასეთ უწყინარ თემიღღე, ასე ბეჯითად ბჭობდენენ იარღღღასმღღე აღამიანები; მაგრამ ვანა ღღიღე მიხვეღღრა იყო საჭირო, რომ აქ ჯარისკაციღღ მოვღღენიღი ქართველი მშრომელი კაციღს ვინება ბჭობდა, ყვებოღღე გღღეჯაციის საქმეზე, მის გუშინღღელ ჴაზრთუნავს იხსენებღღა გულიანად. აქ თუთის ხეც ტყვიის იყო ღღაჭრიღღი, გღღი ეწოღღა მასზე მზრავველ აღამიანს, ხოლო ამ ტყვიანაკრავი კეთიღი ხის ქვეშ უამისტიღის ტყვიით ვანგმირღღულ აღამიანის ეღღი, ახლად მიწამიყრიღი საფღღავი მღღისხანეზით აღნათებღღა მებრძოლი კაციღს გულს...

მაღღე მოსაუბრე მებრძოღებთან წრე შეიკრა შეუმწინეღღად, მასთან ახლოს დასხდენიღღ დანარჩენებიღ; აღბათ სხვა მონატრულ საყოთხეღღად სწღღღად გამოეთქვათ აზრი, ამხანაგის ნათქვამისათვის ახლოღან დღღეღღოთ ყური. ასე მენიშნა, ყვეღღას მისთვის საჭირბოროტო საკითხზე სურღღა პასუღღის ვაციემა...

— სახლიღან რა ამბები მოგღღით? — უმისი მართოდ იეღათხა მეზობელმა.

— ჯერჯერობით მშვიღღობაა, — წამოიწყო ისევე კაკაუტიემღ, — ჩემს კოღღს, ამ ძნეღღებღღობის ვამს, ოთხი ბავშვი დავუტოვე საზრღღ

ნავად და ეტყობა ყოჩაღად უძლებდა ოჯახს. გეშიმ წერალი მივიღე სოფლიდან.

თითქოს ამით მოათავა სათქმელი მებრძოლმა, მაგრამ რახან ბარათი ახსენა, არ მოეშენენ ამხანაგები, — თუ საიდუმლო არ არის, წაგვიკითხო. რა გზა იყო, უარი ვერ თქვა და განაგრძო: ჩემს უფროს ბიჭს, რვა წლის რეზის, მეორე კლასის მოსწავლეს, წერა-კითხვა უსწავლია და ბარათიც დაუწერია, — თქვა და გულისჯიბიდან სამკუთხა, მოზრდილი ასობით ნაწერი ქაღალდ ამოიღო. — ჩვენ არ გვად ვართ, დედას ვეხმარებოდი საქმეში, ჩანსაც ვკრფოთ, სწავლაში არა გვიშავს, აბა შენ იცი, მამიკო, როგორ იომებ და თავსაც გაუფრთხილებდი. მოგიკითხავენ მეზობლები... — ალბათ დედამისმა უკარანახა, — კმაყოფილებით დასძინა ბოლოს მებრძოლმა მამამ.

— მართალია, ათი წლით მაინც ვიქნები შენზე უფროსი, მაგრამ ჩემი კბილა ყოფილხარ, ჩემო იოსებ, — თქვა მცირედი პუზის შემდეგ ახოვანმა, ფეხში დაჭრილმა ვაჟკაცმა შაქრო ქაფიაშვილმა, — მეც ოთხი შვილი მყავს და შენსავეთ მეტყვიამტრქვევე ვარ. შენს ბიჭს ჩაის კრფა დაუწყია, ჩემი ნოდარი ალბათ შორს მთებში ვევათხვევის ცხვრის ფარს მწყემსავს და იქიდან ბარათის გამოგზავნა დააგვიანდა, — თითქოს დაიშვინდა თავი ქაფიაშვილმა, მაგრამ მაინც ვერ დაფარა დარდი მთიდან ამბის მოუსტელოების გამო.

— კი არ დაიგვიანა, ბიჭო, აი, ჩვენს სველ ფოსტაში ექნებათ ქალიშვილებს შემონახული, შენს მისვლას ელოდებიან, ან იქნებ შენს მისამართს ვერ პოულობენ. მისწერე კი შენი სველე ფოსტის ნომერი? — ჩაუტრა მეზობელმა. ამხანაგის ხუმრობა საწყენად არ მიუღია შაქრო ქაფიაშვილს. აქ მას ბევრი იცნობდა, როგორც მამაცსა და ენამოსწრებულ მებრძოლს. მრავალ ბრძოლაში გამოუჩენია თავი მეტყვიამტრქვევე ქაფიაშვილს. ერთ ფიცხელ შეტაკებაში ფეხში დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია; არც ფერშალი შეუწუხებია, თავად აღმოუჩინა თავის თავს პირველი სასწრაფო დახმარება: ყუმბარის ნამსხრევნი ამოიღო ტერფიდან, შეიხვია ნატყვიარი და ბრძოლა განაგრძო, — ტყვიამტრქვევის მცელავი ცეცხლი შეაშველა შეტევაზე გადასულ თანამოიარაღეებს.

რა არ თქვეს, რა არ გაიხსენეს და, ბოლოს, იმ უფლი კაცის საფლავმა მიიპყრო მათი ყურადღება, ხის ძირას რომ იყო დაკრძალული. მისმა მწარე ხედრმა დააფიქრა ყველა... ვინ იცის, რას ამბობდა მებრძოლი კაცის გული? იქნება ახლა ის დაუთქვარი, ამაღლებელი შემთხვევა აწუხებდათ, წელიან გულისტივილით და სიამაყით პარტიბუროზნი რომ გაიხსენეს? ბრძოლის შემდეგ, მძიმედ დაძვრილობა შორის, ერთი მოკლული ახალგაზრდის გიმნას-

ტურის მარტენა გულის ჯიბეში, შინგაუგზავნელ სამკუთხა ბარათთან ერთად, ჯარისკაცის წმინდა სისხლით შეღებილი გულწრფელი განცხადება იღო პარტიული ორგანიზაციის სახელზე, — მიმიღეთ პარტიის რიგებში, რათა მორიგ ბრძოლაში კომუნისტად წავიდეო...

— სანამ ფრონტზე ჩემი თვალით არა ვნახე, — მცირედი ღუმილის შემდეგ განაგრძო შეწყვეტილი საუბარი მესამე ასეთლის სანინსტრუქტორმა დიმიტრი შარვაშიძემ, — გავნიადებული მეგონა ჩვენი პოლიკის აგიტატორის აღექანსადრე მეგლახის ნამამობი ფაშისტთა შესახებ. რა ვნახეთ, რა ვიხილეთ! ჩვენს მიერ განთავისუფლებულ სოფელში, პრავივურვანსკში, ჰიტლერელებს დედაბუდიანად ვადაწევათ ყველაფერი, ქალები და ბავშვები უმოწყალოდ ამოეხოთო... ეს მათი დანაშაულებრივი მოქმედების კიდევ ერთი აღმამოთხებელი ფაქტი იყო..

— ახლა, ჩვენი მეკავშირე მებრძოლების გეფერიძისა და ახმეტელიანის ხედრს არ იკითხავთ? — მრისხანედ გააგრძელა ამხანაგის ნათქვამი მებრძოლმა ნოჩო ვესიამ, — ჩვენმა მეთაურმა, ლიტენანტმა აღექანსადრე ცხადამეკავშირის აღდგენა დაავალა მათ. ისინი მარჯველ შეუდგნენ ამოხანის შესრულებას, მაგრამ გზად მტერს გადაეყარნენ და ფიცხელ ბრძოლაში ჩაებნენ; მძიმედ დაიჭრნენ თურმე, სისხლდაცილინი უგანოდ დაეცნენ. ისინი ფაშისტებმა იგდეს ხელთ და, სამხედრო საიდუმლოება რომ ვერ ათქმევიენეს, ფიცის ერთგულებს სასტიკი წვალებით ამოხადეს სული ურჯულოებმა...

მრისხანებამ მოიციკა მოსაუბრენი და ერთხანს კიდევ სიჩუმე ჩამოვარდა...

ვინ იცის, კიდევ რას მოიგონებდნენ, რის მოყოლით იჭრებდნენ გულს, რომ პარტიული ბიუროს სხდომაზე არ ენმოთ მებრძოლნი...

— დღეს, პარტიურის სხდომის დღის წესრიგში ერთი საკითხი დგას, — დაიწყო პოლიკის პარტორგმა, უფროსმა პოლიტელმა ვლადიმერ გვარჯალაძემ, — ეს არის სახელოვან მებრძოლთა და მეთაურთა განცხადებების განხილვა მათი საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღების შესახებ.

პარტიბუროს წევრებისაგან დასტურის მიღების შემდეგ შეუდგნენ საკითხის განხილვას.

და როცა პარტიბუროს სხდომაზე უხმეს მოწვეულებს, ბრძოლის წინა ხაზიდან, სანგრებიდან და ბლინდაჟებიდან მოსულნი კვლავ მხედრული სიმკვირცხლითა და სიჩაუქით ცხადდებოდნენ უფროსი ამხანაგების წინაშე და დასმულ კითხვებზე მოკლედ, მაგრამ მკვეთრად იძლეოდნენ ამომწურავ პასუხს.

## აპირა ზამთარა

კომპარტიური შვიცხა





უხსმენდი მათს სიტყვა-პასუხს და ვგარბობ-  
დი გულმართალი ადამიანების კაცურ კაცობას,  
ვაყაყურე შემართებას, უსაზღვრო სიყვარულს  
დღეა სამშობლოსადმი, მამულის სადიდებლად  
პარტიული მებრძოლების თავადებული ბრძო-  
ლისთვის მზადყოფნას...

თვალწინ წარმომიდგა მათი თანაპოლკელი კო-  
მუნისტების მამაცობისა და გულადობის მისა-  
ბაძი, ცოცხალი მაგალითები:

... პრაგოვერვანსკის ვანთავისუფლებისა-  
თვის ბრძოლაში ორჯერ დაიჭრა ასეულის პო-  
ლიტბელი სერგო ლაითაძე, მაგრამ მას ბრძო-  
ლის ველი და საყვარელი მებრძოლები არ  
მიუტოვებია. მხოლოდ მესამე მძიმე ჭრილო-  
ბის შემდეგ დათანხმდა იგი წასულიყო სანა-  
წილში. ვადამწყვეტ მომენტში, როცა წყდებო-  
და შეტევის ბედი, მართლაც მისაბაძი და  
მოსაწინი იყო კომუნისტის მაგალითი სხვა მე-  
ბრძოლებისათვის; როცა სანიტარმა სცადა  
ბრძოლიდან გაეყვანა დაჭრილი მებრძოლი ჯავ-  
შანბერეველი ვასილ სტეფანაძე, მან უარი  
თქვა დაუტოვებინა საბრძოლო მწყობრი, დარჩა  
ა ცეცხლის ხაზზე და დასძინა: ორჯერ დაჭ-  
რილ ჩვენს პოლიტბელ ლაითაძეს არ მიუტო-  
ვებია ბრძოლის ველი და მებრძოლები, დარჩა  
ასეულში, — მე როგორ შემიძლია ეს დავეშუ-  
აო, და მებრძოლი სტეფანაძე, მძიმე ტვივი-  
ლების მიუხედავად, კრიტიკულ მომენტში სან-  
გარში დარჩა და განაგრძო ბრძოლა, უწყვეტი  
ცეცხლი შეახვედრა წინმოშავალი მტრის ტან-  
კეცს. მალე მან ერთი ტანკი ააფეთქა. საღამოს,  
როცა ბრძოლა მიწვდოდა, მას ქირურგებმა მუხ-  
ლის თავის მძიმე ოპერაცია გაუკეთეს.

სწორედ ასეთმა ადამიანებმა წარმატებით  
გაართვეს თავი იმ დღის პასუხსაგებ საბრძოლო  
ამოცანას და მოწინააღმდეგეს გამოსტაცეს  
დიდი დასახლებული პუნქტი.

ეს იყო პოლკის კომუნისტების ერთი მეოთ-  
ხედის, ბრძოლებში გმირულად დაჭრილთა და  
დაცემულთა კომკავშირული შევსება, მათი  
ღირსეული შემცვლენი...

ამის მისაბაძი მაგალითი უჩვენებს მათივე  
ასეულის, ბატალიონის, პოლკის კომუნისტებ-  
მა. აი, თუნდაც კომუნისტები: მებრძოლი რა-  
ფეელ თალაკვაძე, უმცროსი ლეიტენანტი დი-  
მტრი ონაშვილი, პოლიტბელი გრიგოლ ახა-  
ლაძე და სხვები. მათი საბრძოლო აქტიულობითა  
და საზრიალი მოქმედებით დამსახურებულად  
ამაყოფდნენ პოლკში.

იმ დღეს პარტიუროს სხდომაზე, საგულ-  
დაგულო განხილვის შემდეგ, ბიუროს წევრებმა  
კომუნისტური პარტიის რიგებში მიღების თაო-  
ბაზე დასტური მისცეს მეომრული ცხოვრების  
თანაზიარ თითხმებ წარჩინებულ კომკავშირულ  
მებრძოლსა და მეთაურს. ვინ იყვნენ ეს სახე-  
ლოვანი ადამიანები, რომელთა სანუკეარ ოც-  
ნებას ცეცხლის ხაზზე შეესხა ხორცი?

აი, ისინი: მეტყვიამტრქვევე-მებრძოლები  
იოსებ კაკაურიძე და შაქრო ქაფიაშვილი, ათე-  
ულის კომკავშირული მეთაურები — სერგანტ-  
ბი ივანე ქოჩორაძე და გიორგი ჩხიტინძე;  
ოცეულის კომკავშირული მეთაური — უმცრო-  
სი ლეიტენანტი ილია გულაძე; მენაღმტყორც-  
ნეთა გუნდის მეთაური — კომკავშირული მი-  
ხეილ ყურუა; ასეულის სანინსტრუქტორი —  
დიმიტრი შარვაძე და სხვ.

ყველა მათგანს შესაფერისი წვლილი ჰქონ-  
და შეტანილი ასეულის საბრძოლო წარმატე-  
ბაში. საბრძოლო ამოცანის უთუოდ შესრულე-  
ბა — აი, მებრძოლი კაცის კონკრეტული საქ-  
მე, რომელიც განსაზღვრავდა მის სახეს, მის  
კაცობას. ამით ის ხელს უწყობდა ათეულის,  
ოცეულის თუ მთლიანად ასეულის მიერ საბ-  
რძოლო დავალების შესრულებას.

პარტიუროს სხდომაზე ამის მაგალითები  
უხვად მოიყვანეს კომუნისტებმა, რეკომენდატო-  
რებმა: ივანე ქოჩორაძემ ბრძოლაში მძიმედ  
დაჭრილი ოცეულის მეთაური შეცვალა და  
ამოცანა წარმატებით დაავიჯრევინა; სარგის  
ღამბარაშვილმა დაზიანებული დაზვის ტყვიამ-  
ტრქვევის ღელა გამოსვლა მტრის ცეცხლ-  
ქვეშ და მოწინააღმდეგეს მცელავი ცეცხლი  
შეახვედრა; ასეულის სანინსტრუქტორმა დიმი-  
ტრი შარვაძემ მძიმედ დაჭრილი ექვსი მებრძო-  
ლი და ორი მეთაური იარაღიანად გამოიყვანა  
ბრძოლის ველიდან და იქვე პირველი დახმა-  
რება აღმოუჩინა და ა. შ.

უშეველია, თითოეულ ამ თვალსაჩინო მაგა-  
ლითში მერტაკლებად ჩანდა მებრძოლი ადამი-  
ანის საზრიალობა, ინიციატივა, თავაწირობა.  
ყოველ ფაქტში საინტერესო მეომრული ეპი-  
ზოდია ჩაქსოვილი, რომლებიც მათ ღირსებასა  
და მხედრულ ვაჟფულობაზე მოკვითხობენ,  
მათ მადლად მოგაბლურ-საბრძოლო თვისებებს  
გვაძენობენ. მებრძოლმა კაცმა იცოდა ბრძო-  
ლის ველზე ასეთი მოქმედების ფასი!

და, ბოლოს, როცა პარტიუროს სხდომის  
დღის წესრიგი ამოიწერა, პარტიის რიგებში  
ახალიმდებულებს მოკლეს და შთამბეჭდავი სი-  
ტყვიით მიმართა პოლკის მეთაურის მოადგი-  
ლემ პოლიტანწილში ალექსანდრე ნანაიშ-  
ვილმა:

— თქვენ ახლა დაბრუნდებით ასეულებში.  
იქ ნაიღი კომუნისტებიც დაგხვდებიან და  
უთუოდ შეგვიკითხებიან, — რა ჰქვინთ ბიჭებო,  
მიგიდეს თუ არა პარტიამო? — მათ აქვთ ამის  
უფლება და მოვალენიც არიან თქვენზე  
იფიქრონ და იზრუნონ, ისინი ხომ თქვენი პი-  
რისა და ლხინის თანამოზარბენი არიან. ახლა  
თქვენც შეემატებიან მათ რიგებს. პარტიულმა  
მებრძოლებმა შესძლეს ასეულის, ამ მნიშვნელო-  
ვანი ტაქტიკური ერთეულის, შეკვრა, შეხმატ-  
კნილება ერთიან მებრძოლ კოლექტივად, მტრის  
წინააღმდეგ ბრძოლაში მამაცობისა და გულ-



დობის გამოსაჩენად. როცა ასეულის მეთაური ამოცანას უსახავს პირად შემადგენლობას, შეტევასა თუ მოგერიებაში, შემხვედრ ბრძოლაში თუ დაზღვევაზე, იგი დარწმუნებულია, რომ ამ ამოცანის პირველი შემსრულებელი კომუნისტია. ამის მაგალითი თითოეულმა თქვენგანმა ბევრი იცით. ყველგან და ყოველთვის, სანამ გული ძვრის, კომუნისტი ასეულ-შის პირველი ჯარისკაცი და მეთაურის მარჯვენა ხელი.

— ჩვენი პოლიკის კომუნისტები — განაგრძობდა მეთაურის მოადგილე, — ყოველთვის იქ არიან, სადაც წყდება ნაწილის სახელის და დირსების ბედი, მართალი სიტყვით და სანიმუშო საქმით თანამოიარაღებებს უჩვენებენ პირად მაგალითს, აღფრთოვანებენ და წინ მიჰყავთ ისინი საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. ამან განაპირობა მათ მიმართ მებრძოლთა ნდობა და სიყვარული. ამაში ვლინდება მათი იდეური ზემოქმედება და ორგანიზატორული უნარი.

— აი, თუნდაც მესამე ასეულის მებრძოლი, პარტიის წევრი 1939 წლიდან — რაფიელ თალაკვაძე, — ჩაერთო საუბარში პოლიკის პარტიორგო ვლადიმერ გვარჯალაძე, — იგი მახარაძის რაიონის სოფელ ნავთმრდიანაა. მოწინავე კოლმეურნე, რამდენჯერმე იყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე. როსტოვიდან იბრძოდა, მის განთავისუფლებაში მონაწილეობდა. დაიჭრა. ნატყვიარის მოშუშების შემდგმ კვლავ საბრძოლო მწყობრშია. ახლა ჩვენი პოლიკის ჩინებული მებრძოლია, ასეულის სნაიპერი-მოთვლელთაგან. მის თვალყურს ძნელად თუ გამორჩევა რაიმე. ზუსტად და აუტენდენტად ისვრის თავისი სნაიპერული შაშხანიდან. აი, გუშინდელი მაგალითი: ერთერთ სექტორზე მტრის ხელის ტყვიამფრქვევმა მოულოდნელად შეწყვიტა ცეცხლი. რა მოხდა? ზოგმა იფიქრა — მიზანში მოვახვედრეთო. მაგრამ არა, — მან ახალ პოზიციაზე გადაინაცვლა, — დაასვენა თალაკვაძემ და განაგრძო თვალთვალი. ტყვიამფრქვევმა ახალი პოზიციიდან გახსნა ცეცხლი, იგი სნაიპერს უკვე მიზანზე აეყვანა და რამდენიმე ზუსტი გასროლით სამუდამოდ ჩააჩუმა. აი, ეს არის მებრძოლის გამჭრიახობა და ოსტატობა, ესაა კომუნისტის საბრძოლო აქტივობა ბრძოლის ველზე, მის მიერ საბრძოლო ამოცანის სანიმუშოდ შესრულება. ასე დამსახურა მან მებრძოლის პირველი ღირსეული ჯილდო. ამიტომაც სჯერათ მის მებრძოლ ამხანაგებს. რაფიელზე უთუოდ ნადირობენ მტრის სნაიპერებიც, მაგრამ, საბედნიეროდ, იგი უენებელია, რადგან უკვე კარგად იცის ჯარისკაცური ხელოვნება და მისი გამოყენება.

— დამახასიათებელია, — განაგრძო ისევ ა. ნანეიშვილმა, — რომ ამ მძიმე მომენტში ჩვენს პოლკში, ისე როგორც მეზობელ ნაწილებში, კიდევ უფრო იზრდება მეომართა განცხადებების ნაკალი პარტიის რიგებში მიღების შესახებ. ამ მხრეზე ჩვენი დღევანდელი სხდომის მაგალითიც ნიშანდობლივია. ეს მეტად სასიამოვნო და სასიხარულო მოვლენაა. ეს დიდი განსაცდელის ქაშა პარტიისადმი ჩვენი აღამიანების უსასწვრო ნდობისა და ერთგულების ნათელი მაგალითი, ხალხის და არმიის მონოლითურობის ნიმუშია. დღეს პარტიის რიგებში მიღებულთა უმრავლესობა კომკავშირელები ხართ. ეს ჩვენი პარტიული ორგანიზაციის კომკავშირელებმა ცეცხლის ხაზზე გულადი და უნარიანი მოქმედებით ცხადსყვეს, რომ მათი სახით მოვიდა ღირსეული ცვლა იმ კომუნისტი მეომარებისა, ვინც ამ მკაცრ ბრძოლაში ვაკაცურად დღეცა ან დროებით გამოვიდა მწყობრიდან...

ამ დამსახურებულ შეფასებას ყურადღებით უსმენდნენ ახალგაზრდები. კმაყოფილი იყო პოლიკის კომორგი, უმცროსი პოლიტგელი შალვა რობაქიძეც, რომ კომუნისტები, უფროსი ამხანაგები, ასე აღასებდნენ კომკავშირელ მეომართა საბრძოლო წარმატებას ბრძოლის ველზე. ეს ფორტზე კომკავშირული მუშაობის თავისებური დაფასებაც იყო.

— ჩვენ გვეჭრა, რომ თქვენი სახით პარტიაში მოვიდნენ მტკიცე და მოწინავე მებრძოლები და ღირსეულ წვლილს შეიტანთ პოლიკისა და დივიზიის ახალ საბრძოლო წარმატებებში.

— ასე დაბაობოდა პოლიკის პოლიტგელმძღვანელმა თავისი შინაარსიანი საუბარი, მიულოცა მათ ღირსშესანიშნავი მოვლენა ცხოვრებაში და ახალი საბრძოლო წარჩინება უსურვა მომავალ ბრძოლებში.

— არაივს ეჭვი არ შეპარვია, რომ ეს ასეც იქნებოდა!..

— როგორ წარიმართა მათი საბრძოლო ცხოვრება, როგორ გაამართლეს თავიანთი სიტყვა და დაპირება?

კვლავ ვფურცლავ საფრონტო უბის წიგნიას და ვკითხულობ:

...25 ოქტომბერს, მოწინავე ხაზზე, წარჩინებულ მებრძოლთა და მეთაურთა ერთ ჯგუფს, ბრძოლაში მამაციობისა და გულდადობის გამოჩენისათვის, არმიის სამხედრო საბჭოს წევრმა, პოლიკის კომისარმა ნაიდნოვმა, საბუთო კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით, საბრძოლო ორდენები და მედლები გადასცა.

აქ, მწყობრის წინ წაკითხულ სიაში, ნაცნობი კომუნისტი მეომარების გვარით გავიგონე „წითელი დროშის“ ორდენი გადაეცა მტკიცე-

**კებრე შამათაძე**  
კომკავშირული შვიცხაბა



მტრევე იოსებ კაკაურიძეს; მედალი „მამაცობისათვის“ — რაფიელ თალაკვაძეს; — „საბრაძოლო დამსახურებისათვის“, — ვასილ სტეფანაძეს, შაქრო ქაფიაშვილს და ა. შ.

როცა მათ მიულოცეს ეს დამსახურებული ჯილდოები, იოსებ კაკაურიძემ მწყობრის წინ, თანაბოლკელთა წინაშე ამყად თქვა:

— ვემსახურები საბჭოთა კავშირს!

ეს იყო მშრომელი ადამიანის, მებრძოლი კაცის მზადყოფნა ახალი გამარჯვებისათვის საბრძოლველად!

შემდეგ კი, დიდი ოქტომბრის 25 წლისთავისათვის, მათს ახალ საბრძოლო წარჩინებაზე იუწყებოდა პოლიტგანყოფილებაში 3 ნოემბერს მიღებული მოხსენებითი ბარათი. მასში ამ მებრძოლთა გვარებიც იყო მოხსენებული და ახალი თვალსაჩინო ფაქტებითა და ემიზონებით დადასტურებული...

ნაცადი კომუნისტების გვერდით ასე იზრდებოდნენ და იწრთობდნენ ახალგაზრდები, რომელთა მემორული სიტყვა და საქმე მტკიცე იყო და ურღვევი. ისინი ღირსეულად ამართლებდნენ კომუნისტის მალასა და საბაბოთი სახელს!

...მის შემდეგ დიდი ხანი გავიდა. ადამიანის ცხოვრებაში დიდი ღრთა ოცდახუთი წელი! ვის რა ბედი ეწვია ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე? — უთუოდ ბევრი რამ გადახდათ თავს ჩვენს გმირებს. ბევრი ცოცხალი გადურჩა ომის ქარიშხალს და მეომრული

მწყობრიდან კვლავ შრომის მწყობრს დაბრუნდა, ახლაც მამაცური შრომით განაგრძობს მამაცი ჯარისკაცის სახელსა და ღირსებას. მე არ ვიცი ყველა მათგანის ამბავი, თუმცა ზოგიერთზე მომეხოვება ცნობები...

ვიცი, რომ სამოცდაორი წლის ნაცადი ჯარისკაცი შაქრო ქაფიაშვილი მშობლიურ მთებშია, დღეშეთის რაიონში. შეიღი შეიღის, — ორი ვეჯისა და ხუთი ქალის — მამაა და ცხრა შეიღიშვილის ბაბუა, თავის მეუღლე ვეჯისთან ერთად კვლავ ველ-მინდვრებზე ფუსფუსებს. გამრჯე მშრომელები და მეოჯახენი არიან მათი შვილებიც!

ვიცი, რომ რაფიელ თალაკვაძე დღეს მშობლიურ რაიონში ცხოვრობს, კარგი ოჯახის თავია, ექვს ათეულს გადააბიჯა, მაგრამ კვლავაც ჭარმაგადაა და სასახელოდ შრომობს თანასოფლელებთან ერთად.

იოსებ კაკაურიძე კი ოცდაათი წლისა იყო, როცა ვალმოხდილი ჯარსკაცი, ომის დასასრულს უდროოდ გარდაიცვალა, სალუტით გააცილეს, მშობლიური დიდი კუხის მიწას მიაბარეს თანაბოლკელებმა... მის კაცობას, მის საქმეს მისი შვილები აგრძელებენ პატიოსნად. ის პატარა რეზო დღეს ოცდაცამეტი წლისაა და წარმოების მოწინავე მუშაია.

დაჯერებით შემძლია ვივარაუდო, რომ სამშობლოს ღირსებისათვის ბრძოლაში შექმნილი სახელი და დიდება სხვებსაც ბოლომდე გაჰყვათ და შრომის ფერხულშიც ხმლისა და გუთნის ერთგულ ჯარისკაცებად დარჩნენ..





გუკამ ასათიანი

## «გერანი» და მისი ავტორი

წერილი მეორე

როგორც ცნობილია, სიტყვა „რომანტიზმი“ ევროპულ მწერლობაში XIX საუკუნის დამლევს დაკანონდა იმ მიმდინარეობის აღმნიშვნელ ტერმინად, რომელსაც იგი თანამედროვე ლიტერატურულ ლექსიკონში გამოხატავს.

უფრო ადრე „რომანტიზმი“ გულისხმობდნენ შუასაუკუნეებში უმთავრესად ე. წ. რომანული ერების მიერ შექმნილ მწერლობას და, საერთოდ, სულიერ კულტურას, ეს „ძველი“ რომანტიკული კულტურა, ხელოვნება და სიტყვაჯამებული მწერლობა არსებითად ქრისტიანული მსოფლმხედველობის გავლენის შედეგად ჩამოყალიბდა და ისტორიულად „კლასიკის“, ე. ი. ანტიკური კულტურის პირდაპირ უარყოფას მოასწავებდა.

რომანტიკული ხელოვნების წმინდა ესთეტიკური არსი ჰეგელს ამგვარად აქვს განსაზღვრული: თუ „კლასიკური ხელოვნება — მისი სიტყვით — წარმოადგენს იდეის (ე. ი. სულის, შინაარსის) ადეკვატურ გადანერგვას სახეში“... „რომანტიკული ფორმა ხელოვნებისა აუქმებს იდეისა და რეალობის დასრულებულ მთლიანობას“; რომანტიზმის საგანს წარმოადგენს „შინაგანი, სულიერი ცხოვრება“... „სულიერი სამყარო იმარჯვებს გარე სამყაროზე... და ამის შედეგად გრძნობადი მოვლენა ჰკარგავს თავის ფასს“. მაგრამ, რადგანაც ხელოვნების „ეს ფორმა, როგორც ყოველგვარი ხელოვნება, თავისი გამოხატვისათვის საჭიროებს გარეგან საშუალებებს... ამის გამო გარეგანი — გრძნობადი გაფორმება აქ აღიქმება როგორც სიმბო-

ლურ ხელოვნებაში! რაღაც არა-არსებითად, წარმავლად“.

ჰეგელის სიტყვები, ცხადია, ეხება რომანტიზმს — როგორც ევროპული ხელოვნების განვითარების ვრცელ ისტორიულ ეტაპს, მაგრამ მათში მოცემულია იმ გვიანდელ მიმდინარეობათა არსის ერთგვარი ვასალებიც, რომლებიც უკვე XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა და-სავლეთ ევროპის მწერლობაში.

ძალზე ძნელია რომანტიზმის საერთო მსოფლმხედველობრივი ნიშნების დადგენა. „რომანტიზმი არ არის მწყობრი თეორია სამყაროსადმი ადამიანის დამოკიდებულებისა, — წერდა მ. გორკი, — ...ყველა ცდა მისი განსაზღვრისა, როგორც თეორიისა, ასე თუ ისე ბუნდოვანი და ამაოა“ 2. ამ თვალსაზრისით ერთადერთ შედარებით უცილობელ ნიშნად არსებული სინამდვილისადმი უარყოფითი დამოკიდებულება შეიძლება იქნას განხილული.

შეიძლება ითქვას, რომ ყველა დროის რომანტიკოსები მწვავე, შეუთრგებელ კონფლიქტში იმყოფებოდნენ თავისი ეპოქის სინამდვილესთან. მაგრამ ეს თვისება, როგორც ცნობილია, მხოლოდ რომანტიზმის საკუთრებას არ წარმოადგენს. ასეთი მძაფრი უკმაყოფილება

1 „სიმბოლურ ხელოვნებად“ ჰეგელს მიაჩნდა უძველესი აღმოსავლური ხელოვნება.

2 М. Горький. История русской лит-ры 1939 г. стр. 42.

არა ნაკლებად დამახასიათებელია ევროპულ XIX საუკუნის კრიტიკული რეალიზმისთვის.

რომანტიკული პოეზია ჩვეულებრივ, „მინიჭა“, „არასრულყოფილ“ რეალობას უპირისპირებს საკეთარ ოცნებას, მსოფლმხედველობრივი, ეთიკური თუ მხატვრული იდეალები ილუზიურ სამყაროს. მაგრამ ეს იდეალებიც არსებითად ძალზე სხვადსხვა გვარისაა სხვადასხვა მწერლებთან. მაგალითად, არსებობს აზრი, რომ რომანტიკული პოეზიისათვის დამახასიათებელია წარსულის იდეალიზაცია, (ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში ეს თვისება აღიარებულია ჩვენი რომანტიკოსების მსოფლმხედველობის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად). მაგრამ ცნობილია, რომ, მაგალითად, რომანტიკოს პირენეს კირის დღესავით ეზარებოდა ყოველდღე არქაული, ფეოდალური, შუასაუკუნეობრივი, ხოლო ფრანგული კრიტიკული რეალიზმის მამამთავარი ბალზაკი თავის ეთიკურ იდეალებს სწორედ ძველი ფეოდალური არისტოკრატის ნაშვირთა ხასიათებში ეძებდა.

რომანტიკული პოეზიის განუყოფელ ნიშნთვისებად სამართლიანად მიიჩნევენ მკაფიოდ გამოკლებულ სუბიექტივობას. ლიტერატურის ზოგიერთ თეორეტიკოსს ეს თვისება ძირითად, განსაზღვრულ ნიშნადაც კი წარმოუდგება.

ამ მოსაზრებას გარკვეული დაზუსტება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სუბიექტივობისა თუ ინდივიდუალიზმის ნიშნათა ძიება ძალზე შორს წაგვიყვანდა ევროპული ლიტერატურის ისტორიაში.

რომანტიკულ პოეზიაში ინდივიდუალიზმს ერთი ნიშანდობლივი ელფერი აქვს შექნილი. აქ იგი დავაუშრიებელია არა მხოლოდ ადამიანის პიროვნების სრული შინაგანი ემანსიპაციის იდეასთან; რომანტიკოსებთან პირადი, შინაგანი, ინტიმური საწყისი წარმოვედგება როგორც განსაკუთრებული, ჩვეულებრივისაგან (ე. ი. ობიექტური ყოფიერებისაგან) მკვეთრად განსხვავებული თვისება.

რომანტიკული პოეზიის დამახასიათებელ ნიშნად ხშირად მიიჩნევენ აგრეთვე ემოციური საწყისის, „მგრძნობელობის“ პრიმატს გონებაზე, ინტელექტზე.

რომანტიკოსები უარყოფდნენ კლასიციტური ხელოვნებისათვის დამახასიათებელ მშრალ რაციონალიზმს. მათ შემოიტანეს პოეზიაში დიდი და ძლიერი ენებების სუნთქვა, ისინი შეეცადნენ ადამიანის ემოციური და ქვეცნობიერი სამყაროს უფრო ღრმა შესწავლას და უფრო მკაფიო, რელიეფურ გამოხატვას.

მაგრამ რომანტიკოსმა კაცობრიობას მისცა კემპარიტად ღრმა და მაღალი აზრით შთაგონებული პოეტური ქმნილებებიც — ბაირონის, ტიუტჩევის, მიციევიჩისა და ბარათაშვილის პოეზიის სახით.

„მგრძნობელობა“ — რომანტიკულ ლექსი-

კონში ნიშნავს არა წარმართულ ან განმანათლებლურ „სენსუალიზმს“, არა სენტიმენტალურ „გრძნობიერებას“, არამედ ძლიერი ადამიანური ენებების კულტს.

რომანტიკული „მგრძნობელობის“ არაუტყმა გავებამ შეიძლება სერიოზულ ვაუტგებობამდე მივიყვანოს, თუ, მაგალითად, ამ სიტყვას „სენსუალიზმი“ ან „ეროტიზმი“ სინონიმად წარმოვიდგენთ. ასეთ შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ, ვთქვათ, ბესიკის მხოლოდ ერთი ლექსი „ტანო-ტატანო“ თავისი შინაარსით ვაცილებით უფრო „რომანტიკულია“, ვიდრე ნიკოლოზ ბარათაშვილის მთელი ლირიკა.

ამ ვაუტგებობას განსაკუთრებით ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ „მგრძნობელობა“, როგორც პოეტური ტერმინი, ქართულ მწერლობაში შემოიტანა სწორედ ბესიკის ტრადიციების უშუალო გამგრძელებელმა ალექსანდრე კვაჭავაძემ.

როგორც ვხედავთ, რომანტიკოსის მსოფლმხედველობრივი ბუნებისა და არსის დადგენა ძალზე რთულ შინაგან წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული. ჩვენს მიერ პირობითად გამოყოფილი ცალკეული ძალზე ზოგადი ნიშნებიც კი შესაძლებელია სრულიად ვაბათილდნენ ამა თუ იმ რომანტიკოსს მწერლის კონკრეტული ნაწარმოების ანალიზისას.

სინამდვილეში ევროპულ რომანტიკოსს არ შეუქმნია და არც შეეძლო შეექმნა თავისი ერთიანი მსოფლმხედველობა, თუნდაც იმიტომ, რომ ისტორიულად იგი ძალზე წინააღმდეგობრივი სოციალური ინტერესებისა და მისწრაფებების გამოზატკველი ფენებისაგან შედგებოდა.

ამ თვალსაზრისით უთუოდ ახლოს იდგა სიმართლესთან პუშკინი, რომელიც ფიქრობდა, რომ რომანტიკული პოეზიისათვის დამახასიათებელი „მყარი“ ნიშნების დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ამა თუ იმ ნაწარმოების ზოგად „სულს“ (ე. ი. მსოფლმხედველობრივ შინაარსს), არამედ მის მხატვრულ სპეციფიკას.

თავის ცნობილ წერილში «О поэзии классической и романтической» პუშკინი შემინიშნავს: «Если вместо формы стихотворения будем (брать) за основание только дух, в котором оно писано, то никогда не выпутаемся из определений».

XIX საუკუნის ევროპული რომანტიკი, როგორც მხატვრული ფორმა, მკვიდრდება და ვითარდება როგორც კლასიციტური ფორმის უარყოფის შედეგი. ეს არის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისება, რომელიც ასე თუ ისე დამახასიათებელია ყველა ქვეყნისა და თითქმის ყველა კონკრეტული პერიოდის რომანტიკული მიმდინარეობისათვის. ამ მხრივ გამოიყვანოს არ წარმოადგენს რუსული რომანტიკი.





ცხადია, აქ ჩვენ ერთი ფორმის მეორეთი შეცვლის მექანიკურ პროცესთან როდი გვაქვს საქმე. ეს კარდინალური ცვლილებები ფორმის სფეროში გაპირობებული იყო იმ ახალი ისტორიული, ეპოქალური შინაარსით, რომელსაც ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა გამოხატავდა.

რომანტიზმი, კ. მარქსის სიტყვით, იყო ბუნებრივი რეაქცია წინამორბედი ისტორიული ძვრებისა და შესაბამისი იდეოლოგიური მოძრაობის მიმართ. „პირველი რეაქცია, — წერს კ. მარქსი, — საფრანგეთის რევოლუციისა და მასთან დავაშირებული განმანათლებლობის წინააღმდეგ ბუნებრივი იყო: ყველაფერი იძენდა შუასაუკუნეობრივ ელფერს, ყველაფერი რომანტიკული სახით წარმოდგებოდა“<sup>1</sup>.

კ. მარქსის ეს მოსაზრება საფულისხმოა რამდენიმე ასპექტით. ყურადღებას იქცევს უპირველეს ყოვლისა ის გარემოება, რომ სიტყვები „შუასაუკუნეობრივი“ და „რომანტიკული“ აქ თითქმის სინონიმურად ეღვრენ. ვ. ი. აქ აშკარად მინიშნებულია ის წყაროები, ის ფუძე, რომელსაც XIX საუკუნის ევროპულმა რომანტიზმმა მიმართა და რომელიც მან თავისი მსოფლმხედველობრივი და მხატვრული ძიებების საყრდენ წერტილად გამოიყენა.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შუასაუკუნეებისაყენ, ქრისტიანული რომანტიზმისაყენ მიქცევას მარქსი ხსნის ბუნებრივი რეაქციით საფრანგეთის რევოლუციისა და განმანათლებლური იდეოლოგიის მიმართ.

ეს მოსაზრება თავისთავად არამც და არამც არ შეტყუვლებს რომანტიზმის რეაქციულ ბუნებაზე (თუმცა ცალკეულ შემთხვევებში რომანტიკულმა მიმართულებამ სწორედ ამგვარი ხასიათი მიიღო).

რომანტიზმი ევროპულ მწერლობაში იყო ლიტერატურული გამოხატულება იმ ბუნებრივი უკმაყოფილებისა, რაც თან მოჰყვა რევოლუციის შემდგომ პერიოდს.

როგორც ცნობილია, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია რუსოს, ვოლტერისა და ლიდროს დიადი იდეებით საზრდობდა, მაგრამ იმავე დროს სწორედ რევოლუციის მსვლელობამ ცხადყო მთელი ამ იდეოლოგიური სისტემის ისტორიული შეზღუდულობაც.

ფხიზელი გონების სამსჯავრო, რომელიც განმანათლებლებმა კაცობრიობის ერთადერთ ხსნად აღიარეს, და რომლის მომავალი სუფევა მთელი წინა საუკუნის მანძილზე ევროპის მოწინავე ადამიანთა ოცნებთა სავანს შეადგენდა, XIX საუკუნის დასაწყისში თავისი ისტორიუ-

ლად გაფორმებული, რეალური სახით წარმოგვიდგინა და სწორედ მაშინ ვახდა აშკარა რომ, «Это идеализированное царство буржуазии...»<sup>2</sup>.

XIX საუკუნის ევროპული რომანტიზმი აღმოცენდა მძაფრი უკმაყოფილებისა და იქვის ნიადაგზე. ეს იყო დაქვეება არა მხოლოდ ადამიანის გონების შესაძლებლობებში, არამედ საერთოდ ქვეყნის, ობიექტური რეალობის, სამყაროს გონიერებაში.

სინამდვილე რომანტიკოსთა თვალწინ გაიხსნა მთელი თავისი წინააღმდეგობრივი, დისპარმონიული, მოუწესრიგებელი შინაარსით. და რადგან ადამიანის გონება უძლური აღმოჩნდა ამ წინააღმდეგობათა წინაშე, რომანტიკოსთა თვალში მათ აბსოლუტური, მარადიული, გარდუვალი მნიშვნელობა შეიძინეს.

მაგრამ რომანტიზმი იყო ამავე დროს ახალი, თავგანწირული ცდაც ამ გარდუვალ წინააღმდეგობათა დაძლევისა. საჭირო იყო ახალი გზების ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა, ადამიანის სულის ფარული, წინა საუკუნეებში უცნობი ან დაუფასებელი ძალების მობილიზება იმ ჰარმონიის აღსადგენად, რომლის დაკარგვასაც განსაკუთრებით მძაფრად რომანტიკოსები განიცდიდნენ.

XIX საუკუნის რომანტიზმის კერა დასავლეთი ევროპაა. შედარებით გვიან ამ მიმდინარეობის არე ფართოდება და ახალ სფეროებს იპყრობს. ცხადია, ყოველ კონკრეტულ, კულტურულად სრულფასოვან ნაციონალურ ნიადაგზე რომანტიკულ მიმართულებას თავისი ეროვნული იერი უნდა მიეღო.

რუსული ლიტერატურის ისტორიაში დღემდე მწვევედ დგას რომანტიზმის პრობლემა, კერძოდ მისი განვითარებისა და პერიოდიზაციის საკითხი.

ჩვენ აქ ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ერთ გარემოებაზე.

რომანტიკულ მიმდინარეობასთან რუსეთში მჭიდროდ არის დავაშირებული კერძოდ დეკაბრისტული მწერლობა, ლიტერატურა, რომელიც საფუძვლად დაედო და რომელმაც მოამზადა რევოლუციური თავადაზნაურობის 1825 წლის შეთქმულება.

თანამდროვე რუსულ ლიტერატურათმცოდნეობაში აღნიშნულია, რომ დეკაბრისტული პოეზია მთელი თავისი შინაარსით, განწყობილებებით, იდეალებით განმანათლებლური წარმოდგენიდან რომანტიზმისკენ მისწრაფოდა (ნიშანდობლივია, რომ ამ თვალსაზრისით სანიშნო ნაწარმოებად არის მიჩნეული რილევის ცნობილი პოემა „ნალივაიკო“, რომლის

<sup>1</sup> К. Маркс — Ф. Энгельсу, 25 марта 1868 г. сочинения, т. 32, стр. 44.

<sup>2</sup> К. Маркс и Ф. Энгельс об искусстве 1937 г. 256.

**გზარამ საბთიანი**  
„მირანი“ და მისი ავტორი





ერთი ნაწყვეტი ქართულად გრ. ორბელიანმა თარგმნა), მაგრამ სპეციალისტთა აზრით, რომანტიკულ განწყობილებათა გარმაგების კულმინაციური მომენტი დეკაბრისტულ ლიტერატურაში დაკავშირებული იყო დეკემბრის შეთქმულების კრაზთან, დამარცხების შედეგად გამოწვეული სასოწარკვეთიანა და უბერსპექტივისის ღრმა განცდებთან.

«Особенно бурно романтические настроения развиваются в поэзии дворянских революционеров после катастрофы 14 декабря. Значительная часть поздних стихотворений Кюхельбекера, Бестужева-Марлинского, Одоевского проникнута глубокой скорбью и безнадежностью, ощущением полнейшей бесцельности жизни.

...Во всех этих стихотворениях угадываются уже мысли и настроения, характерные для поколения 30-х годов, для молодого Герцена, для Лермонтова и Тютчева, чье творчество знаменовало новый этап русского романтизма, представляло собой романтизм в прямом и полном смысле этого слова»<sup>1</sup>.

XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში არის ერთი თარიღი, რომელიც თავისი ეროვნული მნიშვნელობით დაახლოებით ისეთივე ხასიათის საბედისწერო მიზნად შეიძლება წარმოვიგვიდგეს, როგორც რუსეთის ისტორიაში დეკემბრის კატასტროფა აღიარებული.

ეს არის 1832 წელი — ფარული საზოგადოების, ქართველი თავიდანხატურობის პატრიოტული შეთქმულების გათქმისა და დამარცხების წელიწადი.

სწორედ ამ წელს დაემხო და საბოლოოდ გაქარწყალდა ყველა ილუზია, რაც კი მიუხედავად ყველაფრისა, ოცდაათი წლის მანძილზე ღვილი და მონებელი ქვეყნის შეიღობა შეგნებაში და როგორც სამშობლოს ხსენიანა და მისი სახელმწიფოებრივი წყობის გონიერი, დროის შესაბამისი გარდაქმნის იმედი, პრაქტიკული მოქმედებისკენ უბიძგებდა მათ.

1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა მოწინავე ჩაუფის მკიდრო კავშირი დეკაბრისტულ იდეოლოგიასთან ისტორიულად დადგენილი ფაქტია.

გარდა ნაციონალური თავისუფლების მოპოვებისა, შეთქმულთა განზრახვა ითვალისწინებდა ქვეყნის სოციალური ცხოვრების განახლების მოთხოვნილებასაც. ფარული საზოგადოების წევრთა რადიკალური ნაწილი აშკარად

ემსობოდა საქართველოში რესპუბლიკურ რეჟიმის წესწყობილების დამყარების იდეას.

1832 წლის შეთქმულება ქართველი ერის მოწინავე ნაწილის პროგრესული მიზანსწრაფვისა და მისი საბრძოლოდ მომწიფებული შეგნების ისეთივე კანონზომიერი, ისტორიულად გამართლებული გამოვლინებაა და საბოლოო ჯამში ისევე ღრმად ასახავს ქართველი ხალხის ეროვნულ და სოციალურ ინტერესებს, როგორც 1825 წლის აჯანყებამ გამოხატა რუსეთის, რუსი ხალხის მთელი ნაციონალური ისტორიის გვიპრობლეული მოთხოვნა.

შემთხვევითი არ არის, რომ საიდუმლო ორგანიზაციის წევრები — ალ. კავკაძე, გრ. ორბელიანი, ს. დოდაშვილი, ალ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, გ. ერისთავი, ს. რაზმაძე ამავე დროს იყვნენ ერის სულიერი მოთხოვნების გამომხატველნიც, XIX ს. პირველი ნახევრის გამოჩენილი ქართველი მწერლები.

1832 წლის შეთქმულება იყო უკანასკნელი რგოლი იმ ჯაჭვისა, რომელიც გვიანფოდალური საქართველოს მთელ ისტორიას გასდევს, როგორც დამოუკიდებელი მსოფლმშვედველობრივი (სოციალური, პოლიტიკური და ფილოსოფიური) ძიების უწყვეტი ჯაჭვი.

ეს გამუდმებული ძიება განსაკუთრებით დამახასიათებელია XVIII საუკუნისთვის. ქართველი ხალხი ამ დროს თანდათან, შეუკავებლად უახლოვდებოდა თავისი დამოუკიდებელი ნაციონალური ისტორიის დამატებლ ფინალს. პორბონტებზე ყოველი მხრივ აღსმეტყველო ნიშნები კიაფობდნენ. საჭირო იყო გონების ძალთა უაღრესი დაძაბვა, უჩვეულო გამჭრიახობა და მშვედი ანალიზის უნარი, საჭირო იყო გამუდმებული სიფიზილო და ზუსტი, დაუყოვნებელი ნაბიჯები, რათა ქართველი ხალხი შეძლებსამებრ მობილიზებული შეგებებოდა მოახლოებულ განსაცდელს.

ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მთელი მოწამებრივი ცხოვრება ამ დიდ მიზანს შეეწირა. მთელი მათი ფართოდ გააზრებული განმანათლებლური პროგრამა, დაუქანცავი პრაქტიკული ღწვა სიბრძნისა და ცოდნის ზეგადასხვა სფეროში სწორედ ამ უბირველესი მიზნისკენ იყო მიმართული.

საბას „სიტყვის კონა“, რომელზეც მან მუშაობა სწორედ იმ წლებში დაიწყო (1685 წ.), როდესაც საფრანგეთის მეცნიერებთა აკადემიას ახალი დასრულებული ჰქონდა ფრანგული ენის ლექსიკონი, თავისი ენციკლოპედიური ელემენტებით აშკარად სცოდნება განმარტებითი სიტყვარის ჩვეულებრივ შინაარსს (ფრანგული ენციკლოპედიის გამოცემა, რომელზეც გამოჩენილ მეცნიერთა მთელი პლავა მუშაობდა, შედარებით გვიანდელი მოგუნაა, მისი I ტ. გამოვიდა 1751 წ.).

<sup>1</sup> А. Гуревич. Романтики или классицизм? «Вопросы литературы» 1966 г. № 1, стр. 162.



„სიტყვის კონის“ ავტორი თითქოს გრძობდა, რომ ქართველი ხალხისათვის იმ ახალი გამოცდის წინ, რომელიც მას ისტორიამ განუშხადა, ატყობებელი იყო მკვიდრად აღებულა მესხეთრებაში არა მხოლოდ საკუთარი თვით-მყოფობის დამადასტურებელი მეტყველები მრავალსახოვანი ფორმები, არამედ ის მდიდარი პოზიტიური ცოდნაც, რომელიც მან საუკუნეთა მანძილზე მოიპოვა.

ცხადია, XVIII საუკუნის საქართველოში მეტად „საპატიო“ მიზეზების გამო არ არსებობდა განვითარებული სახით ის კონკრეტული ეკონომიურ-სოციალური სიფუძველი, რომელზეც ევროპული განმანათლებლობა აღმოცენდა. მაგრამ სიბრძნის, განათლების, აღმზიანის შემოქმედი გონების კეთილამყოფელ ძალთა აღიარება ლეიტმოტივად გასდევს ამ ეპოქის თითქმის მთელ ქართულ მწერლობას.

ვახტანგ მეექვსესა და ს. ორბელიანს საუკუნის მეორე ნახევარში ცოდნის მგზნებარე აპოლოგიით ეხმარება დავით გურამიშვილიც. შეიძლება ითქვას, რომ XVIII საუკუნის ქართველი მწერლებისთვის ეს ურყევი განმანათლებლური რწმენა იყო მეორე სარწმუნოე-ბა, რომელსაც ისინი არანაკლები შთავგონებით აღიარებდნენ და ქადაგებდნენ, ვიდრე ქრისტიანული რელიგიის წმინდა ცნებებს.

ქართველ „განმანათლებელთა“ რაციონალისტურმა იდელებმა თავისი პრაქტიკული განხორციელება XVIII საუკუნის უდიდესი ქართველი სახელმწიფო მოღვაწის — ერეკლე მეორის პოლიტიკურ საქმიანობაში პოვეს.

ერეკლეს ცხოვრება და ღვაწლი უშუალო შთამომავალთა თვალში დარჩა როგორც გონიერი მოქმედების, „აღსრულებული ჰაზრის“ განაახიერება (ასე წარმოდგებოდა „მხცოვანი გვირის“ სახე კერძოდ ნიკოლოზ ბარათაშვილს მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე).

ვახტანგისა და სულხან-საბასაუტუნშვილმომამხადა არსებითად ნიადაგი იმ თავისებური გონებრივი მიმართულებისა, რომელიც საქართველოში ორი ეპოქის მიჯნაზე ჩაისახა.

ალექსანდრე ორბელიანის წერილში „მეფე ირაკლის დროის ცოტ-ცოტა ამბები“ აღწერილია ერთი დამახასიათებელი ფაქტი გიორგი XIII სამეფო კარის ცხოვრებიდან:

„რუსეთიდან ჩამოსულმა დავით ბატონიშვილმა თან ჩამოიტანა სრულიად ახალი, სამეფო ოჯახის წევრთათვის და მახლობელთათვის ჯერ უცნობი შეხედულებები და აზრები. ასე, მიაგლითად, იგი აღარ ინახავდა მარხვას, საერთოდ, რელიგიის საკითხებისადმი იჩენდა არა მარტო ვულგარობას, არამედ კიდევ მეტი — ამ საკანზე ძლიერ უპატივცემულად და ირონიულად მსჯელობდა. დავითმა ჩამოიტანა და თავის პალატაში დაჰკიდა „ვიღაც უცნობი“ ვოლტერის სურათი, რომელსაც იგი თავის

მასწავლებელს და მეგობარს უწოდებდა; ჩამოიტანა ბლომად წიგნებიც, ბეგრს კითხულობდა და წერდა. ამ გარემოებამ მეტად შეაფერია და შეაშფოთა ღვთის მოსავი მეფე გიორგი. ჩქარა მამა-შვილის შორის ამ ნიადაგზე ჩამოვარდა დიდი განხეთქილება, განსაკუთრებით ერთი სამასსოგრო ინციდენტის შემდეგ. გიორგიმ თავის მეშვეილს გაუგზავნა მოციქულები — კარის მდივანი ელევზარ ფალავან-ღმიშვილი, ალექსანდრე მაყაშვილი და არქიმანდრიტი ელევფერ და შეუთვალა: „შვილო დავით, თურმე ეკლესიას თიატრს ეძახი, ციკაკარს სათამაშოს და წირვას წარმომადგენს. ნუ შერბიბ ამისთანა ღვთის გარეგან საქმეს, მოიქეც და ღმერთი იწამე“. გაჯერებულმა დავითმა დააბარა მოციქულებს: „წოდით, ასე უთხარით მამაჩემს: რაც იმას სწამდეს, მე გამიწყრეს, და რაც მე მწამს, იმას გაუწყრეს“. როდესაც მოციქულებმა გიორგი მეფეს მოახსენეს შვილის პასუხი, დორზე წამოწოლილმა წამოიძახა თურმე: „დაადგა იგი ყოველს გზასა არა კეთილსა და ბოროტი მას არა მოწყინა“<sup>1</sup>.

ეს ისტორიული ანეკდოტი ნათლად წარმოგვისახავს ორი თაობის წარმომადგენელთა შეჯახების ტიპურ სურათს, რაც ჩვეულებრივ ძველი და ახალი საუკუნის გასაყრელ მიჯნაზე ხდება ხოლმე. მაგრამ ვოლტერიალური იდეებია შემოკრას საქართველოში მთელოდენი ინციდენტის ხასიათი როდი ჰქონდა.

ალექსანდრე ამილახვარს, დავით ბატონიშვილს, იესე გარსევანიშვილს, დავით ციციშვილს, ალექსანდრე ჰაჭავაძეს, რომლებიც რუსოს, ვოლტერისა და მონტესკიეს არაერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები თარგმნეს ქართულად და XIX საუკუნის დასაწყისში ჩვენი კულტურა საფრანგეთის რევოლუციის წინამორბედთა მემკვიდრეობას აზიარეს, უთუოდ შემზადებული ჰქონდათ ნიადაგი ქართულ მწერლობაში.

ქართული ვოლტერიალობა ლოკიკური გვირგვინება იმ მკაფიოდ გამოვლენილი რაციონალისტური ტენდენციებისა, რომლებიც ჩვენს ლიტერატურაში წინა საუკუნის მანძილზე ლევიდებოდა და ვითარდებოდა.

ფრანგი განმანათლებლების სოციალურ, ეთიკურ და ესთეტიკურ ნააზრებში, მათ პოეტურ ქმნილებებში ბუნებრივ გამოსავალს პოეზება მრავალი ათეული წლის განმავლობაში მომწიფებული გონებრივი მიმართულება.

ვოლტერის „კეპტიკური ღმილი უკანასკნელ-

<sup>1</sup> მოგვაქვს ლ. ასათიანის წიგნიდან „ვოლტერიალობა საქართველოში“. იხ. რჩეული ნაწერები, 1958 წ. ტ. I გვ. 88-89.

## გურამ ასათიანი

„მირანი“ ზა მინი ანტორი





ლი სხივიით დაადგა ძველ საქართველოს (და უკვე მისაიწინებლად გამზადებული საუკუნე თავისი ურწმუნო ირონიით შეაშფოთა.

მაგრამ ახალგაზრდა, განათლებულმა თავადიშვილებმა ამ სექსისში იცნეს ახალი რწმენისა და მხნეობის ნიშანიც.

იმ უთანასწორო ბრძოლაში, რომლისთვისაც ისინი ფარულად ემზადებოდნენ, ცივი გონების იარაღი იყო უკანასკნელი და ამის გამო ყველაზე ძვირფასი საშუალება.

1832 წლის შეთქმულება უბრალო სახელმწიფოებრივ გადატრიალებას როდი ისახავდა მიზნად. ეს იყო იდეურ თანამზრახველთა კავშირი. მართლაც, ფარული საზოგადოების წევრთა შორის კონკრეტულ საკითხებზე სრული თანხმობა არ არსებობდა, სამაგიეროდ მათ აერთიანებდათ საერთო რწმენა.

თვითელ მათგან ღრმად სწამდა, რომ მამობრილი იყო ვაგრძელება მამა-პაპათა სამართლიანი, საუკუნეთა გამოცდილებით გამართლებული საქმისა, რომ ამ ბრძოლაში მათ მხარეზე იყო ისტორიის ბუნებრივი კანონი, რომელიც შესაბამის რაციონალურ მოქმედებას მოითხოვდა და ამავე ღრმს ამ სამართლიანი ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინების საწინდარიც იყო.

ამ რწმენაში ეძიებდნენ ისინი ახალ „სიმხნეს“, ეს იყო მათი ისტორიული ოპტიმიზმის წყარო.

პოლომონ დოდაშვილის მიერ შექმნილთა მეთაურების ალ. ორბელიანისა და ელიზბარ ერისთავის თხოვნით დაწერილ „ისტყვა მოწოდებაში“ ვკითხულობთ:

„ქვეყნის დაარსებითან მამულსა ჩვენსა აქნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქნდა თვისნი სჭუნნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება...“

ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთან?

ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესკოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა?!

მაშ რაასათვის ვცოცხლავართ?!

სოლომონ დოდაშვილის ლექსი „მამისი“, რომელიც პოეტურ ფორმაში გამოხატულ ასეთსავე მხურვალე მოწოდებას წარმოადგენს, გამსჭვალულია მტკივნეული ივეით, შეშფოთებით — შეძლებენ თუ არა სახელოვან მამა-პაპათა შვილნი ძველი სიმტკიცით მტერზედ „მახვილის ხელთა აღპყრობასა“? მაგრამ საგულსხმობა, რომ აქაც პატრიოტული მოწოდების ავტორი პელაგიას უწინარეს ყოვლისა მამულიშვილთა გონებისადმი ახდენს:

„ქართველნი, ხართ სადმე თუ არა? არავინ არ იცის! მოიგეთ გონება!“

როგორც ცნობილია, სოლომონ დოდაშვილის — თავისი დროის გამოჩენილი ფილოსოფოსი და ენციკლოპედიური განათლების მოაზროვნე, — ნიკოლოზ ბარათაშვილის მასწავლებელი იყო, თბილისის კეთილშობილთა გიმნაზიაში.

სწორედ მის ხელში გაიარა მომავალმა პოეტმა რაციონალიზმისა და კრიტიციზმის სკოლა და ეზიარა იმ იდეებს, რომელნიც ევროპული განმანათლებლობის ეპოქიდან მომდინარეობდნენ.

1827 წელს პეტერბურგში გამოვიდა ს. დოდაშვილის შრომა: Курс философии, часть первая. Логика, რომელშიც თვალსაჩინო ადგილი დაიკავა რუსეთის ფილოსოფიურ ლიტერატურაში. სპეციალისტთა აზრით, ლოგიკის ამ ფართო კურსში რელიგიის სრულებით ვერ პოულობს ადგილს. ს. დოდაშვილის „ლოგიკა“ ბევრად განსხვავდება, კერძოდ, კანტის „ლოგიკისაგან“, და ეს განსხვავება ეხება ლოგიკის უძირითადეს პრობლემებს. ქართველი მოაზროვნის ნაშრომი მოკლებულია კანტის მეცერ ფორმალისმს და მეტაფიზიკურ ხასიათს.

ს. დოდაშვილის გავკეთილებს თბილისის გიმნაზიაში უთუოდ ღრმა ფილოსოფიური ხასიათი უნდა ჰქონოდა. სწორედ მან უნდა ეუმადლოდეთ ჩვენ ფართო მსოფლმხედველობრივი საკითხებისადმი იმ ცხოველ ინტერესს, რომელმაც ასე ადრე იფეთქა ჰაბუკი პოეტის შეგნებაში.

ს. დოდაშვილი თავის შეგირდებს დიდი მამულიშვილური საქმიანობისათვის/ ამზადებდა. ხოლო მთავარი იარაღი, რომელიც მათ ამ სარბიელზე უნდა გაეტანათ, მისი რწმენით, იყო მოწინავე მეცნიერული, ფილოსოფიური განათლება.

განმანათლებლური იდეალების ღრმა ზემოქმედება ს. დოდაშვილის მათფლმხედველობაზე აშკარად ჩანს მის წერილში „პასუხი ტფილისიდან“, რომელშიც იგი თვისებურ ანალიზს უკეთებს შეთქმულების წინა პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას.

„... ვანათლება არს უმტკიცესი და უუსაიმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოებისა“, — წერს ს. დოდაშვილი. სოციალურა პროგრესის, განახლების წინაპირობად მას მიაჩნია ის გარემოება, რომ ქართველი საზოგადოების დიდმა ნაწილმა შეიგნო ეს ქეშმარიტება: „აწინდელსა განსვენებთისა მდგომარეობასა შინა მამულისა ჩვენისასა ყოველმან კაცმან მიაკეთა ყურადღება განათლებასა ზედა; მაშასადამე, ყოველი წოდება, ყოველი მდგომარეობა უნდა მოელოდეს, რომელ მათ ყოვლმათ კაცთმოყვარენი, სარწმუნონი და ერთგულნი თანშემრომენი, შემწენი და მფარველნი“.





ასეთი იყო 1832 წლის შეთქმულების მთავარი იდეური მესვეურის ოპტიმისტური რწმენა. საქართველოს სოციალური სინამდვილის ფხიზელი ანალიზი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ტრადიციებისა და გამოცდილების თვალსაზრისით გაკვეთილები, ქართველთა ცნობიერების მომწიფება გონიერი მოქმედებისათვის, ცოდნის, განათლების კეთილსმყოფელი გავლენა საზოგადოებრივ შეგნებაზე, ყოველივე ეს რეალურ პერსპექტივებს უხსნიდა ს. დოდაშვილის მიზანსწრაფვა — იმედს უნერგავდა, რომ გადამწყვეტ მომენტში „გონს მოგებულ“ ქართველი ხალხი მხარს დაუჭერდა აჯანყების იდეას.

თვით 1832 წლის შეთქმულების ორგანიზაციული საფუძველი — „აქტი გონიერი“, რომელიც ხელთ ჰქონდა ფართული საზოგადოების თითქმის ყველა წევრს, თავისი შინაარსით წარმოადგენდა წინასწარ განგაირიშებული, მაქსიმალურად მიზანშეწონილი პრაქტიკული მოქმედების სანიმუშო წყაადებას. აქც მთელი სიმძიმე გადატანილი იყო შეთქმულთა ყოველი კონკრეტული ნაბიჯის უაღრესად რაციონალურ ხასიათზე (ყოველი წვერი უნდა ეძიებდეს შეძინებად წევრთა გონიერებით“... და ა. შ.).

განათლებული გონების ძლიერობა და გონიერი მოქმედება — აი, შეთქმულთა რწმენის ის ორი სემბოლო, რომლებიც ისტორიამ ერთი დამთრგუნველი დაკერით უსარგებლო ნამსხვრევებად აქცია.

1832 წლის შეთქმულების დამარცხება იყო უმნიშვნელოვანესი მიჯნა არა მხოლოდ XIX საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ისტორიისა. მას თან მოყვა ადამიანთა ცნობიერების, წარმოდგენების, განწყობილებების უღრმესი გარდატეხა. ეს იყო სამდგომო უღელტეხილი ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. მისი საზედისწერო ნიშანი ათეული წლების მანძილზე წარუხციელებლად გაყვა ეროვნულ თვითშეგნებას. ხოლო იაეთი სულიერი წყობის ადამიანებს, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო, დამარცხების სიმწარემ მართოდენ სევდიანი განცდები როდი მოუტანა.

ახალგაზრდა, თითქმის ყრმა, მაგრამ შინაგანად უკვე საეცებით მომწიფებულ პოეტის თვალში ეს იყო არა მხოლოდ მორიგი წარუმატებელი ცდა საქართველოს ბედის შებრუნებისა, არამედ ბევრად უფრო ღრმა, პრინციპული მნიშვნელობის მარცხიც.

1832 წელს სასტიკად დამარცხდა თვით მასულდგმულბელები იდეა ეროვნული მოძრაობისა, შეიმუხრა ის, რაც თოპათა გონებრივი ძიებისა და დღწის, მათი საუკუნოვანი უწყვეტი ფიქრისა და განსჯის მთავარ საგანს შეადგენდა.

„აქტი გონიერი“ ფარატირა ქალაქის ნაფურცელნიკითა და იქცა ისტორიის მძვინვარე, ბრმა ძალმომრეობითა წინაშე.

გონების სამსჯავრო, მისი ფხიზელი, სამართლიანი განაჩენი ერთი ხელს მოსმით გაუქმებულ იქნა სინამდვილის სასტიკი მსჯავრო.

აზრის სინათლე, ფხიზელი განსჯის მაღალი ნიქი, შორსმჭვრეტელობა, განათლებულ ადამიანთა საბრძოლოდ გაწვრთნილი ნებისყოფა დაუნდობლად გათელა უსახო მანქანის ბორბლებივით ამოქმედებულმა ძალმომრეობამ.

ასეთი იყო ისტორიის უგონო აქტი.

1832 წელს, როგორც განკითხვის დღეს, საბოლოოდ განადგურდა განათლებულ მამულიშვილთა მოწინავე იდეებით ნაკეები რწმენა. ხანგრძლივი ძიების შედეგად შემუშავებული რაციონალისტური იდეალების, წარმოდგენების, პრაქტიკული შეხედულებების მთელი სისტემა.

საკვირველი არ არის, რომ გონების ამ საბედისწერო კრახმა გამოიწვია ღრმა დაუკვეება არა მხოლოდ მისი ისტორიულად განსაზღვრული შინაარსითა თიქმული შესაძლებლობებში, არამედ საერთოდ არსებული რეალობის, მთელი სამყაროს მამოძრავებელი, უნივერსალური წესის გონიერებაში. ადამიანის პიროვნული ხედრი, საზოგადოებრივი განვითარება, ეროვნული ცხოვრების პერსპექტივები, კაცობრიობის მთელი ისტორია წარმოდგა როგორც ბრმა აუცილებლობის სარბიელი, ხოლო მისი მოქმედების შეუცნობელმა, ირაციონალურმა კანონმა აბოლუტური ხასიათი შესძინა სინამდვილის სახედისწერო წინააღმდეგობებს.

ასეთი იყო ის განწყობილება, ის მსოფლმხედველობრივი საფუძველი, რომელზეც XIX საუკუნის ქართული რომანტიზმი წარმოიშვა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკის პირველსავე ნიმუშებში, ისევე როგორც გრ. ორბელიანის 1835 წლით დათარიღებულ ლექსში „ჩემს და ედემიას“, ხოლო შედარებით გვიან ალ. კავთავაძის „გოგანაში“ საწყუთოს შეუცნობელი, „უკუღმართი“ წესი წარმოსახული როგორც მისი არსებითი, სუბსტანციური თვისება.

1832 წლის შემდეგ ქართველი ხალხის საზოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებაში დაიწყო ახალი მრწამსის, ახალ იდეურ ღირებულებათა ძიებისა და დადგენის უმძიმესი პერიოდი, რომელმაც სამოციან წლებამდე გასტანა.

ეს იყო თავისებური „გარდაძვალა“ ეპოქა — იქვის, პესიმიზმის, უდროობის მტკივნეული განცდისა და მძაფრი უქმაყოფილების დრო.

**ზურაბ ასათიანი**  
„მმრანი“ და მისი ავტორი

მეგამ სასოწარკვეთის ამ საერთო ატმოსფეროში, ქართული რომანტიზმის წიაღში იწრთობდა ახალი იარაღიც — არსებული სინამდვილის ძირფესვიანი გარდაქმნის იდეა, შეუთრებელი პროტესტანტული სულისკვეთება; იყუებოდა მოქმედების ახალი გეზი — უკომპრომისო მაქსიმალიზმი, რომელსაც ღრმა ზემოქმედება უნდა მოეხდინა მომავალ თაობათა შეგნებაზე.

ბარათაშვილის ეპოქაში უხიზელ აზრს მხოლოდ ურწმუნოების და ნიპილიზმის მოტანა შეეძლო. გონების თვლი ამჟამოში, ყოველის მხრივ, უსაბოობის შავებდით ნიშნებს არჩევდა. ამის გამო პოეტმა თავის მერანს უპირველეს ყოვლისა „შავად მღელვარი ფიქრის“ გაფანტვა უბრძანა და მთელი არსებით მოაზრობის თავდავიწყებულ რწმენას მიენო.

რომანტიკულმა მსოფლგაგებამ, რომელიც თავისი წმინდა, სრულწმინილი სახით „მერანის“ ავტორის შემოქმედებაში გამოიხატა, მარადიული ბრძოლისა და განახლების საწინდარი — დაყოლონ მამოძრავებელი ძალა — აღმართის თანდაყოლილ შეუთავარი ენებებში, ბედთან ჰიდილის დაუოკებელ წყურვილში, „განწირულის სულის კვეთებაში“ დანახა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომანტიკული მიმდინარეობა ევროპულ მწერლობაში მოასწავებდა უშუალო რეაქციის განმანათლებლური იდეოლოგიისა და კერძოდ, მისი რაციონალისტური მსოფლმხედველობრივი პრინციპების მიმართ.

როგორც მხატვრული სისტემა, რომანტიზმი ასეთივე მძაფრი ანტითეზა იყო განმანათლებლური ესთეტიკისა.

ამ უკანასკნელ გარემოებას განსაკუთრებით ხელს უწყობდა ის, რომ განათლების ეპოქის ხელოვნებამ, ისევე როგორც საფრანგეთის რევოლუციის მხატვრებმა, სინამდვილის ასახვისა და მხატვრული გაცნობიერების მთელი რიგი ძირითადი ფორმები კლასიციტური პოეტიკიდან ისესხეს.

განმანათლებელთა ესთეტიკური შხედელუბებისა და ლიტერატურული პრაქტიკის ეს მკიდრო მეგვიდრეობითი კავშირი კლასიციტიზმთან განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლენდა რევოლუციის სამშობლოში (კლასიციტური ფორმა მთლიანად შენარჩუნებულია, კერძოდ, ვოლტერის დრამატურგიაში, რომლის ნიმუშები ქართულ ენაზე XIX საუკუნის 20-30-იან წლებში ითარგმნა).

კორნელის, ბუალოსა და რასინის ქმნილებებში ფრანგ განმანათლებლებს განსაკუთრებით იზიდავდა მათი პოეტიკის ნათელი რაციონალისტური საწყისები, მყარი, დაარსებულ ფორმა, გონებისმიერი პარპონია და მკაცრად განასაზღვრული კანონები. ე. ი. ის ნიშნე-

ბი, რომლებიც პრინციპულად აღმოჩნდა რომანტიკოსთათვის.

მთავარი და უპირველესი პუნქტი, რომლის წინააღმდეგაც რომანტიკოსებმა ერთსულოვანი იერიში მიიტანეს, ეს იყო კლასიციტური ხელოვნების „პი რ ო ბ ი თ ო ბ ა“. პირობითობა, გამოვლენილი როგორც ცნობილ დრამატურგიულ ერთიანობებში, ისე საერთოდ ენარბორე და თემატიკურ კონსერვატიზმში, ლიტერატურული მოტივებისა და სიუჟეტების მკაცრად გარკვეულ, დაკანონებულ რკალში, ფსიქოლოგიური კოლიზიების ტრადიციულ სქემებში.

რაც შეეხება, კერძოდ, ლირიკას, რომანტიზმმა აქ უარყო ტრადიციული პოეტური აზროვნება, კლასიციტური პოეტიკისათვის დამახასიათებელი პირობითი მეტაფორული სახეები და ხერხები და, რაც არაბაელებ მნიშვნელოვანია, მუდმივი ევრსტიკაციული ფორმებიც.

რომანტიკული პოეზია წარმოადგენდა სინამდვილესთან (არა მხოლოდ აღმართის შინაგან, სულიერ სინამდვილესთან, რაც რომანტიკოსთა შემოქმედების უპირველეს საგნად იქცა, არამედ კლასიციტიზმის მიერ პოეზიიდან განდევნილ „ველურ ბუნებასთან“) უფრო ახლო მისვლის ცდას.

რომანტიკულ პოეზიაში აღმართის პიროვნება მოკლებულია იმ შინაგან სიმრთელეს და პარპონიას, რომლითაც მას კლასიციტიზმი და განმანათლებლობის ხელოვნება ხატავდა. მისი „სულიერი სამყარო სულ უფრო ამკარად აგულენს შინაგან წინააღმდეგობებს. და რაც უფრო ღრმავდება ეს პროცესი, რაც უფრო მეტად კარგავს აღმართი სულიერ მთლიანობას, მით უფრო იზრდება მოთხოვნილება ცხოვრების სისასველსთან უშუალო ზიარებისა.

ამ თვალსაზრისით რომანტიკული პოეტიკა შეიძლება განხილულ იქნას როგორც თავისებური ხიდი კლასიციტიზმსა და რეალიზმს შორის. ნიშანდობლივია ამ მხრივ ის ფაქტი, რომ, მაგალითად, ბევრი გამოჩენილი რეალისტი მწერალი თავის დროზე მწერლობაში შემოვიდა რომანტიზმის საერთო მანიფესტი.

რომანტიზმი, როგორც ახალი მხატვრული ხედა სინამდვილისა, იყო თავისი დროისათვის უარესად რევოლუციური, რადიკალური მოვლენა, რამდენადაც მან უარყო და დაამსხვრია კლასიციტიზმის დრომოქმული პოეტიკა და პირველ რიგში მისი პირობითი პოეტური ენა.

მეგამ რომანტიკაებმა სინამდვილეში ვერ შეძლეს და არც შეეძლოთ გაქციოდნენ ყოველგვარ პირობით ხერხს (რამდენადაც ეს საერთოდ შესაძლებელია ხელოვნებაში). სინამდვილეში მათ ძველ პირობით ენას დაუპირისპირეს ახალი, რადგან პირობითობა, როგორც სინამდვილის აღქმის და გამოხატვის არსებითი პრინციპი, დევს თვით რომანტიკული ესთეტიკის შინაგან ბუნებაში.



რომანტიზმისათვის ფორმა — იდეა, შინა-  
არსის ობიექტური გამოვლინება—არ წარმო-  
ადგენს ისეთ ტოლფასოვან გრძნობად ეკვივა-  
ლენტს, როგორც ეს დამახასიათებელი იყო,  
მაგალითად, ანტიკური ხელოვნებისათვის და  
რასაც ჩვენ ახალი სახით ვხედავთ რეალის-  
ტურ მწერლობაში.

შემთხვევითი არ არის, რომ ჰეველი რომან-  
ტიზმის ესთეტიკურ არსს უკავშირებდა ხე-  
ლოვნების განვითარების იმ საფეხურს, რომ-  
ლის მთავარ დამახასიათებელ თვისებად მას  
გამოხატვის სიმბოლური ფორმა მიაჩნდა.

სიმბოლო განუყოფელი ელემენტია რომან-  
ტიკული პოეტიკისა, რადგან ობიექტური რეა-  
ლობა რომანტიკოს მხატვარს აინტერესებს  
არა მხოლოდ თავისთავად, არამედ, უწინარეს  
ყოფლისა, როგორც საშუალება საკუთარი სუ-  
ბიექტურის, სულეობის სინამდვილის გრძნობადი  
გამოცემისათვის. ხოლო ვინაიდან გარეგანო,  
„საგონობრივი“ ფორმა მისი რწმენით მხო-  
ლოდ არასრულყოფილად, მიახლოებით შეიძ-  
ლება გამოხატავდეს სტლისმიერ შინაარსს,  
ამის გამო იგი გააზრებულია არა როგორც  
ადეკვატური გამოვლინება, არა როგორც  
ტოლფასოვანი აპლი, არამედ როგორც მხო-  
ლოდ მინიშნება, მხოლოდ პირობითი, სიმბო-  
ლური სახე.

რომანტიკულმა ესთეტიკამ ევროპულ ხე-  
ლოვნებაში ბიძგი მისცა განვითარების მეტად  
რთულ და ხანგრძლივ პროცესს, რომელიც  
დღემდე გრძელდება.

მთავარი შემოქმედებითი პოსტულატი ამ  
მოდრობისა იყო იმის შეგნება, რომ პოეზია  
არის არა მხოლოდ ასახვა სინამდვილისა, არა-  
მედ მისი დაუფლები, დაძლევის, მხატვრული  
გარდაქმნის საშუალება.

რომანტიკული ხელოვნების ეს ძირითადი  
პრინციპი ახალი ფორმით გამოქმდებოდა ჩე-  
ნი საუკუნის მრავალი გამოჩენილი მხატვრის  
შემოქმედებაში. მისი გავლენის ღრმა დაღით  
არის აღბეჭდილი თანამედროვე ფერწერის,  
ქანდაკების, პოეზიისა და მუსიკის არაერთი  
ღირსშესანიშნავი ნიმუში.

შემთხვევითი არ არის, რომ ამ თავისებუ-  
რი ევოლუციის არსი, რომელიც გასული საუ-  
კუნის განთავისა დაიწყო, უკანასკნელ დროს  
დასავლეთის პროგრესული კრიტიკისა და  
ლიტერატურული თეორიის ყურადღების  
ცენტრში აღმოჩნდა.

რომანტიზმის მხატვრული მსოფლგაგება,  
მისი პოეტიკის პრინციპული სიახლე თავისე-  
ბურ შუქს ჰფენს ჩვენს თვალწინ მომხდარი  
უმნიშვნელოვანესი მხატვრული ძვრების შინა-  
არსს.

ცნობილი ფრანგი მწერლია და ესთეტი-  
კოსის როცე გაროდის სიტყვით, XIX საუკუ-  
ნის დასაწყისამდე ხელოვნისათვის ძირითა-

დად ეკვივალენტური რჩებოდა ობიექტური სამ-  
ყაროს, როგორც მხატვრული შემოქმედების  
აუცილებელი წარმოსახავი მოდელის მნიშ-  
ვნელობა. „რომანტიზმი ეკვის ქვეშ აყენებს ამ  
აქსიომას,—წერს გაროდი,—მხატვარი სულ უფ-  
რო გულგრილი ხდება ობიექტისადმი... შემოქ-  
მედების ამოცანაა არა იმდენად სხობა სამ-  
ყაროს შესახებ, რამდენადაც სხვა სამყაროს  
შექმნა. პოეზია, ამ სიტყვის ეტიმოლოგიის თა-  
ნახმად, იქცევა კეშმარიტ შემოქმედებად... ბუ-  
ნება, ცხადია, იძლევა საღებავებს, ფორმებს,  
საგანთა გარეგნულ იერს, მაგრამ მხოლოდ  
ნელად მასალის სახით. უარყოფს რა რისამე  
გადმოღების, საგანთა ახლის შექმნის ვალდე-  
ბულებას, ხელოვანი რეალობის ამ ელემენ-  
ტებს სწყევტს მათი ჩვეულებრივი, საყოველ-  
თაოდ მიღებული მნიშვნელობისაგან და მათი  
საშუალებით ახალ სამყაროს აყვებს. მაგრამ  
მხატვრები და პოეტები, რომლებიც ზურგს  
აქცევენ და უუაღაღებენ რეალობას, ქვეშეც-  
ნეულად მიიღებ ემორჩილებიან ისტორიულ გან-  
ვითარებასა და მისი შინაგანი წინააღმდეგობე-  
ბის ღრმა კანონს“<sup>1</sup>.

მართალია, ფრანგი ესთეტიკოსის ამ მოსაზ-  
რებაში რომანტიკული მიმდინარეობის წილ-  
ში სხვადასხვა ფორმით მოქმედი მხატვრული  
ტენდენციები მიყვანილია მათ უკიდურეს სა-  
ხეობამდე, მაგრამ, ჩვენი ფიქრით, აქ მაინც მარ-  
თებულად არის აქცენტირებული ყველა დროის  
რომანტიკოსთათვის დამახასიათებელი ხელოვ-  
ნების აქტიური, ქმედითი საწყისის განსაკუთ-  
რებულ გრძნობა.

განსხვავებით კლასიკური ხელოვნებისაგან,  
რომელიც მშვენიერების იდეალს, პარმონიას,  
არსებობის სრულქმნილ ფორმებს თვით ობი-  
ექტურ სინამდვილეში ხედავს, რომანტიზმი-  
სთვის არსებული რეალობა, მთელი თავისი  
ღრამატული წინააღმდეგობებით, სიმახინჯით,  
შინაგანი დისპარმონიით, წარმოადგენს იმ თა-  
ვისთავად მოუწესრიგებელ, ამორფულ, ქაო-  
ტურ მასალას, რომელიც მხატვრისაგან ძირე-  
ულ შემოქმედებით ტრანსფორმაციას მოით-  
ხოვს.

შეიძლება ითქვას, რომ რომანტიკული ესთე-  
ტიკის ეს არსებითი ნიშანი ახალი დროის ქაო-  
ტული პოეტებიდან ყველაზე მკაფიო, დას-  
რულებული სახით გამოვლინდა ნიკოლოზ ბა-  
რათაშვილის ლირიკაში, რომელმაც ამ თვალ-  
საზრისით თავისი პოეტური გენიით ნამდვი-  
ლად „ამოწერა“ რომანტიზმის შინაგანი შე-

<sup>1</sup> Рожэ Гароди. О реализме без бере-  
гов М. 1966 г., стр. 102—103.

**გურამ ახათიანი**  
„მეარსნი“ და მისი ავტორი



საძლებლობები და ვასაოცარი მხატვრული ძალის სახეები შექმნა.

და მაინც, საბოლოო ჯამში პოეტის ღირსეული სამყარო საეგზეთი გამიჯნული არ დარჩენილა რეალობისგან. „სინამდვილის მოდელმა“ იმ სახით, როგორც იგი „მერანის“ ავტორის თვალწინ წარმოსდგა, მაინც თავისებური დალი დაამჩნია პოეტის მხატვრულ ფანტაზიას. მართალია, მარათაშვილისათვის აბსოლუტურად უცხო იყო მიმსგავსების, მოვლენათა ზუსტი წარმოსახვის ცდუნება, მაგრამ მის მიერ შექმნილი „სხვა სამყაროს“ მოდელი, თავისი ძირითადი კონტურებით მაინც გარკვეულ თანხმობაში იმყოფებოდა ობიექტურ „დედანთან“.

ეს შინაგანი „მსგავსება“ გამოიხატა უწინარეს ყოვლისა ბარათაშვილის პოეტური სახეების, მათი კომპოზიციისა და სტრუქტურის, მოძრაობისა და რიტმის უაღრეს დრამატიზმში, იმ ძირითად თავისებურებაში, რომელიც პოეტს თვით სიცოცხლის უნივერსალურ თვისებად მიაჩნდა.

ლიტერატურულ ტერმინებს თავისი უცნაური ისტორია და ბედობალი აქვთ.

შთამომავლობა ზოგჯერ ისეთი სახელით ნათლავს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებით კრედოს, რომელიც თვით მას ფიქრდაც არ მოსვლია სიცოცხლეში. ზღება პირიქითაც. ცნობილია, მაგალითად, რომ სტენდალი — ევროპული კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ამყარებელი აღიარებული მამამთავარი — თავის თავს სიკვდილამდე რომანტიკული სკოლის ფუძემდებლად თვლიდა, და არც თუ უსაფუძვლოდ, რადგან სწორედ მას ეკუთვნის ფრანგული რომანტიზმის ერთ-ერთი პირველი მანიფესტთავანი.

ილია ჭავჭავაძე თავის ცნობილ „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის პოეზიის დახასიათებისას, ერთხელაც არ ახსენებს სიტყვა „რომანტიზმს“. მხოლოდ ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებასთან დაკავშირებით წერს, რომ იგი „ცოტად თუ ზევრად იმ სფეროში იმედოვნებდა, რომელსაც „რომანტიზმს“ ეძახიან“. ვიტა აბაშიძის „ეტიუდებში“ საქართველოში რომანტიკული მიმდინარეობის არსებობა უკვე თავისთავად ნაგულსხმევ ისტორიულ ფაქტად წარმოგვიდგება და აქ ავტორის მთავარ ამოცანას მხოლოდ ამ ფაქტის ასხნა და დასაბუთება შეადგენს.

„ეტიუდების“ ავტორი იყო პირველი კლასიფიკატორი გასული საუკუნის უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობისა. ამ თვალსაზრისით მან მართლაც ფასდაუდებელი შრომა გასწია. მის მიერ ჩამოყალიბებული ისტორიულ-ლიტერატურული სქემა თავის ძირითად პუნქტებში

დღემდე თითქმის უცვლელად არის შემორჩენილი ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში. ვინაიდან სინამდვილა, რომ ამ სქემას ერთგულად ვისწავლავთ, ვენ ის ლიტერატორებიც კი, რომელთაც თავის დროზე კრიტიკის ქარცეცხლში გაუტარებიათ მისი შემქმნელის ცალკეული შეხედულებანი.

როგორც ვიცით, ქართულ პოეზიაში რომანტიზმი არასოდეს არ გაფორმებულა ლიტერატურული სკოლის სახით. მას არ შეუქმნია ამოუკიდებელი „ars poetika“ და არც გარკვეული კავშირი დაუდგენია თავისი დროის ევროპულ ან რუსულ რომანტიკულ მიმდინარეობებთან.

ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება უაღრესად თვითმყოფადია არა მხოლოდ თავისი ეროვნული სპეციფიკით, არამედ ინდივიდუალური ნიშნებითაც. ეს არის გარკვეული ისტორიული საფეხური ქართული მწერლობის განვითარებაში და ამავე დროს უაღრესად თავისებური გამოვლენება სხვადასხვა ხასიათის პოეტური ნიშის, აღმამიწური ტემპერამენტისა და მხატვრული მისოფილადებისა.

ჩვენ არ უარყოფთ საქართველოში რომანტიკული მიმდინარეობის არსებობას. აუცილებელია, ჩვენი ფიქრით, მხოლოდ ამ დღემდე თითქმის უცვლელად შემორჩენილი სქემის უფრო მკაფიო შინაგანი დიფერენცირება. აუცილებელია, ქართულ პოეზიაში რომანტიკული იდეებისა და შესაბამისი პოეტური ფორმების აღმოცენება განხილულ იქნას მთელა თავისი შინაგანი წინააღმდეგობებით და კონკრეტული ნაირსახეობებით.

საჭიროა ქართული რომანტიზმის ისტორია წარმოდგენილი იქნას როგორც განვითარების, ევოლუციის პროცესი და არა როგორც გარკვეული დახშული რაკალი XIX საუკუნის საერთო ლიტერატურულ პანორამაში.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმოა ალ. ჭავჭავაძის ლირიკული მემკვიდრეობა. ის რთული და მეტად წინააღმდეგობრივი გზა, რომლითაც ამ პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფია წარიმართა.

„ალ. ჭავჭავაძე ქართული რომანტიზმის პირველი დიდი წარმომადგენელია“<sup>1</sup>. „... იგი სათავეს აძლევს ახალ ლიტერატურულ მიმართულებას რომანტიზმს“<sup>2</sup>. — თანამედროვე ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში დამკვიდრებული ეს შეხედულება, ჩვენი ფიქრით, მნიშვნელოვან დაზუსტებას მოითხოვს.

იყო თუ არა სინამდვილეში „გოგნის“ ავტორი ის პოეტი, რომელმაც ქართული რომანტიკული პოეზიის პირველი ნიმუშები შე-

1 ა. მახარაძე, „ქართული რომანტიზმი“ 1967 წ. გვ. 64.

2 იქვე, გვ. 90.



ქმნა? განეკუთვნება თუ არა საერთოდ მისი შემოქმედება თავისი ძირითადი შტრიხებით რომანტიკულ მიმდინარეობას?

აღ. ჭავჭავაძის პოეზიას საფუძვლად უდევს ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული ღრმა მწუხარება.

„წყუელ არს ის ღრო, როს სამკვიდრო დავ-  
კარგეთ კრულნი“, — ამ განცდამ განსაკუთრებულ იერი მისცა პოეტის შეხედულებებს, განწყობილებებს, მთელი მისი ლირიკის ინტონაციას.

ქართულმა საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობამ სამართლიანად გააძახებია ყურადღება აღ. ჭავჭავაძის შემოქმედების პატრიოტულ და სოციალურ მოტივებზე. პოეტის შემოქმედების ყოველმხრივი შესწავლის შედეგად იგი ჩვენს წინ წარმოსდგა, როგორც თავისი ღრობის სამკვიდრო-სასიცოცხლო საკითხებზე ღრმად დაფიქრებული მოაზროვნე და შემოქმედო, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ მხრივ ერთგვარ გადაჭარბებასაც ჰქონდა ადგილი. ძნელია, მაგალითად, ასეთი შეხედულების გაზიარება: „აღ. ჭავჭავაძის შემოქმედებითი შემოქმედების უმთავრესი ღირსება, მისი ძალა და მიზნადღველობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ნამდვილად არის ქართველი ხალხის ჰერო-ეპოსის, ფიქრისა და მისწრაფების გამომხატველი“. ასეთი წარმოდგენა, ჩვენს ფიქრთ, მეორე უკიდურესობაა და ისევე ცალმხრივად, არასწორად განსაზღვრავს აღ. ჭავჭავაძის ლირიკის თავისებურებას, როგორც ჩვენში ერთდროს გავრცელებული საწინააღმდეგო აზრი, რომლის თანახმად, „აღ. ჭავჭავაძე არ იყო სპეროვნო მწერალი, საერო დარღისა და ვარაზის გამომხატველი“<sup>2</sup>.

ეროვნული და სოციალური უკუღმართობის მტკიცეული შეგრძნება საფუძვლად დაედო აღ. ჭავჭავაძის პოეტურ მსოფლგაგებას, თითქმის მთელი მისი ლირიკული შემოქმედების მხატვრულ შინაარსს, მაგრამ თვით ეს შინაარსი თავისი ძირითადი თემებით, მოტივებით, კონკრეტული განწყობილებებით, განცდებით, წარმოდგენებით, გამოხატვის სპეციფიკური საშუალებებით უაღრესად თავისებურია და არამც და არამც არ იძლევა ზემოთიტირებულ განზოგადების უფლებას.

ასევე, აღ. ჭავჭავაძის მიერ შექმნილი ინდივიდუალური პოეტური სამყარო, მის მიერ ქართულ ლირიაში დამკვიდრებული ძირითადი ტრადიციები, თვით მისი ადგილი ჩვენს მწერლობის ისტორიაში უფლებას არ გვაძლევს, იგი ქართული რომანტიზმის მამამთავრად ვადიაროთ. აქ უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია

ერთი საყურადღებო მომენტი. აღ. ჭავჭავაძის პატრიოტულ ლირიაში „სამკვიდროს დაკარგვის“ მოტივი ჭერ კიდევ არ არის გაცნობიერებული, როგორც ეპოქალური მნიშვნელობის კატასტროფა, როგორც ძველი საქართველოს ტრაგიკული დისასრული.

აქ აუცილებელია ერთმანეთისაგან გავარჩიოთ მიზეზი და შედეგი, განცდის სათავე და მისი გამოვლინების თავისებურება, მამოძრავებელი სტიმული და მოძრაობის კონკრეტული გეზი. აუცილებელია ვავითვალისწინოთ მთლიანობაში ის გზა, ის შემოქმედებითი პოზიცია, რომელიც აღ. ჭავჭავაძემ აირჩია, ის რეალური მხატვრული გამოსავალი, რომელიც მან, როგორც პოეტმა, თავისი მსოფლმხედველობრივი ძიებებისა და განწყობილებებისათვის მოქმედებდა.

ამ საკითხებში გასარკვევად ლიტერატურის ისტორიკოსისთვის ერთადერთი სწორი, მიზანშეწონილი საშუალებაა პოეტის ლიტერატურული შემოქმედების ობიექტური ანალიზი. ნაკლები მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში იმას, თუ რას ეძებდნენ და რა მხარეებს აქცევდნენ პოეტის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას მომდევნო თაობათა წარმომადგენლები, საკუთარი მხატვრული იდეალებსა და ამოცანების შესაბამისად.

აქვს გარეშეა, რომ ეროვნულმა მოტივმა აღ. ჭავჭავაძეს შეაქმნევინა არა მხოლოდ მთელი რიგი ღრმად შესანიშნავი პატრიოტული ლექსებისა, არამედ თავისებური ელფერი მისცა მის ინტიმურ განცდებსაც, მაგრამ ასევე აშკარაა, რომ ეროვნული სედა პოეტის შემოქმედებაში არ ქცეულა ფართო მნიშვნელობის მსოფლმხედველობრივ და საზოგადოებრივ ძიებათა საწყისად, აღ. ჭავჭავაძეს არ შეუქმნია პოეტური სახეები, რომლებიც თავისი ობიექტური შინაარსით შეიძლებოდა ახალი ისტორიული გზების მანიშნებელ, ეროვნული მოქმედების, საზოგადოებრივი ბრძოლისა და დღეს შინაგანგებულ მხატვრულ პროგრამად განგეხილა.

სამკვიდროს დაკარგვით, სოფლის უკუღმართობით გამოწვეულმა მწუხარებამ სრულიად სხვა გზით წარმოართა მისი ინტერესები და მხატვრული ფანტაზია.

თავისი ღრობით შეძრწუნებული პოეტი უკუიქცა არსებული რეალობისგან და „უზრისგან გულშეშეკრობილმა“ საკუთარი სტუბიექტური განცდების, „სიყვარულით მტკარაი“, ფერიული ხილვების სამყაროს მიმართა.

ასეთი უკუქცევა დამახასიათებელია მთელი რიგი რომანტიკოსი პოეტებისათვის. მაგრამ იყო თუ არა აღ. ჭავჭავაძის მიერ შექმნილი

1 ა. მახარაძე, „ქართული რომანტიზმი“.  
2 კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. I, 1911 წ. გვ. 7.

**გურამ ასათიანი**  
„მერანი“ და მისი ავტორი

„სხვა სინამდვილე“ თავისი ესთეტიკური არსით რომანტიზმის, რომანტიკული განცდების განწყობილებებისა და შესაბამისი მხატვრული იდელების სამყარო?

ეს შეიძლება, ჩვენთვის ამ შემთხვევაში განსაკუთრებით სინტერესო საკითხი, მკვიდრად არის დაკავშირებული პირველთან.

ამ თვალსაზრისით უარესად საყურადღებო ერთი გარემოება. განსხვავებით თავისი უმცროსი თანამედროვეობისაგან, ალ. ჭავჭავაძე თავისი ქვეყნის „შავ-სევობის“ მიზეზს არ განიციდდა, როგორც აბსოლუტური მნიშვნელობის კრახს, როგორც საბედისწერო ისტორიულ მიჯნას. ძველი საქართველო მისთვის ჭერ კიდევ არ იყო საბოლოოდ განწირული. პოეტის შეგნებაში, მიუხედავად დრმა კეშნისა, მაინც შემორჩენილია მისი რესტავრაციის, წარსული დიდების აღდგენის იმედი:

„მე ამას ეპსტირი განაწირი, ვაჰ, თუ ვესწრა  
ვერ!

თვარალა ეამი, გულთ მაამი, კვლავცა

იქნების“

(„პრობილისაგან თანაპრობილთა  
მიმართ“).

ალ. ჭავჭავაძის სასოწარკვეთა, მიუხედავად მისი ემოციური სიმაძვარისა, მოკლებულია აბსოლუტურ ხასიათს. მის ეროვნულ კონცეფციას ჭერ კიდევ არა აქვს ვაგლი ისტორიული შეგნების ის საფეხური, რომლის შემდეგ პოზიტიური იდეალების ძიება მხოლოდ ახალი გზით შეიძლებოდა წარმართულ-იყო.

თუ ჭაბუკი ბარათაშვილისთვის 1839 წელს უკვე საეხებით ცხალა საქართველოს „ზედის გარდაწყვეტა“, ალ. ჭავჭავაძე არ გამოირცხავს „გულთ მაამ ეამთა“ განმეორების, „კვლავცა“ აღდგენის რეალურ შესაძლებლობას.

ალ. ჭავჭავაძის პატრიოტული ლირიკა ძირითადად გამოხატავს 1832 წლის შეთქმულების წინა პერიოდისთვის დამახასიათებელ საზოგადოებრივ განწყობილებებს. მისი გვიანდელი შემოქმედებისთვისაც კი, რომელიც სოფლის სიმუხტლის, ბორბტებისა და ამოების განსაკუთრებით მძაფრი განცდით არის გამსჭვალული, ჭერ კიდევ უცნობა იმ საბედისწერო მიჯნის, „დროთა კავშირის“ დარღვევის შვებრძენება, რაც თავისი უარესი ფორმით ბარათაშვილის შემოქმედებაში გამოიყვება. „წარსული სიცოცხლის“ აღდგენის იმედი გარკვეული მიმართულებით უზბიკებდა პოეტის შთაგონებას.

გარდასულ აჩრდილთა გამომხმობის სურვილი, დროით დათრგუნვილი „ძველი ხილვების“ ძვირფასი ილუზიების, ტრადიციული წარმოდგენების ინერტია ალ. ჭავჭავაძეში იწვევდა

ქართული პოეზიის, კლასიკურ სამყაროსთან შეხმიანების მძაფრ მოთხოვნად.

წარსულთან ორგანული, განუყოფელი თანახმობის განცდამ თვალსაჩინო დალი დაასვა პოეტის სოფლმხედველობრივ და მხატვრულ ინტერესებს, თითქმის მთელ მის პოეზიას.

ორი ეპოქის მიჯნაზე მდგარმა პოეტმა უკანასკნელად სცადა დროთა პარმონული კავშირის აღდგენა და ამ მიზნით წინამორბედ თაობათა მიერ შექმნილი ტრადიციების წიაღს მიმართა.

ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში მთავრდება ძველი ქართული ლირიკის განვითარების ის ნაყადი, ის თავისებური განწყობება, რომელიც „მეფხისტყაოსნიდან“ მომდინარეობს, ხლო ყველაზე მაკიდო, დასრულებული „ორიოდოქსალური“ სახით ბესიკის შემოქმედებაში წარმოვიდგება.

მისი ლირიკული შემოქმედების მთავარი მოტივებიც თავისი ძირითადი საყრდენი წერტილით რუსთაველისა და ბესიკის მიერ შექმნილ პოეტურ სამყაროსთან არის დაკავშირებული. მართალია, მის ლირიკაში, განსაკუთრებით გვიანდელ ლექსებში, უკვე იგრძნობა ახალ სულიერ მოთხოვნებთანა მომწიფება, მაგრამ თავისი პოეტის ძირითადი პრინციპებით ალ. ჭავჭავაძე შეტად დიდი ხნის მანძილზე მაინც ძველი ქართული პოეზიის ისტორია ერთგულ მიმდევრად რჩება.

ალ. ჭავჭავაძის პოეტური აზროვნება („გონისა“ და რამდენიმე სხვა ლექსის გარდა) არსებითად ტრადიციულია, კონსერვატულია.

სიკვე როგორც ფრანგული კლასიციზმის გამოჩენილი წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში ძირითადად ანტიკური წარმოშობის სუფერებს, მოტივებსა და სახეებს ეყრდნობოდნენ, ალ. ჭავჭავაძეც თავისი შთაგონების მთავარ წყაროს ქართული კლასიკის — რუსთაველის, თეიმურაზ პირველისა და ბესიკის პოეტურ სამყაროში ჰპოვებს.

ამგვარი პარალელი, შესაძლებელია, ერთი შეხედვით ნაძალადევედ მოგვეჩვენოს, მაგრამ, ჩვენი ფიქრით, იგი სასველად გამართლებულია არა მხოლოდ ალ. ჭავჭავაძის ისტორიული აღვილით ჩვენი მწერლობის ისტორიაში, არამედ მის შემოქმედებაში გამოამჟღავნებული ზოგიერთი საგულისხმო მიდრეკილებით და სიმპათიებითაც. თავისებურად კანონზომიერია, მაგალითად, ის გარემოება, რომ ალ. ჭავჭავაძე, რომელიც სერიოზოდ კარგად იცნობდა ფრანგულ პოეზიას, როგორც მთარგმნელი, განსაკუთრებულ ყურადღებას აჩენს კლასიციზმის სკოლის წარმომადგენელთა შემოქმედებისადმი (მის კლამს ეკუთვნის კორნელისა და რასინის ტრაგედიებისა და ლაფონტენის იგავ-არაკების თარგმანები. როგორც ცნობილია, ალ. ჭავჭავაძემ თარგმნა ვოლტერის





ლექსები და ტრაგედიები, რომლებიც თავისი ფორმით კლასიციკური პოეტიკის რკალში არიან მოქცეულნი).

აღ. ჭავჭავაძის შემოქმედება წარმოადგენს ძველი ქართული ლირიკის განვითარების უკანასკნელ საფეხურს.

ქართული კლასიკური პოეტიკა აქ უაღრესად იხვეწება და ამავე დროს თითქოს სამუდამოდ ამოწურავს თავის შინაგან შესაძლებლობებს.

ეს ბრწყინვალე პოეტური სამკაულები, რომელთა შემზღვრავი ძალა უკვე ბესიკის ლირიაში იგრძნობოდა, აქ თითქოს თანდათან მძიმე ბორკილებად იქცევიან და მათგან საბოლოოდ გათავისუფლების ბუნებრივ მოთხოვნილებას ბადებენ. ამ თვალსაზრისით აღ. ჭავჭავაძის პოეზია ჩვენ წარმოგვიდგება დიდი გზის დასასრულად.

ეს არის მწვერვალი და ამავე დროს ეს არის ჩიხიც. ამის შემდეგ მხოლოდ ძირფესვიან გარდატეხას შეიძლო გადაერჩინა ქართული პოეტური სიტყვა ეპიგონობისა და ფორმალზმის საფრთხისაგან.

„გოგჩა“ — როგორც გარკვეული ეტაპი აღ. ჭავჭავაძის შემოქმედებითი ევოლუციისა — აშკარად შეიცავს თვითუარყოფის, ე. ი. საკუთარი პოეტიკის დაძლევისა და გადააზრების ელემენტებს.

ეს არის ახალი ტიპის ლირიკული ლექსი. რადგან აქ მკაფიოდაა მიწინაშეული რომანტიკული პოეზიისათვის დამახასიათებელი ახალი დამოკიდებულება მხატვრული მასალისადმი და თვითგამოხატვის ორიგინალური ფორმები. ამ თვალსაზრისით „გოგჩა“, როგორც გრ. ორბელიანის „სალაშო გამოსალმებისა“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის „შემოდამება მთაწმიდაზედ“, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანდებელია გასული საუკუნის რომანტიკული პოეზიის ისტორიაში.

როგორც „გოგჩის“ ავტორი, აღ. ჭავჭავაძე ქართული რომანტიზმის ერთ-ერთ უაღრესად კოლორიტულ წარმომადგენლად შეიძლება იქნას აღიარებული.

შაკრამ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს ლექსი დაიწერა მაშინ (1841 წ.), როდესაც რომანტიკულ პოეტიკას ქართულ ლირიაში უკვე მოპოვებული ჰქონდა გადამწყვეტი გამარჯვებები. ხოლო ვიდრე საბოლოოდ დამკვიდრდებოდა, მას მოუხდა საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი გზების გავლა.

თუ „გოგჩაში“ აშკარად იგრძნობა „თვით-უარყოფის“ — ე. ი. კლასიკური პოეტური მსოფლგანცდისა და პოეტიკის დაძლევის ტენდენცია, ეს პროცესი კიდევ უფრო მეტი სიმწვევით გამოვლინდა აღ. ჭავჭავაძის უმცროსი თანამოკალმეების შემოქმედებაში.

აღ. ჭავჭავაძის მთელი ადრინდელი ლირიკის

თემები და მოტივები, მთელი მის მიერ გასული საუკუნის 20-იანი წლებისთვის პოეტურად დაკანონებული საწყარო იქცა იმ მთავარ ზღუდვად, რომლის გადალახვა აუცილებელი აღმოჩნდა ჭაბუკი გრ. ორბელიანისათვის. თავისი, იმ დროს ჯერ კიდევ ძალზედ ბუნდოვანი რომანტიკული იდეალებისკენ გზის გასაკაფავად.

გრ. ორბელიანმა ცხოვრებისა და შემოქმედების დიდი გზა განვლო. მისი პირველი ლექსები დათარიღებულია გასული საუკუნის 20-იანი წლებით, ხოლო უკანასკნელნი 70-იან წლებს ეკუთვნის. იგი წერდა სხვადასხვა განწყობილებით, სხვადასხვა საზოგადოებრივ თუ ინტიმური ხასიათის ვითარებათა ზემოქმედებით.

გრ. ორბელიანის შემოქმედება გარდამავალი საფეხურია ქართული რომანტიზმის ისტორიაში. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს მის პოეზიაში თავისებური პოლუსების — წარმართული სენსუალიზმისა და ქრისტიანული მისტიციზმის, მუხამაზისა და ფსალმუნის, ეროტიკული დითირამებისა და პატრიოტული ელეგიების ერთდროულ არსებობას.

პოეტის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, რომელიც ნახევარი საუკუნეზე მეტს მოიცავს, თავისებურად აისახა ქართული რომანტიზმის მთელი ისტორიული გზა: როგორც მისი პირველი ნაბიჯები, ისე სრული აყვავების ხანა და დაცემის მომასწავებელი ნიშნებიც.

თუ აღ. ჭავჭავაძისთან ყოველ გრძნობას თავისი სახელი ჰქონდა, ყოველი ემოციური მოძრაობა ზუსტად იყო კლასიფიცირებული და მყარ პოეტურ ფორმებში ჰპოვებდა გამოხატულებას, გრ. ორბელიანს უკვე აღარ ჰყოფნის არსებულ პოეტური ლექსიკონი თავისი ინტიმური განცდების გადმოსაცემად და იგი, როგორც ახალი დროის, ახალი ფსიქოლოგიის, ახალი სულიერი წყობის პოეტი, განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდის ამ მწვევე შეუსაბამობას სუბიექტური განცდის ნამდვილ შინაარსსა და მისი გამოხატვის ობიექტურ ფორმათა შორის.

გრ. ორბელიანი იყო გასული საუკუნის იმ პირველ პოეტთაგანი, რომელმაც დაახლოებით იმ დროს, როდესაც ტიუტჩევის „Siletium“ იწერებოდა, თავის „გამოსალმებაში“ ასე მძაფრად გამოთქვა რომანტიკული დაუკმაყოფილებლობა სიტყვით, როგორც ადამიანის შინაგანი საწყაროს გამოხატვის არასრულყოფილი საშუალებით:

ვერცა ცრემლთ ვაფრქვევი, ვერც ვუბნობ  
თვისსა სიყვარულს, თვის ტანჯვათ,

**გურამ ასათიანი**  
„მირანი“ და მისი ავტორი

და მით ვარ უფრო უბედურ, რომ ვერ  
აღმოვქცევი მსგავსად სხვთ.  
ნამდვილი ტრფობა განა რა სიტყვათ  
ეძებდეს, ვერ ჰპოვებს,  
რათა გამოსთქვას თვის გრძნობა და მისთვის  
ოხრავს, მღუღარებს.

ძნელი არ არის იმ შინაგანი რომანტიკული  
სიხალისის დადგენა, რომელიც ამ ლექსთან  
აკავშირებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილ  
სტრიქონს: „მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვ-  
დავთა გრძნობათ გამოთქმა“.

ის მწვავე სულიერი უკმაყოფილება, რომე-  
ლიც გრ. ორბელიანის ლექსში არის გამჟღავ-  
ნებული, „შემოღამების“ ავტორისათვის შე-  
მოქმედების მთავარ სტიმულად იქცა.

საჭირო იყო ბარათაშვილის გენიალობა,  
რათა ქართულ პოეტურ სიტყვაში ასე მკაფიოდ  
და ხელშესახებდ დაგანგებულყოფი ეს ახალი  
პოეტური თრთოლვა, ეს მანამდე უცნობი და  
გამოუთქმელი მუსიკა აღამიანის სულიერ სამ-  
ყაროში დაგროვილი იდუმალი ჰანგებისა.

გრ. ორბელიანის ლირიკამ ვადაწყვეტი რომ-  
ლი შესარულა XIX საუკუნის ქართული პოე-  
ტიკის განახლებაში. შეიმდგა ითვის, რომ  
მისი პოეტური ხელოვნების თავისებურება  
მნიშვნელოვნად იყო გაპირობებული იმ ისტო-  
რიული ადგილით, რომელიც მას ქართული  
რომანტიზმის განვითარებაში უჭირავს.

პოეტის სულიერი მოძრაობა თითქოს ვეღარ  
ეგუება, ვეღარ ეტევა კლასიკური პოეტიკის  
მწყობრ ყალიბებში. მყარი ფორმალური არ-  
ტახებისგან გათავისუფლების ტენდენცია აქ  
ზოგჯერ ერთგვარი ამორფულობის შთაბეჭდი-  
ლებასაც ქმნის.

მართალია, გრ. ორბელიანი ზოგჯერ იმეო-  
რებს პოეტურ შტამებს. მაგრამ კიდევ უფრო  
ხშირად იგი ახალი, ორიგინალური, ცოცხალი  
სუბიექტური განცდის შემოქმედებით აღბეჭ-  
დელ სახეებს მიმართავს. იგი თითქოს გამუდ-  
მებით ახლის ძიებაშია და ამის გამო მისი  
სტილი იცვლება, მდიდრდება, თანდათან მრავალ-  
ფეროვნდება. აქ თითქმის გამუდმებით  
გრძნობა ქმნის პროცესი.

გრ. ორბელიანის პოეზიაში ვეღარ შეხედე-  
ბით ალ. ჭავჭავაძის ბრწყინვალე მჯამებს.  
მისი რითმა ჩვეულებრივ ღარიბია, შედარებით  
არაზუსტი, მაგრამ, სამავიეროდ, რითმაში მოქ-  
ცეული სიტყვა უფრო ზუსტად შეესაბამება  
სათქმელის შინაარსს. ფორმის, ევრსიფიციუ-  
ლი ტექნიკის დომინანტია აქ ძალზე შემცირე-  
ბულია, შეზღუდულია.

კლასიკური ფორმის რღვევის პროცესი აქ  
სულ უფრო ღრმად მიდის.

გრ. ორბელიანმა, როგორც პოეტური სიტყ-  
ვის ოსტატმა, მნიშვნელოვნად მოამზადა ის  
ნიადაგი, ის ფუძე და საძირკველი, რომელზე-

დაც ნათელი სვეტივით უნდა აღმართულიყო  
ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალური ფიგურა.  
საჭირო იყო სწორედ გრ. ორბელიანის ძლი-  
ერი, შემმართებელი, დაუოკებელი ტემპერა-  
მენტი, რათა ქართული ლექსი გამოსულიყო  
საუკუნეთა მანძილზე დადგენილი ფორმალური  
კანონების ჰეგემონიდან.

გრ. ორბელიანმა არა მხოლოდ დასძლია ქარ-  
თული კლასიკური ლირიკიდან მომდინარე კო-  
ლასალური ძალის ინერცია, მან ნაწილობრივ  
შეძლო ახალი გზების, ახალი პოეტური საშუა-  
ლებებისა და ფორმების მიგნებაც.

ამ თვალსაზრისით, მთელი მისი პოეტური  
ღვაწი ჩვენ წარმოგვიდგება, როგორც აუცი-  
ლებელი წინაპირობა რომანტიკული გენიის  
იმ ნამდვილი ზეიმისა, რომელმაც ნიკოლოზ  
ბარათაშვილის ლირიკაში ჰპოვა თავისი სრულ-  
ქმნილი გამოვლინება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის გვერდით XIX  
საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მწერ-  
ლობაში დგას მთელი პოედა გამოჩენილი  
ლიტერატორებისა: ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბე-  
ლიანი, სოლომონ დოდაშვილი, პლატონ იოსე-  
ლიანი, ალექსანდრე ორბელიანი, გიორგი ერის-  
თავი, სოლომონ რაზმაძე, ვახტანგ ორბელიანი,  
მიხეილ თუმანიშვილი, დავით მაჩაბელი, გრი-  
გორ ჩრეუელშვილი. მათი ლიტერატურული  
მოღვაწეობა მეტად მრავალფეროვანია, თავისი  
შინაარსით, სტილით, ინტერესებითა და მიდ-  
რეკილებებით.

მიუხედავად იმ მომაკდინებული სულიერი  
ტრავმისა, რომელიც 1832 წელს განსაკუთრე-  
ბით მტკივნეულად შემოქმედებობა ინტელი-  
გენციამ განიცადა, საქართველოში მაინც არ  
ჩამყვდარა საზოგადოებრივ-კულტურული ცხო-  
ვრება.

სამწერლო ინტერესების ახალმა გაცხოველე-  
ბამ ამ დროს თავისებური, ისტორიულად გან-  
საზღვრული იერი მიიღო. საზოგადოების მო-  
წინავე ნაწილის, განსაკუთრებით ახალი თაო-  
ბის წარმომადგენელთა ის ენერჯია, რომელიც  
გამოუყენებელი აღმოჩნდა პრაქტიკული მოქ-  
მედებისათვის, თავის გამოსავალს ლიტერატუ-  
რულ სარბიელზე ეძებდა.

კოლონიის მდგომარეობაში ჩაყენებული ქვე-  
ყანა ახალ ძალზე იერებდა, საოცარი სიჯიუ-  
ტით ცდილობდა პროვინციული სპლინიდან  
თავის დაღწევას.

უაღრესად დამახასიათებელია ამ მხრივ ნ.  
ბარათაშვილის ერთი წერილი გრ. ორბელიან-  
თან:

„... ტფილისი ისევ ის ქალაქია, უსარგებლო  
გონებისა და გულსათვის, — წერს იგი. და  
იქვე — „ლიტერატურა ჩვენი, ღვითი, დღე  
და დღე შეულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი  
ყმაწვილინი კაცნი, მოცილინი სამსახუ-  
რისაგან, მყუდროობაში და მარტობაში, შე-

ეწვიან მამულს ენას, რაოდენიცა ძალდობ. ეს საზოგადო სული ბუნების ენის ტრფიანობისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართულთ არა სძინავთ გონებში!“.

აქ ორიოდ წინადადებაში დახატულია ზუსტი, ამოწურავი სურათი 30-40-იანი წლების საქართველოს ლიტერატურული ცხოვრებისა. ამ პერიოდის ქართულმა მწერლობამ თავისი ისტორიული შესაძლებლობების ფარგლებში შეძლო განეხორციელებინა მეტად მნიშვნელოვანი მისია.

სწორედ ამ „მრავალთა ყმაწვილთა კაცთა“ თავისი დროის „მეუღრობაში და მარტობაში“ მოუძებნადეს ნიადაგი მომავალ თაობებს ერთეული კულტურის ახალი აღორძინებისათვის.

ქართული მწერლობა ამ დროს არ გაერთიანებულა ერთ მიმართულებაში. არ იყო არც ამის შესაძლებლობა, არც სტიმული. ლიტერატურულ მოძრაობას აკლდა საერთო პროგრამა, ერთიანი მსოფლმხედველობრივი მიზანდასახულება და მხატვრული იდეალები. აკლდა ელემენტარული პირობებიც ასეთი გაერთიანებისათვის.

30—40-იან წლებში პრესა, კულტურული დაწესებულებანი, მუდმივი შემოქმედებითი კონტაქტები მხოლოდ ჩანასახობრივი ფორმით არსებობენ. საზოგადოებრივი ცხოვრება დაშლილია, დაქსაქსულია, ლიტერატურული ცდები და ძიებები „მარტობაში“ წარმოებს.

ასეთი ვითარება არსებითად სამოციანი წლების დამდეგამდე გრძელდება და თავისებურ შემოქმედებას ახდენს თითქმის ყველა ქართველი მწერლის შემოქმედებაზე. კერძოდ, მხატვრული სპეციფიკის თვალსაზრისით ბარათაშვილის ეპოქის ლიტერატურა აშკარად მოკლებულია შინაგან მთლიანობას. ერთსულოვნებას, შემკავავეობებელ პრინციპებს.

მართალია, რომანტიკული მიმართულება სულ უფრო ფართოდ იკავებს ზნას და ეპოქის მოწინავე მხატვრული მოძრაობის მნიშვნელობას იძენს, მაგრამ ამავე დროს ძალზე ინტენსიურად მოქმედებენ სრულიად სხვა ხასიათის ლიტერატურული ძალებიც.

ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია ამ დროს კლასიკური ტრადიციის ინერცია (ძველი ქართული პოეზიის მოტივები და ფორმები), სხვადასხვა სახით მეღაენდება კლასიციტური და განმანათლებლური ესთეტიკის გავლენა, ჩნდება რეალისტურ მიდრეკილებათა პირველი ნიშნებიც, თვით რომანტიკული ნაკადიც მეტად არაერთგვაროვანია, და ხშირად დიამეტრალურ უკიდურესობებში იჩენს თავს.

ჩვენი ფიქრით, თანამედროვე ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში სათანადოდ არ არის გათვალისწინებული ეს ობიექტური, ისტორიუ-

ლი თავისებურება XIX საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურული ცხოვრებისა.

მწერლობაში ერთდროულად მოქმედი მრავალსაზოვანი ტენდენციები ზოგჯერ ამა თუ იმ არაარსებითი ნიშნის მიხედვით მოქცეულია ერთსა და იმავე სიბრტყეზე. კერძოდ, ქართული რომანტიზმის რკალში უკანასკნელ დროს აღმოჩნდა მთელი რიგი ისეთი ლიტერატურული მოვლენებისა, რომლებიც თავისი მხატვრული სპეციფიკით აშკარად უცხო სხეულს წარმოადგენენ ამ მიმდინარეობისათვის.

რომანტიკულ ნაწარმოებად არის მიჩნეული „როგორც შინაარსის, ისე პოეტური შესრულების თვალსაზრისითაც“, მაგალითად, სოლომონ რაზმაძის ცნობილი ლექსი „დიანას მეჯლიში“.

სოლომონ რაზმაძეს — თავისი დროისათვის დიდად განათლებულ მოღვაწეს, შესანიშნავ მამულშიველსა და უაღრესად საინტერესო ბიოგრაფიის ადამიანს — ქართული რომანტიზმის ისტორიაში ეკუთვნის ერთი ფრიად საუბუღისმო დასახულება. 1831 წელს მან თარგმნა აღამ მიციყვიის „ფარისა“.

მაგრამ სიმართლისთვის უნდა ითქვას, რომ ამით ფაქტიურად ამოწურება მისი კავშირი XIX საუკუნის 30-იანი წლების ქართულ რომანტიკულ ლიტერატურასთან. რომანტიკული განწყობილებები და სახეები მხოლოდ მის რამდენიმე გვიანდელ ლექსში შეიმჩნევა.

„დიანას მეჯლიში“ (1832) მთელი თავისი მხატვრული შინაარსით — სახეებით, პოეტური ფრაზეოლოგიით, ასოციაციებით, კომპოზიციური გაზარებით პირდაპირ საწინააღმდეგოა რომანტიზმის მიერ მოტანილი ესთეტიკური იდეალებისა და სტილისა.

ეს კონტრასტი განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს სწორედ იმ პასაჟებში, რომელთაც საილუსტრაციოდ მიმართავენ, როგორც რომანტიკული პოეზიისათვის დამახასიათებელ ნიმუშებს:

ადრე ალიონს განელო კარი  
ზე ოლიშისა; ციერთა ჯარი  
მუნით გამოკრთა და მოედინა  
კიდით კიდემდე ცისა ტიალსა,  
მერე გამოკრთა ეტლით დიანა,  
ვისაც შეხედავს მოუღებს ალსა!

დიანას „პალადას დარნი“, იგერიენი მნათობნი“ ეგებებიან. ლმერთქალი მათ „ოლიშის ხილით“ უმასპინძლებდა, მისი მზღებელი „აბური“ ნექტარით აესებს ფილას და მონადიმე ბანოვანთ აწვიდს.

„დიანას მეჯლიში“ დახატულ სურათს არა-

**გურამ ასათიანი**  
„მეარანი“ და მისი აპტორი





ფერი აქვს საერთო „რომანტიკულ სანახაობას-თან“.

ეს არის ტიპური მაგალითი კლასიციზტურა პოეტის შემოქმედებით შთაგონებული პოეტური სტილისა, რომელიც აქ გაიყვანა უფრო ხელოვნურად გამოიყურება, ვიდრე ალ. ჰაუ-ჰავაის ლირიკაში. ამავე ლიტერატურულ სათვისთან (ყერძოდ, ფრანგული კლასიციზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ლაფონტენის ტრადიციასთან) არის დაკავშირებული თავისი ფორმით ს. რაზმაძის პოლიტიკური იდეა-არაი „დათვი და ცხვიარი“. ხოლო მის სატრადიციო ლირიკას ეპიგონობის კიდევ უფრო ღრმა დალი ამჩნევია.

შენში მზეობენ, შენ გამშვენებენ  
სილაშხეა თვით დიანასი,  
სინარჩარე პროზერპინასი,  
კანის სინაზე, ჰაეროვნება,  
სირინოზის ხმა, გულის მიმღებ,  
მისის სმენითა მარადის და ნ. ბარათაშვილი;  
მინერვას სიბრძნე, ლომობერება  
ნიმფთა დარიცა შენ გტრფიალებენ.

რომანტიკული განწყობილებები და სახეები სილოზონ რაზმაძის პოეზიაში შედარებით გვიან (გადასახლებაში დაწერილ ლექსებში) იჩენენ თავს. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია ლექსი „მამულს“, რომელიც სრულიად გათავისუფლებულია დასავლური და რუსული წყაროებიდან ნასესხები, ფსევდო-კლასიკური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ბუტაფორული აქსესუარებისაგან და ლირიკული განცდის უაღრესი უშუალოებით გამოიჩინება. რაც შეეხება პოეტის ოცდაათიანი წლების შემოქმედებას, აქ ს. რაზმაძე სრულიად გარკვეულ ლიტერატურულ პოზიციაზე დგას.

„დიანას მეგლიშის“ ავტორი თავისი პოეტიკით ქართული კლასიციზმის ერთ-ერთი ყველაზე ორთოდოქსი წარმომადგენელია.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ამ საკმაოდ ძლიერ ლიტერატურულ ნაკადთან ახლოდგას აგრეთვე ბარათაშვილის გიმნაზიელი ამხანაგი, თავის დროისთვის ცნობილი პოეტი და ვით მაჩაბელი.

დავით მაჩაბლის ლექსი „თოვლი“, რომელიც 1832 წელს დაიბეჭდა „თბილისის უწყებების“ სალიტერატურო ნაწილში, გარკვეული პოპულარობით სარგებლობდა მაშინდელ მკითხველ საზოგადოებაში (ეს ლექსი გიმნაზიელს თავიანთ ხელნაწერ ანთოლოგიაშიც შეუტანიათ გრ. ორბელიანის და ნ. ბარათაშვილის ლექსებთან ერთად).

„თოვლი“ ალეგორიული ხასიათის ლექსია. ალეგორიზმი, როგორც ხერხი, აქ საუკუნით ემორჩილება შენაბამის კლასიკურ ტრადიციას

და არაფერი აქვს საერთო რომანტიკულ ბოლკასთან.

ლექსის განმარტებული ნაწილი თავისი სტილით ასევე კონსერვატიულია და ძველი ქართული (განსაკუთრებით ალექსანდრის ხანის) პოეზიისთვის დამახასიათებელ აფორისტულ პრინციპებზე და ასოციაციებზე არის აგებული:

ძლიერი მძლავრობს, მას ზედა, ვისოდენ  
თვით მოტრევის,  
მაღალს სხვა მაღლობს, თანდისთან ზედ  
მიდის, ცაში ერევის,  
მუნ ლეთისა სწორი არგინ არს: ძალუქს  
მეტობა მერე ვის?  
ეგრეთ ამ მძლავრსაც სხვა მძლავრობს,  
სხვა უმეტესი ერევის.

როგორც ალ. ჰაუვაძის მთელ რიგ ლექსებში, აქაც ავტორის მსოფლმხედველობრივი მრწამსი პოეტური სენტენციების მყარ, ტრადიციულ ფორმებში ყალიბდება.

კონსერვატიულ ელფერს ინარჩუნებს პოეტის გვიანდელი ლირიკული შემოქმედებაც. დამახასიათებელია ამ მხრივ თავისი შინაარსით და პოეტიკით გიორგი ერისთავის „ცისკარში“ 1852 წელს გამოქვეყნებული ლექსი „ვარდი“. აქ ვარდ-ბუბუქის ტრადიციული მოტივი, როგორც ალეგორიული საშუალება, გამოყენებულია ტიპური განმანათლებლური იდეის გამოსახატავად.


თავისი ძირითადი მხატვრული ნიშანთვისებით დ. შაჩაბლის პოეზია ალ. ჰაუვაძისა და სილოზონ რაზმაძის ლირიკული შემოქმედების მთელ რიგ საყურადღებო ნიმუშებთან ერთად თავისებურ რკალს ქმნის ახალი დროის ქართულ მწერლობაში.

კლასიციზტური ნაკადის მოქმედება, მიუხედავად მისი აშკარად ნაგვიანევი, ძირითადად ეპიგონური ხასიათისა, საკმაოდ ინტენსიურა ფორმით შელანდებდა გასული საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში.

ამ მიმართულებას ბარათაშვილის ეპოქაში ჰყავს თავისი მეტად ავტორიტეტული იდეოლოგიც ცნობილი მეცნიერისა და რიტორის, გლინური სამყაროს ერთგული თაყვანისმცემლისა და ხელოვნების კლასიკური იდეალების უაქანსკენი დიდი პროპაგანდისტის პლატონ იოსელიანის სახით.

ამ ლიტერატურულ ფონზე კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს იმ ძირფესვიანი რეფორმაციის მნიშვნელობა, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილმა მოახდინა თავისი საუკუნის მხატვრულ აზროვნებაში.

1 განმანათლებლური ილუზიები შემორჩენილია დავით მაჩაბლის პოემაშიც „მითილი“ (1842).



ა. კოლოსკოვი

# პოეტის ტრაგედია

1930 წლის 15 აპრილს გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა:

„გუმინ, 14 აპრილს, დილის 10 საათსა და 15 წუთზე, თავის სამუშაო ოთახში (ლუბიანის გასასვლელი, 3) თავი მოიკლა პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ. როგორც გამოძიებულმა აშხ. სირცოვმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა, თვითმკვლელობის მიზეზი მხოლოდ პირად ცხოვრებაშია და არაფერი საერთო არა აქვს პოეტის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან, რაც დასტურდება წინასწარი ძიებით. თვითმკვლელობას წინ უძღოდა ხანგრძლივი ავადმყოფობა, რისგანაც მთლიანად განკურნება პოეტმა ვერ მოასწრო“. იმავე დროს გამოაქვეყნდა „მაიაკოვსკის სიკვდილის წინ დაწერილი წერილი“, სადაც ნათქვამია, ჩემს სიკვდილში ბრალს ნურავის დასდებთო, და ციტირებულია სტრიქონები:

Как говорят, —  
«инцидент исперчен»,  
любовная лодка  
разбилась о быт.  
Я с жизнью в расчете,  
и не к чему перечены  
взаимных болей,  
бед  
и обид.

მას შემდეგ თითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა, მაგრამ ყველგან და ყოველთვის, როცა მაიაკოვსკის სიკვდილზე ჩამოვარდება სიტყვა, აუცილებლად იკითხავენ: „რა მოხდა, როგორ შეძლო ამ დიდმა ოპტიმისტმა, სიცოცხლისმოყვარულმა და ყოველთვის წინდახედულმა ადამიანმა, ასე უაზროდ დემთავრებინა სი-

ცოცხლე? ეს კითხვა, სამართლიანად აღლევებს ყველას და არც არის საკვირველი. საოცარია ის, რომ დღევანდლამდე ამ კითხვაზე არ არის გაცემული, ასე თუ იგი, დასაბუთებული პასუხი.

ჩვენმა მეცნიერებმა ბევრი დრო მონადომეს პუშკინისა და ლერმონტოვის სიკვდილის გარემოებათა შესწავლას, გამოაქვეყნეს მთელი რიგი შრომები ამ საკითხზე. პუშკინის გარდაცვალების ასი წლის თავზე, 1937 წლის 5 თებერვალს, „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა წერილი „პუშკინის იარა“, შედგენილი ცნობილი საბჭოთა ქირურგის ნ. ნ. ბურდენკოს მოხსენების მიხედვით, რომელიც წაითხული იქნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში. წერილში ავტორიტეტულად იყო ნათქვამი, რომ პუშკინის კრილობა „თავისთავად შიშვე იყო, მაგრამ არა სასიკვდილო“, და რომ ჩვენს დროში „საშუალო ტექნიკის მქონე ქირურგებიც კი შეძლებდნენ პოეტის გადარჩენას“.

მაგრამ რა არის ცნობილი მაიაკოვსკის კრილობაზე? — არაფერი. კომუნისმის მტრები კი აქამდე იყენებენ პოეტის სიკვდილს ცილისმწვა-მებლური გამობლომებისათვის როგორც პოეტის, ისე საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. ისინი ამტკიცებენ, თითქოს მაიაკოვსკი წინააღმდეგობაში ჩავარდა, ყველაფერ იმის მიმართ, რასაც უმღეროდა: — საბჭოთა სინამდვილეს, საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის და კომუნისტურ პარტიას, ამიტომ ერთი გამოსავალია ჰქონდა — ტყვია უნდა ეკრა გულშიო.

თეთრგვარდიელ ემიგრანტთა შორის რუსული ლიტერატურის საქმად ცნობილი „სპეციალისტი“ მარკ სლონიმი წიგნში „ნარკვევები რუსული ლიტერატურიდან“, რომელიც გამოიცა ნიუ-იორკში 1959 წელს, წერს:



„კომუნისტები ხობას ასხამენ მაიაკოვსკის იმისათვის, რომ მასში ხედავდნენ როგორც პოეტს, ისე საზოგადო მოღვაწეს... მაგრამ მაიაკოვსკის, როგორც ეტყობა, მოსწყინდა ლექსების წერა გადასახადებზე, სამხედრო სესხებზე, სისულთნის დაცვასა და პარტიულ კრებებზე. ალბათ მასზე მძიმე გავლენა მოახდინა თანამედროვე სინამდვილის ზოგიერთმა მხარემ, რასაც დისციონოდა ორ თვის პიესაში — „ბალდინჯო“ და „აბანო“...“

არის თუ არა ამ სიტყვებში სიმართლის ნატრამილი? არა, არავითარი. დასამტყიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ მაიაკოვსკის ნაწარმოებები, დაწერილი პოეტის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. მათ შორის პიესები „ბალდინჯო“ და „აბანო“. წაიკითხეთ მაიაკოვსკის თხზულებათა ბოლო ტომები, სადაც შეყრებილია 1928-1930 წლების ქმნილებანი, და დაინახეთ, რომ სიცოცხლის ბოლო წუთებამდე პოეტის დამოკიდებულება საბჭოთა სინამდვილისადმი ისეთივე იყო, როგორიც რევოლუციის პირველ წლებში: „(Я) с волей советскою дружен“ სოციალიზმის უაქტიურესი მშენებელი, მაიაკოვსკი სიამაყით წერდა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებზე, სოციალისტური მშენებლობის წარმატებებზე.

აიღეთ მაგალითად „ჩამომსხმელ ივან კობირევის ნაამბობი ახალ ბინაში ჩასახლებამზე“, გამოქვეყნებული 1928 წლის იანვარში. ვანა მკემისატანია ადრთოვანებული სიტყვები, რომელთაც ავტორი ლექსის გმირს ათქმევინებს: **Очень правильная эта, наша советская власть.** თუნდაც „ბალდინჯოს“ დაწერის შემდეგ გამოქვეყნებული ლექსები: „პერეკოპის ენთელთაიმა“, „საუბარი ამხანავ ლენინთან“, „პირველი ხუთი შორის“, „ჩვენ“. ყოველ მათგანში იგრანობა სიამაყე, გამოწვეული ჩვენი ქვეყნის მიღწევებით. პოეტი სიხარულით ლაპარაკობს ამ მიღწევებზე, სოციალიზმის მშენებელ საბჭოთა აღამიანებს იგი უწოდებს „არნახული აღმადრენის, ენერჯისა და სინათლის ედისონებს და ხაზს უსვამს, რომ „შთავარი ჩვენი შია“. საბჭოთა აღამიანებში, „ეს—ჩვენი საბჭოთა ქვეყანა, საბჭოთა ნება, საბჭოთა დროშა, საბჭოთა შთა“. ლექსში „ოქტომბრის მარში“ (1929 წლის ნოემბერი) პოეტი ლაპარაკობდა გამარჯვებებზე, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა სოციალისტურ მშენებლობაში და მოუწოდებდა ყველას ევლო „პარტიასთან ფეხდაფეხს“. იმავე ხანებში (1929 წლის ნოემბერში) იგი აქვეყნებს „ხრუნოვის ნაამბობს კუზნეცკიტროსზე და კუზნეცკელ აღამიანებზე“, რომელშიაც გამოსკვივის ურყევი რწმენა საბჭოთა აღამიანების მიმართ, რწმენა იმისა, რომ საბჭოთა ხალხი გაიმარჯვებს სოციალისტურ მშენებლობაში. ლექსში „განსაკუთრებული აზრი“, რომელიც 1929 წლის 2 დეკემბერს გად-

მოცა რადიოთი, პოეტმა მტყიცედ განაცხადა: „ჩვენც და მასებსაც აზრიც ერთი გვაქვს და ერთი გენერალური ხაზიც“. 1930 წლის იანვარში კი, როცა „აბანოს“ უკვე დასადგმულად ამაღლებდნენ, მაიაკოვსკიმ გამოაქვეყნა „დამკერელი ბრიგადების მარში“, მას უხაროდა, რომ სოციალიზმი ოცნებიდან რეალობაში გადადიოდა:

**Энтузиазм,  
разрастайся и длись  
фабричным  
снянием радужным.  
Сейчас  
подымается социализм  
живым,  
настоящим,  
правдошним.**

ყველაფერი ეს მართალია, — გვეტყვიან სლონიმის თანამაზრენი, — მაგრამ თქვენ ლაპარაკობდით მხოლოდ პათოსურ ლექსებზე, ბოლო წლებში კი მაიაკოვსკიმ ბევრი მამხილებელი ლექსი და ორი სატირული პიესაც დაწერა.

მართალია, მაიაკოვსკის ბოლო წლების ნამუშევრებში დიდი ადგილი ეთმობა სატირას, მაგრამ ვანა შეიძლება ამის გამო დაეცნეთ, რომ თითქოს შეიცვალა პოეტის დამოკიდებულება საბჭოთა სინამდვილისადმი, თითქოს იგი უფრო კრიტიკულად ეკიდებოდა მას და ა. შ.? მსგავსი დასკვნების გამოტანა არა მარტო სოციალისტური იქნებოდა, არამედ სასაცილოც. მაიაკოვსკი მუდამ კრიტიკულად ეკიდებოდა სინამდვილეს, ყოველთვის ხედავდა ჩვენს ცხოვრებაში (ისევე როგორც უცხოეთშიც) კარგსაც და ცუდსაც. კარგს, ჯანსაღს, რევოლუციურს, ხობტას ასხამდა, პროპაგანდის უწევდა; ცუდს, მვენს, ყოველივე იმას, რაც ეწინააღმდეგებოდა რევოლუციურ განვითარებას, მსჯავრს სდებდა, კიცხავდა, ამხელდა.

კრიტიკული მიმართულების შესამჩნევი გაძლიერება მაიაკოვსკის ბოლო წლების ნაწარმოებებში გამოწვეულია არა მარტო მისი საკუთარი შეგნებით, რომ აუცილებელია უფრო მამფრი და გადამწყვეტი ბძოლა ყველაფერი იმის წინააღმდეგ, რასაც იგი „საუბარში ამხანავ ლენინთან“, „სხვადასხვა სისსაძაგლესა“ და „სხვადასხვა არამზადებს“ უწოდებდა, არამედ შთაგონებულია კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით და დირექტივებითაც. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია თვალის გადავავლოთ სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის XV ყრილობის (1927 წლის დეკემბერი) ანგარიშს. ანგარიშში, ისევე როგორც ყრილობის სხვა დოკუმენტებში, წამოყენებული იქნა მოთხოვნა გაეჩაღებინათ ბძოლა სოციალიზმის კლასობრივი მტრების — ბურჟუაზიისა და კულაკობის, ყველა ჯურის, მათ შო-





რის პარტიული ობიექტულებს, ბიუროკრატის-მის, საქმის გამიანტურებელთა და ა. შ., წინააღმდეგ, გაეძლიერებინათ კრიტიკა და თვითკრიტიკა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის პარტიულ ორგანიზაციებში.

სატირული ლექსები ობიექტულებს, ბიუროკრატებსა და საბჭოთა პომპაღურების წინააღმდეგ, შემგუებულებისა და ცრუკომუნისტების წინააღმდეგ, ისევე როგორც სატირული პიესები: „ბაღინჯო“ და „ბანაო“, გახლდათ მთავოვსის პასუხი კომუნისტური პარტიის მოწოდებაზე; ისინი ეხმარებოდნენ პარტიას სოციალისტური მშენებლობის გეგმათა შესრულებისათვის ბრძოლაში. მთავოვსის როგორც პათოსური, ისევე კრიტიკულ-მამხილებელი ნაწარმოებები ემსახურებოდნენ ერთსა და იმავე მიზანს — სოციალიზმის ძალების განვითარებას, მისი სწრაფი გამარჯვების უზრუნველყოფას. ლექსში „მსახური“, სადაც გამოსახულოა საქმოსანი კომუნისტი და „პომპაღურში“, ისევე როგორც სხვა ლექსებში, როგორცაა „მშინაში“, „მლიქნელი“, „უბოიანა“, „ბილწი“, „კანდიდატი პარტიდან“, „ლექსები თომაზე“, „განსაკუთრებული აზრი“, მთავოვსი ყოველთვის რჩებოდა პარტიულ პოზიციებზე, მოვეწოდებდა ბრძოლისაკენ „პარტიისათვის, კომუნისმისათვის“, როგორც ნათქვამია ერთერთ ზემოდასახლებულ ლექსში. პიესები „ბაღინჯო“ და „ბანაო“ ამ მხრივ გამოაქვლის არ წარმოადგენს.

სლონამის უნდა „ბაღინჯოში“ და „ბანაოში“ დანახოს მათი ავტორის კრიტიკული დამოკიდებულება საბჭოთა სინამდვილისადმი. ჩვენ კი, საბჭოთა ადამიანები, ისევე როგორც ავტორი, ამ პიესებში ვხედავთ კრიტიკულ დამოკიდებულებას ყველა მათ მიმართ, ვინც ხელს უშლის კომუნისმის მშენებლობას, იქნება ეს თვის ქლას სამარცხვინოდ მოწყვეტილი ობიექტული პრისიპინი თუ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენით გაფხორილი პოზედონოსიკოვი. მთავოვსიმ სცენაზე გამოათრია „საოცარი პარტი“ პრისიპინი, იმისათვის, რომ უცნებელყო იგი. „დღე გამოიწრთოს სული და გული ჩვენი ახალგაზრდობის ამ შემარწმუნებელ მავალითებზე“, — ამბობს პიესის ავტორი ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ერთ. იმავე მიზანს ისახავდა პიეტი, როდესაც საქვეყნოდ ახილა ბიუროკრატი პოზედონოსიკოვი, გამოუსწორებელი მლიქნელი ოპტიმისტენყო, უსაბავლესი შემგუებელი ბელვედონსკი, და „მსგავსნი მისნი“, როგორც მათ უწოდებს თვით პოზედონოსიკოვი პიესის ფინალში. და არა მარტო ფინალში, არამედ მთელ პიესაში, მის ყოველ სურათში აშკარად და დღეფარავად ამბობდა ავტორი რომ პოზედონოსიკოვი და „მისთანები“ არ ესაჭიროებოდათ კომუნისმს, ისინი ხელს გვიშლიან კომუნისმისათვის ბრძოლაში.

მთავოვსის თანამედროვეებმა იცოდნენ,

რომ პოზედონოსიკოვის პროტოტიპი იყო ლ. ტროცკი, რომელიც ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის სწორედ იმ ხანებში გააძევეს კომუნისტური პარტიის რიგებიდან და ჩვენი ქვეყნის საზღვრების იქით გაასახლეს. „ბანაოს“ დაწერამდე დაახლოებით წელიწადნახევრით ადრე „პრავდაში“ გამოქვეყნდა ცნობა:

„სადგურ ფრუნზეში სპეციალური რბილი ვაგონით ჩამოვიდა ტროცკი ოქანის თანხლებით. ხალხი გაოცა ზაგაშმა და დღედაცურმა ფუფუნებამ, რომელიც მოპყვებოდა მოსკოვიდან გასახლებულ ტროცკის. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევდა ის გარემოება, რომ ტროცკიმ თან წამოიყვანა სანადირო ძაღლი და წამოიღო დიდიძალი სანადირო იარაღი“.

„ბანაოს“ ავტორის რემარკაში კი ასეა აღწერილი პოზედონოსიკოვის გამოჩენა, რომელიც დროის მანქანით აპირებს მგზავრობას:

„დვოიანი ხელს კრავს ქაღალდის შეკრულებით, ქუდის ყუთებით, ჩანთებით, სანადირო თოფებითა და მუზლიანსოვას სკივრ-კარადით ავსებულ ვაგონებს. ვაგონის ოთხივე კუთხეში ოთხი სეტერი მოჩანს“.

აი რატომ იყო, რომ მოტროცკისტო კრიტიკოსებმა ვაბოროტებით შეუტიეს „ბანაოს“ და მის ავტორს.

პარტიის XV ყრილობის შემდეგ, ემყარებოდა რა მის მოთხოვნებს (და, რასაკვირველია, თვით ცხოვრების მოთხოვნებს) კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაძლიერების შესახებ, მთავოვსიმ არა მარტო გააძლიერა მუშაობა სატირის ეანრში, არამედ სხვა მწერალისაც უყენებდა მსგავს მოთხოვნას. 1929 წლის იანვარში მან ეურნალ „ჩუდაკში“ გამოაქვეყნა ლექსი „ავადსათქმელი სიტყვა იუმორისტებზე“, რომელსაც შეგვიძლია პოეტის სატირული მუშაობის პროგრამა ეუწოდოთ, მაგრამ როგორ განსხვავდება ეს პროგრამა „კრიტიკის თავისუფლების“ იმ მოთხოვნებისაგან, რომლითაც აყენებენ სხვადასხვა ჯურის ადამიანები საზღვარგარეთ და გარეწრები ჩვენი ქვეყნის შიგნით!

მთავოვსი განაწყენებული წერდა: „ჩვენი სატირა დაწერილიდანა და უცბილო გახდა“. ახსენებდა ფაის კოლეგებს სალტიკოვ-შჩერდინის მრისხანე სატირის და ამბობდა:

«Для похода для такого? ყველა საფლავი არსებობს: «Мало што ли, помпадуров? Мало — градусов Глуповых?»

მოუწოდებდა გამოეყენებინათ სატირა კომუნისმისათვის ბრძოლაში, საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის დასახმარებლად:

**Припаси на зубе яд,  
в километр жало вызьми  
против всех, кто зря сядят**

ა. კოლსოკოვი  
კომბინის ტრამპედი



**на труде, на коммунизме!**  
**Чтоб не скрылись, хвост упрятав,**  
**крупных выловы наливов —**  
**кулаков и бюрократов,**  
**дураков и подхалимов.**

ხაზონ მათ, ვინც გაყვიერის, თითქოს საბჭოთა წყობილება, „საბჭოთა ცენზურა“ ართმევს მწერლებს შემოქმედების თავისუფლებას, ბორჯაგის მათ, გამოამყდავენონ საკუთარი ინდივიდუალიზმი, რა ვრცლად და გაბედულად გამოხატავს მიაჯოვსკი თავისი ფიქრებისა და გმირობების მთელ სიმდიდრეს რევოლუციის შემდგომ დაწერილ მრავალფეროვან პოეტურ პუბლიცისტურ ნაწარმოებებში — ლირიკასა თუ სატირად: ლექსებში, პოემებში, პიესებში, ნარკვევებში, წერილებსა და გამოსვლებში. იგი არა თუ უჩიოდა საბჭოთა ცენზურას, არამედ დასცინოდა ასეთ მომჩივანებს, მათ, ვინც «Злостью измусоля сотню строк в бумажный крик, пишут про свои мозоли от зажатия в цензорах.»

გახსენდებათ თქვენ, დღევანდელნო მომჩივანთა, ყოველგვარი უწმინდური ხერხებით რომ მიმართავთ „სახოვადობრივ“ აზრს სახლვარგაბეთულ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, მიაჯოვსკის სარკასტული სიტყვები კორებსა და ცენზურულ დაბრკოლებებზე?

**А поди сними рогатки —**  
**этаких писцов стада**  
**пару анекдотов гадких**  
**ткнут — и снова пустота.**  
**Цензоров обвыли воем.**  
**Я ж другою мыслью ранен;**  
**жалко бедных, каково им**  
**от прочтенья столькой дряни?**

არა, ვერავინ დაამტკიცებს, რომ მიაჯოვსკი ოდესმე არ ეგუებოდა საბჭოთა წყობილებას, განა მანვე არ თქვა ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე: „მე ერთი სტრიქონითაც ვერ ვიარსებებ სხვა ხელისუფლების დროს, საბჭოთა ხელისუფლების ვარდა. თუ მოულოდნელად ისტორია უკან შებრუნდა, ჩემგან სტრიქონიც არ დარჩება, ერთიანად ფაქტულად მაქცევენ.“

არსებობს კიდევ ერთი უსაფუძვლო ვერსია მიაჯოვსკის სიკვდილის შესახებ. ამ ვერსიის მომხრენი ჩვეულებრივ ეყრდნობიან „ფულიტა — ხერხემლის“ პროლოგს, სადაც პოემის გმირი ფიქრობს: «Не поставит ли лучше точку пули в своем конце?» აგრეთვე პოემის „ადამიანი“, რომლის ლირიული გმირი მიმართავს აფთიაქარს: «Дай душу без боли в просторы вывести» და პოემის „ამაზე“, სადაც ბიჭის მკვლელობის სცენას მოსდევს შენიშვნა: «Д чего ж на меня похож!» მაგრამ მხოლოდ ბრმა ვერ დაინახავს იმას, რომ ლი-

რიული პოემის „ფულიტა — ხერხემლის“ „ადამიანის“ გვერდით პოეტს აქვს ძლიერი რევოლუციური პათოსით დაწერილი პოემები: „ღრუბელი შარავში“ და „ომი და მშვიდობა“, რომელთაც ვერ შექმნიდა პესიმისტური მიდრეკილების პოეტი. პესიმისმი ნიშნავს სულიერად დაცემას, ბრძოლისათვის ნებისყოფის უქონლობას, განა მსგავსი რამ ითქმის იმ ავტორის შესახებ, ვინც დაწერა პოემა „ამაზე“? ეს პოემა ხომ გვიჩვენებს საბრძოლველად ძველი ყოფის წინააღმდეგ, ახალი „წითელდროშოვანი“ წყობილებისათვის“. გარდა ამისა, თვით პოემა გადაჭრით უარყოფს თვითმკვლელობის აზრს:

**Я не доставлю радости видеть,**  
**что сам от завяда стих.**  
**За мной не скоро потянете**  
**об упокой его душу талант.**  
**Меня из-за угла ножом можно.**  
**Дантесам в мой не целить лоб.**  
**Четырежды состарюсь — четырежды**  
**омоложенный,**  
**до гроба добраться чтоб.**

და თუ იგიღებთ მიაჯოვსკის პარტიული წიგნაკების ყველა „ას ტომს“ — რამდენი ექნება მას ასეთი საუცხოო, ხალისიანი, სიცოცხლისმადიდებელი ლექსი! გაიხსენეთ დაბოლოება ლექსისა „საიუბილეო“: «Не ненавижу всяческую мертвечину! Обожаю всяческую жизнь!» ზოლო ლექსში „ამახანოვ ნეტეს“ გეგმს და ადამიანს: «Мне бы жить и жить сквозь годы мчась». პოემა „კარგია!“ გამსჭვალულია სიცოცხლისა და სიხარულის შეგრძნებით: «И жизнь хороша, и жить хорошо. Жизнь прекрасна и удивительна.»

პოეტმა ნიკოლოზ ასევემა, მიაჯოვსკის ერთ-ერთმა მეგობართანგანა, თავის დროზე მრისხანედ გაილაშქრა მათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს ტრაგიკული სიკვდილი წინასწარ „განპირობებული“, განსაზღვრული იყო პოეტის მთელი შემოქმედებით. ნ. ასევეის, ო. ბრიკისა და ს. კირსანოვის რედაქციით 1934 წელს გამოსულ „ალმანახში“ მიაჯოვსკისთან“ ასევეი წერდა: „რა საზოგადოარი კონტრარეოვოლუციური მონაჩაზია, თითქოს მის (მიაჯოვსკის) მიერ ეს „დიდი ხანია ჩაფიქრებულია“, „წინასწარგანსაზღვრულია“, ან „ციტატებშია მოცემული“, — ეს შემთხვევითი უძღურებაა, წვრილმანია, ქრონიკალური თვითმკვლელობაა და მით უფრო წვრილმანი და უმნიშვნელოა იგი თავისთავად, რაც უფრო მეტი ნგრევა მოახდინა, რაც უფრო ძლიერი დარტყმები მოგაყვენა, რაც უფრო მახლობელი და წარუშლელი დარჩა ჩვენს გულში მიაჯოვსკის ფიგურა. არჩევენ ციტატებს, მოჰყავთ

სტრუქტურები მისი ძველი ლექსებიდან, რომ როგორც „დაქანონონ“ ასეთი დასასრული, დამტკიცონ, თითქოს „მას ეს იმთავითვე ქონდა“. რა აბლაუბდა, რა მტრული მონაჩმახია თვით მიაკოვსკისა და ყველა მათ მიმართაც, ვინც მისდაგვარად აწროვებდა ეს ლაქლაქი მით უფრო საშოშია, რაც უფრო დამაჯერებელია ერთის შეხედვით, მოჩვენებიდან. დიახ, შეიძლება ციტატები შეჩვენება. დიახ, აწროვების გარკვეული ვადხარის დროს შეიძლება ხელი მოჰქონდეს დასამარების შავ საქმეს — დამატკიცო, რომ ეს „ასეც უნდა ყოფილიყო“. მაგრამ ადამიანები, ამის გაკეთებას რომ ცდილობენ, ან სიძულვილისაგან დაყრუბული ჩვენი თავდაუზოგავი მტრებია, ან გაქნელი თადლითები, რომლებიც თავს პოეტის მეგობრებად გვაჩვენებენ, ან კიდევ მათი გავლენის ქვეშ ყოფილი ენატარტარა ყუეჩებო, რომლებიც ისწრაფვიან საკუთარი განწირულობა და მოუწყობიერებლობა ამ გამოუსწორებელი, მცდარი სიკვდილით გამართლონ“.

მაგრამ, რა უცნაურიც არ უნდა იყოს ეს, ნ. ნ. ასევეის თქმით, „მტრულ აბლაუბას“, ცრუ „ლაქლაქს“ მიაკოვსკის მიდრეკილებაზე თვითმკვლელობისადმი ავრცელებდნენ არა მარტო პოეტის მტრები, არამედ ისინიც, ვინც თავის თავს მის უახლოეს მეგობრად რაცხდნენ. თავის დროზე (იხ. გვ. „იხვესტიკა“, 1966 წლის 26 ნოემბერი) ლაპარაკობდნენ ლ. ბრიკის წერილზე, „წინადადება მკვლელობებს“, რომლებიც გამოაქვეყნა ჟურნალმა „გოპროსი ლიტერატური“, ავტორი ციტატების შერჩევით ცდილობს გვიჩვენოს მიაკოვსკისა და დოსტოევსკის გმირების, პირველ ყოვლისა, როდინი რასკლენიკისა და ივან კრამსოვის „გაძაბობათა მსგავსება“. მასვე ეკუთვნის მტკიცება, თითქოს მიაკოვსკი „ნეგრატიულით შეპყრობილი იყო“. „ავადმოყოფურად ეშინოდა სიბერისა“ და პირდაპირ აცხადებდა, მიაკოვსკის სიკვდილის მიზეზი თვითმკვლელობის ერთგვარი მანია და სიბერის შიშია“.

არის თუ არა სიმართლის ნასახი მიაკოვსკის უღრობა და ტრაგიკული სიკვდილას ასეთ და ამგვარ ახსნაში? არამც და არამც! შირიქით, ბევრი მათგანი, ვინც ახლოს იცნობდა პოეტს, და პირველ ყოვლისა, მისი ახლობლები — დედა ალექსანდრა ალექსის ასული, დები ოლდა და ლუდმილა ვლადიმერის ასული, როგორც ჩვენ არავითხელ გვსმენია მათგან, ყოველთვის კატეგორიულად უარყოფდნენ ყოველგვარ ვარაუდს მიაკოვსკის მიდრეკილებაზე თვითმკვლელობისადმი. პოეტის ბიძაშვილს ვ. ნ. ავაჩევა-ნანიშვილს, დღემდე შემონახული აქვს თ. ვ. მიაკოვსკიას წერილი, დაწერილი მძის სიკვდილის შემდეგ.

„შეუძლებელია სიტყვებით გამოითქვას ის მწუხარება, რომელიც ჩვენ განიცადეთ. ყველაფერი ეს ისეთი მოულოდნელი და წარმოუდგენელია, რომ წოგჯერ გვეგონია, თითქოს ჩვენი საყვარელი, ძვირფასი ვალოდია დიდი ხნით სადღაც გაემგზავრა (ის კი, რომ ჩვენი ძმა ადარსად არ არის, ვერაფრით ვერ თავსდება ჩვენს შეგნებაში). ყოველ მხრივ ასეთი დიდი ადამიანი, ასეთი გოლიათურ ხმის პატრონი, ვინც ერთად შეყრილ ათას კაცსაც კი აძულვებდა გაჩუმებულად და დაუფიქრებლად პოულობდა პასუხს ყოველი მათგანის კითხვაზე, უყვებოდა და ყოველთვის ეს ჩაიღიან თავისი ხელით. ვალოდიას ხომ ასე ეშინოდა პატარა განაჯირისაც კი, და გვეგონა, რომ გაგვივით უყვარდა ცხოვრება...“

მე ვიყავი ვალოდიასთან ოთხი დღით ადრე, სამუშაოს შემდეგ შევიარე მასთან. ერთად ვინალიეთ, საოცრად აღერისიანი და ყურადღებიანი იყო. გრიპით იყო ავად და ჯერ კიდევ არ გამოდიოდა გარეთ. შინ ძალზედ გახარებული დავბრუნდი, ყუყუებოდი ჩემიანებს და ვამშვიდებდი დედას, ვალოდია სრულიად მოაჯანსაღდა და მზიარულადაა-მეთქი, მაგრამ რა ვიცოდი, რომ მაშინ უკანასკნელად ვნახე... ისე არ ეგუებოდა ერთმანეთს ვალოდია და მისი საქციელი“.

პოეტის სიკვდილთან დაკავშირებით პრესაში გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან გამოხატუებებში ასეთივე გაოცება იგრძნობოდა. მოგვეყავს ციტატები ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა წერილებიდან:

**დემიან ბელნი:** „საშინელია! გაუგებარია ასეთი მოულოდნელი დასასრულის ტრაგიკულობას ამძაფრებს მისი ჩვეულებრიობა, რომელიც სრულიად არ თავსდება პოეტ მიაკოვსკის მშფოთვარე, ორიგინალურ ხასიათთან“.

**ბ. ლაზარენკო:** „მკვლელობა მიაკოვსკი ჩვენი თვის, რომლებიც ვიცნობდით ცოცხალს, ეს არის ირაციონალობა, ფიქვია, აბსურდი. სრულა საკუთარი ნებით ეპოქის ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიან და სისხლსავსე გულში — ფაქტია, რომლის აღქმა ჩვენს შეგნებას აღემატება“.

**კ. პარშენკო:** „მისი სიკვდილი არ ეგუება მის ბუნებას. იშვიათად გვხვდებოდა ჩვენს ლიტერატურაში ასეთი მხნე, სისხლსავსე პოეტი, იგი ყოველთვის მზად იყო ბრძოლისათვის, დარტყმაზე დარტყმით პასუხობდა და მტკიცედ იღწვოდა სოციალისტური მშენებლობისათვის“.

**ბ. ლუნარსკი:** „პირველ წუთებში არავის სჭერა ის უბედურება, თავს რომ დაგვატყდა“.

**ბ. კოლსკოვი**  
კომბის ტრაგედია



რომ თქვათ: ეს-ეს არის მიაკოვსკი მოკვდა  
ამა და ამ უბედური შემთხვევის გამო, მაშინ-  
ნაც ძნელი იქნებოდა დაჭერება, და ეს სიტყ-  
ვები უაზროდ მოგვეჩვენებოდა.

ამ დროს კი — თვითონ...

ყველას წარმოადგენაში, ვინც პირადად ან სა-  
ჭარო გამოსვლებითა და ნაწარმოებებით მაინც  
იცნობდა მას, მიაკოვსკი, ეს — სიცოცხლე  
იყო.

სიცოცხლე!

ლ. ბრიკის მტკიცებას, თითქოს მიაკოვსკის  
სიბერისა ეშინოდა და თვითმკვლელობაზე ფიქ-  
რობდა, თვით ბრიკის მეგობრებიც კი უაზრო-  
ფენ. ასე, მაგალითად, ვ. შკლოვსკი წიგნში  
„იყო და არა იყო რა“ (1966 წ.) — ამბობს:  
„ის არ აპირებდა სიკვდილს“. ოსიმ ბრიკი თა-  
ვის დაუმთავრებელ მოგონებებში წერდა:  
„არაიენ ელოდა, რომ მიაკოვსკი შეძლებდა  
თავის მოკვლას... მე ისეთი გრძნობა მქონდა,  
თითქოს ვალოდა კულაქებმა მოკვლეს“.

შეაძლება უცნაური მოგეჩვენოთ, რომ მათ,  
ვინც თავს მიაკოვსკის მეგობრებად რაცხდნენ,  
არაფერი გაუკეთებიათ მისი მოულოდნელი  
სიკვდილის ასახსნელად. ერთნი დუმდნენ, თი-  
თქოს პირში წყალი დაუგუბებიათო, მეორენი  
კი რაღაცა ბუნდოვნად და უთავბოლოდ ლაპა-  
რაკობდნენ.

ვ. შკლოვსკი სხვადასხვა დროს და სხვადა-  
სხვა ვარიანტებით წერდა მიაკოვსკის სიკე-  
დილზე. წიგნში „ოპტიმიზმის ძიებანი“  
(1931 წ.) ასეა ნათქვამი: „ის დაიღუპა, ღირაუ-  
ლი ლექსების მომზადებისას. ის მოიწამლა ამ  
ლექსებით... წიგნში „იყო და არა იყო რა“  
(1966 წ.) ვ. შკლოვსკი უკვე სხვაგვარ განმარ-  
ტებს გვაძლევს:

„მიაკოვსკი დაიღალა.

მას გრიბი სჭირდა.

ქიმიებმა ავადმყოფობას ნერვების დაუძლუ-  
რება უწოდებს.

ურჩიეს არ ემუშავა ექვსი თვე.

ბრიკები საზღვარგარეთ არიან: ბინაში, გენდ-  
რიკოვოზე დამით ცოცხალ არსებთაგან —  
მხოლოდ ალერსიანი ძაღლი ბულკაა.

ლუბიანსკიზე ოთახ-ნავში არავინაა.

ბუხარზე — აქლემია.

სიცოცხლე მისთვის არ არის მოწყობილი“.

ნ. ასევეი ხანდახან მხარს უჭერდა შკლოვს-  
კის: „მიზეზები, რომელთაც ვასროლა გამოი-  
წვიეს, არ წარმოადგენს ამა თუ იმ ადამიანთა  
პირად დანაშაულს, მიზეზი დაკავშირებულია  
პირადი ღირსების უდიდეს ცხოველუნარიანო-  
ბასთან“. სხვა შემთხვევებში, როგორც შემდ-  
გომ იქნება ნაჩვენები, შკლოვსკი სხვა აზრს გა-  
მოთქვამდა.

მაშ რაღა მიაკოვსკის სიკვდილის უეშარი-  
ტა მიზეზი? იქნებ არცაა საჭირო ამის გამო-  
კვლევა, და უნდა დავემყოფილდეთ იმით, რაც  
მოკვდილია ცნობაში პოეტის სიკვდილზე და

„სიკვდილის წინა წერილში“? მ. გერმანის  
რილში „სოლიტერის შესახებ“, ამის შესახებ  
გამოქვეყნდა 1930 წლის ივნისში, პასუხობდა რა  
ვინმე ი. პ.-ს, კატეგორიულ მოთხოვნას, გა-  
ნემარტათ, რატომ მოიკლა თავი მიაკოვსკიმ,  
წერდა: „მიაკოვსკიმ თვითონ ახსნა, რატომ  
გადაწყვიტა სიკვდილი. და ახსნა საკმაოდ გარ-  
კვეშლად. „სიყვარულისაგან“ კვდებთან ძვე-  
ლთაგანვე და საკმაოდ ხშირად“.

მაგრამ, როდესაც საქმე გვაქვს ასეთი მთლი-  
ანი და ძლიერი ხასიათის მქონე ადამიანთან,  
წარმოუდგენელი გვეჩვენება, რომ შეიძლებო-  
და მოუწესრიგებელი პირადაც ცხოვრება ისეთი  
მტკივნეულად საგრძნობი ყოფილიყო მისთვის,  
რომ დაენგრია თვით ეს ცხოვრება. გრანი-  
ტის კვლევები ხომ ინგრევა, მაგრამ ერთნი  
დროს ადამიანები უემოქმედებისაგან, მეო-  
რენი — იმისაგან, რომ მათ ძირს უთხრის  
გვერდით ჩამომდინარე წყარო, მესამენი კი  
ეცემიან საგულდაგულოდ მომზადებული აფეთ-  
ქების შედეგად.

ჩვენ ვეთანხმებით ვ. ვ. კამენსკის, რომ მია-  
კოვსკის საყვარულის ტრაგედია, რომელიც ეხე-  
ბა მის ურთიერთობას ტ. ა. იაკოვლევასთან,  
შეიძლება ყოფილიყო „მომწიფებული ტრაგე-  
დიის საერთო წამის ერთ-ერთი შესაგრები“  
(იხ. წერილი „პოეტის საყვარული“ — „ოგონი-  
ოკი“, № 16). მეორე შესაძლებელ „შესაგრე-  
ბად“ ჩვენ ვთვლით განუწყვეტელსა და ულ-  
მოებელ დევნას, რომელსაც პოეტი განიცდიდა  
მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის  
მანძილზე.

პოემაში „ამაზე“, სადაც ნათქვამია: «Дан-  
тесам в мой не целить лоб», მიაკოვსკი  
გვახსენებს ლერმონტოვის ტრაგიკულ ბელს  
(«Один уж такой попался — гусар!»).  
მეორე ნაწილში ერთიმეორის მომდევ-  
ნო რამდენიმე თავში — „განვლილის გან-  
მეორება“, „საბოლოო სიკვდილი“, „ის, რაც გა-  
დაღარია“ — სიმბოლისტური სახეებით ავტორი  
გვიხატავს საკუთარ თავთან ანგარიშსწორებას;  
მთელ სამყაროდან მიდიან მისკენ დუელიანტე-  
ბი. „ანგარიშის გასწორებას ჩქარობენ“,  
«(Уже) в мочалку щеку истрепапи поще-  
чинами», მაგრამ მანდილოსნებიც და მალაზი-  
ებიც კი, ისევ და ისევ ესვრიან ხელთათმანებს  
სახეში. ამ სიმბოლიკაში იჭრებიან სინამდვილის  
რეალური მოვლენები.

Газеты, журналы,

зря не глазейте!

На помощь летящим в морду вещам  
ругней

за газетинной взвейся газетинна.

Слухом в ухо!

Хватай, клевета!

და შემდეგ:



**Хлеще ливня,  
бровь к брови,  
роვნенько,  
со всех винтовок,  
со всех батарей,  
с каждого маузера и браунинга,  
с сотни шагов,  
с десяти, с двух,  
в упор—**

**за зарядом заряд.  
Станут, чтоб перевезть дух,  
и снова свинцом сорят.**

მოტიანილი სტროფები შემადრწუნებელი სიმართლით ასახავენ იმას, თუ რა შეემთხვა თვით მიაიკოვსკის. დიახ, ასე, წლიდან წლამდე, დღიდან დღემდე „ხელს სტაცებდნენ“ მას უამრავი „ლდელიანტები“, არ თაკილობდნენ არც შეურაცხყოფას, არც ცილისწამებას. იყენებდნენ ყველა სახის იარაღს, უხამსი უსახელო წერილებიდან და რეცენზიებიდან დაწყებული, დამთავრებული ლიტერატურულ საღამოებზე უხეში და მჭირდავი გაკიცხვებით.

თავისთავად ცხადია, რომ რევოლუციამდელ რუსეთში ბურჟუაზიული პრესისაგან არავინ ელოდა კეთილგანწყობილებას რევოლუციური მიმართულების პოეტის მიმართ. პირველი ლექსებიც კი, რომელთაც თვით პოეტი „სიტყვებს დაუფლებს“ ხანას აუთოვნებს, და რომელნიც ჯერ კიდევ არ შეიცავდნენ კაპიტალისტური წყობისათვის საშიშ იდეებს, მტრულად იქნა მიღებული. უფრო მოგვიანებით, როდესაც მიაიკოვსკიმ გამოაქვეყნა ლირიკული ლექსების ციკლი „მზე“, კრიტიკოსმა ვ. ლეფროვანსკიმ იგი „ყოვლად უნიჭო რითმისმწიფახველად“ გამოაცხადა. საინტერესოა, რომ იმავე წერილში, სადაც კრიტიკოსი ეხებოდა მიაიკოვსკის გამოსვლას სიმბოლიზმის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ბალმონტის წინააღმდეგ, წერდა: „ყველა ამდაგვარი გამოსვლები — ეს ბუნტია. ისინი მეტრისმეტად სიმპტომატიურნი არიან“...

შემდეგში, რაც უფრო მეტად ვლინდებოდა მიაიკოვსკის ტალანტი და აშკარადებოდა მისი პოეზიის ანტიკაპიტალისტური, რევოლუციურ-სოციალისტური მიმართულება, მით უფრო მძაფრდებოდა ბურჟუაზიული კრატკის გამოხდომები მის წინააღმდეგ. 1913 წლის დეკემბერში, როდესაც პეტერბურგის თეატრის „ლუნა-პარკის“ სცენაზე ავტორის მონაწილეობით დადგეს ტრაგედია „გლადიმერ მიაიკოვსკი“ რეჟისორი გაზთეიბი უხეშად დაესხნენ თავს პოეტს. კადეტურმა გაზეთმა „რენ“ გამოაქვეყნა თეატრალური კრიტიკოსის პ. იარცევის ვრცელი რეცენზია, სადაც იგი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მიაიკოვსკის ტრაგედია უაზროა, ვულგარულია, რომ მისი ენა „ველურთა ენას

უახლოვდება“ და ა. შ. სუვორინის გაზეთში „ნოვოე ვრემიაში“ მოათავსა რეცენზია, რომელიც მელიც შედგებოდა ერთი საგინებელი სიტყვი-საგან: **Ha-brrr!!! гле-brrr!!! цы-brrrrr!!!**

მიუხედავად ყბადაღებული ბურჟუაზიული პრესის ლულულდისა, მიაიკოვსკის პოეტური ტალანტი შეუმჩნეველი არ დარჩენილა მათთვის, ვისთვისაც მჭირდასი იყო უმეზარტი ხელოვნება. უკვე 1914 წელს, როდესაც წელწინახეყარი იყო ვასული მიაიკოვსკის პირველი ლექსების პრესაში გამოქვეყნების შემდეგ, მას ყურადღება მიჰქცია იმ დროის ერთ-ერთმა უდიდესმა პოეტმა ვალერი ბრიუსოვმა. იმოსილვაში, რომელიც გამოაქვეყნა ჟურნალმა „რუსკაია მისლ“, ბრიუსოვი წერდა, რომ მიაიკოვსკის „აქვს სანამდვილის თავისებური აღქმა, აქვს წარმოსახვის უნარი“. 1915 წლის დეკემბერში „ჟურნალ ჟურნალოვში“ მიაიკოვსკის ძალიან თბილად გამოეხმებოდა მაქსიმ გორკი: „ის ახალგაზრდაა, მხოლოდ ოცი წლისა. მეყვირადა და თავაყვეტილია, მაგრამ, უდავოდ, სადაც, ბუნების სიღრმეში აქვს გამოუმუდგენებელი ნიჭი. მისთვის საჭიროა მუშაობა. სწავლა და ის დაწერს კარგ, ნამდვილ ლექსებს“.

მაგრამ ამან მხოლოდ ეცხვლზე ნავთი გადასხა. რამდენიმე ხნის შემდეგ იმავე ჟურნალში გამოქვეყნდა მ. ჩუნოსოვის წერილი, სადაც მიაიკოვსკის პოემაზე „ღრუბელი შარვალში“ ნათქვამია, „პოემა ილგვიძრავს საშინალებს გრძნობას და ღრმს სიბრაულეს“. მეორე კრიტიკოსი, ნატან ვენერაული, ამავე პოემას ასე გამოეხმებოდა: „საზარელი, უაზრო, მძიმე წიგნია!“ ასეთივე ვალდობანებულ და გამჭირდევ გამოქახილებს იწვევდა მიაიკოვსკის საჯარო გამოსვლები. ავტობიოგრაფიულში იგი იხსენებდა: „კილო არც თუ ისე თავაზიანი იყო; ასე, მაგალითად, მე უბრალოდ „ძაღლის შეღის“ მიწოდებდნენ“.

ბურჟუაზიული საზოგადოებისა და კაპიტალისტური პრესის ასეთი დამოკიდებულება რევოლუციური პოეტის მიმართ სრულიად ბუნებრივია. ის იყო კლასობრივი სიმუღვილის გამოვლინება, იგი სოციალისტური რევოლუციის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო და უფრო მძაფრდებოდა და პარტიულ ხასიათს იღებდა. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ იგივე „ჟურნალ ჟურნალოვ“ 1917 წლის მაისში ერთ წერილში აუგად იხსენებდა პოეტს „ფუტურისტს“ მიაიკოვსკის, მეორეში კი — „პოლიტიკურ ფუტურისტს“ ლენინს. იმავე ჟურნალმა მოათავსა მიაიკოვსკის კარიკატურა წარწერით: „ბოლშევიკი ფუტურისტი მიაიკოვსკი“. მენშევიკური გაზეთი „ედინსტვო“ კი 1917 წლის მაისში თავს დაესხა მიაიკოვსკის ანტისამხედრო ლექსს „К ответу!“ და პოეტს

**ა. კოლსოკოვი  
პომბის ტრაპედიკა**

ავღებულად უწოდა „ფეტურისტი — ანტირ-  
ნაციონალისტი“.

მაიაკოვსკის კარგად ესმოდა, რად ესხმოდა  
თავს ბურჟუაზიული პრესა და ამას ბუნებრივი-  
დაც თვლიდა. 1916 წელს პოეტის ერთ-ერთ  
წერილში მადლობას უხდოდა დედას ღვეზელ-  
ების გამოგზავნისათვის და სწერდა: „ნუ წაიცი-  
თხავთ, შექმნიბისდაეკარად, სულელურ გახეტებს  
და ამონაქრებს ნუ მიგზავნიოთ. ღვეზელები  
ბევრად უფრო გემრიელი და გონებაშახილუ-  
რია“.

მაგრამ თუ მაშინ, რევოლუციამდელ წლებ-  
ში, ბურჟუაზიული პრესის გაბორცებული  
თავდასხმა პოეტს აღიზიანებდა და, შეიძლება  
მცირე ტკავილსაც აყენებდა, შეგვიძლია წარ-  
მოვიდგინოთ, რა მტკივნეულად მოქმედებდა  
მის მგრძობიარე გულზე ის შარი, შურთაცხ-  
ყოფა და ცილისწამება, მოსუენებას რომ არ  
აძლევდა მაიაკოვსკის ოქტომბრის რევოლუცი-  
ის შემდგომ წლებშიც. ის ხომ ოქტომბრის რე-  
ვოლუციას თავის რევოლუციად თვლიდა. თავ-  
დაუზოგავად მუშაობდა საბჭოთა ხელისუფ-  
ლებისათვის, მუშაობდა ყველა პოეტზე უფრო  
მეტად და უფრო უკეთესად. მას კი ჰქელე-  
ბურად ლანძღვდნენ, და რაც დრო ვადიოდა,  
სულ უფრო მეტად, უფრო დაღინებით, უხე-  
შად. რასაკვირველია, იყო რამდენიმე გამოწე-  
კლისი, ჩვენ მათზე ვიტყვი. მაგრამ, საბჭო-  
თა პერიოდში მაიაკოვსკის მოღვაწეობის მთე-  
ლი თორმეტი და მეტი წლის მანძილზე კრიტი-  
კის საერთო ტონი გაღიზიანებული, პოეტის  
შურტაცხყოფელი და დამამიერიებელი იყო.

1918 წელს, საბჭოთა ხელისუფლების პირ-  
ველ წელს, მაიაკოვსკიმ დაწერა პიესა „მისტი-  
კობა-ბუფი“, რომელიც ცხადად ასახავდა  
რევოლუციური მასების გაძიანებას და ფიქ-  
რებს იმ დღეებში. განათლების სახალხო კო-  
მისარმა ა. ვ. ლუნჩარსკიმ, თავის გამოსვლა-  
ში 1918 წლის 10 ოქტომბრის პეტროვგრადის  
სახელმწიფო თავისუფალი სამხატვრო სახე-  
ლოსნობების გახსნაზე აღნიშნა:

„მე ვნახე, რა შთაბეჭდილებებს ტოვებს ეს  
ნაწარმოები მუშებზე: ის ხიზლავს მათ. ამ  
თხზულების ფორმა იგივეა, რა ფორმითაც მაია-  
კოვსკი ჩვეულებრივ წერდა, მაგრამ შინაარსი  
ცოტა სხვაა. ამ ნაწარმოების შინაარსი მიღე-  
ბულია ახლანდელი თანადროულობის გიგანტუ-  
რი განცდებით. ბოლო დროის ნაწარმოებებში  
შინაარსი პირველადაა ცხოვრებისეული მოვ-  
ლენების ადეკვატური“.

მოუხედავად ამისა, მაიაკოვსკის ცხარე  
ბრძოლები გადახდა, იმისათვის, რომ გამოე-  
ჭვეყნებინა და დაედგა პიესა. პირველივე  
საბჭოთაოსის შემდეგ, გახვთ „ჟიზნი ისუსტეა-  
ში“ დაიბეჭდა ა. ლევისნონის რეცენზია, რო-  
მელიც ცდილობდა გამოეცხადებინა „მისტი-  
კობა-ბუფის“ წარუმატებლობა და უარს ამბობ-  
და დაენახა მასში ესა თუ ის მხატვრული ღირ-

სება. რამდენიმე ხნის შემდეგ კრებულში  
კუსტევი ნოვოე ი სტაროე“ გამოქვეყნდა  
ნოვ-რაზუმინის დიდი წერილი „მისტიკობა-  
ბუფი?“, სადაც სასაცილოდაა ავღებული  
არა მარტო ეს პიესა, არამედ ყველაფერი, რაც  
კი ჰქონდა დაწერილი მაიაკოვსკის. ავტორი  
ამასხარავებდა პოეტს, უწოდებდა მას „პოეზიის  
მეფორანს“ და ადარებდა ხან დოსტოევის  
რომანის გომის ბლოშა კარამაზოვს, ხან კი  
გოგოლის ხომბა პოეტს, ვანგებ ამახიწყებდა რა  
„მისტიკობა-ბუფის“ იდეას, ივანოვ-რაზუმინიკი  
ხედავდა მასში „ავტორის სულიერ მარცხს“:  
„ღრმა სულიერი მარცხი გარეგნულა წარმატე-  
ბის მიღწევისას; „ბუფი“, რომელიც ცვლის  
„მისტიკობას“.

შემდეგ, როდესაც მაიაკოვსკი ПОСТА-ში  
მუშაობდა, და ვანთქმულ „სატირის ფანჯრებს“  
აყეთებდა, გამონღობდა მის წინააღმდეგ გა-  
მოღობდა. მწერალი ევგ. ზამიატინი, რომელიც  
სულ მალე ამის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა,  
ბეჭდავს ღვარძლიან წერილს „მე მეშინია“, სა-  
დაც დასტირას რუსული ლიტერატურის „და-  
ღუბეპას“ ოქტომბრის შემდგომ პერიოდში და  
ამტიციებს, რომ რევოლუციისამძი მიძინულ  
ლექსებში მაიაკოვსკი „ის მაიაკოვსკი აღარაა“,  
„ის გაკვალულ შარავახზე ვაევიდა“, და „კახაო-  
ნური სიუეტებისა და რიტმების სრულყო-  
ფას უნდებდა“. „შინავანმა სიბუეკმა, უუნარო-  
ბამ მთელი არსებით ჩასტიღებოდა და შეეგრ-  
ძნო თანამედროვე აზრის რიტმი — ჩიხში ჩაყე-  
ნეს ის“ და „როდესაც გაბედული წამომწყები  
მთარულ ანატირინზიმად აქციეს“, — ასე წერდა  
მაიაკოვსკიზე პოეტი სერგეი მასკვი. ისინი მენ-  
დელშტამი ამტიციებდა, რომ „პოეზია ყველა-  
სათვის“ წარმოდგენელია და „მაიაკოვსკი  
ტყვილად ილატაკებს თავს, როცა ცელოლბს  
მთელი ხალხისათვის სკირო და ვასავადი ვახ-  
დეს“. გიორგი ადამოვიჩი კი ამბობდა, რომ მაია-  
კოვსკის ნოვატობობა მხოლოდ „ტიპოგრაფიუ-  
ლია“ და ბრალს სდებდა პოეტს „უსარცხვი-  
ლო და ცრუ პირფერობაში მშრომელთა მი-  
ლოინების წინაშე“. ასეთივე ბრალდებებს უყე-  
ნებდა მაიაკოვსკის ვინმე ანჩარი, როცა ამ-  
ტიციებდა „ვლ. მაიაკოვსკის არ ესმის რევი-  
ლუციო და ვერც გაავგებს“, იგი „რევოლუცი-  
ის მიღწევითა გარეშე მოწყევა“. ილია ერენბურ-  
გმა 1921 წელს ბერლინში გამოსცა წიგნი „რუ-  
სი პოეტების სახეები“, სადაც გულმოდგინედ  
აქებს კონსტანტინე ბალმონტს, ვიჩინსლავ ივა-  
ნოეს, ბოსი მენდელშტამს, ანა ახმატოვას, ან-  
დრეე ზელის, მაქსიმოლიან ვოლოშინს, ბორის  
პასტერნაკს, ფედორ სოლოგუბს, მარინა ცვე-  
ტაევის, რომლებიც შორს იდგნენ რევოლუცი-  
ისაგან ან არადა, უპირისპირდებოდნენ მას.  
მაიაკოვსკისათვის კი ერთი თბილი სიტყვეც ვერ  
გაიმეტა, მხოლოდ სარკაზმა, ირონია, დაცინვა  
გამოსკვივის შემდეგ სტრიქონებში:





„დეკლამაციის იდეებით და გარეგნული სახითაც კი (თითქმის ყოველი სიტყვა ახალი სტრიქონიდან იწყება) ცდილობს მიაკოვსკი დაფაროს თავისი რითმის ერთფეროვნება. ის ცდილობს მიიპყროს უურადღება ხმის გონებაშეხვედრის მიხედვით, აკრობატულად შედგენილი რითმებით (განა არა ჰგავს ბრიუსოვის!) და სხვა ფოკუსებით, მაგრამ, რასაკვირველია, სულ ერთი და იგივე, პირველხარისხიანი დოღების რახარხი ისმის“.

კორნეი ჩუკოვსკი 1922 წელს გამოსულ წიგნში მიაკოვსკის „კატასტროფების და კონფუსიების პოეტს“ უწოდებდა და ამტკიცებდა: „მის სამშობლოს არაერთიანი გრანობა არ გააანია“, „მისი პათოსი გულწრფელი არ არის“, „ყოველივე მისი ამოძახილა — გონებით ნაკარნახევი, შეთხზულია“, „მისი მგზნებარება ხელოვნურია“, „ეს არის ვეზუვი, რომელიც ბამბას აფრქვევს... ყოველივე ამას, გამოჩინების, ნაწვალების, შეთხზულის ელფერი ადევს“. ტროცკისტმა სოსნოვსკიმ ხარბად აიტაცა ლანდვა, სიცრუე და ცილისწამება, რომელიც რევოლუციის მტრებმა და არაკეთილმოსურნეებმა პოეტს უხვად დააყარეს თავს და მის წინააღმდეგ წამოიწყო. კამპანია ლოზუნგით „კმარა მიაკოვსკინა“.

სწორედ ამ დროს მიაკოვსკის მხარი დაუჭარა და მისი მუშაობა დადებითად შეაფასა ვ. ი. ლენინმა. ცნობილი გამოხმაურება ლექსზე „Прозаседавшися“ (1922 წლის მარტი) მიაკოვსკის მიმართ მტრულად განწყობილ მთელ კრიტიკას გულში ურტყამდა, ავტორიტეტულად ადასტურებდა მიაკოვსკის პოეზიას საკვირვებებს, მის სიახლოვეს იმ საქმესთან, რომლისთვისაც იბრძოდა კომუნისტური პარტია. ცოტა მოგვიანებით, ამავე წლის ივლისში ვურნალში „პეჩატ ი რევოლუცია“ გამოქვეყნდა ვ. ბრაუსოვის წერილი, სადაც იგი მაღალ შეფასებას აძლევდა პოეტის ნიქს: „მიაკოვსკის ლექსები მიეკუთვნებიან ამ ხუთწლეულის უშესანიშნავეს მოვლევებს: მისი ბოლოქარი სტილი და ვაბეღელი ენა ჩვენი პოეზიის მასულდამუღებელი ფერმენტი იყო“.

თითქოს მიაკოვსკიმ, მისმა პოეტურმა საქმიანობამ ყველაზე უფრო ავტორიტეტული აღიარება მოაპოვა როგორც პოლიტიკურად, ისე პოეტურადაც. მიუხედავად ამისა, მისი გააკცხვა არ შეუწყვეტიათ, პირიქით, შეტევები გაძლიერდა და უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღო.

რევოლუციის პოეტის წინააღმდეგ ბრძოლის სათავეში მოექცა კომუნისტების ერთ-ერთი დამაინებელი მტერი ლევ ტროცკი. თავის წერილებში ლიტერატურულ თემზე და პასკვილურ წიგნში „ლიტერატურა და რევოლუცია“, ამტკიცებდა რა პროლეტარული ლიტერატურის

ვანეთაობების უპერსპექტივობას, მიაკოვსკისა და მიაქცია მცირედი „უურადღება“, სიტყვიერად ის აღიარებდა პოეტის ნიქს, მაგრამ შემდეგ აქარწყლებდა ამ აღიარებას და საერთოდ მიაკოვსკის, როგორც რევოლუციის პოეტის, მნიშვნელობას. ტროცკი უარყოფდა მიაკოვსკის შემოქმედებაში პროლეტარული მსოფლმხედველობის არსებობას და ამტკიცებდა, რომ მის მიერ სინამდვილის აღქმა არა მუშური, არამედ ბოჰემურია. „მიაკოვსკის რევოლუციური ინდივიდუალობა აღტაცებით შეფურთხდა პროლეტარულ რევოლუციას, მაგრამ ვერ შეძლო შერწყმობა მას“, — წერდა ტროცკი. ტროცკის, ისევე როგორც კომუნისტების სხვა მტრებს, ყველაზე მეტად არ მოსწონდა მიაკოვსკის კომუნისტებისადმი თავდაუზოგავი ერთგულება. წინასწარი განზრახვით, აშკარა ფაქტების უფუძველყოფით, ამტკიცებდა, თითქოს „მიაკოვსკი ყველაზე სუსტი იყო იმ თავის მხატვრულ ნაწარმოებებში, სადაც ყველაზე მეტად ჩანდა, როგორც დასრულებული კომუნისტი“. ტროცკისათვის ყოველივე ის, რაც მიაკოვსკიმ დაწერა რევოლუციის შემდეგ, მინაგანად წინააღმდეგობრივია და მხატვრული თვალსაზრისით რევოლუციამდელ ნაწარმოებებზე დაბლა დგას. „კრიზისი უდავოა“, დასკენიდა ბოლოს ტროცკი, ამით უნდოდა ეთქვა, რომ ეს ცრუ „კრიზისი“ რევოლუციამ გამოიწვია, რომ რევოლუციამ გადაატყა მიაკოვსკი.

ტროცკის კვალდაკვალ მიაკოვსკიზე გააფორმებული თავდასხმებით გამოდიან კრიტიკოსები: ა. ვოროსიკი, გ. გობაჩევი, გ. ლეღევიჩი, დ. გობროვი. სხვადასხვა ხმაზე იმეორებდნენ ისინი ტროცკის ცრუ მონაჩმახებს იმაზე, რომ მიაკოვსკის არ ჰქონდა პროლეტარული მსოფლმხედველობა, თითქოს მან ვერ გადგო რევოლუცია. ისინი პოეტს ბრალდ სდებდნენ შემგულებლობას. ამტკიცებდნენ, რომ მან „აღიქვა რევოლუცია უფრო ჰკუთ, ვიდრე გრძნობით“ (ვოროსიკი), და პროლეტარიატი აღიარა „ოქტომბრის შემდეგ“ (გობაჩევი), თითქოს მიაკოვსკის რევოლუციის შემდგომ დაწერილი ნაწარმოებები წარმოადგენენ „წმინდა ლოგიკურ აზროწყობებს, მეტად თუ ნაკლებად შემოსილი მოსწრებული ბგერითა და რიტმული გარსით“ (ლეღევიჩი) და თითქოს ის „გარეგანი“ ზემოქმედებით მუშაობს (გობროვი). კრიტიკოსი ვ. პრავდუნჩინი აღიარებდა, მიაკოვსკისათვის თავის არიდება არ შეიძლებოა, მაგრამ ამავე დროს ამტკიცებდა, რომ ის სრულიადაც არ არის რევოლუციონერი, რომ რევოლუციისადმი პოეტს უბიძგებს „თავდაცვის ინსტინქტი“, და თითქოს მის ნაწარმოე-

**ა. კოლნოვოვი**

პოეზიის ტრაპედიცია



ბებში მხოლოდ „ფრაზეოლოგია რევოლუციურა“. მაიაკოვსკის ერთადერთ სტროფებად, რომლებსაც რევოლუციასთან რაიმე საერთო აქვთ — წერდა ვ. შერშენევიჩი — შეიძლება ჩაითვალოს რევოლუციამდე დაწერილი მისი სტრიქონები: **«В терновом венце революции...»**

1924-1925 წლებში სამ გამოცემად გამოვიდა პ. ს. კოვანის წიგნი „ამ წლების ლიტერატურა“. მაიაკოვსკისადმი განკუთვნილი იყო ყველაზე ბოლო ადგილი უკანასკნელ თავში, ფორმალისტებთან ერთად. ეს არ იყო შემთხვევითი: კოვანისათვის მაიაკოვსკი უფრო წარსული იყო, ვიდრე აწმყო: „ის უტყბოა ჩვენი რევოლუციისათვის... მაიაკოვსკი მეტისმეტად ეკუთვნის წარსულს, მეტისმეტად ინდივიდუალურია ამ სიტყვის ძველი, ბურჟუაზიული გაგებით“. რამდენიმე წლის შემდეგ პ. ს. კოვანი წიგნში „დიდი ათწლეულის ლიტერატურა“ ისევ განაგრძობდა: „მაიაკოვსკი ვერ გახდა ეპოქის გამომხატველი, საბოლოოდ ვერ იქცა რევოლუციურ პოეტად“, რადგანაც „ბოლომდე ვერ აითვისა პროლეტარული მსოფლმხედველობა“.

პ. ს. კოვანს, ლიტერატურის პროფესორს, ბევრი მარქსისტულ ავტორიტეტად მიიწევდა, მაგრამ მაიაკოვსკიმ წერილში „როგორ ვაკეთოთ ლექსები?“ სამართლიანად შენიშნა, რომ კოვანს „მარქსის მიხედვით არ შეუსწავლია მარქსიზმი“, ხოლო ლექსში „სერგეი ესენინს“ სამუდამოდ გააყრა იგი რუსული ლიტერატურის მქირდავების სამარცხვინო ბოძზე:

**Чтобы разнеслась  
бездарнейшая погань,  
раздувая темь  
пнджачных парусов,  
чтобы враспынну  
разбежался Коган,  
встреченных увеча  
пиками усов.**

თუ პ. ს. კოვანი საეჭვოდ მიიჩნევდა მაიაკოვსკის გულახდილობას და თვლიდა, რომ მის ლექსებში „რევოლუცია არ არის“, კრიტიკოსი ა. ლენენევი მაიაკოვსკის „ცივი რიტორისა და რეზონანს“ უწოდებდა და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ამტკიცებდა, რომ ის „უკვე რამდენიმე წელია, რაც საკუთარ თავს იშეორებს“. წერილს, რომელშიაც ეს იყო ნათქვამი, ლენენევა დაარქვა „საქმე გვამის შესახებ“. მაიაკოვსკი სწორი იყო, როდესაც იცავდა თავს ლენენევის თავდასმისაგან და ამბობდა: „უცნაურია საქმე: გვამი მე ვარ, სიმყარე კი მისგან მოდის“.

ამგვარად ესმოდნენ თავს არა მარტო მაიაკოვსკის ლექსებს და ისეთ ნაწარმოებებს, როგორცაა „მისტერია-ბუფი“ და პოემა „ამაზე“, არამედ იმასაც, რაც ახლა რევოლუციის დიდი

პოეტის საუკეთესო ქმნილებად ითვლება პოემებს „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“ და „კარგია!“

არსებობს საბუთები, რომ პოემის „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“ მაიაკოვსკი კითხულობდა ვ. ვ. კუბიშევის ბიანზე, ძველი ბოლშევიკების წრეში და ისინიც მაღალ შეფასებას აძლევდნენ ამ ნაწარმოებს, როგორც გაზეთი „რაბოჩაია მოსკვა“ აღნიშნავდა, 1924 წლის 24 ოქტომბერს მისკოვის პარტიული ორგანიზაციის აქტივისთვის სკვ (პ) მკ-ის წითელ დარბაზში მაიაკოვსკიმ წაიკითხა თავისი პოემა ლენინზე.

„დარბაზი გაქვილი იყო. პოემა მთელმა დარბაზმა ერთსულოვანი აპლოდისმენებით მიიღო. გამართულ კამათში... რიგი ამხანაგების ამბობდა, რომ ეს ნაწარმოები უძლიერესია მათ შორის, რაც კი ოდესმე დაწერილა ლენინზე. სიტყვებში გამოსულთა დიდი უმრავლესობა ერთზე შეთანხმდა, რომ პოემა სასენაოა ჩვენია, რომ ამ პოემით მაიაკოვსკიმ გააკეთა დიდი პროლეტარული საქმე. კამათის შემდეგ მაიაკოვსკი პასუხობდა ოპონენტებს. კერძოდ, მაიაკოვსკიმ აღნიშნა, რომ მას უნდოდა წარმოესახა ლენინის ძლიერი ფიგურა რევოლუციის მთელი ისტორიის ფონზე და არა ინტელიგენტური ესთეტიკური სახე...“ (მაიაკოვსკის პოემა „ლენინი“, „პარტიული აქტივის სასამართლოს წინაშე“, „რაბოჩაია მოსკვა“, 1924 წლის 28 ოქტომბერი).

ხოლო როგორ შეხვდა, როგორ შეაფასა ეს უღიადესი ნაწარმოები ლიტერატურულმა კრიტიკამ? კრიტიკოსმა მ. ბეკერმა ურცხვად გამოაცხადა პოემა „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“ „პოლიტიკურ თემაზე გართიმულ მოხსენებად“. უკეთესად მას არც სხვა კრიტიკოსები ეხმარებოდნენ, ზოგიერთნი უბრალოდ, ჩუმად უვლიდნენ გვერდს ამ ნაწარმოებს, რომელიც სამართლიანადაა მიჩნეული დიდი ლენინის პოეტურ ძეგლად.

როგორ მიიღეს მაიაკოვსკის მეორე შესანიშნავი ნაწარმოები — საოქტომბრო პოემა, „კარგია!“, რომელიც დაიწერა საბჭოთა ხელისუფლების ათი წლისთავისათვის? 18 ოქტომბერს მაიაკოვსკიმ წაიკითხა პოემა „კარგია!“ მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის აქტივზე. ამის თაობაზე გაზეთი „რაბოჩაია მოსკვა“ წერდა:

„საათნავევისი განმავლობაში შეუწყნებელი ყურადღებით ისმენდა აუდიტორია ნიჭიერი პოეტის ახალ ნაწარმოებს, ზოგჯერ კითხვას აყვებინებდა მოწონების შეძახილები და აპლოდისმენტები... კრების მიერ მიღებული რეზოლუციის მიხედვით, მაიაკოვსკის პოემა „კარგია!“ საბჭოთა ლიტერატურის სხვა ნაწარმოებთა შორის განიხილება როგორც წინადადებული ნაბიჯი და გამოყენებულ უნდა იქნას პრაქტიკულ მუშაობაში, როგორც მხატვ-



რული ავიაციის საშუალება“ („არაბოჩია მოსკვა“ 1927 წლის 20 ოქტომბერი).

სსრკ ცკ-ის საიუბილეო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციის 10 წლისთავს ოფიციალურ მოხსენებაში „ეულტურული მშენებლობის შედეგებზე ათი წლის განმავლობაში“ განთავსდა სახალხო კომისარმა ა. ვ. ლენინმა თქვა:

„მთავრობის ოქტომბრის ათი წლისთავისთვის შექმნა პოემა, რომელიც ჩვენ უნდა მივიღოთ, როგორც შეხანისნავი პიშინი ჩვენი რევოლუციისადმი, რომელიც არ არის არც ერთი ყალბი ნოტა და რომელიც მუშათა აუდიტორიაში აპლოდისმენტებს იმსახურებს“.

მართლაც, მუშები, წითელარმიელები, კომუნისტები და კომკავშირელები მთავრობის მიერ წაითხულ პოემაზე უხეველო აღფრთოვანებით, ავტორისადმი მსურველ მადლავრებით ხვდებოდნენ.

როგორ მოექცა პოემის „კარგია“ ლიტერატურული კრიტიკა? შემოდასახელებულმა ა. ლეენევმა განაცხადა, რომ „მასში მხოლოდ რამდენიმე ათეული კარგი ლექსია. საერთოდ კი პოეტის „სრულ მარცხს“ მოასწავებს“. ს. მ. ბეკერი წერილში „კარგია კი „კარგია!“ ვადაპროთ უარყოფდა პოემის მხატვრულ ღირსებებს, და ამტკიცებდა, თითქოს ყველაფერში, რასაც მთავრობა წერდა, ის „შორს იყო ოქტომბრის, მისი შინაარსის, მისი დედაზრის გაგებისაგან“. პოემაში, ამტკიცებდა ბეკერი, „მთავრობის რევოლუციის ყურ კიდვე მალღაფაროვანი და თეატრალური ხმით უმღერს“. ეურნალმა „ნა ლიტერატურულ პოსტულ“, რომელსაც ლავრიახი ხელმძღვანელობდა, სწრაფად ვადაპროტა როსტოვის გაზეთიდან ი. იუზოვის წაბეღული წერილი, სადაც „კარგის“ „მუშაოს პოემადაა“ გამოცხადებული.

1927 წელს გამოსულ საიუბილეო კრებულში „ოქტომბერი“ და ხელოვნება“, ა. ვორონსკი აჯამებდა რა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას ათი წლის მანძილზე, ვადაპროთ აცილებდა მთავრობის ლიტერატურას. „მთავრობის სოციალიზმი, — წერდა ის, — არ არის ჩვენი, მარქსისტული სოციალიზმი, ეს უფრო ლიტერატურული ბოჰემის სოციალიზმია, უფრო სამომხმარებლო, ვიდრე მწარმოებელი“.

ჭიუტად სდევნიდა მთავრობის გ. შენგელი, ავტორი მდარე ლექსებისა და ხალხურული თხზულების: „როგორ ვწეროთ ლექსები და მოთხრობები“. იგი გამოვლიდა მხატვრულ მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც თავმჯდომარეობდა პ. ს. კოვანი, მყვირალა მოხსენებით და ამტკიცებდა, რომ „მთავრობის პოეზია ტექნიკურად სუსტია, სუსტია ფსიქოლოგიურად, ანტიკულტურულა და ანტისაზოგადოებრივ მოვ-

თავის უდიდესი ბოჰემობით „საზოგადოებრივი სიბოროტის“ ზომამდე ავიდა. 1927 წელს შენგელმა გამოსცა წიგნი „მთავრობის მთელი სიმაღლით“, რომელშიც თავი მოუყარა ყველა იმ სიბინძურეს, რასაც რევოლუციის მტრები სწამებდნენ რევოლუციის პოეტს, ეს წიგნები ლენინს წარმოადგენს!“, და რომ ის, მთავრობის, ამყარებელი ვროვა, რომელიც ძველად დაუდგა ავტორმა თავის წვირილმანურ ღვარძლიანობას. კრიტიკოსი დ. ტალნიკოვი ეურნალში „კრანია ნოვ“ თავს ესხმოდა მთავრობის ლექსებს ამერიკაზე; ის მათ „გართობულ ფაფას“, „ხალხურას“ უწოდებდა და უკლავრძლიანად ამტკიცებდა, რომ „მთავრობის კალამი შუბი კი არა, რალაც უბრალო შვებარა“.

პოეტი მრავალფეროვანი ნიშის გაფორმების ხანაში იყო, კრიტიკა კი გაბოროტებით ყვიროდა, მისი პოეტური ნიჭი ჩავსვენაო. „ბოლო წლებში მთავრობის თითქოს გაჩერდა. ბოლო დროს მისი ნაწარმოებები (პოემა „ლენინი“ და სხვა), კრიტიკის საერთო აღიარებით, არ წარმოადგენს წინადადებულ ნაბიჯს, არც ფორმისა და არც შინაარსის გაღრმავების მხრივ“, — წერდა პ. ს. კოვანი. კრიტიკოსი ი. როზანოვი წიგნში „რუსი ლირიკოსები“ (1929 წ.) აღტკიცებული იყო ბორის პასტერნაკის, ილია სერგინის, სემიონ კირსანოვის ლექსებით, მთავრობის კი ვაკვრით იხსენიებდა, „უმთავრესად შედარებისათვის“, და იმისათვის, რომ ერთხელ კიდვე გაეყრა წიხლი პოეტისათვის. „ესენინი მოკვდა, მთავრობის უინტერესო, მოსაწყენი ვახდა. იქნებ არის ვინმე სხვა, დამწყებთაგანი?“ — თავხედობდა ი. როზანოვი. „ახლა მთავრობის მნათობია, რომელიც დასაუღიანოვან იხრება“, ტროცის კვალკვალ როზანოვიც ამტკიცებდა, რომ „მთავრობისა და რევოლუციის გზები ერთმანეთს არ დემთხვავა“.

1929 წლის მარტში ეურნალში „ნა ლიტერატურულ პოსტულ“ გამოქვეყნდა ვ. ტინოვის წერილი „ლიტერატურული მოგზაურობის გამოცდილება მუშათა რაიონებში“. ავტორი ცდილობდა რამას ხელმძღვანელობის გულის მოგებას და ფაქტების აშკარა ფაქტობრივობის გზით სწამეს ისე სახავდა, თითქოს მუშები არც იცნობდნენ და არც უნდოდათ ეცნოთ მთავრობის, თითქოს „მისდამი უარყოფითად, ზოგჯერ მტრულადც კი იყვენ განწყობილი.“ ეს იყო აშკარა მოუბრუნებელი სიტუაცია. ეურნალის ხელმძღვანელებმა, რასაკვირველია, იცოდნენ ეს, მაგრამ რაც არ უნდა დაჯდომოდნენ, ეწადათ იმის დამტკიცება, რომ მთავრობის უცხო პრულტარული რევოლუციისათვის.

ა. კოლსოკოვი  
კომიტის ბრახმანი



ახლა ბევრი რამ იქიდან, რაც ხდებოდა ოცია-  
ნი წლების ლიტერატურაში, შეიძლება სასა-  
ცილოდაც გვეჩვენოს. ვანა უნაური არაა, მა-  
გალითად, რომ რამაში — რუსეთის პროლეტა-  
რული მწერლების ასოციაციაში — მიაკოვს-  
კის, რევოლუციური პროლეტარიატის ყველა-  
ზე უფრო აქტიურ თანამოსაგრეს, იმდროინდე-  
ლი ლიტერატურული საქმეების მოთავეები  
„თანამგზავართა“ ჯგუფს მიაკოვსებდნენ? ცხა-  
ლია, ეს შეურაცხყოფდა მიაკოვსკის, გულს  
უკარგავდა მას. ლექსში „მალაქი“, რომელიც  
პარიზშია დაწერილი, ცხოვრების შეუსაბამო-  
ბებზე დაფიქრებული პოეტი სიმწრითა და წყე-  
ნით წერდა:

**Может, их и слушать надо.  
Но кому я, к черту, попутчик!  
Ни души не шагает рядом.  
Как раньше, свой раскачивай гроб  
вперед позтовых арб —  
неси, один, и радость, и скорбь,  
и прочий людской скарб.  
Мне скучно здесь одному впереди, —  
поэту не надо многого, —  
пусть только время скорей родит  
такого, как я, быстрогого.  
Мы рядом пойдем дорожной пыльюй.  
Одно желанье пучит:  
мне скучно — желаю видеть в лицо,  
кому это я попутчик?**

სწორედ რა-ს ქურნალ „ნა პოსტუ“-ს მიერ  
ეგრეთწოდებულ, პროლეტარული პოეტები-  
საღმა ხოტბის შესხმას გულისხმობდა მიაკოვ-  
სკი, როდესაც თავის „ბარათში პროლეტარულ  
პოეტებისადმი“ წერდა:

**Многие пользуются  
напостовской тряскою,  
с тем, чтоб себя обозвать получше.  
—Мы, мол, единственные,  
мы пролетарские... —  
А я, по-вашему, что — валютчик?**

მიაკოვსკი იცინოდა იმაზე, რომ ერთს „წი-  
თელ ბაირონს“ უწოდებდნენ, მეორეს კი „ყვე-  
ლაზე წითელ ჰაინეს“. მაგრამ მის სიცალში  
სიმწარეც ისმოდა. რადგანაც, ეგრეთწოდე-  
ბულ, პროლეტარულ პოეტებს ლეაზულები და  
ფუნთუშები ხვდებოდათ, ამას კი მოქალაქე-  
ნები და წიბურტები.

დ. ბედნიმ ერთხელ თქვა, რომ სწორედ მან  
და მიაკოვსკიმ გადაიტანეს პირველი წლებსა  
საბჭოთა ლიტერატურის მთელი სიმძიმე. ეს  
მართალია, მაგრამ, უეჭველია ისიც, რომ მია-  
კოვსკის ბევრად უფრო დიდი ტვირთი და-  
აწვა მხრებზე. ის მიდიოდა დიდი და მძიმე  
ტვირთით და თან სდევდა დარტყმები, კრიტი-  
კის სტვენა და ლანძვლა-გინება. რასაკარგე-

ლია, სდევნიდნენ არა მარტო მას, სდევნიდნენ  
სხვებსაც. „უპასუხისმგებლო დოკუმენტა-  
როგორც მიაკოვსკი კრიტიკოსებს უწოდებ-  
და, აბუჩად აიგდეს ბევრი ნიჭიერი რუსი მწე-  
რალა, მათ შორის მაქსიმ გორკი, ალექსანდრ  
სერაფიმოვიჩი, დიმიტრი ფერმანოვი, სერგეი  
ესენინი, ლეონიდ ლონოვი, მიხეილ შოლო-  
ხოვი. თანაც ხშირ შემთხვევაში ეს აგივე დოკ-  
ლაბები იყვნენ, ვინც მიაკოვსკისაც დევნი-  
და ყველაზე მეტად, ყველაზე დეარძლიანდა  
და დაიწებოთ ისინი სწორედ მიაკოვსკის გრ-  
ძობდნენ. მიაკოვსკიმ თავისი ხანმოკლე შემო-  
ქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე ალბათ  
მეტი ისწავლა მათგან, ვიდრე ყველა შემოთ-  
მოსხენებულმა მწერალმა ერთად.

მაგრამ სწორა არ იქნებოდა, საქმე ისე წარ-  
მოგვედგინა, თითქოს მიაკოვსკის არ ჰყავდა  
კეთილმოსურნენი და მეგობრები. ჩვენ უკვე  
ვლაპარაკობდით ლენინის გამოხმაურებაზე  
ლექსის „Прозаседавшись“ თაობაზე, რითაც  
მან დიდი დახმარება გაუწია პოეტს, შემინახუ-  
ლია ა. ვ. ლუნინარსკის 1925 წლის მარტში და-  
წერილი წერილი, სადაც განათლების სახალხო  
კომისიარი წერდა სახგამომცემლობის უფროსს:  
„რადაც უცნაური შეუსაბამობანი ხდება  
მიაკოვსკის თხზულებათა სრული კრებულის  
გამოსვლასთან დაკავშირებით. ყველა აღიარებს,  
რომ ის მეტად დიდი პოეტია, რომ იგი სრულ  
თანხმობაშია საბჭოთა ხელისუფლებასა და კო-  
მუნისტურ პარტიასთან, ექვემდებარებიან აყე-  
ნებს, მაგრამ მის წიგნებს „სახელგამი“ თითქმის  
არ აქვეყნებს. მე ვიცი, რომ პარტიის ზედდუ-  
ფის მის მიმართ მშვენიერი განწყობილებაა.  
მაშ საიდანღა ასეთი დამოკიდებულება?“

დაახ, ჩვენ ვაცით, რომ „პარტიის ზედდუ-  
ფისში“, ე. ი. კომუნისტური პარტიის ცენტრ-  
ლურ კომიტეტში, მას ყოველთვის კარგად ექ-  
ცეოდნენ. ამას, სხვათა შორის, მოწმობს ასე-  
თი ფაქტებიც. 1923 წელს, როდესაც მიაკოვ-  
სკიმ ვადაწყვიტა დაეარსებინა ხელოვნებათა  
მარცხენა ფრონტის ქურნალა („ლუფი“), მან  
ამის ნებართვა ითხოვა ცენტრალურ კომიტეტ-  
ში და მიიღო კიდევ „ლუფი“ და განსაკუთრე-  
ბით მისი რედაქტორი მიაკოვსკი კრიტიკის  
გაფთრებულ თავდასხმებს განაცდიდნენ. ქურ-  
ნალმა არსებობა შეწყვიტა. პოეტმა ისევ მი-  
მართა ცენტრალურ კომიტეტს ქურნალის  
„ნოვი ლუფ“-ის სახელწოდებით გამოცემის  
თაობაზე. უარი არც ამკერად უთქვამთ. პოეტის  
ბევრი ნაწარმოები ვრცელდება პარტიის ცე-  
ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება  
ბიულეტენებით, ან იბეჭდებოდა მრავალრიც-  
ხოვან ადგილობრივ გაზეთებში. როდესაც  
მიაკოვსკი ლექციებითა და ლექსებით უნდა  
გამოსულიყო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა  
ქალაქში, ან საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა,  
ის ხშირად ღებულობდა განათლების სახალ-



ხო კომისარიატიდან მანდატს, თხოვნით, დახმარება გაეწიათ პოეტისათვის.

ცნობლია, რა გულთადად ეპყრობოდა მიაკოვსკის მაქსიმ გორკი. არა მარტო ოქტომბრის რევოლუციის წინა წლებში, როდესაც მან ახალგაზრდა პოეტი თანამშრომლად მიიწვია ჟურნალ „ლეტოპისში“ და გამოსცა მისი ნაწარმოებების პირველი კრებული. შენდევაც, თუმცა მას მიაკოვსკისთან, ამ უკანასკნელის თქმით, „რალაც ჩხუბი თუ განხეთქილება მოუვიდა“. გორკი (ამას მოწმობენ მისი მოგონებანი ვ. ი. ლენინზე) ვლადიმერ ილიას ძესთან ჰკარავებდა მიაკოვსკისზე, როგორც ძალიან ნიჭიერ პოეტზე.

ოქტომბრის რევოლუციამდე და შემდეგაც, როგორც ვნახეთ, მიაკოვსკის ტალანტს დიდად აფასებდა ვალერი ბრიუსოვი. საბჭოთა ეპოქის დასაწყისის ერთ-ერთმა პირველმა, და, შეიძლება ითქვას, ყველაზე ნიჭიერმა პროლეტარულმა პოეტმა, ი. ი. საღოფიევმა, 1918 წელს მიაკოვსკის ახუკა თავისი წიგნი „დინამო ლექსები“ წარწერთ: „რევოლუციის წინასწარმეტყველს, ამხ. ვლადიმერ მიაკოვსკის, ავტორი ი. საღოფიევი. საბჭოთა საუკუნის მეორე წელი“.

სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ცნობილი მიაკოვსკისა და დიმიტრი ფურმანოვის ურთიერთობაზე, მაგრამ ამ მცირედლიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ურთიერთობა მეგობრული იყო. მიაკოვსკი ჟურნალ „ლედის“ 1924 წლის 4 იანვრის ეგზემპლარზე გაკეთებულ წარწერაში აღერსიანად უწოდებდა „ჩაპაევის“ ავტორს „კეთილ პოლიტაურებს“. ეყვობა, ამას ერთგვარი კავშირი ჰქონდა პოემასთან „კურსკელ მუშებს“, რომელიც დაბეჭდილი იყო ჟურნალის ამავე ნომერში. დ. ფურმანოვის დიდიწილში არის ასეთი ჩანაწერი მიაკოვსკისზე: „პოლიტიკური სიასლოვის თვალსაზრისით ის, შეიძლება ვთქვათ, ყველაზე უფრო ახლობელია და ეს არც თუ შემთხვევითია... ის, ეტყობა, წარსულშიაც ახლობელი იყო...“

საუკუთა, რომ ვინმეს სმენდეს მიაკოვსკისაგან რამე მის მეგობრობაზე კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ დიდ მოღვაწესთან. ვ. ვ. კუბინსკთან, რომელიც 1926 წელს მისსსს-ს თავმჯდომარედ დაინიშნა, 1929 წელს კი არჩეულ იქნა სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბუროს წევრად. და მხოლოდ ახლა ვახსენებ ცნობილი ჩვენთვის, ძველი პარტიული ს. ი. არალოვის მონათხრობით, რომ მიაკოვსკი ხშირად ყოფილა ვალერიან ვლადიმერის ძესთან, რომ სწორედ მის ბინაზე წაიკითხა პირველი პოემა „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“, კითხვას ესწრებოდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, რომლებიც ახლოს იცნობდნენ ლენინს; მათ ძალიან მოეწონათ პოემა, კუბინსკი კი აღფრთოვანებული დარჩა ამ ნაწარმოებში.

ხოლო რა დიდი აღფრთოვანებით იღებდა მიაკოვსკის ყოველ ნაწარმოებს მრავალრიცხოვანი მკითხველი საზოგადოება და მსმენელები! როდესაც თუხუბისა და ბეკერის მსგავსი კრიტიკოსები მასხრად იგდებდნენ მიაკოვსკის პოემას „კარგია!“ საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე, დიდი რუსი მსახიობი ვ. ი. კაჩალოვი პოეტს სწერდა:

„ამოდ ვდილობები და მარტყა თქვენთვის ტელეფონით, ძალიან მსურდა მადლობა გადავმხადა თქვენი პოემისათვის „კარგია...“ კუხნეცკის ხილზე პირისპირ შეგხვდით, გამოვიწიე კიდევაც თქვენსენ, რომ მადლიერებით ჩამომერთვა ხელი, მაგრამ მორიდებული კაცი ვარ და ველარ გადავწყვიტე. გაჩუმება კი არ შემიძლია. მინდა მადლობა გადავხადოთ. თუნდაც სუფრით იყოს ეს თქვენთვის და არაფრადაც ჩაავადოთ, — მე მაინც მინდა ჩემი სიხარული და მადლიერების გრძნობა გაგიზიაროთ“.

შეიძლება თქვან, მიაკოვსკისაც ხომ ჰქონდა ხანდახან ბედნიერი წუთები, მისი მუშაობის დადებითი შეფასებაც ხომ ესმოდაო. დიახ, ჰქონდა, ესმოდა. მაგრამ რა იშვიათად ხდებოდა ეს! და რაოდენ ხშირად — ასჯერ, და შეიძლება, ათასჯერ უფრო ხშირად, უხდებოდა მას ვაკიცხვის, ლანძღვის, შეურაცყოფის მოსმენა „უპასუხისმგებლო დოკლამებისაგან“!

ცხადია, რომ მიუხედავად „პარტიის ზედაფენებში“ მის მიმართ კეთილი განწყობილებისა და მკითხველთა“ და მსმენელთა მასის კარგი ურთიერთობისა, კრიტიკის მიერ პოეტის მრავალი წლის შეუწყვეტელ დევნას, მეთოდურ ძიძგნასა და გამაბრუებელ დარტყმებს არ შეიძლება შედგე არ მოჰყოლოდა. თვით მიაკოვსკიმ, 1930 წლის 25 მარტს, როდესაც იგი გამოდიოდა კრასნაია პრესნისა კომკავშირის სახლში თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის ოცი წლის თავზე თქვა:

„ჩემი ჩხუბისთავა ხასიათის გამო იმდენ სიბინძურეს მახსამდნენ და იმდენ ცოდვებს მამარაღებდნენ, ცოდვებს, რომლებიც მაქვს და რომლებიც არა მაქვს, რომ ხანდახან მომიხედება ხოლმე სადმე წავიდე და ვიჭდე იქ ასე, ორი წელიწადი, რომ გინება მაინც არ გავიგონო“.

თუმცა, როგორც იმავე გამოსვლიდან ვგებულობთ, მიაკოვსკი მალე თავისუფლდებოდა ასეთი განწყობილებებისაგან და თავდაუზოგავად განაგრძობდა ბრძოლას, „ვანასაზღვრა რა თავისი უფლება, რომ ეარსება, როგორც რევოლუციის მწერალს, რევოლუციისათვის და არა როგორც განდგომილს“. მაგრამ ვაფთრებული ბრძოლა, კრიტიკოსების აღვირახსნილი გამომხდომები თავის ბინძურ საქმეს აკეთებდნენ. ისინი წლიდან წლამდე შხამავდნენ პოეტის არსებობას, ნთქავდნენ მის ძალებს, ისე, როგორც უანგი ხრავს რკინას.

## მკვამ გვერდითაღი

# ვინ არის ლევან ხილაველი?

ეს კითხვა უთუოდ დაგებადებთ, როცა გუ-  
რამ ფანჯიკიძის რომანს „მეშვიდე ცას“ წაიკით-  
ხავთ. რომანის მთავარი გმირი ლევან ხილავე-  
ლია, მისი ხასიათი და ბედი რომანის ჩამთავრე-  
ბის შემდეგაც კიდევ დიდხანს გაფიქრებთ და  
გაწუხებთ, რადგან მასში გარკვევა ცოტა ძნე-  
ლი საქმე გახლავთ. აქ საქმე მარტივად არა  
წყდება — უარყოფითია, მორჩა და გათავდა;  
ან კიდევ, წმინდა წყლის დადებითი გმირია, —  
ასე ერთბაშად ვერაფერს ვერაფერს ვიტყვით,  
რადგან ჩვენ სულ ახლახან, უაღრესად თავისე-  
ბურ, ქართული ლიტერატურისათვის ბევრწი-  
ლად ახალ, რთული შინაგანი სამყაროს მქონე  
გმირს გავცანით. ვისაც რომანი ჯერ არ წაგი-  
კითხავთ, „რთულმა შინაგანმა სამყარომ“ არ  
შეგაშინოთ. გამოვლენის „სირთულეს“ კი არ  
გველისხმობ, რაც ესოდენ მომძლავრდა, — ხან  
საინტერესოდ, უფრო კი ფუჭი პრეტენციოზუ-  
ლობით, — არა, სულაც არა. ფორმა ამ ხასია-  
თის გახსნისა სწორედ უბრალო და მარტივი,  
მაგრამ, რაც მთავარია, თვით ხასიათია რთული  
და ჩასაფიქრებელი. მაინც ვინ არის ლევან ხი-  
ლაველი, ჩვენი თანამედროვე ინტენერ-მეტა-  
ლურგი: ბორჯი თუ კეთილი ნების ადამიანი?  
კარიერისტი თუ შრომის სიხალისითა და მონ-  
დომებით სავსე? რისი წყურვილი სტანჯავს: პა-  
ტიემოყვარებისა თუ წარმატებისა? რომელ  
გზას ირჩევს ცხოვრებაში: გათელილსა და იოლს,  
თუ საკუთარსა და ძნელს? რა დამოკიდებუ-  
ლებაშია იმ საზოგადოებასთან (საკმაოდ ჭრელ-  
თან), რომელთანაც უხდება ურთიერთობა? კომ-  
პრომისებით ცხოვრობს თუ თავის პრინციპებს  
მისდევს მტკიცედ? ერთი სიტყვით, უამრავი კი-  
თხვა გვებადება ამ გმირთან დაკავშირებით. და  
მხოლოდ მათი გარკვევის მერე შეიძლება ვუბა-  
სუხვით მთავარ საკითხავს: ვინ არის ლევან ხი-

ლაველი? მაგრამ ვიდრე ამ კითხვაზე გავცემდე  
პასუხს და ჩემს საკუთარ შეხედულებას მოვახ-  
სენებდე მკითხველს, რამდენიმე სიტყვა მინდა  
თვით რომანის ირგვლივაც ვთქვა.

ამას წინ, მწერალთა კავშირში, „ცისკრის“  
მოთხრობებს არჩევდნენ, რომლებიც ეურნალის  
1967 წლის ნომერში იყო დაბეჭდილი. იმ სხლო-  
მაზე ჩვენი ერთი უხუცესი და დეაწლმოსილი  
მწერალი, სერგო კლიაშვილი გამოვიდა. მან  
დამსწრეთ მიმართა და სიტყვა ასე დაიწყო:  
მინდა მოგილოცოთ კიდევ ერთი ქართული მწე-  
რლის დაბადებათ. თამაზ ბიბილტრის მოთხრო-  
ბები წაიკითხა და თავისი შეუმცდარი მწერლის  
თვლით დაენახა, გუმანიტი კი მიმხვდარიყო, რომ  
ამ ახალგაზრდა კაცს მწერალი ეთქმოდა. მხო-  
ლოდ წრფელი გულიდან ამომავალი სიტყვები  
შეიძლება იყოს ასე უბრალო და თბილი. კარ-  
გი იქნებოდა სიწრფელო და უბრალოება, ქარ-  
თული ლიტერატურის სიახლის ეს უშუალო და  
ხალისიანი განცდა კრიტიკასაც რომ უფრო მე-  
ტად ახასიათებდეს.

ახლა მეც მინდა ვისარგებლო ჩვენი სასოჟა-  
დლო მწერლის მიმართვის ფორმით და ქარ-  
თული მკითხველს ერთი კარგი ახალი რომანი  
მიულოცო. ეს რომანი გურამ ფანჯიკიძის „მეშ-  
ვიდე ცა“ გახლავთ.

თუ ჩვენთვის ნაცნობი პირობითი ტერმინე-  
ბით ვისარგებლებთ, შეიძლება ითქვას, ქართუ-  
ლი პროზა უფრო სოფლის პრობლემატიკით  
იყო და არის ძლიერი. თუ სოფლის თემებზე  
არამეტო მხოლოდ საინტერესო, კლასიკური  
სიძლიერის რომანებიც კი გვაგანია, საწარმოო  
თემებზე დაწერილი ნაწარმოებები მხატვრულად  
საკმაოდ ფერმკრთალნი არიან. ამიტომ განსა-  
კუთრებით გასახარია ასეთი ხასიათის ახალი კარ-  
გი რომანის გამოჩენა ქართულ ლიტერატურაში.





გურამ ფანჯიყიძის რომანს „მეშვიდე ცას“ არ ეთქმის საწარმოო რომანი. კაცმა რომ თქვას, ამას პირობითი, სამუშაო ტერმინი იმითმთ ვეძახით, რომ საერთოდაც არ შეიძლება რეალისტური რომანი საწარმოო ან სოფლის თემას ეძღვნებოდეს, რადგან ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები ადამიანის სულისა და ხასიათის მხატვრულ გამჟღავნებას, გახსნას, ჩვენებას ეძღვნება, ხოლო სოფლისა თუ ქალაქის, წარმოების ყოფის სურათები ის ფონია, რომელზეც იკვეთება, რომლის დახმარებითაც იხსნება ადამიანის შინაგანი სამყარო. გურამ ფანჯიყიძის რომანის გმირები ქართველი მეტალურგები არიან და ეს კიდევ უფრო მეტ ინტერესს აღძრავს ჩვენში.

ქართველ მწერლებს სამართლიანად საყვედურობენ, რომ ჩვენი მუშების, რესპუბლიკის უდიდესი საწარმოების ცხოვრებას იშვიათად ირჩევენ თავიანთი ახალი მხატვრული ნაწარმოებებისათვის. უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ იშვიათადაც ირჩევენ და კიდევ უფრო იშვიათადაც აღწევენ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან წარმატებებს. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას რაც შეეხება, თითქოს სასაყვედურო ნაკლები უნდა ჰქონდეს ქართულ მწერლობას, რადენიმე მსხვილი, სქელტანიანი რომანიც კი ეძღვნა მას, ვრცელ და მცირე მოთხრობებზე რომ აღარაფერი ეთქვათ. მაგრამ, სამწუხაროდ, მე მიძინებდა მათგან რომელიმე საინტერესოდ და საყურადღებოდ მივიჩნით. ისევ აკაცი ბელიაშვილის „ვეფხია ხალიბაურს“ თუ ვაიხსენებ. ამიტომ ბუნებრივია ის ინტერესი, რომლითაც სალიტერატურო კრიტიკაცა და, იმედია, მკითხველიც შეხვდა გურამ ფანჯიყიძის ამ ახალ რომანს, რომლის გმირებიც რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში შრომობენ და მოღვაწეობენ. ჩემი ღრმა რწმუნით, ესაა ახალი და საინტერესო სიტყვა ქართული მწერლობისა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ცხოვრებაზე და წარმატების ერთ-ერთი მიზეზი იმაშიც უნდა ვეძიოთ, რომ გურამ ფანჯიყიძისათვის ეს სამყარო საფუძვლიანადაა ნაცნობი და უშუალოდაცაა განცდილი — იგი ხომ; ვიდრე პროფესიონალი მწერალი ვახდებოდა, პროფესიონალი მეტალურგი ვახლდათ.

ამიტომაცაა, ასეთი საქმის ცოდნითა და სიყვარულით რომ გვიჩვენებს და გვიხსნის ავტორი მეტალურგიული ქარხნის, უფრო კი მარტენის საამქროს ცხოვრებას. არცთუ იშვიათად საწარმოო პროცესებსაც კი აკვირებს, ზოგჯერ საქამოდ დეტალურადაც, მაგრამ, უნდა ითქვას, ახალგაზრდა მწერალს, მცირე გამოცდილის გარდა, ეყო ზომიერების გრძობა და ეს პროცესები იმდენად მოიშველია, რამდენადაც თავისი გმირების ყოველდღიური ყოფის საჩვენებლად თუ ხასიათის რომელიმე მხარის მისანიშნებლად სჭირდებოდა. ამისი წყალობითა, რომ

ისეც იალდაუტანებლად იკითხება, ეს ადგილები, როგორც საერთოდ მთელი რომანი. მხედველობით, რომ საწარმოო პროცესების აღწერამ შეაწყინა თავი.

გურამ ფანჯიყიძეს ღრმადა სწამს, რომ მეტალურგობა ერთი ყველაზე ვაჟკაცური პროფესიაა და მეტელი უყვარს ის ადამიანები, რომლებიც მეტალურგის ამ საპატიო, თუმცა მძიმე ჰაპანს ვაჟკაცურად ეწევიან. მწერლის ეს რწმუნაც და ეს სიყვარულიც აშკარად ჩანს რომანში. ეს კი უშუალოდ, დამაჩერებლობას, მკითხველზე ზემოქმედების ძალას მატებს ნაწარმოებს. მწერალი ისე ცოცხლად, ინტერესით, სიყვარულით გვიხატავს მეტალურგიული ქარხნის, მეტწილად მარტენის საამქროს ცხოვრებასა და იქ მომუშავე გმირების სახეებს, რომ თითქოს უშუალოდ განცდილი გვეჩვენება ეს ცხოვრება და რომანის გმირი ლევან ხილაშვილი, მარტენის საამქროს უფროსი ელზბარ ხუნდაძე, ქარხნის მთავარი ინჟინერი მიხეილ გიორგაძე, ლევან ხილაშვილის მეგობარი ინჟინრები: ვაჟა დვალაშვილი, რეზო ქავთარაძე, ნოდარ ერგაძე, პარტიბუროს მდივანი ზურაბ ელიავა, ოსტატები ძმები ხარაიძეები, მეფოლადე ლეჟო არჩემაშვილი, მეფოლადის თანამემწე გოგია ნემსაძე თუ სხვები თვალნათლივ, პირადი ნაცნობებით წარმოგვიდგებიან თვალწინ.

ამ რომანის ერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ მეტალურგობა ცხოვრების მთელ სიმძიმესთან ერთად მის საოცარ რომანტიკასაც გვაგრძნობინებს და გვეგონება ახალ სამყაროს გვივლინო თვალწინ, ახალი ელვარებით გვიხატავს ჩვენთვის ამ თითქოს აქამდეც ნაცნობ ცხოვრებას, ახლად, ახალი ძალით გვეყვარებს ამ მძიმე და ვაჟკაცური პროფესიის ადამიანებს.

მეტალურგები, ამ რომანით, სიტყვაძუნწნი, პირდაპირი, ერთი შეხედვით, უზენიცი კი არიან ერთმანეთთან ურთიერთობაში, მაგრამ, როგორც ირკვევა, მათ ვაჟკაცური სიყვარული, გამტანობა, მეგობრობა სცოდნით და ფოლადის მაღალი ხარისხი ბევრწილად სწორედ - მეფოლადეთა ამ ადამიანურ თვისებათა მაღალი ხარისხზე დამოკიდებული. ამის დასადატურებლად თუნდაც ისეთი ემოციურად დამაბული, მხატვრულად მართალი ადგილიც იქმარებს რომანდან, როგორცაა მხეხეთ თავი, სადაც საბრძმდე საამქროში მომხდარი ავარიის აღწერა. ქარხნის მთავარი ინჟინერი მიხეილ გიორგაძე აქ მთელი თავისი დიდი ადამიანური ბუნებით, ვაჟკაცური ნებისყოფით, ხასიათის ფოლადისებური სიმტკიცითა და ჭეშმარიტად მოსიყვარულე გულით წარმოგვიდგება. მკითხველი შეუმჩნევ-

**გურამ გვირგვინი**  
306 პრის ლევან ხილაშვილი?



ლად. უნებურად ემტევა ავტორის გავლენის ქვეშა და ღიმილით აღვენებს თვალს ამ ავარიისაკან გააფთრებულ მთავარ ინჟინერს, რომელსაც გულის შეტევა არად ჩაუგდია, მოვარდნილა საამქროში, თხუთმეტსართულიანი სახლის სიმაღლე საეკრძეზე ვეღარ ასულა და ქვევიდან უთვლის მუშების პირით მუქარას ზურაბ მინდელისა და ჯუმბერ მგელაძის, თუმცა არც ის ავიწყდება, რომ ავარიის ლიკვიდაციას საქმიანად უხელმძღვანელოს და თან მინდელისა და მგელაძის ჯანმრთელობაზეც იზრუნოს. ორი დღე და დამე შრომობდნენ საეკრძეზე ოსტატები, ორი ლუკმაც არ ჩასვლიათ პირში და როცა ბრძმელი გამოაჩანსაღეს, მხოლოდ მაშინ ჩამოვიდნენ ძირს, სადაც მთავარი ინჟინერი ფეხმოუცვლელად ელოდა მათ. და ამ უბრალო, თითქოს ჩვეულებრივ შეხვედრაში კვლავ იგრძნობს მკითხველი იმ დიდ, ჩუმ მგებობრობასა და სიყვარულს, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მეტალურგთა ცხოვრება.

და მაინც, რომანის მთავარ ღირსებას მისი გმირი, ლევან ხიდაშელი წარმოადგენს. ლევან ხიდაშელი ავტორის ყველაზე თვალნათლივი გამარჯვება.

არ შეიძლება ამ გმირმა თავიდანვე არ მიიქციოს მკითხველის ყურადღება. უფრო მეტიც, არ შეიძლება მან არ მივიზიდოთ.

უქანასკნელი წლების მანძილზე მკითხველიც და მასთან ერთად სალიტერატურო კრიტიკაც ცოტა გადაიჩვია ჩვენს მწერლობაში ძლიერი ბუნების, ენერგიული, ცხოვრების ხალისით სავსე გმირების ხილვას, რომლებმაც კარგად იციან რაცა სურთ ამ ცხოვრებაში. ის პროცესი მწერლობაში, რომელსაც რუსმა კრიტიკოსებმა ზუსტი სახელი უწოდეს „дегероизация“ ქართულ მწერლობაში, თუ მეტად არა, არა ნაკლებ იყო შესამჩნევი. ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო, ამაზე აქ ლაპარაკს აღარ გავაგრძელებ, რადგან აქამდეც უკვე ბევრი ითქვა ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში. მაგრამ ერთი რამ ცხადი გახდა: ამ პროცესმა სხვა ცალმხრივობა გამოიწვია ლიტერატურაში, და მოგვსენებათ, ყოველგვარი ცალმხრივობა, თუნდაც თავისთავად საინტერესო, უკვე, სულ ცოტა, დამაფიქრებელი ხდება. „მოგონილი“ და „გაბერილი“ გმირების შიშით საერთოდ დიკარგა ჩვენს მწერლობაში აქტიური ბუნების, რომანტიკულად განწყობილი, დიდი საქმეებით შთაგონებული გმირი. ეს კი „შემლამაზებლობაზე“ არა ნაკლები დალატია რეალიზმისა, რადგან ასეთი ხასიათისა და ბუნების ადამიანები ათასობითა და მილიონობით აიარა და მათ თავისი ადგილი ეკუთვნით ლიტერატურაში. უფრო მეტიც, საბჭოთა ლიტერატურა სწორედ ასეთი გმირებით უნდა დაინტერესდეს უპირველეს ყოვლისა.

აი ამით იწყებს დიდ სიხარულს ჩვენს მწერლობაში ვიდე ცის“ ცენტრალური გმირი, ლევან ხიდაშელი, რომელიც ძლიერი და ამასთანავე სავსებით რეალური ადამიანის მხატვრულ სახეს წარმოადგენს. ახლა, როცა ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაში ლევან ხიდაშელისთანა გმირები კანტიკუნტად, მაგრამ მიიცი გამოჩნდნენ, უფრო თვალნათლივი გახდა, თუ რამდენად გველე და და რაივე გვერდებზე ასეთი ადამიანების განზოგადოებული მხატვრული სახეები ლიტერატურაში.

მწერალი ათასი სიყვით ამგობს თავის გმირს, მაგრამ ყველა ეს სიყვით მართალია, რეალურია, დამაჯერებელია და ამიტომაც ლევან ხიდაშელი რაღაც განსაკუთრებული ადამიანის შთაბეჭდილებას არა სტოვებს, რომელიც უფრო მწერლის ფანტაზიის ნაყოფი შეიძლება იყოს. არა, იგი ჩვენი თანამედროვეა, ასეთები ჩვენ თითქოს გვიჩნებას კიდევ ცხოვრებაში, ჩვენს გვერდით შრომობენ, იღვწიან და თავის კაცურ კვალს სტოვებენ ცხოვრებაში.

ლევანი რომანის დასაწყისშივე გვხვდება და მერე მთელი ნაწარმოების მანძილზე მუდამ ჩვენს თვალწინაა. „მეშვენიე ცა“ რთული არქიტექტონიკით არ გამოირჩევა, იგი საქმაოდ სადა მოთხრობაა ლევან ხიდაშელზე და ამ გმირთან დაკავშირებით ვეცნობით ჩვენ რუსთაისი მეტალურგიულ ქარხანასაც, იქაურ მეფოლადეებსაც და ამ სამყაროს სულ საწინააღმდეგო პოლუსის მცხოვრებლებსაც, პლანტონ მინდაძის ოჯახი იქნება ეს, ხიდაშელის სკოლის მეგობარი გივი მიქაძე თუ ფილარმონის მსახიობი სიმონ ყანაჩელი თავისი მეუღლითურთ. ლევან ხიდაშელის ბიოგრაფია და ხასიათი კრავს მთელ ამ სიუჟეტურ ხაზებს, რომლებიც რომანში არცთუ მრავალია და ყველა ისინი უმოკლესი გზით ცენტრალური გმირისაკენ მიემართებიან.

ლევანი, მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, — მას სულ სამიოდე წლის დამთავრებული აქვს უმაღლესი, როცა ჩვენ ვეცნობით, — თავიდანვე გვხვობავს სიღარბასილით (გავიხსენოთ პირველივე ეპიზოდი, სტიუარდესასთან მისი მოქცევა). ლევან ხიდაშელიც ისეთივე ახალგაზრდაა, როგორც სხვები, მასაც უნდა ღლი, სიყვარულითა და ალერსით სავსე ცხოვრება, აი ისეთი, თვითმფრინავში მყოფ ქალაქს რომ აქვს, რომლებიც ეტობა საქორწინო მოგზაურობიდან ბრუნდებიან. მაგრამ ლევან ხიდაშელმა განზრახ თქვა ყოველზეც ამაზე უარი, პროფესორებს იმედი გაუცრუა, ასპირანტურაში დარჩენა არ ინდობა, რთაც ბევრი გააოცა და სამი წლის მანძილზე თავისი ნება-სურვილით შემოიარა რუსეთის უღიდესი ქარხნები, თან სამუშაოდ ისეთ მეტალურგიულ ქარხნებს ირჩევდა, სადაც ფოლადის დნობა სხვადასხვანაირი გზით ხდებოდა. ლევანი ყოველმხრივ გაწაფული და

განსწავლული უბრუნდება თავის მშობლიურ ქალაქს და კვლავ მეტალურგიულ ქარხანას მიაშურებს. იგი უღირსად ნიჭიერი ახალგაზრდა იყო, მასთან ცილობას თანატოლებში ვერაინ ბედავდა, ახლა ამ თორიულ განათლებას დიდი პრაქტიკული გამოცდილებაც დაერთო და ლევანი რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო მეტალურგი ინჟინერი ხდება. უღირსად საინტერესოა ლევანის მისვლა რუსთავის ქარხანაში. ერთბაშად მოინადრო მან ყველას გული, ქარხნის ხელმძღვანელობისაც და თავისი ცვლის მეფოლადეებისაც. მას ვერ წარმოუდგენია საქმის თუნდც იოტისოდენა დალბატი, იგი მთელ თავის ენერჯიასა თუ ცოდნას საქმეს სწირავს და საუბრებით დამსახურებულად აღწევს დიდ წარმატებებს, მას სოციალისტური შრომის გმირობაზე წარადგენდნენ, მარტენის საამქროს უფროსად დააწინაურებენ. ლევან ხიდაშელი დისერტაციასაც დაამზადებს, თუმცა ქარხნიდან წასვლას ჯერ არა ფიქრობს, რისი შიშიც უჩნდება ხელმძღვანელობას. ქარხანა ჯერჯერობით მისი მთავარი ასპარეზი და არა სამეცნიერო დაწესებულება, აქ მეტი გასაქანი აქვს მის ნიჭსა და ენერჯიას, აქ მეტის გაკეთებას შეძლებს.

ლევან ხიდაშელი თავისი პრინციპები აქვს, რომელიც მტკიცედ მისდევს ცხოვრებაში. ის სამყარო, რომელსაც ავტორი საკმაოდ მკვეთრი ფერებითა და დამახასიათებელი შტრიხებით აგვიწერს სარკასტულად, რომელიც საეჭვო ფუფუნებაშია ჩაფლული, რომლის კეთილდღეობაცა და ბედნიერებაც საკუთარი შრომით არაა გამოქედლი, ლევანისათვის აბსოლუტურად მიუღებელია. იგი მარტო პლატონ მინდაძის ოჯახს კი არ დასცინის, თავის თანაკლასელებს იგი მიჰაძეხავს კი არ აპატიებს თაღლითურ ცხოვრებას.

ლევანი არამცთუ ასეთი „საკუვეო კეთილდღეობის“ ხალხს არა სწყალობს, იმათაც დასცინის, ვინც „თითქოს იმიტომ არიან გაჩენილნი, რომ თვითონ არაფერი გააკეთონ და მხოლოდ სხვისი გაკეთებულთი, სხვისი შექმნილით დატკბნენ“. ლევანის ამ სიტყვებში, ამ მრწამსში უკვე აშკარად ჩანს, რომ იგი გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობის“ გმირის მცენებას მისდევს, იმ პრინციპებით ცხოვრობს, რომელიც „ალავერდობის“ გმირმა პირველმა წამოაყენა ახალგაზრდა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში.

აი ასეთად წარმოგვიდგენს მწერალი ლევან ხიდაშელს თითქმის თელი რომანის მანძილზე. სიტარბიზები მხოლოდ დასასრულს გველის. თუმცა, უნდა ითქვას, ავტორი ადრეც მიგვანიშნებდა გადაკრული სიტყვებით, ლევან ხიდაშელის ეს თავგამოდებული შრომა და დაუღალავი მოღვაწეობა სულ უნაგარო არ უნდა იყოს. და მართლაც, რომანის ფინალში მწერალი

ერთბაშად სხვა კუთხით დაგვანახებს თავის გმირს. თუმცა, ჩემი აზრით, არც ისე დამაჯერებელია ლევან ხიდაშელის ცული თვისებების მხილების ავტორისეული ცდა.

მწერლის ჩანაფიქრი თუ სწორად გავიგე, იგი ლევან ხიდაშელის მამობრავებელ სტიმულად, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთ ძლიერ სტიმულად, პატივმოყვარობასა და კარიერიზმსაც სახავს. ამიტომაც დაატეხა თავს რამდენიმე დიდი განსაცდელი, სადაც თითქოს გმირის ეს ქვენა ზრახვები საჩინო ვახდა. მაგრამ ჩემთვის მწერლის ეს მამხილებელი პათოსი ისე დამაჯერებელი აღარაა.

ლევანის მეგობარი ინჟინრებიც, და თითქოს ავტორიც დალაბად ჩაუფლდნენ ლევან ხიდაშელს სადისერტაციო შრომის დაწერას. ლევანი, რომლის აღსარებასაც მისი მახლობლები დაჩვეულნი არ იყვნენ, პირველად უხსნის გულწრფელად გულისნადებს თავის მეგობარს ვაჟა დვალიშვილს. და თუმცა იგი ოდნავ მკვანდე მსჯელობს, არ შეიძლება არ ვირწმუნეთ მისი სიტყვები. ლევან ხიდაშელი ავდებულად ლაპარაკობს „თეთრხელა“ მეცნიერებზე, რომლებსაც ჯერ ფოლადი ერთხელაც არ გამოუღნიათ, „ჯიბეში თბილისის უღამაზესი ქაღალელების დაბადების დღეების კალენდარი უღევთ, ხოლო სამსახურში ნახევარ დროს სულელურ კამათში ფლანგავენ და ჯერაც ვერ დაუდგენიათ, მესხი სჯობია თუ მეტრეველი“.

დაიხ, ლევან ხიდაშელს გმირობაც უნდა, ლურჯატობაზეც ოცნებობს, ინსტიტუტშიც უნდა მეცნიერობა და ხელმძღვანელობა, მაგრამ რის ფასად?

„მე ხარისხს დავიცავ. ქარხნიდან მაინც არ წავალ. სამ-ოთხ წელწადს კიდევ დავრჩები. უფრო სწორად, მანამდე დავრჩები, სანამ სადოქტორო და დისერტაციას არ მოვაშხადებ. ღამეში ექვსი საათი მძინავს, ოთხ საათს დავიძინებ. ჩემსას მაინც მგავლწვე. მე ვიცი: დღევანდელი ერთი დღე სიბერეში ათ დღეს უდრის. მე ახლებურად დავაძუწავ და ვაღვეწყვიტე ფოლადის განუწყვეტელი ჩამოსხმის საკითხები. როგორც კი დისერტაციას დავიცავ, მთავარ ინჟინერს ჩემს გეგმას წარუდგენ. მერე გმირის ვარსკვლავს იქნებ ლურჯატის მედალიც მივმატოს. აი, მაშინ კი დავებრუნდები ინსტიტუტში. მერე მელაპარაკონ ის მეცნიერები, ჯერ რომ ქარხნის სტენი არ უგრძენიათ, ჯერ რომ გატეხილი ღამეებისა და ჯოჯოხეთური შრომის ფასი არ იცინა“.

ლევან ხიდაშელის არც ამ საქმიანობაში და არც მის ოცნებებში არაფერია მკრთელური. მას წარმატება უნდა, მაგრამ საეცესით დამსახურებული, შრომითა და გარჯით მოპოვებული

**გურამ გვარჯინიანი**  
მინ არის ლევან ხიდაშელი?



წარმატება იგი არსად და არასოდეს უღალატებს საქმეს, არც ქარხანაში და არც ინსტიტუტში.

მკითხველს სჯერა, რომ იგი ყველა საქმეს დაამჩნევს თავის ღრმა ცვალს. მაშ რად უნდა აყვეთ ლევანის მეგობრებს და რად უნდა ავხსნათ მისი სწრაფვა წარმატებასაქენ კარიერისტული სულისკვთებით?

დიდი განსაცდელი დაატყდა თავს ლევან ხიდაშელს. იგი სოციალისტური შრომის გმირობაზე წარადგინეს და სწორედ ამ დროს საერთოდ წესიერი ლექსო არჩემაშვილი ცვლაში ნამთერაღევი გამოცხადდა. მარტენის ღუმელთან ნაბახუსევზე მუშაობა კი დიდი უბედურებაა. ლექსო მწერედ დაისჯა, ფოლადმა გადმოხეთქა და ფეხი დასწვა. ლექსოს ფეხი კი გადაურჩინეს, მაგრამ მეფოლადედ აღარ ივარგებს, ინვლიდი დარჩება.

ლევან ხიდაშელი მოიქცა ისე, როგორც ყველა პატიოსანი კაცი უნდა მოქცეულიყო, სიმართლე თქვა და ამის გამო ლექსოს მაქსიმალური პენსია აღარ დაენიშნება. მართალია, ლევანს არც ის ავიწყდებოდა, რომ ამ უბედურ შემთხვევას შეეძლო მისი გმირობაზე წარდგენა შეეფერხებინა, მაგრამ ეს განა მომავლდნებული ცოდვა? მას არაფერი უკადრებია ცუდი, უწესო, უსამართლო თავისი გმირობის გადასარჩენად. მან თქვა სიმართლე. და ცოტა გასაკვირია, როცა მისი მეგობრები ამაში ლევანის ცუდკაცობას ხედავენ, რაღაც საოცარი, გაუგებარი არგუმენტაციით ხსნიან მისი საქციელის უწესობას:

„ვითომ რა იქნებოდა, რომ ამ შემთხვევაში საქმეს კანონის პოზიციებიდან კი არა, მორალური პოზიციებიდან მიედგომოდით? ვითომ ამოდენა ქარხანას რა დააკლდებოდა, ლექსო არჩემაშვილი ოცდაათი თუ ორმოცი პროცენტით მეტ პენსიას თუ მიიღებდა?.. ვითომ დაინგრეოდა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა?“

საოცარია, პატიოსნების სახელით მეგობრები სწორედ ეს უპატიოსნო საქციელს, ტყუილის თქმას მოითხოვენ ლევანისაგან და ისიც რა არგუმენტაციით, რომ რუსთავის ქარხანა ისედაც მდიდარია და შენი ტყუილით ლექსო მეტ პენსიას მიიღებსო. საოცარი არგუმენტაციაა!

ასე გაუღვებთან ამ განსაცდელის ქამს მეგობ-

რები ლევანს და ამით ახალ განსაცდელს გადაეჭყრიან. უზომოდ მთვრალ ლევანს მისი ასული ერთი დამით ჩაივადებს ხელში და დაუნგრევს იმ დიდ სიყვარულს, რომელიც მას ნათიასთან ჰქონდა.

აგტორი აქაც ცდილობს დაგვაჭეროს, ლევანმა მეორე დღეს მხოლოდ იმიტომ ითხოვა მარინე, რომ გმირობა და სამეცნიერო ხარისხი სათუო არ გახდომოდო. მაგრამ ჯერ ერთი, გმირობა და სამეცნიერო ხარისხიც ლევანს საკუთარი აქვს დამსახურებული, და თუ ეს მაინც ამისი შიშით მოიმოქმედა, რაღად გამოავლო სახლიდან მარინე მანამ, სანამ მისი გმირობის ან ხარისხის საკითხი ვადაწყდებოდა?

ლევანის კეთილშობილება ნათიასთან და მარინესთან უერთიერობაშიც ჩანს. იგი შინაგანდაც ლამაზ ნათიას ირჩევს, თუმცა მდიდარი ოჯახიშვილი მარინე გარეგნულად არაფრით ჩამოუვარდება ნათიას.

ლევან ხიდაშელი, ჩვენდა სამწუხაროდ, რომანის ბოლოს ამ დიდი და დაუმსახურებელი განსაცდელების მსხვერპლი ხდება. მე პირადად მწერალმა ვერ დამაჯერა იმ მანკიერებებში, რომელიც ვითომდა ლევანს გააჩნდა. მართალია, მას ზოგი რამ შეეშალა ცხოვრებაში, მაგრამ ეს პატივმოყვარეობით არ აიხსნება.

გურამ ფანჯიკიძე რომანის წინათქმამში წერს:

„კაცი ვერასდროს ბედნიერად ვერ იგრძნობს თავს, თუ მისი ცხოვრება და საქმიანობა ადამიანების სიყვარულით არ არის გაკლენითილი“.

აი ამაში კი უთუოდ უნდა დავეთანხმეთ აგტორს. ლევან ხიდაშელს დიდი და ვეკაცური სიყვარულით უყვარს ნათია, მაგრამ მას სხვებთან თითქმის აკლია ეს ადამიანური სიყვარული. იგი უფრო გონებით ცხოვრობს და გულს იშვიათად ეკითხება. აი ესაა მისი ყველაზე დიდი ნაკლი, და ჩვენ გვეჯერა, რომ ხიდაშის გადარჩენილი ლევანი ამასაც მიხვდება და მაშინ იგი ყველა განსაცდელს დაძლევის.

ჩვენ გვეჯერა ამისა, რადგან ლევან ხიდაშელი ამ რომანით უბრალოდ კი არ ვაგვეცნო, არამედ მან თავიც კი შეგვაყვარა და ასეთ ძლიერსა და ლინტერესო გმირს მისი მეგობრებივით (აგტორზე აღარაფერს ვიტყვი, იგი უფრო შენიღბულად მოქმედებდა) ვერ ვაგვირავთ.





# იქ, სადაც კავიშალი გატონობს!

ლევან მაგარაკი

## ამერიკის ბუნტარული ახალგაზრდობა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ღრმა სოციალურმა კრიზისმა მოიღვა ფეხი. ამის ერთი დადასტურებაა თუნდაც ის, რომ ახალგაზრდობა სულ უფრო და უფრო ემშობა სპროტესტო მოძრაობებსა და დემონსტრაციებში, კრიტიკის თვალთ უცქერის ამერიკის დღევანდელ საზოგადოებრიობას და მის ინსტიტუტებს, მეტი დაყენებით ამკლავებს თავის ბუნტარულ ხსიათს.

თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის პატრიარქმა აბოლდ ტოინბიმ ამერიკაში მოგზაურობისას ეტრნალ „ლაიფს“ ფურცლებზე გამოაქვეყნა თავისი შთაბეჭდილებები.

„ჩემი აზრით, — ამბობდა იგი, — ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე უფრო დიდი ცვლილებები იგრანობა, ვიდრე გასული ორმოცი წლის განმავლობაში, — ხალხი დაღონებული და შეშფოთებული მეჩვენა, ახალგაზრდობა აშკარად და მთელი შეგნებით ილაშქრებს უფროსი თაობის წინააღმდეგ, ჩემი ამერიკელი მეგობრებისათვის ეს მძიმე დარტყმა და უფრო ძნელი ასატანია, ვიდრე ომი ვიტენამში. ეს უშუალოდ ეხება ყველას. მსგავსი რამ წარმოუდგენელი იყო არა მარტო 1925, არამედ 1965 წელსაც კი. მრავალი წლის მანძილზე ტყებოდა ამერიკა უშიშროების ყალბი გრანობით, ახლა კი ყველაფერი ეს იმსხვერვა“.

ცვლილებები ამერიკელი ახალგაზრდობის სულიერსა და მორალურ ყოფაში მით უფრო შესამჩნევია, რომ იგი ომის შემდგომ მთელი ორი ათეული წლის განმავლობაში სრულ გულგრილობას იჩენდა თავისი ქვეყნის საერთო-პოლიტიკური ვითარებისადმი. ამერიკის შეერთებული შტატების სოციოლოგებმა და ეტრნალისტებმა ამ ახალგაზრდობას, „მუნჯი თაობა“ უწოდეს. მიზეზები, რამაც ამერიკელი ახალგაზრდობის პოლიტიკური პასიურობა

განაპირობა, ცოტა როდი იყო, ყველა ისინი მომდინარეობდა დასავლეთის ცივილიზაციისაგან, რომელიც თანდათანობით იჭრებოდა ამერიკულ ყოფაში. ეს გახლავთ მისწრაფება მოგებისადმი, ფულისადმი, რამაც უპირველეს ყოვლისა, თავისი დაღი დაამჩნია ოჯახს. ოჯახური ურთიერთობა დაძაბული და ძალზე მერყევი გახდა.

ამერიკის განათლების სისტემა მიზნად როდი ისახავს გამოავლინოს და სრულყოფილ მოწველთა ბუნებრივი ნიჭი და მისწრაფებები, პირიქით, ცდილობს ყველა ბავშვი საშუალო, სტანდარტულ დონემდე დაიყვანოს. სკოლის უმთავრესი და ერთადერთი ამოცანაა წესრიგის დამყარება და განმტკიცება.

სწავლის დასრულების შემდეგ ქაბუტებიანა და ქალიშვილების უდიდესი ნაწილი ავსებს შრომის გიგანტური არმიის რიგებს. მათი ცხოვრების საუკეთესო წლები და საათები შრომაში გადის. დასვენებაც, მსგავსად შრომისა, გულდაგულ არის მოფიქრებული და რეგლამენტირებული. მასობრივი გართობის კოლოსალური სისტემა — რესტორნები, ბარები, საბილიარდოები, სტადიონები, იზორტომები, კურორტები და დროსტარების სხვა ორგანიზებული ცენტრები, კომერციასთან ერთად, პოლიტიკურ მიზნებსაც ემსახურება. მასობრივი გართობა-დროსტარებანი მიზნად ისახავს მთლიანად შეეცოს დღე, დაასუსტოს, დაანღუნოს საზოგადოებრივი აზრი და შეგნება, არ დაუტოვოს მშრომელებს არც დრო და არც ენერჯია ინტელექტუალური აზროვნებისათვის, სინამდვილის კონკრეტულად აღქმისათვის.

ანალოგიურ მიზანს ემსახურება რელიკამებით, სისხლის სამართლის ქრონიკითა და სხვა მისთანებით გაჭედილი ეტრნალ-ვახუტები, რადიო და ტელეგადაცემები.



ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება ხელს უწყობს აზრის ინერტულობასა და დაჩლუნგებას. სახელმწიფო ძალა-უფლება მონოპოლიზებულია ორ ბურჟუაზიულ პარტიას შორის, რომლებიც, გარდა სახელწოდებისა, ყველაფერში ერთმანეთის მსგავსია. ყოველგვარი ოპოზიციური დაჯგუფება მაგნებლურად და ძირისგამომთხრელად არის გამოცხადებული.

პიროვნების უგულვებლყოფა, ლიალიობის შემოწმების დამამციარებელი სისტემა, არაკონსტანტობა, პროფესორებთან კონტაქტის უქონლობა, უაზრო ცერემონიალური და რიტუალური წესები და განაწესები, აი რა ხედვა კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში ახალგაზრდობის იმ ნაწილის, რომელსაც შესაძლებლობა აქვს განაგრძოს სწავლა.

მომავალ იურისტებს, ექიმებს, ინჟინრებსა და პედაგოგებს ამოწმებენ პოლიტიკურად და სოციალურად. ახალგაზრდა სპეციალისტს შეუძლია იმუშაოს სახელმწიფო დაწესებულებებსა და კერძო კორპორაციებში მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემოწმდება მისი ლიალიობა, მაგრამ ამ დამამცირებელი პროცედურის გავლის შემდეგაც ერთადეაქრებთ ვერაინ უყურებს მომავალს. ერთი გაუფრთხილებელი სიტყვა, დამენა, ან ისეთი წინდაუხედავი ნაბიჯი, როგორცაა პაეფისტა შეკრებაზე დასწრება, შესაძლოა დამლუპველი აღმოჩნდეს კარიერისათვის.

მაკარტიზმის თარეშმა (განსაკუთრებით ორმოცდაათიან წლებში), „გრძნულელებზე ნადირობამ“, ლიალიობის შემოწმებამ, კანგრესის კომისიის მიერ წარმოებულმა გამოძიებებმა, შავმა სიებმა და მძაფრმა რეაქციულმა პროპაგანდამ დააშინა ამერიკის საზოგადოების ფართო წრეები, მათ შორის ახალგაზრდობა. ამ ათიოდე წლის წინათ ტერორისა და „ცივი ომის“ ატმოსფერომ ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოშვა ახალგაზრდობის გზაბნეული წარმომადგენლები — ბიტნიკები. ამერიკის, უფრო მოგვიანებით კი დასავლეთ ევროპის ქალაქები აივსო ექსტრავაგანტურად ჩაცმული, თმაჩიჩილი ქაბუკებითა და ქალიშვილებით, რომელთაც თან გაუხურეო ელექტროგიტარები დაქმნოდათ. მათ შიშის ზარს სცემდა თერმობიბიოთული კატასტროფათა გარდუვალობა, ცდილობდნენ თავი არ დაემძიმებინათ ცხოვრებაზე ფიქრით და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით. „იმზიარულე, ვიდრე ცოცხალ ხარ“, ასეთია ბიტნიკების დევიზი. ისინი არ ელტვიან იდეალებს, უქმად დაეხეტებიან, ჰამენ, ცეკვავენ, ჩხუბობენ, ერთმანეთს ეტრფიან, მაგრამ ამ მოჩვენებითი გულგრილობის მიღმა არ შეიძლება არ დანიახთ პროტესტი ამერიკის საერთო-პოლიტიკური ცხოვრების მიმართ, მართალია, ნეგატური და შეუფხვამელი, მაგრამ მაინც პროტესტი.

ამერიკელმა ახალგაზრდობამ თავის პოლიტიკურ ლეთარგიას. და ხმა შეუერთა იმ მოწინავე ადამიანებს, ვინც აკრიტიკებს არა მარტო მთავრობას, არამედ ქვეყნის მთლიან სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას, მაგრამ მმართველი წრეები ვითომდა ვერ ამჩნევენ ამას და ცდილობენ ბიტნიკები გაანცხადონ, თავისულ ბეშეხად წართვევისახონ. „ბუნტი ბუნტისათვის,“ ასე უწოდებენ ოფიციალურად მათ მოქმედებას.

ამერიკელი. ახალგაზრდობის თვითშეგნების ზრდა, მისი მზადყოფნა — იმოქმედოს ისე, როგორც უკანახებს სამართლიანობისა და ჩაგრულთა მიმართ სოლიდარობის გრძობა, გამოწვეულია არა იმით, რომ მოისპო ის პირობები, რომელიც იწვევდა მათ პოლიტიკურ აპათიას, არამედ მით, რომ თვით ამ პირობებმა ვერ გაუძლეს ცხოვრებისეულ გამოცდას. ცხოვრება ხომ ყოველ ფესვის ნაბიჯზე ააშკარავებს იმ იდეათა უტუსურობას, ოჯახი, სკოლა და ეკლესია რომ უნერგავს მოზარდ თაობას.

ახალგაზრდობის აქტიუმა მონაწილეობამ საპროტესტო მიმართაბაში, მისმა კრიტიკულმა დამოკიდებულებამ მმართველი წრეების მიმართ, შეუძლებელია არ ააღლევოს ვაშინგტონი, რადგან იმაზე, თუ რა პოლიტიკურ იდეალებს აირჩევენ დღევანდელი ჰაბიტები და ქალიშვილები, ან როგორი მონდობებით იბრძობებენ მათ გასახორციელებლად, დამოკიდებულია ქვეყნის მომავალი, მისი საზოგადოებრივი თუ სოციალური სისტემის ბედი. როგორი ოფიციალური ინტერპრეტაცია ექლევა ამერიკის ახალგაზრდობის პოლიტიკურ აქტიუობას?

სახელმწიფო მოღვაწეები, ბურჟუაზიული ფილისოფოსები, პუბლიცისტები და ჟურნალისტები თავის მრავალრიცხოვან ვერსიებში ცდილობენ შეამცირონ სოციალური კრიზისის ამ შემსუფთოებელი სიმპტომების ნამდვილი მნიშვნელობა. ასეთია საყოველთაოდ მიღებული ტრაფარეტი, ამერიკელი პროპაგანდის ეს თავისებური მზა კლიშე.

მაგალითისათვის განვიხილოთ ჟურნალი „ამერიკის“ 1967 წლის დეკემბრის ნომერი. იგი მთლიანად ეძღვნება ახალგაზრდა ამერიკელების ცხოვრებასა და სულიერ განწყობილებას. ჟურნალი ისწრაფვის ჩაუნერგოს თავის მკითხველს აზრი, რომ მშობლებს არ აშთოთებთ მუხამხე ახალგაზრდობა. უფროს თაობას სჭარა ძველბური კოვბოური ანდაზისა: „ცელქი კვიცისაგან, კარგი ცხენი დადგებაო“. უფრო მეტიც, თურმე ნუ იტყვის და, მშობლებს კიდევაც მოსწონთ ეს თავისი ჭირვეული და მყვირალა ნაშთებია.

ცხოვრების სიბრძნით გამობრძმედილ უფროს თაობას მიაჩნია, რომ მღელვარება და სიახლისადმი ლტოლვა ახალგაზრდობის განუ-



ყრელი თვისება. „სიკაბუტეში ყველას აქვს პერიოდი, როცა სისხლი ძალმოდ ჩქეფს ძარღვებში, როცა აღამიანს ცა ქუდად არ მიანინია და დედამიწა ქალამნად“, — ამბობს შეკავალი წერილის ავტორი და უფრო მეტი დამაჭარბლობისათვის იმორწმუნს სიკრატეს სიტყვებს: „ახლანდელი ახალგაზრდა შეჩვეულია ფუფუნებას, ნებიერ ცხოვრებას, ცუდი ყოფაქცევისა, სძავს ავტორიტეტები და პატივს არ სცემს უფროსებს, ბავშვები ეკამათებთან მშობლებს, ხარბად ნთქავენ საშუალებს და გულს უწყრილებენ მასწავლებლებს.“ მაგრამ ცუდი ყოფაქცევა და ურჩობა ერთი, საბროტესტო დემონსტრაციებასა და სამოქალაქო ომებში მონაწილეობა კი — მეორე, მათ შორის დიდი განსხვავებაა.

ოფიციალური ვერსიის თანახმად, ბუნტარული სულით ყველა როდია გადენილი, ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი თითქმის უღრმედად შეპყრებებს ვარემუფთარებას და მშვიდლ მიპყვება ცხოვრების დინებას. სწავლობენ, შრომობენ, ოჯახებთან, კვლში უღვანან უფროს თათბას. „ესენია ჩვენი ქვეყნის საფუძველთა საფუძველი, ტრადიციების განმგარძობანი, სიცოცხლისა და პროგრესის დაუშრეტელი წყარო“, — პათეტურად ამბობს ზემოთაღწნული წერილის ავტორი. ტექსტს თან ახლავს საგანგებოდ შერჩეული ილუსტრაციები ახალგაზრდა ამერიკელთა ცხოვრებიდან. ეს ის ახალგაზრდობაა, საყოფარ ნაქუქში რომ არის ჩაეკტილი. მისი სამყაროა: ფერმა, ოჯახი, სამსახური და, რასაკვირველია, ავტომანქანა, დაე, თუნდაც ნახშირი. „მე მიყვარს ჩემი ძრახები“, — ამბობს მომავალი ფერმერი სტენლი. სემინარიელი მაიკლი ცხოვრების მიზანს ღვთისმსახურებაში ხელავს. ხელოსან ბაგროვსკის ყველაზე მეტად მანქანების შეკეთება იტყვის, საკმაოდ ცნობილი მხატვარი ქალი ბეტის ჯონსონი გადაჭრით აცხადებს: მინდა ჩემს საკუთარ სამყაროში ვიცხოვრო.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ეურნალს ამ ახალგაზრდებთან ერთად გამოკყავს უნივერსიტეტის სტუდენტი, ოცდაორი წლის ზანგა რ. ლინდსი, რომელიც აქტიურად იბრძვის შავკანიანთა უფლებებისათვის: მონაწილეობს საბროტესტო დემონსტრაციებში, ემხარება ქალაქის ჯორდმულელებში მცხოვრებ მოსწავლეებს და სხვა. ეურნალი ხაზს უსვამს ლინდსის სიტყვებს: ჩემს ბავშვობაში ზანგების მდგომარეობა არასახბიელო იყო. მაგრამ მწიგნობა ამას ვერწმუნოთ. ვინ დაიჭერებს მისს, რომ ამჟამად ამერიკაში ზანგების მდგომარეობა გაუმჯობესდა. ამას უარყოფს თვით ფაქტები რ. ლინდსის ცხოვრებიდან: დაბატმრეობანი დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის, ქუალუს-კლანელთა მიერ მოწყობილი თარეში და ხოცვა-ჭლეტა და ა. შ.

რადგან შეუძლებელია გვერდი აუხვიოს

იმ ფაქტს, რომ ახალგაზრდობას გარკვეული ნაწილი უარყოფს არსებულ წყობილებას, ბურჟუაზიული პრობაგანდა ცდილობს, რამდენადაც შესაძლებელია, გააკეთილშობილოს მათი საქციელი, ან უეიდურეს შემთხვევაში, პიპის სახელით მონათლოს ისინი.

პიპებს უწოდებენ იმ ახალგაზრდა ამერიკელებს, რომელთაც თავი მოაბეზრა ნაქებმა ბურჟუაზიულმა ცხოვრებამ. ისინი გაერთიანებულნი არხან სხვადასხვა კორპორაციებში და ქალაქის განსაზღვრულ კვარტალებში სახლობენ, გამოსცემენ ოცდახუთი დასახელების გაზეთს, რომელთა საერთო ტირაჟი 264 ათას ეგზემპლარს შეადგენს. პიპები უახსაცხადებენ შრომასა და ხელფასზე, არად ავღუბენ კომფორტს, ყურადღებას არ აქცევენ ჩაცმულობას, თუმცა ერთი გამონაკლისით, ეს გახლავთ შარვალი, შეიძლება ითქვას, ჭაბუკებისა და ქალიშვილების თეატრიული ჩასაცმელი. ამ შარვალს თქოებზე ჩამოწეულს ატარებენ. ინგლისურად „hip“ ნიშნავს თქოსს, სწორედ აქედან წარმოიშვა სახელწოდება „პიპის“. პიპების თავყანისცემის საგანია მწერალი კენ კესი, რომელმაც გაერთიანა მათი მითარობა. პიპებს ლოზუნგია: „სიყვარული უდიდესი ძალაა“. სიყვარულის მეოხებით აბირებენ სიძულვილის განდევნას და ცხოვრების სრულყოფას. ოფიციალური პრობაგანდა პიპებს უწოდებს უსაქმურობით ვაზულექებულ, თავყასულ ანარქისტებს. მაგრამ პიპების მოძრაობის ასეთი ინტერპრეტაცია არ არის სწორი, არც ობიექტური, განზრახ არის გამახვილებული ყურადღება მათ ისეთ მცენებებზე, როგორცაა: „იუსტ ქრისტე უილდო იყო“. ან „შეშლილობა შეიძლება ერთობად იქცეს“, რათა თავი აარიდონ სოციალური პროტესტით აღსაყე ლოზუნგებს. „შვიდობა ვიეტნამში“, „გახსოვდეს, რა ჩაიდინა ჰიტლერმა“, „ნუ ვანგრევთ, ვაშენოთ“.

რა თქმა უნდა, შეიძლება სასაცილოდ გვეჩვენოს ამ ახალგაზრდების ჩაცმულობა, ინდური ყელსაბამები, ან ზენ-ბუდისტთა ავგაროზები, მაგრამ შეუძლებელია უარყოფა იმ ფაქტისა, რომ პიპები მონაწილეობენ პროტესტის ნიშნად გამართულ დემონსტრაციებში. ცნობილმა ამერიკელმა კინორეჟისორმა უილიამ ზინზერმა სან-ფრანცისკოში მონახულა პიპების კვარტალი ჰეიტ-ამბერი. რის შემდეგაც ერთ-ერთ ეურნალში წერდა: „მე ვგრძობობდი, რომ ყველა ამ უცნაურობათა მიღმა იმალებოდა რაღაც მტანჯველური იდეა“.

ბიტნიკებისაგან განსხვავებით, პიპები პასიურად როდი აღიქვამენ ცხოვრებას, არც აქტიურ ოპოზიციას არიღებენ თავს. მათ ვერ

**ლევან მატარამა**

ამერიკის ბუნტარული ახალგაზრდობა



მონათლავ „ნიჰილისტებად“, რადგან უბრალოდ კი არ უარყოფენ თანამედროვე საზოგადოებრიობას, არამედ ცდილობენ მის შეცვლას. ჰიპების ერთ-ერთ მანიფესტში ნათქვამია: „ჩვენ უნდა გავაერთიანოთ ჩვენი რესურსები და საერთო ძალით უზრუნველყოთ ყველა პირობა ინდივიდუალური აქტივობისათვის“.

ჰიპების აზროვნება დანავიანებულია ნეოკონსტიანული მორალით, ყოველსაშემდეგ სუვერულთა და აღკვეთებით, მაგრამ მაკრო სინამდვილე ამსხვრევს მათ მყიფე იდეებს. პოლიციელები, რომელთაც ევალებათ დემონსტრაციების დაშლა, ფეხქვეშ თელავენ არა მარტო ყვავილებს, რომელთაც ჰიპები მათ ეგებებიან, არამედ მათ გულუბრყვილო იდეებსაც სუვერულის მეოხებით ქვეყნის გარდაქმნაზე. ვინ იქნება თავმდები იმისა, რომ ეს ახალგაზრდები, შტეფან ცვივის სიტყვებით რომ ვთქვათ, ხვალ მუშტით არ შეეცდებიან მოიპოვონ ის, რაზედაც ამდენ ხანს უარს ეუბნებოდნენ მათ მორჩილად გაწვდილ ხელებს. მაგრამ ახალგაზრდობას შორის მარტო ჰიპები როდი აყენებენ ექვემდებარების ანტიპოლიტიკურ სისტემას, ტონინი ამბობდა: „მე ჰიპებს შევადარებდი აისბერგის ერთ მეთედს, რომელიც წყლის ზემოთ მოჩანს. მხედველობაში მყავს ახალგაზრდობის ის წარმომადგენლები, რომლებიც თუმცა დემონსტრატულად არ გამოხატავენ თავიანთ უზედულუბნებს, მაგრამ უფროსებისაგან განსხვავებით, სულ სხვა თვალთ უყურებენ დღევანდლობას. ყოველდღიურ ცხოვრებაში ნორმალურად უტყრავენ თავი და ასე შემდეგ, მაგრამ არ აკმაყოფილებთ მშობლების იდეალები, მათი მიზნები და მიმართულებები.“

ახალგაზრდობა ზიზღით ლაპარაკობს უფროსების იდეალებზე, თუმცა სიტყვა „ზიზღი“ აქ საკმაოდ მკაფიოდ ვერ გამოხატავს სათქმელს. სჯობდა მეტყვა, სასვებით უგულუბელყოფენ ამ იდეალებს-მეთქი.

ჭურნალ „ამერიკის“ 135-ე ნომერში ერთ-ერთი ავტორთაგანი, კერძოდ, დოქტორი ნორმან ე. ზინბერგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამერიკელი ახალგაზრდობის პოლიტიკური აქტივობის ზრდა შედეგია იმისა, რომ მას გაელვია მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გარნობა საზოგადოების წინაშე, და რომ იგი დაუმბრუნდა „თავის მოვალეობათა შესრულებაში“. მაგრამ იმ იდეას, რომელსაც გვიხატავს მისტერ ზინბერგი, თავზაზანად რომ ვთქვათ, არაფერი აქვთ საერთო ამერიკის დღევანდელ ნეოლით მოცულ ცხოვრებასთან. თუ ამერიკელი ახალგაზრდობის მოძრაობა ნიშნავს იმისა, რომ ჰიპოკრიზმა და ქალიშვილებმა შეიგნეს თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა, მაშინ რატომ არსად ჩანს სადღესასწაულო ფანფარები, რატომ არავენ უკრავს ტაშს, რად ისინი

პოლიციელთა საყვირის გამყიფიანი ხმაურის ხედებიან მშვიდობიან დემონსტრაციებს ხელკეტებითა და თოფის კონდაცხებით ქუჩებში თუ უნივერსიტეტებში? გავისწავლოთ თუნდაც სტუდენტთა მასობრივი დაპატიმრებანი კალიფორნიაში, ლოს-ანჯელესის ტრაგედია გასული წლის ოქტომბერში, ვაშინგტონის ასი ათასიანი დემონსტრაცია, რომელიც სისხლში იქნა ჩახშობილი...

ბურჟუაზიული პროპაგანდა მოჩვენებითი გულგრილობით აცხადებს: თუმცა ახალგაზრდულმა მოძრაობამ ამერიკაში თავის აპოკავს მიადწია, მაგრამ იგი არ იწვევს შიშს, რადგან ეს უკვე განვლილი გზის გამოკრებას ნიშნავს. „ადამიანისათვის ბუნებრივია, — მონტროული ტონით გვარიგებს ჰქუის ზინბერგი — დროდადრო დაუბრუნდეს განვილის და ყოველთვის როდი ითვალისწინებს წარსულის შეცდომებს და გამოცდილებებს“. ერთი სიტყვით, ჯერ ყმაწვილური ჰქუა სქარბობს, დროთა ვითარებაში ახალგაზრდული ბუნებრივი სული დაცხრება, მაჰარი დადუღდებაო, ეს აზრი წითელ ხაზად გასდევს ჟურნალ „ამერიკის“ აღნიშნულ ნომერს.

ბურჟუაზიული სოციოლოგები აღიარებენ, რომ ახალგაზრდული მოძრაობა არ ნიშნავს მხოლოდ „ბუნტს ბუნტისათვის“, მათ ესმით, რომ ეს თაობა კიდევ „რადიკისათვის“ იბრკვის და ცუდად დაფარული უკმაყოფილებით აღნიშნავენ: მათ საკმაოდ ნათლად არა აქვთ წარმოდგენილი თავიანთი იდეალებიო. დიახ, ახალგაზრდულ მოძრაობას ამერიკის შეერთებულ შტატებში არა აქვს ერთიანი ბაზა. ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი ცუდად ეტყვევა საზოგადოებრივი განვითარების კანონებში. დამარბმეული და გზის მიმცემი იდეების ძიებაში იგი მიმართავს სხვადასხვა მოძღვრებას: ბუღიზმს, ნეოკონსტიანისმს, განდღიზმს.

ისტორიის გამოცდილება მოწმობს, რომ სტიქიურობა და ერთიანი პლატფორმის უქონლობა — კანონზომიერი მოვლენაა საზოგადოებრივი ბრძოლის პირველი ეტაპებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატებიც ამ მხრივ არ წარმოადგენს გამონაკლისს. მთავარია ის, რომ ამ ქვეყნის ახალგაზრდობა ბირმინჰემში და სან-ფრანცისკოში უფრო ადრე აცხადებს იმ მებრძოლთა რიგებს, ვინც ილწვის ზანგთა უფლებებისათვის, არ იხლართება სიცრუის ქსელში და არ უტყვს მხარს მმართველი წრეების ანტიტურისტს. პოზიკია, რომელიც აირჩია ამერიკის ახალგაზრდობამ სოციალურ კონფლიქტში და ის შემართება და სიმტკიცე, რომლითაც იგი ამ პოზიციას იცავს, საწინდარია იმისა, რომ შეუწყებსა და ქალიშვილებს სწორად ეამოთ თავიანთი მოვალეობა საზოგადოებისა და საშობლოს წინაშე.

# საქართველოს მუზეუმის „სისკაუი“

რომან კვიციანი

## ელიზე რეკლიუ და იონა ბეუნარბია

მსოფლიოს გამოჩენილი გეოგრაფი, XIX საუკუნის ფრანგული გეოგრაფიის მამამთავარი და „გეოგრაფიული მატერიალიზმის“ თვალსაჩინო წარმომადგენელი ელიზე რეკლიუ (1830-1905 წწ.) მეცნიერების ისტორიაში ცნობილია, როგორც კომპლექსურ-გეოგრაფიული აღწერის უბაღლო ოსტატი. ამ მხრივ იგი გეოგრაფიის ისტორიაში მხოლოდ ალექსანდრე ჰუმბოლდტს თუ ჩამოუვარდება. 1875-1894 წლებში მან გამოაქვეყნა „მსოფლიო გეოგრაფიის“ 19 ტომი, რომელშიაც მიზნად დაისახა შეესწავლა და აეწერა დედამიწის ყველა რაიონი. ამ შრომას იგი 20 წლის განმავლობაში ქმნიდა. მონოგრაფიის 10 ტომი ავტორმა მიუძღვნა ევრაზიის კონტინენტსა და მასში შემავალ ცალკეულ რეგიონებს.

ბუნებრივად, რომ ე. რეკლიუ თავის შრომაში მნიშვნელოვან ადგილს დაუთმოდა კავკასიას, როგორც ევროპასა და აზიას შორის გარდამავალ ზოლს, კერძოდ, საქართველოს. იგი საერთოდ ბევრს მოგზაურობდა. აღნიშნული მონოგრაფიის შექმნის მიზნით მან მრავალრიცხოვანი გეოგრაფიული ექსპედიცია ჩაატარა დედამიწის სხვადასხვა რაიონში, მაგრამ კავკასია ამ მხრივ მისთვის უცნობ მხარეს წარმოადგენდა.

იმ ქვეყნების შესახებ, სადაც თვითონ არ ჰქონდა ჩატარებული სავსე კვლევა-ძიება, მასალები უკმარობას ე. რეკლიუ კორესპონდენტების გზით იგებდა. მისთვის საინტერესო მონაცემების, ციფობრივი თუ სხვა სახის მ ჩვენებლების მოპოვების მიზნით იგი მიმოწერას აწარმოებდა ბევრი ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერებთან და მწერლებთან.

საქართველოსა და კავკასიის შესახებ მასალებს ე. რეკლიუ ღებულობდა ცნობილი ქართული მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის იონა ბეუნარბიასგან (1852-1919 წწ.). ამ ფაქტს ადრე ყურადღება მიექცია აწ განსვენებულმა ქართველმა მეცნიერმა, გეოგრაფი-

ის ისტორიის დიდმა მცოდნემ პროფესორმა გიორგი ვებტმანმა.

ე. რეკლიუს წერილიდან ჩანს, რომ დიდ ფრანგ მეცნიერს, ნაცნობობა და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს სახელოვან მწერალთან, ქართული ეროვნული ისტორია-ლიტერატურის დიდ მცოდნესთან ი. ბეუნარბიასთან.

საინტერესოა წერილის შინაარსი: „ბატონო, დიდი მადლობელი ვარ თქვენი იმ დახმარებისათვის, რომლის გაწვევასაც აპირებთ ჩემი შრომის გასაადვილებლად. ჩვენი მეგობრული ურთიერთობა გამბედაობას მამძებს, შემადგომშიაც ვისარგებლო თქვენი დახმარებით.“

გუშინ თქვენს წერილთან ერთად მივიღე „კავკასიის კალენდარი“ 1880 წლისა („კავკასიის კალენდარი“ გამოდიოდა 1846 წლიდან 1917 წლამდე ყოველწლიურად, რუსულ ენაზე თბილისში, სულ გამოსულა ამ ეტრნალის 72 ნომერი. რ. კ.). ამიერკავკასიის ტიპებისა და ადგილმდებარეობის სურათები კი, რომელთა შესახებაც თქვენ იტყობინებით, ჯერ არ მიმიღია. ვიმედოვნებ, რომ მე მათ მივიღებ. ტფილისისა და კლარენის შორის რამდენიმე დღით დაგვიანება არაა დიდად გასაკვირი (კლარენსი ენევის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირას მდებარე პატარა კურორტია. აქ ჰქმნიდა ელიზე რეკლიუ თავის ცხრამეტომიან შრომას. რ. კ.).

მე განსაკუთრებით მჭირდება წიგნები გეოლოგიაში, ზოგად გეოგრაფიაში, ტოპოგრაფიასა და სტატისტიკაში. ისტორია მე იმდენად არ მჭირდება, ვინამდენ ჩემი თხზულებანი ისედაც დიდია და მეშინია, ისინი კიდევ უფრო დიდი მოცულობისანი არ გახდნენ.

რა წიგნებაც კი გამოვიდა კავკასიის შესახებ გერმანულ და ფრანგულ ენებზე, რასაკვირველია, უმოაერესებო, მე უკვე შევიძინე. შევიძინე აგრეთვე რუსულ ენაზე დაწერილი წიგნები და მასალები, თუმცა მათ თავისუფლად ვერ ვი-



თხულობს, მაგრამ საკმაოდ მესმის შინაარსი. აი, ეს წიგნებიც: «ცნობათა კრებული კავკასიის შესახებ», 4 ტომი (უნდა იგულისხმებოდეს «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», გამოდიოდა ტომების სახით, რომლებიც შეიცავდა ძვირფას მასალებს კავკასიის ისტორიისა და გეოგრაფიის საკითხებზე; ანდა «Сборник сведений о кавказских горцах», გამოდიოდა თბილისში 1868-81 წლებში. გამოვიდა სულ 10 კრებული. მათში იმეჭვებოდა ფოტოლორული, ეთნოგრაფიული და სხვა სახის მასალები. რ. კ.); «რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების წერილები», 10 ტომი (Записки Кавк. отдела Импер. Русск. Геогр. Об-ва—КОИРГО, გამოდიოდა თბილისში რუსულ ენაზე 1852 წლიდან ცალკეული წიგნების სახით. რ. კ.); «სტატისტიკური აღწერები... კავკასიის მხარე» (ეს წყარო უნდა იყოს ო. ვეცეკის «Статистическое описание Закавказского края; в 2-х частях. СПб, 1835. რ. კ.); ვლადიკინი — «კავკასიის გზამკვლევი» (М. Н. Владыкин, Путеводитель и собеседник в путешествии по Кавказу, 1-ое изд., М., 1874); კოროლენკო — «შავღველები» (Короленко, Черноморцы, СПб, 1874). წიგნში მოთხრობილია შავი ზღვის სანაპიროს კახაკთა ცხოვრებაზე, მათ სამარ მოქმედებასა და საგმირო საქმეებზე. რ. კ.); სემიანოვის «გეოგრაფიული ლექსიკონი» П. П. Семенов-Тянь-Шанский, Географическо-статистический словарь Российской империи, т. IV, СПб, 1863—85); «რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების უწყებები», 5 ტომი (Известия Кавк. отдела Импер. Русск. Геогр. Об-ва—КОИРГО), გამოდიოდა 1872 წლიდან რუსულ ენაზე ცალკეული ნომრების სახით. ჟურნალში იმეჭვებოდა შრომები, რომლებიც ეხებოდა ძირითადად კავკასიის მხარეს და მის მოსაზღვრე რაიონებს. რ. კ.).

მე ნებას მივცემ ჩემს თავს შევადგინო სია იმ კითხვებისა, რომელთა განმარტება გამიჭირდება. მშობრითავე თქვენ კითხვებით და ვთხოვთ მიმასუხოთ შედეგზე მაინც:

დამთავრდა თუ არა გზის მშენებლობა მამისონის ფელეტეხილზე არღონის ხეობიდან რიონის ზეობაში ვადასასვლელად? (ამ გზის საუღმრუტო ხუზნის პირველი რეკონსტრუქცია 1823 წელს ჩატარდა, ხოლო მისი მშენებლობა თავად ალ. ბარიატინსკის მიერ დამტკიცებული პროექტით, დაწყებულ იქნა 1858 წელს და დამთავრდა მხოლოდ გასული საუკუნის ბოლო წლებში. რ. კ.).

ხომ არ დამუშავებულა ვლადიკავკაზიდან ტფილისამდე კავკასიონის ქვეშ გვირბის გაყვანის პროექტი? (იგულისხმება ტრანსკავკასიის

საუღმრუტეხილო რკინიგზის პროექტი. ამ გზის მშენებლობის იდეა ჭერ კიდევ XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს წარმოიშვა და 80-იანი წლებისათვის მისი გაყვანის 10-დე პროექტი არსებობდა. აღნიშნული საუღმრუტეხილო მაგისტრალის მშენებლობის პროექტები საბჭოთა წლებშიც იქნა შემუშავებული, თუმცა მისი განხორციელების ეკონომიური აუცილებლობა ვერ დასაბუთდა, ვინაიდან იგი არ წყვეტს არც ერთ მსხვილ სახალხო-მეტრეობრივ პრობლემას. რ. კ.).

პარიზიდან თქვენ გამოგვგზავნებთ ჩემი შრომის ყველა საკორექტურო ფურცელი. მე ჩვეულება მაქვს ხელნაწერი ავაწყო ადრე, რათა კვლევის პროცესში შესაძლებლობა მქონდეს მათი გასწორებისა და სათანადო დამატებების შეტანისა. ნაბეჭდში, რომელსაც მიიღებთ, თქვენ ნახავთ ბევრ შეცდომას. სახელები, ციფრები, ფაქტები სწორად არ იქნება აწყობილი. საკორექტურო ფურცლებს კიდევ გადავავლებ თვალს 6-8-ჯერ მაინც, გარდა პირველი თავისა, რომელსაც სულ მალე დავაწერ „ადიბექდოს“.

თუ თქვენ ინებებთ და თვალს გადავავლებთ ჩემს ნაშრომს და შენიშნავთ რაიმე შეცდომას (ან იქნება რაიმე გამომრჩა), დიდად მადლობელი ვიქნები.

მიიღეთ, ბატონო ჩემო, თქვენდამი უღრმესი პატივისცემა, ვრჩები თქვენგან დავალებული და მადლობელი.

ელიზე რეკლუე. 1880 წელი, 30 აპრილი. კლარენსი (შვეიცარია)“. ეს წერილი, ყოველგვარი კომენტარების გარეშე, გამოქვეყნდა 1947 წელს ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომებში.

ზემოთ მოტანილი წერილი გარდა იმისა, რომ გვამცნობს ურთიერთობას გამოჩენილ ფრანგ მეცნიერსა და ქართველ მწერალს შორის, მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ წარმოდგენას იძლევა, თუ როგორ იქმნებოდა ერიკლიუს აღნიშნული ეპოქალური შრომა და, კერძოდ, მისი ის ნაწილი, რომელიც საქართველოს შეეხება, რა წიგნებსა და წყაროებს იყენებდა მისი ავტორი.

წერილიდან ისიც ჩანს, რომ ი. მეუნარგია, თავისი დროის უაღრესად განსწავლული პიროვნება, ჭერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, კარგად იცნობდა საქართველოს ბუნებას, მის თავისებურებებს, ეთნოგრაფიას, არჩევდა და აგროვებდა წიგნებსა და სხვადასხვა სახის მასალებს, უგზავნიდა ფრანგ მეცნიერს, განმარტებებს აძლევდა მას, ღელანში კითხულობდა და ასწორებდა საქართველოს შესახებ დაწერილ შრომას და ყოველივე ამით ცდილობდა საინტერესოდ ყოფილიყო წარმოდგენილი საქართველო ვლიზე რეკლუეს „მსოფლიო გეოგრაფიაში“.

# სინამდვილე და მოთხოვნა

(არამბიტპროზის ჩანაწერები)

მე მინდა შევჩერდე საკითხზე, თუ რამდენად ხელმძღვანელობთ ჩვენ, არქიტექტურულ შემოქმედებითს პრაქტიკაში, იმ იდეური მიზანდასახულებით, იმ თეორიული წინამძღვრებით, რომლებიც ჩვენი არქიტექტურული მუშაობის საფუძვლად არის (ანდა: უნდა იყოს) მიჩნეული. ამრიგად, საკითხი ეხება არქიტექტორის შემოქმედებითს გამიზნულებათა ხორცშესხვას, მათ პრაქტიკულ განხორციელებას. ამისათვის კი ზოგი ცნობილი ანდა შეტყავებად ცნობილი, მაგრამ თანამედროვე არქიტექტორისათვის ამოსავალი დებულების გახსენებაა საჭირო.

არქიტექტურა, პირველყოფისა, არის არამონოფუნქციონალური, არამედ პოლიფუნქციონალური ხელოვნება. ე. ი. არქიტექტურულ ქმნილებაში უნდა ხორციელდებოდეს ორი ფუნქცია — პრაქტიკული და მხატვრული.

პირველს, პრაქტიკულ ფუნქციის, შინაარსი ისაა, რომ ნაგებობა უნდა აკმაყოფილებდეს უტილიტარულ მოთხოვნილებებს: იყოს გამძლე, ეკონომიური, სოციალურ მოთხოვნილებათა შესაბამისი, გედონისტური და ა. შ.

ნაგებობის მხატვრული ფუნქცია ესთეტიკური გრძნობის აღძვრასა, განვითარებასა და გამტკიცებაში მდგომარეობს. ამ ფუნქციის განხორციელება გამოხატავს საზოგადოების ესთეტიკურ დონეს და ამასთანავე, ვასათვალისწინებელია, რომ მომავალში მას შეაფასებენ, როგორც წარსულის მეტყველ ფაქტს.

ცნობილია დებულება: ისაა არქიტექტურული ნაგებობა, რომელიც აღიქმება როგორც „ახალი საგანი“ (მსგავსად, მაგ. სურათისა ფერწერაში) და რომელსაც აქვს ყოფითი სა-

ფუძველი, თუმცა მისი იდენტური არაა. ამიტომ ამბობენ, რომ ნაგებობათა განხილვისას ურთიერთისგან უნდა იქნას გარჩეული თვალსაზრისი ინჟინრისა, თვალსაზრისი ეკონომისტისა, თვალსაზრისი ისტორიკოსისა და თვალსაზრისი არქიტექტორისა<sup>2</sup>.

მართალია, რაც დრო გადიოდა და რაც უფრო ვითარდებოდა არქიტექტურა, ელემენტარსარგებლიანობისა უფრო და უფრო მყავიოდ გამოიხატებოდა, მაგრამ ეს სრულიადაც არანელებდა მისწრაფებას ინდივიდუალურ-მხატვრულ ძიებათაყენ. პირაქით, გადართოვდა ძიებათა არე, ე. ი. არქიტექტორის წინაშე უფრო და უფრო რთული ამოცანები დადგა.

მხოლოდ იმ პრინციპით შემოფარგვლა, რომ ნაწარმოებმა თავისი უშუალო დანიშნულება შეასრულოს, მხატვრულ-ხელოსნურ პრინციპად არის მიჩნეული; ის აზრი, რომ ნაწარმოების ფორმამ უნდა გამოხატოს მხოლოდ თავისი დანიშნულება, რომ საგანი უნდა შეფასდეს მხოლოდ გამოსაღვეისობის თვალსაზრისით, სრულიად უგულებელყოფს მხატვრულ-ესთეტიკურ მიდგომას და მის აღკვეთას მოასწავებს<sup>3</sup>. ამგვარი მიდგომა ძირს უთხრის არქიტექტურას, როგორც ხელოვნებას, არქიტექტორს აქცევს ხელოსნად. და უხეში პრაქტიციზმის ფარგლებში ჩაყვტილი არქიტექტორი, რასაკვირველია, მოყლებულია მხატვრული

<sup>2</sup> Роман Ингарден, Исследование по эстетике, перевод с польского, М., 1962, стр. 204. 212.

<sup>3</sup> მას ჭერ კიდევ ჰეგალი აღნიშნავდა. იხ. მისი. Сочинения, т. XIII М., Соцекгиз, 1940, стр. 163.

<sup>4</sup> ამ რიგის საკითხებს ჭერ კიდევ ერნსტ მოიმიანი ეხებოდა. იხ. მისი „ესთეტიკის შესავალი“. რუს. თარგმანი, ნაწ. II, გვ. 181 და შდგ.

<sup>1</sup> ამის თაობაზე იხ. მგ. М. Коган лекция по марксистско-ленинской эстетике, Л., 1962 г. II, стр. 66 და შდგ.



ფორმის გაცდას, — აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

არქიტექტურის მიმართ მაინც არ შეიძლება ისეთივე პოზიციის დაკავება, როგორც ხელოვნების სხვა დარგებისადმი. კომპოზიტორის ფანტაზიას არსებითად მისი ინდივიდუალური შესაძლებლობანი საზღვრავენ. ასევე პოეტიც, ვინაიდან ბგერათა და სიტყვათა სფერო განუსაზღვრელია. და თუ რამდენად მოხერხდება იქიდან ამა თუ იმ გაცდას შესაბამისი ვაშობა, ეს თვით ხელოვანის შესაძლებლობებზე, მის ნიჭზე არის დამოკიდებული მომეტებულად.

განსხვავებული ვითარება არქიტექტურაში. აქ თვით ინდივიდუალური შესაძლებლობანი განსაზღვრულია სხვადასხვა ფაქტორით, რომელიც მონაწილეობის ვარგე არამც თუ ვერ შეიქმნება არქიტექტურული ნაწარმოები, არამედ ვერც კი წარმოიხსახება ის. თვით უაღრესად უტოპისტურ პროექტებშიც კი ჩანს ამ ფაქტორთა ვამპირობებელი როლი (პროექტთა განუხორციელებლობა მხოლოდ რომელიმე ფაქტორის უგულვებელყოფით ანდა შეცდომითაა გამოწვეული).

ფაქტორთა ეს არაჩვეულებრივი სიმრავლე ართულებს არქიტექტორის შემოქმედებითა სელის გაზას.

არქიტექტურის განვითარების უპირველესი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო და არის მასალის ფაქტორი. რისგან, რა მასალისაგან იქმნება არქიტექტურული ნაწარმოები: ასე მარტივად დასამული კითხვა ახლა წარმოუდგენლად რთულია, რადგან ჩვენმა დრომ მასალათა აუარება სახეობა მოიპოვა და შექმნა. არქიტექტორმა უნდა იცოდეს ამ მასალათა თვისებები და თან ეცადოს დაიცავს მხატვრობა მისადრწევად აუცილებელი და ძველთაგანვე საჭირო წესი, რომ ნაწარმოებმა, რამდენადაც შესაძლებელია; გამოხატოს თავისებური ბუნება მასალისა და მისი დამუშავების წესისა!

ამ მასალის გამოვებისა და დამუშავების დონე, ტექნიკური განვითარების დონე, პირდაპირ გავლენას ახდენდა და ახდენს არქიტექტორის ინდივიდუალურ შესაძლებლობათა განხორციელებაზე. ამ მიმართულებით ჯერ ისაა აღსანიშნავი, რომ ჩვენი სამშენებლო ტექნიკის დონე ვერ მისდევს საზოგადოებრივი აზროვნების, მისი ეკონომიური მოთხოვნების, მისი ესთეტიკური განვითარების დონეს. რიტმი, რომელიც გამოწვეულია ინდუსტრიალიზაციით, იცვლის მოხმარების საგნების მუდმივ და სწრაფ ფუნქციას. ასეთი ტემპი არქიტექტორისაგან თხოვლობს სწრაფი ორენტაციის უნარს და წინდახედულებას. მკვეთრად იცვლება მასშტაბი —

რაოდენობრივი, ხარისხობრივი. დღემდე ტორის თავის შემოქმედებით მუშაობაში კონტროლისა და კორეგირების უფლებით ჩართულია აქვს მონაცემები და პროგნოზები, მაგ. სოციალოგიისა; ის ტრანსპორტიდან დაწყებული ითვალისწინებს გართობა-დასვენების სახეობებს და კიდევ მთავალ სხვას, რათა პროექტმა რამდენადმე მაინც უზასუხოს დღევანდელი და უახლოესი მომავლის საჭიროებას.

ტექნიკის განვითარება ყოველდღე ახალ მოთხოვნებს უყენებს არქიტექტორს, სწრაფად იცვლება ვაშობის, კონდენცირების თუ განათების სხვადასხვა სისტემები; იხსნება ახალი ტექნიკური შესაძლებლობანი. ერთი სიტყვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ თანამედროვე ხანაში ინჟინერთა თითქმის ერთგვარი დამოუკიდებლობა მინატკა და ინჟინერმა ძველი არქიტექტორის ბეგრი ტვირთი ატვირა. შეიქმნა ყალბი თვალსაზრისი, რომ არქიტექტორს ნაგებობის გარედასახვა მხოლოდ მხატვრობის, მხატვრობის, მისი სხვადასხვა მხარის სისტემაში, წესრიგში მოყვანის ამოცანაა დარჩა.

როგორც ჩანს, რიგი პრობლემებისა და დავა და მათი გადაწყვეტის აუცილებლობა ცხოვრების პრაქტიკამ გადაუდებელ მოთხოვნად აქცია.

ტექნიკის თვალსაზრისით არსებობს ეკონკრეტული ნაგებობა და არ არსებობს გარემო, ხედი და თვით მხატვრობის სახე ნაგებობისა; ტექნიკისათვის არ არსებობს თიკური მოთხოვნები, რომელთაც ნაგებობა უნდა აკმაყოფილებდეს და არქიტექტორის ეს თეტიკური მიზანსწრაფვა სრულიად უცხოა მისთვის. ტექნიკური ინჟინერის არ შეუძლია დაინახოს ქალაქი მთლიანად, — როგორც სოციალური შინაარსით დატვირთული ცოცხალი ორგანიზმი; მას არ ძალუძს მთელი ქალაქის თვალთ შეხედოს ცალკეულ ნაგებობას, მთელი თვალსაზრისით გაითვალისწინოს მისი საჭიროება და პირიქით, ცალკეული ნაგებობის საჭიროებანი მთელი ქალაქის შესაძლებლობებს შეუფეროს; ტექნიკურ თვალსაზრის არ შეუძლია დაამყარდეს თანამედროვე ქალაქგეგმარების ის ფუნდამენტური მნიშვნელობის პრინციპი, რომ შინაგანი სისტემატურობის პირობებში დაიცივას ქალაქის ნაგებობათა მრავალფეროვნება, — პრინციპი; რომლითაც ადამიანი ხელმძღვანელობდა ადრეც და ერთფეროვნების საფრთხის წინაშე მდგომ თანამედროვე ადამიანს პირდაპირ საარსებო პრინციპად რომ გადაქცევა.

ამ მოთხოვნებს უნდა უზასუხოს თანამედროვე არქიტექტურამ. მან უნდა შექმნას ცხოვრების ისეთი პირობები, როდესაც ადამიანი უზრუნველყოფილი იქნება ჟანგბადით, მზით, ჭოღესაც მოიხსნება მისი დასვენებისა, მყუდრო-

1 იხ. მოიძინის დისახ. წიგნი, გვ. 175.





ბისა და ადამიანთა თანაცხოვრების ხელისშემშლელი ფაქტორები, როდესაც თვალი დატკეპება საგანთა ფორმით და არაფერი შეაფერხებს ფაქტს განცდათა წარმოშობას.

ყველაფერი ეს უნდა გაითავალისწინოს არქიტექტორმა და ეს ნიშნავს, რომ მან უნდა ისახროლოს არა მარტო ზუსტ და ტექნიკურ მცენიერებათა მონაპოვარი, არამედ ისეთ ჰუმანიტარულ დარგთა მონაცემებითაც, როგორცაა, პირველყოვლისა, სოციოლოგია, ესთეტიკა-ეთიკა.

ასეთი მიზანდასახულება აპირობებს ჩვენთვის ამოსავალ დებულებად მიჩნეულ აზრს, რომ „არქიტექტურა არ განისაზღვრება კონკრეტული ჩანაფერებით და ის არ შეიძლება მართებულად შეფასდეს მხოლოდ და მხოლოდ სამშენებლო სამუშაოთა მასშტაბით და მისი წვილი არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ ეკონომიური მიზანშეწონილობით“.<sup>1</sup>

უძველესი, რომ არქიტექტორისათვის სრულიად არ არის საკმარისი სხვადასხვა მონაცემთა თავმოყრა. ეს მხოლოდ მასალა იმისათვის, რათა მიგნებულ იქნეს ამ მასალის მიზანშეწონილი კომბინირების ფორმა; უფესნება გზა არქიტექტორის შემოქმედებით უნარს და ჩნდება სარბიელი მისი ინდივიდუალური შემოქმედებითი პოტენციის გამოსამქლავებლად; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი ნამდვილ არქიტექტურულ მუშაობაზე, მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი, რომ არქიტექტორმა მაღალ შემოქმედებით დონეზე განახორციელოს დასახული ამოცანა.

ასეთია ვითარება, მაგრამ, როგორც ჩანს, უწყებრივმა პრაქტიკამ რამდენადმე შეუღტია არქიტექტურულ ხელოვნებას, მის შემოქმედებითის საწყისს. მაგრამ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ საქმე მხოლოდ ისე, თითქოს არქიტექტურთა საქმად დიდი შემადგენლობა ენერგიულ და საქირო თავდაცვაზე იყოს გადასული. ხსავასამეული ფაქტია, რომ არქიტექტორები გარკვეულ ინდიფერენტისმს ვიჩენთ, გულგრილი ვართ მათ შინ, როცა ჩვენს პროფესიულ დონეს უგულვებლყოფდეთ. თვით ჩვენ, არქიტექტორები — რომლებიც უნდა ვიცავდეთ არქიტექტორის, როგორც ხელოვნების ერთი დარგის, პრესტიჟს, — ევაგუებით უხეშ პრაქტიციზმს, თითქმის უბრძოლველად მივდივართ დამომაზე დამკვეთთა, მშენებელთა მოთხოვნების დაქმნაყოფების ეასა და ამგვარად, ხშირად თვით არქიტექტორებიც ხელს ვუწყობთ არქიტექტურის დამარცხებას ჩვენს პრაქტიკაში.

ყველაფერს, რაც აქამდე ითქვა, ზოგადი თეორიულ-ლიტერატურული ექსკურსის დანიშ-

ნულება კი არა აქვს, არამედ ჩვენი დედაქალაქის არქიტექტურთა სადღეისო საქმიანობასთან, მათ მტკივნეულ აწმყოსა და მომავალთანა დაკავშირებული.

რა ვითარებაა თბილისში? საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ თუ უნიკალურ თბიექტთა მშენებლობის მხრივ მდგომარეობა შედარებით ნორმალურია, ეს არ ითქმის საბინაო მშენებლობის შესახებ. ეს ძალზე მტკივნეული საკითხია საგანგებო ყურადღებას საჭიროებს. საქმე ისაა, რომ ქალაქის საერთო სახეს ყოველთვის განსაზღვრავდა და განსაზღვრავს საცხოვრებელი სახლი. თბილისი არასოდეს არ ყოფილა მხოლოდ ნარიყალა და მეტეხი. ეს იყო ქალაქი გაშენებული მოაგორიან რელიეფზე თავისებური, მხოლოდ თბილისისათვის დამახასიათებელი, სახლებითა და ქუჩებით. სწორედ ესაა პირველი და უმთავრესი მიზეზი იმ წარუშლელი შთაბეჭდილებისა, რომელსაც იგი ტოვებს.

დღეს საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მასშტაბი ჩვენს ქალაქში ძალზე გაიზარდა. როდესაც შენდებოდა საბურთალოს, დიდისა და ნავთლელის მასივები, არქიტექტურთა საზოგადოების დამოკიდებულება მათ მიმართ შედარებით გულგრილი იყო. ეს ტერიტორიები ითვლებოდა ქალაქგარეთად და პროექტირებაცა და მშენებლობაც ექსპერიმენტირების გარკვეულ ელემენტს შეიცავდა. თუმცა, როგორც ხედავთ, ახლა ეს მასივები აქტიურადაა ჩართული ქალაქის რეაგანში.

ამჟამად ჩვენს წინაშე დგას ქალაქის ცენტრალური რაიონების რეკონსტრუქციის პრობლემები. დღეს ახალი საცხოვრებელი სახლი უკვე იჭრება ქალაქის რეკონსტრუქციის ზონებში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ძირითადად ხორციელდება ტპობრივი პროექტების მეშვეობით, და რომ ინდივიდუალური პროექტირების დროსაც ძალზე შეზღუდული პირობებია, არასახარბიელო სურათი წარმოგვიდგება. ფაქტიურად ჩვენ ვერ არა გვაქვს რეალური პროექტები საცხოვრებელი სახლებისა, რომლებიც სახეებით გაითვალისწინებენ ჩვენს საზოგადოებრივ მოთხოვნებს, გაითვალისწინებენ იმ ბუნებრივ პირობებსა და რელიეფის თავისებურებებს, რომლებიც ყოველთვის იყო და არის არქიტექტურის დასაყრდენი და ძირითადი ამოსავალი წყარო.

ხელისშემშლელი პირობები კი ბევრია. დამკვეთთა ძუნწე ძუნწი მონაცემები, მატერიალური მხარის არაწვეულებრივი შეზღუდულობა, ძალზე აჩქარებულ ტემპი პროექტირებისა და მშენებლობისა, რომელსაც სამშენებლო ტექნიკა ვერ პასუხობს. ასეთ სიტუაციაში არქიტექტო-

<sup>1</sup> В. Локтев, «Предисловие к русскому изданию Журнала «Современная архитектура», 1967, № 4, стр. 2.

რამაზ კინანაძე  
სინამდვილე და მოთხრობა



რი შემოქმედის ნაცვლად მოთხოვნათა ტექნიკურ შემსრულებლად იქცევა. ასეთია ვითარება. შედეგი? საყვედურის ობიექტად იქცევა არქიტექტორი და საბოლოოდ წუნდებულია ის ნაგებობანი, რომელთა შემქმნაში ფაქტიურად არქიტექტორს მონაწილეობა არც კი მიუღია. ეს ნაგებობები კი ქმნის ჩვენი ქალაქის ვითომდა არქიტექტურულ სახეს. ერთფეროვნება — ეს მტერი შემოქმედებისა — მძიმე ტვირთად აწევბა ჩვენი ქალაქის აწმყოსა და მისი განვითარების პერსპექტივას. ამ მხრივ ჩვენ ისეთი და იმდენი ნაკლი გვაქვს, რომ მათ შესამჩნევად და ჩამოსათვლელად სრულიადაც არ არის საჭირო არქიტექტორი — მათ ყველა დანახავს.

არქიტექტორის უფლებები დღეს ძალზე შეკვეცილია; ლაპარაკია საავტორო უფლებებზე იმისათვის, რომ მივიღოთ ჭეშმარიტი არქიტექტურული ღირებულების მქონე ნაგებობანი, საჭიროა არქიტექტორს ჰქონდეს სრული ზედამხედველობითი უფლებები პროექტირებიდან მშენებლობის დამთავრებამდე. ხელისშემშლელი მიზეზები კონკრეტულია და მათი გამოსწორების საკითხი დღის წესრიგში უნდა დადგეს.

რასაკვირველია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს საკითხები ამოვარდნილია სათანადო ორგა-

ნობების და, კერძოდ, ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციების დღის წესრიგიდან, მაგრამ ჩინური წარი დაგეგმვა იმთავითვე უნდა გულისხმობდეს კიდევ ცალკეულ არქიტექტორთა ინდივიდუალურ-შემოქმედებით პროექტთა შემუშავებანხორციელებას.

ჩვენ გვინდა ახლებური არქიტექტურული ანსამბლების ქალაქი, ამავე დროს გვინდა შევუნარჩუნოთ თბილისს მისი ფასეული წარსული, შევუთანხმოთ იგი აწმყოს, გაეთვალისწინოთ მომავალი. ადამიანს სჭირდება არა პრიმიტიული ბინა, არამედ მთელი თავისი გარემოთი, სოციალური თანაცხოვრების მოთხოვნილებებთან შეფარებული საცხოვრებელი სახლი. ადამიანს სჭირდება ბინა, გარემო, რომელიც შრომას მოთხოვნილებად უქცევს და სიცოცხლეს სიხარულად. მხოლოდ ასეთი ბინაა ადამიანისათვის მშობლიური.

ხელისშემშლელი პირობა კი ის არის, რომ ჩვენში არქიტექტურას აღარ უყურებენ როგორც ხელოვნებას, — მე მხედველობაში მაქვს უწყებრივი პრაქტიკა და არა არქიტექტორის თეორია, თორემ ამ უკანასკნელის მიხედვით არქიტექტურა არა მარტო ხელოვნებაა, არამედ განსაკუთრებით მაღალი და თავისებური ხელოვნებაც.



## მსახურთა სოციალური ნოღაბა

(ბიჭა-ალბუღას სამართლის წიგნის მიხედვით)

ფეოდალური მსოფლიოს ერთ-ერთი უპირველესი სახელმწიფოს — საქართველოს ყოველმხრივი დაქვეითება XIII—XIV საუკუნეებში მომხდარმა დიდმა ძვრებმა განაპირობეს, მაგრამ რა ხასიათის იყო ეს ძვრები თავისთავად? რამ განაპირობა ის, რომ მონღოლებმა არსებითად დიდი ბრძოლების გარეშე მთელი საქუენით დაიპყრეს აღმოსავლეთი საქართველო (და არა უშუალოდ — დასავლეთი საქართველოც), რომელ ძალებზე დაყრდნობით მოახერხა გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს აღორძინება XIV საუკუნეში? რით აიხსნება ის საეკლასიკო ფაქტი, რომ კვლავ გაერთიანებული, დაწინაურებული ქვეყანა თემურ ლენგის მიერ იქნა განადგურებული და საბოლოოდ წელში გატეხილი? მართო დამპყრობელის სიძლიერემ ითამაშა ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი თუ საქართველოს მესვეურთა თავისებურმა პოლიტიკამ? კერძოდ, რა სოციალური ურთიერთობანი განსაზღვრავდნენ საქართველოს პოლიტიკურ კურსს დამპყრობელთა მიმართ, ანუ რა გავლენას ახდენდა ქვეყნის სოციალური ვითარება მის პოლიტიკურ ცხოვრებაზე?

ჩამოთვლილი და კიდევ ბევრი სხვა კითხვების პასუხი არ იქნება ამომწურავი, თუკი საფუძვლიანად არ შევისწავლით XIII-XIV საუკუნეების საქართველოს სოციალურ აღნაგობას — სტრუქტურას. ჭერჭერობით კი ამ პერიოდის საქართველოს სოციალური ვითარება სათანადოდ შესწავლილი არ არის.

წინამდებარე გამოკვლევა ნაწილია შრომისა საქართველოს XIII—XIV საუკუნეების სოციალური წყობის შესახებ. ამ მონაკვეთში განხილულია ერთი სოციალური კატეგორია, კერძოდ, მსახურთა წოდება. მსახურთა საკითხს საერთოდ არაერთი მეცნიერი შეხებია, ვახუშტი ბაგრატიონით დაწყებული და თანამედროვე მკვლევარებით დამთავრებული. XIII—XIV საუ-

კუნეების მსახურთა ვინაობაზე დღეისათვის გაბატონებულად ითვლება აკად. ნ. ბერძენიშვილის დებულება. მისი აზრით: „ფეოდალურ ურთიერთობის ხანაში საერთოდ მსახურები გარდამავალ საზოგადოებრივ ფენას შეადგენენ. ისინი მიწისმოქმედნი არიან და ამით გლეხებსა ჰკვანან, ხოლო მათი წოდებრივი ფუნქცია აზნაურულია — ლაშქრობა და სამსახური. ბატონყმობის წარმოქმნის ხანაში მსახურები ეკონომიურ და სოციალურ დაქვეითებას განიცდიან. ხშირი ლაშქრობა და სამსახური საფიქრებელია, ამ დროისათვის უკვე პურის ჰამაც, ე. ი. პატრონის გამასპინძლება, „როგორც თავი ესახლებოდეს“ ერთობ მძიმე ტვირთად აწვა მწარმოებელთა ამ ფენას, რაც უწყალოდ ანადგურებდა მას და გლეხობისაკენ მიიერებოდა (დაბეგრული მსახური, „დაბალი მსახური“)1.

მაშასადამე, აკად. ნ. ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ მსახურები ერთგვაროვანი ფენაა, რომელიც გარდამაველია, ანუ დგას გლეხობისა და აზნაურების შუაში. მსახური არის მიწისმოქმედი, ანუ მატერიალური დოვლათის მწარმოებელი. ამავე დროს იგივე მსახური არის მოლაშქრე და კიდევ მსახურის სხვა მოვალეობის შემსრულებელი. ე. ი. მსახური ერთდროულად სამ ფუნქციას ასრულებს: ეწევა მიწათმოქმედებას, ასრულებს მსახურის სპეციალურ ფუნქციას და არის მოლაშქრე.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, აკად. ნ. ბერძენიშვილის ეს დებულება ამჟამად გაბატონებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

1 ნ. ბერძენიშვილი — საქართველოს ისტორია მე-13-14 სს. (კონსპექტი) თბ. 1938 წ. თსუ შრ. VI, პირველი სერია, გვ. 286; იხ. მისივე **Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.) Тб., 1938 г.**





რამდენიმე წლის წინათ აწ განსვენებულმა, პატივცემულმა ნიკო ბერძენიშვილმა სწორედ XIII—XIV საუკუნეების საქართველოს სოციალური წყობის შესწავლა დამავალა. ამასთან მიმართა, რომ აღმედგინა სოციალური წყობის სურათი მხოლოდ და მხოლოდ XIII—XIV საუკუნეების უმნიშვნელოვანესი ძეგლის — ბექა-აბღულას სამართლის წიგნის მიხედვით. ეს სამართლის წიგნი უშუალოდ სამცხე-საათაბაგოს ანუ სამხრეთ საქართველოსათვის იყო შედგენილი. მიუხედავად ამისა, სამართლის წიგნის მიხედვით აღდგენილი სოციალური წყობის სურათი მთელი საქართველოსათვის არის დამახასიათებელი, — ვინაიდან სამცხე-საათაბაგო საქართველოს ორგანული ნაწილი იყო და არა უცხო სხეული. აქვე აღსანიშნავია, რომ ბექა-აბღულას სამართალი გახლდათ მოქმედი სამართალი და, გარდა ამისა, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ იგი გარკვეულ დროს მთელ საქართველოში მოქმედებდა. ყოველივე ამის შემდეგ, ცხადია, რომ ბექა-აბღულას სამართლის საფუძველზე მიღებული დასკვნები მთელი საქართველოს XIII—XIV საუკუნეების სოციალური წყობის დასადგენად უნდა გამოვიყენოთ.

\* \* \*

დაიწყეთ გერ თვითონ ტერმინ „მსახურის“ მნიშვნელობის გარკვევით. რა შინაარსს გულისხმობს ტერმინი „მსახური“ ქართული ფეოდალიზმის სინამდვილეში? არის „მსახური“ მხოლოდ და მხოლოდ სოციალური კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინი, თუ მას სხვა შინაარსიც გააჩნია?

ჯერ კიდევ „მუშანისის წამებაში“ არაერთხელ გვხვდება მსახურის ხსენება. მაგალითად, როდესაც ვარსკენ პიტიაში სამშობლოში ბრუნდებოდა, მას წინ ეგებებინა „აზნაურნი, მისნი ძენი და მსახურნი“. სხვა შემთხვევაში ვარსკენი ამბობს: „უწყი მე აწ მოავლინნეს მსახურნი და თრევით წარგიყვანონ შენ“. ან კიდევ: „ბრძანა... კრძალულად დაცვა მისი ერთითა მსახურითა“.

ამ მაგალითების მიხედვით აკად. ს. ჯანაშია დაასკვნის: „აღმნიშტრაქციული პოლიციური მოვალეობანი მსახურებს უნდა შეესრულებინათ“<sup>1</sup>. როგორც ვხედავთ, აქ მსახური სოციალური ტერმინია.

შემდეგ: „ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ, ჭანჭანთან ვკითხულობთ: „მირდატ იყო მორწმუნე და ღმერთის-მსახური, ვითარცა მამა (ე. ი. არჩილ მეფე — ზ. რ.) მისი“<sup>2</sup>. ამ შემთხვევაში, ცხადია, ტერმინ „მსახური“ არაფერია აქვს საერთო სოციალურ ტერმინთან. აქ ლაბა-

რაცა მეფეზე და სოციალურად მისკარებას რად მონათვლა უაზრობაა.

იმავე ნაშრომის 242 გვერდზე ვკითხულობთ: „ხოლო არჩილ (მეფე — ზ. რ.) მოუწოლა ლეონს (ერისთავს — ზ. რ.) და რქუა: „...აწ ითხოვე თავისა შენისათვის რა გნებავს ჩემვან, ნაცვლად კეთილისა მსახურებისა“.

აქაც უაზრობა იქნებოდა სიტყვა „მსახურებისა“ მოგვენათლა სოციალურ ტერმინად.

მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, დამოწმებულე საქმარისია იმისათვის, რომ დავასკვნათ: ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში ტერმინი „მსახური“ არ იხმარებოდა მხოლოდ და მხოლოდ სოციალური გაგებით და მას სულ სხვადსხვა მნიშვნელობით ხმარობდნენ. ამიტომ, საჭიროდ მიგვაჩნია განვმარტოთ, რომ წინამდებარე ნაშრომში ამ ტერმინს ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ და მხოლოდ მისი სოციალური მსახურისათვის.

მამ ასე, რას წარმოადგენს მსახური XIII—XIV საუკუნეებში სოციალურად?

ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ ბექა-აბღულას სამართლის წიგნის დეტალური ანალიზის გზით. მსახური ამ ძეგლში მოხსენიებულია მე-7, მე-9 მე-10 24-ე, 78-ე და სხვა მუხლებში (ვიმოწმებთ სამართლის ორივე შემორჩენილ ნუსხას.)

- ჯერ განვიხილოთ მე-7 მუხლიმ.
- A, (ფეიქირიშვილისეული ნუსხა)
- 7. თუ მსახური მოკლას, რომე აზნაურშვილად მის პატრონსა ჰყვეს, თორმეტი ათასი თეთრი გარდაიხადოს.
- B. (ე. წ. ვახტანგისეული ნუსხა)
- 7. თუ მსახური მოკლას რომელი მისსა პატრონსა აზნაურს შვილად ჰყვეს — თორმეტი ათასი თეთრი დაუტრვოს.

და თუ მსახურად ჰყვეს — ათასი დაუტრვოს. როგორც ვხედავთ, მე-7 მუხლის ორივე ვარიანტის პირველი ნაწილი ემთხვევა ერთმანეთს. განსხვავება მათ შორის მეორე ნაწილშია, უფრო სწორად, A ხელნაწერს საერთოდ არ გააჩნია მეორე ნაწილი.

ორივე ხელნაწერის მიხედვით, „აზნაურისშვილად მსახურის“ სისხლ 12.000 თეთრი ღირს, B ხელნაწერის მიხედვით „მსახურად მსახურის“ სისხლი 1.000 თეთრი ღირს.

მამასადამე, ბექა-აბღულას სამართლის პირველივე მუხლი, რომელიც მსახურს ახსენებს (მე-7 მუხლი) სრულიად გარკვევით მიგვიითითებს, რომ არსებობენ მსახურები, რომელნიც: 1. „აზნაურიშვილად მსახურნი“ არიან პატრონ-

<sup>1</sup> ს. ჯანაშია, შრ. 1, თბ., 19 გვ. 278.  
<sup>2</sup> „ქართლის ცხოვრება“, ტ. 1, თბ., 1955 წ., გვ. 140.

თან და 2. მსახურები, რომლებიც „მსახურად მსახურები“ არიან პატრონთან.

ახლა ჩვენ უნდა გაავარჯივოთ, რას ნიშნავს „აზნაურშვილად მსახურნი“, ერთი მხრივ, და „მსახურად მსახურნი“, მეორე მხრივ.

მე-7 მუხლიდან ჩვენ უკვე ვაგვივით, რომ მსახურთა უნდა არის ანაერთვაროვანი, ამ შემთხვევაში ორგანიზაცია — აზნაურშვილად და მსახურად მსახურნი; ვაგვივით მათი სისხლის ღირებულებაც. ახლა ვასაჩვენებთ, თუ რის საფუძველზე არის მსახურთა ერთი ჯგუფის სისხლი 12.000 თეთრად, ხოლო მეორისა 1.000 თეთრად შეფასებული.

ამისათვის ვანვიხილოთ მომდევნო მე-9, მე-10 და მე-11 მუხლები. დავიწყეთ მე-9 მუხლით:

**A**

9. ქოთლოსნისა და აბჯროსნისა, კარვოსნისა, პატრონისაგან ცელი ჰქონდეს, მისი სისხლიც თორმეტი ათასი თეთრი არს. და გერშოცა იმავე წესით.

**B**

9. ქოთლოსნისა და აბჯროსნისა და კარვოსნისა და პატრონთან რომ ცელი აქედნეს ანუ ჰქონებოდეს, მისი სისხლი თორმეტი ათასი თეთრი იყოს, ამაღ რომე კარვოსნობა ესე ყოველთა წესთა, აზნაურული სკირს და რომელსა მსახურსა ისი ყველა საქმე სკირს, ისრე სრულად.

და პატრონთა საჩინო ცელი არა აქედნეს და არცა ჰქონებოდეს, აზნაურად ჰყვეს, — მისი ექვსი ათასი თეთრი იყოს.

და გერშოცა იმავე წესითა იყოს.

ისევე, როგორც სხვა მუხლები, მე-9 მუხლიც B, ე. წ. ეპიტანგისეულ ნუსხაში — უფრო ვრცელად, სრულად არის წარმოდგენილი, მაშინ როცა A ნუსხის იგივე მუხლი აშკარად მექანიკურად არის შეკვეცილი. რასაკვირველია, ამგვარად B ნუსხას უნდა დავუკრძნოთ.

ვინ არის „აზნაურად მსახური“, რა ნიშნებით ხასიათდება იგი? ამ კითხვაზე მე-9 მუხლის B ნუსხა შემდეგ პასუხს გვაძლევს: „აზნაურად მსახური“ არის ის, ვინც ქოთლოსანი, აბჯროსანი და კარვოსანია და ამასთანავე პატრონთან აქვს, ან ჰქონდა ცელი.

იგივე მუხლი უფრო კონკრეტულად გვიხსნის, რომ მსახურს პატრონთან ცელი ჰქონდა ან საჩინო, ან უბრალოდ ცელი. მაშასადამე, თვით „აზნაურად მსახურნი“ პატრონთან ცელის მიხედვით განიყოფებოდნენ ორ ჯგუფად. ესენია: 1) „აზნაურად მსახურნი“, რომელთაც პატრონთან საჩინო ცელი აქვთ ან ჰქონდათ, — მათი სისხლი 12.000 თეთრია, 2) „აზნაურად მსახურნი“, რომელთაც პატრონთან „საჩინო ცელი არა აქედნეს და არცა ჰქონებოდეს“, არამედ აქვთ, ან ჰქონდათ არასაჩინო ცელი, — მათი სისხლი 6.000 თეთრია.

მაშასადამე, მე-7 მუხლში მოცემულ განსაზღ-

ვრებას ავსებს მე-9 მუხლის დებულება, რის საფუძველზეც ცხადი ხდება „აზნაურად მსახურთა“ დიფერენცია ცელის ხარისხის საფუძველზე. ცხადია, ორივე რანგის „აზნაურად მსახურთა“ სხვა ძირითადი ნიშნები პრინციპულად ერთნაირია, ესაა: ქოთლოსნობა, კარვოსნობა, აბჯროსნობა და, რასაკვირველია, ყმა-მამულა.

**მე-9 მუხლი სავანგებოდ უსვამს ხაზს ერთ გარემოებას, სახელდობრ: „კარვოსნობა ესე ყოველთა წესთა, აზნაურული სკირს“...**

მაშასადამე, „აზნაურად მსახურთა“ ნიშნებიდან მე-9 მუხლი უმთავრეს, გადამწყვეტ ნიშნად გამოყოფს ერთ ნიშანს — კარვოსნობას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სწორედ კარვოსნობაა აზნაურული ნიშანი, სწორედ კარვოსანი მსახური იწოდება „აზნაურად მსახურად“, რასაკვირველია, ყველა სხვა ნიშნის თანდართვის პირობებში.

აქედან გამომდინარეობს, რომ თუ მსახური არის ქოთლოსანი, აბჯროსანი და, რაც მთავარია, კარვოსანი, მხოლოდ მაშინ იწოდება იგი „აზნაურად მსახურად“. ხოლო ცელი „აზნაურად მსახურს“ შეიძლება ჰქონდეს საჩინო და შეიძლება ჰქონდეს არასაჩინო. ამასთანავე, მე-9 მუხლი გარკვევით აღნიშნავს, რომ აზნაურად მსახურს შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეს ცელი, არც საჩინო და არც არასაჩინო. ამ შემთხვევაში „აზნაურად მსახურს“ აუცილებლად ადრე უნდა ჰქონოდა ცელი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ შეიძლება იყოს „აზნაურად მსახური“. ხოლო თუ მას ადრე ჰქონდა ცელი და შემდეგ ჩამოართვეს, იგი მაინც სიკვდილამდე რჩება „აზნაურად მსახურად“.

მე-9 მუხლიდან ისიც კარგად ჩანს, რომ თუ მსახური არის ქოთლოსანი და აბჯროსანი, მაგრამ არ არის კარვოსანი, მაშინ იგი არც არის „აზნაურად მსახური“, არამედ მხოლოდ „მსახურად მსახური“ არის.

მე-9 მუხლი იმასაც გარკვევით მიგვიითხებებს, რომ პატრონთან ცელი (საჩინო და არასაჩინო) აქვთ მხოლოდ „აზნაურად მსახურებს“ და არა „მსახურად მსახურებს“. 12.000 და 6.000 თეთრად აფასებს მე-9 მუხლი იმ მსახურების სისხლს, რომლებიც ქოთლოსანი, აბჯროსანი და კარვოსანნი არიან, და რადგანაც კარვოსანნი არიან და ეს კარვოსნობა აზნაურული ნიშანია, ამიტომ ამ ნიშნის მატარებელ მსახურებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ, ან ჰქონოდათ ცელი საჩინო, ან არასაჩინო, ხოლო იმ მსახურებს, რომლებსაც არ გააჩნიათ კარავი, არც აზნაურული ნიშანი აქვთ და ამიტომ არც ცელი აქვთ პატრონთან.

მე-9 მუხლიდან ისიც გამომდინარეობს, რომ

**ზურაბ რაბინინი**  
მსახურთა სოციალური წოდება

„აზნაურად მსახური“, რომელსაც პატრონთან საჩინო წელი აქვს ან ჰქონდა, სისხლის საფასურით გატოლებულია დამცრობილ აზნაურთან, — ორივეს სისხლი 12.000 თეთრი ღირს.

ხომ არ ნიშნავს ასეთი გატოლება იმას, რომ „აზნაურად მსახურისა და დამცრობილ აზნაურს შორის უფლება-მოვალეობის მხრივ არავითარი განსხვავება არ არსებობს?

არა, არ ნიშნავს!

სამართლის მომდევნო, მე-10 მუხლი გვეუბნება:

A

10. თუ ქოთლოსან-კარგოსანი აზნაურად მსახურებდეს პატრონთა და მოკვდეს, მას უკანით მისი ნათესავი ვეღარა ისრე მსახურებდეს პატრონთა, მისი სისხლი ათასი თეთრი იყოს.

B

10. თუ კარგოსან-ქოთლოსანი აზნაურშვილად მსახური ყოფილიყოს და მოკვდეს, და მას უკანით იმისი მამა ანუ შვილი და ნათესავი ვერღარა მისით წესითა მსახურებდეს მისთა პატრონთა, მისი სისხლი ათასივე თეთრი იყოს.

მაშასადამე, მე-10 მუხლი გვიდასტურებს, რომ „აზნაურად მსახურის“ პირველივე მემკვიდრე კარგავს „აზნაურად მსახურობას“ და ხდება „მსახურად მსახური“, თუკი იგი „ვეღარა მისით წესითა მსახურებდეს მისთა პატრონთა“.

კერძოდ, რაში გამოიხატებოდა ეს „ვერღარა მისით წესითა მსახურებდეს მისთა პატრონთა“? ფორმალურად ეს რასაკვირველია, აზნაურად მსახურობის მთავარი ნიშნის — კარგოსანობის მოშლაში გამოიხატებოდა, მაგრამ ფაქტურად თვითონ კარგოსანობა „აზნაურად მსახურების“ მამულის სიძლიერის გამოხატულება იყო და, ამდენად, „მამულადამცრობილი აზნაურად მსახურის“ პირველივე მემკვიდრე ჰკარგავდა „აზნაურად მსახურობას“. აქ ორი შემთხვევა არის საკულისხმებელი:

პირველი, როცა აზნაურად მსახურმა თვითონ დაკარგა ყმა-მამულის მნიშვნელოვანი ნაწილი და მას უკვე აღარა აქვს წელი პატრონთან. როგორც მე-9 მუხლის საფუძველზე აღვნიშნავთ, მიუხედავად ასეთი დამცრობისა, თვითონ საჯულო დაკარგული სიკვდილამდე ჩრება „აზნაურად მსახურად“, მაგრამ მისი პირველივე მემკვიდრე უკვე ვეღარ იქნება აზნაურად მსახური, რადგან მას — მემკვიდრეს, არცა აქვს და არცა ჰქონია წელი. რასაკვირველია, თუკი ეს მემკვიდრე კვლავ მოიპოვებს ჰელს, იგი გახდება აზნაურად მსახური, მაგრამ ეს სხვა საკითხია.

მეორე, როცა „აზნაურად მსახურს“ არ დაუკარგავს წელი და მას უფლება აქვს გადასცეს თავის მემკვიდრეს ეს წელი, მაგრამ მოხდა ისე, რომ ეს მემკვიდრე „ვერღარა მისით წესითა

მსახურებდეს“. უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, აზნაურად მსახურის მემკვიდრეს უფლება აქვს, რომ მემკვიდრე აზნაურად მსახური გახდეს. **ქირო და აუცილებელია ამ შემთხვევაში**, რომ აზნაურად მსახურის მემკვიდრეს თვითონ შეეძლოს იმავე წესით მსახურობა, ე. ი. მემკვიდრეს გააჩნდეს მამულისა და ყმების ის მინიმუმი, რაც მას უფლებას მისცემს „მისი წესითა, მსახურებდეს“. გარდა ამისა, ცხადია, მემკვიდრის პირად ღირსებებსაც ჰქონდა მნიშვნელობა. თუკი აზნაურად მსახურის მემკვიდრე ფიზიკური თუ სულიერი არასრულფასოვნების გამო ვერ შეძლებდა ისეთივე მსახურობას, როგორც მისი წინაპარი — მამა, მამა, მაშინ ეს მემკვიდრე აღარ იქნებოდა „აზნაურად მსახური“, იგი „მსახურად მსახური“ ხდებოდა.

ასე განმარტავს „აზნაურად მსახურის“ მემკვიდრეობის უფლებას მე-10 მუხლი. ახლა ვნახოთ, როგორია საკუთრივ აზნაურთა მემკვიდრეობითი უფლება. ამისათვის სამართლის მე-2 და მე-3 მუხლები განვიხილოთ:

A

2. თუ დიდებულმან აზნაური მოკლას ასეთი, რომ საპატიო იყოს და პატრონს კარგად ჰყვეს, ტარებული აზნაური იყოს, მისი სისხლი ოცი ათასი, იგი დაუღუროს.

3. თუ ასეთი მას ქვემოთ მოკლას, რომე ეამისაგან მამული დამცრობოდეს, თუ უმონასტრო იყოს, მისი სისხლის ფასი თორმეტი ათასი თეთრი, დაუღუროს იმავე ზემო წესითა.

ესრეთ რომე მესამე ნათესავი იყოს, რომე მტრობა დაეწყოს, თუ პატრონი გასწყრომოდეს საქმესა რასმე ზედა და ჩამომეცროს, პატრონმამე შეიწყნაროს, პირველივე სისხლი უბრკონ.

B

2. და თუ დიდებულმან აზნაური მოკლას ასეთი, რომე საპატიოთ პატრონს კარგად ჰყვეს და კარგი იყოს, ციხოსან მონასტროსანი და მამული დიდი, მისი სისხლი ოცი ათასი თეთრი იყოს და იგი დაუღუროს.

3. თუ მის ქვეშეთი მოკლას ასეთი, რომე ანუ ეამისაგან მამული დამცრობოდეს, უციხო უმონასტრო იყოს, თორმეტი ათასი თეთრი დაუღუროს ამავე ზემოთ წესითა.

ასე რომ მესამე ნათესავი იყოს, რომე დამცრობა დაეწყოს. და თუ პატრონი გასწყრომოდეს მამასა თუ შვილსა საქმეთა რასმე ზედა, ჩამომეცროს, და პატრონმამე შეიწყნაროს და ბჭეთა პირველივე მისის გვარის საპატიო სისხლი უბრძანოს, იგი დაუღუროს.

როგორც ვხედავთ, მე-2 და მე-3 მუხლები განსაზღვრავენ აზნაურების სისხლს და ამისთანავე მე-3 მუხლი აზნაურების მემკვიდრეობითი უფლებებსაც განსაზღვრავს. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ მე-3 მუხლის ზემოთ მოტანილი რე-



დაქცია საჭიროებს დაზუსტებას<sup>1</sup>. ხსენებული მუხლი აბზაცებად შემდეგნაირად უნდა დაიყოს:

**A**

3. თუ ასეთი მას ქუემოთ მოკლას, რომე ეამისავან მამული დამცრობოდეს, თუ უმონასტრო იყოს მისი სისხლის ფასი თორმეტი ათასი თეთრი დაუურვის ამავე ზემოთ წესითა, — ესრეთ რომე მესამე ნათესავი იყოს, რომე მცრობა დაეწყოს.

თუ პატრონი გასწყრომოდეს საქმესა რასმე ზედა და ჩამომცროს, პატრონმავე შეიწყნაროს, პირველივე სისხლი უბრძონ.

**B**

3. თუ მას ქვეშეთი მოკლას ასეთი რომე ანუ ეამისავან მამული დამცრობოდეს, უციხო, უმონასტრო იყოს, თორმეტი ათასი დაუურვის ამავე ზემოთ წესითა, ანე რომე მესამე ნათესავი იყოს, რომე დამცრობა დაეწყოს.

და თუ პატრონი გასწყრომოდეს მამასა და შეიღსა საქმესა რასმესა ზედა, ჩამომცროს, და პატრონმავე შეიწყალოს და ბუეთა პირველივე მისის გვარის საპატოი სისხლი უბრძანოს, იგი დაუურვოს.

მესამე მუხლის სწორი წაკითხვის შედეგად ვგებულობთ, რომ იმ მამულდამცრობილი და უმონასტრო აზნაურის სისხლი ღირს 12.000 თეთრი, რომელიც არის მესამე თაობის წარმომადგენელი, მას შემდეგ რაც მისმა გვარამ მცრობა დაიწყო. მესამის მომდევნო თაობების სისხლის ღირებულებაზე სამართალი არაფერს ამბობს, ანუ უფრო სწორად სამართალი გულისხმობს, რომ დამცრობილი აზნაურის მესამე თაობიდან დაწყებული და ყოველი შემდგომი თაობის სისხლი (დამცრობისას) 12.000 თეთრია. ე. ი. საპატოი აზნაურის პირველი და მეორე თაობის მემკვიდრეები დამცრობის შემთხვევაში მაინც რჩებიან საპატოი აზნაურებად, ანუ 20.000 თეთრად ღირებულად, ხოლო მესამე თაობიდან მოკიდებული განუსაზღვრელად 12.000 თეთრად ფასდება და იწოდებიან დამცრობილ აზნაურებად.

ასეთია აზნაურთა მემკვიდრეობითი წესი. ზე-

<sup>1</sup> აკად. ი. დოლიძის წიგნში—„ძველი ქართული სამართალი, თბ. 1953 წ. არაზუსტად არის მოყვანილი მე-3 მუხლის მეორე აბზაცი. 1960 წელს თბილისში დაიბეჭდა ბეჭაბდულას სამართლის რუსული თარგმანი, პარალელური ტექსტით, შესრულებული პრიფ. ვ. დონდუასა და აკად. ი. დოლიძის მიერ. (რედაქტორი აკად. ნ. ბერძენიშვილი). ამ გამოცემაში მე-3 მუხლის მეორე აბზაცი სწორად არის წარმოდგენილი, მაგრამ 1963 წ. აკად. ი. დოლიძემ გამოსცა „ქართული სამართლის ძეგლები“, I, და კვლავ არაზუსტად დაბეჭდა მე-3 მუხლის მეორე აბზაცი.

მით კი ჩვენ განვიხილეთ მსახურთა მემკვიდრეობითი წესი და ახლა შევადართო ისინი ერთმანეთს:

1. საპატოი აზნაურის დამცრობისას მისი პირველი და მეორე თაობის მემკვიდრეები, მაინც საპატოი აზნაურად ითვლებიან და 20.000 თეთრად ფასობენ, ხოლო მესამე თაობის მემკვიდრეები მხოლოდელი იწოდებიან ჩამომცრობილ აზნაურებად და უკვე 12.000 თეთრად ფასდებიან. 12.000 თეთრზე დაბლა ჩამომცრობილი აზნაურის სისხლის შეფასება აღარ შეიძლება, ანუ რაც უნდა დაენიღდეს აზნაური ეკონომიურად, იგი იწოდებრივად მაინც ყოველთვის იქნება აზნაური.

2. აზნაურად მსახურის დამცრობისას მისი პირველივე მემკვიდრე აღარ არის აზნაურად მსახური და აღარ ფასობს 12.000 ან 6.000 თეთრად, არამედ არის მსახურად მსახური და ფასდება 1.000 თეთრად. 1.000 თეთრზე ნაკლებად მსახურად მსახურის სისხლის შეფასება კანონით არ შეიძლება, ე. ი. დამცრობილი აზნაურად მსახურის მემკვიდრე წოდებრივად მაინც ყოველთვის იქნება მსახური.

მამასადამე, აზნაურად მსახურის პირველი მემკვიდრე აზნაურად მსახურად რომ დარჩეს, ე. ი. 12.000 ან 6.000 თეთრად რომ ფასდოდეს, იგი ვალდებულია ისეთსავე მსახურობას ეწვიოს პატრონთან, როგორსაც მისი უშუალო წინაპარი ეწეოდა, ხოლო ჩამომცრობილი აზნაურის, ე. ი. 12.000 ღირებულებული აზნაურის მემკვიდრეებისათვის სულაც არ არის აუცილებელი ანალოგიური რამ აზნაურობის შესანარჩუნებლად.

აი, რა განსხვავება ყოფილა აზნაურად მსახურსა და აზნაურს შორის, მაშინაც კი, როცა მათი სისხლი თანაბრად — 12.000 თეთრად ფასდობდა.

აქ განვიხილო მუხლების საფუძველზე შემდეგი დასკვნები უნდა გაკეთდეს:

1. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში მსახურები არაერთგვაროვან, არათანასწორფულეობიან საზოგადოებრივ წოდებას შეადგენდნენ.

2. მსახურთა წოდებაში თავის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობით განირჩევა სამი ფენა:

- ა) „მსახურად მსახურნი“, რომელთა სისხლი 1.000 თეთრია,
- ბ) „აზნაურად მსახურნი“, რომელთაც „პატრონთა ხაჩინო კელი არა აქენდეს და არცა მქონებოდეს“, არამედ აქვთ ან მქონდათ არა ხაჩინო კელი, მათი სისხლი 6.000 თეთრია,
- გ) „აზნაურად მსახურნი“, რომელნიც არიან ქოთლოსანნი, აბჯროსანნი, კარვოსანნი და რომელთაც პატრონისავან აქვთ, ან მქონდათ საჩიქო კელი, მათი სისხლი 12.000 თეთრია.

**ზურაბ რაბინანი**  
მსახურთა სოციალური ფოლკტა



8. „აზნაურად მსახურთა“ მემკვიდრეობითი უფლება გაცილებით შეზღუდულია, ვიდრე საპატო აზნაურთა მემკვიდრეობითი უფლება. აზნაურად მსახურთა პირველივე დამცრობილი მემკვიდრე აღარ არის აზნაურად მსახური, იგი „მსახურად მსახურია“.

4. თავისთავად ცხადია, აზნაურად მსახურებს ჰყავთ ყმები, აქვთ სათანადო მამული და აზნაურად მსახურნი გაბატონებულ კლასს ეკუთვნია.

ჯერჯერობით აქ უნდა შევწყვიტოთ ჩვენი დისკუსიები და გავარკვიოთ, ჰყავთ თუ არა ყმები მსახურად მსახურებს ანუ ეკუთვნიან თუ არა 1.000 თეთრად შეფასებული მსახურნიც გაბატონებულ კლასს?

საქმე ისაა, რომ ბეჭა-აღბულას სამართლის მიხედვით, „მსახურად მსახურის“ და იმ ყმავლების სისხლი, რომელსაც „პატრონი იცნობდნენ სიკეთეზედა“ ერთნაირად ღირს, 1.000 თეთრი. სამართლის წიგნის 71-ე მუხლით კი გვცხს ეკრძალება ჰყავდეს ყმა.

ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ „მსახურად მსახურსაც“ ეკრძალება ჰყავდეს ყმა, რადგან ამ უკანასკნელის სისხლი იმდენივე ღირს, რამდენიც ყმა-გლეხისა, რომელსაც „პატრონი იცნობდნენ სიკეთეზედა“, ე. ი. 1.000 თეთრი?

ამ კითხვაზე პასუხს სამართლის 78-ე მუხლი გვაძლევს:

**A**

78. თუ დიდებულსა, გინა აზნაურსა, გინა მსახურსა, ვისაც მომართებული ყმა ჰყვეს, კიდე წაუვიდეს, თუ რა ავი ანუ კარგი წაიღოს მან ანუ ბატონისა ანუ მეზობლისა, ვისიცა წაიღოს მან კაცმან, კიდევუ უზლოს დაუკლებლად. თუ მკვიდრი წაუვიდეს და კიდევ რამე წაიღოს, თუ რომე მისი დედა-წული შინ დარჩომილი(ყოს და) ჰქონდეს რამე მათ უზლონ.

და თუ არ დარჩეს, მისსა ბატონსა არას ემართლებს, ამისათვის რომე მისისა (ა) ბატონის (ა) სიმართლითა თუ შვილინ მისცემოდენ მას ქუთუ; თუ არ მისცემოდენ, — უზიაროა.

**B**

78. თუ დიდებულსა, გინა აზნაურსა, გინა მსახურსა და ვისაცა მომართებული ყმა ყვეს და კიდე წაუვიდეს, თუ რა ვის მან წაუზლოს, ანუ მისსა პატრონსა, ანუ ამხანავსა, ანუ მეზობელსა, და ამათ თვისცა უზლოს მან, ვის ჰყოლია, დაუკლებლად, როცა წაიღოს. და თუ მკვიდრი წაუვიდეს და მან ვისმე რამე წაუზლოს, თუ რა მისი დედა-წული შინა დარჩეს და ქონდეს რამე, მან უზლოს.

და თუ არა დარჩეს რა, მისსა პატრონსა არა რას ემართლებს, არამედ რომე მკვიდრისა კაცისა უზიაროა.

მკვიდრი ასეთი იქნების, მამამისი მის კაცისა

ყმა ყოფილიყოს და შვილი მისა ქვეშ მისცემოდენ.

როგორც ვხედავთ, ამ მუხლში ლაპარაკია ყმის წისვლაზე პატრონისაგან, რაც თავისთავად ცალკე კვლევის საგანია. ამჟერად კი ჩვენ გვაინტერესებს, ვინ არის დასახელებული იმ „პატრონად“, ვისაც ჰყავს ყმები? ესენია დიდებულნი, აზნაურნი და მსახურნი. ამასთან, როგორც დიდებულსა და აზნაურს, ასევე მსახურს ჰყავს არა მარტო მომართებული ყმა, არამედ მკვიდრი ყმაც. ე. ი. მსახური ისეთივე სრულუფლებიანი პატრონია ყმისა, როგორც დიდებული და აზნაური, ანუ მსახური ეკუთვნის გაბატონებულ კლასს.

აქ შეიძლება დაგვებალოს კითხვა: 78-ე მუხლში ლაპარაკია მსახურზე ზოგადად და არა „მსახურად მსახურზე“, ამიტომ იქნებ 78-ე მუხლში ნახსენები მსახური გულისხმობდეს მხოლოდ „აზნაურად მსახურს“ და გამორიცხავდეს „მსახურად მსახურს“?

ამ კითხვის პასუხი შემდეგია: ჯერ ერთი, რადგან 78-ე მუხლი ზოგადად ახსენებს მსახურს და არა კონკრეტულად „აზნაურად მსახურს“ ან „მსახურად მსახურს“, ეს გარემოება უეჭველად იმაზე მიგვიითბებს, რომ 78-ე მუხლში ნახსენები მსახური მოიცავს მთლიანად მსახურთა წოდებას, მის საივე ფენას (12.000, 6.000 და 1.000 თეთრად ღირებულ „აზნაურად მსახურებსა“ და „მსახურად მსახურს“), და არა რომელიმე მათგანს ცალკე. გარდა ამისა, გავიხსენოთ შემდეგ: როცა სამართლის წიგნს საჭიროდ მაინცა მსახურთა წოდების გარკვეული ფენის გამოყოფა, იგი საგანგებოდ აღნიშნავს „აზნაურად მსახური“, ან „მსახურად მსახური“. ამის დასამტკიცებლად მარტო მე-7 მუხლიც კმარა, მაგრამ ასევეა მე-9 და მე-10 მუხლებშიც. ამათ გარდა, 24-ე მუხლიც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმავეს:

**A**

24. თუ კაცმან კაცს მუახლე წაგვაროს, ორის მსახურის სისხლი დაუღრვოს, რომელისა(ცა) გუარისა იყოს.

**B**

24. თუ კაცმან კაცს სეფე-ქალი წაგვაროს, ორი მსახურის სისხლი დაუღრვოს.

ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, A ნუსხა უფრო ვრცლად განმარტავს დებულებას, ვიდრე B ნუსხა, მაგრამ კიდევ რომ არ ჰქონდეს ნუსხის განმარტება: „რომლის (ცა) გუარისა იყო“ (მსახური), ახლა ჩვენთვის უკვე საკმარისია იმეკარაა, რომ ეს განმარტება თავისთავად იგულისხმება B ნუსხაშიც. ე. ი. 24-ე მუხლი ასე უნდა წაიკითხოთ: თუ კაცმან კაცს სეფე-ქალი წაგვაროს, ორის მსახურის სისხლი დაუღრვოს, ანუ ორმაგი საფასური გადაუხადოს იმ სეფე-ქალის, როგორც მსახურის, სისხლის ღირებულ-



ზისა. ცხადია, ნავთლისხმევია იმ მსახურის სისხლის ორმაგი ფასი, რომელ მსახურთა ფენასაც ეს სეფე-ქალი განეკუთვნება, ანუ 2X12.000, ან 2X6.000, ან 2X1.000 თეთრი.

მამასადამე, კიდე ვიმეორებთ, როცა სამართლის წიგნს სჭირდება კონკრეტულად მითითება, თუ რომელი ფენის მსახურზეა ლაბარაჟი ამა თუ იმ მუხლში, მაშინ ყველგან გარკვევით არის მითითებული „აზნაურად მსახურნი“, ან „მსახურად მსახური“, ხოლო როცა სამართლის წიგნი ზოგადად ლაბარაჟის მსახურზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ლაბარაჟია საერთოდ მიუღს მსახურთა წოდებაზე, მის სამივე ფენაზე და არა ცალკე რომელიმე მათგანზე. როგორც ვნახეთ, ასეთი შემთხვევა გვქვს სწორედ 73-ე მუხლში, სადაც ნათქვამია: „თუ ღიღებულსა, გინა აზნაურსა, გინა მსახურსა“...

მამასადამე, მსახურთა წოდების უმდაბლესი ფენაც ანუ „მსახურად მსახური“ კანონით ისევე ყმის (და მამულის) პატრონია, როგორც „აზნაურად მსახურნი“. ოღონდ, რასაკვირველია, „მსახურად მსახურის“ ყმა და მამული გაცილებით ნაკლებია „აზნაურად მსახურის“ ყმა-მამულზე და თუ სისხლის ღირებულების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს მეტ-ნაკლებობა ასე გამოიხატება: 12>1, ან 6>1.

რადგან „აზნაურად მსახურთ“ აქვთ ჭკელი, საჩინო, ან არასაჩინო, შეიძლება დაგვებადოს კითხვა: „მსახურად მსახურთ“ თუ აქვთ ჭკელი პატრონთან? მე-9 და მე-10 მუხლების ანალიზი გვარწმუნებს, რომ „მსახურად მსახურებს“ პატრონთან არავითარი ჭკელი არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდესთ, უკეთეს „მსახურად მსახურნი“ ჭკელ მიიღებენ, ისინი ხლებიან „აზნაურად მსახურნი“.

აღნიშნული მე-9 და მე-10 მუხლები ჩვენ ზემოთ საკმაოდ ვრცლად განვიხილეთ და ამიტომ მათი აქ ხელახლა დამოწმება ზედმეტად მიგვაჩნია.

ჩვენი დასკვნები ზემოთ შევაჩერეთ მე-4 დასკვნაზე, ახლა კი დროა ის მე-4 დასკვნა ამგვარად შევაკოსთ:

**4. მსახურებს საერთოდ (როგორც „აზნაურად მსახურებს“, ისე „მსახურად მსახურებს“) ჰყავთ ყმები და აქვთ სათანადო მამული, მსახურთა წოდების სამივე ფენა გაბატონებულ კლასს მიეკუთვნება.**

ახლა, როცა ჩვენ გავარკვევთ მსახურთა კლა-

სობრივი ვინაობა, დავადგინეთ მსახურთა წოდებაში შემავალი ფენების სისხლის ფასი, შევსაზღვროთ მსახურნი პატრონთან საერთოდ და იქნებ კონკრეტულადაც მოხერხდეს მსახურთა თვითოეული ფენის საქმიანობის გარკვევა. მაგრამ ეს უკვე ჩვენი თემის ფარგლებს სცილდება და ამჟამად მას არ გამოეკიდებოთ. სამართლის წიგნზე დაყრდნობით კი მოკლედ ვიტყვი, რომ მსახურნი საერთოდ პატრონთან ასრულებდნენ სხვადასხვა ადმინისტრაციულ-სამეურნეო ვალდებულებებს. ის ფაქტი, რომ „აზნაურად მსახურებს“ აქვთ კარაი, აბჯარი, ჰყავთ სათაღარიგო ცხენი, თავისთავად მეტყველებს მათი საქმიანობის ხასიათზე. რაც შეეხება „მსახურად მსახურებს“, ესენიც „აზნაურად მსახურთა“ მსგავს საქმიანობას ეწეოდნენ პატრონთან, ოღონდ, ცხადია, უფრო მცირე მასშტაბით. გარდა ამისა, სამართლის წიგნის 24-ე მუხლიდან ვგებულობთ, რომ მსახურადვე ითვლებოდა სეფე-ქალი ანუ მოახლე. ამასთან სეფე-ქალი შეიძლება „აზნაურად მსახურიც“ იყოს და „მსახურად მსახურიც“. ცხადია, სეფე-ქალის საქმიანობას პროფილით არაფერი აქვს საერთო მამაკაც მსახურთა საქმიანობასთან, თუმცა პრინციპულად. როგორც ქალის, ასევე მამაკაცი მსახურის უფლება-მოვალეობა ერთსა და იმავე წესს ემყარება. როგორც თვალის ერთი ვადავლებითაც ჩანს, მსახურები სულ სხვადასხვა ხასიათის სამსახურს ეწეოდნენ პატრონთან და, ცხადია, წყაროების ამ ასპექტით შესწავლა ბევრ საგულსნისმო მასალას გამოამზეურებს.

ამ თვალსაზრისით უადრესად საინტერესოა აკად. ივ. ჭავჭავიძელის გამოკვლევა: „მსახურთ-უხუცესი და მისი სახელისუფლო“<sup>1</sup>.

ასეთია ჩვენი დასკვნები მსახურთა კლასობრივი ვინაობის შესახებ ბეჭა-აღბუღლას სამართლის წიგნის მიხედვით. ვინაიდან სამართლის ძეგლი საერთოდ არის ექვემოტანელი წყარო, ძირითადი და უტყუარი განმსაზღვრელი მასში მოცემული ყველა სოციალური კატეგორიის არსისა, ამიტომ ვფიქრობთ, ეს დასკვნებიც ექვს არ უნდა იწვევდნენ, იმდენად, რამდენადაც ისინი ბეჭა-აღბუღლას სამართლის წიგნის ანალიზის შედეგად არის მიღებული.

<sup>1</sup> ივ. ჭავჭავიძელი — ქართული სამართლის ისტორია, წ. 11, 6. 1, 1928 წ. გვ. 182-190.





# სეზონური ქრონიკა

## პირველი თვეები

### „მე მუშაობ-ქამ ლაქინებით...“

მამ ასე. მე ორი მკაცრი ოპონენტის პირის-პირ ვდგავარ. ორივე მათგანის საერთო დასკვნა ასეთია (ფერებზე ოდნავ ვაძულებ არა ჩემს სასარგებლოდ): არლი თაყაიშვილმა არ იცის, რა არის არქაიზმი, არ იცის მშობლიური ენის პერიოდები (არც ძველი, არც ახალი), მით უმეტეს, რა გასაკვირია, არ იცოდეს უცხო ენა, არ იცის თარგმანი და მისი თეორია, და ბოლოს, არ იცის წერა და არ იცის კითხვა!.

სხვა არაფერი აეპეტებო. აქ თითქმის ისღა დამარჩენია, რომ კალამი დავდო და სოკრატესაგვი მრავალმნიშვნელოვნად წამოვიძახო: მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი. მაგრამ დრო კიდევ ბევრია და მეც ნელ-ნელა შევეუდგები მითითებული ხარვეზების გამოსწორებას. მანამდე კი ჩემი მცირედი ერთლიცით მაინც ვეცდები მკითხველს დავანახო, თუ რა გზებით და საშუალებებით მივიდნენ ოპონენტები ამ ერთსულოვან დასკვნამდე. დაიწყებ წერილმანით, რადგან, როგორც ამბობენ, წერილმანებისაგან შედგება „მსხვილმანი“ (აქვე მინდა მოუუბოდიშო მეორე ოპონენტს, რომ ვერ მოვასწარი მათი თარგმანების ყველა გამოცემისა თუ ვარიანტის ქრონოლოგიურად შესწავლა-შეჭერება. ამ ხარვეზსაც შემდგომში გამოვასწორებ).

1. პატრიკემულ პირველ ოპონენტს დასაწყისშივე მოაქვს ადგილი ჩემი წერილიდან: „... ზმნური ფორმა არასწორადაა ნაწარმოები შემდეგ მაგალითში: „ხოლო ბედინაწერა მამინ“

1. იხ. რ. თვარაძე: „მით შესაძლებლობებზე სკეპტიკურად ყურების დასტური“, „ცისკარი“, 1968 წ., № 6, და ბ. ბრეგვაძე: „მცდარი თვალსაზრისი“, „ცისკარი“, 1968 წ., № 7.

2. „ენა ძველი, ენა ახალი“, „ცისკარი“, 1968 წ., № 4.

განხეხება თვალს, როცა საწყაულს სარქველი აეხდება“ („აბუ-ლალა-მარია“)...

„აბუ-ლალა-მარია“ თარგმანში მსგავსი რომ არაფერი მიწერია?!“ — აღშფოთებით კითხულობს იგი.

კი მაგრამ, რატომ იღებს ამ სახელის მიმართ მთელ მეტრეგეობას თავისთავზე ავტორი? რატომ ჰგონია, რომ მაინტლდაინც მის მიერ თარგმნილი პოემიდან (ა. ისაყიანის „აბუ-ლალა-მარია“) უნდა იყოს ეს ადგილი? მას კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ აბუ-ლალა-მარის, XI ს-ის არაბი პოეტის ლექსები თარგმნილი აქვს თ. ჩხენკელს. ზემოთ ნახსენები სტრიქონებიც სწორედ მის კალამს ეკუთვნის (იხ. აღმოსავლური ლირიკა, გვ. 23-24). როგორ მოხდა, რომ ისეთმა დადინჯებულმა მკვლევარმა, როგორც რ. თვარაძეა, ვიდრე შემდეგ სერიოზულ ბრალდებას გამომიტანდა: „ესა და ამის წინ მოტანილი მავალითი მხოლოდ მცირე ნიმუშია იმისა, თუ როგორი წარმოუდგენელი დაუდევრობით, როგორ ჰაიპარად ეპყრობა არლი თაყაიშვილი განსახილველ ტექსტებსა და ამ ტექსტის ავტორებს“, არ შეამოწმა ეს პასუხი თ. ჩხენკელის თარგმანშიც? იქნებ ბრკყალებმა შეაცდინეს? (მამინ ეს უნდა ეთქვას). მე კი რას მივაწერო ყოველივე ეს — „აჩქარებას“, „დაუკვირებლობას“ თუ სხვა რამეს?

2. ჩემ მთავარ მიზნებულ მთელ რიგ შეცდომებს ოპონენტები კორექტურად თვლიან. რ. თვარაძე: „ლუპარდის“ თარგმანში ერთგან რომ „ფერხითი“ წერია და მეორეგან „ფხხითი“, ეს უბრალო კორექტურაა... (125). ასევეა გავებული ბ. ბრეგვაძის მიერ ციციხეზე ფორმა „გილიგამეში“...

შესაძლოა აქ მართლაც ამ ტიპის შემთხვევ-



მათ გეჭონდეს საქმე. მაგრამ ისე ხომ არ შეიძლება, რომ მსგავსი მოვლენა მათთვის უბრალო კორექტურად ჩაითვალოს, ჩემთვის კი — თითქმის სისხლის საპირაპროსი დანაშაულად? აი, მაგალითად, რის თქმას ვაძრულებს ბ. ბრეგვაძე: „ერთი ორმაგი მრავლობითი კორექტურის გაუპარა, მეორე კი წერიალის ავტორმა „გააპარა“ (?). და ეს იმდენადაა გულდასაწყვეტი, რომ ჩემი ერთობრივი ლაფსისი არასაღ სურათს ნეგატიურად არ წარმოგადგენს. ანდა, დაავიწყდით „ილიადას“ ერთ-ერთი სტრიქონის ჩემეული ციტირების კომენტარს:

„ვერცხლის შვილიდაო, გვედრებ ქრისტეს, ქომავო ქველო“. ქრისტე „ილიადაში“ მთარგმნელი აქ არაფერ შუაშია... ამ „სენსაციური აღმოჩენის“ ერთობრივული ავტორი ა. თაყაიშვილი ვახლავთ“.

რატომ კრინტ არ ძრავს ბ. ბრეგვაძე, რომ ქრისტე აქ ქრისტეს ადგილას მოხდა, ქრისტეს ქრისტად ქცევამდე კი სულ ნახევარი ნაბიჯია? მის „ფედონშიც“ რომ გვხვდება **სოკრატამაცო** (121), ხოლო რეცენზიაში კი — **Dentes** (130), დაეასვენა ახლა, რომ მთარგმნელმა არ იცის **სოკრატეს** და **დანტეს** სახელის დაწერილობა? ჩემი ციტატის **პარადოქსული** მასთან **პარადოქსული** სახეს რომ იღებს (129), ვითომ რა, განვებ „გააპარა“ ავტორმა? ანდა, ეედავო პირველ ოპონენტს, როდესაც მიწვევს, **ვიდაოთო** (187), რომ ეს ფორმა უდავოდ არასწორია?

რა თქმა უნდა, ასეთ შეცდომათა რიგს უნდა მიეკუთვნოს ჩემგან ნახმარი: **ბო-ძიუ** (ბო-ძიუ-ი), **ბოხაუ** (ბოსაუე, სხვათაშორის, ა. გაურეული ამ სიტყვას **ა-ის** გარეშე ხმარობს: **ბოხუე**), **ადანტირებული** (ადანტირებული), **ჭერომი** (ეჭრომი. ამ ლაფსუსს ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს: ქართულში ყარგა ხანია დამკვიდრებულია ამ სახელის მეტეფორი ინგლისური ვარიანტი: **ჭერომ** **ჭერომი**), **შახნაზარი** (შახნაზარი).

მოკლედ რომ ვთქვა, ასეთ უბრალო კორექტურაზე ამდენი ლაპარაკი, უბრალოდ, არ არის კორექტული. ხოლო მეორე ოპონენტის ლიტონი განცხადება: „საილუსტრაციო მაგალითების ერთი მესამედის ციტირებისას დაშვებულია უხეში შესლირებები“... (122), უნდა ჩაითვალოს პიპერ-ბოლირების კლასიკურ ნიმუშად.

3. პირველი ოპონენტი მე სრული ზმნისწინიანი ფორმების დაძვინებულ მტრად მაცხადებს. აი, მისი ანგუსე-უტაციის ნიმუში: „...შიაკითხეთ ენა ძველი, ენა ახლის“ ავტორის და უმაღლივით მზამზარეულ რეცეპტს, თუ როგორ უნდა შესცვალოთ **ამჭურვა** — **ამჭურვათი**, **გაწუღა** — **გაწუღათი**, **განვლო** — **გავლოთი**, **განწყუთვნება** — **გაეყუთვნებათი**“... (132).

მე ამის გამო სულ სხვა რამეს ვწერდი: „უნდა ითქვას, რომ დღესაც გვხვდება სრულ-ზმნისწინიანი ფორმები, რომლებიც არავითარ

უხერხულობას არ ქმნიან. ესა თვით **ენის** (ან ანა **მწერლის**) მიერ დამკვიდრებული არქაიზმი. სწორედ ენამ შეინარჩუნა ძველი ფორმები და საერთო-სახალხო საკუთრებად აქცია. ოღონდ უმეტეს მათგანს ახლისაგან გამოსარჩევად სხვა ნიუანსი მისცა (ჩამოთვლილია პარალელური მაგალითები: **აღვა** || **აღდა** (ქრისტე), **წაუშლელი** (დავა) || **წარუშლელი** (ცვალი, შთაბეჭდილი)... იშვიათად მხოლოდ ძველი ფორმებია შერჩენილი: **წარუხოცილი**; **განარაღება**; **აღსავსე**; **აღმოსავლეთი**... (130).

ასევე, არასამართლიანია მისი მსჯელობა ნართანიანი მრავლობითის მიმართ (132).

4. პირველი ოპონენტი ერთგან, როგორც იქნა, დამეთანხმა, რომ **ზედა**, **შიდა**, **შიგან** „პირწმინდა არქაიზმებია“, მაგრამ იქვე კრიტიკას სწვდა: „არლი თაყაიშვილი სულ ოთხ მაგალითს ასახელებს. საინტერესო კი იყო — კიდევ მრავალ იპოვება მსგავსი მაგალითები? რაღაც ეჭვი მეპარება“ (131).

ისევ უდნობლობა და შეურაცხყოფა! შევეცადები გაუფანტო ეჭვი:

„და ნათხენნი თავსა **ზედა** შენსა — სამეუფო პორფირი, კეცები შეკრული“ („ქებათა-ქება“, 72);

„...ისე შემეხმანა, როგორც არაერთგზის შემხმანებია ძილსა **შინა**“ (დანტე, 50);

„იგი გულია ჩემს გულსა **შინა**, იგი თვლია ჩემს თვლსა **შინა**“ (ქაბორი, 37);

„...გულსა **შიგან** მორიალე ყველა სხვა გრძნობას თრგუნავს და აზნობს“ (დანტე, 58);

„გემობდი თვალთა ჩემთა ამოთებას და ავრე ვაყვედრიდი **გულშიგან** მათ“ (დანტე, 107).

„თაფლი და რქვა შენს ენის **ქვეშე**“ („ქებათა-ქება“, 69);

„მისთა ფეხთა **ქვეშე** მიწა კვლავინდებურად ღრმა იყო და მყარი“ („სლოზ.“ 103).

ფიქრობ, ამჯერად საკმარისია.

5. პირველი ოპონენტი დაუმსახურებლად მომაწერს ენაში რეკოლუციური ცვლილებების უარყოფილი თეორიის ატლავტორობას. მას ეს დასცენა გამოაქვს ჩემი შემდეგი განცხადებიდან: „...ენაში ახლის წარმოქმნასთან ერთად ქრება ძველიც“ (133).

მაგრამ, ვინ თქვა, რომ ორივე პროცესი ერთდროულად, ერთსა და იმავე მომენტში ხდება? სიზუსტისათვის დავიმოწმებ ცნობილ პუნქტს „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხებიდან“: „ნამდვილად ენის განვითარება ხდება... ენის ახალი თვისებრიობის, ახალი სტრუქტურის ელემენტების თანდათანობით და ხანგრძლივი დაგროვების გზით, ძველი თვისებრიობის ელემენტების თანდათანობით კვლევის გზით“ (ხაზი ჩემია. ა. თ.).

**არლი თაყაიშვილი**

„მი მკომბარ-ტამ დაძინებთი...“



ამრიგად, ნეოლოგიზმები ძალით არ იჭრებან ენაში. მათ რომ შეერყიათ ენა, ძირიანად შეეცვალათ ლექსიკური ფონდი, მაშინ სხვადასხვა თაობა ვეღარ გაუგებდა ერთმანეთს, ენა აღარ იქნებოდა ურთიერთობის იარაღი.

თუ, ეს არის სწორი თვალსაზრისი და ამ თვალსაზრისს ვიზიარებ მეც.

6. უკუბათაქმების\* თარგმანში მე ხელოვნურად ჩავთვალე მებრფეს და სატრფოს დიფერენცირება (მებრფე — ვაჟი, სატრფო — ქალი), ამასთან, მებრფე ძველი მიმღებობების ანალოგიით (მემრუშე) გაკეთებულად მივიჩნევ (134). ამას მოჰყვა მეორე ოპონენტის მთელი შეგონება, მებრფე პირველად პეტრიწთან გვხვდება და მთარგმნელი არაფერ შუაშიათ. კი მაგრამ, იხსენება ამით შენიშვნის ძირითადი პუნქტი, რომ მებრფე ხელოვნურია? ვანა თვით პეტრიწი, ეს უდიდესი ფილოსოფოსი და მთარგმნელი, არ იყო ხელოვნურობის ყველაზე მეტი დამცველი? ცნობილია, რომ მის სახელს უკავშირებენ იმ ბერძნული კონსტრუქციებისა და მიმღებობიანი ფორმების შემოტანას, რომელთაც ისევ დამამძიმეს ბუნებრივი განვითარების გზაზე გასული ქართული ენა (ა. შანიძე).

ვიმეორებ: მებრფე ისევე ხელოვნური ჩანს სატრფოსთან შებირისპირებით, როგორც მეფა იყო მეფის მიმართ. სქესის კატეგორიის ელემენტების დანახვას ქართულში წარმატება არასოდეს მოჰყოლია.

7. პირველი ოპონენტი რატომღაც ცუდად დაფარულ ირონიად მითვლის მათ აკადემიციურ სპეციალისტებად\* სხენებას. უნდა განვიცხადო, რომ მე ჩემი აზრი გულწრფელად გამოთქვი და ირონიაზე არც მიფიქრია. ერთს დავსებთ: ამ ნიჭიერ ხალხს არაფერი აქვს საერთო იმ „კოლეგებთან“, რომლებიც „დაკეთდნენ თარგმანებით“ (რ. თვარაძის სიტყვებითა). მაგრამ, მე მგონია, ეს არ მართმევს პრინციპულად კამათის უფლებას. სხვათაშორის, ასევე გულწრფელად ვთქვი ისიც, ძველი ქართულის გრამატიკულ-ლექსიკოლოგიური სისტემა რთულია და მასში შეუცდომლად ვარკვევა ამ რანგის სპეციალისტებსაც კი უჭირთ მეოჭი.

მაგრამ პირველი ოპონენტი „გამოდმა“ შედავება და მოაქვს ჩემი „უხეირო სტილის“ სამი ნიმუში. ერთ-ერთი მათგანი სათაურშია გამოტანილი (თქმა არ უნდა, ფრაზები მძიმეა). ჩემთვის რომ ეკითხა, უფრო მძიმე ფრაზებს მივაწოდებდი). მაგრამ მთავარია, რომ იქვე რ. თვარაძე თავს მოვალედ თვლის ჩამიტაროს პატარა საუბარი თემაზე, „თუ რა არის თარგმან ან რატომ უწოდებდნენ მხატვრულ ლიტერატურას სიტყვაჯაჭვულ მწერლობას“, რომ „პლატონის თარგმნისას ბაჩანა ბრეგვაძე თორმეტ-თორმეტ საათს მუშაობდა დღეღამეში“ და მისთანანი. ყველაფერ ამას ისეთი აკადემიური ტონი ახლავს, და უცემა, ჩემდა მოულოდნელად, რ. თვარაძე სვამს „მხიარულთა და საზ-

რიანთა კლუბის“ კითხვას: „გეკითხებით, რომ გეწვივით პირდაუბანელი ექიმი და ჰიგიენის საკითხებზე ლექციის კითხვა დაგიწყოთ, ირწმუნებთ მის ნაუბარს?“

მერწმუნეთ, ამ კითხვაზე „მირიადი“ მსგავსი პასუხის გაცემა შეიძლებოდა, მაგრამ არცერთი არ მიმაჩნია ჩემი პატივცემული ოპონენტის საკადრისად.

8. რ. თვარაძე მამხილებს, რომ მე ლაღო ასათიანიც კი არ „დავზოგე“: „სატრიქონში“ „ო, განვედ ჩემგან, ბოროტე სენო“, — განვედ მისთვის ორგანულად ვერ ჩაითვლებოდა“ (126). „მაშ რა ჩაითვლება ორგანულად — გალი?“ — აღუვლებით კითხულობს იგი.

მერედა, ვინ თქვა, რომ განვედს ყველაზე გალი უნდა შეენაცვლოს? მე გველისსმობდი, რომ ისეთი სასაუბრო ინტონაციების მქონე პოეტისათვის, როგორც ლ. ასათიანი, ძველი ფორმა განვედ სპეციფიკური, სტილის განსაზღვრელი არ არის მეოჭი, თორემ საერთოდ მისი სტილისტურად გამოყენება — არგამოყენების საკითხი კი არ დამისვამს. ისიც ფაქტია, რომ II ბრძანებითი დღეს აღარა აქვს ქართულს, და რომ ამ მწკრივის ერთადერთი ფორმა შემორჩენილი. ამდენად, იგი ენის სხვა სისტემის ელემენტად, სხვა ენობრივი ფენის გადმოსაშობად უნდა ჩაითვალოს.

9. პირველი ოპონენტი ერთგან ექვს გამოთქვამს: „ჩჩილი ენის მოსატეხად თუ იფარგებნო“, რომ წერს, „ბარათაშვილის ლექსის სათაურს გულისხმობს?“

ასეთი განცხადება მე არაკეთილსინდისიერი „მხილების“ ნიმუშად მეჩვენება. პატივცემულმა ოპონენტმა ძალიან კარგად იცის, ჩჩილზე როცა ვწერ, მხედველობაში მაქვს ამ სიტყვის უადგილო ხმაირება ახალი დროის მწერლების მათეულ თარგმანებში: „წაშო, ვაღვარათ თითო ხელადა ჩჩილ ბახუსში“ (ფრანსი); „ბოლოს კვდებიან მთლად ჩჩილი ყრმანი“ (უაილი). ბარათაშვილი აქ არაფერ შუაშია. იგი სხვა საუკუნეში მოღვაწეობდა. ისე, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მას რომ დღეს ეცოცხლა, ნამდვილად ჩჩილს აღარ გამოიყენებდა. გრ. კიენაძე პოეტის ხელნაწერებზე მუშაობისას იმ დსკენამდ მივიდა, რომ ბარათაშვილი ჩასწორებდას დროს უმეტესად ძველ ფორმას ახლით ცვლიდა. მოვიტან რამდენიმე ნიმუშს:

თავდაპირველად იყო:

„სასაცილოა, ოდეს ბერი კვლა იმ(აწვილობდეს), მაგრამ ვალხ კაბუტს, ოდეს ეგი ბერიკაციობდეს“; „მწუხრსა აქეთ აქა ვზი, ფურცელთ ზედა მკონაეი“; „მიხმენ, აჭა მიჩქმენ, ვაშლა ამოდ მღნავი“.

საბოლოოდ შესწორდა:

„სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმაწვილობდეს და საბარალო, რის კაბუტი ზებრიკაციობდეს“; „მწუხრსა აქეთ აქ ვივიარ, ფურცლებზედა





მკონაივი; „მადირსე, თუ როგორ არს ვაშლა შენი მდინაივი“.

ასევე, ძველი ელემენტები შეცვლილია შემდეგი ახალი ფორმებით: **შაქუნდა** — მქონდა; რომელიცა **პზის ნაირსა** — მდინარის პირზე ზის იგი; **აწა** — ჭერ; გულსა **ზედა** — გულზედ; **ში** — ჰოი; **მიმწუხროო** — საღამოვ; გულსო **საშუშბლად** — საწუგებულად; **მუნ** — იქ; **მუნცა** — აქაც... (ვ.რ. კიკნაძე, „როგორ მუშაობდა ბარათაშვილი“).

როგორც ხედავთ, ბარათაშვილი ჩვენსკენ მოდის (ჩვენი მთარგმნელები კი უფრო შორული ეპოქებისკენ მიდიან). მაგრამ ეს მაინც ტენდენციაა და, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ბარათაშვილის ენა ახალი სალიტერატურო ქართულის ნიმუშია. პოეტი ისევ რჩება მძაფრო არქაიზაციის მქონე შემოქმედად. თუ შ.ც. ისიც უნდა ითქვას, რომ ძველი სიტყვები და ფორმები პარამონიულადაა შვზრდილი პოეტის ენობრივ ქსოვილს, ისინი „ამობურცულნი არ არიან მისი შემოქმედების საერთო ფონზე“, როგორც ეს ალ. ქვიციანიძისთან შეიმჩნევა (ვ.რ. კიკნაძე, იქვე. ბარათაშვილის ენობრივ პოზიციასთან დაკავშირებით საინტერესო წერილები აქვთ ავრუთვე: ა. შანიძეს — „ბარათაშვილის ენა“, და ა. გაწერელიას — „ბარათაშვილის ენა და სტილი“).

და აი, მივაღწეით ჩვენი კამათის ყველაზე რთულსა და მტკივნეულ საკითხს: რა არის არქაიზმი? ოპონენტები, რა თქმა უნდა, უკმაყოფილონი დარჩნენ, რომ ვერ მიიღეს ჩემს წერილში ამ კითხვის პასუხი. და არც დაუფარავთ ეს პირველი ოპონენტი: „თუკი ზუსტად არ ვიგასიეს, ან საერთოდ არ ვიცით (დააკვირდით ტონს! ა. თ.), რა არის „არქაიზაცია“, ავიღოთ ნებისმიერი ლექსიკონი, სადაც კი შესაძლოა ეს ტერმინი შეგვხვდეს, და წაიკითხოთ: „არქაიზაცია — ძველი სიტყვებისა და გამოთქმების ხმარება (ჩვეულებრივ საკურობების გარეშე)“. ასე წერია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (გვ. 127. ჩვენ მერე ვნახავთ, თუ რატომ სწორედ **არქაიზაციის** განმარტებაა დამოწმებული და არა **არქაიზმისა**). მეორე ოპონენტმა არქაიზმის დღედინიად ჩამითვალა შემდეგი სიტყვები: „ესაა (ე. ი. არქაიზმი, ხაზი ჩემია, ბ. ბ.) ემპირიულად არსებული მასალა, რომელიც ძვეს ჩვენგან დამოუკიდებლად და ყოველას აქვს მისით სარგებლობის უფლება“ (123).

ესაა მკითხველის შეცდენის არქაული ხერხი. მე ამ „ერთი კუშმარტად გამოგნებელი განმარტებით“ არქაიზმის ცნება კი არ ვანგასხვავებ, არამედ ვთქვი, რომ არქაიზმი (ნეოლოგიზმებთან, ბარბარიზმებთან და ენის ყოველ ლექსიკურ შრესთან ერთად) „ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული ემპირიული მასალა“, რომლის გამოყენება შემოქმედლის ენობრივ ტენ-

დენციაზე მიგვიითობებს და არა მის მხატვრულ სტილზე (უნდა ითქვას, რომ ოპონენტები ამ ორ ასპექტს საბრძანებოში ურევენ, რითაც ქმნიან მათთვის სასარგებლო ეფექტს).

მაგრამ მეორე ოპონენტი მაინც თავისაზე დგას: „მოგვიტევეს ა. თაყაიშვილმა, თუ ჩვენ არ დავკმაყოფილებით არქაიზმის მისეული განმარტებით და შევიცდებით უფრო ზუსტი და რაციონალური დედინიციით შეგვევალოთ იგი. აი, როგორ განმარტავს არქაიზმს „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“... (123).

ისევ ლექსიკონი! პირველმა ოპონენტმა, თუ ვახსოვთ, სასტიკად დამტყუა, ლექსიკონით მსჯელობა რა საკადრისიაო, ცოტა ხნის მერე კი თვითონ გადამიშალა იგი. მეორე ოპონენტმაც შორს დაიჭირა: მეცნიერული კვლევისას ენციკლოპედიებს ვინ იმორჩებობს. მერე იქვე გამოასწორა შეცდომა: „ენციკლოპედია ყოველთვის სიტყვაბუნწია და ლაყონიურიო“ და არქაიზმის განმარტება იქიდან შემახსენა.

კი მაგრამ, ეს დალოცვილი ენციკლოპედია მართო ჩემთვის არაა სიტყვაბუნწი და ლაყონიურიო? ანდა, რატომ ფიქრობენ ოპონენტები, რომ მე მათ დაუხმარებლად ვერ გადაეფურცლავედი დასახელებულ ლექსიკონებს? რახან ასე აინტერესებთ ჩემი პოზიცია არქაიზმის მიმართ, ორიოდე სიტყვას მეც ვიტყვი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა განაცხადო, რომ არქაიზმი არ მიმჩნია სალანძღვ სიტყვად: „ა. თაყაიშვილისაგან განსხვავებით, იტალიელებს არქაულობა არასოდეს უქცევიათ სალანძღვ სიტყვად“ (ბ. ბრეგვაძე). საგულისხმოა, რომ არქაიზმის აუგად ხსენების ფაქტი თვითონ მათ მიერაა აკვიატებული და ვახვიალებული. აი, რას წერდა ჯერ კიდევ 1966 წელს რ. თვარაძე: „ეხლა ძნელი დასადგენია, ვინ იხმარა ჩვენი პირველად **საშინელი** სიტყვა (ხაზი ჩემია. ა. თ.) — „არქაიზმი“. ეს კია, რომ ამ სიტყვამ მრავალი უბედურება დააწყო ქართულ ენას. მიეკვრებოდა რომელსამე სიტყვას ან გამოთქმას არქაიზმის იარაღი და გათავდა — შემდეგ გვაროსნული ომი იწყებოდა მის წინააღმდეგ“ - (ლიტ. წერილ. 128).

არ ვიცო, ვის გულისხმობს ავტორი „გვაროსნებში“, ყოველ შემთხვევაში მე, აი, რას ვწერ: „დიალექტონებთან, ნეოლოგიზმებთან და ბარბარიზმებთან ერთად მას (არქაიზმს. ა. თ.) ეუყურებთ, როგორც ენის გამდიდრების ერთერთ დაუშრობელ წყაროს. ოღონდ ეთხოვლობთ მის მიმართ თავშეკავებულ დამოკიდებულებას, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გამოყენებას“ (150).

მაშასადამე, ლექსიკონების მიხედვით ჩანს, რომ არქაიზმი არის ხმარებიდან გამოსული სი-

**არლი თაყაიშვილი**

„მი მყოპვარ-შამ დაბინებით...“



ტყვა (მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როდის მოხდა ეს პროცესი) — ძალიან ადრე თუ ძალიან გვიან). მე ვფიქრობ, შეცდომისა და გაურკვევლობის მთელი სათავე მოზონენტთან ამ პირველი პუნქტის უხეიროდ გაგებიდან მოდის. მათ მიიღეს, რომ ეპითეტი „ხმარებიდან გამოსული“ უსამართლოა და გვარს უსვამს ამ სიტყვათა საერთოდ არსებობას. მაგრამ ისინი არ დაუკვირდნენ (ან არ უნდოდათ დაკვირვებოდნენ), თუ ენის რომელი სფეროდან ვადაიან არქაიზმები. ესაა ცოცხალი მეტყველება, ჩვენი სასაუბრო ენა. ავი ასეცაა ფორმულირებული „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“: „არქაიზმი — მოძველებული და ყოველდღიურ მეტყველებაში (ხაზი ჩემია. ა. თ.) ხმარებიდან გამოსული სიტყვა ან გამოთქმა“... უნეტად ასევე იგი ახსნა „ქართულ განმარტებით ლექსიკონში“: „არქაიზმი — ლინგვ. მოძველებული, ყოველდღიური ხმარებიდან გამოსული (ხაზი ჩემია. ა. თ.) სიტყვა ან გამოთქმა“ (აი, რატომ არ წარმოადგინა რ. თვარაძემ ეს განმარტება).

მაგრამ სიტყვა თუ სასაუბრო მეტყველებაში გაქრა, ეს სრულიადი არ ნიშნავს, რომ მან საერთოდ შეწყვიტა არსებობა (მხოლოდ საუბარში დადასტურებული ერთეულებით რომ ამოიწურებოდეს ენის ლექსიკონი ფონდი, მეტად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა). მართალია, შეზღუდულად, მაგრამ მინც შემორჩა იგი სალიტერატურო ენას. ავი ამას გულისხმობს ზემოთ ჩვეს მიერ გაწყვეტილი „დიდი ენციკლოპედისეული“ განმარტება: „...უპირატესად იხმარება ლიტერატურაში (ხაზი ჩემია. ა. თ.), როგორც სტილისტური ხერხი ამაღლებულობისა და წარსული ეპოქის ბერალისტური კოლორიტის შესაქმნელად“...

არქაიზმის მსგავს ვაგებას იძლევიან: რ. ბუდაგოვი (Очерки по языкознанию), ა. რეფორმატკი (Введение в языкознание), ა. ვეოზღევი (Очерки по стилистике русского языка), დ. როზენტალი (Практическая стилистика русского языка), ლ. ტიმოფეევი (Теория литературы), ბ. ტომაშევსკი (Стилистика и стихосложение) და სხვები. მათი თვალსაზრისების გადმოცემა შორს წაგვიყვანდა. ამრიგად, არქაიზმი სტილისტური ხასიათის ცნებას წარმოადგენს. იგი მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის ენისათვის დამახასიათებელი სტილისტური ხერხი შეიძლება იყოს.

აი, სად მარხია ძალის თავი. სად არის გაუგებრობის უმთავრესი მიზეზი. მე ჩემს წერილში მათი თარგმანებიდან შავად გამოყავი ისეთი სიტყვები და გრამატიკული ფორმები, რომელთა უმრავლესობა (ამაში თვითონაც დამეთანხმებიან) აღარ იხმარება ყოველდღიურ მეტყველებაში. ამით მინდოდა-ხაზი გამეყვა ამ ფაქტისათვის, თუ ენის ლექსიკონს რა უძველეს ფენაზე (და თანაც რა დიდი დოზით,— ეს არსებობია) ამხვილებენ ყურადღებას ისინი.

მათ კა ცუდად გამიგეს, შავი პეტრეტი ბილი მასლა (როგორც დადინახეტი ნასაყვედურე შევ პეტრეტს ვერც თვითონ გაექცნენ) ჩათვალს ჩემგან შეჩვენებულად და უსამართლოდ შემომიტყეს. მათ დაიფიქრეს, რომ არქაიზმის ცნება სასაუბრო მეტყველებითა და საერთო-სახალხო ენისათვის არ არსებობს (მცირე გამოცხადების გარდა, რომელსაც ჩვენ ენისმიერი არქაიზმი დავარქვით), რომ იგი მხოლოდ სალიტერატურო ენისათვის დაკავშირებული ცნებაა. ამით მათ გაიავიჯეს ენის ორი ასპექტი: საერთო-სახალხო და სალიტერატურო, რამაც ასეთ გაუგებრობამდე მიგვიყვანა.

ჩემი პატივცემული ოპონენტები ალბათ უფრო მეტად აღშფოთდებიან, როცა შევხსენებ, რომ არა მხოლოდ ყოველდღიური ხმარებიდან გამოსული სიტყვა მაჩანათ არქაიზმად, არამედ საამისოდ გამზადებულიც («Архаизмы — устаревшие и устаревающие слова»... (რ. ბუდაგოვი). აქ ივლენსხმება ისეთი ერთეულები, რომელთაც სხვადასხვა მიზეზით უფროვდებათ მოქმედების რადიუსი, თანდათან პასიურნი ხდებიან და ბოლოს ტოვებენ ცოცხალი მეტყველების სფეროს.

როდის გამოდის სიტყვა ხმარებიდან? უპირველეს ყოვლისა, მაშინ, როდესაც წარსულს ბარდება მის მიერ აღნიშნული საგანი, მოვლენა თუ ცნება. სიტყვათა ასეთ ჯგუფებს ისტორიზმებს, ან უკეთ, ლექსიკურ ისტორიზმებს უწოდებენ. ისინი მეტწილად გამოიყენებიან სპეციალურ ლიტერატურაში, სადაც ასრულებენ ნომინატიურ ფუნქციას — ემსახურებიან წარსული ეპოქის რეალიების დასახელებას. მაგრამ ლექსიკურ ისტორიზმებს ამ ფუნქციონირებენ წვერლებიც. ამის კლასიკური ნიმუში თანამედროვე ქართულ პროზაში იძლევა კ. გამსახურდია. მის მიერ დახატულ ომის სურათებსა თუ მეფედ კურთხევის ცერემონიას იმდროინდელი ლექსიკატერმინოლოგია ამშვენებს. და აქ მწერლის მიმართ საყვედური არ გვეთქმის.

სულ სხვა პრინციპი უდევს საფუძვლად არქაიზმების მეორე ტიპის გამოყოფას. აქ შემოდის სიტყვების ის ჯგუფი, რომელთა მიერ აღნიშნული საგნები და მოვლენები კი ცოცხლობენ დღეს, მაგრამ ისინი სხვა საშუალებით — აქტიური მოხმარების სიტყვებით — გამოიხატებიან. მაშასადამე, ახალმა სიტყვამ შეივიწროვა ძველი, ვანდევნა ხმარებიდან და მისი ადგილი თვითონ დაიკავა, მას კი მხოლოდ სტილისტურად გამოიყენების შესაძლებლობა დაუტოვა. ამ უკანასკნელთა სიმრავლე კარგად ჩანს ახალი სინონიმების გვერდით:

**მოწვე** — გულშემატიკიარი, **მსტოვარი** — ჯაშუში, **ჯავობა** — ამპარტენობა, **ცხროიანი** — ციეზიანი, **ბიზარი** — სნეული, **მიწიყი** — მუღამ...

მაგრამ არქაიზმები ერთმანეთისაგან განს-

ხვადებიან სხვა არანაკლებ არსებითი ნიშნითაც. პირველი იყო ისტორიის გზა. მეორე თვით არქაიზმის, როგორც ენის ლექსიკური შემადგენლობის ელემენტის, ბუნებაში ძვეს. და აქ რ. ბუღავაძის **არქაიზმი-სიტყვის** გვირდით შემოაქვს ტერმინი **არქაიზმი-მნიშვნელობა** (შ. ბალი მას **მნიშვნელობით არქაიზმს** უწოდებს). აქ პირველ რიგში ივლისსხმება არქაული მნიშვნელობა იმ სიტყვისა, რომელიც თვითონ არქაიზმად არ ითვლება. მაშ, სიტყვა დღესაც არსებობს ახალი გაგებით, მაგრამ მისი ერთ-ერთი, მხოლოდ სტილისტურად ხმარებული მნიშვნელობა არქაულია. ამ კონტექსტში ვაიხსენით ჩვენს მიერ მთარგმნელთა ენაში გამოყოფილი მსგავსი ტიპის სიტყვათა არქაული მნიშვნელობანი (**ნავაჭარი — ქარიშხალი, ცხადარი — საწოლი, მელბარი — ზარმაცი, განქარაწინება — გათხოვება, სპეტაკი — თერთ...**)

რა უწყობს ხელს სიტყვის მნიშვნელობათა მიჩქმალვას ან წინ წამოწევას? ზოგ შემთხვევაში მიზეზა ხელშესახება (კულტურულ-ისტორიული ხასიათის), ზოგჯერ კი „სიტყვის ლექსიკური მიმართვის იმპულსები“ ძნელად შესამჩნევია.

არ აქნებოდა სწორი, არქაიზმის ცნება შემოგვესაზღვრა მხოლოდ ლექსიკით, ისევე როგორც ეს ნეოლოგიზმების მიმართ ხდება. გრამატიკული ნეოლოგიზმი, რომელიც მერისმეტად ნელა შემოდის ენაში, სტოლასტიკის ფარგლებს სცილდება. იგი ენის განვითარების გარკვეული კანონზომიერების შედეგია. მწერალს არ შეუძლია რაიმე ფორმა შექმნას, ან რაიმე ახალი სინტაქსური ელემენტი შემოიტანოს. „არ არსებობს ინდივიდუალური გრამატიკა. არსებობს მხოლოდ ინდივიდუალური სტილი“ (შ. ძაბიჯური). მაგრამ ამ დღეულეობას არქაიზმებზეც ვერ ვავარცხლებთ. მწერალს უფლება აქვს მოველდებულ სიტყვებთან და გამოთქმებთან ერთად ძველი, ხმარებიდან გამოსული მორფოლოგიური ინვენტარი და სინტაქსური ნორმებიც გამოიყენოს. აქ ის მომენტიც გათვალისწინებულია „ღიდა საბჭოთა ენციკლოპედიისეულ“ ფორმულირებაში: „...არქაიზმის, როგორც პოეტური ხერხის ხმარება, შეიმჩნევა ლექსიკაშიც, მორფოლოგიაშიც და სინტაქსშიც.“ (ხაზი ჩემია. ა. თ.).

ასეთ მორფოლოგიაურ-სინტაქსურ არქაიზმებად ჩაუთვალე მე მთარგმნელებს: სრული ზმნისწინები: **წარგვტაცა, გამწლიერდა;** ნათესაობითის ძველი ფორმა: **უდაბნოის;** თანდებულის სრული სახე: **მამრბა უღდა;** სრული მოთხრობითი: **მამამან ჩემმან;** ვითარებითში დასმული საწყისი: **დაჯდა წერად** და სხვა.

მაშასადამე, არქაიზმის პირველი ნიშანი ყოფილა ის, რომ იგი აღარ გამოიყენება ყოველდღიურ მეტყველებაში. იშვიათად თითქოს ეს

წესი ირღვევა. ვგულისხმობ ფრაზეოლოგიზმის შემადგენლობაში დადასტურებულ არქაულ სიტყვებს. მაგრამ აქ სპეციფიკურ ვითარებას უნდა გაეწიოს ანგარიში: სიტყვა მყარ კონტექსტში, სხვა სიტყვასთან შეიძრო კავშირში გაცილებით უკეთ იხაზავს თავს, ვიდრე ცალკე ხმარებისას. ასეთებია: **აბუჩად ავღება, სახტად დარჩენა, ნიშნის მოგება, მარჯაში გარევა, ბოლისის ცემა, აბრუს გატეხა** და სხვა (აქედან ზოგი უცხო წარმოშობისაა).

აქვე შემოვა ზოგიერთი ძველი მორფოლოგიური თუ სინტაქსური მოვლენა. სტერეოტიპულობის, მსამზარეულო ყალიბში მოქცევის გამოა, რომ დღეს ყოველდღიურ მეტყველებაში გვხვდება **შურაცხუო, უარყო, უფულაბებულყო, ცხადყო** ფორმები. მე ვწერდი, რომ ესაა ქართულ ენაში ოდესღაც მოქმედი სახელი+ყო ზმნის კავშირის (**ღაღად ყო**) გადმონაშთი. ასევე, „უქულმა“ წერის ნაშთებად ჩრთვალე ყოველდღიურ ხმარებაში დადასტურებული პოსტ-პოზიციური წყობის ნაშთები: **აღიგავა პირისაგან მიწისი, დაღმაა კაბუჯიანისა...** და ბოლოს, თვით არქაული, ნართიანიან მრავლობითის ფორმები: **მთანი მაღალნი, კაცნი ვართ...**

მეორე ოპონენტი ერთგან მაფრთხილებს: ჯობდა თაყაიშვილს ასე რბოლად ეთქვა, რომ „ნართიანიან მრავლობითი ერთგვარ არქაულ შეფერალობას ანიჭებს ფრაზასო“. რატომ უნდა მეთქვა ასე? განა აკაკი შანიძე ოპონენტის მიერ მოტანილ ციტატაში ამასაც არ წერს: „...ზოგჯერ პირველ მრავლობითს „ახალს“ ეძახიან და მეორეს — „ძველს“-ო.

ცხადია, ამ მთელი პასუხისმგებლობით ივლისსხმება, რომ ეს მორფოლოგიურ-სინტაქსურ-ფრაზეოლოგიური ოდენობანი (ენისმიერი არქაიზმები), რომლებიც სტერეოტიპულობის გამო შემორჩნენ მეტყველებას, უფრო მეტად და გაბედულად გამოიყენებიან სალიტერატურო ენაში (სხვათაშორის, ფრანგი ენათმეცნიერი შარლ ბალი მხოლოდ ამ სახის არქაიზმებს სცნობს. ეს განპირობებულია მისთვის დამახასიათებელი სინქრონული მეთოდით: „რამდენადაც ჩვენ პრინციპულად განვიხილავთ ენის თანამედროვე მდგომარეობას, არა ვხსნით რა მას ისტორიის მოშველიებით, ამდენად, ესა თუ ის არქაიზმი ჩვენი თვალთახედვის არეში შესაძლოა მხოლოდ მაშინ მოექცეს, თუ ის ჯერ კიდევ ცოცხალია“ (Французская стилистика, 1961, გვ. 104).

აი, ასე გვეხმის ჩვენ არქაიზმის ცნება. ახლა ენახოთ, ამ ვაგების ფონზე როგორ გამოიყენება ოპონენტთა შენიშვნები. ბ. ბრეგვაძე წერს: „წერილის ავტორი თვითნებურად აკერებს არქაულობის იარაღს ისეთ სიტყვებს, რომლებიც დღემდე არავის მიუჩნევა არქაიზმებად“

**არლი თაყაიშვილი**

„მე მამკვარ-შამ დაძინებდით...“



(127). ამის დასადასტურებლად მას მოაქვს მოზრდილი ამონაწერა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“. ამავე გზისაკენ მიმითითებს რ. თვარაძეც: ვადაშლოს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“...

უნდა განვაცხადო, რომ აღნიშნული ლექსიკონის დამოწმებას მე შევხებულა მოვერიდე, ვიცილი არ მთარგმნელია დამოკიდებულება მასში არქაიზმების გამოყოფის პრინციპისადმი. ამ დამოკიდებულების ერთი დეტალი ამ პაექრობას დროსაც ვაკრთა, როდესაც რ. თვარაძე ცდილობდა ჩემს მიერ არქაულად მიჩნეული ფრაზის („ვეკრეტელ ხრწნადისგან შემტკიცებულ სიცოცხლეს ჩემსას“) ახალქართლისეულად წაეთხზავს:

„მასადაამე, „შემტკიცებული“ ზემოთ ნახმარი მნიშვნელობით განმარტებითს ლექსიკონს არქაიზმად მიაჩნია. და, თუმცა ძნელია ამგვარ დასკვნას დაეთანხმო“... (ზაზი ჩემია. ა. თ.).

მაგრამ ყველაფერი იწყება „ლიტერატურული წერილებიდან“, სადაც ერთ ადგილას ავტორი წერს: „ხომ საგულდაგულოდ ვაკანონებთ, რომ XVIII საუკუნემდე შექმნილ ნაწარმოებებში ნახმარი სიტყვებისა და გამოთქმების ასპოლუტური უმრავლესობა „არქაულა“, „მოძველებულია“, „წიგნურია!“ და თუ ქართველი მწერლები დღესაც ფარ-ხმალს არ ყრიან და ჭიუტად ხმარობენ ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, როგორცაა: მორჭმული, მიეინახე, შემოვარები, მრუმე, სახლელი, მოყვასი, სერობა... (აქ მოტანილია ათეულობით მაგალითი, ა. თ.)—მათს მეცადინეობას წინ აღუდგება ენათმეცნიერთა და ლექსიკოგრაფთა ასევე ჯიუტი განაჩენი—მსგავსი სიტყვები და გამოთქმები ან საერთოდ არ ხვდება ლექსიკონებში, ან „არქაულისა“ და „ძველის“ ეპითეტებით აღიჭურვება. მიმწუხრი—„ძვ. და წიგნ.“, (ძველია და წიგნურია!), გარნა—„ძვ. და წიგნ.“, გვემაქ „ძვ. და წიგნ.“ აღზევება—„ძვ. და წიგნ.“... ასევე: აღანთება—„ძვ.“, აღაზნებს—„ძვ.“, აღიმართება—„ძვ.“, აღიჭურვება, აღმსარებელი, აღმსრულებელი—სულ „ძვ.“ და „ძვ.“. მსგავსი სიტყვების ხმარება დიდ მკრეხელობად ითვლება. ყოველ შემთხვევაში, ივნებ ვისმე კიდევ შეუნდონ ამგვარი მკრეხელობა, ოღონდ იქვე განმარტავენ — მწერალი არქაიზმებს სამკაულად იყენებს და ამით ნაწარმოებს თავისებურ სურნელს ანიჭებს“ (146).

მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ აქ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მასალასა და პრინციპებზეა ლაპარაკი. ასეთი წინაპირობის მცოდნე, სიმართლე გითხათ, საჭიროდ აღარ ცეანი მათ მიმართ ამ ლექსიკონის ავტორიტეტის მოშველიება, მაგრამ რადგან ასეთი წინაპირობის ავტორის ჰყოფნის სითამამე, მე თვითონ მიმიითაოს ლექსიკონზე, იძულებული ვარ განვმარტო ზოგიერთი რამ.

უპირველესად უნდა აღვნიშნო, რომ მიზან-

შეწონილად და დასაბუთებულად მიმჩნია ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვების წინ „ძვ.“ და „წიგნ.“. („ძველია“ და „წიგნურია“), როგორც ირონიულად შენიშნავს ავტორი) ნიშნების დასმა. და ეს არა იმიტომ, რომ მათი ხმარება მკრეხელობად ჩაეთვალოს ვინმეს, არამედ ქართული ლექსისი შეივებისა და მისი საერთო სურათის უკეთ წარმოსახნად. რაც უფრო მეტადაა ლექსიკონი მასალა კლასიციზმისა, რაც უფრო ზუსტად ხდება სხვადასხვა პლასტების (არქაული, წიგნურის, კეთხურის, დიალექტურის, ნეოლოგიზმის, ბარბარიზმის) გამოყოფა, ეს დამსახურებად ეთვლება ლექსიკონს. ამ პრინციპით სარგებლობს ყველა კულტურული ერის ცნობილი ლექსიკონი და, ცხადია, ჩვენს „განმარტებითიც“ გამოწყლისი ვერ იქნებოდა. მაგრამ კვლავ მივებრუნდეთ მეორე ოპონენტის შენიშვნებს:

„ახლა მიხვდით იმ სიტყვებს, რომელთაც „განმარტებითი ლექსიკონიც“ არქაიზმებად თვლის, მაგრამ რომელიც ჩვენს კი არ გამოვიჩხრეკია დ გვიხმარია პირველად, არამედ მუდამ იხმარებოდნენ და იხმარებიან ქართულ მწერლობაში“ (128). და შემდეგ იწყება „განმარტებითი ლექსიკონის“ ფურცლებზე მოვანება, **მამათობა, შეპირება, მიწყვიტების** სიტყვების ხანგრძლივი ძიება და გვერდზე მისი მხმარებელი მწერლის სახელის მიწერა.

ხოლოდ იმის საილუსტრაციოდ, რომ ეს სიტყვები „მათ არ გამოუჩხრეკიათ პირველად“, ამხელა ექსტრემი გაუმართლებელი მეჩვენება, თუნდაც იმიტომ, რომ არავის დაუწამებია მათთვის ეს.

სხვათაშორის, ბ. ბრეგვაძე ღიად ტოვებს საკითხს: მიაჩნია თუ არა მას არქაიზმებად ის სიტყვები, რომლებსაც ასეთად თვლის „განმარტებითი ლექსიკონი“?

თუ ის თანმიმდევრული არქაიზტია, არ უნდა მიაჩნდეს. ჩვენს მუქს ადვილებს მისი ციტატის ბოლო პუნქტი: „...მუდამ იხმარებოდნენ და იხმარებიან ქართულ მწერლობაში“.

ძველი დროის მწერლებთან: რუსთაველთან, სულხან-საბასთან, გურამიშვილთან, ბარათაშვილთან, ვეჯასთან, ყაზბეგთან, მაჩაბელთან რომ იხმარებოდნენ სიტყვები: **მიწყვიტე, მენი, წვრილია, ლბილი, მოხლტის** და სხვები, ამში არაფერია გასაკვირი. და ეს, ცხადია, არც მათ არქაიზმად გავებას შეუშლის ხელს. არ გუგუნდად ვერ ჩაითვლება ვერც ბარნოვისა და გამსახურლის მოხმობა: მათთვის ხომ (ისევე როგორც ჩვენს მიერ განხალულ მთარგმნელთათვის) არქაიზმები საცხებით ორგანული ჩანს. და აი, ჩვენს პატივცემულ ოპონენტს „კოხობა“ რჩება რამდენიმე თანამედროვე მწერალი, რომლებთანაც იხმარება: **ნაქალღივანი, ხანაჯა, მტლი, კაბა** (ი. ჭავჭავიძე), **ჟამი** (ა. ბელიაშვილი), **ლბილი** (გ. ტაბიძე), **შეფრთხნა** (გ. ლეონიძე, შ. დადიანი, პ. ჯავახიძე), **მიირ-**





ლიტერატურო ენაში საეკლესიო-სლავურის ხმა-  
რება. და, ამრიგად, გზა გაუხსნა რუსულ მწერ-  
ლობაში სლავიანიზმების (უნდა იყოს: სლავი-  
ზმის. ა. თ.) ცხოველყოფილ ნაყადს" (124),  
მაგრამ არ უკვირდება, რა მდგომარეობაა ამ  
მხრივ დღეს: "თანამედროვე ენაში პუშკინის  
ეპოქის ენასთან შედარებით, ეს რვაუფი (იგუ-  
ლისხმება „სტილისტური სლავიზმები“ **брег,**  
**златой** ტიპისა. ა. თ.) ძალიან შემცირდა და  
თითქმის გამოდის ხმარებიდან... ახლა ისინი  
აღარ გამოიყენებიან პეტრუჩკა ენაშიც კი... ეს  
ქმნის სტილისტური რესურსების მზრავრით-  
ერთ ყველაზე დიდ განსხვავებას თანამედროვე  
და პუშკინის ხანის ენას შორის" (**А. Гвоздев,**  
**Очерки по стилистике русского языка,**  
1955, გვ. 117). რა თქმა უნდა, აქ ლაბარაი არ  
არის „ეტიმოლოგიურ სლავიზმებზე“ (**власть,**  
**главный...**), რომელთა უმეტესობა დღეს რუ-  
სულ ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის კუ-  
თვნილებას წარმოადგენს.

ასევე, არასერიოზულად მიჩვენება ბ. ბრეგვა-  
ძის განცხადება: „არქაიზმებით უხვად სარგებ-  
ლობდა ვ. მაიაკოვსკიც“ (?). ან კიდევ: „არ შეე-  
ცდებოთ, თუ ამ სიას შეავსებთ ისეთი სახელე-  
ბით, როგორცაა ანდრეი ბელი, მარინა ცვეტა-  
ევა, და ბორის პასტერნაი“ (?).

მე ვფიქრობ, რომ ძალიანაც შეეცდებით.  
მაიაკოვსკის, ლექსისა და სიტყვის ამ დიდი რე-  
ფორმატორის არქაისტებში მოქცევა, რბილად  
რომ ვთქვა, უხერხულია. რაც შეეხება პას-  
ტერნაის, ვგონებ წინა წერილში დამაჯერებ-  
ლად ვაჩვენე მისი შეუთიგებელი პოზიცია ყო-  
ველივე ძველისადმი.

ვაზვიადებულია, აგრეთვე, არქაიზმების ხმა-  
რება უცხოელ მწერლებთან — ლუი არაგონთან,  
ეროვ დიუამელთან, ანრი დე მონტერლანთან...  
(საპირისპიროდ შეიძლება ვაგისტერნო რილკე  
და ელიოტბ, რომლებიც საერთოდ არ სცნობ-  
დნენ არქაიზმებს).

ახლა რაც შეეხება თვით ქართულ ლიტერა-  
ტურულ სინამდვილეს. ბ. ბრეგვაძე წერს: „თი,  
რატომა ძნელი არ დავეთანხმობ პიროვ. შ.  
ძიძიურის სიტყვებს: „არც ერთ ენას არ  
აქვს იმდენი შესაძლებლობა არქაიზმების თა-  
ვისუფალი და უმტკივნეულო გამოყენებისა,  
რამდენიც ქართულ ენას.“ მაგრამ შეიძლება არ  
დაეთანხმობთ შემდეგ განცხადებას? „უთუოდ  
უნდა შევებბოლოთ ისეთ ტენდენციას, რო-  
დესაც მწერალი ხელაღებით ცდილობს გა-  
აცოცხლოს ძველი სიტყვები, რომელთა საჭი-  
როება არ არის ნაყარნახები თანამედროვე ენის  
თვალსაზრისით“.

ეს ციტატაც იმავე შ. ძიძიურისაა. სად  
არის მკვლევარი მართალი? ორივეგან. ოდონდ  
არ არის სწორი ოპონენტისაგან პირველი დე-  
ბულების ასე უაპელაციოდ მიღება.

ა. გაწერელის ეკუთვნის შემდეგი სიტყვები:

„მწერლის მხატვრული ტაქტი უარყოფს მხატვ-  
რ ნატურალიზმს... მაგრამ იგი არც სიტყვიერ  
ესთეტიზმს თმენს. პირველი გვევლინება „რეა-  
ლიზმის“ იარაღით და საერთო არაფერი აქვს  
რეალიზმთან, მეორე კი ენისადმი სალონური  
დამოკიდებულების შედეგია“ (წერილები, 347).  
მკვლევარის აზრით, არქაული სიტყვების  
ქარბად გამოყენება გამოწვეულია „ყალიბ გან-  
ზრახვით — თითქოს მწიგნობრული სტილიზა-  
ციით შესაძლებელია შორეული ეპოქების კო-  
ლორიტის აღდგენა (არც ერთ ეპოქაში ხალხი  
მწიგნობრული ენით არ ლაბარაიობდა)“.

და ბოლოს, რეზიუმე: „მსოფლიო ლიტერა-  
ტურის ისტორია გარკვეულ დასკვნებს გავწე-  
დის სტილის სფეროში: ძველდებოდა ყველა-  
ფერი „ნაიები“, „მოვარაყებული“ და ზომიერ-  
რებას მოკლებული. დარჩა და დღესაც გვხვბ-  
ლავს დიდი კლასიკოსების სტილის მონუმენტუ-  
რი სისხლადვე და ლაკონიზმი. ამის მთავარი მი-  
ზეზი კი ის იყო, რომ უღიდესი სტილისტიები  
ამავე დროს უღიდესი მოაზროვნეებიც იყე-  
ნენ“ (350).

როგორც დავინახეთ, ა. გაწერელის მსჯე-  
ლობა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მთარგმნე-  
ლთა პრინციპების (ვგულისხმობთ ესთეტიზმსა  
და არისტოკრატიზმს ენაში) წინააღმდეგაა მი-  
მართული. აქვე მოვიყვან ჩემი არაოფიცია-  
ლური ოპონენტის, გ. გაჩეჩილაძის სიტყვებს:  
„რა საჭიროა კვლავ შევქმნათ უფსკრული  
„რჩეულით“ მწიგნობრულსა და სახალხო ენის  
შორის, უფსკრული, რომელიც ამ ასი წლის წი-  
ნათ ამოავსო დიდმა ილიამ?“ ტეშმარტად.  
მართალია, სალიტერატურო ენა უფრო მოწეს-  
რიგებულია, მას დიდ შემოქმედლო ინდივიდუა-  
ლობა დინოზავრის ნაკვალევივით ატყვია, მაგ-  
რამ იგი პრინციპულად დაცილებული არ უნ-  
და იყოს ხალხის სასაუბრო მეტყველებას. მი-  
სი მაკოცხებელი სიითი უნდა სუნთქავდეს და  
არა მხოლოდ სამუზეუმო სიტყვა-ექსპონატებ-  
ზე გადაცლილი მტკერიო.

კ. გამსახურდიამ VIII ტომის ბოლოსიტყვა-  
ში ასე ჩამოაყალიბა თავისი ენობრივი პოზი-  
ცია: „საჭირო ვახდა ქართული ენის მართებუ-  
ლად წარსამართავად სამი რამ: მისი მიზრთებუ-  
ჩვენი ენის უძველეს და უზრწყყინალეს სათა-  
ვეებისაკენ. იმისათვის, რომ ჩვენს ენას მშრა-  
ლო მწიგნობრული ნიშატი არ მისცემოდა, ქარ-  
თული მეტყველების არტერიებში უნდა შემო-  
გვეშვა ქართული ზღაპრის, ქართული, მითო-  
ლოგიის, ქართული ფოლკლორის, ქართული  
მრავალსახიერი დიალექტების წიაღში მიჩქმა-  
ლული უღევი ეტიმოლოგიური მარაგი“ (894).  
მთარგმნელებს კ. გამსახურდიას ეს მართე-  
ბული მოსაზრება ცალმხრედა აქვთ ვაგებუ-  
ლი. ძველი ქართულისკენ კი მიმართეს მზერა,  
მაგრამ ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას ნაკლე-  
ბად აზოიეს ყურა.





ასევე ვერ გაითვალისწინეს მათ კ. გამსახურდიას მეორე ბრძნული შეგონება: „ძველი ბერძნები მუდამ აფრთხილებდნენ ხელოვანს ცნობილი სენტენციით: არც მეტი, არც ნაკლები“. მათ ვერ მოზომეს თავისი მიმართება ენის ძველ სისტებათსან და არქაული ელემენტების გავაქარბებულ რესტავრატორებად მოგვევლინენ.

ახლა შევეხოთ ჩვენს პაექრობის მეორე ძირითად საკითხს: რა არის „ძველი“ და „ახალი“ ქართული“. რ. თვარაძის უმართებულო განქიქებას, რა თქმა უნდა, ვერც აქ ავცილი: „დაიხ, „ძველი ქართული“ არლი თაყაიშვილისთვისაც არის რაღაც ბუნდოვანი, რაღაც შორეული, რაღაც უტენური, რაღაც ახირებული, რაღაც ხმარებიდან გამოსული, მკვდარი „მუნა“, „მიჩნს“, „ყავა“ და მისთანანი. იგი არც კი სვამს საკითხს, — რა არის ეს ყოველივე — სხვა ენაა, იმევე ენის ვარიანტი, განვითარების პერიოდაა თუ სხვა რამ. ასე მეცხრეკლასელებმაც იციან, რა არის „ძველი ქართული“ (130).

ახლავე უნდა ითქვას, რომ არცერთი ზემოთ დასახელებული ემთეტთაგანი „ძველი ქართულის“ მე არ მეტყუენის. იგი ოპონენტის ექვიანი ახირების ნაყოფია. სხვათაშორის, მან კარგად იცოდა (აღრე ვესაუბრე ამის თაობაზე), რომ მე მისგან განსხვავებული ოპონიცია მქონდა ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციასთან დაკავშირებით. მაგრამ დამასწრო, საკითხის არცოდნა დამწამა და ჩემგან წამახული იარაღი მე თვითონ დამიმიზნა.

როგორც ვსმის თვით ოპონენტს „ძველი ქართულის“ ცნება? თავი დავანებოთ იმას, თუ რა მანიატლაციებით ახერხებს იგი განმარტების — „ძველი ქართული არის ხმარებიდან გამოსული ენა“ — ჩამოყალიბებას, როგორ ურთავს წინ „მკვდარს“ და როგორ თვითნებურად შეაქვს ჩემს ციტატაში: „ამ ავტორათვის დამხასიათებელია ხმარებიდან გამოსული ენისაკენ (ანუ მკვდარი ენისაკენ) დაბრუნების დაულოკებელი სურვილი“ (127). შემდეგ ამჩნევს, რომ ზედმეტი მოუვიდა და „შესატყვის მეცნიერებას“ მოუხმობს დასამხარებლად, მაგრამ კვლავ დაეპყვდება: შეხედულება, რომ ქართული იყოფა „ძველ ქართულად“, „საშუალ ქართულად“ და „ახალ ქართულად“, მას უბიძგებს სამი ქართული ენის გამოყოფისაკენ. თუმცა იქვე ურყოფს ამასაც და იშველიებს სათანადო ციტატას: „ქართული ენის განვითარების მთელ ისტორიას სამ პერიოდად ყოფენ, რომელთაგან პირველი V-X საუკუნეების ენას შეიცავს. მას ძველ ქართულს უწოდებენ, მეორე XI-XVII საუკუნეების ენას წარმოვიდგენს, მას საშუალ ქართულის სახელით იხსენიებენ, ხოლო მესამე XIX-XX საუკუნეების ენაა, მას ახალ (თანამედროვე) ქართულს ვეძახით.“ — წერს

პროფესორი ივანე იმნაიშვილი (ვახუთი „ლიტერატურული საქართველო“, 1965, 5 ნომერში, რი, წერილი „ქართული ენის ისტორიიდან“). მაგრამ რ. თვარაძემ იცის (ამას ვერ დავუკარგავთ), „რომ არსებობს ავრთვე სხვა თვალსაზრისი. აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა წერს: „ქართული ენის განვითარებაში უნდა განვასხვავოთ ძველი და ახალი ქართული. ძველი სალიტერატურო ენა — მეხუთე საუკუნიდან მეთერთმეტე საუკუნის დამლევამდე...“ ნუ მივაქტივებ ყურადღებას იმას, რომ ავტორი „მეცნიერული მსჯელობისან“ ისევ სალექსიკონო ცნობებით მელაპარაკება (ციტატე „განმარტებით ლექსიკონზე“ დართული დასასიათებიდანაა). მთავარია, რომ აქაც შიშობს ავტორი, თითქოს ორი ქართული ენის აღიარებას წინ აღარავფერი უდგასო. მაგრამ უმაღლესი მწივადღება, როდესაც 1952 წელს გამოცემულ ა. ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავალში“ ჩაიხედავს: „ძველი ქართული და ახალი ქართული წარმოადგენს საერთო ენობრივი საფუძვლის ვარიანტებს და არა სხვადასხვა საფუძვლს“ (27).

აქვე შევეკითხებო ოპონენტს: თუკი იგი მე ქართული ენის ასეთ კარდინალურ საკითხში ჭკუას მარგებს და ანაბანს მასწავლის, რატომ მხოლოდ 1965 წელს, ისიც სულ სხვა დანიშნულებით დაწერილი სტატიის დამოწმებით ემყოფილდება? რატომ არ მაცნობს საკითხის ისტორიას, რაც აქვთ დონის მეცნიერული პაექრობისათვის აუცილებელია?

საკითხის ისტორიით კი ირკვევა, რომ აღნიშნული თვალსაზრისი (ქართული ენის სამ პერიოდად დაყოფა) პირველად წამოაყენა აკ. შანიძემ ჯერ კიდევ 1920 წელს თვის მონოგრაფიულ შრომაში „S<sub>2</sub>O<sub>3</sub> ქართულ ზმნებში“ (უნდა აღინიშნოს, რომ აკ. შანიძეს ეკუთვნის „ძველი ქართულის“ სხვა გაგება: „ფართო მნიშვნელობით „ძველი ქართული“ შეიცავს ყველაფერს, რაც ახალი არ არის, ე. ი. რაც არ განეკუთვნება მე-19 და მე-20 საუკუნეს“ (ძველი ქართული ენა, 1935 წ.). შემდეგ ეს თვალსაზრისი გაიზიარეს სხვა სწავლულებმა: ნ. მარი სამი პერიოდის მსგავსად სამ ენას გამოყოფდა: ძველი ლიტერატურული, საშუალ საუკუნეების და ახალი (К изучению совр. груз. языка, 1922). ს. გორგაძეს სამ პერიოდად დაყოფა ჭეშმარიტებადაც კი მიაჩნია (მნათობა, 1925 წ.), პ. ინგოროყვასთვისაც სამი პერიოდად ამოსავალი: რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ იგი საშუალი ქართულის ნიმუშად თვლის, ახლის ადრინდელ სახედ კი XVII ს-ის ბოლო (სულხან-საბას „სიბრძნე-იტირისა“) მიაჩნია (მნათობა, № 7, 1951). და ბოლოს, კ. კეკელიძეც სალიტერატურო ენის სამ პერიოდად დაყოფს თვალსაზ-

**არლი თაყაიშვილი**  
„მე მყოვარ-შამ დატინებოი...“



რის იცავს (ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951).

ასევე, პატივცემულ ობონენტს უნდა შევახსენო, რომ ა. ჩიჭობავამ თავისი პრინციპი პირველად „განმარტებით ლექსიკონში“ და შემდეგ „ენათმეცნიერების შესავალში“ (1952 წ.) კი არ წამოაყენა, არამედ ჯერ კიდევ 1938 წელს წერილში „დიალექტიზმების საკითხისათვის“ კვეფისტყაოსანში“.

მაგრამ შევეშვით ჰუკის სწავლებას და ვნახოთ, თუ ზემოთ წარმოდგენილ რომელ თვალსაზრისს ეყრდნობა ობონენტი. იგი ხომ კატეგორიულად მიაკვლიებს: „...თუ საკუთარ თვალსაზრისს ვერ შეიქმნის, ენათმეცნიერთა მიერ შემუშავებულ ერთ-ერთ თვალსაზრისს მაინც მიემხროს და ის აღიაროს“ (128).

ჯერ ერთი, დავინახოთ, რომ ენის დაყოფის პრინციპი (სულ ერთია, რამდენად) მხოლოდ „ენათმეცნიერთა მიერ არ არის შეთხზული“, მისი ავტორები ენათმეცნიერებთან ერთად არიან ცნობილი ლიტერატორები (კ. კეკელიძე, ს. გორგაძე, პ. ინგოროყვა). მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია, რომ არცერთი ამ თვალსაზრისთაგანი ობონენტის მოწოდების დირისი არ აღმოჩნდა.

როგორ, საერთოდ უთვალსაზრისოდა ობონენტი? არა, იგი ეყრდნობა სულ სხვა. მესამე თვალსაზრისს. მართალია, ამას დაბეჭდვით არ ამბობს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ქართველ ლიტერატორთა შორის სხვა შეხედულებაცაა, რომლისთვისაც ქართული სალიტერატურო ენის მიმართ შეუწყნარებელია „ძველისა“ და „ახლის“ ხმარება, რომ ეს ინდო-ევროპული ენებისათვის შექმნილ მოდელთა მექანიკური გადმონერგვაა, რომ ისინი ურას იტყვიან და თავიანთ თვალსაზრისზე, თვით ენათმეცნიერთა შორისაც შეთანხმება რომ ყოფილიყო, რომ ეს მესამე თვალსაზრისი გულისხმობს XIII ს-ში ქართული სალიტერატურო ენისა და კულტურის ძალისძალად დაწყვეტილი ხაზების გამთლიანებას და სხვა (128-129).

საინტერესოა, ვინ არიან ეს ლიტერატორები და რატომ გაბედულად არ ასახელებს ავტორი მათ? რომ გავიგოთ, რაში მდგომარეობს მესამე თვალსაზრისის არსი. მივაკიბოთ რ. თვარაძის „ლიტერატურულ წერილებს“: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ წინასიტყვაობი ვკითხულობთ: „ახალი სალიტერატურო ქართული ენა ჩაისახა XII საუკუნის საერო პოეზიაში (შ. რუსთაველი, მეზობეები). მეოთხრამეტე საუკუნეში მისი ჩამოყალიბება უკვე დამთავრებულია (სახას „მოგზაურობა“, დ. გურამიშვილი).“ „კანნიერებად ნუ ჩამომერთმეა, თუ არ გავიზიარებ ასეთ ავტორიტეტულ გამოცემაში გამოთქმულ მოსაზრებას“ (ლიტ. წერილ. 139).

ახლა ვნახოთ, რა თვალსაზრისს უპირისპი-

რებს ავტორი მას: „ახალი სალიტერატურო ქართული ენა შეიქმნა (და არა ჩაისახა) მანამ, როდესაც ითარგმნა „ბიბლია“ და დაიწერა პირველი ორიგინალური ნაწარმოებები, ერთი სიტყვით, არაუგვიანეს მეხუთე საუკუნისა“ (140).

მამასადამე, ახალი სალიტერატურო ქართული უკვე არსებობს არაუგვიანეს მეხუთე საუკუნისა. ახალი იმის ახალია, რომ ის მოსდევს ძველს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ძველი სალიტერატურო ქართული მანამდე გვექონია, შესაძლოა ჩვენს წულთალიცხვამდეც კი. ვერაფერს იტყვი, მშვენიერი თვალსაზრისია! მაგრამ ჩანს, ამის თქმა არც უნდოდა ავტორს (ესეც ხომ ერთგვარად ორი პერიოდის აღიარება იქნებოდა). მას აინტერესებს დაამტკიცოს, რომ არსებობს ერთი სალიტერატურო ქართული ენა, დაწყებული „შეშინების წამების“ ავტორიდან და მოსული გალაკტიონ ტაბიძემდე... (141).

მამ, „ძველი“ და „ახალი“ ქართული რაღას ნიშნავს? ეს „პირობითი ცნებებია, ენათმეცნიერთა მიერ შეთხზული. ამ ცნებებით ოპერირება მიზანშეწონილია მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ენას წმინდა საენათმეცნიერო პოზიციებიდან განვიხილავთ“ (თუ ვახსოვთ, ჩემს საპასუხო წერილში სულ სხვას ამბობს: „ენათმეცნიერი ზუსტი ცნებებით უნდა აზროვნებდეს, ჩვენ კი ვნახეთ, რომ „ძველი ქართული“ არ არის ამგვარი ცნება“ (140).

აი, აქ კი, როდესაც თვარაძე-მთარგმნელი ადგის უთმობს თვარაძე-ენათმეცნიერს, მისი მსჯელობა ვერ ტოვებს სასურველ შთაბეჭდილებას.

რა ცვლილებები განიცადა ქართულმა მეხუთე საუკუნის მთელი მთელი — კითხულობს იგი და იქვე ჩამოთვლის ამ ცვლილებებს (მომავლეს ზუსტად):

„1. ლექსიკის სფეროში — ზოგიერთი სიტყვა გადავიარდა ხმარებიდან და არქაიზმად იქცა... ზოგიერთმა მნიშვნელობა შეიცვალა (სულ მოტანილია 19 მაგალითი. ა. თ.)“

2. ფონეტიკის სფეროში (მაგალითად, აღარ გამოითქმის ჭ, ქ);

3. მორფოლოგიის სფეროში (მაგალითად, ზმნების უღვლილებამ მოგვცა ზოგიერთი სხვაობა. დღეს ვამბობთ: კაცნი მოვიდნენ. ძველად იტყვიან: კაცნი მოვიდეს);

4. სინტაქსის სფეროში (მაგალითად, ზმნაში აღნიშნულია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა: კაცნი დახოცნა. დღეს ვამბობთ: კაცნი დახოცა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სინტაქსის სფეროში მომხდარი ცვლილებები სრულიად უმნიშვნელოა“. გვ. 140.

განა ეს არის ჩვენს ენაში მეხუთე საუკუნის დღემდე მომხდარი ძვრების რეალური სურათი? განა მხოლოდ ამ ნიშნებით განსხვავდება V საუკუნის ქართველის ენა ჩვენი თანამედროვის მეტყველებისაგან? ეს რომ ასე იყოს,



მაშინ ვის მოუვიდოდა ახრად ქართული ენის დაყოფა პერიოდებად? (იქნებ იმიტომაც არის სურათი ასე მარტივად წარმოდგენილი?)

მაგრამ საქმე უფრო რთულად გახლავთ. ცვლილებები მეტია და ამასთან ძირეული. განა მხოლოდ „ზოგიერთი“ სიტყვა გადავარდა ხმარებლად? ცნობილია, რომ ცვლილება ენაში ყველაზე მეტად ლექსიკის სფეროში იჩენს თავს (ფიქრობ, მე ეს დავასაბუთებ მთარგმნელთა ენის განხილვისას). უფრო მეტად ზუსტი რომ ვიყო, გავიხსენებ ამერიკელ ლინგვისტის სეოდემის მეთოდის შედეგებს: უძირითადესი ფონდის ნებისმიერი 100 მარტივი სიტყვიდან ყოველ 1000 წელიწადში 14-15 ერთეული ტოვებს ხმარების სფეროს. თუ ჩავთვლით, რომ ქართულმა ენამ დღემდე ორი ასეთი 1000 წელი მაინც გაიარა (ჩვენს წელთაღრიცხვას რომ არ გადავცილდეთ), და რომ არა მხოლოდ ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვები ტოვებენ ასაბრუნს, არამედ უფრო მეტად სივრთო ფონდისა, მაშინ დავრწმუნდებით, თუ რამხელა დანაჯარგი განუვლიდა ქართული ლექსიკის უბანს; და თუ ყველაფერ ამას დავემატებთ იმ ფაქტს, რომ ენა მდიდრდება ახალი ლექსიკით (თანაც უფრო ინტენსიურად, ეს იგი, ნამბტი მეტია, ვიდრე დანაჯარგი), მაშინ, თქმა არ უნდა, თუ რა დიდი სხვაობა აღმოჩნდება ძველ ლექსიკურ ფონდსა და დღევანდელს შორის (უნდა ითქვას, რომ იგი, ჭავჭავიძის მიერ ძველ ლექსიკაზე ჩატარებული ცდა, რომელიც ბ. ბრეგვაძემ დაიმოწმა, მაინცდამაინც არქაისტული პოზიციის სასარგებლოდ არ უნდა მეტყველებდეს).

ასევე, დასტურდება ძირეული ცვლილებები გრამატიკის სფეროში (თუმცა, როგორც ვიცით, ასეთი ძვრები ენაში გაცილებით ნელა მიმდინარეობს). მეც რომ პირველი ოპონენტავით სქემატური სურათი არ გამომივიდეს, თავს ვიკავებ ძველი გრამატიკული მოვლენების ჩამოთვლისაგან. ყველა იმ ცვლილების დასახელება, რომელიც განიცადა ქართულმა ენამ V საუკუნეიდან დღემდე, შეუძლებელიც კი იქნებოდა (სხვას რომ თავი დაეანებოთ. არსებობს ძველი ქართული ენის გრამატიკის საკმაოდ სტრუქტურული წიგნი: **Н. Марр, Грамматика древнегрузинского литературного языка**).

უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესობა დადასტურებული ცვლილებებისა არსებითია. თუნდაც ერთი შეხედვით ისეთი უმტკივნეულო ფაქტი, როგორცაა ფონემების დეაკრეცა, თავის ღრმა კვალს ტოვებს, რადგან ერთი კატეგორიის ცვლილება იწვევს მეზობელი კატეგორიის გადასხვაფერებას. ეს იმიტომ, რომ ფრანგი ენათმეცნიერის ფერდინანდ დე სოსიურის სიტყვებით, „ენა არის სისტემა, რომლის ყველა ელემენტი ქმნის მთელს“ (**Курс общей лингвистики**, გვ. 114). ავტორის ეგვეე მოსაზრება გა-

მოთქმული აქვს უფრო ხატოვანადაც: „...იმის მსგავსად, როგორც ქალაქის თამაში დაიყვანება სხვადასხვა ფიგურების განლაგების კომბინირებაზე, ასევე ენაც წარმოადგენს სისტემას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დამყარებულია მისი კონკრეტული ერთეულების დაირისპირებაზე“ (იქვე, გვ. 115).

ამრიგად, ვთქვათ, კი ფონემა მიმართებაში იყო სხვა ფონემებთან. მისმა ამოვლებამ გამოიწვია ხ-ს ცალად (მარტო სპირანტად) დატოვება. დღუბრისპირებლობის გამო კი სპირანტობაც კარგავს ღირებულებას. ასევე ითქმის **ა-ის** მიმართაც: მისმა გაქრობამ იმსხვერპლა დღუთოგვიც (**აჲ, აჲ...**), რასაც თავისებური ძვრები მოჰყვა ბგერათსისტემაში.

რ. თვარაძეს ყოველგვარი ცვლილება ენაში ლინგვისტური თვალსაზრისით მნიშვნელოვანდ მიაჩნია: „ენათმეცნიერისათვის შესაძლოა პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდეს იმას, „ზღუა“ წერია თუ „ზღა“ რომელსავე აღრინდელ ტექსტში, „ქელი“ თუ „ხელი“, „კაცი“ მოვიდეს“ თუ „კაცნი მოვიდნენ“, „კაცნი დახოცნა“ თუ „კაცნი დახოცნა“, მაგრამ ენა ხომ ენათმეცნიერისათვის არ არსებობს!“

აქაც ცდება ავტორი. ლინგვისტური თვალსაზრისით არ არის მნიშვნელოვანი, **კაცმა** იქნება თუ **კაცმა**. მხოლოდ ასეთი ვარიანტული სხვაობები რომ გვექნდეს, ვერ ვიტყვით, რომ სხვა სისტემა მივიღეთო. მაგრამ უმეტესობა ცვლილებებისა ძირეულია. განსხვავების კრიტერიუმში სტრუქტურული ჩანს. განსხვავება კი, რომელიც ეხება **გრამატიკულ კატეგორიებს**, ახალი სისტემის შექმნის საწინდარია.

ამრიგად, ძველი ქართული სხვა სისტემა გამოდის, ახალი ქართული — სხვა. ავი ამბობს კიდევ **ა**. ჩიქობავა: „ძველი ქართული ენა მკვეთრად ჩამოყალიბებული ნორმების სისტემაა“. მაგრამ სისტემების სხვადასხვაობა კიდევ არ გვაძლევს უფლებას, რომ ენების სხვადასხვაობაზე ვილაპარაკოთ. „ძველი“ და „ახალი“ ქართული სხვადასხვა ენებიაო, ვერ იტყვი, თუმცა მათ სხვადასხვა ფონეტიკურ-გრამატიკული სისტემა აქვთ და განსხვავებული ლექსიკურ-ფრაზოლოგიური ინვენტარი გააჩნიათ. ენა უფრო ზოგადი კატეგორიაა. იგი სისტემების ერთობლობის წარმოადგენს (სხვა-თაშორის, აქვე შეშოვა დიალექტების საკითხიც: დიალექტები რომ სხვადასხვა სისტემებს არ წარმოადგენდნენ, ჩვენ ვერც შევაჩვენებთ მათ შორის სხვაობას. ვამჩნევთ იმიტომ, რომ ეს განსხვავება სტრუქტურულ-ფუნქციონალურადაა ღირებული).

ამდენად, მიზანშეწონილი ვეჩვენება ქართული ენის დაყოფა სისტემადა, ვარიანტებად ან

**არლი თაყაიშვილი**  
„მე მყოვარ-შამ დაჰინებით...“



პერიოდებად. პირველი ორი უფრო ენის შინაგან ბუნებას ითვალისწინებს, მესამეში კი ქრონოლოგიური მომენტია წეს წამოყვული.

აი, ასეთია საკითხის მეცნიერული ახსნა. „მაგრამ ენა ხომ ენათმეცნიერთათვის არ არსებობს!“ — გაუთავებლად გვიმეორებს რ. თვარაძე. — ენა, უწინარეს ყოვლისა, ვაგებინების, კავშირის, ურთიერთობის იარაღია და მხოლოდ შემდეგ — კვლევის ობიექტი... ნუთუ მართლა ასე რიგად განსხვავდება „ძველი“ ქართული ენა დღევანდელისაგან? (140).

ამ კითხვის უარსაყოფად ავტორი ქრონოლოგიურად ჩამოთვლის ცნობილ ქართველ მოღვაწეთა მთელ პლადას, დაწყებულს „შუშაინის წამების“ ავტორით და გათავებულს ვალენტონ ტაბიძით, რომლებიც აქვთ სალიტერატურო ენაზე“ მეტყველებდნენ (სხვათაშორის, ვაგებინების შენარჩუნებისათვის ჩვენი აბასთუასწლიანი განუწყვეტელი ლიტერატურული ტრადიციის როლს გრძნობს ქართული ენის ისეთი უცხოელი მკვლევარიც, როგორც პანს ფოგტია).

თავი დავანებოთ იმას, რომ რ. თვარაძეს ამ ავტორთაგან სავანებოდ შერჩეული აქვს შედარებით ნათელი პასაჟები, რომელთა ვაგება დღევანდელ მკითხველს არ უძნელდება. მაგრამ არის ადგილები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, საგალობლებში, ძველ ქართველ ფილოსოფოსებთან, რომელთა წაკითხვა სპეციალისტებმაც უჭირთ. რაღა შორს წავიდეთ, ვაგიხსენით თვით პატივემული ოპონენტის სიტყვები: „გულზე ხელი დავიდვით და ვთქვათ — შეგვხვედრიან თუ არა თუნდაც მხოლოდ ნაცნობ ინტელიგენტთა შორის ისეთნი, რომელთაც ან საერთოდ არ წაუკითხავთ „ვეფხისტყაოსანი“, ან, თუკი წაუკითხავთ, დარცხვენელი, უმწურო ღამილით გამოგვცდომიან — ბუერი რამ ვერ ვაგვივ, მრავალი სიტყვა და გამოთქმა უცნობიაო!“ (ლიტ. წერილ. 145).

ნუთუ არ დაუხვამს კითხვა პატივემულ ოპონენტს: რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ ვაგებინება არც ისე იოლია.

დამახინჩებულად შეაფასა ავრეთვე ბ. ბრეგვაძემ ჩემს მიერ „ძველი ქართულის“ გვერდით „ძველი ბერძნულისა“ და „ძველი სომხურის“ მავალითების მოტანა (125). კი მაგრამ, სად ვაგვიგვე მე ისინი? აი, რას ვწერდი წერილში: „შეიძლება თქვან: ზოგჯერ ძველის „გაახლებას“ აუცალებლობა გვკარნახობს, იმდენად დაცილებულია ძველი ახალს (თუნდაც ძველი ბერძნული, ძველი სომხური...), მაგრამ ყოველთვის ხომ ასე არაა? ვთქვათ, ინგლისურისა და რუსულის მავალითი. აქ ვაგებინების ელემენტი არსებითად შენარჩუნებულია“ (127). დიახ, ჩვენი ვიცით, რომ ბერძნულია მავალითი სწავა. იგი ისტორიულად არ ყოფილა ერთი დიალექტის ვაგრძელება. წარმოშობითა და შედგენილობის სირთულით მას

ნარევე ენად თვლიან. ან რატომ ჰგონია რუპინეტს, რომ მე ახალ რუსულს კორელატად ვეკლავსო-რადევერ ენას ვუყენებ? ძველმა სულმა რა დააზავა, რომელიც ისეთსავე მიმართებაშია ახალთან, როგორც ძველი ქართულია დღევანდელთან? ასევე, ფრანგულიც, ქართულისა და რუსულის მსგავსად, განუწყვეტელი ტრადიციის მქონე ენათა წყებაში შედის, მაგრამ მას სამ პერიოდადაც კი ჰყოფენ.

ერთი სიტყვით, კარგის მოქმელს კარგი ვაგვანე უნდა.

მაგრამ არსებითია ის, რომ მეცნიერული მსჯელობისას ვაგებინების ფაქტორი ვერ ჩაითვლება ძველი და ახალი ქართულის იგივეობის დამამტკიცებლად (თუმცა ენის ამ ფუნქციისათვის უპირატესობის მინიჭება ჩვენზე ახდენს ერთგვარ ფსიქოლოგიურ დაწოვას). ვაგებინების ჩეხურისა და სლოვაკურის მავალითი. სრული ვაგებინება, მაგრამ სხვადასხვა ენებია (მართალია, მონათესავე ენები ენის პერიოდებისაგან განსხვავებულ კორელატებს წარმოადგენენ, მაგრამ ამეჟამად ამას არა აქვს მნიშვნელობა). ერთმანეთის ესმით ავრეთვე სლავ ხალხებს: დასავლელებს — ბულგარელებს, პოლონელებს, უკრაინელებს, ჩეხებსა და სლოვაკებს; აღმოსავლელებს — რუსებს, უკრაინელებს, ბელორუსებს, მაგრამ სხვადასხვა ენის წარმომადგენლებად ითვლებიან (უფრო მეტიც: რუსული და უკრაინული ბევრად ახლოს დგას ერთმანეთთან, ვიდრე ახალი რუსული და ძველი რუსული). ორი წვეთი წყალივით ჰვავს პოლანდური და ფლანდრიული ერთმანეთს (კოეპერსი წერდა: სავმარისია ერთი ვვერდი ტექსტი, რომ მივხვდეთ, რომელ მათგანთან მაქვს საქმეო).

ამრიგად, ცალკე ენებად ჩათვლა არ არის მხოლოდ ლინგვისტური ფაქტორი. ენა, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი მოვლენაა, რთული კულტურულ-ისტორიული კონტეგორია. მისი მყოფობის საკითხი უშუალოდ უკავშირდება ეროვნულ-პატრიოტულ მომენტს. მთავარია მასზე მოლაპარაკე ელემენტების ვადაწყვეტილება. მავალითად, ავსტრიელები თავის ენას სერბანულისაგან აცალკევებენ, თუმცა გოთეე სავრთო მოვლენად მიჩნით. ასევე, მიმდინარეობს კამპანია ამერიკულის ინგლისურისაგან გამოსაყოფად (ზოგი მათ სხვადასხვა ენად მიიჩნევს, ზოგი კი — ვარიანტებად).

როგორც დავინახეთ, ენას შესწავლის რამდენიმე ასპექტი ჰქონია: და, ვდვირობთ, არცერთი მათგანისათვის არ არის უხერხული ენის მეცნიერული კვალიფიკაცია — მისი დაყოფა სისტემადად, ვარიანტებად ან პერიოდებად. ამავე პლანში უნდა დადგეს პირებითი ენებები „ძველი“, „საშუალო“ და „ახალი ქართულისა“. ეს სამუშაო ტერმინები არა მხოლოდ ენის კუთვნილებაა, იგი მეცნიერების სხვადასხვა დარგში გამოიყენება: „ძველი ისტორია“, „ძველი ფილოსოფია“, „ძველი ლიტერატურა“.

„ძველი ხელოვნება“... ასევე, საპირისპიროდ: „ახალი ისტორია“...

ტუვილად შიშობს რ. თვარაძე, რომ ასეთი დაყოფა მოახდენს ჩვენი საერთო კულტურის ერთიანი ხაზის გაწყვეტას. როგორც ვაჩიკაძე, ძველი აქ არ ნიშნავს სრულიად სხვას. ძველი აგრეთვე არც რუსული старий-ა (მოძველებულის გაგებით). იგი უფრო უტოლდება Древний-ს.

რამდენი სისტემა, ვარიანტი ან პერიოდი, ბოლოსდაბოლოს? ან ორი, ან სამი (ყოველ შემთხვევაში, ერთი არა, როგორც ამას პატივცემული ოპონენტები ფიქრობს). უკანასკნელი ხანის გამოკვლევებმა თითქოს ერთგვარი გარკვეულობა შეიტანა ქართული ენის პერიოდიზაციის საქმეში. მხედველობაში მაქვს ივ. ქავთარაძის მონოგრაფიული ნაშრომი „ქართული ენის ისტორიისათვის“ (XII-XVIII სს. I, 1964 წ.). ავტორი აღნიშნული დროის მრავალფეროვან ლიტერატურულ, ისტორიულ და სხვა წარსის ტექსტებზე ინტენსიური მუშაობის შედეგად მივიღა იმ დასკვნამდე, რომ „XII-XVIII სს ქართული არის გარდამავალი საფეხური ძველიდან ახლისაკენ, თანამედროვე ქართულის ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს საშუალო ქართული“ (380). ეს მოსაზრება ვაზიარებულ არაა მეცნიერთა მიერ. (იხ. ივ. იმნაიშვილის ზემოთ ნახსენები წერილი).

და ბოლოს, ორიოდ სიტყვა მხატვრული თარგმანის სპეციფიკურ საკითხების თაობაზე. მართალია, იგი ჩემი უშუალო თემა არ ყოფილა, მაგრამ მაინც შევეხე ძირითად პრობლემასთან დაკავშირებით, რამაც ოპონენტთა დემონსტრაციული აღშფოთება გამოიწვია. მაგალითად, მეორე ოპონენტის აზრით, „მთელი უბედურება მაშინ იწყება, როდესაც წერილის ავტორი თარგმანის თეორიის საკითხთა გარჩევაზე გადადის“...

ამ უსიამოვნო ციტატს აღარ ვავაგრძელებ. ოღონდ შევასხენებთ, რომ თარგმანის თეორიის ცნობილი სპეციალისტი გ. ვაჩიკაძემ მთლად ამ აზრის არ გახლავთ (იხ. მისი წერილი: „მხატვრული თარგმანი და სალიტერატურო ენა“, ლიტ. გაზეთი, 24 მაისი, 1968 წ.). არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ იგი ძირითადად იზიარებს ჩემს პოზიციას. არ შევეხებო იმასაც, თუ რა ვაღურკვევლობა წარმოიშვა ჩვენს შორის. ეს ცალკე საკითხია. აქ ველაპარაკებ მხოლოდ იმის შესახებ, თუ რამდენად აუცილებელი იყო ზოგიერთი ავტორის არქაული ენით გადმოღება. როგორც მოგვხსენებთ, ოპონენტებმა მასტიკი ბრალდებები წამოიყენეს ამ ავტორთა ენისა და სტილის შეფასების გამო. რ. თვარაძემ საერთოდ ულაპარაკო კი ამიერთაძლა მის სათარგმნ ობიექტზე: „საიდან იცის ავტორმა, როგორი

„ფიგურა“ ისაკიანი (ცოტა ზემოთ აღმოჩენილი მოემის „უბადლო სტილისტობის“ არ იყო?) ვითომ ასე ზედმიწევნით აბუღბუღებს სომხურ (ან ინგლისურს?) სომხურის მეც არაფერი გამეგება...“

აი, ეს კი მესმის! მთარგმნელი, რომელსაც უცხო ნაწარმოების სული და გული გადმოაქვს მშობლიურ ენაზე, მეუბნება, სომხურის იწი-ბინი არ გამეგება და, შენ, მკითხველმა, როგორ გაბედე მასზე კინტის დაძვრო (სხვათაშორის, იგი ინგლისურის ცოდნაზე არაფერს ამბობს. გასსოვთ, თავის დროზე მან „ლეონარდო“ რუსულიდან თარგმნა).

ამრიგად, ჩვენ დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში ვყოფილავით. მაშ, რატომ არ შეიძლება მეც მეტყვა ორიოდ სიტყვა?

ახლაც ვიმეორებ: ისაკიანის „აბუ-ლალა-მაარი“ და ბარათაშვილის „მერანი“ განსხვავებული რატმისა და ფილოსოფიურა ქედრადობის ნაწარმოებებია. პირველის ინდივიდუალისტურ დეკადენტურ განწყობილებას უპირისპირდება მეორის ჯანსაღი, ჰუმანისტური პათოსი. ამიტომ იყო, რომ მე ისაკიანის განცხადება: „აბუ-ლალა-მაარის“ ქარავანი ბარათაშვილის „მერანის“ კვლს მისდევს“, პიპერბოლად მეჩვენა (მით უმეტეს, ერთ მომდევნო წერილით ავტორი არც მაინც დამაინც გულმოდგინედ იცავს თავის ნათქვამს). ცხადია, ამდენად, ვერც პოემის „მერანისებური“ ინტონაციებითა და არქაული ლექსიკით თარგმნის თვარაძისეულ პრინციპს ვაფიზიარებდი.

შთაგონების კონკრეტულ მიზეზად კი ისაკიანი ერთ უბრალო ფაქტს ასახელებს: მატარებლით მივდიოდი და რკინიგზიდან მოშორებით ქარავანი დავინახე. წარმოვიდინე, რომ შესაძლოა ეს ქარავანი სულ ასე უწყვეტად მივდინებოდეს.

ერთი დეტალიც: „აბუ-ლალა-მაარი“ ოცმარცვლიანი ლექსითაა გამართული. ბრიუსოვსაც ასევე აქვს გადმოღებული. აღნიშნავენ, რომ ამ გრძელი პერიოდით ავტორს სურდა გარეგნულადაც მიახლოებოდა ქარავანის დინების რიტმსა და განწყობილებას. რ. თვარაძისეულ თარგმანში ლექსმა ამ მხრივაც განიცადა ტრანსფორმირება.

ორიოდ სიტყვა დანტი ალიგიერის ენობრივ პოზიციასზე. ბ. ბრეგვაძეს უმართებულად მიაჩნია ჩემი ამგვარი დასკვნა: „აი ასეთი ხალხური საწყისებით ნასაზრდოები პოეტის გადმოტანა ამაღლებული, ბიბლიური სიღნივს ენით, მთლად ვაპართლებული არ გვეჩვენება“. საწინააღმდეგოდ ათასგვარი საბუთია მოტანილი. ვერ გაოცება გამოიხატება კონტრაპუნქტის პრინციპით: „ნუთუ მხოლოდ ხალხური საწყის-

#### არლი თაყანიშვილი

„მი მყოვარ-შამ დაქინდით...“





სებე ასასრდომედნენ დანტეს პოეზიას, რომელსაც, პოეტისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხელი დასდევს ზეცამ და მიწამ“ (აქ კიოხვის ნიშანია საერთო. ა. თ.) სად გაქრა თეოლოგია, ოკულტური მეცნიერებანი და მაგია?... შერე უკვე იწყება ცნობილ სპეციალისტთა მოხმობა, რომ „დანტეს მსოფლმხედველობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ქალღმრთელთა მაგიური სიბრძნითა და ზოროასტრიზმის უღრმესი მისტიკით“, აგრეთვე „პლატონისა და არისტოტელეს. ღვთისმეტყველებითა და მუსულმანური ესკატოლოგიით“, რომ დანტეს წყაროები ჰემარიტად აურაცხელია (აქ დაწვრილებითაა ჩამოთვლილი, თუ რა წიგნებსა და წყაროებს იცნობდა პოეტი), გახსენებულია საფლავის ქვის წარწერაც კი და, ბოლოს, დანტელოვ სკარტაციის სიტყვებით მოცემულია რეზიუმე (130-131).

კი მაგრამ, რა საჭიროა საკუთარი და დანტეს ერუდიციის ასე დემონსტრირება? არც ერთსა და არც მეორეში მე არასოდეს შემპარვია ეკვი. დანტეზე მსკელობისას მხოლოდ ის მითითებებს, თუ რა ენობრივ სამოსელში ახვევდა იგი თავის გენიალურ აზრებს. განა მისი ცოდნის მასშტაბი იმას გვიმტკიცებს, რომ დანტე არქაული ენის მიმდევარია? რუსთაველსაც ხო „ზეცამ და მიწამ დასდევს ხელი“, მაგრამ მისი პოემა მიანიხთ ახალი ქართულისავე შემობრუნების პუნქტად.

პატივცემული ოპონენტი საკითხზე ასეთ თვალსაზრისს იმორჩებს: „დანტეს მიერ შექმნილი „იტალიური სალიტერატურო ენა — ესაა ტოსკანური, ან უფრო ზუსტად, არქაული და შვიგნობრული (ხაზი ჩემია, ა. თ.) ფლორენციული დიალექტი“. მაგრამ არსებობს სხვა თვალსაზრისიც: დანტეს ენა „მნიშვნელოვნადაა გამდიდრებული ცოცხალი სასაუბრო მეტყველებით — ტოსკანური ანდაზების, სხარტი და მყარი ხალხური გამოთქმების ხარჯზე...“

ფრანჩესკო ლე საკტისის თავის ცნობილ წიგნში (История итальянской литературы, I, გვ. 29) მოაქვს ფლორენციელი პოეტის ჩაკო დელ ანგელიარის ტენცონის ნაწყვეტები და ასკენს: „ამ დიალოგებში ზუსტადაა გადმოცემული ცოცხალი სასაუბრო მეტყველება, რაც ნათლად ადასტურებს იმას, თუ რა სინატრფესა და დახვეწილობას მიაღწია ვოლგარემ ტოსკანაში, განსაკუთრებით კი ფლორენციაში“ (ხაზი ჩემია, ა. თ.).

ეს „ვოლგარე“ ის იტალიური სახალხო ენაა, რომელზეც დანტე თავის შედევრებს ქმნიდა. „ტრაქტატში „ნალიში“, ასევე კანცონების კომენტარებში, დანტე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იტალიური ენა ლათინურზე ჩინებულია თავისი ხალხურობის წყალობით. მან იგი შეადარა ქერის პურს, რომლითაც დაძღვნიან მილიონები“ (История эстетики, I, გვ. 476).

ახლა მოუესმინოთ თვით ბ. ბრეგვაძისავე

დამოწმებულ სკარტაციის: „დანტეს, ისე როგორც არავის, შეეძლო შეეთანხმებინა სტრუქტურულ მტყველების საგანთან. მდაბალის, ზნეობიდან არასრულყოფილის ხატვისას იგი ერიდება დახვეწილი, ამაღლებული სიტყვების ხმარებას“ (Данте, 1905, გვ. 165).

აი, ასეცაა გაგებელი საკითხი. იქნებ ეს თვალსაზრისი პიპერბოლირებულია მკვლევართა მიერ? მაშინ მივმართოთ თვით დანტეს შრომას „ხალხური მეტყველება“, სადაც პოეტმა მკვეთრად ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია ენის, სტილის, პოეზიის დანიშნულებასა და სხვა საკითხებზე (შრომა თარგმნილია რუსულად 1922 წელს, ვ. შკოლესკის მიერ).

დანტე თავის წიგნში, პირველ ყოვლისა, განასხვავებს ხალხურ მეტყველებას გრამატიკულიდან. პირველია ის, რომელსაც ყოველგვარი წესების გარეშე ვითვისებთ. იგი უფრო კეთილშობილური ჩანს, ვინც მეორე, რომელსაც ხელოვნურობის დალი აზის. მაგრამ დანტემ ისიც იცის, რომ დიდი ნაწარმოები არ შეიქმნება მხოლოდ სოფლურად მოლაპარაკეთა ენაზე: „შედარებით მაღალი წარმადებებისათვის საჭიროა შედარებით ამაღლებული ენა“. ამიტომ დანტე ცოცხალ ხალხურ ენაშივე (და არა გრამატიკულში — ლათინურში) გამოყოფს უფრო მაღალ შრეებს და მათ მიჩნევს სახალხო ენის ფუნდამენტად. „სახალხო ენა მაღალმშენიერია“. მისი ეს თვისება მიიღწევა სოფლური და სასახლის კარის მეტყველების პარამონიული შეერთებით. ეს მაღალი ენა ენაში უნდა შემოდიოდეს ზომიერად და საჭიროების გამო. მისი სიტყვებია: „შემგობა ხომ რაღაც საესებით შესაფერისის მიმატება“.

აი, ასეთი დემოკრატიული პრინციპები ჰქონდა დანტეს ენის საკითხში. რა თქმა უნდა, მისმა თეორიულმა პოზიციამ ასახვა პპოვა პოეტის შემოქმედებით პრაქტიკაში. ცნობილი სამპოთა დანტეოლოგის ა. ჯიველეგოვის აზრით, უბრალოდ იდეა უმთავრეს ამოცანად „კომედიში“. ეს გამოწვეული იყო პოემის სტრუქტურის სიდიდით, იდეების სირთულით, ალევგორიისა და სქოლასტიკის დაწოდებით. ამავე უბრალოებას მიაღწია დანტემ ძირითადად „ახალ ცხოვრებაშიც“. „ამ ლექსების ენა პაეროვანი, მსუბუქი და ისე უბრალოა, რომ, მაგალითად, სონეტი Tanto gentile შეიძლება წაიკითხოთ იტალიური ენის პირველ გაკვეთილებზე“ („დანტე“, 1968 წ., გვ. 82).

ლოზინსკისა და ეფროსის სადა და გამჭვირვალე თარგმანების შემხედვარე ჯიველეგოვი მიხე. წუხს, რომ თარგმანებით ძნელია იმის ჩვენება, „თუ როგორ აღწევდა პოეტი ლექსისა და ენის მაქსიმალურ გამართებას“. საინტერესოა, რას იტყვოდა იგი, „ახალი ცხოვრების“ ქართული თარგმანი რომ ჰქონოდა ხელთ?





თავს ნებას მივცემ მოვიტანო რამდენიმე ტიპური აღვლილი:

„და რაკი მისი სიტყვები მაშინ პირველად ესალბუნენ **სასმენელს ჩემსას, ღვინოსმულივით განკვიდეგანდი კაცთაგან, ჩემს სენაკში განვმართვდი და მაგ უთავაზიანესსა და უნესსრულესზე ფიქრს მივიც თავი**“ (37); „**მე მყოვარ-უამ დაეინებთ ვუცქერდი მიძინარს და შევიცან მასში მოწლე საღმის ასულთ, ვინც წინადელი აგრე ტკბილი საღმის ღირსი მყო**“ (38); „...მთელი დღე **სულთქმა-უთმი** მივატყენებდი ცხენს...“ (47); „**სად შენი გული სურვიელი ჩემთვის ბნდებოდა**“ (47); „**ამ ჩვენს ბეატრიჩეს ვითთავან ეს-მა თურმე...**“ (50); „**მიხვანიწე-თქო ქალბატონის ჩემის წინაშე**“ (51); „...**ფიქრი ვიწყე შეწირებულმა...**“ (65); „...**და ვუღალბობინგვით მტერალმა კვლავ მოვედ-მეთქი** — მოვუხმე სიკვდილს“ (78); „**ქალაქის ტრინ სრულად მისყენ მოსიწრაფოდნენ და იქით-აქით იჯრებოდნენ: „ვეუჭვრითოთ ამას რულად“ (89); „წინაშე მიხა კრძალვით იხრის ქედს მვგაობარიც“ (91); „რისგანაც მწარედ მელმოდა ხშირად და ყოვლად-ხრწნილება ქმნილად მიმაჩნდა თავი“ (107); „...**ამაოების მათის სანაცვლოდ საყაბრის მუქავა და მეფხო მოთ**“ (113); „ვის გამო **ქმუნავო, მარქვით, მსხენო, სახედარღვით**“... (115); „და ამის მისაღწევად ვიღწვი, ვრუდუნებ და ვმუშავებ დღისით და ღამით...“ (118)...**

სხვათაშორის, გერმანელებმა დანტეს პოემის ერთი თარგმანი დანტესდროინდელი გერმანულით გააკეთეს. მაგრამ ეს იყო ერთი თარგმანი მრავალთა შორის. მას უფრო ცდისა და ექსპერიმენტის ხასიათი ჰქონდა. ვანა ჩვენ, ქართელებს, დანტეს „ახალი ცხოვრების“ ერთადერთი თარგმანის პატრონებს, გვეცლია ასეთი ექსპერიმენტისა და ფუფუნებისათვის?

აღარაფერს ვიტყვი პლატონის შესახებ. ბ. ბრეგვაძე აქაც ურევს მწერლის საერთო მხატვრულ სტილს მის ენობრივ პოზიციასში, მოაქვს ცნობილი ელინისტის ანდრე ბონარის შესანიშნავი დახასიათება, თუ როგორ გვაჯადოებს პლატონი თავისი მომწუსხველი ენის მეშვეობით და როდესაც ოპონენტი ქედმაღლურად კითხულობს: „იცნობს თუ არა ა. თაყაიშვილი „პლატონის ლეთებრივ ენას“ (მონტენის სიტყვებითაო), მეც მონტენისავე სიტყვებით ქედმაღლურად ვუპასუხებ:

„უღიდესი ოსტატები, მათ შორის ქსენოფონტე და პლატონი, ხშირად არ უქადრასობდნენ ყოველგვარ საგნებზე ელაპარაკათ და ემსჯელათ უბრალოდ, მდაბიური მანერით, რომელსაც მუდამ ამშვენებდა მათთვის ყველაფერში დამახასიათებელი მოხდენილობა“.

„სიტყვიერი გამოთქმის ღირსებაა — იყოს ნათელი და არა მდაბალი“, — წერდა არისტოტელე „პოეტიკაში“ და მოითხოვდა მეტაფო-

რულია და ყოველდღიური სიტყვების გასაყუთრებულად ზომიერ ნაერთს.

აი, რა „მდაბალ მატერიებზე“ უნდა იყოს ლაპარაკი და არა იმაზე, რომ „ბერძენი ფილოსოფოსის ქმნილებებში არა არის რა ისერივად კონსულტაციონალური, როგორც იდეა და ამ იდეის ექსპრესია — მხატვრული გამოსახვა“ (ბ. ბრეგვაძის სიტყვებით).

დაბოლოს, შევეხოთ ერთ საკითხსაც. ბ. ბრეგვაძე თავისთავად სწორად მიიჩნევს საყოველთაოდ მიღებულ აზრს, რომ უიტმენის პოეზია მასების, ხალხმრავალი ქუჩებისა და მოედნების, მისი ბოზოქარი რიტმის პოეზიაა, მაგრამ ეს შეფასება ცალმხრივი ეჩვენება: „არ შეიძლება უიტმენის შემოქმედების მეორე — სპირიტუალური მხარის იგნორირება“. ამის საილუსტრაციოდ მოაქვს „ღეტალები“ რ. როლანის თხზულებებიდან: ტროოს თურმე „ზალახის ფოთლები“ დიად „აღმოსავლურ პოემებს“ აკონებდა, ემერსონს — „ბჰაგავატგიტას“, კ. ჩუკოვსკის კი ეჩვენება, რომ უიტმენი — „იანკი, პალესტინის უძველეს ბორცვებზე ლაზბე და ტანად ქრისტესთან ერთად დასვენრობს“.

აქაც ენობრივი სტილისა და ავტორის ფილოსოფიური მრწამსის აღრევა! უიტმენი რომ „ქვეცნობიერად მიჰყვება ვედანტური აზროვნების კვალს და რომ მას ბიბლიის კითხვა უშმაღლეს პოეტურ ნეტარებას ჰგვრიდა“ (კ. ჰამსუნი), ეს საკითხის სხვა, შემეცნებითი მხარეა. ჩვენთვის აქაც მთავარია, თუ რა ენობრივ სამოსელში ავლენს პოეტი ამ თავის პანთეონს, პანფსიქოლოგიზმს, სპირიტუალიზმს და სხვა ათასგვარ იზმს. დაუკვირდით ბ. ბრეგვაძისაგან მოტანილი კ. ჰამსუნისეული ციტატის მეორე ნაწილს: „... მის ლექსებში იპარება (ხაზი ჩემი. ა. თ.) ბიბლიური გამოთქმები და აზრთა ბიბლიური მოქცევა.“ მართლაც, აღიარებენ, რომ სტილის ზოგიერთი ნიშანი უიტმენს ნაკარნახევი აქვს აღმოსავლეთის უძველესი ლიტერატურის, უმთავრესად ბიბლიის რეჩიტატივით. მაგრამ ეს არის მისი საერთო მხატვრული სტილის სფერო. რაც შეეხება იპარებას, ეს არ ნიშნავს, რომ ბიბლიური გამოთქმები მასთან არსებითია. ჯერ ერთი, ინგლისური და გერმანული „ახალი“ ბიბლიების ქართული „არქაული“ ბიბლიის სიბრტყეზე დაყენება უხეზბულიცაა (ცნობილია, მაგალითად, რომ ლუთერის მიერ XVI საუკუნეში თარგმნილი ბიბლია საფუძვლად დაედო ახალ გერმანულ სალიტერატურო ენას. სწორედ ამიტომაც არის ახალი ინგლისური „შექსპირის, მილტონის და ბიბლიის ენა“). მაგრამ მთავარი

**არლი თაყაიშვილი**  
„**ამ მყოვარ-უამ ღაჟინბადი...**“

ისაა, რომ „აზრთა ბიბლიური მოქცევა“ უტმენს დღევანდელი ცოცხალი სსსაფბრო მეტყველებით აქვს ვადმოცემული (ისევე, როგორც ფოლკნერსა და ჰემინგუეის).

„უიტმენის რეფორმატორული ტენდენციების რიცხვს უნდა მიეკუთვნოს ფორმალურ რაეტურ ტრადიციასთან კავშირის გაწყვეტა, რაც თავის სფეროში პატარა რევოლუციის წარმოდგენდა“ (J. Спир. „У. У.“ — интернац. лит.-а, 1935, № 12). „მის ლექსებში აისახა მშრომელი ხალხის — ფერმერების, კალიფორნიელი მადნის მთხრელების და დიდი ქალაქების მუშების ენა“ (მენდელსონი). ხოლო, აი, რას ამბობს თვით ბ. ჰეგეპისაგან თავის სსსაფბროდ(?) დამოწმებული კ. ჩუკოვსკი წიგნში „Мой Уитмен: „მან მრავალი წელი შეალია იმას, რომ თავისი წიგნიდან ამოეღოჯა ჩვეულებრივი ტრადიციული პოეზიის ყველა ფოკუსი, ტრიუიკი, ეფექტი, სამკაული თუ ჩუქურთმა“... „ყოველგვარ წიგნურს, პირობით-პოეტურს იგი უარყოფდა, როგორც მხაკერულ სიტუაციას“; „მას თამამად შემოჰქონდა თავის ლექსებში პროზაული საგაზეთო მეტყველება. მისი ლექსიკონი მდიდარია ისეთი „უხეშობებით“, რომლებიც ახლც აღაშფოთებენ გაბღენილ მკითხველებს“.

აი, რა ენით წერდა უიტმენი. და თითქოს ბედის დაცინვა იყო, რომ მის თარგმანს ხელი მოჰკიდა ბალმონტმა, რადიკალურად განსხვავებული პრინციპებისა და ესთეტიკის მქონე პოეტმა. ამ შეუთავსებლობაზე მიუთითებს სწორედ კ. ჩუკოვსკი თავის წიგნში «Высокое искусство». მისი თქმით, უიტმენი მთელი სიცოცხლე იბრძოდა „ბალმონტოვმჩინის“ წინააღმდეგ, მისი კულტულებიანი რიტორიკის, ქარაფშუტა, სიტყვათმუსიკისა და გარეგანი სილამაზის წინააღმდეგ. ბალმონტმა მოახვია უიტმენს თავზე „სტილი-მოდერნი“, რომელიც ასე რიგად არ მოსწონდა მას. „ბალმონტი, მაგალითად, აზაფრისილიდებით არ მისცემს უფლებას უიტმენს ილაპარაკოს თანამედროვე ვულგარული ქუჩურ-საგაზეთო ენით და დაბეჯითებით ცვლის მის უბრალო სიტყვებს „კეთილშობილური“, არქაულით, საეკლესიო-სლავური“.

როგორ ენიშნება მკითხველს ჩუკოვსკის ეს სიტყვები, როდესაც უიტმენის „ბალახის ფოთლების“ ქართულ თარგმანს ვადაშლის. იგი ხატზე დაიფიქვებს თუნდაც, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი არქიზმების მსგავსს ვერაფერს იპოვის ინგლისურ დედანში: არარა ქრება ჟამით-ჟამადის (28) — nothing collapses (არაფერი ქრება); უშტი, უშქარი (45) — hundreds and hundreds (ასობით და ასობით); ყირმიზი (56) — white (თეთრი); იფქლის მარცვალი (65) — corn (ხორბლის მარცვალი); ყიფი (83) — proud (ამაყი); მიჯნუროა, (85) — lover (შეყვარებული); მწუხრის ჟამს, ოდეს...

(92) — at evening, when... (საღამოს, როდესაც...); ლირწი (98) — impure (ბინძურ); უგვანი (98) — flippant (ქარაფშუტა); მწერი (101) — man (მამაკაცი); ეამთა სიმრავლეს (107) — after many years (მრავალი წლის შემდეგ); ზღვის ციავი (108) — water (?) (წყალი); მირიად (126) — many (მრავალ); ძეალთშესალავი (129) — mousoleum (მავზოლეუმი); მარად-ეამული (130) — ever (მუდამ); დამითმოსილი (131) — in the day (?) (დღისით); რამეთუ (139) — for (რადგან); შინ მოვიქეციო (108) — arrived home (შინ დავბრუნდი); ხელმწიფება (107) — power (ძალაუფლება)...

ამრიგად, არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი ფეტორი არ იძლევა საბაზს ხელაღებით არქაულად თარგმნისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს საუკუნეებიც გვაცილებს. და ეს იმ ელემენტარული ჰემოარიტების გამო, რომ „თუ დედნის სტილი თავის დროზე ახლოს იდგა ჩვეულებრივ სალაპარაკოენასთან, ასეთივე შეფარდება უნდა იყოს დაცული თარგმანშიც — ისიც ახლოს უნდა იდგეს მის თანამედროვე მკითხველის ჩვეულებრივ სალაპარაკოენასთან“ (გ. გაჩეჩილაძე).

როდესაც პასტერნაკს ჰკითხეს, რატომ თარგმნით შექსპირს, XVI—XVII საუკუნეების მწერალს, თანამედროვე ენითო, მან უბასუხა: იმიტომ, რომ შექსპირიც თავისი დროისთვის ახალი ენით წერდაო.

როგორ მოვიქცეთ ახლა. ჩვენც გამოვიტანოთ მომკაცდინებული დასკვნები? რა საჭიროა: მკითხველს თვითონა აქვს ობიექტური შეფასების უნარი. ოღონდ ერთს შევეკითხები პატრიცულ ოპონენტებს: ბოლოსდაბოლოს, ვისთვის თარგმნით თქვენ? რატომ უნდა დაჭირდეს ქართველ მკითხველს (ვინც ჩვენი მთავრ ოპონენტებიც იტალუროს არ იცის) დაწტეს ვსაგებად რუსულ თარგმანში ჩახედვა? ერთ სხვა წერილში. თვარაძე წერდა: „ზაბოლოციმ კარგად იცოდა, რომ ესა თუ ის ნაწარმოები, უწინარეს ყოვლისა, მკითხველებისთვის, თანამედროვე და მომავალი თაობის მკითხველებისთვის ითარგმნება“. გეთანხმებით, ზაბოლოციმ კარგად იცოდა, მაგრამ მერე ჩვენ რა? ეს რუსმა მკითხველმა დაუშალოს მას. ზაბოლოციმ ისიც კარგად იცოდა, რომ ვეჟას პარტეის რითმების ნაცვლად თარგმანში „თანადროული პოეტური კულტურის დონის შესატყვისის რითმები“ ეხმარა. აი, როგორ ამართლებს ამ პრინციპს რ. თვარაძე: „...მსგავს რითმებს (ლპარაკია ვეჟას რითმებზე. ა. თ.) თითქმის აღარაინ ხმარობს (ხაზგასმით შეენიშნავ: ამით არაფერი აკლდება ვეჟა-ფშაველს ლექსის მშვენებას!). როგორ უნდა მოქცეულიყო მთარგმნელი? მასაც მოაქველმუთუ ყიადის რითმები ეხმარა „ეპოქის კოლორიტის“ შენარჩუნების მიზნით? დიახ, მაგრამ სად იყო საზომი, რომელი დროის რუსული რითმები მი-





უსადაგებინა ვაჟა-ფშაველას ქმნილებისთვის? ქართული და რუსული რითმების ცვლილება-მოღერძიზაციის ეტაპები ერთიმეორეს რომ არ ემთხვევა დროის მიხედვით? (ლიტ. წერილ. 107).

ასეთი სამართლიანი მოთხოვნა ჩვენს მთარგმნელს თავისი თავის მიმართაც რომ წამოეყენებინათ, ხომ გადავრჩებოდით ამ უსიამოვნო დისკუსიას? იქნებ „რითმა“ სხვაა და „სიტყვა“ სხვაა? პრინციპი ხომ ერთია? განა ზაბოლოცკიმ ვაჟას „სიტყვებსაც“ თანამედროვე რუსული ლექსიცა არ მიუხადა? იმიტომ, რომ მან კარგად იცოდა: დედნის ისტორიული ყოლორითის შენარჩუნებას არ უნდა შეეწიროს თარგმანის ეპოქის სუნთქვა. მძაფრად უნდა იგრძნობოდეს თარგმანის შესრულებას დრო.

მაგრამ აქვე დავსძენ: ცალმხრივობა არ გამოვკვივდეს და გათანადოვლებების ტენდენციას არ ვანაცვალთ ტრადიციულობის კეთილშობილური ფაქტორი. აქ დიდი ტაქტი და სიფრთხილეა საჭირო. მშვენიერი პასუხი აქვს ამაზე სომერსეტ მოემს (მეორე ოპონენტის ირონიების მიუხედავად, მე კვლავაც დავიმოწმებ ამ ავტორს, და ისევე „თავის დროზე“ და „თავის ადვილას“, როგორც აქამდე ვაკეთებდი). მისი აზრით, ინგლისელ მწერლებს შეუძლიათ ბევრი რამ ისწავლონ ამერიკელი თანამოქალაქეებისაგან, რომლებიც გაექცნენ „ბიბლიის დესპოტურ გავლენას“ და ყურადღება გაამახვილეს ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზე. მათ ამ საქმეში უშველა რემორტიორებად მუშაობამ. ისინი სავაზეთო სტატიებში იყენებდნენ შედარებით „ლაკონიურ, ნერვულ და გამომხატველ ენას“. მაგრამ მოემი იმასაც მშვენიერად გრძნობდა, რომ პრესა სტილისტურად ერთფეროვანია, თითქოს ერთი კაცისგანაა დაწერილი. მის ზემოქმედებას უნდა აღუდგე სხვა საშუალებებით. და რას გვთავაზობს იგი? „გამუდმებით იქონიეთ ვაჟმირი სხვა, მაგრამ არც ისე შორეულ

ეპოქის ლიტერატურასთან. მაშინ თქვენ ნებათ საზომი, რის მიხედვითაც შეამოწმებთ საკუთარ სტილს და იღვალს, რომლისკენაც შეიძლება ისწრაფოთ და მაინც დარჩეთ თანამედროვედ“ (Подводня итоги, 43-44).

ქართულ სინამდვილეში ასეთ „სასინჯ ქვად“ შესაძლოა ჩავთვალოთ XIX საუკუნე, ილიას, აკაკისა და ვაჟას ეპოქა, დიდი ენობრივი ძვრების პერიოდი, რომელშიც ენის ძველი ელემენტებიც ზომიერად შემოინახა და ახლის დაფუძნებასაც ფართო პერსპექტივები გადაუშალა (შევახსენებთ, ასეთმა ორიენტაციამ რა სარგებლობა მოუტანა გერონტი ჭიჭიძის მთარგმნელობით სტილს).

მე, როდესაც წერილს „ენა ძველი, ენა ახალი“ ვწერდი, ვგულისხმობდი, რომ ერთად, ობიექტური კამათის პირობებში, აღძვრავდით ქართული ენის ამ საჭირობოტო საკითხებს, ვავიზრებდით ძველისა და ახლის ურთიერთობის პრობლემას და რაღაც საერთო პრინციპის აღიარებამდე მივიდოდით. სამწუხაროდ, მთარგმნელებმა ცუდად მიიღეს ეს გამოწვევა, შეინშვნებში რატომღაც პირადი შეურაცხყოფა დაინახეს და უკმეხი პასუხებიც არ დააყოვნეს. ამით თითქოს ჩემი ლიტერატურულ-ენობრივი პოზიციის სერიოზულობაც საეჭვოდ გახადეს.

მაგრამ „მე მყოვარ-ჟამ დაყინებით“ შევახსენებ მათ ვასლი საუკუნეში ამავე პოზიციისათვის ბრძოლის შედეგებს, და აგრეთვე ერთ საკმაოდ ცნობილ შეგონებას „ოთხთავიდან“:

„არავინ სადგმელი უმურგნველი ახალი დაადგის სამოსელსა ძუელსა; უკუეთუ არა, მოაპის ცოცხალიცა იგი მისგან ახალმან მან ძუელისაჲ მის და უფროჲსად განაპის. და არავინ შთაასხის ღუნოჲ ახალი თხიერსა ძუელსა, რამათ არა განხეთქოს ღვზომან ახალმან თხიერი ძუელი, და ღუნოჲ იგი დაითხოოს, და თხიერნი წარწყმდენ; არამედ ღუნოჲ ახალი თხიერთა ახალთა შთაასხიან“.





მამუკა ნიკლაური

## პაქა-ფშაველა ჩვენთან

(„მამუკა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“. თბ., „შენიშვარსიტიპის ბამ-ბა“, 1967)

ხარს ვგვივარ ნიალაღარს,  
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ;  
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!  
მძინარიც იმას ვღუღუნებ.

დიდი ვაჟის ეს ლექსი ვაგახსენდება, როცა წიგნს გაღაშლი და მანძილა ხარის რქებში ვახლართული მთვარე შემოვხვდავს — ესაა ვაქა-ფშაველას კაბინეტის ემბლემა.

ეს კაბინეტი რამდენიმე წელია რაც შეიქმნა თბილისის უნივერსიტეტში — იქ, სადაც მთებსა და ჩარგალს მონატრული პოეტი მწვანე ტოტებითა და ბალახით დაბურული შეეგება სიყვილი.

ვაქა-ფშაველას კაბინეტმა გადაუღებელი ვროველი საქმე ჩაიბარა — უხელმძღვანელოს დიდი მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, — და ტონი მისცეს ამ მემკვიდრეობის შესწავლასა და პოპულარიზაციას.

ეს წიგნიც, „ვაქა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“, ვაჟის კაბინეტის მრავალმხრივი მოღვაწეობისა და სანიმუშო მეცნიერული ატმოსფეროს დადასტურებაა.

ვაქა-ფშაველა ჩვენს ვერადით — ასე შეიძლება ვუწოდოთ კრებულის იმ ნაწილს, რომელიც პოეზიას შეეხება. ვაქა-ფშაველა არ ეკუთვნოდა იმ პოეტების რიცხვს, რომლებიც „პოეტურ ლექსს სთხოვენ და პოეზიის სწავლამოძღვრებისა კი იწიცი არ იციან, იმათ მხოლოდ სუნს, ალღო ამოქმედებს“. ახლა, საფუძვლიანი გამოკვლევების შემდეგ, ყველასთვის ცხადი გახდა, თუ რა დიდი განათლება და ერუდიცია იმაღლებდა „ვეველის მკამელისა“ და „აჟღუდა ქეთელაურის“ ავტორის შემოქმედება-

ში. ცხადი გახდა, რომ ვაქა-ფშაველა თავისი დროის ფილოსოფიური და ლიტერატურული მიმდინარეობების ახლოს გაცნობის შემდეგ დაუბრუნდა თავის ფესვებს. და თუ ვაქა-ფშაველამ თავის გამოჩენით ერთგვარად დააბნია მაშინდელი ქართული ლიტერატურული საზოგადოებრიობა, ეს მხოლოდ დიდი სინათლის გამოჩენით გამოწვეულია წუთიერი დაბნეულობა იყო.

ალბათ არ არსებობს ისეთი პოეტი, რომელიც არ გაეწამებინოს მარადიულ კითხვას: რა არის პოეზია.

„სად არის პოეზია? — კითხულობდა ვაქა და განაგრძობდა:

„არ არის ადვილი ამისი ვარჩევა, ამ საგნის ყოველმხრივი გამოკვლევა, მაგრამ ჩვენის შესაძლებლობისდაგვიარად მაინც უნდა შევძლოთ. სირცხვილიც არის, კაცი ხატს ემსახურებოდეს და მისი ძალა და ვითარება კი არ იცოდეს, არ ესმოდეს: კაცი მგოსნობდეს და თავისი სამგოსნო საგანი, პოეზია არ ქონდეს შეგნებულ...“

ვაქა-ფშაველამ თავის მხრებზე გამოსცადა ამ კითხვის მთელი სიმძიმე. იგი არ მოერიდა პირისპირ დისკუსიოდა კითხვას, რომლის სირთულეც თვითონ ასე ვადმოგვცა: „რუსეთის მგოსანს ნეკრასოვს დღესაც რამდენი ჰყავს თავანისმცემელი, რამდენი საუკეთესო რუსეთის უფრნალები აქებ-ადიდებენ მას, და ამას წინაა, ხომ მოგვსენებათ, დიდებულმა რუსმა მწერალმა გრატ ტოლსტოიმ იგი „ყოველად უნიჭო პოეტის“ სახელით მონათლა; იგივე დღე და აწია პოლონსკის, ფეტს და „ოტენესტვენნიე ზაპისკების“ საყვარელ მოღვაწეს ნაღონს. მა-



შასადამე აქ რაღაც საიდუმლოება იმალება, რომელიც უნდა გავქექოთ, გავარჩიოთ, გავცხრილოთ. გრად ტოლსტოი მართლა ტრედიაკოვსკი ხომ არ არის, რომ მისი სიტყვა ერთს ყურში შევეშვათ და მეორეში გავიცილოთ: მისი სახელი უფრო დიდია, მის დიდებულ ნიქს მტერ-მოყვარენიც კი ვერ უარპყოფენ და, მასასადამე მის აზრს, შეხედულებას ამა თუ იმ მწორლებზე უნდა დავუკვირდეთ, უნდა გულში ჩავივლიოთ და ზემოთ მოყვანილ მაგალითსაც ისე შევხედოთ... გულდასმით მოვეპყროთ“.

ეს სიტყვები საოცარი სახელით და სიზუსტით ეხმურება ჩვენი დღეების ლიტერატურულ ცხოვრებას, სხვადასხვა გემოვნების და ხასიათის მკითხველთა დღევანდელ, მინიშნებულთა ის საიდუმლო ძალა, რაც ლიტერატურას მუდმივი განახლებისკენ ეძახის, რაც პოეზიას აძლევს სიმამფრეს და ლიტერატურულ სკოლებს ბადებს.

პოეზია ბუნებაში და ბუნებრიობაშია — პასუხობს ვაჟა; და მთელი ძალით აწყდებოდა ბუნებას, რომ მის გულში დამალული სიტყვები გამოეტანა... და მაინც არ ცვდებოდა კითხვა: „სადაა პოეზია?“ ვაჟამ ეს კითხვა ვერ გადაჭრა, არც შეიძლებოდა მისი გადაჭრა და ამიტომაც ძალიან თანამედროვე მისი წიგნი „ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“.

თითქოს გულში დაბეჭდილ რომელიმე ლიტერატურულ ორგანოს ეკითხულობდით: „ჩვენში რამდენი განათლებული ვეყავ იმ აზრის მქადაგებელი, პოეზიამ დღე მოჰქამა, მას მომავალ კაცობრიობის ცხოვრებაში ადგილი აღარ ექნებაო, მის ადგილს მეცნიერება დაიკავოს. ამ აზრებუდა-გადასკუბდას, ნუ დაივიწყებთ, განათლებული კაცი ამბობს. სირეგნე და სისულელე მეტილა იქნება? ამ მომღერების მიმდევარ კაცს, თქვენვე იფიქრეთ, რა დაფასება უნდა შეეძლოს ლიტერატურული ნაწარმოებისა, სით რას ვაიგებს პოეზიის თავსა და ბოლოს, როდესაც არ იცის მისი საფუძველი, მისი ვინაობა, მისი სისხლი და ზრტვი, მისი დამოკიდებულება ადამიანის ბუნებასთან“.

„ პოეზიამ დღე მოჰქამა“ — პირველად ეს ფრაზა ალბათ ნეოლითის ხანის პოეტს უთხრეს და დღემდე გრძელდება ეს „აბლაუბა-გადასკუბდა“. ცოტა ხნის წინათ დამთარდა ფიზიკოსების და ლირიკოსების „დისკუსია“, რომელიც პოეზიის პოპულარიზაციას უფრო მოემსახურა, ვიდრე „პრობლემის“, დადგინდა „ლიტერატურული კიბერნეტიკის“ ძირითადი მოტრეპები: სიხარული (მზე ამოვიდა, ჩიტები ჭიკჭიკებენ და ბუდეებს აშენებენ, ო, როგორი გახარებული ვარ), სევდა (წვიმის, ნისლი შემოდის ჩემს ფანჯრებში, ჩემო ძვირფასო, რატომ აღარ მოდის ჩემთან, წვიმიანი დღეა, წვიმიანი დღეა!), მეგობრობა (...), სიყვარული (...), „მართლაც, რა საბრალო იქნებოდა კაცობ-

რობა და მისი ცხოვრება ამ დედამიწის მწიკნულზე, რომ გამოთავყენებული თეორიული

**მთხველების გეგმაზე მიმლინარობდეს?!**

რაღა თქმა უნდა, წიგნში შეტანილი ყველა სტატია, ლექსი, მოგონება ჩვენ წავგივითხავს, მაგრამ წავგივითხავს სხვადასხვა დროს, ნაწყვეტ-ნაწყვეტად. როცა, ვეჭვით, წერილს „ფშაველების ცხოვრებდამ“ უკვე დროის მტერი ჰქონდა წყაროლი; წავგივითხავს „ძველი და ახალი ფშაველების პოეზია“ და ა. შ. ეს კი თავის დაღს ასემადა მკითხველის საერთო შთაბეჭდილებას ვაჭა-ფშაველას ფოკლორისტული მოღვაწეობის შესახებ. ახლა კი აიღებ წიგნს და თანმიმდევრულად ეცნობი ვაჭა-ფშაველას ლიტერატურულ წერილებს და ლექსის ფორმით გამოთქმულ შეხედულებებს ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ; ჩვენს თვალწინ იშლება ვაჭაქადრონიდელი საქართველოს ლიტერატურის ინტერესები და მიმართულებები და, საერთოდ, ჩვენი ეროვნული კულტურის გზები და წინააღმდეგობები.

„დღიი საქმეა მწერლისთვის, სცნობდეს იგი თავის ფესვებს; დღიი საქმეა მცენარისთვის, ერთს ალაგას იდგეს და მის ფესვებს არავინ სჩიჩნადდეს და ერთი ადგილიდან მეორეზე არ გადაჰქონდეს“.

ვაჭა-ფშაველა თვითონ იღვა ჩვენი ეროვნული ფესვის უწყრილს ძაფებთან, თვითონ აგროვებდა ქართულ სიტყვებს, როგორც მარცვლებს დასეტყვილ. ყანაში და რასაც ამბობდა, ისე ამბობდა, აუცილებლად უნდა მოესმინა ყველას.

წიგნის ნამდვილი მშენებელია ვაჭა-ფშაველას ფოკლორისტული წერილები. ვაჭა-ფშაველამ პირველმა წარუდგინა მთელ საქართველოს ნამდვილი სახალხო პოეტები:

ხვარამზე:  
 „თავს რად არ შამაიბრუნებ,  
 ყანას რად მამკვე ცრემლითა?!“  
 მერცხალა:  
 „რად გინდა ჩემი ვაგება,  
 ან ჩემის ამბის კითხვაო?“  
 — ფოთოლათ მერცხალაი ვარ  
 ურჩანის ჭოხივით ლიტაო;  
 ას კოლიანში ქერ მიძე,  
 ორასიანში წმინდაო;  
 კარზედ მიზრუნავს წისკვილი  
 დავფქვავ რომელიც მინდაო.  
 ბივი ვარ კაის-ყელშია,  
 რაც მინდა, პირსა ვკითხაო,  
 კარჩი მეველ ვერას შამიჭამს, —  
 შინ შამოტანილს — ციკაო“.

თავისი წინაპარი პარასკევა, ჯაბანი და სხვა ძალიან სინტერესოა კრებულის ის ადგილი-

წიგნების სამუაროში

ბი, სადაც ვევა-ფშაველა თავის თავზე, თავის შემოქმედებებზე ლაპარაკობს, როგორ ცხოვრობდა ჯოჯოხოსთან და ზვიადურთან, როგორ ამოდის მიწიდან პირიმზე, როგორ ჩურჩულებს კლდეებში ქუჩი... როგორ ფხიზლდებოდა მერე უეცრად; პირისპირ რჩებოდა ნავთისგან დაწრტილ სანთურთან, ცარიელ ვარცლთან...

„ტან-ფეხ-შიშველი დავდივარ, ცოლს არ მიცვია კაბაო“.

„სტუმარ-მასპინძელში“, მაგალითად, იმ ადგილში, როცა ქმარი—ჯოჯოხა ჰკითხავს ცოლს, ალაზას, ნამტირალევი რაღა ხარო, ამის გამო ცოლ-ქმარის ბაასმა მთელი ორი თვე შემაჩერა. ნამეტნავად იმ ადგილში გამოიწვია ჩემში სულიერი რყევა, თუ რა პასუხი უნდა მიეცა ჯოჯოხოს. ცოლისთვის, როგორ შეჰხვედრიყო ალაზას სიტყვებს, როცა იგი ეუბნებოდა ზვიადურზე: „ტრემლები შემეწირია იმ შენი მეგობრისთვისაო“. „გველის მკამელის“ დასასრულშიც ერთ თვემდე ყოყმანში ჩამაგდო“.

თეგობით იყო ის უღრან ტყეში დარჩენილ მონადირესთვის და გზას ეძებდა.  
... და არ უძმძიდა საქართველოს პირველი მოქალაქის კვერთხი:

„მეკრღში არავინ დაგვიკრას გამირი დაჭრილი მხარშია“.

...  
„ნურავის ჰგონია ადვილი იყოს საბავშვო ლექსის და მოთხრობის დაწერა, ყველაზე ძნელი სწორედ ესაა“, — მიუთითებდა შიო მღვიმელის ლეაწულზე ლაპარაკისას.

ცხადია, ამ წერილს სხვა პრეტენზია არა აქვს, გარდა წიგნის კითხვის დროს წამოშლილი ფიქრების გაზიარებისა, ამიტომ არ შემიძლია ერთი ადგილიც არ ამოვწერო. ვევა-ფშაველა აქაც ჩვენთანაა და დღევანდელი ლიტერატურული პრობლემებით ცხოვრობს:

„ეს რაღა უბედურებაა, აზროვნება, შემოქმედება მოდას ემორჩილებოდეს? მოდა როცა შავს თეთრად აღიარებს, შენც შენი აზროვნება ისე უნდა მოაწყო, შავს შავი არ უწოდო, არამედ თეთრად გაასაღო საზოგადოებაში, რა თქმა უნდა, მოდა ამასთანავე იმასაც გავალებს, თეთრი ბაზარზე შავად გამოჰფინო. პოეტებიც კი, ჰყურობთ, პოეტები უნდა მოდაზე მღეროდნენ და პოეტობდნენ. ჰქედნენ საქმე სადამის მიდის: კაცი რაზედაც აშენებულა, უნდა იმაზე ერთს წამში დაიფუშოს... ეს მატლი იქამდის გათამამდა, ადამიანის ტვინისა და გრძნობის მმართველად ჰსურს დადგეს; თავის გემოვნებაზე უნდა მოაწყოს, მთელი საზოგადოების აზროვნება გულდაღმა გადააბურნოს, რათა იფარფაშოს თავის ნებაზე. ადამიანები

თოჯინებად გადაგვაქციოს და თავად აღამინსწრე იქცეს...“

მოდაც, თუ გწამს ღმერთი, შეაყვარე ქართველებს საქართველო, რადგან ამ უკანასკნელს, კარგად უწყვი, არაფერი დაუშავებია იმითან და ესენი კი... აბა რაღა გითხრა...“

მოდაც, შენი შვილების ღენასა, შეაყვარე ჩვენს ქალებს ქართული ენა და ქართული ლაპარაკი“.

კრებულის რედაქცია უდაოდ სწორად მოიქცა და მასში „ბუნების მგონებში“ შეიტანა. შეიძლება არც ერთ სამეცნიერო დაწერილ ლიტერატურულ წერილში არ უთქვამს ვაჟას იმდენი პოეზიასა და პოეტებზე, როგორც ამ მოთხრობაში:

„მტაცებელ ფრინველთა გუნდში ყორანი ჰყავდა თავსა: ეტყობოდა, ეწადა მიელოცა ბულბულისათვის. ერთხელ კიდეც დაიყრანტა-ლა ისეთი საზარელი ხმით, რომ ყველას ტანში ქრუხანტლამა დაუარა“.

...  
— „შენ დედა ხარ ჩემი, დედაზე მეტი... — ეუბნებოდა ხოხობი ბულბულს“.

„კაკებები და გნოლები სისხოდნენ: ზაფხულობით მთაში გვეწვიო,... დიდხანს უნდა რჩებოდე ჩვენთან, შენ კი მოვეჩვენებო და მაშინათვე თავს დაგვაენებო“.

...  
„მატონებო და ქალბატონებო, — იძახდა ჩხივი, — სმენა იყოს და გაგონება: ჩვენ ყველანი, მართალია, ბულბულს ვაქებთ, მაგრამ გარდა ბულბულისა აქ სხვა მაგალობლებიც გახლავართ; კარგად აახილეთ თვალები და კარგა დაატყარდით. ჰქედათ? აი, დიდებული ყვევი და ავერ სახელოვანი ძერა, რომელთა გალობა მე ძალიან მომწონს.“

...  
„... კეთილზმონებებს ჰქენდა მთელ არე-მარებს; აერთებდა ცას და დედამიწას: აზავებდა ერთს მეორესთან...“

ეს სამაგალითო კრებული „შეადგინეს, კომენტარები და საძებლები დაურთეს გრიგოლ კიკნაძემ (წიგნის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი, მ. წ.), ნიკო ყიასაშვილმა, ვანო შადურმა, ჭუმბერ ჭუმბურაძემ და სოლომონ ხუციშვილმა.

„დამატებისათვის“ მასალები მოამზადა ჭუმბერ თითმერიამ, ლექსიკონი ალექსი ჭინჭარაულისა“.

უდაოდ დაუფასდათ შრომა წიგნის შემდენლებს — მათ კარგი წიგნი შემატეს ვევა-ფშაველას წიგნების თაროს. სამუშაო კი ისევ ბევრია... ვიტყვი ერთს, — რა სიხარულით მიიღებდა ჩვენი მკითხველი ვევა-ფშაველას სრულ ლექსიკონს...





## ნაგომ ვაჩნაძის გახსენება

ბორის პოლევოიმ შენიშნა ერთხელ რობერტ ბერნსზე — არა მგონია, თავის ხალხში პოპულარობის მხრივ, მას რომელიმე პოეტი შეედრებოდეს; შოტლანდიელებისთვის ბერნსი უფრო მეტია, ვიდრე დიდი პოეტიო.

იგივე ითქმის ჩვენს ნატოზე. განა იგი ჩვენთვის, მართლაც, უფრო მეტი არ არის, ვიდრე, ვთქვათ, დიდი მსახიობი?! ნატო ვაჩნაძე ხომ სიმბოლოა არა მარტო ქართველი ქალის კეთილშობილებისა და სილამაზის, არამედ იმ უწმინდესი სიყვარულისა, რომლითაც ერი უკვდავყვამს თავის ღირსეულ შვილთ.

1923 წლიდან, როცა შედგა ნატოს დებიუტი (ნინოს როლი ვლ. ბარკის ფილმში „არსენა ყაჩაღი“) მშობლიური ხალხის ეს სიყვარული და პატივისცემა მუდამ თან ახლავს მის სახელს. არც საზოგადოებრივი გამოძახილი მოკლებია ოდესმე. ჩვენი პრესა ყოველთვის ჯეროვან ყურადღებას უთმობდა ნატო ვაჩნაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ამ მხრივ ქართულ და რუსულ ეურნალ-გაზეთებში, სხვადასხვა არქივებსა და წიგნსაცემებში გაბნეულია ზღვა მასალა (წერილები, რეცენზიები, მოგონებები, წიგნები, ფოტო-კინო დოკუმენტები და ა. შ.), რომელიც შესწავლასა და გაანალიზებას მოითხოვს, მაგრამ, ბუნებრივია, ჯერ თვით ამ საუნჯას მიკვლევა მთავარი, მისი სისტემაში მოყვანა და გამოზნეურება, რომ ჩვენი ხელოვნებათმცოდნეებისათვის ხელმისაწვდომი გახადოთ. ეს კი, რა თქმა უნდა, უადრესად შრომატევადი სამუშაოა და დიდ ენერჯიასა და ნებისყოფასთან ერთად საქმის დიდ სიყვარულსაც მოითხოვს. სწორედ ასე თუ შეიძლება შევავასოთ ბიბლიოგრაფიული საძიებელი „ნატო ვაჩნაძე“, რომელიც ე. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ლია ქლენტიმა შეადგინა და გამოცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოაქვეყნა (რედაქტორი თ. თაბუკაშვილი, გამოცემლობის რედაქტორი ნ. ვონაშვილი).

სარეცენზიო ნაშრომი, უბირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმსახურებს არა მარტო ფაქტობრივი მასალის სიუხვით, რაც, კაცმა რომ თქვას, მთავარია, არამედ თავისი არქიტექტონიკითაც, თვით ამ ზღვა მასალის თანმიმდევრული და უნარიანი წყობა-განლაგებით. წიგნი იწყება ირრ წერილით ქართულ და რუსულ ენებზე. ბირ-

ველში შემდგენელი ლ. ქლენტი მოკლე ანოტაციას უკეთებს წიგნს და მიუთითებს მის აღნაგობასა და მიზანდასახულობას, ხოლო მეორეულში კინოშელოდენ თ. თაბუკაშვილი ნ. ვაჩნაძის შემოქმედებით პორტრეტს გვიხატავს. სტატია რუსულად არის დაწერილი და საინტერესოდ იკითხება, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვიო მის ქართულ თარგმანზე...

მხოლოდ ამგვარი შესავლის შემდეგ იწყება ფაქტურად ბიბლიოგრაფიული საძიებელი, რომელშიც 1923—1967 წლების სათანადოდ ანოტირებული მასალა ქართულ და რუსულ ენებზეა წარმოდგენილი და დალაგებულია თემატურ-ანბანური წყის მიხედვით.

წიგნში ძირითადად ოთხი მთავარი განყოფილებაა. პირველი „ნ. ვაჩნაძის ბიოგრაფიისათვის“, რომელიც თავის მხრივ სამი ქვესათაურისაგან შედგება: 1. ზოგადი ხასიათის მასალები (სულ 12 ბიბლიოგრაფიული ერთეული, ამ ქვეთავში დარღვეულია ანბანური წესი, მაგრამ წინ არის წამოწეული მასალები, რომლებიც უფრო მეტად აშუქებენ მსახიობის ბიოგრაფიას), 2. შეხვედრები და მოგონებები (12 ბიბლიოგრაფიული ერთეული), 3. მასალა ნ. ვაჩნაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით (17). მეორე — „ნ. ვაჩნაძის შემოქმედებით გზა“. 1. ზოგადი ხასიათის მასალები (31), 2. წერილები და რეცენზიები ფილმებზე ნ. ვაჩნაძის მონაწილეობით (268 ერთეული მოცემულია არა ანბანურად, არამედ ქრონოლოგიურად, რაც გაცილებით მეტ საშუალებას გვაძლევს ნათლად დაავკვირდეთ მსახიობის შემოქმედებითი გზის განვითარებას); 3. საზღვარგარეთის ეკრანებზე დემონსტრირებული ფილმები ნ. ვაჩნაძის მონაწილეობით (8), 4. საიუბილეო მასალები (34). მესამე — „ნ. ვაჩნაძე სახვით და ფოტოგრაფიულად“ (11) და მეოთხე — „ნ. ვაჩნაძე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“ (19).

ამვე პრინციპით არის ძირითადად დაყოფილი რუსული მასალაც, რომელიც ნ. ვაჩნაძეზე არსებული რუსული წყაროების 350-მდე ბიბლიოგრაფიულ ერთეულს შეიცავს. ერთობ დიდი, ერთი შეხედვით ზედმეტი მუყაითობით არის შედგენილი საძიებლის ფილმოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე. ფილმოგრაფიაში ჩვეულებრივ მიუთითებენ ხოლმე ფილმების სახელწოდებას, დადგმის დროსა და ადგილს, მეტრაც, ეანრსა და შემოქმედებით კოლექ-

ნატო ვაჩნაძე, ბიბლიოგრაფია, შემდგენელი ლ. ა. ქლენტი, გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1967.

წიგნების სამყაროში



ტვის. წინამდებარე საძიებელში კი ყოველივე ამასთან ერთად მოცემულია ნ. ვანჩაძის მონაწილეობით გამოცემული 23-ვე ფილმის არა მოკლე ანოტაცია, არამედ მთელი შინაარსი, ამაზე კი კარგის მეტი არაფერი გვეთქმის, თავისთავად სპეციფიკურობის თვალსაზრისით რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს ასეთი ფილმოგრაფია. წიგნს დართული აქვს აგრეთვე პირთა საძიებელი ქართულ და რუსულ ენებზე.

როგორც ვხედავთ, სარეცენზო ბიბლიოგრაფიული საძიებელი „ნატო ვანჩაძე“, ფრიად სერიოზული და საყურადღებო ნაშრომია. რა თქმა უნდა, იგი პირველი ცდა ამ მხრივ და, ამდენად, შესაძლებელია შეიცავდეს კიდევ მცირედენ ხარვეზებს, მაგრამ ეს, რომ იტყვიან, წვეთია ზღვაში. მთავარია, რომ ჩვენ უკვე ხელთა გვაქვს სოლიდური ბიბლიოგრაფიული საძიებელი, რომელშიც სისრულით არის წარმოდგენილი ნ. ვანჩაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალები. ამავე დროს იგი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქართული კინოს განვითარების ძირითად გზებზე, რაც ნატო ვანჩაძის განუყოფელი ნაწილია ჩვენი ეროვნული კინემატოგრაფიისა.

რესპუბლიკური ხაზარო ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების თანამშრომლები დიდად სასარგებლო და კეთილშობილურ საქმიანობას ეწევიან. არც თუ ისე დიდი ხანი გავიდა, რაც ჩვენმა მუსიკალურმა საზოგადოებამ მიიღო შესანიშნავი საჩუქარი — პროფ. ჩხიკვაძის რედაქციით გამოვიდა ლილა ზამბახიძის მიერ საქმის დიდი სიყვარულითა და ცოდნით შედგენილი ბიბლიოგრაფიული საძიებელი „ზაქარია ფალიაშვილი“; ასლახან კი ლია ქლენტი „ნატო ვანჩაძე“. ამჟამად ლ. ზამბახიძე და ლ. ქლენტი ამზადებენ ახალ საძიებელს „ნიკოლოზ შენგელაია“. იმედია, ეს ფრიად ნაყოფიერი მუშაობა თავისებური შემოქმედებითი ბიძგი იქნება, რათა ცალკეული მონოგრაფიების სახით სრულყოფილად აისახოს ჩვენი ერის ღირსეულ შვილთა მოღვაწეობა და სამამულიშვილო ამავ.

## გერამ ბათიაშვილი

### ოლიმპური მოთხრობები

შარშან, ზაფხულის ცხელ დღეებში საქართველოა ერთი ცნობილი თურქი მოღვაწე ესტუმრა. იგი შეხვდა და ესაუბრა ჩვენი მწერლობის წარმომადგენლებს. როგორც შეხვედრებისას გამოიჩინა, ეს მოღვაწე ოდითგან თურქი კი არა, ქართველია შვილი ყოფილა. ჩვენი მწერლებთან საუბრისას მან ერთი ოლიმპური სიმღერაც კი წაიღიანა. ევალახ, რომ ერთ დროს მშვენიერ ოლიმპურ მელოდიას ახლა მუსლიმანური აღმოსავლეთის იერიც მისცემოდა და სიმღერაც ისევე სამშობლოწართმეული იყო, როგორც ის კაცი, რომელიც მას მღეროდა; სიმღერაც ისევე შეგუებოდა ამ დიდ ტრაგედიას, როგორც ის თურქი მოღვაწე. ნაღვლიანი იყო სიმღერა — სამშობლოზე დარდი და წუხილი ჩაუქსოვიათ მათში ძველ ოლიმპელებს. სტუმარი კი სიყვარულით ლაპარაკობდა თავის წინაპრებზე, რომლებიც სისხლიდან იცლებოდნენ, სულს დაფაგდნენ, ოღონდაც თავისი ენა არ დაეკარგათ, შთამომავლობაათვის საქართველოსა და მისი ენის სიყვარული უძვირფასეს, საოლოავეებელ განძად გადაეცათ.

ამ თურქი მოღვაწის წინაპართა წინაპრების კენსესა და მეომრული ყიფნა, ოხვრა და ნახა ოლიმპური მელოდიები ჩაგვინით ყურში, როცა

გრივოლ ჩოქავანის ოლიმპურ მოთხრობებს კითხულობთ. ამ მოთხრობებს კი ერთხელ კიდევ წაიკითხავთ პროზაიკოსის ბოლო წიგნში „ჩრეული“. ამ წიგნში შესულია თითქმის ყველა ის ნაწარმოები, რომელიც თავისი შემოქმედებით მოღვაწეობის მანძილზე შეუქმნია ბულგარისტს. ეს მოთხრობები ჩვენი ერის ცხოვრების სრულიად სხვადასხვა ეტაპებს ასახავენ. მაგრამ მათ აერთიანებთ ერთი რამ — ავტორის დამოკიდებულება, ნათელი პოზიცია სინამდვილისადმი, ჩვენი ხალხის ცხოვრებისადმი. „პირველი წლების“, „მძიმე წლების“, „სიყვარულის“, „შუქი და ჩრდილის“ და „მომავლის“ — ამ სრულიად სხვადასხვა შემოქმედებითი მანერით შესრულებულ ციკლებში გავრთიანებული მოთხრობები პირუთენელი მხატვრისა და მემკვიდრის მიერ დანახული და შეტანილი მხატვრული სიძლიერით შესრულებული რეალისტური სურათებია ჩვენი ყოფისა. სავსებით სამართლიანად აღნიშნავს გიორგი ნატროშვილი „ჩრეულის“ წინასიტყვაობაში, გრ. ჩოქავანის შემოქმედების მთავარი თემა ჩვენი დღევანდელი ცხოვრება არისო. სწორედ ჩვენი თანამედროვეობიდან ღებულობს იგი შთაგონებას, თანამედროვე, უკვე ცხოვრებაში გა-



მობრძმედილი, ბევრისმნახველი და მრავლის-  
შემცნობი ადამიანის თვალთ გადაპყურებს  
ოდიშის წარსულს და თანამედროვე ადამიანის  
თვალახედვით გადმოაქვს იგი ქალღღმურს.

„ჩრეულში“ გრიგოლ ჩიქოვანმა ერთგვა-  
რად შეაჯამა განვლილი გზა, მკითხველს წა-  
რუდენა შემოქმედებითი ანგარიში მრავალ-  
წლიანი მოქმედებელი შრომისა და საშუალება  
მისცა მას, სრულყოფილი წარმოდგენა იქო-  
ნიოს მისი მოთხრობების ავტორზე. ამას კი  
პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან გრ.  
ჩიქოვანის მიერ ამ უკანასკნელ წლებში შექმ-  
ნილი მოთხრობები თავისი თვისობრივი და  
ხარისხობრივი მაჩვენებლებით მნიშვნელოვნად  
განსხვავდება წინა წლების ნაწარმოებებისა-  
გან. მწერლის შემოქმედებაში გადიოდა სრუ-  
ლიად ახალი, ნათელი პოზიციონირება, მრავალი  
წლის დამატულმა შემოქმედებითმა შრომამ  
რაფინირებული გახადა. მისი ლიტერატურულ-  
ი გემოვნება. მწერლის მიერ მოქმედებითი ახა-  
ლი თემაც საოცრად მეტად მის შემოქმედებ-  
ით ამჟღავნებს. ამას გარდა „ჩრეულში“ გრი-  
გოლ ჩიქოვანმა ჩვენი სამშობლოს 50 წლის-  
თავზე მოგვცა ქვეყნისა და ხალხის მიერ ამ  
ნახევარი საუკუნის მანძილზე გავლილი გზის  
მხატვრული სურათები და ყველაფერი ეს ჩვე-  
ნი სამშობლოს შორეულ წარსულს დაუკავში-  
რა. აქედან გამომდინარე, წიგნს ახასიათებს  
კიდევ ერთი კარგი თვისება — მწერალი ახერ-  
ხებს, შეპირისპირებისა და კონტრასტის მეთო-  
დის მარჯვე გამოყენებით აჩვენოს ჩვენი ყო-  
ფა. რაოდენ დიდი კონტრასტია იმ ორ ყოფას  
შორის, რომელიც გამოვლენილია წიგნის სხვა-  
დასხვა ციკლებს — ოდიშურ მოთხრობებსა და  
სხვა დანარჩენებს შორის. ესეც ერთგვარი ხერ-  
ხია მკითხველის გულსა და გონებაზე მძაფრი  
ემოციური ზემოქმედების მოახდენად.

გრიგოლ ჩიქოვანი ჩვენი პროზის ერთ-ერთ  
ნაცადი წარმომადგენელია. მის მოთხრობებ-  
ზე ბევრი თქმულა და დაწერილა, წლების გან-  
მავლობაში ექიბებოდა მწერალი ქართულ სი-  
ტყვას, და გულმართლად ემსახურებოდა მისი  
ძალუმად ელერის საქმეს. ეს ყველაფერი ბე-  
ლეტრისტის ბიოგრაფია და საკმაოდ კარგი  
ბიოგრაფიაც, მაგრამ ვინც დღეს დაინტერესი-  
დაკვირდება გრიგოლ ჩიქოვანის გზას ლიტე-  
რატურაში, დაინახავს, თუ რა რთული შემოქმე-  
დებითი პროცესი განვლო მწერალმა, თვალ-  
ნათლევ გამოჩნდება, თუ რაოდენ დაყენებით  
მიიღებოდა იგი პროზის უხილავი მწვერვალეზი-  
საკენ. დაყენებულმა შემოქმედებითმა ლტოლ-  
ვამ კი, როგორც აღვნიშნეთ, ცხადად იჩინა თა-  
ვი უკანასკნელი ათწლეულის ნამუშევრებში.  
სწორედ ამ ხანებში შექმნა გრ. ჩიქოვანმა  
„ოდიშური მოთხრობების“ ციკლი და ჩვენს  
მკითხველს უდავო მხატვრული ოსტატობით

წარმოუდგინა ოდიშის ცხოვრების მწარე დღე-  
ები.

თურქეთის ისტორიაში ოდნავ მაინც ჩახედუ-  
ლი კაცისათვის ცხადია, იმ ეპოქის ძირითად  
მოვლენებს, რომელზედაც ანეტი გულისწუხი-  
ლითა და ერთგვარი სიამაყითაც მოგვითხრობს  
გრიგოლ ჩიქოვანი, თურქი ეპითომწერლები  
შემდეგი ეპითეტივით აქობენ: „ბრწყინვალე  
ლაშქრობა“, „ძღვეამოსილი არმია“, „აღმოსავ-  
ლეთის ძღვერება“ და ასე შემდეგ, მაგრამ ამა-  
ერთი დასავლეთ საქართველოს და, კერძოდ,  
სამეგრელოს ისტორიას გადავხედოთ? ყუღუგის  
ოშში განგმირულთა და შავ ზღვაში შთანთქ-  
მულთა გულისქმას მიუვდოთ ყური — ოხერა  
და კენესა, ვი და ვიში, ცხენთა ფლოქეების  
ცემა და მეომართა საბრძოლო ყოფინა აყრუებ-  
და გარყვნი. ცას ზარადა სტამბოლის პაზარ-  
ზე გასაყიდად მოტაცებულ ქალ-ვაჟთა მოთქ-  
მა, მათი მშობლების გოდება და წუხილი.  
ოდიშის ამ უბედურ დღეებზე წერს გრიგოლ  
ჩიქოვანი. სამშობლოს ცხოვრების ეს მონაც-  
ვეთი გამხდარა მწერლის უკანასკნელი წლების  
ფიქრის საგანი, მაგრამ ეს მხოლოდ თემატი-  
კური მხარეა ციკლში შესული ნაწარმოებები-  
სა, ლიტერატურაში კი არანაკლებ მნიშვნე-  
ლოვანია შემოქმედებითი პროცესის მეორე  
მხარე — თუ როგორი მხატვრული სიძლიერით  
წარმოსახა მწერალმა ცხოვრების ეს მონაცე-  
ვით, იქცა თუ არა იგი ლიტერატურულ ფაქ-  
ტად არა მარტო მწერლის ბიოგრაფიაში, არა-  
მედ საერთოდ ლიტერატურულ ცხოვრებაში.  
დაბეჭივითი შეიძლება ითქვას: „ოდიშური  
მოთხრობების“ ციკლში გაერთიანებული ზოგო-  
ერთი მოთხრობა ჩვენი პროზის მიერ წინ გა-  
დადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

რაოდენ დიდი ტრაგიზმითაა გამსჭვალული  
მოთხრობა „ღუტუ“. რა დიდი მწუხარება და  
გმირული შემართება ამ მოთხრობის მთავარი  
პერსონაჟისა, რომელსაც ყველა შვილი თურქე-  
თში გაუყიდეს, ცოლიც კი სტამბოლის დიდი  
ბაზრისაკენ გაუგზავნეს... ეს არის მოთხრობის  
ძირითადი სიუჟეტური ქარგა, მაგრამ მწერლის  
ოსტატობა მარტო თემისა და სიუჟეტის შერჩე-  
ვასა და დამუშავებაში როდი მკლავდება, მო-  
თხრობაში მან შექმნა საოცრად მძიმე განწყო-  
ბილება, ჰაერი შურისძიების სულისკვეთებით  
დამუხტა.

ყოველივე ამას პროზაიკოსმა მეტად იღბლი-  
ანად, ძალზე შესაფერისი რიტმაც მოუხანა-  
რაც ძირითადად დიალოგები მკლავდება. ავ-  
ტორის მოკლე რემარკები კიდევ უფრო შთამ-  
ბეჭდავს ხდის სურათს, კიდევ უფრო აშუ-  
შებს პიუზაჟის ფერებს, ამძაფრებს სიტუაციას.  
— „შენ გამოგზავნე ფარნა, კეხმა და ეხმა.  
— მე გამოგზავნე ფარნა, კეხმა და ეხმა.“

წიგნების სამხატვრო



— ფარნაბი, კეხმა და ესმა წაიყვანეს მამონაც ჩემი ბურღა.

— ბურღა ჩემი ყმა იყო.

— ბურღა ჩემი უფროსი ვაჟი იყო.

— ბურღა ჩემი ყმა იყო, შენც ჩემი ყმა ხარ.

— სამ ოყა მარილში მიჰყიდე თურქს ჩემი ბურღა.

— ბურღა ჩემი ყმა იყო, შენც ჩემი ყმა ხარ.

— სამ ოყა მარილში გამიყიდე შვილი.

პეხუ გულაღმა იწვა, საფლავიდან ამდგარს ჰგავდა“.

„შემდეგ ცოლი წამართვი.

— ცოლიც ჩემი ყმა იყო.

— იუ სამ ლეკეში მიჰყიდე თურქს.

— იუც ჩემი ყმა იყო, შენც ჩემი ყმა ხარ“.

მოთხრობაში ტრაგიკულ პათოსთან ერთად შემოღის გმირული შემართების სულსკვეთება, როცა უშვილოდ დარჩენილი დღეუ საკუთარი ხელეებით განვმირავს მისი უბედურების მოთავეს — პეხუს. ეს შემართების პათოსი, მხოლოდ უფრო განსხვავებული სახით, გაღადის მოთხრობაში „სიკვდილის გზა“. ამ მოთხრობას კიდევ ის ღირსება აქვს, რომ იგი ხასიათდება იმდროინდელი ოდიშის ყოფითი მოვლენების ღრმა წვდომით, ოსტატურად გამოქმნილი ხასიათებით. ჯამლეთის სახე ისე ხელშესახებად არის გამოკვეთილი, რომ თქვენ თითქოს ხედავთ კიდევ მის ყოველ ნაბიჯს, გრძნობთ მის მძიმე სუნთქვას და მზერას არიდებთ რისხვიან თვალებს. ჯამლეთი ტრაგიკული პიროვნებაა. ეს ტრაგიზმი კი მისივე ღრმად განაპირობა. ჯამლეთი თავის თანამედროვეობასთან მოექცა კონფლიქტში, ამიტომ არის მისი ხვედრი ესოდენ მძიმე. გრიგოლ ჩიქოვანი ღრმად წვდება ამ საკითხს და იძიებს კონფლიქტის მიზეზებს. ეს მიზეზი კი კვლავ ოდიშის ცხოვრებაში მომხდარი დრამატული ამბებია, როცა თურქთა ხომალდებს ქართველთა მიერ გაყიდული ქალ-ვაჟები სტამბოლის დიდი ბაზრისაკენ მიჰყავდა. „სიკვდილის გზაში“ ნაჩვენებია კონფლიქტი დროა და ადამიანს შორის, დროს მოვლენებსა და ადამიანურ მიწრთვებათა შორის. ჯამლეთი დაამარცხა დრომ, იგი სასტიკად მოტყუვდა. ამას ძალზე ნაღვლიანი ნოტი შეაქვს მოთხრობაში, რადგან მწერლისა და მკითხველის სიმპატიები სავსებით სამართლიანად ჯამლეთის მხარესაა. ჯამლეთთან გამოთხოვების ნაღველს კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ მისი სიკვდილი ძალზე შთაბეჭდავად აქვს აღწერილი ავტორის.

ცხოვრებისეული მოვლენების ღრმა წვდომითა და ხატვის ოსტატობით ხასიათდება გრ. ჩიქოვანის ამ ციკლის სხვა მოთხრობები: „ტაგუ“, „სინთუ“, „შონი“, „შურისგება“, „მხედრები“ და „ბერძენი“. ყოველ ამ მოთხრობაში ბელეტრისტს მდლარი პალიტირი დღეხატავს

სამეგრელოს მწარე ისტორიული წარსულში. წარმოებებში გაიცხლებულია ერისთვის თავდადებულ ადამიანთა სახეები, რომლებიც სახრჩობელაზე ისე ადიოდნენ, რომ წარბივ არ შეეზებოდათ და ამით მორალურად ამარცხებდნენ მტერს, ხალხის კეთილდღეობას ძვირფასი ადამიანის სიცოცხლის შესწირავდნენ, ქალებიც კი გაუგონარ აქტინობას იწმინდნენ, რომ ერთი მხრივ შეემციდებინათ უთანასწორო ბრძოლაში დაეცემულ ქართველთა რიცხვი, დიდი სულიერი და ფიზიკური ტკივილების ფასად ბრძოლის ველიდან გაეყვანათ დასაღუპად განწირული მხედარი. გრ. ჩიქოვანი თავისი პერსონაჟის ასეთ ყოფაში საოცრად ათავსებს ერთმანეთთან გმირულსა და ლირიულს, მხურვალე ვენებასა და ნაზ სიყვარულს. რაოდენ დიდი ოსტატობითაა აღწერილი თუნდაც ის სცენები, სადაც მომავლადი მუშნი („მხედრები“) იგრძნობს ქალის სიბოძს. მუშნი ქვეცნობიერად მიეღტვის ქალს, ეს ლტოლვა თითქოს აყოვნებს მის სხეულში მარადიულ სიცივის დასადგურებას. ეს დეტალი შესანიშნავად დაიჭირა მწერალმა და დიდი თავშეკავებით გაუღია მოთხრობის ქსოვილში, თავშეკავებით, რადგან ნაწარმოებში გაეღვეული ეს ხაზი რომ გაეზვიადებინა მწერალს მხატვრულად. შესაძლო იყო მოთხრობა იაფფასიან ნაწარმოებად ქცეულიყო.

გრიგოლ ჩიქოვანი მუდამ ცდილობს ილაპარაკოს მთავარ მოვლენებზე, სწორედ მასზე გაამახვილოს ყურადღება, ოღონდ ისე კი, რომ არ დაღალოს მკითხველი, არ დატვირთოს იგი. მოთხრობაში „ქუაობი“ მწერალი ძალზე ლაკონურად გვიამბობს ეკასა და ჯებებს ცხოვრების ტრაგიკულ დასასრულზე. ავტორმა ჩინებულად გამოკვეთა ერთის მხრივ ეკასა და ეკას და, მეორეს მხრივ—მოგზაყანის კონფლიქტის ძირითადი ნიშნები, მოვლცა ამ კონფლიქტის სიცოცხლური არსი. შეუძლებელია სძლიო ცთუნებას და ერთგვარი საყვედური არ გამოსთქვა: გაოცებას იწვევს ქართული ენოს მუშაკების გულგრილობა ამ მოთხრობისადმი. ნუთუ მათ არც წაუყითხავთ ეს ჩინებული ნაწარმოები? პლატიკურობა, დინამიკურობა და, რაც მთავარია, საოცრად ხელშესახებად გამოკვეთილი სახეები — ყოველივე ეს ამ ნაწარმოების ის თვისებებია, რამაც, ჩვენი ფიქრით, იოლად უნდა მოინადიროს კინორეჟისორის გულს.

ყოველი ზემოხსენებული ნაწარმოები გრ. ჩიქოვანმა ამ უკანასკნელი წლების მანძილზე შექმნა. ალბათ იგი კიდევ გააგრძელებს ამ ციკლზე მუშაობას, ამას გვაფიქრებინებს ამასწინათ პრესაში მოთხრობა „ერთი ღამის სიხარულის“ გამოჩენა. ეს არის თანამედროვე ქართული მოთხრობის ჩინებული ნიმუში. „ერთი ღამის სიხარული“ სურათთა ძველი ოდიშის იმ შაბნელი ცხოვრებისა, რომელზეც ასეთი ვულსტიკვილით მოგვითხრობს მწე-



რალი. მაგრამ ამასთან ერთად ნაწარმოების დირსება აწორედ მის მალაქმატერულ ფორმაში მდგომარეობს, ეს ფორმა კი დიალოგების სახით წარმოგვიდგება. საერთოდ, ნოველის ამ სახით წერა არ არის უცხო ლიტერატურაში. ამ ფორმას საკმაოდ კარგად იყენებდნენ და იყენებენ დასავლეთის ჩინებული პროზაიკოსები (როცე მარტენ დიუ გარი, კოლდუელი, სარიოიანი და სხვანი). გრიგოლ ჩიქოვანის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან დიდი გამოცდილება ძალა მისცა მოთხრობას. მწერალმა ამ დიალოგებში ჩასტია უდიდესი ლიროზმი, ქალ-ვაჟის ვენება და ტრაგედია. შემზარავია მშობლების მოთქმა, როცა ისინი შვილის გატაცებას შეიტყობენ. საცხებით სამართლიანად მიუთითებს გაორგი ნატროშვილი იმავე „ჩრეულის“ წინასიტყვაობაში, რომ ამ გამარჯვებაში ვრ. ჩიქოვანს უთუოდ დიდი დახმარება გაუწია ქართულმა ზეპარსიტყვიერებამ. „ერთი ღამის სიხარულში“ ისმის ოდიშური ფოკლორის ინ-

ტონაციები. როგორც ჩანს, გრიგოლ ჩიქოვანი დიდხანს ფიქრობდა განსხვავებული ფორმით მოთხრობის შექმნაზე, ეძებდა ახალ გზებს, გამოსახვის ახალ საშუალებებს. ამას გვაფიქრებინებს მოთხრობა „ღუტუ“, რომელშიც დიალოგ უდიდესი, მაქსიმალური დატვირთვა ეძლევა და თითქმის მთლიანად წარმართავს ნაწარმოების სიუჟეტურ ხაზს, განსაზღვრავს მის ემოციურ სიმძაფრეს. ამ ფორმამ „ერთი ღამის სიხარულში“ უკვე სრულყოფილი სახე მიიღო, უფრო დახვეწა. მოთხრობა ძალზე შეკრული და კომპაქტურია, იმდენად კომპაქტური, რომ ორიოდე ფრაზის ამოვლებით შეიძლება მთლიანად დაირღვეს მისი რიტმიც და განწყობილება.

„ოდიშური მოთხრობები“ ჩვენი პროზის წარმატებაა. ამ ნაწარმოებების სახით ვრ. ჩიქოვანმა მოგვცა ჩინებული მხატვრული დოკუმენტი ჩვენი ისტორიის დღეებზე, მოგვცა ნიმუში დახვეწილი ლიტერატურული აზროვნებისა.

## ქანი მუხაკიშვილი

### „ოთხი დრო“

მურმან ლებანიძე. „ოთხი დრო“. გამომცემლობა „ნაპაღლი“, 1968 წ.

მურმან ლებანიძის ყოველი ახალი წიგნის გამოჩენას ინტერესით ხვდება მკითხველი. თემისადმი საკუთარი კუთხით მიდგომა, სილაღე და უბრალოდ გადმოცემული ღრმა აზრი საწინდარი გახდა იმისა, რომ მურმან ლებანიძის ლექსებმა თამამად გაიკვირეს გზა სასკოლო სახელმძღვანელოებას ფურცლებზე.

„ოთხი დრო“ პოეტის საბავშვო ლექსების ბოლო კრებულაა. როგორც სათურთი გვეუბნება, წიგნიც ასე, ოთხი ნაწილისაგან შესდგება: „გაზაფხული“, „ზაფხული“, „შემოდგომა“, „ზამთარი“. თვითეული ნაწილი ერთმანეთსაგან საგრძნობლად განსხვავდება წელიწადის დროების შესატყვისი ფერებითა და რიტმით.

ამ წიგნში შესული ლექსების უმეტესობა დიდი ხანია გამოქვეყნდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, ზოგიც ახლახან გამოშუქურდა; ახლახან ვიხილეთ ლექსი „ჩქებიც“. ხსენებულ ლექსში პოეტი ჩვენი ფუნის ქომავალ გვევლინება — გაკვრით, სასხვათაშორისოდ გვესაუბრება, რამაც არ შეიძლება არ ჩავაფიქროს, რაი, სამწუხაროდ, ჩვენც ასე, გაკვრით ვლაპარაკობთ ხოლმე ამ საკმაოდ მტკივნეულ პრობლემაზე.

ერთი სიტყვით, ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებას ზედმიწევნით სწორი ინტონაცია მოუქნა.

კრებულში შესული ყველა ლექსი გემოვნებით არის შერჩეული და ამ თვალსაზრისით მთლიანობაში ერთი დასრულებული ნაწარმოების ელფერს იღებს, მიუხედავად იმისა, რომ თვითეული ცალ-ცალკე დამოუკიდებელი სახის ნაწარმოებია. თავისებურად იყენებს პოეტი იუმორსაც — ზომიერად და ეფექტურად: „სპოპო, ვიცინეთ ბევრი!“ „აფთარაულის ბიჭი ზამთარა...“ პოეტი ზოგჯერ ისეთ სიტყვას გამოუჩევს, რომელიც, ერთი შეხედვით, შეიძლება ეარგონად ან კუთხურად მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს ასე არ არის. ბავშვისათვის ყველაფერი ნათელი რომ იყოს, მასწავლავს თავის დანიშნულებას დაკარგავდა — ბავშვმა ზოგი რამ უფროსს უნდა ჰკითხოს — და ისე გაიგოს, ზოგიც თვითონ უნდა მიაკვიროს; სხვანაირად ცოდნის გაღრმავებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. სწორედ ასეთი სიტყვების და გამოთქმების წყალობითაც არის თვისებური მურმან ლებანიძის პოეზია.

წიგნების სამართალი



მურმან ლებანიძე საფუძვლიანად იცნობს შვენს განუმეორებელ საუნჯეს — ფოლკლორს. მისი გამოძახილი თვალნათლივ ჩანს სარკენ- ზიო კრებულში. პოეტი ყოველი ლექსის მეტრის სათქმელის ხასიათის მიხედვით ცვლის, ერთ რიტმს არ უტრიალებს, რაც, სამწუხაროდ, არც თუ ისე აშვიათია თანამედროვე (თუნდაც სა- ბავშვო) პოეზიაში.

„ოთხი დრო“ ჩვენი მიწისა და სივრცის მადლითაა გატენილი. ხანდახან პოეტი პი- რუთენელად მიგვანიშნებს ადამიანურ ნაკლზე, რაც დიდი სიყვარულით არის ნაქარნახევი და ამიტომაც ყოველი კეთილი კაცის პირდაპირი მოვალეობაა. საერთოდ, ისე ლამაზად, ისე მი- შიღველად გადმოგვცემს მ. ლებანიძე სათქ- მელს, თითქოს წარმოუდგენელიცაა სხვანაი- რად ან უკეთ თქმა:

ზაფხულია. მწიფე პურებს  
მზე ვეფხვივით უტევს,  
— ჭახ! — იქნევენ ლაქოები  
ლექურებით კულდებს.

(„ლაქოები“)

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს სარზე წამოს- ტუბებული ლაქოები და ერთხელ მაინც მოუს- მენია მათი „ჭახანი“, შეუძლებელია, მოგონე- ბებში არ გაიბლანდოს. თუმცა ეს სტრიქონე- ბი ვისთვის ლამაზი სტრიქონებია, ვისთვის კი- დევ ნამკალსა და ეკალ-ბარდში სიარულით და- კარული კანჭების გახსენება.

მურმან ლებანიძის პოეტური შედარებები უბრალოებითა და შთამბეჭდავით გამოიწვე- ვა. საამისოდ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვი- ტანთ:

კარხუნავ და ოჯალეშო,  
ჩხავერო და იზაბელავ,  
შაბაიმინი გალუმპულო  
საქართველოს ცისა ფერად...  
(„ყურძინს ქება“)

მადლობის მეტი რა გვეთქმის! მშვენიერი ლექსებია: „მევირცხლი მივი ზარ- დე“, „პატარა ერეკლე საღლიანი“, „სადაც უშ- ბაა ცაში“, „ზაფხულის ღამე“... მოკლედ, ყვე- ლა კარგი ლექსი რომ ჩამოვთვალოთ, თითქმის მთელი სარჩევის გადმოწერა მოგვიხდება.

გულსატკენია ის გარემოება, რომ ამ უაღ- რესად თავისთავადი შემოქმედის საბავშვო პოეზია ღირსეულად არ არის შეფასებული.

წიგნის ანოტაცია გვაუწყებს, „ოთხი დრო“ პოეტის რჩეული საბავშვო ლექსების კრებუ- ლიაო. მაგრამ ვინც კარგად იცნობს მურმან ლებანიძის საბავშვო პოეზიას, უეჭველად ბევრ კარგ ლექსებს მოინაკლისებს, ამ საქმის ცოდ- ნითა და სიყვარულით გაფორმებული (მხატვა- რი ჯემალ ლოლუა) წიგნის გარეთ რომ დარჩე- ნილი. აჯობებდა კი, ანოტაციის პირველ წინ- დადებას გამართლება ჰქონოდა.



## ჩვენს მიხველაკ

### მისი ფიქრების ყვავილები

ჩემი ფიქრების ყვავილებს მოვლილს  
მე დღეს ქალაქში ჩამოვარიებ.

ბიძინა მინდაძე, „თბილი თოვლი“. გამომც. „ლიტერატურა და ხელოვნება“.

თაობა, რომელსაც ბიძინა მინდაძე ეკუთვნის, სწორედ ახლა იწყებს, სიჭაბუკის სიზმრების შემდეგ პირველი კვალის გატანას ცხოვრების ანულში. იმ პირველ კვალზე კი ბევრადაა და- მოკიდებული მისი სამერმისო წონასწორობა და ზუნებრივია, რომ ჩვენი ახალგაზრდული ლი- ტერატურის ეს ახალი ნაჟადიც მკითხველისაგან გაორკეცებულ გულისყურს და მზრუნველობას ელის. ზოგჯერ ამბობენ, რომ „ომისშემდგომი თაობის ცხოვრება შედარებით უმტკივნეულოდ განვითარდა, რომ მის ფიზიკურ და მორალურ

ფორმირებას თან არ ახლდა დიდი ისტორიული ქართველი (რევოლუცია, ომი), რომ ოცი წლის ახალგაზრდების ნერვების დიდი მარავი საიმედოდ ინახება მათსავე ქვეშეცნეულ პო- ტენციაში. ეს მართალი არ არის. პოეტისთვის არ არსებობს მომგებიანი და წამგებიანი ეპოქა. ისტორიის ყოველ მონაკვეთს თავისი გრანდიო- ზული სულსძვრანი, თავისი დიდი სიხარული და სატკივარი აქვს, ამიტომაც ღმერთმა იცო- დეს, როდის უფრო ნათელი დარი უდგას შე-





მოქმედის დანტაზიას, მისი განცდებისა და ემოციების მგრძობიარე სამყაროს.

ფეხაწყობილი გამოდის მწყერიც  
 ისე ვით წინათ,  
 ან უფრო კარგად...  
 და ჩემს ყურებში გასროლილი ტყვიები  
 წივის  
 და ყველა მხედვება, თითქოს ვდგავარ  
 სამიზნე ფართან,

წერს ერთ ლექსში ბიძინა მინდაძე და მიუხედავად ბოლო სტრიქონის მხატვრული არასრულფასოვნებისა, ახალგაზრდა პოეტი თავისი თაობის სიმბოლური სურათის ერთ დეტალს გვიჩვენებს. „ფეხაწყობილი მწყერიც“ მისი თაობაა, რომელსაც ბევრი რამ მისცა როგორც მამათა გამოცდილებამ, ისე ყოველივე იმან, რაც თავად უნახავს და განუცდია.

„თბილი თოვლი“ უსათაურო ლექსების კრებულია. მკითხველი თითქოს ერთ ლირიკულ პოემას კითხულობს, პოემას, რომლის თემატიკის დახასიათება შეიძლება ისეთი ფართო და ასტრაქტული სიტყვით, როგორცაა ცხოვრება. ეს კი „თბილი თოვლის“ ლირსებაცაა და ნაკლებად ღირსება იმიტომ, რომ ახალგაზრდა პოეტის ხელწერა ორიგინალურია (ეს არანაკლებ საშუაო საქმეა), ნაკლი კი იმიტომ, რომ კრებულში მოთავსებული ზოგიერთი ლექსი მხოლოდ მიმზიდველი პოეტური დეტალები კონგლომერატია. ეს პოეტური დეტალები ერთმანეთთან მკიდრო ემოციურ კავშირში ყოველთვის არ არის, თუმცა განწყობილების საერთო ანსამბლს ორგანულად ეთვისება.

მკითხველის ყურადღება უსათუოდ მიიქცევს „კურდღელი“. იგი, ჩვენი აზრით, კრებულის საუკეთესო პოეტური ნიმუშია. ამ ლექსის მედიტაციური ქედრადობა, მისი მონოტონური რიტმი, დახვეწილი მუსიკალობა და უადრესად თანამედროვე მხატვრული ჩანაფიქრი მკითხველზე დიდი ემოციური ძალით მოქმედებს. ამ ლექსს თავისი, საკმაოდ მძაფრი, შინაგანი სიუჟეტი აქვს: მანქანის ფარების შუქზე გარბის კურდღელი. მანქანაში ნატრობენ შინდატოვებულ თოფსა და ვახნებს. „სინათლის თოვი დაჰიმნოლა“ და კურდღელი გარბის... და ამ ლტოლვით და დევნით, შიშით და მრისხანებით დამუხტული სურათიდან პოეტს მოულოდნელად ცაში აყვავარ;

აღმოსავლეთით ზეცა ბაცდება,  
 დამე ეცლება მანქანის ფარებს.  
 ღრუბლებში მირბის და იკარგება  
 კურდღლის თვალბრწყინი შიშვარე.

„კურდღელი“ დიდი მხატვრული განზოგადების საშუალებას იძლევა. მისი სიმბოლური ფაბულა თვით ცხოვრებაა, და უფრო კონკრეტულად — ჩვენი დრო.

ბიძინა მინდაძის წიგნის ლირიკული გმირი ქალაქელი ბიჭი, ამიტომაც ამ ლექსების ინტონაციას და ემოციურ სფეროს წმინდა თბილისური მოტივები განაპირობებენ. ახალგაზრდა პოეტის მხატვრული აზროვნება ასფალტიანი ქუჩების, ტრამვაის და მღალი სახლების ნივთიერით ბეგერწერას როდი მისდევს; დიდი ქალაქის კოლორიტი მისთვის იმდენად სისხლბორცეულია, რომ ის, რაც პროვინციული სტუმრისათვის გაცემების საგანია, „თბილი თოვლის“ ლირიკული გმირისთვის ემოციათა მეორეხარისხოვანი სტიმულია მხოლოდ.

ბიძინა მინდაძე მგრძობიარე, ფიქრიანი ლირიკოსია. ზოგჯერ იგი, თავის ექვებშიც კი დაეპყვებული, მოვლენის ბოლომდე ახსნის სირთულის წინაშე უკან იხევს. არ რეზონერობს, თავზე არაფერს გვახვევს და არც გულუბრყვილო პომპეზურობით გვაწონებს თავს.

მისი ლექსების კარბი ესთეტიზმი ზოგიერთ ლექსში ხელოვნური გაბუნდოვანების შთაბეჭდილებას ქმნის, მაგრამ ამ შთაბეჭდილებას იქვე გვიქარწყლებს სხვა ლექსთა უშუალობა, სისადავე და განწყობილებათა პერსპექტიული აპტიმისტური ქედრადობა.

ახალგაზრდა პოეტს აქვს საგნებისა და მოვლენების მხატვრული აღქმის უნარი, მგრძობიარე თვალთ და ადლო. მისი პოეტური სურათები ნათელია და რეალური. აი, რამდენაირ მხატვრულ ასპექტშია წარმოდგენილი სარეცენზიო კრებულში „თოვლი“.

**თოვლი** კი ქალაქს უვლიდა რიდი  
 და ირემივით მირბოდა მთებში.

(გვ. 4)

და **თოვლი**, როგორც ზამთრის ზაბუა,  
 თეთრ ხალათებს და ქუდებს არიგებს

(გვ. 10).

მე **თოვლს** ყოველთვის თრთოლვით  
 მოველი...

ფანტელებია ისეთი ფართე,  
 თითქოს უფორმო თეთრი ცხოველი  
 ქვაფენილებზე ალაგებს თავებს

(გვ. 11)

...და **თოვლი**, როგორც დაფავე ცარცი  
 თავის ხანმოკლე სიცოცხლეს ითხოვს

(გვ. 38)

პირველ **თოვლივით** ეშვება ფარდა,  
**თოვლივით** ნელა და გულუბრყვილოდ.

(გვ. 14) და ა. შ.

თუ „თბილ თოვლს“ აკლია მკვეთრად გამოხატული მოქალაქეობრივი ქედრადობა, თუ ზოგიერთ ლექსს ჯერ კიდევ აჩნია ლიტერატურული სათბურის მკრთალი ფერი (აკი ერთ ლექსში ავტორი თვით წერს: „ჩემი ფიქრების ყვა-

წიგნების სამყაროში



ვილებს მოვლილს მე გადავაცილი სათბურის მი-  
ნას“, ეს ნაწილი ვასროლილი თოფის კვამლი-  
ვით თანდათან გაქრება, რადგანაც სამიზნე აღე-  
ბულა, რადგანაც ბ. მინდაქეს გააჩნია ყველა-

ფერი იმისათვის, რისთვისაც ახალგაზრდა შემ-  
ქმედს ლიტერატურაში კარს უღებენ ხოლმე.  
მან საკუთარი ხმა მოსინჯა უფრო დიდი და სა-  
ჭირო სათქმელის წინადადით.

**შოთა შავყაყაძე**

**ქერნალ „ცისკარის“ პოეზიები**

ლიეილ ნანიტაშვილი, „ქუერნალ „ცისკარის“ (1857—1875 წწ.) პოეტები“,  
„საბჭოთა საქართველო“

მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობა და პერიოდული პრესის ისტორია მჭიდროდა დაკავშირებული ჟურნალ „ცისკართან“, რომელიც გასული საუკუნის 1825 წლიდან გამოდიოდა. „ცისკარის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ლიტერატურული ნაწარმოებები. გ. ერისთავის, ხოლო შემდეგ პ. კერესელიძის განახლებულ „ცისკარში“ პირველად ამეცხველდა ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალური სტიქიონები. ჟურნალმა ფართოდ გააცნო ქართველ ხალხს თავისი საყვარელი მწერლების: დავით გურამიშვილის, ბესარიონ გაბაშვილის, სულხან საბა ორბელიანის, ალექსანდრე ჰვავიაძის, გრიგოლ, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანების, რაფიელ ერისთავის, ლაბრენტი არდანიანის, დანიელ ჭონჭაძის, ანტონ ფურცელაძის ნაწარმოებები.

„ცისკარი“ ფართოდ აშუქებდა რუსული და უცხოური ლიტერატურის წარმომადგენელთა ნაწარმებს. მკითხველი აქ ეცნობოდა პუშკინის, მარლინსკის, პიუგოს, შილარის და სხვათა შემოქმედებას. „ცისკარი“ იყო ლიტერატურული ხასიათის ჟურნალი, რომელმაც ხელი შეუწყო მშობლიური ენისა და ლიტერატურის განვითარებას, თავის ვარშემო შემოკრიბა ძველი და ახალი თაობის მწერლობა და გაბედულად ბეჭდა მათ ნაწარმოებებს.

„ცისკარში“ დაიწყო მოღვაწეობა სამოციანი წლების გოლიათთა თაობამ (ილია ჰვავიაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, პეტრე უმიკაშვილი, ანტონ ფურცელაძე და სხვ.). სამოციანი წლების „ცისკარი“ გახდა მწვავე იდეურ-ლიტერატურული პოლემიკის ასპარეზი, ახალი პროგრესული იდეების პროპაგანდის ცენტრია.

ყველაფერი ეს კარგადაა ცნობილი ქართველი მკითხველისათვის და კიდევ ერთხელ დამაჯერებლად და აღნიშნული ლ. ნანიტაშვილის სარე-

ცენზია წიგნში. მაგრამ ამ წიგნის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია ის, რომ მასში მოცემულია ქართული საზოგადოებისათვის უცნობი და ნაკლებად შესწავლილი პოეტების პორტრეტები, რომელთა საზოგადოებრივი ღვაწლის აღნიშვნა ხელს უწყობს ქართული საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურული პროცესების ღრმად დაუფლვებას, აადვილებს ამ ეპოქის სახელგანთქმულ მწერალთა ლიტერატურული მემკვიდრეობის ათვისებას. ასეთი ხასიათის კვლევა, მივიწყებულ, „მეორეხარისხოვან“ მწერალთა შემოქმედების გამომჩუვრება აუცილებელია. ამის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია დიდი მწერლების ლიტერატურული მემკვიდრეობის ღრმად შესწავლა, ამა თუ იმ ეპოქის ლიტერატურული გარემოს სრული გათვალისწინება. როგორც დიდი მდინარის დახასიათება იქნებოდა შეუძლებელი მისი მაცოცხლებელი პატარა შენაკადების გარეშე, ასევე დიდი მწერლის შემოქმედების მეცნიერული შესწავლაც ცალმხრივი იქნებოდა, თუ არ გამოვანდიდით იმ საზოგადოებრივ ნიადაგს, რომელმაც წარმოშვა, ერთი მხრივ, ბუმბერაზები, ხოლო, მეორე მხრივ, მათი ტონისა და ძალის მიმცემი პატარა მწერლები, რომლებიც ჩვენი ისტორიული ბედუქელმართობის გამო დღემდე არ გამხდარა შესწავლისა და კვლევის ობიექტად. დადგა დრო და შეიქმნა იმის საშუალება, რომ დავიწყებულ მწერლებს, ლიტერატურის მეცენატებს თავისი კუნძული მივუჩინოთ ჩვენი კულტურის ისტორიაში, შთამომავლობას არ დაუკარგოთ მათი უანგარო და ალბალი ღვაწლი მამულისათვის, რავინდ მცირელიც არ უნდა იყოს ის.

ამ თვალსაზრისით ყურადღების ღირსია სარეცენზიო წიგნში განხილული პოეტების პორტრეტები. ესენია ალექსანდრე ჩიქოვანი, დავით მაჩაბელი, მარია და ეკატერინე ერისთავები, იოსებ მამაცაშვილი, დიმიტრი მედვინეთუხუცესიშვილი და გიორგი დვანაძე. მდიდარი საარ-



ქივო მისაღების გამოკვლიებით, დღემდე გამოუქვეყნებელი ცნობების მოშველიებით არის შესწავლილი ამ მწერლების ლიტერატურული შემოქმედება, ბიოგრაფია და საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა.

ლ. ნანიტაშვილის ნაშრომი ნათელს ჰფენს XIX საუკუნის 50—70-იანი წლების საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების ბევრ საინტერესო საკითხს. მასში დასტოვებულია ჯართული ჟურნალისტიკის, ლიტერატურის, საზოგადოებრივი აზროვნების თავის დროზე მნიშვნელოვანი და ყმათა სვლაში მივიწყებული წარმომადგენლების ლიტერატურული შემოქმედების მრავალმხრივი საკითხები, რომლებიც ავსებენ და აფართოებენ გასული საუკუნის აღნიშნული პერიოდის შესწავლაში არსებულ ხარვეზებს.

ლ. ნანიტაშვილის შრომის ღირსება იმაშია მდგომარეობს, რომ ავტორს დიდი შრომა გაუწევია დღემდე უცნობი საარქივო მასალების გამოსავლენებლად და შესასწავლად. მისი მსჯელობა დამყარებულია მეცნიერულ ფაქტებზე და დამაჯერებელია. ამიტომ წიგნი საინტერესოდ იკითხება.

წიგნში მკითხველს ყურადღებას იპყრობს ნ. ბარათაშვილის თანამედროვე მწერლისა და საზოგადო მოღვაწის აღექვანდრე ჩიქოვანის შესახებ დაწერილი მონოგრაფიული ნარკვევი იგი. ნ. ბარათაშვილის პოეზიის თაყვანისმცემელი ყოფილა და პირადად იცნობდა დიდ პოეტს. მის ხელთ ყოფილა ბარათაშვილის პოემა „ბედლი ქართლისა“, რომელიც გადაუწერია და ლექსად თავისი მიწაწერილი გაუქვეთებია. საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული პოემის იდეურ და მხატვრულ ღირსებაზე.

ალ. ჩიქოვანი თავის დროისათვის მეტად განთლებული და მწიგნობარი კაცი ყოფილა. მას ჰქონია მდიდარი ბიბლიოთეკა, უნიკალური წიგნებითა და ხელნაწერებით. თურმე სისტემატურად კითხულობდა გერცენის „ქოლოკოსს“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში ინახება ალ. ჩიქოვანის მიერ გადაწერილი სხვადასხვა ხელნაწერები. მათ შორის „რიტორიკა“, „საქარისტიანო მოძღვრება“, „ქართული გრამატიკა“, „ლოცვა ვნების კვირისა“ და სხვ. ცნობილი ქართველი მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეთა აზრების მომარჯვებით შრომის ავტორი ალ. ჩიქოვანს წარმოგვიდგენს, როგორც სამშობლოს უანგარო მოღვაწეს. „ციცხარის“ დაუღალავ მუშაოს. ზ. ჰიქინაძის აღნიშვნით, ალ. ჩიქოვანი იყო „ხედმირვენი მცოდნე საქართველოს ისტორიის, ქართველი ხალხის ძეგლი და ახალი ცხოვრების, მეტად გულდამწვარი თანამედროვე გარემოებისა და დროთა ცვლილებისაგან“. „ციცხარში“ დაბეჭდილ მის ლექსებს („ვედრება“, „დროება“, „საუკუნოებისადმი“,

„შაშვი“, „ქორი და ბუ“, „გალიაში დამწყვეტილი შოშია“ და სხვ.), ლ. ნანიტაშვილის მართებული თქმით, ნ. ბარათაშვილის კილო ამჩნევიათ, ხილო ენობრივად პლატონ იოსელიანის არქაულ სტილს ენათესავებთან.

წიგნში საინტერესო ცნობებია ნ. ბარათაშვილის თანამედროვე დავით ბარძიშისე მაჩაბელზე, რომელიც ნ. ბარათაშვილთან ერთად სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში. დ. მაჩაბელს ხშირად ასახელებენ 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი სოლომონ დოდაშვილი, დიმიტრი ყიფიანი და სხვები. შეთქმულთა ერთ-ერთ შეკრებაზე კიდევ ყოფილა მიწვეული იგი აფთხილოვის ბინაზე, მაგრამ მცირეწლოვანების გამო მისთვის არ გაუწვდიათ საიდუმლო. მაგრამ მის ლექსებს 1832 წლის მზადების პერიოდში შეთქმულთა სხდომებზე კითხულობდნენ. ახალგაზრდა პოეტის ერთ-ერთი ლექსი „თოვლი“, რომელიც „თბილისის უწყებთანის“ № 4-ში დაიბეჭდა, იდეურად შეთქმულთა სულიერი განწყობას შეესაბამებოდა. ეს ლექსი შეტანილია აგრეთვე თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერ ალმანახში ნ. ბარათაშვილის, მიხ. თუმანიშვილის, გრ. ორბელიანის ლექსებთან ერთად. მისი მეორე ლექსი „ვარად“ დაიბეჭდა 1852 წლის „ციცხარში“. ეს ლექსი იმდენად პოპულარული ყოფილა, რომ ივ. კერესელიძემ განმეორებით დაბეჭდა იგი 1864 წლის „ციცხარში“. ეს ლექსიც ეროვნულ იდეალებს ეხმაურებოდა. პატრიოტულ თემაზეა დაწერილი დ. მაჩაბელის ლექსი „ქართლოს“ და პოემა „მთიული“.

პოემა „მთიული“ საინტერესოა იმითაც, რომ მასში დახატულია მისი მეგობრის ბესტუყევი მარლინსკისა და გენიალური რუსი მწერლის ა. პუშკინის დაკარგვით გამოწვეული სევდა:

უმეტეს, სადაც მარლინსკის სისხლი,  
დინთხა ლაფად, შეღება ტევრი;  
როსიულს ენას მოერტყა ჰირხლი,  
მისის დაცემით დააღლა ბევრი.

ავტორი ცალკე იხილავს დ. მაჩაბელის სატრფიალო ხასიათის ლექსებს: „ჩემს მინერვას“, „ლოცვა ტრფიალისა“, პეიზაჟის ამსახველ ლექსებს („პირველი მისი“) და სხვ. აქვეა დახასიათებული დ. მაჩაბლის მთარგმნელობითი საქმიანობა და „ციცხარში“ დაბეჭდილი წერილები საქართველოს ისტორიაზე, ქართული მუსიკის ისტორიაზე და სხვ.

ლ. ნანიტაშვილი მართებულად მოუმარჯვებია გ. ლეონიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დ. მაჩაბელი ნ. ბარათაშვილის იმ ლიტერატურული წრის ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომელშიც შედიოდნენ: ლ. ისარლიშვილი, მიხ. თუმანიშვილი, მ. ერისთავი, ლევ. მეღლიშვილი, ელ.

წიგნების სამყაროში





ორბელიანი, ალ. ჩიქოვანი, ვ. ორბელიანი, ზაქ. ორბელიანი, დიმ. ჭორჭაძე, ზაქ. ფალავანდიშვილი და სხვ.

ლ. ნანიტაშვილს სიყვარულით დაუხატია ეამთა ვითარებისაგან მივიწყებული პოეტი დების, იკორთის მკვიდრთა — მარიამ და ეკატერინე ერისთავების პორტრეტები. აქვეა აღწერილი მათი მამის, 1832 წლის შეთქმულების მონაწილის, აკაკის თქმით, „ღილი ივანე ერისთავის“ და მწიგნობარი დედის — კონია გიორგის ასულ ამილახვარის საინტერესო ცხოვრება. მარიამ და ეკატერინე ერისთავების პოეზიას ქართული სალიტერატურო საზოგადოების ყურადღება მიუქცევია. გრიგოლ ორბელიანი სავანგებოდ წერდა დიმიტრი ჭორჭაძეს, შეეტყობინებინა „ცისკარში“ დაბეჭდილ მარიამ ერისთავის ლექსზე: ვისი ქალი არის? ხოლო კოლხიდელმა სავანგებო ლექსი უძღვნა მას. ეკატერინე ერისთავი კი გ. ერისთავის შთამავანებელი ყოფილა ახალგაზრდობაში. ეკატერინესადამია მიძღვნილი მისი ლექსები იყო...“ და „... ნ...“ ქართული კრიტიკა ეკატერინე ერისთავს ცნობილი პოეტი ქალების: „ზარბავე ჭორჭაძისა და ნინო ორბელიანის გვერდით აყენებდა“.

ლ. ნანიტაშვილს ბევრი საყურადღებო ფურცელი გაუცოცხლებია შესანიშნავი ქართველი მოღვაწის იოსებ ქრისტეფორის ძე შამაცაშვილის ცხოვრებიდან. ამ საინტერესო ადამიანის ცხოვრებას ავტორი იხილავს ქართული საზოგადოებრივი ყოფის განვითარებასთან მჭიდრო

კავშირში. ნახევრებია, რომ იოსებ შამაცაშვილის მოღვაწეობა სისხლხორციულად უკავშირდებოდა ქართული ინტელიგენციის მცირე ჯგუფს, რომელმაც იტვირთა 1832 წლის შეთქმულებისათვის მზადება და მისი დამარცხებით გამოწვეული კავშირები.

წიგნში კარგადაა ნახევრები გიორგი დვანიძისა და დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის „ცისკარში“ მოღვაწეობა და საერთოდ მათი წვლილი ქართულ მწერლობაში.

წიგნის ავტორმა უნდა გააგრძელოს მუშაობა ამ კეთილშობილურ საქმეზე. დაწეროს მსგავსი პორტრეტები 50-60-იანი წლების სხვა მივიწყებულ და გამოუვლინებელ ქართულ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე.

გარდა ამისა, სასურველი იქნება მომზადდეს გამოსაცემად ქართველი პოეტის „დავიწყებული ლექსები“, რომელსაც ისევ სიყვარულით მიიღებს ქართველი მკითხველი, როგორც ამასწინანდელ გამოცემულ ქართველ პროზაიკოსთა მოთხრობებს.

საქირო იყო ავტორს მოეცა უფრო ვრცელი მხატვრული ანალიზი „ცისკარის“ პოეტების შემოქმედებისა, უფრო ფართოდ ემსჯელა მათ ინდივიდუალობაზე, გაემხვეილებინა ყურადღება იმ ახალ მოტივებსა და თემებზე, რაც ამ პოეტთა შემოქმედებაში იჩენს თავს.

ნაშრომი დაწერილია კარგი ქართულით. მას ინტერესით შეხვდა ქართველი მკითხველი.



## იოსებ შამაცაშვილი

### ქაკეპუ ღონღუას რჩეული ნაშრომები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოაქვეყნა ცნობილი ქართველოლოგის, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ კარპეზ დარისპანის ძე ღონღუას (1891-1951) „რჩეული ნაშრომები, I“ (404 გვ.). კრებული შეუდგენია, სასტამბოდ გაუმზადებია, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთავს პროფ. ალ. ღონღას. იგივე გვაუწყებს: „ტიქსტების შერჩევასა და დასაბეჭდად მომზადებაში მონაწილეობდა განსვენებული მეცნიერის უმცროსი ძმა პროფ. ვ. დ. ღონღუა, რომელმაც ითავა აგრეთვე საავტორო კორექტურის კითხვაც“ (გვ. 7).

კ. ღონღუა ფართო განათლების მეცნიერი იყო. მას იცნობდნენ, როგორც ზოგადი ენათმეცნიერებისა და სლავისტიკის საკითხებით დაინტერესებულ სწავლულს, კავკასიოლოგს (აფხაზური და ადიღური ენები), წარჩინებულ ქართველოლოგს, — ქართულისა და ქართველური (სვანური, მეგრული, ჭანური) ენების, ქართული ლიტერატურისა და ზემო-სიტყვიერების საფუძვლიან მკვლევარს, როგორც ლექსიკოგრაფსა და რუსთველოლოგს, ახალგაზრდობის გულისხმიერ აღმზრდელსა და საზოგადო მოღვაწეს.

იგი არ ესწრაფოდა ნაშრომთა სიმრავლეს, მათი რიცხვის გაზრდას, არამედ ცდილობდა,



მისი გამოკვლევები ყოფილიყო მაღალხარისხოვანი და ამას აღწევდა კიდევ; თვლიდა, რომ მეცნიერი ისაა, ვინც თუნდაც მცირეს, მაგრამ საკუთარ წვილილ შვიტანს თავის დარგში და ამისი მაგალითი თვითონვე იყო. მისთვის ნიშანდობლივი გახლდა: ყველგან პუნქტუალობა, უაღრესი პრინციპულობა, მოქალაქეობრივი და მეცნიერული სისპეტაკე; არ უყვარდა ხმაური, აჩქარება, ვისიმე დაჩაგვრა, მაგრამ არც თავს დაჩაგვრინებდა ვისმაც, იყო სამშობლოსა და მისი კულტურის პატივითი, ვინც მათ ხელსაყრიდა, ისეთ შვე დღეს აყრიდა, როგორც დანდურებს დაყავს, იცოდა აღმუშავების სათანადოდ გამოსახვეც.

რძმა განათლებილა და ენების ცოდნისათვის, მარტო ნიჭიერება და შრომა არ კმარა. ამისათვის საჭიროა სათანადო სკოლის გავლა და დიდ მეცნიერულ წრეებში მოღვაწეობა. არც ერთი ეს ჩვენს თანამემამულეს არ დაჰკლებია. მან დაამთავრა თუ არა მშობლიური ქუთაისის გიმნაზია, პეტერბურგს ვაემგზავრა და იქაური უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური დარგის სტუდენტი გახდა. სტუდენტობა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო ის 1911 წელს უნივერსიტეტიდან გარიცხეს. მხოლოდ 1914 წელს მოხერხდა მისი ხსენებულ ფაკულტეტზე აღდგენა. აქ სპეციალისტდებოდა იგი ზოგად ენათმეცნიერებასა და რუსისტიკაში 1917 წლამდე.

ნიჭიერი და შრომისმოყვარე ქართველი სტუდენტი იმავე უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების სახელგანთქმულმა ფაკულტეტმა და მისმა უბოძალურესმა მეცნიერმა ნიკო მარამ მიიწვიდა. ეს ფაკულტეტი მან 1922 წელს დაასრულა წარჩინებით.

კ. დონდუას ზოგადი ენათმეცნიერული განათლება აძლევდა უფლებას ემუშავა ამ დარგში მის მასწავლებელ პროფ. ი. ა. ბოდუნ დე-კურტენესთან (1845-1929) ან რომელიმე დიდ რუსისტთან. აკადემიკოსებს ლ. ვლ. შერბასსა (1880-1944) და ს. პ. ოზნოვკის (დაიბადა 1888 წ) არა ერთხელ უთქვამთ ჩვენი თანადასწრებით ლენინგრადში: დონდუა რუსისტიკაში გამოიჩინედა თავსა...

მან კი თავის მთელი მასწავლებელ ნიკო მართან დარჩენა ამჯობინა...

პროფ. კარპეზ დონდუას ნაშრომები დაბეჭდილია ლენინგრადის, მოსკოვისა და თბილისის აკადემიურსა და სხვა გამოცემაში, ენციკლოპედიაში და ჟურნალ-გაზეთებში.

ამას წინათ გამოქვეყნებულ ავტორის რჩეული ნაშრომების პირველ ტომში შესულია 19 ნარკვევი, ხოლო მე-20 ნარკვევი — ქართული ენის შესახებ კილო (ტექსტებითა და ლექსიკონით) — ჩვენგანდებმა პირველად. ყველა ამათკონდა 15 სახელწოდება დაწერილია რუსულ ენაზე, 5 კი ქართულზე.

სხენებულ ნაშრომთაგან ენათმეცნიერების

რიგი საკითხებია გაშუქებული წერილებში: „გრამატიკული უარყოფა, როგორც ზოგადენათმეცნიერების პრობლემა“, „სინტაქსური ასიმოლიცია ა. ა. პოტენბნის მიხედვით“, „აწმყო ჩვეულებრივობითი აქტიურ კონსტრუქციები“, „ერთი ლინგვისტიკური კალკის შესახებ“ (ბოლთის ცემა ი. ჰაუპეჰაის ენაში) და ნაწილობრივ ზოგი სხვა საკითხი.

ქართველურისა და მათი მეზობელი ენების ურთიერთობის რიგი საკითხებისადმი მიძღვნილი ნარკვევები: „ადილური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვანურში“, „მოთხრობითი ბრუნვის მორფოლოგიური გამოსახვა ქართველურ და ადიღურ ენებში“, „რთული პრეფიქსებისათვის სვანურსა და ქართულ ენებში“, „სვანურისა და ძველი ქართულის პირველი პირის ობიექტურ პირთა რაობა მრავლობითში“, „ინკლუზივ-ეკსკლუზივის კატეგორია სვანურში და მისი კვალი ძველ ქართულში“, „შედარებით-ალმატებითი ხარისხის წარმოშობისათვის ქართველურ ენებში“ და სხვ.

კრებულში მთავარი მისი ქართველოლოგიის საკითხებია. აქ გაშუქებულია ძველი და ახალი ქართულისა და ისევე ქართველური ენების ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის შემდეგი საკითხები: „მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში“, „დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიისათვის ძველ ქართულში“, „ემფატიკური ნათესაობითი ბრუნვის საკითხისათვის ძველ ქართულში“, „ქართული ბრუნების აგლუტინაციური ბრუნების შესახებ“, „მრავლობითობის ორი სუფიქსის შესახებ ქართულში“ და სხვა.

ქართველოლოგიის ისტორიის მნიშვნელოვან საკითხს აშუქებს ავტორი ნარკვევი „ნიკო მარის და ქართველთმოდუნობა“. კ. დონდუა არ იზიარებდა, მაგალითად, ნ. მარის თეორიას ლინგვისტიკური ელემენტების შესახებ, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა სწორად შეეფასებინა ნ. მარის როლი ქართველოლოგიაში. ჩვენს საზოგადოებრიობაში, — წერდა ივ. ჯავახიშვილი, — ბევრი უცნაური კორებია გავრცელებული ამ ნიჭიერ და დიდუნებოვან ადამიანზე“. შემდეგ კიტა ბაზმიძემ შენიშნა: ნ. მარს „სამარცხვინო პოლემიკა... გაუმართეს ჩვენმა უცემმა მამლაყინწა „მეცნიერებმა“ („სახალხო გაზეთი“, 1910, № 11). თუ ადამიანმა იკადრა, ენას ძვლი არ აქვს, ნათქვამია, და ქალაქადი ცველოფერს ითმენს, — ამას წინათ ისეთი ჭრიცი დაიბეჭდა: მარი რუსეთის ბურჟუაზიის (!) ინტერესებს იცავდაო (!), მაგრამ ხარი კვდება, ტყავი რჩებო, ესეცაა ნათქვამი, — ყარვალა ცნობილი, როგორ ებრძოდა მარი სწორედ შვარაზელებს. ცნობილია მარის დიდი მეცნიერული დამსახურებაც. მართალი იყო

წიგნების სამყაროში



ივ. ჯავახიშვილი, რომელიც ჯერ კიდევ 1904 წელს წერდა: „მოვა დრო და ჩვენი საზოგადოება თვითონვე დაინახავს, ვინ იღვა „უქუღმართობის გზაზე“, პრ. მარი, თუ მისი მოწინააღმდეგენი“. კ. დონდუას ხსენებულ ნაშრომში ეს საკითხიც სწორადაა გაშუქებული.

საყურადღებოა კ. დონდუას აქვე დაბეჭდილი რუსთველლოგიური წერილები: „ვეფხისტყაოსნის ერთი შესავალი სტრაფის ლინგვისტიკური ანალიზისათვის“, „მეტაფორა ფართო და მეტაფორა ვიწრო მნიშვნელობით“ (წყალი-ი, რუსთაველ-ის უწყალო-; საწყალო-ი, წყალობა) და „ეკლავ რუსთაველის ცხოვრებისადმი მიძღვნილი წიგნის შესახებ“, (დ. დანდუროვის წიგნის გამო; იხ. ქვემოთ).

კ. დონდუას ესა და რუსთველლოგიურივე სხვა ნაშრომები იმით იმსახურებენ მეტ ყურადღებას, რომ ავტორი პოეტის ბიოგრაფიისა და „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებს განიხილავს რუსთაველის ეპოქის ქართული და მეზობელი ხალხების კულტურათა საერთო ფონზე, იმავე ხალხების ისტორიისა და ლიტერატურულ ძეგლებთან კავშირში („ვისრამიანი“, „ამირანდარეჯანიანი“. შვეთელის, ჩახრუხაძის, ნიშამისა და სხვათა ქმნილებანი); მკვლევარი ლაპარაკობს აგრეთვე ეპოქის საერთო ლიტერატურულ გემოვნებასა და სხვა საკითხებზე, ახასიათებს იმ გარემოს, რომელშიაც რუსთაველის გენია ამობრწყინდა...

კრებულში, შემდგენლის წინასიტყვაობისა და „კ. დონდუას დაბეჭდილ ნაშრომთა სიას“ გარდა, მოთავსებულია პროფ. ი. ა. აბაევის წერილი „კარაგუზ დარისპანის ძე დონდუას ხსოვნას“. წიგნს აქვს დართული „პირთა საძიებელი“ და „სავანთა საძიებელი“.

კარგი იქნებოდა, ამავე კრებულში მოთავსებული ყოფილიყო ავტორის სამავალითორეცენზია „საშინელი უმეცრება“, — დანდუ-

როვის „რუსთველოლოგიურ“ წიგნზე, რომელიც პირველად გაზ. „ინვესტიაში“ (1938 № 298) გამოქვეყნდა და თარგმანი „მნათობში“ (1938 №1) დაიბეჭდა; საჭირო იყო გამოქვეყნებულ ნაშრომთა სიას ავტორის არქივში არსებული ხელნაწერი ნაშრომებზე სიას და დართვოდა, მაგრამ რაი ეს ამ კრებულში არაა, მომავალში უნდა იქნას გათვალისწინებული.

კ. დონდუას გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის უმნიშვნელოვანესია მის მიერ შედგენილი „სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი“. ნათქვამია: ვინც ანი თქვა მან ბანიც თქვასო, — პროფ. ალ. ლლონტა უკვე გამოაქვეყნა ნიკო ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“ (თბ., 1961), ახლა მანვე განახორციელა ფრიად სასარგებლო საქმე, გამოცა სარეცენზიო კრებული და ლექსიკონის გამოცემაში ასეთ გამოცდილი ალ. ლლონტს უნდა ვუსურვოთ, რომ მანვე გამოცემა კ. დონდუასვე ზემოდასახელებული „სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი“.

ჩვენ ვიცნობთ ამ ლექსიკონს და მიგვაჩნია, რომ მისი გამოქვეყნება ძლიერ სასარგებლო საქმე იქნება. ის ჩვენმა გამოცემულმა „მეცნიერებამ“ უნდა იკისროს, რადგან მისი მოსკოვში გამოცემა ვაჭირდება.

დაბოლოს გვინდა აღვნიშნოთ: დარისპან დონდუას ოჯახმა წარმოშვა და აღზარდა ოთხი შესანიშნავი პიროვნება: პროფ. კარაგუზ დონდუა, ისტორიკოსი პროფ. ვარლამ დონდუა, ჩვენი გეოგრაფიის სახელმძღვანელოების ავტორი დავით დონდუა, ამათი და მარგარიტა დონდუა (კ. ბალმონტს ასწავლიდა ქართულ ენას, მან ამ პოეტ-მთარგმნელზე სინტერესო მოგონებები გამოაქვეყნა).

დარისპანის შვილების მავალითი მისაბამია ახალგაზრდობისათვის.





# ჩივი

## საქართველო

### მაქსიმ გორკის დღეები საქართველოში

მაქსიმ გორკის დაბადების 100 წლისთავი დიდი ზემოთ აღნიშნა მთელმა ჩვენმა ქვეყანამ. ზემოთ დაიწყო ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში, შემდეგ გორკის მშობლიური ქალაქი გორკი მასპინძლობდა სტუმრებს — ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მწერლებს, ევროპის, აზიის, ამერიკისა და ავსტრალიის 22 ქვეყნის ლიტერატურათა წარმომადგენლებს. გორკიდან ზემოთ თბილისში ვადმოინაცვლა.

თბილისთან, საქართველოსთან განუწყველად დაეკავშირებოდა გორკის სახელი. „მე არაბოვდი არ მაგიწყებდა, რომ სწორედ ამ ქალაქში გადავდგი პირველი გაუბედავი ნაბიჯი იმ გზაზე, რომლითაც მივდივარ ავტო უკვე მეოთხე ათეული წელია. შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყნის ულამაზესმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა სიფაქიზემ — სწორედ ამ ორმა ძალამ მომცეს ბიძგი, რომელმაც მოხეტიალედან ლიტერატორი გამხადა... მიყვარს მწვენიური საქართველო და განსაკუთრებით რევოლუციური საქართველო“... — გორკის ეს სიტყვები შესანიშნავად გამოხატავენ დიდი მწერლის დამოკიდებულებას საქართველოსა და მისი ხალხისადმი.

სწორედ ამიტომ აირჩიეს საქართველოს დედაქალაქი ზემოთს დამკვირვებელ ადგილად.

27 ივნისს თბილისი გულავალილად შეეგება საზღვარგარეთელ სტუმრებს, რომლებიც ჩამოვიდნენ საქართველოში გორკის დღეებისადმი მიძღვნილ ზემოთს მონაწილეობის მისაღებად.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მწერლები მოვიდნენ თბილისის აეროპორტში, რათა მისალმებოდნენ სტუმრებს.

დამხვდურთა შორის იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **დ. სტურუა**, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სირაძე**, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი **გ. აბაშიძე**.

თვითმფრინვიდან ჩამოდიან ცნობილი კუბელი პოეტი **ნიკოლას გილიენი**, ავსტრალიელი

მწერალი **ჯუდა უოტენი**, ფინელი მწერლები **იოჰანი კონკა** და **პეტა ლოუნენლა**, ლიბანელი **მოჰამედ იტანი**, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი **სიდნი ფინკელსტაინი**, ურუგვაელი **ალფრედო გრაიანა**, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი **სუანგ სუან ნი**, რუმინელი მწერლები **ა. გილიჩი**, **ტ. ვირგოლიჩი** და **ვ. რებრიანუ**, იუგოსლავები **მაკ დიზარი** და **რადვან ზოგოვიჩი**, ბულგარელი **ივანე ცვიტკოვი**, ჩეხოსლოვაკელი **ვაცლავ ბოგუნევი** და **ვერა მარუშაიკოვა**, პოლონელი **ვესლავ ევჯინსკი**.

იმევე დღეს ჩამოვიდა საბჭოთა მწერლების დიდი ჯგუფი: სსრ კავშირის გამგეობის მდივანი **ბორის პოლევოი**, ცნობილი საბჭოთა პოეტები და მწერლები **ბერდი ქერბაბაიევი**, **დავით კუგულდინოვი**, **ალექსანდრე მეთიროვი**, **რიმა კაზაკოვა**, **ვალერი კოსლოპოვი**, **დიმიტრი ლაშკევიჩი** და სხვ.

28 ივნისს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის მწერალთა ორგანიზაციების თვალსაჩინო წარმომადგენლები, მსოფლიოს 12 ქვეყნიდან ჩამოსული ლიტერატორები და ხელოვნების მოღვაწენი. აქ გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სამდივნოს გაერთიანებული პლენუმი, რომელიც მიმდინარეობდა ალექსი მაქსიმეს ძე გორკის დაბადების 100 წლისთავს.

პლენუმი გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა **გ. აბაშიძემ**.

ქართველი მწერლების, მთელი ქართველი ხალხის სახელით **გ. აბაშიძე** მიესალმა საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების თვალსაჩინო მწერლებს, რომლებიც პლენუმს ესწრებოდნენ.

ტრიბუნაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სირაძე**, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მთელი ქართველი ხალხის სახელით იგი გულთადად მიესალმა სა-

ქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სამდიონოს გაერთიანებული პლენუმის მონაწილეებს და უცხოელ სტუმრებს.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სამდიონოს სახელით პლენუმის მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **ბ. პოლევოი**.

მოხსენება „გორკი და საქართველო“ გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა კრიტიკოსმა **ბ. უდენტმა**.

ცნობილი კუბელი პოეტი **ნიკოლას ვილიენი** კუბის კულტურის მუშაკთა სახელით ძმურად მიესალმა პლენუმის მონაწილეებს. მან წაიკითხა ლექსი „რა მაქვს“, რომელიც კუბის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დაწერა.

ვიეტნამელმა ლიტერატორმა **სუანგ სუან ნიმ** თქვა, რომ გორკი დღეს გვასწავლის ჩვენ, ადამიანებს, რომლებიც ვიბრძვით თავისუფლები-სათვის, როგორ უნდა ვიცხოვროთ და ვიბრძოლოთ სრული ბედნიერებისათვის.

ცნობილი ქართველი ბელეტრისტი **დ. შენგელაია** ლაბარაკოს გორკის შემოქმედების ორ წყაროზე — რევოლუციურ რომანტიზმსა და რეალიზმზე, რომლებმაც განსაზღვრეს ის საოცარი ჰარმონია, რომელიც გორკის ნაწარმოებებში გვხვბოდა.

ბულგარელ მწერალთა სახელით პლენუმის მონაწილეებს მიესალმა ივანე **ცაბტაოვი**.

პლენუმზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე თურქმენი მწერალი **ბ. ქერბაბაევი**, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის მდივანი **ფ. ტაურიანი**, იუგოსლავიელი ლიტერატორი **რადოვან ზოგოვიჩი**, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის მდივანი, ყაზარდო-ბალყარეთის ლიტერატურის წარმომადგენელი **ა. ქეშოკოვი**, კრიტიკოსი **გ. მარგველაშვილი**.

პლენუმის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ ლიბანელ მწერალს **მუჰამედ იტანს**, რომელიც მხურვალედ მიესალმა ქართველ მწერლებს, მთელ ქართველ ხალხს, რუსთაველის სამშობლოს.

პლენუმზე წაიკითხეს **ა. მ. გორკის** ოჯახის მისასალმებელი დეპუტა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **დ. სტურუა** და სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე **ი. მელენტიევი**.

**29 ივნისს** ზეიმის მონაწილენი და სტუმრები შეიკრიბნენ თბილისის ორთქმშავალ-ვაგონ-შემკეთებელ ქარხანაში, სადაც 1892 წელს მუ-

შაობდა მამინ ჯერ კიდევ უცნობი ახალგაზრდა ალექსი პეშკოვი.

გორკის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. სტურუამ**.

**30 ივნისს**, კვირას, საბჭოს ქუჩაზე მდებარე სკვერში იმ სახლის მახლობლად, სადაც კრასნოვოროსკის კომუნა იყო, საფუძველი ჩაეყარა დიდი მწერლის ძეგლს.

მიტინგზე მოვიდნენ **ვ. მუჟანაძე**, **დ. სტურუა**, **რ. ფრუიძე**, **შ. ჭანუყვაძე**, **გ. ჯავახიშვილი**, **ო. ლოლაშვილი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე **ი. მელენტიევი**, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, ლიტერატურის მოღვაწენი, მშრომელთა წარმომადგენლები.

მიტინგი გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **შ. ბუხრაშვილმა**.

სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი **გ. აბაშიძე**, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **ხ. ბარზდინი**, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **ბ. პოლევოი**, ურუგვაელი ლიტერატორი **აღფრედო გრავინა**, პოლონელი მწერალი **ვესლავ ევჯინსკი**, ავსტრალიელი მწერალი, ავსტრალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი **ჯუდა უოტონი**, ჩეხოსლოვაკიელი მწერალი **ვირა მარუშიაკოვა**, ყაზარდო-ბალყარეთის ასსრ სახალხო პოეტი **ა. ქეშოკოვი** და ყალმუხი პოეტი, გორკის პრემიის ლაურეატი **გ. კუგულდინოვი**.

სკვერში დადგმულ გრანიტის ლოდზე ქართულ და რუსულ ენებზე წერია: „აქ აღიმართება ალექსი მაქსიმეს ძე გორკის ძეგლი“.

საქართველოში გორკის დღეების ზეიმზე ჩამოსული საბჭოთა მწერლები და საწვლავარგე თელი ლიტერატორები სამი დღის განმავლობაში, ეცნობოდნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, იყვნენ რუსთავეში, დაათვალიერეს მეტალურგიული ქარხანა, ესაუბრნენ მუშებს.

საღამო მწერალთა ჯგუფი დანსწრო რუსთავის დრამატული თეატრის სპექტაკლის „ფსკერზე“ — პრემიერას.

გორკის დღეების ზეიმის დასკვნითს დღეს, **30 ივნისს**, ზეიმის მონაწილენი ესტუმრნენ საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთას, დაათვალიერეს ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი, ქალაქის ისტორიული ძეგლები.

**1 ივლისს** თბილისელებმა გულთბილად გააცილეს სტუმრები.





# მსვლიან

არაგბეთის  
გამართიანებული  
რამსპუგლიკა

დონსტოპსნი  
არაგბულ მინაზე

არაგბულ ენაზე წელს პირველად გამოიცა დონსტოპსნიკის თხზულებათა სრული კრებული. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „ალ-მუსაფარის“ მთავარი რედაქტორი ახმად ბახა ედ-დინი წერდა: „აუცილებელია, რომ არაბმა ახალგაზრდამ მშობლიურ ენაზე წაიკითხოს ფილოსოფიების: არისტოტელის, პლატონის, კანტის, ჰეგელის, დეკარტის ქმნილებები. მწერლების: ტოლსტოის, ბალზაკის, დოსტოევის, შექსპირის, ბიუფოს ნაწარმოებები. მოაზროვნეების: ადამ სმიტის, რიკარდოს, მარქსის მოსაზრებები. მსგავს ნაწარმოებთა არაგბულ ენაზე თარგმნა უღრის „ახალი უნივერსიტეტის აგებნა“, ვინაიდან ეს უკვდავი ქმნილებები არაგბულ კლასიკურ ლიტერატურასთან ერთად საუკუნეებს გაუძლიერნ და თაობადან თაობას გადაეცემიან. მიუხედავად იმისა, რომ დონსტოპსნიკის ნაწარმოებების უმრავლესობა წაკითხული მაქვს, მაინც სიამოვნებით ვიყიდი ახლახან გამოსულ ერთტომეულს, რადგან ჩემი შვილები როდესაც წამოიზრდებიან, აუცილებლად წაიკითხავენ ამ დიდებულ მწერალს მშობლიურ ენაზე.“

### გამრანია

მარის მარინ რამბარკი

22 ივნისს ერის მარია რემარკს ჯაბადებიდან 70 წელი

შეუსრულდა. დასავლეთგერმანელი ჟურნალისტი ქალი სიბილა რემარკთან შეხვედრის შესახებ ჟურნალ „შტერნის“ ფურცლებზე წერდა:

... წელიწადში რამდენიმე თვეს რემარკი მეუღლესთან ერთად რომში ატარებს. მისი მეუღლე — პოლტ გოდარი, ჰოლივუდის ყოფილი ვარსკვლავი, ჩაპლინთან ერთად მონაწილეობდა ფილმებში „ახალი დროება“ და „დიქტატორი“.

ლიფტი მგზუთე სართულზე ჩერდება. შესავლელი დგას მაღალი, ტანადი, სიმათიური გარეგნობის მამაკაცი.

მაგიდაზე დგას ღვინო, კალვადოსი. რემარკს ეღიმება... „მე კალვადოსი სასტიკად არ მიყვარს. ძალიან დიდხანს ვფიქრობდი, რა სასმელი უნდა დაეღია ჩემ გმირს მაშინდელ პარიზში — მას ხომ ძალზე ცოტა ფული ჰქონდა. ბოლოს ვარჩიე ყველაზე იაფფასიანი სასმელი, ვაშლის არაყი — კალვადოსი. თუ არ ვცდები, მას შემდეგ, რაც ჩემი რომანი გამოვიდა, კალვადოსზე საოცრად გაიზარდა მოთხოვნილება. ნიუ-იორკის ყველა მაღაზიაში კალვადოსი სავსე კასრების გვერდით ჩემი რომანი იდო რეკლამისათვის.“

შემდეგ რემარკი ლაპარაკობს იმ თავდასხმაზე, რომელიც მან განიცადა რომანისათვის „დასავლეთის ფრონტა უცვლელია.“

„საოცრად დამამუშავეს კრიტიკოსებმა. მებრალბდნენ, თითქოს ჭარბიკაცებს დავცივდი და კრიტიკულად ვხატავდი. მიუხედავად ამისა,

რომანმა მთელი მსოფლიო შემოიარა. თარგმნილია მსოფლიოს 32 ენაზე“.

საფრანგეთსა და შვეიცარიაში დიდი ხნის ემიგრაციის შემდეგ რემარკს საშუალება მიეცა მექსიკელის პასპორტით ამერიკაში ჩასულიყო.

„გერმანული პასპორტი მე დიდი ხანია დავკარგე. 1932 წელს იძულებული ვიყავი სამშობლო დამეტოვებინა. ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე ფაშისტებმა ჩემი წიგნი საჭაროდ დაწვეს ბერლინში. ჰებელსის განკარგულებით პიესის „დასავლეთის ფრონტა უცვლელია“ პრემიერა მოახდელი ზულიანების წყალობით ჩავარდა. მალე დაკვარე მოქალაქეობა. ნაცისტებმა აწამეს ჩემი ერთ-ერთი და ელფრიდა რემარკი.“

— ასეთი მძიმე წარსულისა და ავადმყოფობის მიუხედავად, — წერს სიბილა, — რემარკი აწუხად მუშაობდა ახალ რომანზე, რომელიც მალე გამოვა ბაზარზე.

### იტალია

შვილი მამაკი

იტალიის ეკრანებზე დიდი წარმატებით მიდის ცნობილი იტალიელი რეჟისორის ჯანი პუჩინის ახალი ფილმი „ძმები ჩერვები“. ფილმი გადაღებულია აღნიხედ ჩერვის წიგნის მიხედვით „ჩემი შვილი ვაჟი“. სამამულო ომის დროს ძმები ჩერვები ეწეოდნენ არალეგალურ იტაქქევმა მუშაობას და გმირულად შესწირეს თავი ფაშიზმთან ბრძოლას.

ფილმში ერთ-ერთი ძმის — ალდოს როლს ასრულებს





ცნობილი იტალიელი მსახიობი ჰონორატიო პრეზიოსი. მოხუცი ჩერვის როლს ასრულებს საბჭოთა მსახიობი ოლეგ უსაკოვი.

**იუგოსლავია**

**მანიპოლაციები  
სერბო-ხორვატულ  
სენაში**

სერბო-ხორვატულ ენაზე ახლახან გამოვიდა ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსების ერთ-ტომეული. წიგნი თარგმნა იუგოსლავიელმა პოეტმა რადოვან ზაგოვიჩმა.

ახალგაზრდა პოეტი-რევოლუციონერი რადოვან ზაგოვიჩი ჭერ კიდევ ოცდაათიან წლებში გაეცნო ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედებას. მაშინ რადოვანი არალეგალურ იატაკქვეშა მუშაობას ეწეოდა. მაიაკოვსკის ლექსებმა მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა. მას შემდეგ მაიაკოვსკის ლექსები მისი ერთგული მეგობრები.

**საფრანგეთი**

**პოლ ელზარი**

საფრანგეთის პროგრესულმა პრესამ გულთბილად მიიღო პოეტი-კომუნისტის პოლ ელზარის ახლახან ფრანგულ ენაზე გამოცემული წიგნი. წიგნში გარდა ლექსებისა

შეტანილია ექვსასამდე ფოტოსურათი, წიგნებისა და შუბრანდების გარეკანის ფოტოები, გამოუქვეყნებელი წერილები, დოკუმენტები და სხვა მასალები.

ელზარი თავისი პოეზიით იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ, ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ განურჩევლად იმისა, ეს ხდებოდა ესპანეთს თუ იტალიაში. ამ ბოლო წლებში დიდად გაიზარდა ინტერესი პოლ ელზარის შემოქმედებისადმი. რამდენჯერმე იქნა გამოცემული მისი ლექსების კრებული და მკითხველმა დიდი ინტერესით მიიღო.

— ელზარს, რომელიც გამსჭვალული იყო პოეზიისადმი დიდი სიყვარულით, სიმართლის გრძნობით, არასოდეს გადაუხვევია მის მიერ არჩეული სწორი გზიდან, — წერს გაზეთ „ფრანს ნუველის“ რეცენზენტი, — შემთხვევითი არ არის, რომ მისი გარდაცვალებიდან თექვსმეტი წლის შემდეგ ელზარი იწოდება აღიარებულ პოეტად, მას სიამოვნებით კითხულობს ყველა ფრანგი მოქალაქე.

**სალვატორე ადამო**

ოცი წლის მომღერალზე — სალვატორე ადამოზე ძალიან ბევრს წერენ ახლა ფრანგული გაზეთები. ადამო დღეს საფრანგეთის ერთ-ერთი პოპულარული მომღერალია.

„მე დავიბადე სიცილიაში — ამბობს ადამო ერთ-ერთ კორესპონდენტთან საუბარში, — გავიზარდე ბელგიაში და სახელი მოვიხვეყმე საფრანგეთში. სამ წლამდე ვცხოვრობდი ქალაქ კომიზოში. 1946 წელს მამის ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ ოჯახური ხელმოკლეობის გამო ბელგიაში გადავსახლდი.“

მამა მუსიკის დიდი მოყვარული იყო. მან ჩამინერგა სიყვარული მუსიკისადმი. მთელი მონღოებით ვმღეროდი, მაგრამ ჩემი პირველი გამოსვლები მეტად უყვარული იყო. დარბაზში უსტვენდნენ, ყვიროდნენ, იციონდნენ. წარუმატებლობის მიუხედავად სიმღერას თავს არ ვანებებდი. სკოლაში სასტიკად გავზარმაცდი და ბოლოს სულ მივაჩენე სწავლას თავი. დედა ჯავრობდა, მამა კი მამშვილებდა — სიმღერაშია შენი სიცოცხლე და მომავალიო. მეც ვმღეროდი, მაგრამ ჩემი მსმენელები ჩემი ოჯახის წევრები იყვნენ. ძლივს მივაღწიე ჩამწერა ერთადერთი ფირფიტა, რომელიც თითქმის არ გაყიდულა. მამის შუამდგომლობით სამუსოად მიმიღეს „პატე-მარკონის“ ფირფიტების ფირმაში იმ პირობით, რომ დღეში გაყიდდნენ 500 ფირფიტას. სიმღერა თვითონ შემიჩიჩის. ეს იყო 1962 წლის დეკემბერი, ხოლო 1963 წლის თებერვლისათვის გაიყიდა 100.000 ფირფიტა. ასე მოვიდა ჩემთან დიდება.

ჯარკანი და ტიტული თ. მირზაშვილის, ო. ჭიშკარიანის.

ქურნალი გააფორმა დ. ზარაფიშვილმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლუხანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდინის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VI-68 წ. ქალაქის ზომა 70×108. ფოტოკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 2299. უე 02371. ტირ. 17 700.

საქ. კპ ცკ-ის გამოცემლობის პოლიგრაფკომბინატი. თბილისი, ლენინის 14.

3360 60 333.

6. 11/140



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

издательство  
«МЕРАНИ»  
ИНДЕКС 76236